



ჯონათან  
სვიფტი

# ბულივარის მომზადება

ჯონათან სვიფტი

თავდაპირველად ქირურგისა და შემდგომ  
რამდენიმე ხომალდის კაპიტნის

# ლეუელ გულივერის მოგზაურობა

სხვადასხვა შორეულ ქვეყანაში

ინგლისურიდან თარგმნა  
მოსე ქარჩავამ

წიგნის ელექტრონული ვერსია  
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა  
[www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)

[www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)

# მშვენიერი, საშინელი და საუბოი ზიგნი

იმ მშობლების საყურადღებოდ, ვისაც სურს, რომ დღევანდელ, „უწიგნობის“ ეპოქაში, შვილი კომპიუტერის ეკრანს მოსწყვიტოს და ამის ერთ-ერთ საშუალებად თავისი ბავშვობის დროინდელი საყვარელი წიგნების შეთავაზება მიაჩნია: დაუძალეთ ეს წიგნი თქვენს შვილს, სადმე — ყველაზე მაღალ თაროზე შემოდეთ, მხოლოდ მაშინ რომ წაიკითხოს, როდესაც იმსიმაღლე გაიზრდება, თვითონ რომ მოძებნის; მანამდე კი ჯერ „სახურავის ბინადარი კარლსონი“, შემდეგ „ტომ სოიერის თავგადასავალი“, მერე კი ჟიულ ვერნისა თუ მაინ რიდის ნაწარმოებები წაკითხეთ და თქვენი მიზანიც მიღწეული იქნება... ჰო, „გულივერის მოგზაურობაც“ შეგიძლიათ ურჩიოთ, ოღონდ სწორედ ის, თქვენი ბავშვობის დროინდელი გამოცემა მოძებნეთ, რომელიც მართლაც საბავშვო ლიტერატურის კლასიკად მიიჩნევა მთელ მსოფლიოში.

რაც შეეხება წინამდებარე გამოცემას, მასში ზოგიერთი ისეთი ადგილიც შევიდა, რომელიც „საბავშვო ცენზურის“ მიერ ადრინდელ გამოცემებში ამოღებული იყო. შედგად მივიღეთ „გულივერის მოგზაურობის“ „არასაბავშვო“ ვარიანტი, რომელსაც სრულად ასე წვდობა: „ლემუელ გულივერის, თავდაპირველად ექიმის, შემდეგ კი რამდენიმე ხომალდის კაპიტნის მოგზაურობანი ზოგიერთ შორეულ ქვეყანაში“. მის ავტორს კი, ამ „საბავშვო“ და „გასართობი“ წიგნის შემქმნელს, ასეთი ფრაზა ეკუთვნის: „ადამიანი ყველაზე ბინძური, საძაგელი და უმსგავსო ცხოველია, რომელიც ოდესმე შეუქმნია ბუნებას“.

ამის წაკითხვის შემდეგ იქნებ უკვე ნახსენებზე უფრო „მაღალ თაროზე“ შემოდოთ ეს წიგნი, მაგრამ მანამდე გირჩევთ, აუცილებლად წაიკითხოთ, რადგან გარწმუნებთ, — ქართველ მკითხველს „ლემუელ გულივერის, თავდაპირველად ექიმის, შემდეგ კი რამდენიმე ხომალდის კაპიტნის მოგზაურობანი ზოგიერთ შორეულ ქვეყანაში“ წაკითხული არ გვაქვს და წინ უაღრესად საინტერესო ლიტერატურულ ტექსტთან შეხვედრის ნამდვილი ბედნიერება გელით.

ზემოთ ნათქვამი რომ სრული ჭეშმარიტებაა და არა ჩემ მიერ გადაჭარბებული შეფასება, ისეთი შეუვალი ავტორიტეტის ნათქვამით შეიძლება დაუასაბუთო, როგორიც ჰერმან ჰესე იყო, რომელიც 1945 წელს „გულივერისადმი“ მიძღვნილ ესსეში წერდა: „ორასი წლის წინ ინგლისში ერთმანეთის მიყოლებით ორი წიგნი დაიწერა და ძალიან მოკლე დროში მთელ მსოფლიოში გავრცელდა შემოკლებული მონათხრობების, გადამუშავებული ვარიანტებისა და თარგმანების სახით. ეს არის დეფოს „რობინზონ კრუზო“ და სვიფტის „გულივერი“. ორივე მათგანი ნახევრად ფანტასტიკური რომანია, უფროსებისათვის დაწერილი და არა ბავშვებისათვის და ორივე დროთა გან-

მეუღობაში საბავშვო წიგნად იქცა. „გულიყერი“, რომელსაც ჩვენ ყმაწვილობისას გავეცანით, ცხადია, მხოლოდ ჩრდილია, მხოლოდ სუსტი ანარეკლია ნამდვილი „გულიყერისა“.

ამ წიგნის ავტორი, ჯონათან სვიფტი, არ ყოფილა „პროფესიონალი მწერალი“ არც მაშინდელი და არც თანამედროვე გაგებით: პატარა სოფლის ეკლესიის მღვდლობით დაწყებული კარიერაც მხოლოდ დუბლინის ერთ-ერთი ტაძრის დეკანობით (ასე უწოდებდნენ პროტესტანტები ტაძრის წინამძღვარს) დაასრულა, ხოლო სიცოცხლეშივე საყოველთაოდ პოპულარულ წიგნებს კი ფსევდონიმებით, ან სულაც ავტორის მითითების გარეშე გამოსცემდა; ის 1667 წელს ირლანდიის დედაქალაქ (ალბათ მთავარი ქალაქი უფრო სწორი იქნებოდა — ჯერ კიდევ დიდი ბრიტანეთის ნაწილ ირლანდიას „ოფიციალური დედაქალაქი“ არ ჰქონდა) დუბლინში დაიბადა ინგლისელი პროტესტანტის ოჯახში. პაპამისი ინგლისიდან სამოქალაქო ომს გაპრიდებია და ირლანდიაში გადასახლებულა.

მომავალი მწერლის მამა ვაჟის დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე გარდაიცვალა და დაბადებიდანვე ობოლი ჯონათანი (მამის სახელი დაარქვეს) ბიძამ წაიყვანა აღსაზრდელად, დედა კი ინგლისში გაექცა სიღარიბეს და მომავალშიც იშვიათად ხვდებოდა ვაჟს.

19 წლისამ დუბლინის უნივერსიტეტის ტრინიტი-კოლეჯი დაასრულა და ბაკალავრის ხარისხიც მიიღო, მაგრამ რატომღაც მეცნიერებისადმი ირონიული დამოკიდებულებაც „გამოიყოლა“ კოლეჯიდან, რომელიც არც მომავალში — მაგისტრის ხარისხისა და დოქტორის წოდების შემდეგ შესცვლია.

ბედის ირონიით, 21 წლისას, პაპამისივით, სამოქალაქო ომის გამო მოუხდა სხვაგან გადასახლება, ოღონდ ამჯერად პირიქით — აფორიაქებული ირლანდიიდან ლონდონში წავიდა, სადაც დედამისის შორეული ნათესავის, გადამდგარი დიპლომატისა და მწერლის, სერ უილიამ ტემპლის მღონად მოეწყო. ამ სამსახურმა მას ფინანსური დამოუკიდებლობა და შემოქმედებითი თავისუფლება მოუტანა: ლორდი ტემპლი დიდად აფასებდა თავისი მღონის გონიერებასა და ლიტერატურულ მიდრეკილებებს, რომელიც სვიფტმა მალე გამოამჟღავნა — თავისუფალ დროს „ლიტერატურულ ვარჯიშობაში“ ატარებდა და მალე იმ დროისათვის ძალიან პოპულარული სატირული ჟანრის — პამფლეტის დიდოსტატად იქცა, თუმცა პირველი ლიტერატურული ცდები პოეზიაში ჰქონდა.

იმის მიუხედავად, რომ ნამდვილ სახელს არასოდეს აწერდა პერიოდიკაში გამოქვეყნებულ პამფლეტებს, ისინი წარმოუდგენლად პოპულარულები გახდა მაშინდელ ბრიტანეთში, რადგან მახვილგონიერებისა და „გულის მომფხანნი“ სატირის გარდა მათში აშკარად ჩანდა ავტორის ინფორმირებუ-

ლობაც, რაც, მაშინდელ — „არატექნოლოგიურ“ ეპოქაში განსაკუთრებით ფასობდა: ლორდ ტემპლს ხშირად სტუმრობდნენ ბრიტანეთის ელიტის წარმომადგენლები, მათ შორის თვით მეფე ვილჰელმი. ამ საუბრებს მასპინძლის მდივანიც ესწრებოდა და კრიტიკისაკენ მიდრეკილი მისი გონება „უკუღმართად ხარშავდა“ ყველაფერს.

მაგრამ ჯონათან სვიფტი მხოლოდ როგორც მწერალი რჩებოდა ანონიმად — მან მაინც მოიპოვა დიდი პოპულარობა საკუთარი სახელით, ოღონდ არა როგორც კალმის ოსტატმა, არამედ როგორც „შშობლიური“ ირლანდიის (სადაც დაიბადა და გაიზარდა), ასევე „შშობლიური“ ინგლისის (რომლის მოქალაქე და პატრიოტიც ასევე გახლდათ) ჩაგვრისაგან განმათავისუფლებელმა (ისიც უნდა ითქვას, რომ აქ მხოლოდ მეტროპოლიის მიერ ირლანდიისათვის შექმნილი ეკონომიკური პრობლემები იგულისხმება, თორემ „ზურმუხტოვანი კუნძულის“ პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესახებ მაშინ ჯერ ლაპარაკიც არ იყო და ამას თვით უსაზღვრო ფანტაზიის მქონე სვიფტიც ვერ წარმოიდგენდა).

საბოლოოდ ჯონათან სვიფტი აქტიურად ჩაერია პოლიტიკაში და მაშინდელი ბრიტანეთის პარლამენტის ორივე ძირითადი პარტიის — ვიგებისა და ტორების წევრობაც მოასწრო და ყველა მაშინდელ პოლიტიკურ ვნებათაღელვაშიც მიიღო მონაწილეობა; პირად ცხოვრებაშიც ორ საყვარელ ქალს შორის „გაბმულმა“ გალია დღენი (ისე, ბევრი ბიოგრაფი ამბობს, რომ ორივე სიყვარული პლატონური იყო), მაგრამ ორიოდვე გვერდში ძნელია ამ ყველაფერზე საუბარი... ეს არც არის მთავარი, ახლა მთავარი გულფერია — ასე ნაცნობი და, სინამდვილეში, თურმე, უცნობი და ახალი.

წიგნი, რომელშიც ადამიანზე კეთილშობილი ცხენია; წიგნი, რომელშიც ერთი ციდა ლილიპუტები და ბუმბერაზი ბრომდინგნაგელეები ადამიანთა უსუსური და უმძლავრესი ვნებებისა და მისწრაფებების თვალსაჩინო განსახიერებას წარმოადგენენ, ხოლო ჩვენი ოთხფეხა მეგობრები „ნორმალურ“ გულფერს სიყვარულისა და მორალის გაკვეთილებს უტარებენ; ეს ყოველივე დღესაც აქტუალურია, და ამის საუკეთესო დასტური ისევ ჰერმან ჰესეს სიტყვებია ხსენებული ესსედან: „ჩვენი დროის კაცობრიობა, საშინელი ომის შემდეგ გამეფებული ეპოქის თავზარდაცემული და დაბნეული კაცობრიობა, შესანიშნავად არის მომზადებული „გულფერისათვის“. ის ამ წიგნიდან უფრო მეტს ისწავლის, ვიდრე ნებისმიერ სხვა ეპოქაში ისწავლიდა“.

არ ვიცი, რამდენად ჰგავს დღევანდელი საქართველო 1945 წლის გერმანიას, მაგრამ ჰესეს ეს შეფასება ნამდვილად აქტუალურია.

**ზვიად დოლიძე**

## ნაწილი პირველი

### მოგზაურობა ლილიპუტების<sup>1</sup> ქვეყანაში

#### თავი პირველი

ავტორი გეოგრაფის ზოგიერთ ცნობას საკუთარ თავსა და ოჯახზე. როგორ გაეღვიძა მოგზაურობის წყურვილი. მისი ზომალდი იღუპება და იგი ცურვით გადაირჩენს თავს. უვნებლად მიაღწევს ლილიპუტების ქვეყნის სანაპირომდე. მას დაატყვევებენ და ქვეყნის სიღრმეში გადაჰყავთ.

მამაჩემს მცირე მამული ჰქონდა ნოთინგამში<sup>2</sup>. მის ხუთ ვაჟიშვილს შორის მე მესამე გახლდით. თოთხმეტი წლის რომ შევსრულდი, კემბრიჯის ემანუელის კოლეჯში მიმაბარეს, სადაც მეცნიერებათა შესწავლით გატაცებულმა სამი წელი დავეყავი. მეტად ღარიბულად ვცხოვრობდი. რაკი მამაჩემის სიღატაკე ხელგაშლილობის შესაძლებლობას არ იძლეოდა, ამიტომაც ლონდონის სახელგანთქმულ ქირურგთან, მისტერ ჯეიმს ბეიტსთან, მომიხდა გადასვლა. იქ ოთხი წელი დავრჩი. ცოტ-ცოტა ფულს, რასაც მამაჩემი დროგამოშვებით მიგზავნიდა, ნავიგაციისა და მათემატიკის იმ დარგების შესწავლას ვახმარდი, რომლებიც სასარგებლონი არიან მოგზაურობის მოსურ-

<sup>1</sup> ლილიპუტები — „გულივერის მოგზაურობაში“ აღწერილი ზღაპრული ქვეყნის მცხოვრებნი. ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე ჰენრი მორლის აზრით, სვიფტმა ეს გამოგონილი სახელი „ლილიპუტი“ („Lilliput“) ორი სიტყვის ფუძისგან შექმნა — 1. „Lille“ („Little“) ინგლისურად პატარა; 2. „Put“ — დამცინავი მეტსახელი, წარმოდგება ლათინური სიტყვისგან „Putidus“ (გარყვნილი), იტალიური — „Putta“, ძველი ფრანგული — „Put“ და „Pute“; ამ ენებზე ასე პატარა ბიჭუნებსა და გოგონებს ეძახიან, რომლებიც უფროსებისთვის დამახასიათებელ უზნეობებს სჩადიან. სწორედ ასე, ლილიპუტები საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში ისეთივე უზნეობებს სჩადიოდნენ, რომლითაც XVIII საუკუნის დასაწყისში ინგლისის არისტოკრატია და ბურჟუაზია ხასიათდებოდა.

<sup>2</sup> ნოთინგამშირი — ქალაქი ინგლისში.

ნეთათვის. აკი ყოველთვის მჯეროდა, რომ, ადრე თუ გვიან, ჩემი ბედი ამ გზით წამიყვანდა. როგორც კი მისტერ ბეიტსს დავშორდი, შინ დავბრუნდი, სადაც მამაჩემის, ბიძია ჯონისა და სხვა რამდენიმე ნათესავის დახმარებით ორმოციოდე გირვანქა სტერლინგი შემიგროვდა. ყოველწლიურად 30 გირვანქა სტერლინგის გამოგზავნასაც შემიპირდნენ ლეიდენში სწავლის გასაგრძელებლად. იქ ორი წელი და შვიდი თვე ვსწავლობდი მედიცინას; ვიცოდი, რომ იგი შორეული მოგზაურობის დროს უთუოდ გამომადგებოდა.

ლეიდენიდან დაბრუნებისთანავე, ჩემი კეთილი მასწავლებლის, მისტერ ბეიტსის რეკომენდაციით ქირურგად მოვწვევე გემ „მერცხალზე“, რომელსაც კაპიტანი აბრაჰამ პანელი მართავდა. მასთან სამწელიწად-ნახევარი ვიმსახურე, ამასობაში რამდენჯერმე ვიმოგზაურე ლევანტსა<sup>1</sup> და დედამიწის სხვა ნაწილებში. იქიდან დაბრუნებულმა გადავწყვიტე ლონდონში დაესახლებულიყავი; ჩემმა მასწავლებელმა, მისტერ ბეიტსმა, მოიწონა ეს აზრი და რამდენიმე პაციენტიც გამიჩინა. ოლდ-ჯიურიზე ერთ პატარა სახლში დავბინავდი და, მეგობრების რჩევით, ნიუგეიტის<sup>2</sup> ქუჩაზე წინდებით მოვაჭრის მისტერ ედმუნდ ბარტონის უმცროსი ქალიშვილი მერი შევიერთე; მზითვადაც ოთხასი გირვანქა სტერლინგი მივიღე.

მაგრამ ორ წელსაც არ გაუვლია, რომ ჩემი კეთილი მასწავლებელი ბეიტსი გარდაიცვალა და, რაკი მეგობრებიც ცოტა მყავდა და სინდისიც ნებას არ მაძლევდა ჩემი კოლეგების უმრავლესობის ცუდი საქციელისთვის მიმებაძა, საქმეები ცუდად წამივიდა. ცოლთან და რამდენიმე ნაცნობთან მოვითათბირე და გადავწყვიტე, ისევ ზღვას დავბრუნებოდი. ექვსი წლის მანძილზე ორი გემი გამოვიცვალე, როგორც ქირურგმა. რამდენიმეჯერ წარმატებით ვიმოგზაურე აღმოსავლეთ და დასავლეთ ინდოეთში და ცოტაოდენი ქონებაც შევიძინე. წიგნები ყოველთვის საკმაო მქონდა და თავისუფალ დროსაც უძველესი და თანამედროვე საუკეთესო ავტორების კითხვას ვანდომებდი, ხოლო როცა ხმელეთზე გადავდიოდი, ვაკვირდებოდი ადგილობრივ მკვიდრთა ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებს. აგრეთვე ვსწავლობდი მათ ენებს, რასაც ჩინებული მეხსიერების მეოხებით სწრაფად ვითვისებდი.

<sup>1</sup> ლევანტი — აღმოსავლეთი. უწინ ხშირად იხმარებოდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქვეყნების აღსანიშნავად.

<sup>2</sup> ნიუგეიტი — ცნობილი ციხე ლონდონში.

უკანასკნელი მოგზაურობა ნაკლებად ხელსაყრელი გამოდგა. მეც მომბეზრდა ზღვაზე ხეტიალი და ცოლ-შვილთან დარჩენა გადაწყვიტე. ოლდ-ჯიურიდან ფეტერ-ლეინზე გადავედი, იქიდან უაპინგში გადავბარგდი; ასე მეგონა, მეზღვაურებში ვიპოვიდი სამუშაოს, მაგრამ იმედმა არ გამიძარტლა. სამი წელი ამაოდ ველოდი საქმეების გამოკეთებას და, ბოლოს, გემ „ანტილოპას“ კაპიტნის უილიამ პრი-ჩარდისაგან, რომელიც სამხრეთის ზღვაში მიემგზავრებოდა, მეტად ხელსაყრელი წინადადება მოვიღე. ბრისტოლიდან<sup>1</sup> 1699 წლის 4 მაისს გავედით ჩინებული დარი იდგა.

გარკვეული მოსაზრებით, არასწორი იქნებოდა, მკითხველი ჩვენი საზღვაო თავგადასავლების ვრცელი მოთხრობით შემეჩუხებინა; საკმარისია გაუწყო, რომ აღმოსავლეთ ინდოეთისკენ მგზავრობის დროს ძლიერმა ქარიშხალმა ჩრდილო-დასავლეთისკენ მიგვაბრუნა და ვანდიმენის<sup>2</sup> მიწისაკენ აგვალბინა კურსი. როგორც გამოირკვა, მალე სამხრეთის განედის 30 გრადუსსა და 2 მინუტში აღმოჩნდით. უზომო ჯაფისა და ცუდი კვების შედეგად თორმეტი მეზღვაური მოგვიკვდა; გადარჩენილებიც მეტად სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. 5 ნოემბერს, რაც დედამიწის იმ ნაწილში ზაფხულის დასაწყისია, მეტად ნისლიანი დარი იდგა. უცებ მეზღვაურებმა ნახევარი კაბელტოვის<sup>3</sup> მანძილზე მეჩეჩი შენიშნეს, მაგრამ ქარი იმდენად ძლიერი იყო, რომ გემი პირდაპირ მეჩეჩისაკენ გააქანა და ზედ შეაღწა. მხოლოდ ექვსმა კაცმა მოვახერხეთ ნავი ზღვაში ჩაგვეშვა და გვეცადა სწრაფად გავცლოდით გემსაც და მეჩეჩსაც. ჩემი აზრით, სულ რაღაც სამიოდე ლიგი<sup>4</sup> გავცურეთ, მაგრამ, რაკი გემზე უკანასკნელი დღეების დამატებული შრომით ქანცგაწყვეტილები ვიყავით, უკვე ხელის განძრევა აღარ შეგვეძლო. ამიტომაც, სხვა რა გზა გვქონდა, გამძვინვარებული ზღვის ტალღებს მივანდვეთ თავი. ნახევარი საათიც არ გასულა, რომ ჩრდილოეთიდან მოვარდნილმა გრიგალმა ნავი გადაგვიბრუნა. რა მოუვიდა ჩემს თანამგზავრებს, ანდა იმათ, ვინც მეჩეჩზე ან გემზე დარჩნენ, არ ვიცი, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ არავინ გადარჩენილა. მე კი,

<sup>1</sup> ბრისტოლი — ინგლისის ნავსადგური ამჟვე სახელწოდების ყურეში.

<sup>2</sup> ვანდიმენის მიწა — ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე კუნძულის — ტასმანიის ძველი სახელწოდება.

<sup>3</sup> კაბელტოვი — სიგრძის საზომი ერთეული. ინგლისური კაბელტოვი უდრის 185,3 მ-ს.

<sup>4</sup> ლიგი — სიგრძის საზომი ერთეული. უდრის 4,83 კმ-ს.



ვინ იცის საით, ალაღბედზე გაეცურე და ქარმა და დინებამ შორს გამაქროლა. ხშირად ვსინჯავდი, ფსკერი ახლოს ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ ამაოდ და, აი, როცა არაქათი თითქმის სრულიად გამოძეცა-ლა, აღმოჩნდა, რომ უკვე ჩემსიმაღლე წყალში ვიმყოფებოდი, ამასობაში ქარიშხალიც საგრძნობლად შესუსტდა. ფსკერი იმდენად უძნისშენელო დაქანებისა აღმოჩნდა, რომ თითქმის მთელი ინგლისური მილის<sup>1</sup> გაულა მომიხდა, ვიდრე ნაპირს მიუალწევდი; ჩემი აზრით, ახლა სადამოს რვა საათი უნდა ყოფილიყო. ნაპირიდან თითქმის ნახევარი მილი გაუიარე, მაგრამ მოსახლეობის ვერაუთარ ნიშანწყალს ვერ წავაწყდი; ყოველ შემთხვევაში, შიშნაჭამი და ძალღონგამოლეული მსგავსს ვერაფერს ვამჩნევდი. რაკი მეტისმეტად დაქანცული ვიყავი და ცხელოდა კიდევ, რასაც გემზე დალეული ნახევარი პინტა არა-ყიც უწყობდა ხელს, საშინლად მომერია ძილი. დაბალ და რბილ-ბალახიან მდელოზე წამოვწევი და ისეთი საღათას ძილით ჩავიძინე, რანაირადაც, ასე მგონია, არასდროს მძინებია. ჩემი გამოანგარიშე-ბით, სულ მცირე, ცხრა საათი მაინც მეძინა, რადგანაც, როცა გამეღვიძა, უკვე გათენებულიყო. ასადგომად წამოვიწიე, მაგრამ, ნურას უკაცრაუად, განძრუვაც ვეღარ შევძელი. ზურგზე ვიწევი, ხელები და ფეხები მაგრად მიებათ მიწაზე, ჩემს გრძელსა და ხშირ თმასაც ასეთი-ვე დღე დასდგომოდა. ამავე დროს, ვგრძნობდი, რომ ტანზე უამრავი წვრილი თასმა გადაეჭირათ, იღლიებიდან მოყოლებული გვერდებამ-დე. გვერდზე გახედვაც არ შემეძლო. მზე აცხუნებდა და აცხუნებდა. მისი მწველი სხივები თვალებს მჭრიდა. რაღაც გაურკვეველი ხმაუ-რი მესმოდა, მაგრამ ისე ვიწევი, რომ ცის გარდა ვერაფერს ვხედა-ვდი. ცოტა ხნის შემდეგ ვიგრძენი, რომ ჩემს მარცხენა ფეხზე რა-ღაც სულიერი მობობლაჟდა. მან ფრთხილად გადმომიარა მკერდზე და თითქმის ნიკაპამდე მოვიდა. რამდენადაც შევძელი, თვალები ძირს დაუხარე და შევამჩნიე ადამიანის მსგავსი არსება, რომელიც ექვსი გოჯის სიმაღლე არც კი იყო. ხელში მშვილდ-ისარი ეჭირა, მხარზე კაპარჭი ეკიდა. ამავე დროს ვიგრძენი, რომ, ჩემის ფიქრით, ორმო-ციოდე მსგავსი არსება ფეხდაფეხ მოჰყვა პირველს. გაოცებისაგან ისე მაგრად ვიღრიალე, რომ თავზარდაცემულნი უკუიქცნენ. ზოგიერთი, როგორც შემდეგში მიაბეხს, მიწაზე ჩახტომისას დასახიჩრდა კიდევ,

<sup>1</sup> მილი — სიგრძის საზომი ერთეული. ერთი სახმელეთო მილი უდრის 1,60 კმ-ს, ერთი საზღვაო მილი — 1,85 კმ-ს.

მაგრამ, ისევ მალე შემობრუნდნენ და ერთ-ერთმა იმდენი გაბედულება გამოიჩინა, რომ მთელი ტანით აღიმართა ჩემ თვალწინ, ხელები ასწია, გოცებისგან თვალები გადმოკარკლა და დაიყვირა ცოვი, მაგრამ გარკვეული ხმით: „ჰკეინაჰ ღეგულ!“ სხვებმაც რამდენჯერმე გაიმეორეს იგივე სიტყვები. მაშინ როდი ვიცოდი, რას ნიშნავდა ეს. ალბათ მკითხველს წარმოდგენილი ექნება, რა უხერხულად ვიწექი მთელი ამ ხნის მანძილზე. ბოლოს ვცადე თავი ამეშვა და, როგორც იქნა, გავგლიჯე წვრილი ბაწრები და ამოვაძვრე პალოები, რომელთა საშუალებითაც ჩემი მარცხენა მკლავი მიწაზე დაეკრათ; თვალებთან მივიტანე ხელი და მივხვდი, რა ხერხი ეხმარათ ჩემს დასაბმელად. ამავე დროს, მთელი ძალით მოვწიე თოკი, რამაც მწარე ტკივილი მაგრძნობინა, მაგრამ, სამაგიეროდ, მოვუშვი წვრილი ბაწრები, რითაც ჩემი თმა დაებათ მარცხენა მხარეს; ისე, რომ თავის ერთი-ორი გოჯით მობრუნება მაინც შემიძლო. მაგრამ ეს პაწაწინა არსებები ახლაც ისე სწრაფად გამექცნენ, რომ ვერც ერთის ხელში ჩაგდება ვერ მოვასწარი. მაშინვე რაღაც გამყვანი ხმით ატეხეს ხმაური და, როგორც კი გაჩუმდნენ, გავიგონე, რომ ერთ-ერთმა მათგანმა ხმამაღლა იყვირა: „ტოლგო ფონაკ!“. იმავე წუთას ვიგრძენი, რომ ასამდე ისარი დამიშინეს მარცხენა ხელზე; ისრები ნემსებოვით მესობოდა; მერე ჰაერში ისროლეს, როგორც ჩვენ ვეროპაში ვისვრით ყუმბარებს და ისრების უმრავლესობა მგონი ტანზე დამეცა (თუმცა არაფერი მიგრძნია), ხოლო ზოგიერთი კი სახეზე, რომელზედაც მაშინვე ავიფარე მარცხენა ხელი. როცა ისრების წვიმა შეწყდა, ტკივილისა და მწუხარებისაგან კვნესას მოვყევი. მერე ერთხელ კიდევ ვცადე თავი ამეშვა, მაგრამ ამჯერად გაცილებით მეტი ისარი დამაყარეს. ზოგმაც სცადა შუბით დაეჩხვლიტა ჩემი გვერდები, მაგრამ, რაღაც ბედად, კამეჩის ტყავის ქულაჯა მეცვა და მისი გახვრეტა ვერ შეძლეს. ახლა მიზანშეწონილად ჩავთვალე გაუნძრევლად ვწოლილიყავი; გადავწყვიტე, შებინდებამდე დაეჩხები და, რაკი მარცხენა ხელი თითქმის თავისუფალი მაქვს, თავს ადვილად ავიშვებ-მეთქი. რაც შეეხებოდა ადგილობრივ მცხოვრებლებს, საკმაო საფუძველიც გამაჩნდა და მჯეროდა კიდევ, რომ, თუ ვინიცობაა, ისინი ტანად მხოლოდ იმ სიდიდისანი იყვნენ, რომლებიც ის-ის იყო ვნახე, მათ გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან ლაშქარსაც გაუშკლაუდებოდი. მაგრამ ბედმა სულ სხვაგვარად წარმართა ჩემი საქმე. შენიშნეს თუ არა, რომ მშვიდად ვიწექი, შეწყ-

ვიტეს ისრების დაშენა, თუმცა ხმაურის მიხედვით ვგრძნობდი, რომ მათი რიცხვი მაინც უფრო და უფრო მატულობდა. სულ რაღაც ოთხ იარღზე<sup>1</sup>, სწორედ ჩემი მარჯვენა ყურის პირდაპირ, მთელი საათი ისმოდა კაკუნის, თითქოს ვილაცხები მუშაობენო. რამდენადაც ბაწრები და პალოები ამის ნებას იძლეოდა, თავი იქით მივაბრუნე და დავინახე, რომ აღემართათ დაახლოებით ერთ-ნახევარი ფუტის<sup>2</sup> სიმაღლე ბაქანი, რომელზეც ოთხი ადგილობრივი მკვიდრი დაეკრებოდა. ორი თუ სამი კიბე მიედგათ მისთვის, და, აი, იქიდან ერთ-ერთმა მკვიდრთაგანმა, რომელიც, როგორც ჩანდა, საპატო პიროვნება უნდა ყოფილიყო, მომმართა გრძელი სიტყვით, რომლიდანაც ვერაფერი გავიგე. დამავიწყდა მეთქვა, რომ ვიდრე ეს დიდებული სიტყვის წარმოთქმას შეუდგებოდა, სამჯერ დაიძახა: „ლანგრო დეჰულ სან!“ (ესა და ადრევე ნახსენები სიტყვები შემდგვაც გამიმეორეს და განმიმარტეს). ამის გაგონებაზე ორმოცდაათამდე ადგილობრივი მკვიდრი მომიახლოვდა და გადაჭრა ბაწრები, რითაც ჩემი თავის მარცხენა მხარე იყო დაბმული. ამან შესაძლებლობა მომცა თავი მარჯვენა მიმებრუნებინა და დაკვირვებოდი მოლაპარაკე პიროვნებას და მის მიხრა-მოხრას. ასე, შუახნის კაცი იქნებოდა. იგი გაცილებით უფრო მაღალი ჩანდა, ვიდრე დანარჩენი სამი, რომლებიც მას ამაღლად ახლდა და რომელთაგანაც ერთ-ერთი, ჩემს შუათითზე ოდნავ მაღალი, პაჟი უნდა ყოფილიყო, რადგანაც დიდებულის კაბის კალთა ეჭირა. ორნი კი აქეთ-იქით ამოსდგომოდნენ. ნამდვილი ორატორივით ლაპარაკობდა და, თუმცა არ გამეგებოდა, რას ამბობდა, მაინც ვგრძნობდი, რომ მის სიტყვებში ისმოდა მუქარაც, დაპირებაც, სიბრალულიცა და დაყვავებაც. მეც ორიოდ სიტყვით გავეცი პასუხი, მაგრამ მორჩილება გამოვხატე და თანაც მარცხენა ხელი მზისაკენ ავიშვირე, თვალებიც მისკენ მივაპყარი, თითქოსდა მოწმედ მოვუხმობდი მნათობს. შიმშილისაგან გული მელეოდა. რადგანაც გემის დალუპვამდე რამდენიმე საათით ადრე რომ ვჭამე, მას მერე პირში ლუკმა არ ჩამედო. ისე ძლიერ შემაწუხებულების ამ მოთხოვნილების დაუკმაყოფილებამ, რომ არ შემეძლო არ გამოემეჟღავნებინა იგი (თუმცა, შესაძლოა, ეს ერთგვარი უზრდელობაც კი იყო) და ამიტომაც წამდაუწუმ პირში ვიყოფდი თითქოს იმის აღსანიშნავად, რომ მშობდა.

<sup>1</sup> იარღი — სიგრძის საზომი ერთეული. ერთი იარღი უდრის 91,44 სმ-ს.

<sup>2</sup> ფუტი — სიგრძის საზომი ერთეული. ერთი ფუტი უდრის 30,48 სმ-ს.

ჰურგუ (ასე ეძახდნენ იმ დიდებულს, როგორც შემდეგ გავიგე) მიმიხვდა ყველაფერს. ბაქნიდან ჩამოვიდა და ბრძანა, რამდენიმე კიბე მოედგათ ჩემზე. ასამდე ადგილობრივი მკვიდრი ამოვიდა და გამოემართა ჩემი პირისაკენ. ისინი დატვირთული იყვნენ ხორციით სასუსე კალათებით, რომლებიც მეფეს ებრძანა და გამოეგზავნა, როგორც კი გაეგო ჩემი გამოჩენა. ვნახე, რომ მათში იყო სხვადასხვა ცხოველის ხორცი, მაგრამ სახელდობრ რომლის, გემოთი ვერ გაჯარჩიე. ეს კერძები შეიცავდა მშვენიერად შემწვარ-შენელებულ ბარკლებს, ბეჭებს, სუკებს, რომლებიც ცხვრის ხორცს ჩამოჰკავდა, მაგრამ სიდიდით ტოროლას ფრთისტოლაც კი არ იყო არც ერთი. ორ-სამ ცალს ერთ ლუკმად ვჭამდი, სამ გოგორა პურსაც ერთბაშად ვიდებდი პირში, რაკი ყოველი მათგანი თოფის საფანტის სიდიდე თუ იქნებოდა მხოლოდ. რაც შეეძლოთ მარდად მემსახურებოდნენ და ათასნაირი ნიშნებით ამქლავებდნენ ჩემი სიდიდითა და მადით გამოჩვეულ გოცებას. ახლა ვანიშნე, მწყურია-მეთქი. ჩემი მადის მიხედვით მიხვდნენ, რომ მცირე სასმელი ყელს არ ჩამისველებდა. როგორც ჩანდა, ძალზე მოსაზრებელი ხალხი იყო; მარჯვედ ამოიტანეს ერთი ვეება კასრი, მერე ხელზე გადმომიგორეს და სახურავი ამოაგდეს. ერთის მოსმით დავლიე, არც იყო გასაკვირი, კასრი ნახევარ პინტაზე მეტს არ შეიცავდა. სასმელს მსუბუქი ბურგუნდიული ღვინის გემო დაჰკრავდა, ოღონდ კიდევ უფრო სასიამოვნო დასალევი იყო. მეორე კასრიც მომიტანეს, ისიც ასევე გამოვცალე და ვანიშნე, რომ კიდევ მინდოდა, მაგრამ მეტი არ აღმოაჩნდათ. ეს სასწაულები რომ ჩავიდინე, სიხარულისაგან ყვირილი მორთეს, ჩემს მკერდზე ცეკვა-თამაში გამართეს და, როგორც უწინ, წამდაუნუმ გაჰყვიროდნენ: „ჰეკინაჰ დეგულ!“ მერე მანიშნეს, ორივე კასრი გადამეგდო, ოღონდ წინასწარ გაათრთხილეს ხალხი ხმამაღალი ყვირილით: „ბორაჩ მევოლაჰ!“ — გაწი-გამოჩეულიყვნენ და ადგილი გაეთავისუფლებინათ. როგორც კი ჰაერში დაყირაყებული კასრები დაინახეს, ხალხმა ერთბაშად დაიგრგვინა: „ჰეკინაჰ დეგულ!“ მართალი გითხრათ, ხშირად ძლივს ვიოკებდი სურვილს ჩემს სხეულზე იქით-აქეთ მიმომავალ არსებათაგან ერთი ორმოცდაათისთვის მაინც წამველო ხელი, ვინც კი პირველად მომხვდებოდა, და მიწაზე დამეწყვიტა. მაგრამ იმის გახსენებამ, რაც უკვე შემამთხვიეს და, რაც ალბათ არ იყო ყველაზე უარესი, რისი გაკეთებაც იმ არსებებს შეეძლოთ, აგრეთვე ჩემ მიერ

მათთვის მიცემულმა პატიოსანმა სიტყვამ (აკი ძალიან აფასებდნენ ჩემს მათდამი მორჩილებას) ასეთ განზრახვაზე ერთბაშად ამაღებინა ხელი. გარდა ამისა, ახლა სტუმარმასპინძლობის კანონებითაც ვიყავი დაკავშირებული იმ ხალხთან, რომელიც ასე ხელგაშლილად და დიდებულად გამიმასპინძლდა. ამავე დროს, საშინლად მარცხვდა ამ პაწაწკინტელა არსებების გამბედაობა, უშიშრად რომ ამოდრიოდნენ ჩემს ტანზე და, ვითომც აქ არაფერიაო, დასეირნობდნენ ზედ, და ეს მაშინ, როცა მე ცალი ხელი თავისუფალი მქონდა. ისინი სულაც არ თრთოდნენ ისეთი უშველებელი არსების წინაშე, როგორაც მე, ალბათ, ვეჩვენებოდი. ცოტა ხნის შემდეგ, როცა დაინახეს, რომ მეტ ხორცს აღარ მოვითხოვდი, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისაგან გამოგზავნილი ვიღაც დიდი თანამდებობის პირი გამოცხადდა ჩემთან. მისი ბრწყინვალეობა ჩემს მარჯვენა ფეხზე ამოვიდა და თორმეტობდნენ კაცისაგან შემდგარი ამაღლის თანხლებით გამოემართა ჩემი სახისკენ. მეფის ბეჭედსაშუალებით რწმუნების ქაღალდი თვალვებთან მომიტანა და ათი წუთი ისე მელაპარაკა, რომ გაბრაზების არავითარი ნიშანი არ ეტყობოდა; მის ხმაში ისმოდა მტკიცე გადაწყვეტილება, ხშირად იშვერდა ხელს წინ და როგორც შემდეგ გავიგე, დედაქალაქისაკენ მიმითითებდა, რომელიც თურმე ნახევარი მილის მანძილზე მდებარეობდა და სადაც მის უდიდებულესობას და სახელმწიფო საბჭოს ჩემი წყევანა გადაეწვიტათ. მე ორიოდ სიტყვით გავეცი პასუხი, მაგრამ ვერაფერს მიმიხვდნენ, მერე თავისუფალი ხელი დავიდე მეორე ხელზე (რა თქმა უნდა, ისე, რომ მისი ბრწყინვალეობისა და ამაღლის წვერებისთვის რაიმე ზიანი არ მიმეყენებინა), ხოლო შემდეგ თავსა და ტანზე, იმის გამოსახატავად, რომ განთავისუფლება მინდოდა. როგორც ეტყობოდა, მშვენიერად მიმიხვდა, რადგანაც უარის ნიშნად თავი გააქნია და ხელის მოძრაობით მიმახვედრა, რომ გადაწყვეტილი იყო ტყვედ წავეყვანეთ ისიც მანიშნა, რომ საჭმელ-სასმელს საკმარის მომცემდნენ და კარგადაც მომეპყრობოდნენ. ამ დროს ისევ მომიარა სურვილმა ძალით ამეწყვიტა, მაგრამ, როგორც კი კოპებით დაფარულ სახესა და ხელებზე იმ პაწაწინა არსებების ისრებითა და შუბებით მოყენებული მწარე ტკივილები ვიგრძენი, ამასთანავე, როცა გავითვალისწინე, რომ ჩემი მტრების რიცხვი სულ უფრო მატულობდა, ვანიშნე, რასაც მიზამთ, თქვენი ნებაა-მეთქი. ამის შემდეგ ჰურგუ და მისი ამაღლა დიდის თა-

ვაზიანობითა და სიხარულით დამემშვიდობა. მალე ხალხის ხმაური მომესმა, ხშირად იმეორებდნენ სიტყვებს: „პეპელომ სელამ“, ახლა ვიგრძენი, რომ გვერდზე ბევრი ხალხი მედგა. მათ იმდენად მოუშვეს ბაწრებს, რომ უკვე მარჯვენო მობრუნებაც შემიძლო. ვიდრე ამას გააკეთებდნენ, სახესა და ხელებზე წამისვეს მეტად საამო სურნელოვანი მაღამო, რომელმაც ნაისრევი სულ რაღაცა ხუთ წუთში მომიშუშა. ამან და ნოყიერი სასმელ-საჭმლის მიღებამ დამამშვიდა და ძილი მომგვარა. როგორც შემდეგში დავრწმუნდი, მთელი რვა საათი მეძინა, თუმცა ეს რა გასაკვირია: იმპერატორის ბრძანებით, ექიმებმა ღვინის კასრებში დასაძინებელი წამალი ჩაყარეს თურმე.

ნაპირზე მძინარე შემნიშნეს თუ არა, მაშინვე აცნობეს იმპერატორს, რომელმაც სახელმწიფო საბჭოსთან მოითათბირა და გადაწყვიტა ისე დაეგებინათ, როგორც ზემოთ იყო აღწერილი (რაც სისრულეში მოიყვანეს, როცა მეძინა), თანაც საჭმელ-სასმელი გამოეგზავნათ და სათანადო ეტლი მოემზადებინათ დედაქალაქში ჩემს გადასაყვანად.

ეს გადაწყვეტილება, შესაძლოა, მათი მხრიდან, უგუნურ და საშიშ ქმედებად მოგეჩვენოთ და, დარწმუნებული ვარ, რომ მსგავს შემთხვევაში ევროპის არც ერთი ხელმწიფე არ მოიქცეოდა ამნაირად, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს უაღრესად წინდახედული და დიდსულოვანი გადაწყვეტილება იყო; რადგანაც, დაუშვით და მძინარეს თავიანთი შუბებითა და ისრებით მოსაკლავად დამსხმოდნენ თავს, ზომ შეიძლებოდა, პირველი ისრის მოხვედრისთანავე გამღვიძებოდა და ისე განვრისხებულყოფილიყო, რომ ძალები მომეკრიბა და სულ დამეჩვენებოდა ბაწრები; ისინი ზომ ვერ გამიმკლავდებოდნენ მაშინ და აბა, ჩემგან შებრალების იმედი რატომ უნდა ჰქონოდათ?

ლილიპუტები ჩინებული მათემატიკოსები იყვნენ და იმპერატორის, მეცნიერების ამ ცნობილი მფარველის, ხელშეწყობითა და წაქეზებით მექანიკაში დიდი მიღწევებიც ჰქონდათ. ხელმწიფეს ჰქონდა რამდენიმე თვლებიანი მანქანა მორებისა და სხვა სიმძიმეთა გადასაზიდად. ისეთ ტყეებში, სადაც საშენი მასალა იზრდებოდა, ლილიპუტები ხშირად აგებდნენ სამხედრო ზომალდებს, — რომელთაგანაც ზოგიერთი ცხრა ფუტის სიგრძესაც კი აღწევდა, და ხსენებული მანქანებით სამასი-ოთხასი იარღის მანძილზე გადაჰქონდათ ზღვაში ჩასაშვებად. ამჯერად, ხუთას დურგალსა და ინჟინერს დაჟვალა სასწრაფოდ გაეკეთებინათ ერთი ასეთი უდიდესი მანქანა. ეს იყო

მიწის ზედაპირიდან სამ გოჯზე შეყენებული ხის ჩარჩო, რომელსაც შვიდი ფუტის სიგანე ჰქონდა და ოცდამდე თვალზე მოძრაობდა. ნაპირზე ჩემი გადმოსვლის დროიდან სულ ოთხი საათი იყო გასული, რომ ის მანქანა უკვე გამოგზავნეს და, როგორც ეტყობა, მისი მოსვლით გამოწვეული ღრიანცელი ჩამესმა მძინარეს. მანქანა ჩემ გვერდით დააყენეს. ახლა მთავარ სიძნელეს ის წარმოადგენდა, რომ ავწიეთ და დავეწვინეთ მასზე. ამ მიზნით, ერთი ფუტი სიმაღლის ოთხმოცი ბოძი აღმართეს. კისერზე, ხელებზე, ტანსა და ფეხებზე კაუჭებიანი სახვევები შემომახვიეს, მაგარი და მსხვილი ბაწრები გაუყარეს მათში და ბოძებზე დამაგრებული ჭოჭონაქებით გადაჭიმეს. ცხრაასი უძლიერესი ლილიპუტი ქწეოდა იმ ბაწრებს და ამნაირად სამ საათში ამწიეს და მანქანაზე მომათავსეს, მერე ზედ მაგრად დამაკრეს. ყველაფერი ეს შემდეგ მიაბბეს, რადგანაც, როცა ამას აკეთებდნენ, ჩემს სასმელში გარეული დასაძინებელი წამლის წყალობით, საღათას ძილით მეძინა. იმპერატორის ათას ხუთასი მძღავრი ცხენი, რომელთა სიმაღლე ოთხგოჯ-ნახევარს არ აღემატებოდა, შებათ ჩემს გადასაყვანად დედაქალაქში, რომელიც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ნახევარი მილის მანძილზე მდებარეობდა.

ოთხი საათის მგზავრობის შემდეგ ერთმა უცნაურმა შემთხვევამ გამომალვიდა. ეტლს რაღაცა გაუფუჭდა და უეცრად გაჩერდა. საჭირო გახდა შეკეთება. ორ-სამ ადგილობრივ მკვიდრს ცნობის-მოყვარეობამ წასძლია, ენახათ, მძინარე როგორ გამოვიყურებოდი. ისინი ამოძვრნენ ეტლზე და ფეხაკრეფით გაიარეს ჩემს სახეზე. ერთ-ერთმა მათგანმა, გვარდიის ოფიცერმა, შუბის პირი ღრმად შეყო ჩემს მარცხენა ნესტოში. თითქოს ჩალა შემეხო და ერთი მაგრად დამაცემინა. ლილიპუტები დაფრთხნენ და შეუმჩნევლად გაიპარნენ. მე მხოლოდ სამი კვირის შემდეგ გავიგე ჩემი ასეთი უეცარი გამოღვიძების მიზეზი. დღის ბოლომდე კიდევ დიდხანს ვიარეთ. ბოლოს ღამის გასათევად შევჩერდით. მე ხუთას-ხუთასი მცველი დამიყენეს ორივე მხარეს; ერთ ნახევარს ხელში მაშხალები ეჭირა, მეორე ნახევარს — მშვილდ-ისრები, ისე, რომ მზად იყვნენ ესროლათ, თუ ვინცობაა, განძრევას გავბედავდი. ინათა თუ არა, ისევ განვაგრძეთ გზა და შუადღისას ქალაქის კარიბჭიდან ორასი იარღის მანძილზე შევჩერდით. იმპერატორი და მისი კარის-კაცები გამოეფინენ ჩვენს შესახვედრად. მაგრამ მაღალჩინოსანმა

ოფიცრებმა არავითარ შემთხვევაში არ დართეს ნება მის უდიდებულესობას, ამოსულიყო ჩემს ტანზე და ამით თავისი სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო.

იმ ადგილზე, სადაც ეტლი შეჩერდა, იდგა მთელ სამეფოში სახელგანთქმული უძველესი ტაძარი, რომელშიც რამდენიმე წლის წინ თურმე საშინელი კაცისკვლა მოხდა. ღვთისმოსაჟმა ხალხმა იქაურობა გაუწმინდურებულ ადგილად ჩათვალა, მთელი მოწყობილობა და სამკაულები გარეთ გამოიტანა და ეს ნაგებობა ასე გაუკაცრიელებული იყო იმ დღემდე. ახლა კი გადაქცევიტათ, რომ სწორედ ამ შენობაში მოვეთავსებინე. ჩრდილოეთის მხრიდან დატანებული დიდი კარები დაახლოებით ოთხი ფუტის სიმაღლე და ორი ფუტის სიგანე იქნებოდა, ამიტომაც ადვილად შემეძლო მასში გავმძვრალიყავი. კარების ორივე მხარეზე ორი ჰატარა სარკმელი იყო დატანებული, იატაკიდან სულ რაღაც ექვსიოდე ფუტის სიმაღლეზე. მარცხენა სარკმელში ხელმწიფის მჭედელმა გაატარა ოთხმოცდათერთმეტი ჯაჭვი, რომელთაგანაც თითოეული ვეროპელი ქალის საათის ძეწკვის სიმსხო და სიდიდე თუ იქნებოდა და, რომლებიც მარცხენა ფეხზე ოცდათექვსმეტი ბოქლომით შემაბეს. ტაძრის პირდაპირ, ფართო გზის გადაღმა, ოცი ფუტის მოშორებით, ხუთიოდე ფუტის სიმაღლის კოშკი იდგა. იმპერატორი თავისი დიდ-დიდი მოხელეების თანხლებით ავიდა იმ კოშკზე, რათა კარგად შეეხედა ჩემთვის; ასე მიაბბეს, თორემ მე იმათ, მართალი გითხრათ, ვერ ვხედავდი. როგორც გამოიანგარიშეს, ამავე მიზნით, ქალაქის ასი ათასამდე მცხოვრები მოვიდა და, მიუხედავად იმისა, რომ მცველები მეყენა გარშემო, თუ არ ვცდები, ათი ათასამდე კაცი მაინც ამოფოფხდა ჩემს ტანზე კიბეების შემწეობით მაგრამ მალე გამოიცა საგანგებო ბრძანება, რომელიც სიკვდილით დასჯის მუქარით კრძალავდა ამგვარ საქციელს. როგორც კი ოსტატები დარწმუნდნენ, რომ ვეღარ შევძლებდი აწყვეტას, ბაწრები დამაჭრეს. მეც წამოვდექი, მაგრამ ისე უგუნებოდ ვიყავი, როგორც არასოდეს. ენით აუწერელი ხმაური ატყდა გოცეებულ ხალხში, როცა დაინახეს, რომ წამოვდექი და გავიარ-გამოვიარე. ჩემს მარცხენა ფეხზე მიბმულ ჯაჭვს ორი იარდის სიგრძე ექნებოდა და არა მარტო წრეზე სიარულის, არამედ კარში შეძრომისა და ტაძარში მთელი ტანით გაშხლართვის შესაძლებლობასაც კი მაძლევდა.



## თავი მეორე

ლილიაუტების იმპერატორი დიდებულების თანხლებით ქვეყა ავტორს საპრობილეში. იმპერატორის გარეგნობისა და მორთულობის აღწერა. ავტორს სწავლულებს უნიშნავენ ლილიაუტების ენის მასწავლებლებად. გული-ვერი თავისი თვინიერებით ნლობასა და პატუისცემას იმსახურებს. მას ჯიბეს გაუჩხრევენ, ხმალსა და რვეოლვერს ჩამოართმევენ.

ფეხზე დაუდექი თუ არა, ირგვლოვ მიმოვიხედე და, მართალი გითხრათ, ისეთი წარმტაცი ხედი ჩემ თვალწინ არასოდეს გადაშლილა. მთელი მიდამო თითქოსდა ერთმანეთზე გადაბმულ უსასრულო ბაღნარს წარმოადგენდა. შემოლობილი მინდვრები, რომელთაგანაც თითოეული ორმოციოდე კვადრატულ ფუტს შეადგენდა, ყვავილნარს ჩამოჰგავდა. მათ მოსდევდა ნახვეარ სტანგზე<sup>1</sup> გაშლილი ტყეები, სადაც ყველაზე დიდი ხე, რამდენადაც შემეძლო გამომეცნო, შვიდი ფუტის სიმაღლისა იქნებოდა. ჩემს ხელმარცხნივ მოჩანდა ქალაქი, რომელიც სცენაზე დადგმულ დეკორაციას მაგონებდა.

უკვე რამდენიმე საათი იყო, რაც ერთი ბუნებრივი მოთხოვნილებიდან ვიტანჯებოდი. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც უკანასკნელად ორი დღის წინ შევესუბუქედი. ბოლოს ტკივილმა სძლია სირცხვილის გრძნობას, ჩემი თავშესაფრის სიღრმეში განვმარტოვდი, რამდენადაც ჯაჭვები ამის შესაძლებლობას მაძლევდა და, გავთავისუფლდი იმ სიმძიმისგან, რაც აგრერიგად მაწუხებდა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, რომელიც ჩემს უსუფთაობაში დასაღანაშაულებლად შეიძლება გამოდგეს, თუმცა, იმედი მაქვს, მკითხველი გაითვალისწინებს, რა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდი და გაგებით მოეკიდება ჩემს საქციელს. შემდგომ ამ პროცედურის ჩასატარებლად ყოველ დილით ბინიდან მოშორებით გავდიოდი, ხოლო ჩემ მიერ დატოვებული უწმინდურებანი, სტუმრების მოსვლამდე, სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ორ მსახურს გაჰქონდა საზიდრებით.

როგორც კი შესაძლებლობა მომეცა, სუფთა ჰაერზე გამოვედი. იმპერატორი კოშკიდან ჩამოვიდა და ცხენით გამოემართა, რაც კინადამ მეტისმეტად ძვირად დაუჯდა: მშვენიერად გაწვრთნილი ცხენი-

<sup>1</sup> სტანგი — სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 5,03 მ-ს.

სათვისაც მე, რა თქმა უნდა, უჩვეულო სანახაობა ვიქნებოდი, ალბათ მოძრავ მთადაც კი მოვეჩვენებოდი. ამიტომაც იყო, რომ იმპერატორის ცხენი დაფრთხა და უკანა ფეხებით ყალყზე შედგა; მაგრამ, საბედნიეროდ, მისი უდიდებულესობა ჩინებული მხედარი გამოდგა, უნაგირზე მანამდე შეიკავა თავი, ვიდრე მხლებლები მიიჭრებოდნენ მასთან და ცხენს აღვირზე უტაცებდნენ ხელს. მათი დახმარებით მისი ბრწყინვალეობა უვნებლად ჩამოვიდა ძირს და ფრიად გაოცებულმა შემომიარა გარშემო და შემათვალიერა; იგი შორიშორ მივლიდა, თითქოს ეშინოდა, არ მიეწვდომოდი. მერე მზარეულებსა და მსახურთ უბრძანა, საჭმელ-სასმელი მოერთმიათ ჩემთვის. ბორბლებზე შემდგარი საბარგულით მოაგორეს სურსათი ისეთ ადგილამდე, სადაც ადვილად მიმიწვდებოდა ხელი. ოცი საბარგული ხორციით იყო დატვირთული, ათი — სასმლით თითო საბარგული ხორცი სამ მადიან ლუკმად მყოფნიდა, ათ თიხის ქვევრში მოთავსებული ღვინო საბარგულში ჩაყვალე და ერთბაშად გადაუკარი. ასევე დაუცარიელე სხვა საბარგულებიც. იმპერატორის მეუღლე და უფლისწული ქალ-ვაჟები, სასახლის სეფექალების თანხლებით, მოშორებით ჩამწკრივებულ სავარძლებზე ისხდნენ, მაგრამ, ცხადია, ცხენი დაფრთხა თუ არა, წამოიშალნენ და შემოიხევივნენ მის ბრწყინვალეობას, რომლის გარეგნობაც ვეცდები ახლავე აღვიწეროთ. ის ჩემი ერთი ფრჩხილის დადებაზე უფრო მაღალი იყო<sup>1</sup> თავის კარისკაცებზე, რაც კმაროდა იმისათვის, რომ მნახველებს მის წინაშე შიში და მოკრძალება ეგრძნოთ. მკვეთრი და ვაჟკაცური სახის ნაკვთები ჰქონდა, ავსტრიული ტუჩები<sup>2</sup> და კუბიანი ცხვირი, ზეთისხილისფერის კანი, ზომიერად განვითარებული სხეული, — მოხდენილად დადიოდა და დიდებული მიხრა-მოხრით გამოირჩეოდა. ახალგაზრდა როდი იყო, ასე ოცდარვა წლისა და ცხრა თვისთვის გადაეცილებინა და აქედან უკვე შვიდი წელი სვებედნიერად და წარმატებით ემეფა. უფრო მოხერხებულად რომ შემეთვლიერებინა იგი, მზარ-თეძოზე წამოვწექი, ისე, რომ ჩემი სახე სწორედ მის პირდაპირ მოექცა. მისი ბრწყინვალეობაც სულ რაღაცა სამი იარდის მოშორებით

<sup>1</sup> ინგლისის მეფე ჯორჯ I, რომელიც ლილიპუტების იმპერატორის პროტოტიპია, ტანად დაბალი იყო. ეს განსხვავება გარუგნული ხასიათისაა. ლილიპუტების იმპერატორსა და ჯორჯ I-ის შორის მსგავსება ხასიათთა მსგავსებაშია საძიებელი.  
<sup>2</sup> ავსტრიელი ჰაბსბურგების სამეფო დინასტიის წარმომადგენლებს გამოშვერილი ქვედა ტუჩი ჰქონდათ.

იდგა. გარდა ამისა, იგი შემდგომიც არაერთხელ დამისვამს ხელზე და მის აღწერაში დიახაც რომ არ შევცდები. უბრალო, სადა ტანისამოსი ეცვა, რაც, მაინცდამაინც, არც ვეროპულ ყაიდაზე იყო შეკერილი და არც აზიურზე, თუმცა ორივეს კი ჩამოჰგავდა. მარგალიტებითა და ფრთით დამშვენებული ოქროს გვირგვინი ედგა თავზე და თითქმის სამი დუიმის<sup>1</sup> სიგრძის ხმალი ემიშვლებინა, რომ თავი დაეცვა, თუ ვინიცობაა, ავიწყვეტდი; ხმლის ქარქაში და ვადა თვალმარგალიტით იყო მოოჭვილი. იმპერატორს გამყვანი, მაგრამ ისეთი მკვეთრი და დაწმენდილი ხმა ჰქონდა, რომ ფეხზე დამდგარსაც კი მშვენორად მესმოდა მისი ლაპარაკი. სეფექალებსა და კარისკაცებს ისე ლამაზად ეცვათ, რომ ადგილი, სადაც ისინი იდგნენ, მიწაზე გაფენილ ოქრო-ვერცხლით მოქარულ ქალის ქვედა კაბას მოგაგონებდათ. იმპერატორი დიდხანს მელაპარაკა. მეც ვპასუხობდი, მაგრამ ერთმანეთს ვერაფერი გაგებინეთ. მის ბრწყინვალეობას რამდენიმე სასულიერო პირი და მოსამართლე ახლდა თან (მიხრა-მოხრით გაგარკვიე მათი პროფესია). ამ უკანასკნელებმაც, ბრძანების თანახმად, სიტყვით მომმართეს; მეც ველაპარაკე, იმ ენებზეც კი, რომლებიც ზერულედ ვიცოდი: ზემოგერმანულად, ქვემოგერმანულად, ლათინურად, ფრანგულად, ესპანურად, იტალიურად და თვით ფრანკულ ენაზედაც, მაგრამ უშედეგოდ. ორი საათის შემდეგ იმპერატორი და მისი ამაღლა წავიდნენ და მე დიდძალი გუშაგი დამიყენეს გათავზედებული და სულმდაბალი არსებების ბრბოსაგან დასაცავად. რამდენადაც ბედავდნენ, ახლო-ახლო მოდიოდნენ და ზოგიერთი მათგანი ისე გაკადნიერდა, რომ ტაძრის გვერდით მიწაზე მჯდომარეს ისრები დამიშინა; ერთ-ერთი ისარი კინალამ მარცხენა თვალში მომახვედრეს. ამით გაბრაზებულმა პოლკოვნიკმა ბრძანა, ექვსივე ჩხუბისთვი შეეპყროთ და მათი დასჯის საუკეთესო საშუალებად ის ჩათვალა, რომ ისინი, ხელფეხშეკრულნი, ჩემთვის გადმოეცა. მისი ბრძანება ჯარისკაცებმა ზუსტად შეასრულეს: დამნაშავეები შუბის წვერით ისე ახლოს მომიგდეს, რომ ადვილად ვწვდებოდი. მარჯვენა ხელში ავიყვანე ექვსივე ხუთი მათგანი ჯიბეში ჩავისვი და ისეთი სახე მივიღე, თითქოს მუქქვსე ცოცხლად უნდა შემეჭამა. საშინლად მოიკრუნჩხა საბრალო, თვით პოლკოვნიკი და მისი ოფიცრებიც მეტიხმეტად შეწუხდნენ, განსაკუ-

<sup>1</sup> დუიმი — სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 2,54 სმ-ს.

თრებით მაშინ, როცა ჯიბიდან ჯაყვა ამოვიღე. მაგრამ მალე დაუ-  
შოშმინე ყველანი: დაყვავებით შევხედე შეპყრობილს და სასწრაფოდ  
გაუუჭერი ბაწრები, რითაც ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული, მერე ფრთხი-  
ლად დაესვი მიწაზე და გახარებულმა თავისიანებისკენ მოკურცხლა.  
დანარჩენებიც თითო-თითოდ ამოვიყვანე ჯიბიდან და იმათაც ასევე  
მოუქეცი. შევნიშნე, რომ ჯარისკაცები და ხალხი ფრიად ნასია-  
მოვნები დარჩნენ ჩემი გულმოწყალებით, რის შესახებაც სასახლეშიც  
დაუყოვნებლოდ მოახსენეს.

შებინდებისას, როგორც იქნა, შევძვერი ჩემთვის განკუთვნილ  
სახლში და პირდაპირ ცოვ ქვაზე დავწეიქი. ასე გავატარე მთელი ორი  
კვირა. ამასობაში იმპერატორმა ბრძანება გასცა, ლოგინი მოეწყოთ  
ჩემთვის. ექვსასამდე ლეიბი მოზიდეს ეტლებით და ჩემს სადგომში  
ერთმანეთს გადააკურეს. ასორმოცდაათი ლეიბის სიგრძე და სიგანე  
საკმარისი აღმოჩნდა. ამგვარად, ოთხკეცი ლეიბი გამიკეთეს, მაგრამ  
ისიც ძალზე თხელი გამოდგა ჩემთვის და ძველებურად მტკიოდა  
გვერდები, თითქოს ისევ სიპი ქვისაგან გაკეთებულ იატაკზე ვყოფი-  
ლიყავი გაწოლილი. ასეთივე ანგარიშით დამიშზადეს ზეწრები, საბნები  
და გადასაფარებლები, რაც საკმაოდ დიდი ფუფუნება გახლდათ იმ  
აღამიანისათვის, რომელმაც ამდენი გაჭირვება გამოიარა.

ჩემი გამოჩენის ამბავი მთელ სამეფოს მოედო და ამან იმდენი  
ხალხი მოიზიდა, — მდიდრები, უქნარები თუ ცნობისმოყვარენი, —  
რომ სოფლები თითქმის დაცარიელდა. მინდვრის სამუშაოები შე-  
ჩერდა, საოჯახო საქმეებზე ხელი აიღეს. იმპერატორმა ამ უწესრი-  
გობის აღმოსაფხვრელად მრავალი მოწოდება და ბრძანება გამოსცა.  
მან განკარგულება გასცა, ვინც ერთხელ მნახავდა, დაუყოვნებლოდ  
დაბრუნებულიყო შინ და აღარ გაეხედა ორმოცდაათ იარღზე მო-  
ახლოებოდა ჩემს სამყოფელს, სასახლიდან მიღებული სათანადო  
ნებართვის გარეშე. ამან სასახლის მოხელეებს დიდი შემოსავლის  
წყარო გაუჩინა.

ამასობაში იმპერატორი თათბირებს მართავდა, რათა ჩემი შემდ-  
გომი ბედი გადაეწყვიტათ. შემდეგში ერთი ჩემი ახლო მეგობარი, რო-  
მელსაც ხელმწიფის კარზე დიდი თანამდებობა ეჭირა და სახელმწი-  
ფო საიდუმლოებებში იყო განდობილი, მიამბობდა, რომ სასახლე-  
ში ძალზე შემფოთებულები და შეფიქრიანებულები ყოფილან. ჯერ  
ერთი, იმის შეშინებით, რომ არ ამეწყვიტა, მერე იყო და ჩემი რჩენა

იმდენი ჯღებოდა, რომ ამას შეიძლებოდა სახელმწიფოში შიშში-  
ლობა გამოეწვია. ზოგჯერ იმ გადაწყვეტილებამდეც მისულან, რომ  
შიშშილით მოვეკალი ანდა სახესა და ხელებზე მოწამლული ისრები  
დაეშინათ, რაც მალევე მომიღებდა ბოლოს. მაგრამ ესეც ვერ გაუბე-  
დავთ, რადგანაც ასეთი უშველებელი გემის გაზრწნას შესაძლო იყო  
ქალაქში და თვით მთელ სამეფოშიც შავი ჭირის ეპიდემია გამოე-  
წვია. ამ საკითხზე რომ თათბირობდნენ და ვერ გადაწყვიტათ, რა  
გზას დასდგომოდნენ, სათათბირო დარბაზის კარებს არმიის რამდენ-  
იმე ოფიცერი მიადგა. ორ მათგანს შესვლის ნება დართეს და მათაც  
უამბეს შეკრებილებს, თუ როგორ მოვეპყარი მე ექვს ზემოხსენებულ  
დამნაშავეს. ამან ისე კარგად წარმომაჩინა მისი უდიდებულესობისა  
და სასახლის დიდკაცობის თვალში, რომ დაუყოვნებლივ იქნა გამო-  
ცემული იმპერატორის ბრძანება, რომლის თანახმად, დედაქალაქი-  
დან ცხრაასი იარღის მანძილზე მოთავსებული სოფლების მცხოვრე-  
ბლებს დაეკისრათ: ჩემს შესანახად, ყოველ დილით, მოეყვანათ ექვსი  
ხარი, ორმოცი ცხვარი და გაეღოთ სხვა სახის სურსათ-სანოვაგე,  
ამასთანავე, საკმაო რაოდენობის პური, ღვინო და სხვა სასმელები,  
რისთვისაც ხაზინიდან სათანადო თანხა მისმა უდიდებულესობამ  
გაიღო. ისიც აღსანიშნავია, რომ ხელმწიფე იქ უმთავრესად თავისი  
მამულის შემოსავლით ცხოვრობს და მხოლოდ უკიდურეს შემთხ-  
ვევაში მიმართავს ქვეშევრდომებს სუბსიდიებისთვის<sup>1</sup>. თავის მხრით,  
ისინი ვალდებულნი არიან, საკუთარი ხარჯებით მიიღონ მონაწი-  
ლეობა ომებში. ხელზე მოსამსახურედ ექვსასი კაცი დამინიშნეს.  
მათ სარჩო-საბადებელი გაუჩინეს და ჩემი სახლის შესასვლელის  
ორივე მხარეს მშვენიერი კარავები დაუდგეს. სამას თერძს ებრძანა  
მათ ქვეყანაში მიღებული მოდის მიხედვით ტანისამოსი შეეკურა ჩემ-  
თვის. მისი ბრწყინვალეების ექვს უდიდეს სწავლულს დაევალა ლი-  
ლიპუტების ენა ესწავლებინათ. დაბოლოს, გადაწყვეტილი იქნა, რომ  
იმპერატორის, მისი დიდებულებისა და გვარდიის ნაწილების ცხენე-  
ბი, თვალის შესაჩვენად, რაც შეიძლება ხშირად ეჯიროთებინათ ჩემს  
შორიანლოს. იმპერატორის განკარგულებები ზუსტად შესრულდა.  
სამ კვირაში შესამჩნევ წარმატებას მოაღწიე მათი ენის შესწავლის  
საქმეში; იმპერატორიც პატივს მღებდა და ხშირად მნახულობდა,

<sup>1</sup> ავტორი მიანიშნებს იმაზე, რომ ინგლისელი მონარქები ხშირად ითხოვდნენ პარ-  
ლამენტისგან სუბსიდიებს, როგორც სახელმწიფო, ისე პირადი ხარჯებისთვის.

თანაც დიდად ნასიამოვნები იყო, რომ ჩემს სწავლებაში თვითონაც მონაწილეობდა. ასე თუ ისე, ერთმანეთში საუბარი უკვე შეგვეძლო. ჩემ მიერ დასწავლილი პირველი სიტყვები იმ დაუოკებელ სურვილს გამოხატავდა, რომ მის ბრწყინვალებას კეთილენებებინა და თავისუფლება მოენიჭებინა, რასაც დაჩოქილი ვევედრობოდი ყოველდღიურად. რამდენადაც გავიგე, იმპერატორი მპასუხობდა, რომ ამისათვის განსაზღვრული დრო იყო საჭირო; რომ სახელმწიფო საბჭოსაგან დამოუკიდებლად მას არ შეეძლო ასეთი გადაწყვეტილების მიღება და რომ, უპირველეს ყოვლისა, მე უნდა „ლუმის კელმინ პესო დესმარლონ ეპოზა“, ესე იგი, ფიცი დამედო, რომ მშვიდობიან განწყობას შევინარჩუნებდი მის უდიდებულესობასა და მის სამეფოსთან. სამაგიეროდ, მისი თქმით, მეც, რაც შეიძლებოდა, კარგად მომეპყრობოდნენ. ამასთანავე იმპერატორმა მიჩნია, მოთმინებითა და თავდაჭერილი ქცევით მისი და მისი ქვეშევრდომების თვალში კარგი ადამიანის სახელი დამემსახურებინა. მან იმედი გამოთქვა, რომ შეურაცხყოფად არ მივიღებდი, თუ მისი ბრწყინვალეობა თავის საგანგებოდ გამოყოფილ მოხელეებს ჩემს გაჩხრეკას<sup>1</sup> დააუკლებდა, ვინაიდან შესაძლო იყო, მე სხვადასხვა იარაღი მქონოდა თან, რაც უაღრესად საშიში აღმოჩნდებოდა, თუ, ვინიცობაა, ისინი ასეთი უზარმაზარი პიროვნების შესაფერისი იყვნენ ზომით. — თქვენს ბრწყინვალეობას შეუძლია დამშვიდებელი ბრძანებოდეს. მზადა ვარ გავშიშვლდე თქვენ წინაშე და გადმოვაბრუნო ყველა ჯიბე, — მივუგე მე.

მან მიპასუხა, რომ სამეფო კანონის შესაბამისად მის ორ მოხელეს უნდა გავეჩხრიკე; რომ ამის გაკეთება ჩემი თანხმობისა და დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა; რომ მისი უდიდებულესობა ისეთი კარგი შეხედულების იყო ჩემს გულკეთილობასა და სამართლიანობაზე, სჯეროდა, მის მოხელეებს ჩემს ხელში არაფერი დაუშავდებოდათ; რომ ყველაფერს, რასაც ჩამომართმევდნენ, უკლებლივ დამიბრუნებდნენ მათი ქვეყნიდან გამგზავრების დროს, ანდა შეიძენდნენ იმ ფასად, რასაც მე დაუასახელებდი. მე ხელში ავიყვანე ორივე მოხელე და პირველად პალტოს ჯიბეში ჩავისვი, შემდეგ კი ყველა დანარჩენ ჯიბეებში, რაც კი გამაჩნდა, გარდა საათისთვის განკუთვნი-

<sup>1</sup> ავტორი დასცინის ჯორჯ I-ის დროის ვიგების სამინისტროს მეთაურის — უოლპოლის მიერ იაკობ II სტიუარტის განდევნილი შვილის მიმდევრების საიდუმლო შეთქმულებათა გამოსარკვევად დაარსებულ საიდუმლო კომიტეტს.

ლი ორი და ერთიც საიდუმლო ჯიბისა, რომლებსაც, ასე მეგონა, ვერ მიაგნებდნენ და არც იყო გასაჩხრეკი, რადგანაც მათში პირველი მოთხოვნის ნიშნები მედო, რომლებიც სხვისთვის არაფითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა. საათის ერთ ჯიბეში ვერცხლის საათი მედო, მეორეში კი ოქროს ფულით სავსე პატარა ქისა. იმ მოხელეებს საწერ-კალამი, მელანი და ქაღალდი ჰქონდათ თან რომ ყველაფერი, რაც ენახათ, დაწვრილებით აღწერათ; როცა ჩხრეკას მორჩნენ, მთხოვეს ჩამომესვა ისინი. იმპერატორს უნდა წარდგომოდნენ მოხსენებით. მათ ზემოხსენებული აღწერილობა შემდეგში ინგლისურ ენაზე ვთარგმნე. აი სიტყვასიტყვით, შიგ რა ქერა:

„უპირველესად ყოვლისა, უშველებელი მთაკაცის (ასე ვთარგმნი სიტყვებს „ქუინბუს ფლესტრინ“) პალტოს მარჯვენა ჯიბეში, გულმოდგინე გასინჯვის შემდეგ, აღმოვაჩინეთ უხეში ქსოვილის დიდი ნაჭერი, რომელიც იმდენად დიდია, რომ თქვენი ბრწყინვალეების სასახლის მთავარი დარბაზის ხალიჩად იქმარებს. მარცხენა ჯიბეში აღმოჩნდა უზარმაზარი ვერცხლის კოლოფი, იმავე ლითონის სახურავით, რომელსაც ჩვენ, ორივე მოხელემ, ძვრა ვერ ვუყავით. მთაკაცმა ჩვენი თხოვნით გახსნა იგი, ერთ-ერთი ჩვენგანი ჩაძვრა მასში და მუხლებამდე ჩაეფლო მტვერში, რომელიც ნაწილობრივ სახეზე შემოგვეყარა და ორივეს ცემინება აგვიტეხა. ჟილეტის მარჯვენა ჯიბეში ვიპოვეთ უშველებელი შეკვრა რაღაც თეთრი, თხელი სუბსტანციისა, რომელიც მრავალფად იყო დაკეცილი და სამი კაცის სიდიდის იქნებოდა. მას მაგარი ბაწარი ჰქონდა შემოხვეული და შავი ნიშნები აჩნდა. ჩვენი აზრით, ეს არის ნაწერი, რომელშიც თითოეული ასო ჩვენი ხელისგულის ნახევრის ტოლი მაინცაა. მარჯვენა ჯიბეში ედო მეტად უცნაური ხელსაწყო, რომლის ერთი მხარე ოცი გრძელი ბოძით მთავრდება და მიაგავს თქვენი სასახლის წინ გავლებულ ღობეს. ჩვენი დასკვნით, მთაკაცი იმით თავს უნდა იფარცხნიდეს. თვითონ მას ამის შესახებ ვერაფერი ვკითხეთ, რადგანაც წამდაუნუმ ლაპარაკით ვეღარ შევაწუხეთ და, ესეც არ იყოს, გაგებინებაც გვიჭირდა. მთაკაცის შუა საფარველს (მე ასე ვთარგმნი სიტყვას „რონფუ-ლო“, რითაც ისინი ჩემს შარვალს აღნიშნავდნენ) მარჯვენა დიდ ჯიბეში წააწყდით კაცის სიგრძის რკინის ღრუ ბოძს, რომელიც ხის უფრო დიდ ნაჭერზე იყო მიმაგრებული; ბოძს ერთ მხარეზე უცნაური ფორმის რკინის უშველებელი ნაჭრები ჰქონდა მიკრული, მაგრამ ვერ გაგვირკვევია,

მას რა დანიშნულება უნდა ჰქონდეს. მარჯვენა ჯიბეშიც ასეთივე საგანი ედო. მარჯვენა მხარეს, შედარებით უფრო პატარა ჯიბეში, წყოსხვადასხვა სიდიდის თეთრი და წითელი ლითონის მრავალი და ბრტყელი ნაჭრები. ზოგიერთი თეთრი ნაჭერი, რომლებიც ვერცხლის უნდა იყოს, ისეთი მძიმე გამოდგა, რომ აწევა ძლავს მოახერხეთ. მარცხენა ჯიბეში ორი არასწორი შავი ბოძი ვიპოვეთ, მაგრამ ჯიბის ფსკერზე ვიდექით და მათ ზედაპირს ხელით ვუღებოდით ერთ-ერთი მათგანი დაფარული იყო და, როგორც ჩანდა, ერთ მთლიან ნაჭერს წარმოადგენდა; მაგრამ მეორის ზემო ბოლოზე მოჩანდა რაღაცა თეთრი და მრგვალი ნივთიერება. ორივე ბოძში მოთავსებული იყო ფოლადის კუბურთულა ფირფიტა, რომლებიც, ჩვენი ბრძანებით, ამოვადებინეთ მთაკაცს, რადგანაც მეტად საშიშ იარაღად მოგვიჩვენა. მთაკაცმა ამოაძრო ისინი და გვითხრა, სამშობლოში ერთ-ერთი მათგანით პირს ვიპარსავდი, მეორით კი ხორცს ვჭრიდიო. კიდევ ორი ჯიბე აღმოაჩნდა მას, მაგრამ იქ ჩასვლა ვერ მოახერხეთ; იმათ მთაკაცი „სათის ჯიბეებს“ უწოდებს. ისინი წარმოადგენენ შუა საფრის ზემო კიდეზე გაკეთებულ ორ დიდ ჭრილს, რომლებიც სხეულის დაწოლის გამო მჭიდროდ არის შეკრული. მარჯვენა ჯიბეზე ჰკიდია ვერცხლის დიდი ჯაჭვი, რომლის ბოლოზე მიბმულია ჯიბის ფსკერზე მოთავსებული უჩვეულო მანქანა. მთაკაცს ვუბრძანეთ ამოეღო და ეჩვენებინა, რა იყო მიბმული ჯაჭვის ბოლოზე. იგი აღმოჩნდა ვერცხლისა და რომელიღაც გამჭვირვალე ლითონის გლობუსი, რომლის გამჭვირვალე მხარეზეც უცნაური ნიშნები მოჩანდა. ჩვენ მოვინდომეთ თითოთ შევხებოდით მას, მაგრამ რაღაცამ არ მიგვიშვა: იმ ნივთიერებას დაუეჯახეთ, რომელშიც სინათლე ატანს. მთაკაცმა ეს უცნაური მანქანა ყურზე მოგვადო, ისეთი განუწყვეტელი რაკუნი ისმოდა, რომ წყლის წისქვილი მოგვაგონდა. ჩვენი აზრით, ეს, ან უცნობი ცხოველია, ანდა მთაკაცის სათაყვანებელი ღვთაება; უფრო ამ უკანასკნელ აზრს ვადგავართ, ვინაიდან მთაკაცი გვარწმუნებდა (თუ ვინიცობაა, კარგად გავიგეთ მისი ნათქვამი; აკი ძალზე ბუნდოვნად გამოთქვამდა აზრებს), რომ იგი იშვიათად თუ აკეთებს რაიმეს, იმ უცნაური მანქანის დაუკითხავად, რომელსაც თავის მისანს ეძახის და რომელიც მისი ყოველგვარი მოქმედების დროს ზუსტად უჩვენებს. მარცხენა პატარა ჯიბიდან მთაკაცმა იმხელა ბადე ამოიღო, რომ არც ერთი მეთევზე არ დაიწუნებდა. იგი ქისასავით იხსნება და იკვრება და, როგორც ჩანს,



მართლა ქისის მაგიერობას უწევს. ჩვენ მასში ყვითელი ლითონის რამდენიმე ნაჭერი აღმოვაჩინეთ. თუ ისინი ნამდვილი ოქროა, მათი ღირებულება მართლაც რომ განუზომელია.

მოვრჩით რა მთაკაცის ჯიბეების გულდასმით გაჩხრეკას, თანახმად თქვენი ბრწყინვალეების ბრძანებისა, მის წელზე შევნიშნეთ რომელი-ღაც უშველებელი ცხოველის ტყავისაგან გაკეთებული ვეებერთელა ქამარი, რომელზეც, მარცხენა მხარეს, ხუთი კაცის სიგრძის ხმალი ეკიდა, ხოლო მარჯვენაზე — ჩანთა თუ ტომარა, რომელსაც ისეთი ორი განყოფილება აქვს, რომ თითოეულში თქვენი ბრწყინვალეების სამი ქვეშევრდომი მაინც ჩაეტყა. პირველში ჩვენი თავის სიდიდე ლითონის ძმბიე სფეროები აწყვია და აწვაც კი გაგვიძნელდა, მეორე განყოფილებაში კი შავი მარცვლების გროვა ყრია, მარცვალთა სიდიდე უმნიშვნელოა და წონითაც მჩატეა, ასე რომ, ორმოცდაათამდე ცალი ჩაგვეტია მუჭში.

აი ყოველივე ის, რაც აღმოვაჩინეთ მთაკაცის გაჩხრეკისას. მას თავზიანად ეჭირა თავი და შესაფერისი პატოვისცემით გვეპყრობოდა თქვენი უდიდებულესობის წარგზავნილებს. ხელმოწერილი და ბეჭედდასმულია თქვენი უდიდებულესობის ბრწყინვალე მეფობის ოცდამეცხრე მთვარის მეოთხე დღეს.

კლეფრინ ფრელოკი,  
მარსი ფრელოკი.

როცა ეს აღწერილობა იმპერატორს წაუკითხეს, მან მეტად თავზიანად მთხოვა ზოგიერთი ნივთი მისთვის გადამეცა. უპირველესად ხმალზე მიმითითა და მეც მაშინვე ქარქაშიანად მოვიხსენი. ამასობაში იმპერატორმა სამ ათას რჩეულ ჯარისკაცს (რომლებიც იმ დღეს ხელმწიფეს იცავდნენ) უბრძანა, განსაზღვრულ მანძილზე გარშემომრტყმოდნენ სასროლად გამზადებული მშვილდ-ისრებით, თუმცა, ეს მაშინ არ შემიძინებია, რადგანაც მის უდიდებულესობას მიფჩერებოდი. იმპერატორმა მოისურვა ქარქაშიდან ამომეძრო ხმალი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ზღვის წყალს აქა-იქ დაეჟანგა, მაინც საკმაოდ პრიალებდა. შევასრულე თუ არა იმპერატორის ბრძანება, მთელმა ლაშქარმა შიშისა და გაოცებისგან შეჰყვირა, რადგანაც მზის სხივებზე თვალისმომჭრელად ალაპლაპდა ჩემ მიერ მოქნეული ხმალი. მისი უდიდებულესობა, რომელიც ცნობილი იყო

თავისი სიძამაცით, ამან ნაკლებად შეაშინა. მან ბრძანა ხმალი ქარქაშში ჩამეგო და რაც შემეძლო ფრთხილად დამედო ჩემი ჯაჭვიდან ექვსი ფუტის მოშორებით. შემდეგ მომთხოვა ამომელო ერთ-ერთი ღრუ რკინის ბოძი (რევოლვერს გულისხმობდა). მისი მოთხოვნა უყოყმანოდ შევასრულე და, რამდენადაც შეეძელი, აუხსენი მისი დანიშნულება; მერე გავტენე მარტო თოფისწამლით, რომელიც ისე კარგად მქონდა შეხვეული, რომ ზღვის წყალს არ დაესველებინა (ყოველი წინდახედული მეზღვაური სათანადო ზომებს იღებს იმისათვის, რომ როგორმე თოფისწამალი ძმრალად შეინახოს), მერე იმპერატორი გავაფრთხილე, არ შეგეშინდეთ-მეთქი და ზევით ვისროლე. ამ გასროლამ თავზარი დასცა იქ მყოფთ. ასობით ჯარისკაცი მოცულილივით დაგარდა მიწაზე, რაც შეეხება მის უდიდებულესობას, იგი არ დაწოლილა, მაგრამ მასხედაც ისე ძლიერ იმოქმედა მომხდარმა, რომ დიდხანს ვერ მოვიდა გონს. ორივე რევოლვერი ისევე ფრთხილად დაუდე მიწაზე, როგორც ხმალი. იქვე დავაწყვე ტყვიებიც და თოფისწამალიც და მისი უდიდებულესობა გავაფრთხილე, რომ ამ ფხვნილისათვის ცეცხლი ახლოს არ გაეკარებინათ, რადგანაც მცირე ნაპერწკლითაც შეიძლებოდა ანთებულებო და მისი სასახლე ერთ წაშში აუფეთქებინა. საათიც გადავეცი, იმპერატორს ძალიან მოეწონა იგი და თავის ორ ყველაზე ტანმაღალ ქვეშევრდომს უბრძანა, ჯოხზე გადაეკიდათ და მხრებზე გადებული წაეღოთ ეს უცნაური მანქანა, სწორედ ისე, როგორც ინგლისში ლუდის კასრები გადააქვთ ხოლმე. იმპერატორი გააოცა საათის განუწყვეტელმა წკარუნმა, განსაკუთრებით კი წუთების აღმნიშვნელი ისრის მოძრაობამ, რასაც ადვილად ამჩნევდა. ეს არცაა გასაკვირი, ლილიპუტებს ჩვენზე გამჭრიახი მხედველობა აქვთ. იმპერატორმა ჰკითხა თავის სწავლულებს, თუ რა შეხედულებისა იყვნენ ამ მანქანაზე. მკითხველი უჩემოდაც მიხვდებოდა, რომ გამოითქვა ერთმანეთისგან სავსებით განსხვავებული და, რამდენადაც მათი ნალაპარაკების გაგება შეეძელი, სავსებით მცდარი აზრები. შემდეგ გადავეცი ვერცხლისა და სპილენძის ფული, ოქროს ცხრა დიდი მონეტა და დანარჩენი ხურდაც, აგრეთვე ჯაყვა და სამართებელი, სავარცხელი, ვერცხლის სათუთუნე, ცხვირსახოცი და დღიური. ხმალი, რევოლვერები და ტყვია-წამლის ჩანთა ეტლებით წაიღეს მისი უდიდებულესობის საწყობში, დანარჩენი ნივთები კი დამიბრუნეს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ერთი საიდუმლო ჯიბეც მქონდა. მას ვერ მიაგნეს. იქ ვინახავდი სათვალეს (ცოტა არ იყოს, სუსტი მხედველობა მაქვს და ხანდახან ვხმარობ მას), ჯიბის ჭოგრიტს და სხვა წვრილმან ნივთებს. მათ არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა იმპერატორისათვის და, ამიტომაც, არც განვიცდიდი სინდისის ქენჯნას, რომ არ ვუჩვენე: შექმნიდა, ვაითუდამიკარგონ ან გამიფუჭონ, როცა მათ ხელში მოხვდება-მეთქი.

## თავი მესამე

ავტორი არაჩვეულებრივ გასართობს უჩვენებს იმპერატორს, მის დიდებულებსა და სეფეკალებს. ლილიპუტების სასახლის გასართობების აღწერა. ავტორს განსაზღვრული პირობით ათავისუფლებენ.

ჩემმა თვინიერებამ და გულკეთილმა მოპყრობამ ისე იმოქმედა იმპერატორსა და მისი სასახლის კარზე, განსაკუთრებით ლაშქარსა და მოსახლეობაზე, რომ მოკლე ხანში თავისუფლების დაბრუნების იმედი გამიჩნდა. ყოველნაირად ვცდილობდი ეს კეთილგანწყობილება კიდევ უფრო გამეღრმავებინა. მცხოვრებლები თანდათანობით რწმუნდებოდნენ იმაში, რომ ჩემის მხრიდან არავითარი საფრთხე არ მოელოდათ; ხანდახან წამოვწვებოდი მიწაზე და ხუთ-ექვს მათგანს ნებას ვაძლევდი ჩემს თავზე ეცეკვა; ბოლოს ბავშვებიც ბედავდნენ მოსულიყვნენ და ჩემს თმაში დამალობანა ეთამაშათ. უკვე საკმაოდ შევისწავლე მათი მშობლიური ენაც. ერთ მშვენიერ დღეს იმპერატორმა მოისურვა მის ქვეყანაში გავრცელებული სანახაობებით გავერთვე. ამ საქმეში ლილიპუტები ჩემთვის ცნობილ ყველა ერს წინ უსწრებენ თავიანთი მოხერხებულობითა და სიმარჯვით. ამ სანახაობებში განსაკუთრებით მომეწონა თოკზე მოცეკვავეთა გამოსვლა<sup>1</sup>. ორი ფუტის სიგრძის მეტისმეტად წვრილ ძაფს გააბამენ მიწის პირიდან თორმეტი დუიმის სიმაღლეზე. მკითხველს ვთხოვ,

<sup>1</sup> თოკზე მოცეკვავეებში ავტორი სამეფო კართან დაახლოებულ კარიერისტებს გულს ხმობს, რომლებიც უსირცხვილო და გაქნილი პოლიტიკური მაქინაციებითა და ინტრიგებით ხელმწიფის კეთილგანწყობას იმსახურებდნენ და სახელმწიფო თანამდებობებს იღებდნენ.

მოთმინებით აღიჭურვოს და ნება დამართოს, ამ სანახაობაზე მეტხანს ვილაპარაკო.

როგორც გავიგე, მასში მხოლოდ და მხოლოდ ის პირები მონაწილეობენ, რომლებიც მაღალ თანამდებობას ეძებენ და ცდილობენ სასახლეში საპატიო პიროვნებებად იქნან მიღებულნი. ისინი ბავშვობიდანვე იწვრთნებიან საამისოდ და აუცილებელი არ არის კეთილშობილური წარმოშობითა და ფართო განათლებით გამოირჩეოდნენ. როდესაც რომელიმე მაღალი თანამდებობა გათავისუფლდება, ვინმეს გარდაცვალების ანდა დაქვეითების შედეგად (ეს უკანასკნელი ხშირია), ამ ადგილის ხუთი ან ექვსი მაძიებელი იმპერატორს მოართმევს თხოვნას, რათა მისმა ბრწყინვალეობამ მათ თოკზე ცეკვის ნება დართოს. შედეგად, ის, ვინც ყველაზე მაღლა ახტება და თოკიდან არ ჩამოვარდება, სასურველ თანამდებობას მიიღებს. ხშირად დიდ-დიდ მინისტრებსაც უბრძანებდნენ ხოლმე, გამოეკლინათ თავიანთი ოსტატობა და ამით დაერწმუნებინათ მისი უდიდებულესობა, რომ ეს უნარი დაკარგული არ ჰქონდათ. საყოველთაოდ იყო აღიარებული, რომ ფლიმნაპი, სახელმწიფო ხაზინადარი, გაჭიმულ თოკზე ერთი დუიმით მაღლა ხტებოდა, ვიდრე რომელიმე სხვა წარჩინებული პირი მთელ იმპერიაში. ჩემი თვალით ვნახე, რომ ხაზინადარმა რამდენიმეჯერ გააკეთა ყირა ფირფიტაზე, რომელიც მეტად წვრილ ბაწარზე იყო დამაგრებული. ჩემს მეგობარ რულდრუსალს, სახელმწიფო საიდუმლო საბჭოს პირველ მდივანს, თუ მისდამი მე ერთგვარ მიკერძოებულობას არ ვიჩენ, ხაზინადრის შემდეგ მეორე ადგილი ეჭირა. დანარჩენი მოხელეები ერთმანეთს არც ჯობდნენ და არც ჩამოუვარდებოდნენ.

ამ სანახაობებს, როგორც ცნობილია, ხშირად უბედური შემთხვევებიც მოსდევდა. ჩემ თვალწინაც დასახიჩრდა თანამდებობის ორი-სამი მაძიებელი. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით მაშინ ხშირდებოდა, როცა მინისტრებს უბრძანებდნენ თავიანთი ოსტატობა გამოეჩინათ. ისე თავგამოდებით ცდილობდნენ ისინი, ყველასათვის ეჯობნათ, რომ თოკიდან ჩამოვარდნა არც ერთს არ ასცდებოდა ხოლმე. ზოგიერთი კი ორ-სამჯერ ვარდებოდა. როგორც მიაძბეს, ჩემს გამოჩენამდე ერთი-ორი წლით ადრე, ფლიმნაპი<sup>1</sup> სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა.

<sup>1</sup> ფლიმნაპის სახით სეიფტი უოლპოლს დასცინის.

იმ ადგილას, სადაც ის დაჯარდა, მისდა ბედად, ხელმწიფის ბალიში<sup>1</sup> დებულიყო, რამაც ხაზინადარი აუცილებელი დალუპვისაგან იხსნა.

არის მეორე სახის გასართობიც, რომელსაც უჩვენებენ მხოლოდ იმპერატორს, მის მეუღლესა და პირველ მინისტრს, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევებში. იმპერატორი მაგიდაზე დებს ექვსი ღუიმის სიგრძის აბრეშუმის წვრილ ძაფებს. ერთი ლურჯია, მეორე წითელი, მესამე კი მწვანე<sup>2</sup>. ისინი განკუთვნილია იმ პირების დასაჯილდოებლად, რომლებიც იმპერატორს უნდა თავისი განსაკუთრებული ყურადღებით გამოარჩიოს. ცერემონია ტარდება მისი უდიდებულესობის დიდ სახელმწიფო დარბაზში, სადაც კანდიდატებს ოსტატობაში განსაკუთრებულ პირობებში ცდიან, რის მსგავსსაც ძველი და ახალი მიწის არც ერთ ქვეყანაში არაფერს შევხვედრებო. იმპერატორს უჭირავს ჯოხი პორიზონტალურად და კანდიდატები რიგრიგობით ხან გადაახტებიან მას, ხან ძვრებიან მის ქვეშ, იმის მიხედვით, აწეულია იგი თუ დაწეული. ეს პროცესი სრულდება ორივე მხრიდან და განმეორებით ხანდახან ჯოხის ერთი ბოლო იმპერატორს უკავია, მეორე კი პირველ მინისტრს. ზოგჯერ მართო პირველ მინისტრს უჭირავს იგი. ვინც ყველაზე მარჯვედ შეასრულებს თავის როლს და მეტხანს გაუძლებს ამ გადახტომასა და გაძრომას, ჯილდოვდება ლურჯი აბრეშუმის ძაფით; მეორე ადგილზე გასულს წითელი ძაფი ეძლევა, მესამეს — მწვანე. დაჯილდოებულები ამ ძაფებს ორფად გაკეცავენ და წელზე ირტყამენ; სასახლეში ცოტაა ისეთი წარჩინებული პირი, ვისაც ჯილდოდ მიღებული რომელიმე ქამარი არ უკეთია. დღე ისე არ გავიდოდა, რომ იმპერატორის საჯინბოს და კავალერიის ცხენები ჩემს ახლოს არ გაეტარებინათ ისინი უკვე აღარ ფრთხებოდნენ ჩემს დანახვაზე, უშიშრად მიმოდოდნენ ჩემს ფეხებთან. ხელს მიწაზე დაუდებდი და მხედრები თავიანთ ტაიჭებს ზედ გადაახტუნებდნენ ხოლმე; იმპერატორის ერთ-ერთი ბაზიერთუხუცესი უზარმაზარი ბეაურით ჩემს ფეხსაცმლიან ფეხსაც კი გადაახტა. ეს მართლაც რომ გაუგონარი ნახტომი იყო. ერთ დღეს წილად მხვდა ბედნიერება, თვით იმპერატორი გამერთო. მის ბრწყინვალეობას ვთხოვე ორი ფუტის სი-

<sup>1</sup> აქ სვიფტი გულისხმობს ჯორჯ I-ის საყვარელს — კენდელის ჰერცოგინიას, რომლის წყალობითაც უოლპოლმა მეორედ მოიპოვა მინისტრის თანამდებობა.

<sup>2</sup> იმ დროის ორდენების ფერი. ერთ-ერთი ასეთი ორდენით დაჯილდოებული იყო უოლპოლი.

გრძისა და ჩვეულებრივი ხელკეტის სიმსხო ჯოხები მოეტანინებინა. იმპერატორმა დაუყოვნებლივ უბრძანა თავის უფროს მეტყვეს, სათანადო განკარგულებები გაეცა. მეორე დილით ექვსი მეტყვე მოვიდა ამდენივე საბარგულით. თითოეულ საბარგულს რვა ცხენი ება. ცხრა ჯოხი ავიღე და მიწაზე ისე ჩავსვე, რომ ორ-ნახევარი კვადრატული ფუტის ოთხკუთხედი შემოიფარგლა. კიდევ ოთხი ჯოხი ავიღე და დაახლოებით ორი ფუტის სიმაღლეზე კუთხეებს ერთმანეთის პარალელურად მივაკარი. მერე ჩემი ცხვირსახოცი ბოძებით აღმართულ ცხრა ჯოხს მივაბი და ყველა მხარეზე დოლის ზედაპირით მაგრად გადავჭიმე. ღირებად მიმაგრებული ოთხი ჯოხი ხუთი დუიმის სიმაღლეზე იყო ამოწეული ცხვირსახოცის კიდებზე და ერთგვარ მოაჯირს ქმნიდა. ამას რომ მოვრჩი, იმპერატორს ვთხოვე თავისი კავალერიის ოცდახუთი საუკეთესო მხედარი გაეყვანა ამ მოედანზე სავარჯიშოდ. მისმა ბრწყინვალეებამ მიიღო ჩემი წინადადება. შეიარაღებული მხედრები ცხენიანად თითო-თითოდ დავსვიცხვირსახოცზე, ავიყვანე ოფიცრებიც, რომლებსაც შეჯიბრებისთვის ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ მხედრები დაეწყვნენ და ორად გაიყვნენ. შეჯიბრებაც დაიწყო. ბლაგვ ისრებს სტყორცნიდნენ ერთმანეთს, იბრძოდნენ ხმალდახმალ, ერთნი გარბოდნენ, მეორენი უკუიქცეოდნენ, მოკლედ, ისეთი სამხედრო დისციპლინა გამოაჟღინეს, რომლის მსგავსიც არასოდეს მენახა.

განდაგან ღირედ დამაგრებული ჯოხები მოედნიდან გადმოვარდნისგან იცავდა მათ. იმპერატორი ისეთი ნასიამოვნები დარჩა, რომ ბრძანა, კიდევ რამდენიმე დღე ზედიზედ მომეწყო ამგვარი შეჯიბრება. ერთხელ ისიც კი მოისურვა, რომ მისი ბრწყინვალეებაც დამესვა ცხვირსახოცზე, რათა მხედართა რაზმისათვის თვითონვე ეხელმძღვანელა, და, ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით გავაბედვინეთ დედოფალს, რომ დახურული სკამით დამეჭირა მოედნიდან ორი იარდის მოშორებით, საიდანაც სანახაობისთვის თვალყურის დევნება ადვილად შეეძლო. ჩემდა ბედად, მთელმა ამ შეჯიბრებებმა ისე ჩაიარა, რომ ერთი უბედური შემთხვევაც არ მომხდარა. მხოლოდ ერთხელ, ერთ-ერთი მეთაურის გიჟმაჟმა ცხენმა ისე მაგრად დაჰკრა ფლოქვი ცხვირსახოცს, რომ გახვრიტა კიდეც, ფეხი ჩაუცურდა და მხედრიანად ყირამალა გადატრიალდა. მაგრამ მაშინვე გადავარჩინე ისინი, ნახვრეტსაც ცალი ხელი ავაფარე, მეორით კი ლაშქარი ისევე ფრთხილად ჩამო-

ვსვი ძირს, როგორც ავიყვანე. წაქცეულ ცხენს წინა მარცხენა ფეხი ჰქონდა ამოჯარღნილი, მაგრამ მხედარი უვნებლად გადარჩენილიყო. ცხვირსახოცი რაც შემედლო შევაკეთე, მაგრამ მის სიმტკიცეს ასეთი სახიფათო შეჯიბრების ჩასატარებლად აღარ ვენდობოდი.

გათავისუფლებამდე ორი-სამი დღით ადრე, იმპერატორსა და მის კარისკაცებს ათასგვარი რამერუმეებით რომ ვართობდი, ვიღაცა მაცნემ მოაგელვა ცხენი და მის ბრწყინვალეობას აუწყა, რომ რამდენიმე ქვეშევრდომი, — როცა იმ ადგილს ჩაუარეს ჭენებით, სადაც თავდაპირველად მე ამიყვანეს, — მიწაზე რაღაცა უცნაური მოყვანილობის უშველებელ საგანს წააწყდა; რომ ის საგანი მისი ბრწყინვალეობის საწოლი ოთახის ხელა მაინც იქნებოდა; მისი გამოწეული ნაწილი კაცის სიმაღლის იყო, კიდები დაბალი და მრგვალად შემოვლებული ჰქონდა; პირველად შეეშინდათ, ცოცხალი არსება არ იყოსო, მაგრამ ამგვარი შიშის უსაფუძვლობაში მალევე დარწმუნდნენ, რადგანაც გარშემო რამდენიმეჯერ რომ შემოუარეს, დაინახეს, საგანი სრულიად უძრავად ედო ბალახზე; ისინი ერთიმეორეს მხრებზე შეადგნენ და ზედ ასვლა მოახერხეს; საგანს სწორი ზედაპირი აღმოაჩნდა, ფეხები აბაკუნეს ზედ და მიხვდნენ, რომ შიგნიდან ამოღრუტნული უნდა ყოფილიყო; იფიქრეს, ეს ნივთი მთაკაცს უნდა ეკუთვნოდესო და თუ მისი ბრწყინვალეობა მოისურვებდა, მზად იყვნენ ხუთი ცხენითაც კი მოეტანათ იგი. მაშინვე მივხვდი, რას გულისხმობდნენ ისინი და ამ ამბის გაგებამ ძალზე გამახარა. როგორც ჩანს, გემის დაღუპვის შემდეგ ნაპირს რომ მივალწიე, მეტად დაბნეული ვიყავი და, ვიდრე დასაძინებლად ადგილამდე მივალწევდი, ქუდი, რომელიც ნიჩბის მოსმისას თავზე წვრილი ბაწრით მქონდა მიმაგრებული და რომელიც ცურვის დროს ზედ მეწებებოდა, ნაპირზე გასულს სადღაც დამიფარდა. ასე მეგონა, ბაწარი ზღვაში შემეჩხნა და ქუდიც იქ დაკარგე. მის უდიდებულესობას ვთხოვე, განკარგულება გაეცა, რაც შეიძლებოდა, ჩქარა მოეტანათ ეს ნივთი ჩემთვის, თანაც, როგორც იქნა, აუუხსენი მისი დანიშნულება. მეორე დღეს საბარგულებით მომიტანეს ქუდი, მაგრამ მეტად ცუდ მდგომარეობაში. კიდიდან დუიმ-ნახევრის მოშორებით ორ ადგილას გაქვრიტათ და კაუები მოედოთ, რომელთათვისაც გრძელი ბაწრები მოებათ და ასე ინგლისური ნახევარი მილის მანძილზე წამოეთრიათ. მაგრამ რაკი მიწა სწორი და გლუვი იყო, ქუდსაც დიდი ზიანი არ მოსვლოდა.

ამის შემდეგ ორმა დღემ განვლო და იმპერატორმა დედაქალაქსა და მის გარეუბნებში მდგარ ლაშქარს მზადყოფნა უბრძანა. რა ვიცოდით, თურმე ძალზე უცნაური გართობა მოუხდა. მოისურვა, რომ მე კოლოსოვით დავმდგარიყავი, ფართოდ ფეხებგაშლილი, მერე უბრძანა მთავარსარდალს (გამოცდილ მეთაურს, რომელიც მე დიდად მმფარველობდა) ჩემს ფეხებშია მწყობრად გაეტარებინა ლაშქარი. ქვეითები ოცდაოთხ-ოცდაოთხი უნდა მდგარიყო მწკრივში, ცხენოსნები თექვსმეტ-თექვსმეტი. მათ დოლის ცემით, გაშლილი დროშებითა და ზეადმართული შუბებით საზეიმო ნაბიჯებით უნდა გაეგლოთ ლაშქარი სამი ათას ქვეითსა და ათას მხედარს შეადგენდა. იმპერატორმა ბრძანა, რომ სიკვდილით დაისჯებოდა ყოველი ჯარისკაცი, რომელიც რაიმე უღისციპლინობას გამოიჩენდა სამწყობრო სვლის დროს. აღლუმმა ბრწყინვალედ ჩაიარა და მის უდიდებულესობას დიდი სიამოვნება მიანიჭა.

იმდენი თხოვნა და მოხსენებითი ბარათი მქონდა მორთმეული მისი უდიდებულესობისადმი, რათა გავეთავისუფლებინე, რომ მან, ბოლოს და ბოლოს, ეს საკითხი ჯერ მინისტრთა კაბინეტში, შემდეგ კი სახელმწიფო საბჭოში დასვა. ჩემს წინააღმდეგ არავინ გამოსულა, გარდა მინისტრის სკაიურემ ბოლგოლამისა, რომელიც ისე, რომ მისთვის არაფერი დამიშავებია, მოსისხლე მტრად მომეკიდა. მაგრამ ვერაფერი გააწყო, გადაწყდა ჩემი გათავისუფლება და ამას იმპერატორმაც დაურთო დასტური. იმ მინისტრს, გალბეტის, ფლოტის აღმირალის თანამდებობა ეჭირა, თავისი საქმის ჩინებულ მცოდნედ ითვლებოდა და იმპერატორის ნდობითაც სარგებლობდა, მაგრამ პირქუში და თავნება კაცი გახლდათ ბოლოს, როგორც იქნა, მისი დათანხმებაც მოახერხეს, მაგრამ მან დაჟინებით მოითხოვა, რომ ჩემი გათავისუფლების პირობები სწორედ მას დაეწესებინა და მეც მათი შესრულების ფიცი მის წინაშე დამედო. პირობები შედგენილი იქნა და იგი თვითონ სკაიურემ ბოლგოლამმა წარმომიდგინა ორი პირადი მდონისა და რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირის თანხლებით წამიკითხეს ისინი და მომთხოვეს მიმეცა მათი შესრულების ფიცი: უპირველესად ისე, როგორც ეს ჩემს ქვეყანაში იყო მიღებული, შემდეგ კი მათი კანონით მიღებული წესების თანახმად, — რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მარჯვენა ფეხი მარცხენა ხელში დამეჭირა და მარჯვენა ხელის შუათითი თავზე დამედო, ხოლო ცერით მარჯვენა



ყურს შეეხებოდი. შეიძლება მკითხველს აინტერესებდეს, თუ, სახელდობრ, რა პირობებით მოვიღე თავისუფლება, ამიტომაც აქვე იმ საბუთის, რაც შეიძლება ზუსტი, დაწვრილებითი თარგმანი მომყავს:

„გოლბასტო მომარემ ივლიემ გარდილო შეფინმულიალიგუ, ლილიპუტების მძლეთამძლე იმპერატორი, სიხარული და რისხვა მსოფლიოსი, რომლის სამეფო გადაჭიმულია ხუთი ათას ბლასტრაგზე (თორმეტ მილზე) და აღწევს ქვეყნიერების კიდემდე; ხელმწიფეთა ხელმწიფე, ყველაზე დიდი ადამიანთა შორის, ფეხებით დედამიწის ცენტრს, ხოლო თავით მაღლა მზეს რომ სწვდება; რომლის ერთი თავის დაკერაზე მეფენი ამა ქვეყნისანი მუხლებზე ეცემიან; საამო, როგორც გაზაფხული, გამაბრუებელი, როგორც ზაფხული, უხვი, როგორც შემოდგომა და უღმობელი, როგორც ზამთარი, — მისი უმაღლესი უდიდებულესობა სთავაზობს ამ ბოლო დროს ჩვენს ციურ სამეფოში გამოჩენილ მთაკაცს შემდეგ პირობებს, რომელთა აუცილებლად და ზუსტად შესრულების ფიცი მან უნდა დადოს:

1. მთაკაცი ვალდებულია სახელმწიფო ბეჭედდასმული ფირმანის გარეშე არ დატოვოს ჩვენი სამეფო.

2. მთაკაცი ვალდებულია ჩვენი საგანგებო განკარგულების გარეშე არ შემოვიდეს დედაქალაქში; მის შემოსვლამდე ორი საათით ადრე გაფრთხილებულნი უნდა იქნან ქალაქის მცხოვრებლები, რათა სახლებში შეასწრონ.

3. ხსენებული მთაკაცი ვალდებულია იაროს მხოლოდ და მხოლოდ ფართო შარაგზებზე და არამც და არამც არ იაროს ან არ დაწვეს საძოვრებზე და ყანებში.

4. შარაგზებზე სიარულის დროს ვალდებულია ფრთხილად იაროს, რომ არ გათულოს ჩვენი ხელმწიფის რომელიმე ძვირფასი ქვეშევრდომი, ანდა მათი ცხენები და ეტლები — და არ აიყვანოს ხელში არც ერთი ქვეშევრდომი, ამ უკანასკნელის ნებართვის გარეშე.

5. თუ ვინიცობაა განსაკუთრებული საჭიროება მოითხოვს, მთაკაცი ვალდებულია ჯიბით გადაიყვანოს შიკრიკი და მისი ცხენი, ექვსი დღის საგალზე, ოღონდ თვეში ერთხელ და, თუ საჭირო იქნება, იგივე შიკრიკი უვნებლად დაუბრუნოს მის იმპერატორობით უდიდებულესობას.

6. მთაკაცი ვალდებულია ჩვენი მოკავშირე იყოს კუნძულ ბლეფესკუს წინააღმდეგ ომში, და მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმაროს ჩვენი

მტრის ფლოტის განადგურებას, რომელიც ამჟამად ჩვენზე თავდა-  
სასხმელად ემზადება.

7. მთაკაცი ვალდებულებას კისრულობს, მოცლილობის ჟამს უშ-  
ველოს და დაეხმაროს ჩვენს მუშებს, განსაკუთრებით მძიმე ქვების  
აწვეაში მთავარი პარკის კედლისა და ქალაქის სხვა ნაგებობათა აშე-  
ნებისას.

8. ხსენებული მთაკაცი ვალდებულია ორი თვის ვადაში ირგვლივ  
შემოუაროს ჩვენს სამეფოს და თავისი ნაბიჯებით ზუსტად გაზომოს  
მისი საზღვრები.

დაბოლოს, მთაკაცმა საზეიმო ფიცი უნდა დადოს და ზუსტად  
შეასრულოს ჩამოთვლილი მოთხოვნები, რისთვისაც ყოველდღიუ-  
რად მიიღებს ჩვენი 1.728 ქვეშევრდომისთვის სამყოფ ხორცსა და  
საჭმელ-სასმელს, აგრეთვე ნება ექნება თავისუფლად მიმართოს მის  
იმპერატორობით ბრწყინვალეობას და სხვა პატოვითაც ისარგებლოს.  
ეს ბრძანება გაცემულია ბელფაბორაკის სასახლეში ჩვენი მეფობის  
ოთხმოცდამეთერთმეტე მთავრის მეთორმეტე დღეს“.

მე დავიფიცე და დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით მოვაწერე  
ხელი ყველა მუხლს, თუმცა ზოგიერთი მათგანი არცთუ ისე სასია-  
მოვნო და საპატიო იყო ჩემთვის. ისინი ნაკარნახევი გახლდით მხო-  
ლოდ და მხოლოდ ფლოტის მთავარი აღმირალის სკაირემ ბოლგო-  
ლამის ჩემდამი მტრული დამოკიდებულებით. ფიცის მიღებისთანავე  
ჯაჭვი შემხსნეს და გამათავისუფლეს. იმპერატორმა პატოვი დამლო  
და მთელ ამ ცერემონიას პირადად დაესწრო. მაღლობის ნიშნად მისი  
ბრწყინვალეობის ფეხებთან განვერთხე, მაგრამ იმპერატორმა მიბრ-  
ძანა ავმდგარიყავი, მერე მაღალფარდოვანი სიტყვებით მომმართა,  
რომლებსაც, მკითხველი რომ არ შეჰაწუხო, აღარ გავიმეორებ, და  
დასძინა: იმედი მრჩება, რომ ჩემი ერთგული და სასარგებლო მსახუ-  
რი იქნებით და აღმოჩნდებით ღირსი იმ წყალობებისა, რაც დღემდე  
მიიღეთ და რის მიღებაც შეიძლება მომავალში დაიმსახუროთო.

მკითხველი შეიძლება დააინტერესოს იმ ფაქტმა, რომ ჩემი გა-  
თავისუფლების პირობების უკანასკნელ მუხლში იმპერატორი  
პირობას დებს ყოველდღიურად 1.728 ლილიპუტისათვის საკმაო  
საჭმელ-სასმლით მომამარაგოს. რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთ-ერთ  
კარისკაცს, რომელთანაც მეგობრულ ურთიერთობაში ვიმყოფებო-  
დი, ვკითხე, როგორ დაადგინეს ასეთი ზუსტი რიცხვი-მეთქი. მან

მიპასუხა, რომ მისი ბრწყინვალეების მათემატიკოსებმა კვადრანტის<sup>1</sup> შემწეობით განსაზღვრეს ჩემი სიმაღლე და, როცა დარწმუნდნენ, რომ ჩვეულებრივ ლილიპუტზე თორმეტჯერ მაღალი ვარ, დაასკვნეს, რომ ჩემი ორგანიზმის მოცულობა ლილიპუტისაზე 1.728-ჯერ უფრო მეტია და, მაშასადამე, ამდენჯერვე მეტი საჭმელ-სასმელი მომინდება. აქედან მკითხველი დარწმუნდება, რამდენად საზრიანები არიან ლილიპუტები და რამდენად ჭკვიანი და მომჭირნეა მათი იმპერატორი.

## თავი მეოთხე

ლილიპუტების დედაქალაქის მილდენდოს და იმპერატორის სასახლის აღწერა. საუბარი ავტორსა და პირველ მდივანს შორის იმპერიის საქმეებზე. ავტორი იმპერატორს ომებში მონაწილეობის მიღებას ჰპირდება.

პირველი ჩემი თხოვნა გათავისუფლების შემდეგ ის იყო, რომ დედაქალაქის ნახვის ნება დაერთოთ; იმპერატორმა თანხმობა მომცა, მაგრამ მკაცრად ბრძანა: არავითარი ზიანი არ მიმეყენებინა არც მცხოვრებლებისა და არც მათი სახლებისათვის. ხალხს საგანგებო უწყებებით აცნობეს, რომ მე განზრახული მქონდა მივსულიყავი ქალაქის დასათვალიერებლად. დედაქალაქს ორ-ნახევარი ფუტი სიმაღლისა და თურთმეტი დუიმი სისქის გალავანი ერტყა. ასე რომ, მასზე შეიძლებოდა ეტლი გაეტარებინათ და ისე შემოევლოთ ქალაქისათვის. ყოველი ათი ფუტის მანძილზე ძლიერი კოშკი იყო აღმართული. დასავლეთის დიდ ჭიშკარზე გადავაბიჯე და ფრთხილად და განდაგან ორ მთავარ ქუჩაზე ხიფთანის ამარა გავიარე; კამზოლი არ ჩავიცვი, რადგანაც მეშინოდა მისი კალთებით სახლების სახურავები და ორნამენტები არ დამეზიანებინა. ძალზე ფრთხილად და ნელი ნაბიჯით მივდიოდი, რათა ფეხი არ დამეებიჯებინა იმ მცხოვრებლებისთვის, რომლებიც შესაძლოა კიდევ დარჩნენ ქუჩაში, თუმცა მკაცრი ბრძანება იყო გაცემული, ასეთი წინდაუხედაობა არავის გამოეჩინა.

<sup>1</sup> კვადრანტი — ძველებური ასტრონომიული ხელსაწყო, რომლითაც ციური სხეულების სიმაღლეს ზომავდნენ.

ზემო სართულის ფანჯრები და სახლების სახურავები ისე იყო გადაჭედული მაყურებლებით, რომ მგონი, მთელი ჩემი მოგზაურობის დროს ასეთი ხალხმრავალი ადგილი არსად მინახავს. ქალაქი ზუსტი კვადრატის ფორმისა იყო, ყოველ მის კედელს ხუთასი ფუტის სიგრძე ჰქონდა. ერთმანეთის გადამკვეთი ორი მთავარი ქუჩის სიფართო, რომლებიც ქალაქს ოთხ თანასწორ ნაწილად ყოფდა, ხუთ-ხუთ ფუტს უდრიდა. გვერდითა ქუჩები და შესახვევები, რომლებზე გასვლაც ვერ მოვახერხე, მაგრამ ზემოდან დაეყურებდი, თორმეტედან თვრამეტ დუიმამდე სიგანის იქნებოდა. ქალაქი ხუთასი ათასამდე მცხოვრებს იტყვდა და სამი, ოთხი და ხუთსართულიანი სახლები იდგა, ძალაზიები და ბაზრები საესე იყო საქონლით.

იმპერატორის სასახლე ქალაქის ცენტრში, სწორედ ხსენებული ორი მთავარი ქუჩის გადაკვეთის ადგილზე იყო წამოჭიმული. სასახლეს ოცი ფუტის მოშორებით ორი ფუტის სიმაღლის კედელი ერტყა, მისმა უდიდებულესობამ ნება დამართო კედელზე გადამებიჯებინა და, ვინაიდან სასახლესა და გალაგანს შორის საკმაო მანძილი აღმოჩნდა, იგი ყოველი მხრიდან ჩინებულად დაუთვალიერე. სასახლის მთავარი შენობა ორმოცი ფუტის ფართობზე გადაჭიმულიყო, მის შიდა ეზოში კიდევ ორი შენობა იდგა, ყველაზე შიდა შენობაში თავად იმპერატორი ცხოვრობდა. მართალი გითხრათ, მისი დაუთვალიერება მთელი გულით მინდოდა, მაგრამ ეს ჩემთვის მეტისმეტად ძნელი აღმოჩნდა, რადგანაც ერთი ეზოდან მეორეში გამავალი ალაყაფის კარები სიმაღლეში თვრამეტი, ხოლო სიგანეში მხოლოდ შვიდი დუიმი აღმოჩნდა. ამჟებ დროს, გარე სასახლის შენობების სიმაღლე ხუთი ფუტი მაინც იყო და მათზე გადაბიჯება ვერ გავბედე: მეშინოდა ნაგებობანი არ დამეზიანებინა, თუცა მათი კედლები ოთხი დუიმი სისქისა გახლდათ და ნათალი ქვისაგან იყო ნაგები. იმპერატორმა მაინც ვერ დაიოკა სურვილი, რადაც უნდა დასჯდომოდა, თავისი დიდებული დარბაზები ეჩვენებინა ჩემთვის. ამის განსახორციელებლად სამი დღის მოსაშხადებელი მუშაობა დამჭირდა. სამეფო ტყეში, რომელიც ქალაქიდან ასიოდე იარდის მოშორებით იყო, ჯიბის დანით ყველაზე დიდი ხეები მოუჭერი და ორი ტაბურეტი გააკეთე, თითოეული სამი ფუტის სიმაღლისა და ისეთი მაგარი, რომ ჩემი სიმძიმის ატანა შეეძლო. მცხოვრებლები ისევ გააფრთხილეს და მე ხელახლა შევედი ქალაქში ორი ტაბურეტით ხელში. სასახლის

მთავარ შენობას რომ მივუახლოვდით, ერთ ტაბურეტზე შევდექი, მეორე კი კედელზე გადავაწვდინე და პირველსა და მეორე შენობას შუა, რომელთა შორის მანძილი რვა ფუტამდე იყო, ფრთხილად დაუდგი. შენობას გადავაბიჯე და მოხერხებულად შევდექი მეორე ტაბურეტზე, ხოლო პირველი კავივით მოხრილი ჯოხით გადმოვიტანე. ამგვარად მივალწიე შიდა შენობამდე, მეორე კი მხარეთქობზე წამოვწექი და სახე შუა სართულების ფანჯრებისაკენ მივაპყარი, რომლებიც ამ შემთხვევისათვის ღიად დაეტოვებინათ. შევიხედე ფანჯრებში და დავინახე უაღრესად მდიდრულად და გემოვნებით მორთული დარბაზები. სხვადასხვა ოთახში თავი მოეყარათ იმპერატორის მეუღლესა და ახალგაზრდა უფლისწულებს მხლებლებთან ერთად. იმპერატორის მეუღლემ სიამოვნებისაგან გულთბილად გამიღიმა და ფანჯრიდან საკოცნელად ხელი გამომიშვირა<sup>1</sup>.

არ ვაპირებ თავი შევაწყინო მკითხველს ამგვარი წვრილმანების აღწერით, რადგანაც მათ ვრცელი ნაშრომისთვის შემოვინახავ, რომელიც თითქმის შზად მაქვს. მასში გადმოცემული იქნება ლილიპუტების იმპერიის მთელი ისტორია, მისი დაარსებიდან, დღემდე. ვისაუბრებ მათი მონარქების შესახებ, უდიდეს ომებზე, მათ პოლიტიკაზე, კანონებზე, სწავლა-განათლებლაზე; მსურს აღვწერო მათი მცენარეულობა და ცხოველები; მათი ზნე-ჩვეულებანი; აგრეთვე სხვა მეტად საინტერესო და სასარგებლო ამბები. ამჯერად კი განზრახული მაქვს, მოვყვე იმ მოვლენებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ლილიპუტების იმპერიაში ჩემი ყოფნის ცხრა თვის მანძილზე.

ერთ დღიას, ჩემი გათავისუფლებიდან ორიოდე კვირის შემდეგ, ერთადერთი მსახურის თანხლებით ჩემთან მოვიდა რულდრესალი, საიდუმლო საქმეების მთავარი მდივანი (ასე უწოდებენ მის თანამდებობას). მან მოშორებით გააჩერებინა ეტლი და მთხოვა, ერთი საათით მიმიღეო. მე მაშინვე დაუთანხმდი, რადგანაც პატოვსა ვცემდი მის თანამდებობასაც და მის პირად ღირსებებსაც. გარდა ამისა, მას ბევრი სამსახური ჰქონდა გაწეული ჯერ კიდევ მაშინ, როცა სასახლეში ჩემი საქმე ირჩეოდა. მე შევთავაზე ძირს დავწოლილიყავი, რომ ადვილად მოსწვდომოდა ჩემს ყურებს, მაგრამ მან მოისურვა ხელზე დამესვა იგი. საუბრის დაწყებისთანავე მომილოცა

<sup>1</sup> იგულისხმება ინგლისის დედოფალი ანა, რომელიც ქვეყანას 1702-1714 წლებში მართავდა.

გათავისუფლება და განმიცხადა, რომ მასაც ერთგვარი წვლილი მიუძღოდა ამ საქმის დაგვირგვინებაში. თანაც დასძინა, სასახლეში განსაკუთრებული ვითარება რომ არ შექმნილიყო, ადვილი შესაძლებელია, ასე მალე არ გაეთავისუფლებინეთო. „რადგანაც, — განმარტა მან, — შესაძლოა უცხოელს ჩვენი ქვეყანა აყვავებული და დამშვიდებული მოეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში იგი რახანია ორი უდიდესი საფრთხის ქვეშ იმყოფება. ესენია: ერთი მხრივ, გამწვავებული კინკლაობა ქვეყნის შიგნით და, მეორე მხრივ, უძლიერესი მტრის შემოჭრის საშიშროება გარედან. რაც შეეხება პირველ საფრთხეს, უნდა მოგახსენოთ, რომ სამოცდაათი თვე გავიდა მას მერე, რაც ჩვენს იმპერიაში ერთმანეთის მოწინააღმდეგე ორი პარტია შეიქმნა ტრამეკსანისა და სლამეკსანის<sup>1</sup> სახელწოდებით. ეს სახელები მომდინარეობს ფეხსაცმელების მაღალი და დაბალი ქუსლიდან, რითაც ამ ორი პარტიის წევრები ერთმანეთისგან განირჩევიან. ზოგნი ამტკიცებენ, რომ ჩვენს უძველეს სახელმწიფო წყობას მაღალი ქუსლები უფრო შეეფერება, ვიდრე დაბალი ქუსლები, მაგრამ იმპერატორმა გადაწყვიტა, რომ სასახლისა და სახელმწიფო მოხელეებს მხოლოდ დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვათ, რაც არ შეიძლებოდა შენიშნული არ გქონდეთ. ალბათ, იმასაც შენიშნაუდით, რომ მისი იმპერატორობითი ბრწყინვალეების ფეხსაცმლის ქუსლები ერთი დრარით უფრო დაბალია (დრარი — დაახლოებით დუიმის ერთ მეთოთხმეტედ ნაწილს უდრის), ვიდრე სასახლის რომელიმე მოხელის ქუსლები. ამ ორ პარტიას შორის ურთიერთობა ისე გამწვავდა, რომ არც ჭამენ, არც სვამენ ერთად და არც ელაპარაკებიან ერთმანეთს. ჩვენი აზრით, ტრამეკსანები, ანუ მაღალი ქუსლის მომხრეები, რიცხობრივად გვჭარბობენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ქვეყნის მართვა-გამგეობა მთლიანად ჩვენს ხელშია, თუმცა საკმაო საფუძველიც გვაქვს ვიფიქროთ, რომ მისი იმპერატორობითი ბრწყინვალეობა, ტახტის მემკვიდრე, ერთგვარ მიკერძოებას იჩენს მაღალი ქუსლის მომხრეების მიმართ. ყოველ შემთხვევაში, დიდი დაკვირვება არ უნდა იმის შემჩნევას, რომ მისი ფეხსაცმლის ერთი ქუსლი მეორეზე მაღალია, რის გამოც მისი უდიდებულესობა კოჭლობს. ჰოდა, ამგვარი არეულ-დარეულო-

<sup>1</sup> იგულისხმება მაშინდელი პოლიტიკური პარტიები: ტორები და ვიგები.

ბის დროს, შემოჭრით გვემუქრებიან კუნძულ ბლეფესკუდან, რომელიც ქვეყნიერების მეორე დიდი სამეფოა. ბლეფესკუ სიდიდის და ძლიერების მიხედვით თითქმის არაფრით ჩამოუვარდება ჩვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამეფოს. მართალია, თქვენ ამბობთ, რომ დედამიწის ზურგზე არსებობს სხვა სახელმწიფოები და სამეფოები, სადაც თქვენხელა ადამიანები ცხოვრობენ, მაგრამ ჩვენს ფილოსოფოსებს ეჭვი ეპარებათ ამაში. ისინი გაცილებით იოლად დაიჯერებენ იმ ამბავს, რომ თქვენ მთვარიდან ან რომელიმე ვარსკვლავიდან ჩამოვარდით, ვიდრე იმას, რომ რომელიმე ქვეყნიდან მოხვედით; ეს მოსაზრება სწორიცაა, ვინაიდან თქვენი ზომის ას სულიერს შეუძლია სულ მცირე ხანში მუსრი გააფლოს ჩვენი სამეფოს მთელ ხილეულობასა და საქონელს; გარდა ამისა, ჩვენს ექვსიათასმთვარიან მატრიანეში ისტორიკოსებს არც ერთი სამეფო არ აქვთ ნახსენები, გარდა ლილიპუტებისა და ბლეფესკუს იმპერიისა. ამ ორ სამეფოს შორის უკვე ოცდათექვსმეტი თვეა გაცხარებული ომი წარმოებს<sup>1</sup>. აი რამ გამოიწვია იგი: ყველასთვის ცნობილია, რომ უხსოვარი დროიდან მოყოლებული კვერცხს ჭამის წინ მსხვილი ბოლოდან<sup>2</sup> ამტვრევენ. მაგრამ ერთხელ, ბავშვობაში, ჩვენი იმპერატორის ბაბუამ, როდესაც მოხარშული კვერცხი დაკანონებული წესის მიხედვით გატეხა, შემთხვევით თითი გაიჭრა. მაშინ მაშინდელმა იმპერატორმა, ე. ი. მამამისმა, ბრძანა, რომ ამიერიდან სიკვდილით დასჯიდა ყველას, ვინც კვერცხს წვრილი ბოლოდან არ დაამტვრევდა. ამ ბრძანებამ ისე აღაშფოთა მოსახლეობა, რომ, როგორც ჩვენი ისტორიკოსები იუწყებიან, ამის თაობაზე ექვსი აჯანყება მოხდა, რამაც ერთი იმპერატორის სიცოცხლე შეიწირა, მეორემ კი გვირგვინი დაკარგა<sup>3</sup>. ჩვენს სამეფოში დაწყებულ სამოქალაქო არეულობებს ბლეფესკუს მონარქები ყოველნაირად აღვივებდნენ, ხოლო აჯანყებების ჩაქრობის შემდეგ ლტოლვილები ყოველთვის მათ იმპერიაში პოულობდნენ თავშესაფარს. გამოანგარიშებულია, რომ თერთმეტი ათასი კაცი დაისაჯა სიკვდილით სხვადასხვა დროს

<sup>1</sup> ლილიპუტების ქვეყანას და ბლეფესკუს იმპერიას შორის ურთიერთობაში გამოხატულია მაშინდელ ინგლისსა და საფრანგეთს შორის დამოკიდებულება.

<sup>2</sup> მსხვილი და წვრილი ბოლოს მიმდევრების სახით კათოლიკეები და პროტესტანტები არიან წარმოდგენილნი.

<sup>3</sup> იგულისხმება ჩარლზ I და ჯეიმზ I.

იმისთვის, რომ წვრილი ბოლოდან კვერცხის გატეხაზე დაჟინებით ამბობდნენ უარს. ამ საკითხზე რამდენიმე ასეული მოზრდილი ტომი დაიწერა, მაგრამ მსხვილი ბოლოს მომხრეების თხზულებები დიდი ხანია აკრძალულია და ამ პარტიის წარმომადგენლებსაც აკრძალული აქვს რაიმე სახელმწიფო თანამდებობის დაკავება. ამ გაწამაწიაში ბლეფესკუს იმპერატორებს არაერთხელ გაუფრთხილებიერათ თავიანთი ელჩების მეშვეობით და ეკლესიის გახლეჩაში დაუდვიათ ჩვენთვის ბრალი, როდესაც დაგარღვიეთ უდიდესი წინასწარმეტყველის ლასტროგის უმთავრესი დოგმატი, გადმოცემული მათი ალყორანის — ბლანდეკრალის ორმოცდამეთოთხმეტე თავში. მაგრამ ეს მოსაზრება საკმაოდ თვითნებურია, რადგანაც დედანში წერია: „ჭეშმარიტი მორწმუნენი კვერცხებს იმ ბოლოდან ამტკრევენ, რომელიც უფრო მოსახერხებელია“. ხოლო, ჩემი მოკრძალებული აზრით, იმის გადაწყვეტა, რომელი ბოლოა უფრო მოხერხებული, ყოველი ადამიანის პირადი საქმეა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ეს საკითხი შეიძლება გასარჩევად გადაეცეს იმპერიის უმაღლეს სასამართლოს.

ამჟამად მსხვილი ბოლოს მომხრე ლტოლვილებმა დიდი გავლენა მოიპოვეს ბლეფესკუს იმპერატორის კარზე და ჩვენი ქვეყნის შიგნითაც თანამოაზრეების ისეთი ძლიერი მხარდაჭერით სარგებლობენ, რომ უკვე ოცდათექვსმეტი თვეა, რაც სისხლისმღვრელი ომი წარმოებს ორ იმპერიას შორის. ამ ხნის მანძილზე ჩვენ ორმოცი დიდი გემი დაუკარგეთ, დაღუპული პატარა გემების რიცხვი კი გაცილებით მეტია. ოცდაათი ათასზე მეტი მეზღვაური და ჯარისკაცი მოგვიკლეს. მოწინააღმდეგის ზარალი კი, როგორც ანგარიშობენ, გაცილებით მეტია. ახლა კი მათ უშველებელი ფლოტისათვის მოუყრიათ თავი და დღე-ღღეზე თავდასხმას მოველით. ჩვენი იმპერატორობითი უდიდებულესობა დიდ იმედებს ამყარებს თქვენს სიმამაცესა და ძლიერებაზე, ამიტომაც მიბრძანა, ყველაფერი ეს დაწვრილებით მეცნობებინათქვენთვის“.

მდივანს ვთხოვე ჩემი სახელით მდაბლად დაეკრა თავი იმპერატორისათვის და მოეხსენებინა, რომ „ჩემი აზრით, მე, როგორც უცხოელს, არ შემიფერებოდა ადგილობრივი პარტიების ბრძოლაში ჩარევა, ხოლო რაც შეეხებოდა გარეშე მტერს, მზად ვიყავი მისი უდიდებულესობა და სამეფო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და მეცვა უცხოელთა შემოტევისგან“.



## თავი მესამე

ავტორი არაჩვეულებრივი ხერხით ააცილებს სამეფოს მტრის შემოსევას. მას მაღალ ტიტულს ანიჭებენ. ბლეფესკუს ელჩები ჩამოდიან და ითხოვენ ზავს.

ბლეფესკუს იმპერია მდებარეობს ლილიპუტების ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ რვაასი იარდის სიგანის სრუტით არიან დაშორებულნი. ბლეფესკუელთა სამეფო არ მენახა და მაშინაც, როცა ამბავი მოვიდა, შემოსევისათვის ემზადებიანო, მათ სანაპიროზე გამოჩინას, ცოტა არ იყოს, ვერიდებოდნენ, რადგანაც შეიძლებოდა მოწინააღმდეგის გემებიდან შევნიშნეთ, რაც ხელსაყრელი არ იყო, რაკი ჩემი არსებობის შესახებ მათ ჯერჯერობით არაფერი იცოდნენ. ომის პირობებში ამ ორ იმპერიას შორის არსებული საზღვრის დამრღვევი სიკვდილით ისჯებოდა, აგრეთვე, ჩვენი იმპერატორის ბრძანებით, ლილიპუტების ქვეყნის ნავსადგურიდან გასვლა აკრძალული ჰქონდა ყველა ხომალდს. მე მის იმპერატორობით ბრწყინვალეობას ბლეფესკუს მთელი ფლოტის ხელში ჩაგდებას გეგმა წარუდგინე. ბლეფესკუს ფლოტი, როგორც მზვერავეები გამაცნობდნენ, სრუტის ნავსადგურში იდგა და მზად იყო, როგორც კი სასურველი ქარი დაჰბერავდა, აფრები აეშვა და შეტევაზე გადმოსულიყო. მე ვესაუბრე ყველაზე გამოცდილ მებრძოლებს იმის თაობაზე, რა სიღრმის იყო სრუტე, რომელიც მათ არაერთხელ გაეცურათ. მებრძოლებმა მიპასუხეს, რომ მოქცევის დროს მისი სიღრმე სამოცდაათ გლიუმგლავს უტოლდებოდა, რაც დაახლოებით ექვს ვეროპულ ფუტს შეადგენს, ხოლო სხვა დროს, სულ დიდი, ორმოცდაათ გლიუმგლავს თუ აღწევსო. მე გავემართე ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსკენ, რომელიც ბლეფესკუს პირდაპირ მდებარეობდა. იქ ერთ გორაკს ამოვეფარე, ჭოგრიტი მოვიმარჯვე და მტრის ფლოტი შევათვალიერე: ორმოცდაათი სამხედრო გემი და მრავალრიცხოვანი ტრანსპორტი შევნიშნე, შინ დაებრუნდი და მონიჭებული უფლების ძალით ვბრძანე, რაც შეიძლებოდა ბევრი მაგარი ბაწარი და რკინის გრძელი ნაჭრები მოეზიდათ. ბაწარი ძაფის სიმსხო არც კი იქნებოდა, ხოლო რკინის ნაჭრები საქსოვი ჩხირის სიგრძე და სიმსხო თუ იყო. ბაწარი უფრო მტკიცე რომ გამეხადა, სამ-ოთხფად დავგრიხე, ასევე

ორი-სამი რკინის ნაჭერი ერთმანეთზე გადაუგრიხე და ბოლოები მო-  
ვუკაკვე, მერე ბაწარი და მოკაკული რკინა ერთმანეთზე გადავაბი; ასე-  
თი ორმოცდაათი ცალი დავაშნადე და ამგვარად შეიარაღებული ჩრ-  
დილო-აღმოსავლეთ სანაპიროსკენ გავეშურე. პალტო, ფეხსაცმელები  
და წინდები გავიხადე და ერთადერთი ტყავის ქურთუკის ამარა წყალ-  
ში შევეტოპე, მოქცევის დაწყებიდან ნახევარი საათით ადრე. პირველად  
ფეხით მოვდიოდი, შემდეგ ოცდაათ იარღამდე მანძილი ცურვით ვია-  
რე, იქ კი სიღრმემ იკლო და ისევ ფეხდაფეხ გავწიე წინ. ნახევარ საათს  
არც კი გაველო, რომ მტრის ფლოტამდე მივალწიე. მტერი ისე და-  
ფრთხა ჩემს დანახვაზე, რომ გემები მიატოვეს და ნაპირისაკენ ცურ-  
ვით გაემართნენ. მათი რიცხვი ოცდაათი ათასზე ნაკლები არ იქნე-  
ბოდა. ჩემ მიერ დაშნადებული თოკები ამოვიღე, მოკაკული ბოლოები  
სამხედრო ხომალდების კიჩოებში გავუყარე, ხოლო მეორე ბოლოები  
ერთად შევკარი. ამასობაში მტერს არ ეძინა; გონს მოსულებმა რამ-  
დენიმე ათასი ისარი მაინც მტყორცნეს. ვინ იცის, რამდენი მომახვე-  
დრეს სახესა და ხელებზე, რამაც, ცხადია, ძალიან დააბრკოლა ჩემი  
მუშაობა. მეტისმეტად შევშინდი, ვაითუ თვალები დაგვარგო-მეთქი.  
მაგრამ, რაღაც ბედად, უებარი საშუალება მომაგონდა. სხვა წვრილ-  
მან ნოვთებს შორის, რომლებიც იმპერატორის მოხელეების ჩხრეკას  
გადაურჩა, როგორც ადრევე აღვნიშნე, საიდუმლო ჯიბეში სათვალეც  
მეღო. ამოვიღე და რაც შემეძლო კარგად დავიმაგრე ცხვირზე. ასე  
შეიარაღებულმა გაბედულად განვაგრძე მუშაობა. მტერი კი მრავლად  
მიშენდა ისრებს და, არცთუ მცირე რაოდენობა სათვალეზე მხვდებო-  
და, რომელსაც ვერაფერი დააკლეს, გარდა იმისა, რომ აქა-იქა ოდნავ  
გაკაწრეს. ამასობაში თოკები ერთად შევკარი, ნასკვს ხელი მაგრად  
ჩაგავლე და მოვწიე, მაგრამ ნურას უკაცრაუად, ერთ გემსაც ვერ ვუ-  
ყავი ძვრა; ღუზებს მაგრად ეჭირა ისინი. როგორც ჩანდა, ყველაზე  
ძნელი საქმე ჯერ კიდევ გასაკეთებელი მქონდა. ამიტომაც თოკებს  
თავი დაგანებე და გაბედულად შევეუდექი ყოველი გემის ღუზის ჯიბის  
დანით დაჭრას. ამასობაში ორასამდე ისარი მომახვედრეს სახესა და  
ხელებზე. მერე ისევ ჩაგავლე ხელი ნასკვს და იოლად დავძარი მტრის  
ორმოცდაათი ყველაზე დიდი სამხედრო გემი.

ბლეფესკუელები, რომლებსაც არაერთი წარმოდგენა არა ჰქონ-  
დათ ჩემს განზრახვაზე, სახტად დარჩნენ. როცა დაინახეს, რომ მე  
ღუზებს ვჭრიდი, ეგონათ, მინდოდა მათი გემები ბედის ანაბარა შემე-

ცურებიანა ზღვაში, ანდა ერთიმეორისათვის მიმეხალა. მაგრამ, როცა დაინახეს, რომ მთელი ფლოტი მწყობრად შევაცურე და თოკით გავზიდე, სასოწარკვეთილებმა ისეთი საშინელი წოვილ-კივილი მორთეს, რომ მისი კალმით აღწერა ანდა გადმოცემა თითქმის შეუძლებელია. საშვიდობოს რომ გავედი, შევისვენე, ხელებიდან და სახიდან ისრები ამოვიძვრე და ის უებარი მალამო წავისვი, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, ლილიპუტებმა ჩამოსვლის დროს მომცეს. მერე სათვალე მოვიხსენი და მთელი ერთი საათი ვიცადე, ვიდრე ღელვანაწილობრივ შეწყდებოდა. მაშინ კი სრუტის შუაგული ფეხით გადავჭერი და მშვიდობიანად მოვაყენე ლილიპუტების სამეფოს ნავსადგურს ჩემი ტვირთი<sup>1</sup>.

იმპერატორი და მთელი მისი ამაღლა ნაპირზე იცდიდნენ და ელოდნენ, რით დამთავრდებოდა ეს არაჩვეულებრივი წამოწყება. ისინი ხედავდნენ, რომ მტრის სამხედრო ხომალდები ნახევარმთვარესავით დაწყობილი მიემართებოდნენ მათი ქვეყნის ნაპირებისაკენ, მაგრამ მე ვერ მხედავდნენ, რადგანაც, ვიდრე სრუტის შუაგულამდე მოვიდოდი, კისრამდე წყალში ვიყავი. იმპერატორს ეგონა დავიხრჩვე და ბლეფესკუელების ფლოტი მტრული განზრახვით უახლოვდებოდა მის სამეფოს. მაგრამ ეს შიში მალე გაუქარწყლდა. სრუტე უფრო და უფრო მეჩხერი ხდებოდა და ჩემ მიერ წინ წადგმული ყოველი ნაბიჯი უფრო და უფრო მაჩენდა. მალე იმდენად მოუახლოვდი, რომ ჩემი ხმაც კი ესმოდათ. მაშინ მალლა ავწიე კვანძი, რომელზეც მტრის მთელი ფლოტი იყო მიბმული და ხმამაღლა ვიყვირე: „გაუმარჯოს ლილიპუტების მძლეთამძლე იმპერატორს!“ ნაპირზე რომ გავედი, იმპერატორმა დიდი პატივით მიმიღო და იქვე მომანიჭა ნარდაკობა, რაც ლილიპუტების ქვეყანაში ყველაზე საპატიო წოდებად ითვლებოდა.

მისმა უდიდებულესობამ სურვილი გამოთქვა ხელმეორედ წავსულიყავი და ბლეფესკუს დანარჩენი ხომალდებიც მომეყვანა მის ნავსადგურებში. იმდენად გაუმაძღარი აღმოჩნდა ეს მპყრობელი, რომ, მოინდომა, რადაც უნდა დასჯდომოდა, მისი ქვეყნის უბრალო პროვინციად გადაექცია ბლეფესკუს იმპერია და იქ თავისი ნაცვალი დაეყენებინა მმართველად. სურდა ერთიანად ამოეჟლიტა მსხვილი

<sup>1</sup> გულიერის მიერ ბლეფესკუს ფლოტის მოტაცებაში გამოხატულია საფრანგეთზე ინგლისის გამარჯვება და ამ უკანასკნელის საზღვაო ძლიერების გაზრდა 1713 წ. დადებული უტრეხტის ზავის მეოხებით.

ბოლოს მომხრე ლტოლვილები და აეძულებინა ხალხი, მხოლოდ წვრილი ბოლოდან ემტვრიათ კვერცხები და, ამგვარად, ქვეყნიერების ერთადერთ მონარქად და სრულ ბატონ-პატრონად გადაქცეულიყო. მაგრამ მე ათასგვარი საბუთით შევეცადე მისთვის ამ განზრახვისაგან ხელი ამეღებინებინა. მოვიშველიე, როგორ პოლიტიკური მოსაზრებანი, ასევე სამართლიანობის თვალსაზრისი და მტკიცედ განვაცხადე: რომ „მე არამც და არამც არ გადავიქცევი ბრმა იარაღად სხვის ხელში, რათა თავისუფალი და მამაცი ხალხი მონებად ვაქციო“. როცა ეს საკითხი სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე გაარჩიეს, მინისტრთა უმრავლესობა მე მომეხრო.

ჩემი გულახდილი და გაბედული გამოსვლა იმდენად ეწინააღმდეგებოდა მისი უდიდებულესობის განზრახვას და პოლიტიკას, რომ ჩემ მიერ გამოჩენილი ეს თავხედობა სამუდამოდ დაურჩა საწყენად. ამიერიდან იმპერატორი სახელმწიფო საბჭოს სხდომას ისე არ გაუშვებდა, რომ ეს ამბავი, ასე თუ ისე, არ მოეგონებინა ყველასთვის. საბჭოს უჭკვიანესი წევრები, როგორც გადმომცეს, ჩემს მხარეზე იყვნენ, თუმცა ამას მხოლოდ დუმილით გამოხატავენ, მაგრამ დანარჩენები, რომლებიც ჩემდამი მტრულად იყვნენ განწყობილნი, თავიანთ უკმაყოფილებას ყოველთვის ხმამაღლა გამოთქვამდნენ და მეც, რაღაც ხერხებით, ყველაფერ ამას უთუოდ ვიგებდი. იმ დღიდან მოყოლებული, მისმა უდიდებულესობამ და მინისტრების ერთმა ჯგუფმა, რომლებიც სულმდაბლურად განწყვენ ჩემს წინააღმდეგ, ინტრიგების ხლართვა დაიწყეს. ამან ორ თვეში კინალამ მიმსხვერპლა, რადგანაც, რა დიდი ღვაწლი და დამსახურებაც უნდა მიგიძღოდეს მონარქების წინაშე, თუ ერთხელ მაინც გამოიჩინე ურჩობა და ამით მათი პატივმოყვარეობა შელახე, ვეღარაფერი გიხსნის.

ჩემ მიერ ჩადენილი გმირობის შემდეგ სამ კვირასაც არ გაეგლო, რომ ბლეფესკუს იმპერატორმა საპატიო ელჩები გამოგზავნა და მორჩილად ითხოვა ზავი, რაც დაუყოვნებლო იქნა დადებული ჩვენი იმპერატორისათვის მეტად ხელსაყრელ პირობებში. ამ ამბების ვრცელი აღწერით მკითხველს არ შევაწუხებ. ექვს ელჩს ხუთასიორე კაცი საგან შემდგარი ამაღლა ახლდა. ისინი სულ რჩეული პიროვნებები იყვნენ და შეეფერებოდნენ თავიანთი იმპერატორის ღირსებას და, ამავ დროს, პირადად მათთვის მინდობილ მნიშვნელოვან საქმეს. როდესაც დამთავრდა მოლაპარაკება, რომლის

დროსაც იმ ავტორიტეტის წყალობით, რაც მე სასახლეში ნამდვილად თუ მოჩვენებითად გამაჩნდა, ელჩებს დიდი დახმარება გავუწიე, ჩამთვალეს რა ახლო მეგობრად, ჯერ შეაქვს ჩემი სიამამაც და გულკეთილობა და, შემდეგ, თავიანთი იმპერატორის სახელით, ბლეფესკუს სამეფოში მიმიპატიჟეს. ამავე დროს მთხოვეს რამენაირად მეჩვენებინა მათთვის ჩემი ძალა, რომლის შესახებაც ბევრი სასწაული სმენოდათ. მე მაშინვე შევასრულე მათი სურვილი, მაგრამ მკითხველს შევიბრალებ და ამ ამბების დაწვრილებით გადმოცემას აღარ შევუდგები. ერთხანს ელჩები ჩემი გასაოცარი მძლეოსნობით გავართე, რამაც ისინი აღტაცებაში მოიყვანა. მერე ვთხოვე ჩემ მაგივრად მდაბლად დაეკრათ თავი მათი იმპერატორის წინაშე, რომლის სიკეთეს სამართლიანად აფასებდნენ და პატივს სცემდნენ ქვეყნიერების კიდით კიდემდე, და ეცნობებინათ, რომ გადაწყვეტილი მქონდა, სამშობლოში დაბრუნებამდე, მის ბრწყინვალეებას ვსტუმრობოდი. ამიტომაც, როგორც კი პატივი მხვდა ჩვენს იმპერატორს შევხვედროდი, მაშინვე ვთხოვე, ბლეფესკუს მონარქთან სტუმრობის ნებართვა ოფიციალურად მოეცა, რაც მან უხალისოდ შემისრულა. მაშინ ვერ მივხვდი, თუ რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ერთმა საკმაოდ ცნობილმა პიროვნებამ გამანდო, რომ ფლიმნაჰმა და ბოლგოლამმა ბლეფესკუს ელჩებთან ჩემი ურთიერთობის შესახებ არასასურველი ცნობები მიაწოდეს იმპერატორს. თუმცა იმ საქმეში მე ცამდე ალალმართალი ვიყავი<sup>1</sup>, რადგანაც არავითარი საფუძველი არ მიმიცია მითქმა-მოთქმისათვის. სწორედ მაშინ შემექმნა პირველად ცუდი წარმოდგენა სასახლეზე და მინისტრებზე.

უნდა შევნიშნო, რომ ეს ელჩები მე თარჯიმნის დახმარებით მესაუბრობდნენ, ვინაიდან ლილიპუტებისა და მათი ენა ისევე განსხვავდება ერთიმეორისაგან, როგორც ნებისმიერი ორი ენა ევროპაში. თითოეული მათგანი ამაყოფს თავისი ენის სიძველით, სილამაზითა და სიმდიდრით და, ამავე დროს, ნამდვილი ზიზღით უცქერის თავისი მეზობლის ენას. და მაინც, ჩვენმა იმპერატორმა ისარგებლა იმ მდგომარეობით, რომ მოწინააღმდეგის ფლოტის ხელში ჩაგდევ-

<sup>1</sup> აქ სვითი იმ ფაქტს გულისხმობს, უოლპოლი რომ ცილისმწამებლურად სდებდა ბრალს ბოლინგბროკს, სვითის უახლოეს მეგობარს, თითქოსდა მას საიდუმლო მიმოწერა ეწარმოებინოს საფრანგეთის დელეგატებთან.

ბით ჩვენ აშკარა უპირატესობა მოვიპოვეთ და აიძულა ბლექესკუს ელჩები, ყოველგვარი რწმუნებები შეედგინათ და, აგრეთვე, მოლაპარაკებებიც ლილიპუტების ენაზე ეწარმოებინათ. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ორ იმპერიას შორის არსებული დიდი საგაჭრო ურთიერთობების, პოლიტიკური ლტოლვილებისათვის თავშესაფრის მიცემის და იმ ჩვეულების წყალობით, რომ დიდგვაროვან და მდიდარ ახალგაზრდებს მეზობელ სამეფოში გზავნიან უმაღლესი განათლების მისაღებად, ქვეყნიერების სანახავად და ერთმანეთის ზნე-ჩვეულებათა გასაცნობად, — ძალიან ცოტას თუ შევხვდებით განათლებულ დიდგვარიანს, საზღვაო ქალაქის ვაჭრებს ან მეზღვაურებს, რომლებიც ორივე ქვეყნის ენაზე არ ლაპარაკობდნენ. ამაში სულ რამდენიმე კვირის შემდეგ დავრწმუნდი, როდესაც ბლექესკუს იმპერატორთან გავემგზავრე, რათა დამედასტურებინა ჩემი მისდამი პატივისცემა. ეს შემთხვევა, თავზე დამტყდარ დიდ უბედურებათა შორის, რაც ჩემი მტრების სულმდაბლობის ნაყოფი გახლდათ, მეტად ბედნიერი აღმოჩნდა ჩემთვის, მაგრამ ამაზე თავის დროზე მოგითხრობთ.

მკითხველს ალბათ ახსოვს, რა პირობით მივიღე თავისუფლება. მე იმიტომ არ მომწონდა იგი, რომ მეტისმეტად მონურ მდგომარეობაში მაყენებდა. თავს ზევით გზა არ იყო, თორემ მას არავითარ შემთხვევაში არ მივიღებდი. მაგრამ ახლა, რაკი ნარდაკობა მქონდა მიღებული, რაც მთელ იმპერიაში უდიდესი ტიტული იყო, იმ პირობების შესრულება ფრიად დამამცირებელი და ჩემი ღირსებისათვის აშკარად შეუფერებელი იქნებოდა და იმპერატორსაც (სიმართლე რატომ უნდა დავუკარგო) ერთხელაც არ შეუხსენებია იგი. მაინც, როგორღაც ისე მოხდა, რომ სულ ძალიან ერთი უადრესად მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიე მის ბრწყინვალეობას. ერთხელ, შუაღამისას, ტკბილად რომ მეძინა, ჩემს კართან მომდგარი ასეულობით კაცის ყვირილი მომესმა და შეშინებულს გამომეღვიძა. გარკვევით მესმოდა სიტყვა ბარგლიუმ, რასაც განუწყვეტლივ იმეორებდნენ. იმპერატორის რამდენიმე კარისკაცმა გამოარღვია ბრბო და ვედრებით მომმართა, დაუყოვნებლივ წავსულიყავი სასახლეში: დედოფლის პალატებს ხანძარი გასჩენოდა მისი ერთ-ერთი პირისფარემის გაუფრთხილებლობით, რომელსაც რომანის კითხვის დროს ჩასძინებოდა. უმაღლვე ჩავი-

ცვი. ბრძანება გასცეს ჩემთვის გზა ეტიათ, ღამეც მთვარიანი იყო და მეც სასახლემდე ისე მოვახერხე მისვლა, რომ არავინ გამითულავს. პალატებისთვის კიბეები მიედგათ, სათლები დაერიგებინათ, მაგრამ, საუბედუროდ, წყალი შორიდან უნდა ეზიდათ. იმათი სათლი, სულ დიდი, სათითურის ტოლი თუ იქნებოდა. საბრალო ქონდრისკაცები საოცარი სისწრაფით მაწვდიდნენ წყლის სავსე სათლებს, მაგრამ ცეცხლი ისე იყო მოდებული, რომ ჩვენს ცდას ნაყოფი არ გამოუღია. სიჩქარისაგან ხიფთანი შინ დამრჩენოდა და ტყავის ქურთუკის ამარა ვიყავი, თორემ ხიფთანი რომ სასახლისათვის გადამეფარებინა, გამძვინვარებულ ხანძარს ადვილად ჩაუქრობდი. მდგომარეობა მეტად სავალალო იყო და იმპერატორის მეუღლის პალატები რამდენიმე წუთში ნაცარტუტად იქცეოდა, რომ ბედად ერთი უებარი ხერხი არ მომეფიქრებინა. იმ საღამოს, ვიდრე დავიძინებდი, კარგა ბლომად დავლიე ერთი ჩინებული ღვინო, რომელსაც „გლიმგრის“ ეძახდნენ (ბლეფესკუელები მას „ფლუნეკს“ უწოდებენ, მაგრამ ჩვენებური გაცილებით უკეთესია) და რომელიც შარდის ბარაქიან გამოყოფას იწვევს. რაღაც ბედად, მას მერე, რაც ეს სასმელი მივირთვი, ბუნებრივი მოთხოვნილება ჯერ კიდევ არა მქონდა დაკმაყოფილებული. ამავე დროს, ხანძრის სიმხურვალემ და მის ჩასაქრობად გაწეულმა ჯაფამ ორგანიზმში მიმდინარე პროცესები გაააქტიურა და დაღეული ღვინის ხსენებულ სითხედ სწრაფი გადაქცევა გამოიწვია. ჰოდა, იგი ისე უხვად და ზუსტად დავაქციე, რომ სულ რაღაც სამ წუთში ხანძარი ჩაუქრე და გადაფარჩინე სასახლის დანარჩენი ნაწილი, რომლის აგებასაც თავის დროზე არა ერთი და ორი თაობის შრომა დასჭირდა. ამასობაში შემოგვათუნდა და მეც ისე გავეშურე შინისაკენ, რომ იმპერატორის მიერ მაღლობის გამოცხადებისთვის არც კი დამიცვლია, რადგანაც, მართალია, ფასდაუდებელი სამსახური გავუწიე, მაგრამ არ ვიცოდი, რა ხასიათზე დადგებოდა მისი ბრწყინვალება, როდესაც გაიგებდა, სახელდობრ, რა საშუალებით იქნა ჩემ მიერ ეს სამსახური აღმოჩენილი. მათი სამეფოს ძირითადი კანონიც ხომ სასტიკად უკრძალავდა სასახლის ეზოში შარდის დაქცევას ნებისმიერ პიროვნებას, ვინც უნდა ყოფილიყო იგი. თუმცა, ცოტა არ იყოს, გულზე მომეშვა, როცა მივიღე იმპერატორის ბარათი, რომელშიც მისი ბრწყინვალება იტყობინებოდა, რომ უმაღლეს

მსაჯულთა კრებულს ჩემთვის ფორმალური პატიების საბუთის მოცემას უბრძანებდა, მაგრამ მის მიღებას არ დაადგა საშველი. ამჟამად დროს, როგორც შევიტყვე, იმპერატორის მეუღლე ისე აღუშფოთებია ჩემს უგვანო საქციელს, რომ სასახლის უშორეს პალატაში გადაბარგებულა და მტკიცედ გადაუწყვეტია აღარასოდეს აღარ აღედგინა სასახლის გადამწვარი ნაწილი. ამასთან, მხლებლების თანდასწრებით დაუფიცია, რომ ჩემზე შურს იძიებდა<sup>1</sup>.

## თავი მეთხუთსე

ლილიპუტების ქვეყნის მცხოვრებლები. მათი სწავლა-განათლება, კანონები და ზნე-ჩვეულებანი. ბავშვების აღზრდის წესი. როგორ ცხოვრობდა ავტორი ლილიპუტების ქვეყანაში. ის იცავს ერთ ბანოჯანს.

რაკი განზრახული მაქვს ამ იმპერიის აღწერას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, ჯერჯერობით, ცნობისმოყვარე მკითხველისათვის ზოგადი ცნობების მიწოდებით დაგკმაყოფილდები. რამდენადაც ადგილობრივი მკვიდრის საშუალო სიმაღლე დაახლოებით ექვს დუიმს უდრის, ზომის მიხედვით მათ ზუსტად ასეთივე თანაფარდობის პირუტყვი ჰყავთ, აგრეთვე შესაფერისი სიდიდის მცენარეულობა და ხეები გააჩნიათ, მაგალითად, ყველაზე დიდი ცხენებისა და ხარების სიმაღლე ოთხ-ხუთ დუიმს შორის მერყეობს, ცხვრის სიმაღლე კი, მეტ-ნაკლებად, დუიმ-ნახევარია; ლილიპუტების ბატი ჩვენებური ბელურის ტოლია და ასე შემდეგ. აქ ისეთ ცხოველებსა და ფრინველებსაც ვხვდებით, რომლებიც ჩვენი მხედველობისთვის თითქმის შეუმჩნეველია, თუმცა, ლილიპუტები მათ შესანიშნავად ხედავენ. ასევე, უნდა აღვნიშნო, რომ იქაური მცხოვრებლები შორს ვერ ხედავენ, სამაგიეროდ, ახლო მანძილზე ძალზე გამჭრიახი მხედველობა აქვთ, რის ნათელსაყოფადაც საკმარისი იქნება მოგახსენოთ, რაოდენ გაკვირვებულნი დავრჩი, როცა დავინახე, როგორ წვავდა მზარეული ტოროლას, რომელიც ჩვეულებრივი ბუზის

<sup>1</sup> დედოფალი ანა ისე აღაშფოთა სვიფტის სატირულ ნაწარმოებებში ეკლესიის მიმართ გამოთქმულმა კრიტიკამ, რომ ყურად იღო მაღალი სასულიერო პირების თხოვნა და უარი განაცხადა სვიფტის დაწინაურებაზე.



სიდიდე არც კი იყო და აქაური თერძი როგორ უყრიდა ჩემთვის უჩინარი ნემსის ყუნწში აბრეშუმის უჩინარ ძაფს. ლილიპუტების უდიდესი ხეების სიმაღლე დაახლოებით შვიდ ფუტს შეადგენდა. მე მხედველობაში მაქვს სასახლის პარკის უმაღლესი ხეები, რომელთა წვეროებს ხელაწეული ძლივსღა ვწვდებოდი. სხვა მცენარეულობაც ამის შესაფერისი აქვთ. მაგრამ ამაზე საუბრით მეტს აღარ შეგაწუხებთ. დაე, მკითხველმა თვითონ განსაჯოს, რა სიდიდისანი არიან ისინი.

ახლა მხოლოდ ზოგადად შევეხები სწავლა-განათლებასა და მეცნიერებას, რაც ამ ხალხში უძველესი დროიდან არსებობდა და ვითარდებოდა. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ლილიპუტები ძალზე უცნაურად წერენ: არა მარცხნიდან მარჯვნივ, როგორც ევროპელები, არა მარჯვნიდან მარცხნივ, როგორც არაბები და არა ზემოდან ქვემოთ, როგორც ჩინელები, არამედ სულ სხვაგვარად, ქაღალდის ზემოკუთხიდან ქვემო მოპირდაპირე კუთხისაკენ, ისე, როგორც ეს ინგლისელ ბანოვანებს სჩვევიათ.

ლილიპუტები მიცვალებულებს თავისებურად მარხავენ: ცხედარს საფლავში თავით ძირს ჩაუშვებენ ხოლმე, რადგანაც, მათი აზრით, თერთმეტი ათასი მთვარის შემდეგ ისინი მკვდრუთით უნდა აღდგნენ. ამასობაში დედამიწა (რომელიც, მათი წარმოდგენით, ბრტყელია) პირქვე გადაბრუნდება და მიცვალებულებიც აღდგომის მომენტიანთვის ფეხზე დამდგარნი აღმოჩნდებიან. მართალია, იმ ქვეყნის სწავლულები ამ შეხედულებას სისულელედ მიიჩნევენ, მაგრამ მდაბიო ხალხში ეს ჩვეულება დღემდე ძალაშია.

ამ სამეფოში რამდენიმე მეტად უცნაური კანონი და ზნე-ჩვეულებაა. ისინი ჩემი ძვირფასი სამშობლოს კანონებსა და ზნე-ჩვეულებებს აშკარად რომ არ ეწინააღმდეგებოდნენ, შესაძლებელია, ორიოდ სიტყვა მეთქვა კიდევ მათ სასარგებლოდ. მხოლოდ ერთს ვიტყვი, სასურველი იქნებოდა, ეს კანონები რეალურ ცხოვრებაში უფრო ზუსტად აღესრულებინათ. უპირველესად მამებლარების საკითხს შევეხები. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ყოველი დანაშაული აქ დიდი სიმკაცრით ისჯება; მაგრამ, თუ პიროვნება, რომელსაც ბრალს სდებენ, სასამართლოზე საჯაროდ დაამტკიცებს თავის უდანაშაულობას, ყველასგან შერაცხენილი დამბეზღებელი დაუყოვნებლივ ისჯება სიკვდილით, აგრეთვე მისი უძრავ-მოდრა-

ვი ქონების ხარჯზე ოთხმაგი ანაზღაურება ეძლევა უდანაშაულოს: დაკარგული დროის, პატიმრობაში გადატანილი ტანჯვისა და გაჭირვების, საფრთხეში ყოფნისა და ასევე დაცვისათვის გაწეული ხარჯებისთვის. თუ ვინიცობაა, სიკვდილით დასჯილის ქონება საკმარისი არ აღმოჩნდება, დანაკლისს სახელმწიფო ფონდიდან ავსებენ. იმპერატორი გამართლებულს აგრეთვე რაიმე საჯარო წყალობას უბოძებს და მის უდანაშაულობას მთელ ქალაქში აცხადებინებს.

ლილიპუტები თაღლითობას ქურდობაზე უფრო მომაკვდინებელ ცოდვად თვლიან. ამიტომაც იშვიათად ხდება, რომ ასეთი დამნაშავე სიკვდილით არ დასაჯონ. მათი აზრით, თუ ადამიანი საკმარის სიფხიზლესა და სიფრთხილეს გამოიჩინებს და, ამავე დროს, გონებაჩლუნგი არ იქნება, თავისი ქონების ქურდებისაგან დაცვას ადვილად შეძლებს. მაგრამ პატიოსან ადამიანს გაქნილი თაღლითისაგან ვერაფერი იხსნის. და რადგანაც აუცილებელია აღებმიცემობისა და ყიდვა-გაყიდვის განუწყვეტელი წარმოება, რაც ურთიერთნდობაზეც არის დამყარებული, და თუ თაღლითობა და სიცრუე ფრთებს გაშლის და დაუსჯელი დარჩება, მაშინ მთელ მოგებას თაღლითები ჩაიჯიბავენ და პატიოსან ვაჭრებს პირში ჩალაგამოვლებულს დატოვებენ. მახსოვს, ერთხელ იმპერატორს ვთხოვე, შეეწყალებინა ერთი დამნაშავე, რომელსაც ბრალად ედებოდა ბატონის მიერ მიცემული მინდობილობით დიდი თანხის მიღების შემდეგ მიმალვის მცდელობა. ბრალდებულისთვის დანაშაულის შესამსუბუქებლად იმპერატორს მოვახსენე, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვექონდა მხოლოდ ნდობის არაკეთილსინდისიერ გამოყენებასთან. მისი უდიდებულესობა ამან საშინლად აღაშფოთა, რადგანაც, როგორც განაცხადა, შემაძსუბუქებელ არგუმენტად მე სწორედ დანაშაულის იმ მხარეს ვასახელებდი, რომელიც კი არ ამსუბუქებდა, არამედ კიდევ უფრო ამძიმებდა მას და მომაკვდინებელს ხდიდა. მართალი გითხრათ, შემრცხვა, ენა დამება და თავის გასამართლებლად სხვა ვერაფრის თქმა მოვახერხე, გარდა იმისა, რომ ყოველ ხალხს თავისებური კანონები და ზნე-ჩვეულებები აქვს-მეთქი.

თუმცა ჩვენ სასჯელსა და ჯილდოს ჩვეულებრივ სახელმწიფო მანქანის მთავარ მამოძრავებელ მექანიზმად მივიჩნევთ, მაგრამ არც

ერთი და არც მეორე მათგანი ჩვენში ისე ზუსტად არ გამოიყენება, როგორც ლილიპუტების ქვეყანაში. ყოველი მოქალაქე, რომელიც იქ შეიძლება იმის დასაბუთებას, რომ ის სამოცდაცამეტი თვის მანძილზე ზუსტად და უმწიკვლოდ იცავდა და ასრულებდა თავისი ქვეყნის კანონებსა და ადათ-წესებს, აუცილებლად იღებს განსაზღვრულ პროვილენიას, თანახმად მის მიერ საზოგადოებაში დაკავებული მდგომარეობისა, აგრეთვე შესაფერისი რაოდენობის ფულად თანხას, სახელმწიფოს მიერ სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ფონდიდან. ის აგრეთვე იღებს სნილპოლის ანუ კანონის უმწიკვლო დამცველის ტიტულს, რაც დაერთვის მის გვარს, მაგრამ არამც და არამც არ გადაეცემა შთამომავლობით. მათ ჩვენი პოლიტიკის მიუტყვეველ ხარვეზად ჩათვალეს ის გარემოება, რომ, როგორც მე ვუამბე, ჩვენი კანონები მხოლოდ და მხოლოდ დასჯას ემყარება, ხოლო ჯილდო მასში არც კი იხსენიება. ამიტომაცაა, რომ სამართლის ხატებად ლილიპუტების სასამართლო დარბაზებში დგას ქალის ფიგურა, რომელსაც ექვსი თვალი აქვს: ორი წინ, ამდენივე უკან და თითო-თითოც გვერდებზე, რაც მის მუდმივ სიფხიზლეს გამოხატავს. მას ცალ ხელში გახსნილი ოქროს ქისა უჭირავს, მეორეში კი ქარქაშში ჩაგებული ხმალი: აქაოდა, უფრო იმისათვის ვარ მოწოდებული — დაჯაჯილდო, ვიდრე დაესაჯო.

რა თანამდებობაზეც უნდა ირჩევდნენ ადამიანს, ლილიპუტები უფრო მეტ მნიშვნელობას მის მორალურ თვისებებს ანიჭებენ, ვიდრე ნიჭსა და ცოდნას. ლილიპუტები ფიქრობენ, რომ რაკი კაცობრიობისათვის მთავრობა აუცილებელია, საშუალო გონებრივი შესაძლებლობების ადამიანი ყოველთვის შეიძლება ამა თუ იმ ადგილზე მუშაობას, რადგან განგებას საზოგადოებრივი საქმეების მოგვარება არასოდეს გადაუქცევია იმგვარ საიდუმლოებად, რისი ამოხსნაც მხოლოდ ისეთ სრულყოფილ გენიას შეუძლია, საუკუნეში სამზე მეტი რომ არ იბადება. მათი აზრით, კუთილსინდისიერებით, სამართლიანობით, ზომიერებითა და სხვა მსგავსი ღირსებებით ყოველი ადამიანი შეიძლება იყოს დაჯილდოებული და თუ ამას გამოცდილებასა და კუთილ ზრახვებს დაურთავთ, მაშინ ისეთ ადამიანს ვერსად იპოვით, რომ თავისი ქვეყნის სამსახურში სასარგებლო და გამოსადეგი არ იყოს. აქ გამონაკლისად მხოლოდ ის თანამდებობები შეიძლება ჩაითვალოს, რომლებსაც სპეციალური მომზადება ესაჭიროება. მათი

აზრით, ადამიანის მორალურ ხარვეზებს ვერასოდეს შეაესებს მისი ნიჭიერება და ცოდნა. ამიტომაც იმაზე საშიში არაფერია, როდესაც რაიმე თანამდებობას ნიჭიერი და მცოდნე, მაგრამ ამორალური პიროვნება ჩაიგდებს ხელში. ყოველ შემთხვევაში, უცოდინარობით დაშვებულ შეცდომას, თუ იგი კეთილი განზრახვითაა ჩადენილი, ისეთი საბედისწერო შედეგი არასოდეს მოჰყვება საზოგადოებისათვის, როგორც მოქმედებას ისეთი პიროვნებისა, რომელიც უგვანობას ბოროტი განზრახვით იღენს და რომელსაც გააჩნია საკმაო ცოდნა და გამოცდილება თავისი ბოროტმოქმედების ჩასადენად, გასამრავლებლად და დასაფარაუად.

ასევე, ურწმუნობაც, ადამიანს საზოგადოებრივი თანამდებობისთვის გამოუსადეგრად აქცევს და ვინაიდან მეფეები თავიანთ თავს დედამიწაზე ღვთის წარმოგზავნილებად თვლიან, ლილიპუტების აზრით, იმაზე დიდი სისულელე არაფერი იქნება, რომ მეფეებმა თავიანთ სამსახურში აიყვანონ პიროვნება, რომელიც სახელს უტყის ძალას, რომელსაც თვითონვე ემსახურებიან.

როდესაც ამა თუ იმ კანონზე ვლავარაკობ, მხედველობაში მაქვს უძველესი კანონები და ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც თანდათან დავიწყებას ეძლევა. მათ არაფერი აქვთ საერთო თანამედროვე ზნეობასთან, რაც ლილიპუტებშიც ადამიანის გადაგვარების გზაზე დადგომის მაჩვენებელია.

ასე, მაგალითად, სამარცხვინო ჩვეულება, რომლის თანახმაც, დიდ-დიდ სახელმწიფო თანამდებობებზე ინიშნებიან ყველაზე მოხერხებული ჯამბაზები და ამა თუ იმ ხარისხსაც იმათ ანიჭებენ, ვინც უფრო მარდად გადაახტება ჯოხს, ანდა გაძვრება-გამოძვრება მის ქვეშ, — პირველად ლილიპუტების ახლანდელი იმპერატორის პაპის მიერ იქნა შემოღებული და ასეთ სრულყოფას პარტიებსა და ფრაქციებს შორის ბრძოლის გამწვავების შედეგად მიაღწია.

უმაღლურება ლილიპუტებთან, ესევე როგორც ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, უმძიმეს სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება. მათი აზრით, ის, ვინც კეთილისმყოფელსაც კი ცუდად ექცევა, სხვების მიმართ, რომლებისგანაც არაფრითაა დაჯალბებული, კიდევ უფრო მტრულად იქნება განწყობილი. ამიტომაც ასეთი პიროვნება არამც და არამც სიცოცხლის ღირსი არაა.

მშობლებისა და ბავშვების ურთიერთობის შესახებაც ლილიპუტებს ფრიად განსხვავებული შეხედულებები აქვთ. მათი აზრით, მშობლები ერთად ბუნების კანონმა შეჰყარა, რათა გამრავლებულიყვნენ. მათი მხრიდან შვილების მიმართ გამოვლენილი სიყვარულიც ბუნებრივი გრძნობაა, ამიტომ ბავშვებს არავითარი ვალდებულება არ აკისრიათ მშობლების მიმართ. მერე რა, თუ მშობლებმა დასაბამი მისცეს მათ სიცოცხლეს, რომელიც, თუ გავითვალისწინებთ ცხოვრებაში გადასატან ათასგვარ ტანჯვა-წვალებას, არცთუ ისე დიდი სიკეთეა. ამ და ამის მსგავს მოსაზრებებზე დაყრდნობით ლილიპუტები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ მშობლებს ნაკლებად შეიძლება ანდო საკუთარი ბავშვების აღზრდის საქმე. ამიტომაც მათ ყველა ქალაქში მოწყობილია საგანგებო საადმინისტრაციული დაწესებულებანი და ყოველი მშობელი, მუშებისა და გლეხების გარდა, ვალდებულია იქ მიაბაროს თავისი ბავშვები. ბიჭები და გოგონები აქ იზრდებიან და სწავლა-განათლებას იღებენ ოცი მთვარის ასაკამდე, რაც ლილიპუტებში სიმწიფის ასაკადაა მიჩნეული. სკოლები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მსმენელების საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სქესის შესაბამისად. პედაგოგებად მუშაობენ მეტად განათლებული და გამოცდილი პირები, რომლებიც ბავშვებს იმ სახის აღზრდა-განათლებას აძლევენ, მათი მშობლების საზოგადოებრივ მდგომარეობას და თავად ბავშვების უნარსა და მიდრეკილებებს რომ შეეფერება. ჯერ ვაჟთა აღზრდა-განათლებაზე მოგიტხრობთ.

კეთილშობილ და წარჩინებულ პირთა ვაჟების აღზრდას ხელმძღვანელობენ ფრიად მომზადებული, გამოცდილი პედაგოგები და მათი მრავალრიცხოვანი თანაშემწეები. ბავშვების საკვები და ტანსაცმელი უბრალო და სადაა. მათ ზრდიან პატიოსნების, სამართლიანობისა და სამშობლოს სიყვარულის პრინციპებით; შთააგონებენ თავმდაბლობას, გულმოწყალებას, ასევე უღვივებენ რელიგიურ გრძნობებს. ბავშვები მუდამ დაკავებულნი არიან რაიმე საქმით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჭამისა და ძილის საათებს, რასაც მეტად უმნიშვნელო დრო ეთმობა, — და აგრეთვე ფიზიკური ვარჯიშისათვის განკუთვნილ ორ საათს. ოთხი წლის ასაკამდე მოსამსახურეები აცმევენ ტანზე, შემდეგ კი აიძულებენ, თვითონვე გაიხადონ და ჩაიცვან. გადია ქალები, რომლებიც

ჩვენი ორმოცდაათი წლის ქალების ასაკისანი იქნებიან, ვაღდე-  
ბულნი არიან მდუმარედ ემსახურონ მოსწავლეებს. აღსაზრდე-  
ლებს მსახურებთან დალაპარაკების უფლება არ აქვთ. თამაშისა  
და გართობის დროს ბავშვებს დიდ ან პატარა ჯგუფებად ყოფენ  
და ყოველთვის პედაგოგის ან რომელიმე თანაშემწის ზედამხედვე-  
ლობის ქვეშ ჰყავთ. ამგვარად, მათ წინასწარ არიღებენ ათასგვარ  
სისულელესა და ცუდ მაგალითს, რომელთა ზეგავლენის ქვეშ ჩვე-  
ნი შვილები თავიდანვე ექცევიან. მშობლებს თავიანთი ბავშვების  
ნახვის ნება აქვთ მხოლოდ წელიწადში ორჯერ, თითო საათით.  
შვილებს მხოლოდ ნახვისა და განშორებისას უნდა აკოცონ; მათ  
შეხვედრას რომელიმე პედაგოგი ყოველთვის ესწრება და ნებას არ  
აძლევს მშობლებს, რომ თავიანთ შვილებს რაიმე უჩურონ, უჩურონ,  
დაუყვავონ, ანდა ტკბილეული, სათამაშო ან რაიმე  
სხვა საჩუქარი გადასცენ.

თუ ბავშვების შესანახავად და აღსაზრდელად დაწესებულ ხარჯებს  
მშობლები ნებით არ შეიტანენ, მათი იძულების წესით ამოღება იმპე-  
რატორის მოხელეებს ეკისრებათ.

აზნაურების, ვაჭრების, მეღუქნეებისა და ხელოსნების ვაჟთა  
სკოლებიც ასევეა მოწყობილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხე-  
ლოსნებად აღსაზრდელ ბავშვებს თერთმეტი წლის ასაკიდან უკვე  
ხელობას ასწავლიან, დანარჩენები კი თხუთმეტ წლამდე განაგრ-  
ძობენ ზოგადი განათლების მიღებას, რაც ჩვენს ოცდაერთი წლის  
ასაკს შეეფარდება, სასკოლო რეჟიმი ბოლო სამ წელს საგრძნო-  
ბლად რბილდება.

კეთილშობილთა და წარჩინებულთა ქალთა სკოლებში გოგო-  
ნებს ისევე ზრდიან, როგორც ვაჟებს, მხოლოდ იმ განსხვავებით,  
რომ მათ, პედაგოგების განუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ,  
კეთილშობილი მსახური ქალები აცმევენ და უვლიან, ვიდრე  
გოგონები ხუთი წლისანი გახდებიან და დამოუკიდებლად ჩაც-  
მა-დახურვას შეძლებენ. თუ გადია შემჩნეული იქნება იმაში, რომ  
გოგონებს შიშის მომგვრელ ანდა სულელურ ამბავს უყვება, ან მათ  
გასაგონად უწმაწურ სიტყვებს ხმარობს, როგორც ჩვენი მსახუ-  
რი ქალები, მას სამჯერ საჯაროდ გაროზგავენ და ერთი წლით  
დააპატიმრებენ, შემდეგ კი სამუდამოდ გადაასახლებენ ქვეყნის  
რომელიმე მიყრუებულ კუთხეში. ამგვარად, გოგონები ისევე ერი-

დებიან სიმფრთხალესა და სიბრიყვეს, როგორც მამაკაცები, და სძულთ ყოველგვარი ზიზილ-პიპილები, სისუფთავისა და სიკოხტავის გარდა. ვაჟთა და ქალთა აღზრდა-განათლებაში დიდი ვერაფერი განსხვავება შევამჩნიე, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ქალების ფიზიკური ვარჯიში უფრო იოლ ფორმებში წარმოებს; აგრეთვე მეცნიერების ზოგად კურსს ცოტა უფრო შემოკლებულად გადიან, თუმცა, სამაგიეროდ, საოჯახო საქმეებს სწავლობენ, რადგანაც ლილიპუტები თვლიან, რომ წარჩინებული მამაკაცის ცოლიც ქმრის გონიერი და სასიამოვნო თანამეცხედრე უნდა იყოს, ვინაიდან იგი ყოველთვის ახალგაზრდა და ლამაზი ვერ იქნება, რომ მარტო ამით შეინარჩუნოს მეუღლის პატივისცემა და სიყვარული. როცა ქალიშვილი თორმეტი წლის, ესე იგი, იმათებურად, გასათხოვარი გახდება, მშობელს ან მეურვეს შინ მიჰყავს, წინასწარ კი დიდ მადლობას უხდებიან აღზრდელებს და მასწავლებლებს. ამ განშორების დროს ქალიშვილი და მისი მეგობრები ხშირად ცხარე ცრემლებით ტირიან ხოლმე.

დაბალი კლასიდან გამოსულ გოგონებს სკოლებში მათი სქესისა და სოციალური მდგომარეობის შესაფერის ხელსაქმეებს ასწავლიან. მათ, ვინც რაიმე ქალური ხელობის შესასწავლად ემზადება, მხოლოდ შვიდი წლის ასაკამდე აჩერებენ, ხოლო დანარჩენებს თერთმეტ წლამდე ტოვებენ.

დაბალი კლასის წარმომადგენელთა ოჯახები, რომლებსაც ბავშვები სკოლებში ჰყავთ მიბარებული, წლიური სწავლის ქირის გარდა, რაც, მეტად უმნიშვნელო თანხას შეადგენს, ვალდებული არიან სკოლის მნეს ჩააბარონ ყოველთვიური შემოსავლის განსაზღვრული ნაწილი, რომელიც ბავშვის წილად ითვლება. ამიტომაც კანონი კონტროლს უწევს, რომ ამ ოჯახებმა თავიანთი შემოსავალი მომჭირნედ ხარჯონ, ვინაიდან, ლილიპუტების აზრით, იმაზე დიდი უსამართლობა არ არსებობს, ვიდრე ის, რომ ადამიანებმა მხოლოდ საკუთარი ჟინის დასაკმაყოფილებლად გააჩინონ ბავშვები და მათი რჩენის ტვირთი საზოგადოებას დააკისრონ. წარჩინებული პირები განსაზღვრულ თანხას სწირავენ სკოლებს იმისათვის, რომ ყოველი ბავშვი, თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის შესაბამისად, სათანადოდ იყოს უზრუნველყოფილი. ამ თანხებს მეტად თადარიგიანად და სამართლიანად იყენებენ.

გლახებისა და მუშების შვილებს არავითარ განათლებას არ აძლევენ. მათი დანიშნულება ისაა, რომ მიწა დაამუშაონ, ამიტომაც მათ აღზრდა-განათლებას საზოგადოებრიობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს. მაგრამ, სამაგიეროდ, მოხუცებსა და სნეულებს საგანგებო თავშესაფარში ამყოფებენ, რადგანაც მათხოვრობაზე ლილიპუტების ქვეყანაში წარმოდგენაც არ აქვთ.

შეიძლება ცნობისმოყვარე მკითხველი დაინტერესდეს, როგორ და რა პირობებში ვცხოვრობდი იმ ქვეყანაში, სადაც ცხრა თვე და ცამეტი დღე დაყავი. სახელოსნო საქმეებში ისედაც გაწაფული ვიყავი და ახლა, საჭიროებამაც რომ მაიძულა, სამეფო ტყის უდიდესი ხეებისგან საკმაოდ მოხერხებული მაგიდა და სკამი გავიკეთე. ორას მკერავს ჩემთვის თეთრეულის შეკერვა ებრძანა, ჩემი ლოგინისა და მაგიდისათვის. მათ ამზადებდნენ ყველაზე უხეში ქსოვილისგან, რისი მონახვაც კი შეიძლებოდა მთელ იმპერიაში. მაგრამ ისიც კი ჩვენებურ დოლბანდზე სქელი არ გამოვიდა და მკერავები იძულებულნი გახდნენ, რამდენიმე ფენა ერთმანეთზე დაედოთ და დაეკრებინათ, რათა მას საკმაო სიმაგრე და სისქე მისცემოდა. მათ ფარჩას ჩვეულებრივ სამი დუიმის სიგანე აქვს და მთელი თოფი სამი ფუტის სიგრძეს შეადგენს. ზომის ასაღებად მიწაზე დავწექი, ერთი მკერავი კისერზე შემდგა, მეორე კი მუხლებზე და მაგარი ბაწარი გადაჭიმეს. მერე მარჯვენა ხელზე ცერის ზომა ამიღეს და მეტი არაფერი დასჭირვებიათ, რადგანაც, მათემატიკური გამოანგარიშებით, ცერის ორმაგი გარშემოწერილობა მაჯის გარშემოწერილობის ტოლია, მაჯის ორი გარშემოწერილობა — კისრის გარშემოწერილობის, კისრის ორი გარშემოწერილობა კი წელის გარშემოწერილობის ტოლია. თარგად ჩემი ძველი პერანგი მიწაზე გავფინე და რამდენიმე ხანში ზუსტად ჩემი ზომის პერანგი შემიკერეს. ასევე ებრძანა სამას თურძს ჩემთვის ტანსაცმლის შეკერვა. ამათ ზომა სულ სხვაგვარად ამიღეს. მე დავიჩოქე. თურძებმა კი ისეთი გრძელი კიბე მომადგეს, რომ მიწიდან კისრამდე მწვდებოდა. მერე ერთ-ერთი ოსტატი ავიდა კიბეზე და ჩემი საყელოდან შვეული ჩამოუშვა. ამგვარად, ხიფთანის სიგრძე დაადგინეს. წელი და სახელო მე თვითონ გავზომე. ტანსაცმელი ჩემს სახლში შეკერეს (რადგანაც ვერც ერთი სხვა შენობა ვერ დაიტევდა), ის იმ საბანს ჰკავდა, რომელსაც ინგლისელი ქალები სხვადასხვა ნაჭრისაგან ამზადებენ. ერთადერთი განსხვავება იმაში



მდგომარეობდა, რომ ჩემი ხიფთანი ერთი ფერის ქსოვილისგან იყო შეკერილი.

საჭმელს სამასი მზარეული მიძხადებდა. ისინი თავიანთი ოჯახებით პატარ-პატარა კოხტა ქოხებში ცხოვრობდნენ ჩემი სახლის ახლოს და ვალდებული იყვნენ ყოველ იჯრაზე ორ-ორი კერძი მოერთმიათ. ჭამის დროს ოც მომტანს ავიყვანდი და მაგიდაზე დაესვაძი. ასი მომტანი კი დაბლა მიწაზე ერთ ამბავში იყო: ზოგს თუფშით კერძი მოჰქონდა, ზოგს კი ღვინით ან სხვა სასმელებით საუსე კასრი შეედგა მხარზე და მოათრედა. მთელი ეს ხორაგი მაგიდაზე მდგომ მომტანებს ძალიან მოხერხებულად ამოჰქონდათ ზევით ბაწრების დახმარებით, სწორედ ისე, როგორც ევროპაში ჭიდან წყალი ამოგვაქვს. ერთი თუფში კერძი ერთ ლუკმად მყოფნიდა, ერთი კასრი ღვინო კი ერთ ყლუპად. იქაური ცხვრის ხორცი ჩვენსას ჩამოუვარდება, მაგრამ მათი საქონლის ხორცზე უკეთესს ვერაფერს შეჭამ. ერთხელ ისეთი დიდი ნაჭერი შემხვდა, რომ სამ ლუკმად დაგჭერი, თუმცა ასეთი შემთხვევა მეტად იშვიათი იყო. ჩემი მსახურები სახტად დარჩნენ, როცა დაინახეს, რომ მე იგი ძელიანად შევახრამუნე, როგორც ევროპაში ტოროლას ფრთასა ვჭამთ ხოლმე. მათ ბატსა და ინდაურს თითო ლუკმად ვჭამდი და, უნდა ვღიარო, რომ ის ხორცი ჩვენი ბატისა და ინდაურის ხორცზე უფრო გემრიელი იყო. წვრილ-წვრილ ფრინველებს ოცდაათ ცალს ერთბაშად წამოვაგებდი ხოლმე დანის წვერზე.

ერთ მშვენიერ დღეს იმპერატორმა, რომელსაც თურმე მოახსენეს როგორ ვცხოვრობდი, განაცხადა, რომ „ბედნიერი იქნებოდა“ თუ მასთან ერთად ვისადილებდი, დედოფლის, პრინციებისა და პრინცესების თანდასწრებით. დანიშნულ დროს გამოცხადდნენ და მე ისინი მაგიდაზე ჩამწკრივებულ სამეფო სავარძლებში ჩავსვი. პირადი დაცვაც თან ახლდათ. ფლიმნაპიც, სამეფოს მთავარი ხაზინადარი, თეთრი კვერთხით ხელში, რომელიც ხშირად გადმომხედავდა ხოლმე არაკეთილმისურნე თვალით, მაგრამ მე მას არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი და სადილს მადიანად შევექცეოდი, ჩემი საყვარელი საშობლოს სასახელოდ და იმპერატორის ამაღლის გასაოცრად. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ამ სტუმრობამ მისცა შესაძლებლობა ფლიმნაპს, შეეცვალა იმპერატორის დამოკიდებულება ჩემდამი. ეს მინისტრი თავიდანვე ჩემი იდუმალი მტერი გახლდათ, თუმ-

ცა მოსაჩვენებლად იმაზე თავზიანად მექცეოდა, ვიდრე მის უცხო-  
ვირპირო ხასიათს შეეფერებოდა. მან იმპერატორს მოახსენა, ესაო  
და სახელმწიფო ხაზინა სავალალო მდგომარეობაშია ჩავარდნილიო;  
რომ იგი იძულებული იყო მაღალი სარგებლით აელო ვალები; რომ  
ჩემი რჩენა მის უდიდებულესობას უკვე დაუჯდა მილიონ-ნახევარი  
სპრაგი (უდიდესი ოქროს ფული მათში, რომელიც სიდიდით კი-  
ლიტას არ აღემატება); და რომ ყოველივე ამის გათვალისწინებით,  
ჭკვიანური იქნებოდა, თუ იმპერატორი რაც შეიძლება მალე მომი-  
ცილებდა თავიდან.

მე აქ, თავს მოვალედ მივიჩნეე ჩემ გამო უსამართლოდ ყბადღებუ-  
ლი ერთი პატრიცემული ქალბატონის სახელის დასაცავად ორიოდე  
სიტყვა მოგახსენოთ. აუ ენათა სისინს აყოლილმა ხაზინადარმა, რო-  
მელსაც მოახსენეს, რომ მისი მეუღლე გაგიჟებით იყო ჩემზე შეყვა-  
რებული, ცოლზე ეჭვიანობა დაიწყო. მთელ სასახლეს მოედო ჭორი,  
თითქოსდა ქალი ერთხელ უჩუმრად მოსულიყოს ჩემს სახლში. სა-  
ჯაროდ უნდა განაცხადო, რომ ეს უსირცხვილო ცილისწამება იყო.  
ასეთი მითქმა-მოთქმისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობდა,  
გარდა იმისა, რომ მისი ბრწყინვალება, ხაზინადრის მეუღლე, ძალზე  
შინაურულ და მეგობრულ ურთიერთობაში იყო ჩემთან. ისიც უნდა  
მოგახსენოთ, რომ იგი, მართალია, ხშირად მოდიოდა ჩემთან, მაგრამ  
ჩვენი შებვედრა მუდამჟამ სხვების თანდასწრებით ხდებოდა. მასთან  
ეტლში ყოველთვის ისხდნენ მისი და, ქალიშვილი და ამ უკანასკ-  
ნელის რომელიმე მეგობარი. ჩემთან სხვა კარისკაცების ცოლებიც  
ხშირად დაიარებოდნენ ასე. შემიძლია მოწმეებად ჩემი მსახურებიც  
დავასახელო. დაე, კუთილინებონ და განაცხადონ, ერთხელაც მაინც  
თუ მოსდგომია ჩემს სახლს ეტლი ისე, რომ მათ არა სცოდნოდათ, ვინ  
იმყოფებოდა მასში. ჩვეულებად მქონდა, რომ, როგორც კი მსახური  
მომახსენებდა, თქვენთან არიანო, მაშინვე კარისაკენ გამოვემართებო-  
დი. მივესალმებოდი ჩემს სტუმრებს, წყვილ ცხენს ეტლიან-სტუმრე-  
ბიანად ხელში ფრთხილად ავიყვანდი (თუ ეტლში ექვსი ცხენი ება,  
მეეტლე ოთხ ცხენს მოსვლისთანავე აუშვებდა ხოლმე) და დაესვამ-  
დი მაგიდაზე, რომელსაც ხუთი ღუიმის სიმაღლის მოძრავი კიდვე-  
ბი ჰქონდა გაკეთებული იმისათვის, რომ რაიმე უბედური შემთხვევა  
არ მომხდარიყო. ერთსა და იმავე დროს ხშირად მყოლია მაგიდაზე  
ცხენებშებმული და ხალხით გაჭვდილი ოთხი ეტლი, მე კი სანამ

ჩემს სკაშზე ვიჯექი, მათკენ ვიხრებოდი და ისე ველაპარაკებოდი. სანამ ერთ ეტლში მსხდომ ბანოეანებს ვესაუბრებოდი, სხვა ეტლები ჩემს მაგიდაზე მიმოდიოდნენ. ამ საუბრებში მრავალი სასიამოვნო საღამო გამიტარებია. მაგრამ, აბა ერთი სცადონ ხაზინადარმა და მისმა ორმა შემოჩენილმა ჯაშუშმა (მე იმათ გვარებს დაუასახელებ და, რაც უნდათ, ის ქნან) კლასტრილმა და დრანლომ, და დაამტკიცონ ჩემთან ოდესმე თუ მოსულა ვინმე პიროვნება ინკოგნიტოდ, რელდრუსალის გარდა, რომელიც, როგორც ზემოთ გიამბეთ, მისმა იმპერატორობითა უდიდებულესობამ თავისი ბრძანების გადმოსაცემად გამოგზავნა. ამ საკითხზე ასე დიდხანს არ შეეჩერდებოდი, საქმე რომ უალრუსად კეთილშობილი ქალის სახელს არ ეჭებოდეს, საკუთარ თავზე რომ არაფერი ვთქვა, თუმცა მე მაშინ ნარდაკობა მქონდა მონიჭებული, რაც ხაზინადარს ჯერ არ დაემსახურებინა. აკიცამ და ქვეყანამ იცოდა, რომ მას მხოლოდ გლამგლამობა ჰქონდა მიღებული, რაც ჩემს წოდებას ისევე ჩამოუვარდებდა, როგორც ინგლისში ჰერცოგობას მარკიზობა. მაგრამ, უნდა ვაღიარო, რომ ხაზინადარი თანამდებობით ჩემზე წინ იდგა. ამ ჭკორებმა, როგორც შემდეგში გავიგე, რაღაც ხერხებით, რომელზეც ლაპარაკი არ ღირს, მიაღწია ხაზინადრის ყურამდე და იგი ერთხანს დაემდურა თავის ცოლს. ჩვენი ურთიერთობა კი სამუდამოდ გამწვავდა. ცოლს, როგორც გადმომცეს, მალევე შეურიგდა, რაკი დარწმუნდა, რომ ყოველივე ეს მტკნარი სიცრუე იყო, მაგრამ ჩემდამი ყოველგვარი ნდობა საბოლოოდ დაკარგა. იმპერატორსა და ჩემ შორის ურთიერთობაც საგრძნობლად გაუარესდა, რაც არცაა გასაკვირი, რადგანაც იგი თავისი ფავორიტი მინისტრის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

## თავი მუხვიდი

ავტორი გაიგებს, რომ განზრახული აქვთ, მას სახელმწიფო დალატში დასდონ ბრალი. ის გარბის ბლუფესკუში. მისი მიღება.

ვიდრე იმაზე მოგითხრობდეთ, თუ როგორ დავტოვე ეს სამეფო, უმჯობესი იქნება მკითხველს გააცნო საიდუმლო შეთქმულება, რომელიც ჩემს წინააღმდეგ მთელი ორი თვე მზადდებოდა.

აქამდე ჩემი სიცოცხლე მეფეთა სასახლეებისაგან მოშორებით გამეტარებინა, რადგანაც ჩემი საზოგადოებრივი მდგომარეობა მათთან სიახლოვის საშუალებას არ იძლეოდა. რა თქმა უნდა, მეფეებისა და მინისტრების ქცევასა და ხასიათის შესახებ ბევრი რამ გამეგონა და წამეკითხა, მაგრამ არასოდეს მოველოდი, რომ ასეთ მიყრუებულ სამეფოშიც კი ამგვარ უსამართლობას გადავაწყდებოდი. თანაც, დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ მაინც სახელმწიფოს სულ სხვა პრინციპით მართავდნენ, ვიდრე ევროპაში.

ბლუფესკუს იმპერატორთან სტუმრად წასასვლელად რომ ვემზადებოდი, სასახლიდან ერთი ცნობილი კარისკაცი საიდუმლოდ მოვიდა ჩემთან. მე მისთვის დიდი სამსახური მქონდა გაწეული: როდესაც იმპერატორსა და მას შორის უსიამოვნება იყო ჩამოვარდნილი, მე იგი მისი უდიდებულესობის წინაშე დავიცავი. ახლა იგი პორტშეზით<sup>1</sup> მომადგა ღამის წყვდიადში და თავისი ვინაობის დაუსახელებლად მიღება ითხოვა. მსახურები დავითხოვე, პორტშეზი მისი ბრწყინვალეებითურთ კამზოლის განიერ ჯიბეში მოვათავსე და ჩემს ოთახში შევედი. ერთ საიმედო მსახურს დავავალე მნახველები გაეფრთხილებინა, თავს შეუძლოდ გრძნობს და წეს-თქო. მერე კარი ჩავკეტე, პორტშეზი მაგიდაზე დავდე ჩვეულებისამებრ და მის პირდაპირ სკამზე ჩამოვჯექი. წესისამებრ, ერთმანეთს რომ ვესალმებოდით, შევამჩნიე, რომ მისი ბრწყინვალეობა ძალზე დანადვლიანებული იყო და მიზეზი ვკითხე. მან მთხოვა, მოთმინებით აღვჭურვილიყავი და გულისყურით მომესმინა მისი სიტყვები, რაც უშუალოდ ჩემს ღირსებასა და სიცოცხლეს შეეხებოდა. როგორც კი ის კარისკაცი წავიდა, მისი ნალაპარაკვი სიტყვასიტყვით ჩავიწერე. აი ისიც: „უნდა მოგახსენოთ, — თქვა მან, — რომ ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებულ კომისიას რამდენიმე ფრიად საიდუმლო სხდომა ჰქონდა თქვენ შესახებ და მისმა უდიდებულესობამ სულ რაღაც ორი დღის წინათ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება.“

არ შეიძლება არ იცოდეთ, რომ სკაირემ ბოლგოლაში (გალბეტი, ანუ მთავარი ადმირალი) რატომღაც თავიდანვე მოსისხლე მტრად გადაგეკიდათ რამ გამოიწვია ეს მტრობა, არ ვიცი, მაგრამ მისი თქვენ-

<sup>1</sup> პორტშეზი — მსუბუქი, ხელით სატარებელი საყარბელი, რომელშიც ადამიანს შეუძლია ნახევრად წამოწოლილი მოთავსდეს.

ღამი სიძულვილი განსაკუთრებით მაშინ გაიზარდა, როდესაც ბლეფესკუსზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეთ, რითაც მისი, როგორც აღმირალის, დიდებას ჩრდილი მიაღდა.

მას სახელმწიფო ხაზინადარ ფლიმნაპთან, — რომელიც, როგორც ცნობილია, თქვენზე გადამტერებულია თავისი მეუღლის გამო, — გენერალ ლიმტოკთან, ობერ-ჰოფმეისტერ ლალკონთან და უმაღლეს მოსამართლე ბალმაფთან ერთად შეადგინა საბრალდებო აქტი<sup>1</sup>, რითაც თქვენ ბრალს გდებენ სახელმწიფოს ღალატში და სხვა მძიმე დანაშაულებრივ ქმედებებში“.

რაკი მშვენივრად ვიცოდი, რა დიდი დამსახურება მიმიძლოდა ამ სამეფოს წინაშე და რამდენად უღანაშაულო ვიყავი, ასეთმა შესაგულმა სიტყვამ ისე აღმაშფოთა, რომ ჩემს კუთლისმყოფელს კინადამ შევაწყვეტინე ლაპარაკი, მაგრამ მან მთხოვა ბოლომდე მომისმინეო და განაგრძო:

„თქვენგან იმდენი სიკეთე მახსოვს, რომ საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას არ დავერიდე, საბრალმდებლო აქტის ასლი ხელში ჩავიგდე და აჰა, მოგიტანეთ“.

## საბრალმდებლო აქტი

ქუინბუს ფლესტრინის — მთაკაცის წინააღმდეგ

### მუხლი I

— ხსენებულ ქუინბუს ფლესტრინს, რომელმაც ბლეფესკუს იმპერიის ფლოტი ნადავლის სახით ჩვენს საიმპერიო ნავსადგურში მოიყვანა, ებრძანა ხელთ ვდო ბლეფესკუს იმპერიის სხვა ხომალდებიც და, ამგვარად ეს იმპერია გადაექცია ჩვენს პროვინციად, რომელიც აქედან უნდა ემართა მეფის ნაცვალს, სიკვდილით დაესაჯა იქ გადახვეწილი „მსხვილი ბოლოს“ მომხრეები და ასევე ყოველი მცხოვრები, ვინც ხელს არ აიღებდა მსხვილი ბოლოს მომხრეობის ერესისაგან. მაგრამ მან, ხსენებულმა ფლესტრინმა, მსგავსად სულმდაბალი მოღალატისა, უბრწყინვალეს და უდიდებულეს ჩვენს იმპერატორს ამ საქმისაგან გათავისუფლება სთხოვა, რადგანაც, მისი განცხადების

<sup>1</sup> სატირა ბოლინგბროკის, ოქსფორდისა და ორმონდის სასამართლო პროცესზე.

თანხმად, არა სურდა პატიოსნება ფეხქვეშ გაეთულა და სრულიად უდანაშაულო ხალხის თავისუფლებისა და სიცოცხლის ხელყოფა მოეხდინა.

## მუხლი II

— ბლეფესკუს სასახლიდან მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სასახლეში ზავის დასადებად ჩამოსულ დესპანებს იგი, ხსენებული ფლესტრინი, სულმდაბალი მოღალატის მსგავსად ეხმარებოდა, აქეზებდა, ამხნევებდა და ართობდა, თუმცა მშვენიერად ესმოდა, რომ ისინი, ხსენებული დესპანები, იმ იმპერატორის მსახურნი იყვნენ, რომელიც სულ მცირე ხნის წინათ მისი უდიდებულესობის აშკარა მტერი იყო და ხსენებული უდიდებულესობის წინააღმდეგ აშკარა ომსაც აწარმოებდა.

## მუხლი III

— ხსენებული ქუინბუს ფლესტრინი, ღალატობს რა ერთგული ქვეშევრდომის მოვალეობას, ამჟამად ეშხადება ბლეფესკუს საიმპერატორო სასახლეში გასამგზავრებლად<sup>1</sup>, რისთვისაც ჩვენი იმპერატორის უდიდებულესობისაგან მხოლოდ და მხოლოდ სიტყვიერი თანხმობა აქვს მიღებული. იგი, ხსენებულ თანხმობას სულმდაბლად ამოფარებული, ვერაგული და მოღალატური განზრახვით აპირებს დაუყოვნებლივ გაემგზავროს, რათა დაეხმაროს, გაამხნევოს და წააქეზოს ბლეფესკუს იმპერატორი, რომელიც სულ მცირე ხნის წინ აშკარა მტერი იყო და აშკარა ომს აწარმოებდა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის წინააღმდეგ.

„არის აგრეთვე სხვა მუხლებიც, მაგრამ ესენია ყველაზე მნიშვნელოვანი, რაშიც თქვენ ბრალს გდებენ.

უნდა ვაღიარო, — განაგრძო კარისკაცმა, — რომ ამ საკითხის გარშემო გამართული ხანგრძლივი კამათის დროს მისმა უდიდებულესობამ თქვენ მიმართ ფრიად მოწყალე დამოკიდებულება გამოიჩინა. ის წამდაუწუმ ახსენებდა თქვენს დიდ დამსახურებას და ყო-

<sup>1</sup> იგულისხმება ბოლინგბროკის გაქცევა საფრანგეთში 1715 წელს.

ველნაირად ცდილობდა თქვენი დანაშაული შეემსუბუქებინა. მაგრამ ხაზინადარმა და აღმირალმა დაჟინებით მოითხოვეს, რომ ყველაზე საშინელი და სამარცხვინო სიკვდილით დაესაჯეთ; თქვენი სახლისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ ღამით, ოცი ათასი შეიარაღებული კაცით გარს შემოგრტყმოდნენ და თქვენთვის ხელებსა და სახეზე მოწამლული ისრები დაეშინათ, მსახურებისათვის მიეცათ საიდუმლო ბრძანება, რომ თქვენი თეთრეული და ზეწრები საწამლავით გაეჟღინათ, რაც ისე გაგახელებდათ, რომ თქვენს ხორცს თქვენვე დაუწყებდით გლეჯას და დიდი წამებით მოკვდებოდით. თვითონ მთავარსარდალი დაეთანხმა ამ აზრს და, ამგვარად, სახელმწიფო საბჭოს აშკარა უმრავლესობა თქვენს წინააღმდეგ გამოვიდა. მაგრამ მისმა ბრწყინვალეობამ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გადაერჩინეთ, ამიტომ ობერ-ჰოფმეისტერი თავის მხარეზე გადმოიბირა.

შუა კამათის დროს, რელდრესალს, საიდუმლო სახელმწიფო საქმეთა მთავარ მდივანს, რომელიც თავიდანვე თქვენს ერთგულ მეგობრად მიაჩნდათ, იმპერატორმა უბრძანა, თავისი აზრი გამოეთქვა. რელდრესალმაც აიღო სიტყვა და სავსებით გაამართლა თქვენი კეთილი დამოკიდებულება მისდამი. მან აღიარა, რომ თქვენი დანაშაული მეტად მძიმეა, მაგრამ არაა გამორიცხული პატიება, რაც ხელმწიფეების ესოდენ საქებარი თვისებაა და რითაც ჩვენი იმპერატორი საქვეყნოდაა ცნობილი. მისი თქმით, თქვენსა და მას შორის მეგობრობა ყველასათვის იმდენად აშკარაა, რომ თვით სახელმწიფო საბჭოსაც კი შეუძლია იგი თქვენ მიმართ მიკერძოებულად ჩათვალოს; მაგრამ, რადგანაც მისმა უდიდებულესობამ უბრძანა, მან გაბედულად უნდა გამოთქვას თავისი აზრი. ამგვარად, თუ მისი ბრწყინვალეობა მხედველობაში მიიღებს თქვენს დამსახურებას და, ამავე დროს, გულმოწყალებას გამოიჩენს და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდება, რომ თვალეები დაგთხაროთ და სიცოცხლე შეგინარჩუნოთ, ეს ერთგვარად დააკმაყოფილებს მართლმსაჯულების მოთხოვნებს და მსოფლიოც ქებათა-ქებას შეასხამს იმპერატორის ღმობიერებას<sup>1</sup> და იმ პი-

<sup>1</sup> 1715 წლის აჯანყების მოთავენი სიკვდილით დასაჯეს. რის შემდეგაც მთავრობამ, სპეციალურად ხალხისათვის გამოცემულ მიმართვაში, ქება-დიდება შეასხა მეფის გულმოწყალებას.

რების დიდსულოვნებას, რომლებსაც პატოვი აქვთ მისი მრჩეველები იყვნენ; რომ, ამავე დროს, მხედველობის დაკარგვა სულაც არ შეამცირებს თქვენს ფიზიკურ ძლიერებას, რითაც თქვენ კვლავაც გაუწევთ სამსახურს მის უდიდებულესობას, რადგანაც სიბრძნე უფრო აძლიერებს გაბედულებას, რაკი იგი თვალთაგან ფარავს მოსალოდნელ საფრთხეს; რომ სწორედ მხედველობის დაკარგვის შიშმა შეგიშალათ თქვენ ხელი მტრის მთელი ფლოტი წამოგვევანათ; რომ თქვენთვის ისიც საკმარისი იქნება, ყველაფერი მინისტრების თვალებით დაინახოთ: აკი უძლიერესი მეფეებიც მხოლოდ და მხოლოდ ამას აკეთებენ და მეტს არაფერს.

ამ წინადადებად მთელ საბჭოში აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია. ადმირალმა აღშფოთებისაგან თავი ვერ შეიკავა, განრისხებული წამოვარდა და განაცხადა, რომ ვერ გაუგია, როგორ გაბედა სახელმწიფოს მდივანმა მოღალატისათვის სიცოცხლის შენარჩუნება ეთხოვა; რომ თქვენი დამსახურება კი არ ამსუბუქებს, არამედ კიდევ უფრო ამძიმებს თქვენს ისედაც მძიმე დანაშაულს; რომ მას საკმაო საბუთები აქვს იმის საგარაუდოდ, რომ თქვენს გულში „მსხვილ ბოლოს“ თანაუგრძნობთ; და, რაკი ღალატი უპირველესად ადამიანის გულში იბადება, ვიდრე იგი აშკარა საქმით გამოძეიდებოდეს, ის ბრალს გდებთ თქვენ, როგორც მსხვილი ბოლოს მიმდევარს, და მოითხოვს თქვენს დაუყოვნებლივ დასჯას სიკვდილით.

ხაზინადარმაც ეს აზრი გამოთქვა. მან საბჭოს მოახსენა, რა მძიმე ტვირთად აწევს მისი უდიდებულესობის სალაროს თქვენი შენახვის მძიმე ხარჯები; და რომ იგი სულ მალე მის სრულ დაცარიელებას გამოიწვევს; რომ, მისი აზრით, თვალების დათხრა არამცთუ არ შეამცირებს ამ ხარჯებს, პირიქით, საგრძნობლად გაზრდის მას, რადგანაც, როგორც მეფრინველეობის პრაქტიკული გამოცდილებიდანაა ცნობილი, ესა თუ ის ფრინველი, დააბრძავენ თუ არა, გაცილებით მეტს ჭამს და მალე სუქდება. რომ, რაკი თქვენი მსაჯულები — მისი წმიდათაწმიდა უდიდებულესობა და სახელმწიფო საბჭო, ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ თქვენ დამნაშავე ბრძანდებით, ეს საესებით საკმარისი არგუმენტია თქვენი სიკვდილით დასასჯელად და კანონის კოდექსებში რაღაც ფორმალური დასაბუთების ძიების არავითარი საჭიროება არ არსებობს.



მისმა იმპერატორობითმა ბრწყინვალეობამ სასტიკად გაილაშქრა თქვენი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მერე კეთილი ინება და განაცხადა, რომ, თუ თვალების დათხრა მეტად მსუბუქი სასჯელია, სხვა უფრო მძიმე სასჯელიც შეიძლება შემდეგში მოინახოს. მაშინ მდოვანმა, თქვენმა მეგობარმა, მორჩილად ითხოვა, ისევ მომისმინეთო და ხაზინადრის იმ განცხადების საპასუხოდ, რომ მისი უდიდებულესობის ხაზინას აუტანელ ტვირთად აწევს თქვენი შენახვის ხარჯები, თქვა, რომ მის ბრწყინვალეობას, ხაზინადარს, რომლის ხელშიც სახელმწიფო სალარო იმყოფება, ადვილად შეეძლო ამ საფრთხისაგან სამეფოს ხსნა თქვენთვის სასმელ-საჭმლის თანდათან შემცირების საშუალებით. ამგვარად, საკმარისი საზრდოს უქონლობის შედეგად თქვენი ორგანიზმი გახდება და დასუსტდება, მადას დაკარგავთ და რამდენიმე თვეში სიცოცხლეს გამოესალმებით; ამასობაში თქვენი სხეული შიმშილისაგან განახევრდება და თქვენი გვამის გახრწნა ნაკლებად საშიში შეიქმნება. მოკვდებით თუ არა, მისი უდიდებულესობის ექვსი ათას ქვეშევრდომს შეეძლება რბილობი მოაჭრან თქვენს ცხედარს და სამეფოს რომელიმე მიყრუებულ კუთხეში დამარხონ, რათა თავიდან აიცილონ სნეულების გავრცელება, ხოლო, რაც შეეხება ჩონჩხს, ადგილზე დატოვონ იგი, როგორც ისტორიული ძეგლი, შთამომავლობის გასაცემლად.

ამგვარად, მდოვანის, გულითადი მეგობრის წყალობით, საქმე საბოლოოდ მოგვარდა. ამავე დროს, იმაშიც შეთანხმდნენ, რომ თქვენი შიმშილით თანდათანობითი მოკვდინების გეგმა ფრიად საიდუმლოდ ყოფილიყო შენახული; მაგრამ თვალების დათხრის განაჩენი კი ოქმებშია შეტანილია. თავი მხოლოდ ადმირალმა ბოლგოლამმა შეიკავა: ის ხომ იმპერატორის მეუღლის ინტერესებს იცავს, და მისი უბრწყინვალესობის დაჟინებითი მოთხოვნით თვითონაც დაჟინებით მოითხოვს თქვენს სიკვდილით დასჯას.

ახლა თქვენ იცით, რა ღონისძიებებს იხმართ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მე კი, ეჭვი რომ არ აიღონ, დაუყოვნებლივ უნდა წავიდე ისევე საიდუმლოდ, როგორც მოვედი“.

მისი ბრწყინვალეობა წავიდა და მარტო დაურჩი მწარე ეჭვებით შეპყრობილი და საგონებელში ჩავარდნილი.

ახლანდელმა იმპერატორმა და მისმა მინისტრებმა, როგორც გადმომცეს, მათი წინაპრებისათვის სრულიად უცნობი ჩვეულება

შემოიღეს: როგორც კი მონარქის შურისძიების სურვილის ანდა რომელიმე ფაქტორის სულმდაბლობის დასაკმაყოფილებლად უმაღლესი სასამართლო უმკაცრეს განაჩენს გამოიტანდა, იმპერატორი აუცილებლად წარმოთქვამდა სიტყვას სახელმწიფო საბჭოს წინაშე თავისი გულმორწყალებისა და გულკეთილობის გამოსახატავად. ეს თვისებები ხომ აღიარებული და ცნობილია მთელი ქვეყნიერებისათვის. იმპერატორის სიტყვა მაშინვე იბეჭდებოდა და მთელ სამეფოში ვრცელდებოდა. იქ არაფერი ისე არ აშინებს ხალხს, როგორც იმპერატორის გულკეთილობის ეს ენაწყლიანი ქებათა-ქება, რადგანაც, დაცდილი ჰქონდათ, რომ, რაც უფრო ვრცელი იყო იგი, მით უფრო უდანაშაულო იყო მსხვერპლი და უფრო არაადამიანური მისთვის გამოტანილი სასჯელი. უნდა ვაღიარო, არც წარმოშობით და არც სწავლა-განათლებით იმის პატივი არ მქონია, რომ კარისკაცი გაემხდარიყავი, ამიტომაც ასეთ საქმეებში ნაკლებად ვერკვეოდი და ვერ ვხვდებოდი, ამ განაჩენში სად იყო გულმორწყალება და ღმობიერება, პირიქით, თუმცა შეიძლება ვცდებოდი, მასში უფრო სისასტიკეს ვხედავდი, ვიდრე გულკეთილობას. ზოგჯერ აზრად მომდიოდა სასამართლოზე გამოოცხადებულიყავი და თავი დამეცვა. მართალია, მე არ შემეძლო უარმეყო საბრალმდებლო აქტებში მოყვანილი ფაქტები, მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ მათი შემსუბუქება მოსახერხებელი იყო, თუმცა, მრავალი პოლიტიკური პროცესის შესახებ წამეკითხა და შემჩნეული მქონდა, რომ განაჩენი ყოველთვის მოსამართლეების ნება-სურვილის მიხედვით გამოჰქონდათ. ამიტომაც, ასეთი კრიტიკული მდგომარეობის დროს, ვერ ვბედავდი, ჩემი სიცოცხლე ძლიერი მტრების ხელში ჩამეგდო და მათ განაჩენს მიზნდობოდი.

ერთხანს ვფიქრობდი წინააღმდეგობა გამეწია, რადგანაც, სანამ თავისუფალი ვიყავი, იმპერიის მთელი ძალებიც ვერ დამიდგებოდა წინ. მის ქალაქებს, თუ მოვინდომებდი, ქვეებით ადვილად მოვლქე-მოვლქედი. მაგრამ თავზარდაცემულმა ამ გადაწყვეტილებაზე მაშინვე ავიღე ხელი, როცა მომაგონდა იმპერატორისადმი მიცემული ფიცი, მისგან მიღებული წყალობები და ჩემთვის მონიჭებული ნარდაკობის უმაღლესი ტიტული. მაშინ როდი ვიცოდი, რანაირი იყო კარისკაცების მადლიერება, რათა მიემხვდარიყავი, რომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ახლანდელი

სიმკაცრე მათავისუფლებდა მის მიმართ აღებული ყველა ვალდებულებისაგან.

და, აი, საბოლოო გადაწყვეტილებაც მივიღე, რის გამო შეიძლება სამართლიანადაც გამკიცხონ. უნდა გამოვტყდე, რომ მხედველობა და, შესაბამისად, თავისუფლებაც მხოლოდ და მხოლოდ ჩემი სიფიცხისა და ახალგაზრდული გამოუცდელობის წყალობით შემრჩა, რადგანაც, ხელმწიფეებისა და მინისტრების ხასიათს გაცნობილი რომ ვყოფილიყავი და მცოდნოდა, რანაირად ეპყრობიან ისინი თვით ჩემზე ნაკლებად დამნაშავეებსაც კი, როგორც ეს შემდეგში, სხვა ხელმწიფეთა კარზე შევამჩნიე, დიდის სიამოვნებითა და სიხარულით დაუთანხმდებოდი ასეთ მსუბუქ სასჯელზე. მაგრამ ახალგაზრდულმა სიფიცხემ გადამძალა და, ვინაიდან იმპერატორის თანხმობაც მიღებული მქონდა, ბლეფესკუს იმპერატორს ვწვეოდი, სამი დღის ვადის გასვლას არ დაუუცადე, დრო ვიხელთე და ჩემს მეგობარ მდივანს გაუგზავნე წერილი, რომელშიც ვიტყობინებოდი, იმპერატორისგან მიღებული თანხმობის თანახმად, ამ დილით ბლეფესკუს სამეფოში გამგზავრებას ვაპირებ-მეთქი. პასუხისათვის არც კი დამიცდია, ისე გავემართე კუნძულის იმ ნაპირისაკენ, სადაც ჩვენი ფლოტი იდგა. გამოვიყვანე ერთი დიდი სამხედრო გემი, ცხვირზე ბაწარი მოვაბი და ღუზა ავუშვი. ტანზე გავიხადე და ტანისამოსი თან წამოღებულ საბანთან ერთად ზედ დავაწყვე, მერე ბაწარში ხელი ჩავავლე და ნაწილობრივ ცურვით და ნაწილობრივ ფონდაფონ სიარულით ბლეფესკუს სამეფო ნავსადგურს მოვალწიე, სადაც ხალხი დიდი ხანია მელლოდა. იქ ორი მეგზური მომცეს და გზა მიჩვენეს დედაქალაქისაკენ, რომელიც აგრეთვე იმპერიის სახელს ატარებს. მეგზურები ხელში აყვანილი მიმყავდა, ვიდრე ორას იარღზე მივუახლოვდებოდი ქალაქის კარიბჭეს; იქ ჩამოვსვი ოროვე და ვთხოვე, რომელიმე მდივნისთვის ეცნობებინათ, რომ ჩამოვედი და ველოდი მისი უდიდებულესობის, იმპერატორის განკარგულებას. ერთ საათსაც არ გაუვლია, რომ პასუხი მივიღე, მაცნობეს, რომ იმპერატორი, თავისი ოჯახის წევრებისა და დიდ-დიდი სახელმწიფო მოხელეების თანხლებით, ჩემს შესახვედრად გამოემართა. მოვიდნენ თუ არა, იმპერატორი და მისი ამაღლა ჩამოხტნენ ცხენებიდან, ხოლო იმპერატორის მეუღლე და ბანოვანები ეტლებიდან ჩამოვიდნენ, მაგრამ არც ერთის სახეზე შიშის ნატამალიც არ შემიმჩნევია. მე მიწაზე დავწექი, რათა იმპერატორისა

და მისი მეუღლისათვის ხელზე მეკოცნა. მერე იმპერატორს მოგახსენე, რომ ჩამოვედი დაპირებისამებრ და ჩემი მბრძანებლის, ლილიპუტების იმპერატორის თანხმობით, რათა მქონოდა პატოვი მეხილა ასეთი ძლიერი მონარქი და შემეთავაზებინა მისთვის ჩემი სამსახური, თუკი ეს უკანასკნელი ჩემი იმპერატორის ინტერესების წინააღმდეგ არ იქნებოდა მიმართული. კრინტი არ დამიძრავს პატოვის აყრის შესახებ, რადგანაც, სანამ ოფიციალური ბრძანება არ მქონდა მიღებული, თამამად შემეძლო არაფერი მცოდნოდა ამ განზრახვაზე, აგრეთვე იმაზეც ვამყარებდი იმედს, რომ იმპერატორი ჩემი შერისხვის გადაწყვეტილებას არ გაამჟღავნებდა, სანამ მე მისი სამეფოს ფარგლებს გარეთ ვიმყოფებოდი. მაგრამ ჩემი იმედი ამაო აღმოჩნდა, მალე მივხვდი, რომ მოუტყუვდი.

მკითხველს არ შეეაწუხებ იმის ვრცლად გადმოცემით, თუ როგორ მიმიღეს ბლეფესკუს იმპერატორის სასახლეში. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მან მისებრი დიდი ხელმწიფის შესაფერისი ხელგაშლილობა გამოიჩინა. არც იმის მოყოლით შეეაწყენთ თავს, თუ როგორ გაჭირდა ჩემთვის ბინის შოვნა და როგორ გავხდი იძულებული, ჩემს საბანში გახვეულს ცის ქვეშ, მიწაზე დამეძინა.

## თავი მერვე

ავტორი რაღაც ბედად ბლეფესკუს კუნძულიდან წასვლას ახერხებს; ის სიძნელეების გადალახვის შემდეგ უვნებლად ბრუნდება თავის სამშობლოში.

ჩამოსვლიდან სამმა დღემ განვლო და მიდამოს დასათვალიერებლად კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირისკენ რომ გავისეირნე, ნახევარი ლიგის მანძილზე რაღაც გადაბრუნებული ნავის მსგავსი საგანი შევამჩნიე. ფეხსაცმელები და წინდები გავიხადე და ორას იარღზე შევედი ზღვაში. ახლოდან დავაკვირდი იმ საგანს და შევნიშნე, რომ ტალღების ზემოქმედებით ის უფრო და უფრო უახლოვდებოდა ნაპირს; მერე ნათლად დავინახე, რომ ეს იყო ნამდვილად ნავი, რომელიც ალბათ ქარიშხალს მოეწყვიტა რომელიმე გემისაგან. სასწრაფოდ დავბრუნდი ქალაქში და იმ-

პერატორს მორჩილად ვთხოვე, გადარჩენილი ფლოტიდან ოცი ყველაზე მაღალი გემი ეთხოვებინა და სამი ათასი მეზღვაური გამოეყოლებინა ვიცე-ადმირალის წინამძღოლობით. ამ ფლოტმა შორიდან მოუარა ნაპირს, მე კი პირდაპირი გზით გავემართე იმ ადგილისაკენ, სადაც ნავი შევნიშნე. დინებას კიდევ უფრო მოეახლოებინა იგი ნაპირთან. მეზღვაურებმა ბლომად წამოიღეს თოკები, რომელიც სიმაგრისათვის წინასწარ სამკეცად დავგრიხე. გემები რომ მოახლოვდნენ, ტანზე გავიხადე, მერე ას იარდამდე ფეხით გავიარე, შემდეგ წყალი ღრმა იყო და იძულებული შევიქენი ცურვით მოვსულიყავი. ნავთან რომ მივედი, მეზღვაურებმა თოკის ერთი ბოლო გადმომიგდეს, იგი ნავის წინა ნაწილზე ნახვრეტს გამოვაბი, ხოლო მეორე — სამხედრო გემს. მაგრამ რა გამოვიდა! წყალი ღრმა იყო და სათანადოდ ვერ ვმუშაობდი. ამ გასაჭირში ჩავარდნილმა მოვისაზრე და ზღვაში შევცურე, მერე მოვბრუნდი და ცალი ხელით რაც შემეძლო ხშირ-ხშირად დაუწყვე ბიძგება ნავს. ზღვის დინებამაც ხელი შემიწყო და ნავიც იქამდე გამოვიტანე, სადაც უკვე ფეხის მოკიდება შემეძლო; წყალი ნიკაპამდე მწვდებოდა, ორი-სამი წუთი შევისვენე და მუშაობა განვაგრძე. ბოლოს იმ ადგილამდე გავედი, სადაც წყალი ილლიამდე არც კი მადგა. ამით საქმის ყველაზე უფრო მომქანცველი ნაწილი დამთავრდა. ახლა ერთ-ერთ გემზე დაწყობილი დანარჩენი თოკები ავიღე, ისინი ჯერ ნავს მოვაბი, ხოლო შემდეგ ნავსადგურიდან წამოყვანილ ცხრა გემს. ზურგის ქარი ქროდა. მეზღვაურები ბუქსირით ეწეოდნენ ნავს, მე უკნიდან ვუბიძგებდი და ამგვარად, ნაპირს ორმოც იარღზე მივუახლოვდით. იქ ზღვის მიქცევას დაველოდე. მშრალზე დარჩენილ ნავთან მივედი, თოკები და ასაწვეი მანქანები გამოვიყენე და ორი ათასი კაცის დახმარებით ნავი გადმოვაბრუნე. მხოლოდ მცირე დაზიანება აღმოაჩნდა.

იმის მოყოლა შორს წაგვიყვანს, თუ რამდენად გამიძნელდა ნიჩბების შემწეობით, — რომელთა დამზადებასაც ათი დღე მოვანდომე, — ნავი ბლეფესკუს ნავსადგურში ჩამეყვანა. იქ ჩემს შესახვედრად უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ასეთი უშველებელი ხომალდი დაინახეს. იმპერატორს მოვახსენე, ბედმა ეს ნავი წყალობასავით გადმომიგდო, რათა ისეთ ადგილამდე მისვლა მოვახერხო, საიდანაც ჩემს სამშობლოში და-

ბრუნებას შეუძლებ-მეთქი. ამავე დროს ვთხოვე მის შესაკეთებლად საჭირო მასალები მოეცა და წასვლის ნებაც დაერთო. ერთხანს მთხოვდა, ნუღარ მიდიხარ, აქ დარჩიო, მაგრამ მერე მოიღო მოწყალება.

ძალზე მაოცებდა ის ამბავი, რომ ლილიპუტების იმპერატორს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილი იყო, ამდენ ხნის განმავლობაში ბლეფესკუს იმპერატორისათვის ჩემ შესახებ არაფერი უცნობებია. მაგრამ შემდეგში გავიგე, რომ მის უდიდებულესობას, ლილიპუტების იმპერატორს, წარმოდგენაც არ ჰქონია, თუ რაიმე ვიცოდი მათი განზრახვის შესახებ და, ამიტომაც, დარწმუნებული იყო, რომ მე უბრალოდ დესპანებისათვის მიცემული დაპირებისა და თვით მისი უდიდებულესობის ნებართვის შესაბამისად ვეწვიე ბლეფესკუს იმპერატორს. ამ ნებართვის თაობაზე ხომ მთელ ჩვენს სასახლეში კარგად იყო ცნობილი. ამრიგად, იმპერატორს უგონა, მიღების საზეიმო ცერემონიები დამთავრდებოდა თუ არა, მაშინვე დავბრუნდებოდი. მაგრამ დიდხანს რომ აღარ გამოუჩნდი, ამან იმპერატორი დააფიქრა. ის ხაზინადარსა და სხვა ჩემდამი მტრულად განწყობილ კარისკაცებს მოელაპარაკა და, მათი რჩევით, ერთი დიდი თანამდებობის პირი გამოგზავნა ბლეფესკუსში<sup>1</sup> ჩემთვის წაყენებული საბრალმდებლო აქტის ასლით ხელში. გარდა ამისა, ელჩს დაევალა ბლეფესკუს მონარქისათვის ეცნობებინა, რომ მეტად დიდ მოწყალებასა და ლმობიერებას იჩენდა მისი უდიდებულესობა, როცა ისეთ მძიმე დამნაშავეს, როგორც მე ვიყავი, მხოლოდ თვალების დათხრა გადაუწყვიტა და მეტი არაფერი; რომ მე გამოვექეცი სამსჯავროს და, თუ ვინიცობაა, ორ საათში არ დავბრუნდებოდი, ნარდაკობას ჩამომართმევდნენ და მოღალატედ გამომაცხადებდნენ. ელჩმა ასევე დასძინა, რომ ლილიპუტებისა და ბლეფესკუს იმპერიებს შორის მშვიდობისა და ურთიერთგაგების შესანარჩუნებლად, მათი იმპერატორის რწმენით, მისი ბლეფესკუელი ძმის ბრძანებით ხელფეხშეკრულს დამაბრუნებდნენ ლილიპუტების ქვეყანაში, რათა იქ დავესაჯე, როგორც მოღალატე.

ბლეფესკუს იმპერატორმა გადაწყვეტილების მისაღებად სამი დღის ვადა მოითხოვა და თავაზიანობითა და ბოდისშეხებით საუსე პა-

<sup>1</sup> იგულისხმება საფრანგეთი.

სუხი გაუგზავნა ლილიპუტების იმპერატორს. ის სწერდა, რომ ჩემი ხელფეხშეკრული გაგზავნა მისთვის უხერხული იყო, როგორც ეს კარგად მოეხსენებოდა მის ძმას, ლილიპუტების იმპერატორს, რადგანაც, მართალია, სწორედ მე გამოვტაცე მას ფლოტი ხელიდან, მაგრამ იგი მაინც დიდად იყო ჩემგან დაჯალბებული: აკი ზავის დადებისას ფასდაუდებელი სამსახური გავუწიე; ამასთან, ორივე იმპერატორი, ჩემთან დაკავშირებით, ამიერიდან არხეინად შეიძლება იყოს მოყვანილი, რადგანაც უშველებელი გემი ვიპოვე ნაპირზე, რომელსაც შეეძლო ზღვაში გავყვანე; რომ მან, ბლეფესკუს იმპერატორმა ბრძანება გასცა, ჩემი მითითებითა და დახმარებით შეეკეთებინათ ის ხომალდი; რომ მას იმედი ჰქონდა, ორივე იმპერია სულ მოკლე დროში გათავისუფლდებოდა ჩემი რჩენის აუტანელი ხარჯებისაგან.

ელჩი ამ პასუხით დაბრუნდა ლილიპუტების ქვეყანაში და ბლეფესკუს იმპერატორმაც მალე ეს ამბავი დაწვრილებით მიაამბო. ამავე დროს ფრიად საიდუმლოდ გამანდო, რომ მისი უდიდებულესობა მზად იყო შემდგომშიც ეკისრა ჩემი დაცვა, თუ ვინიცობაა, მის სამსახურში დაერჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ღრმად დარწმუნებული გახლდით მისი სიტყვების გულწრფელობაში, გადავწყვიტე, ამიერიდან არ მივინდობოდი ხელმწიფეებსა და მათ მინისტრებს, თუ იძულებული არ შევიქნებოდი. ამიტომაც კეთილი სურვილებისათვის გულითადი მადლობა გამოვუცხადე და უმორჩილესად ვთხოვე პატიება. თან დავძინე: არ ვიცი, სასიკეთოდ გამომიგზავნა ბედმა ეს ხომალდი, თუ დასალუპად, მაგრამ მაინც გადავწყვიტე ოკეანეს მივინდო, რათა არ ვიყო ორ ესოდენ ძლიერ ხელმწიფეს შორის განხეთქილების მიზეზი-მეთქი. როგორც შევატყვე, იმპერატორი ჩემი პასუხით უკმაყოფილო არ დარჩენილა, პირიქით, როგორც შემდგომში შემთხვევით გავიგე, ის და მისი მინისტრების აბსოლუტური უმრავლესობა დიდად გაახარა ჩემმა ასეთმა გადაწყვეტილებამ.

ყოველივე ამან კიდევ უფრო დააჩქარა ჩემი გამგზავრება, ვიდრე ეს განზრახული მქონდა, რასაც სასახლიდანაც ძალიან შეუწყვეს ხელი, რადგან იქაც ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდი. ხუთასი კაცი მიძინებდა ორ აფრას, ჩემი მითითების თანახმად, ცამეტკაცად დალიანდაგებული უმტკიცესი ტილოსაგან. მე ბაწრებსა და თოკებს

ვადაგრებდი. ბლუფესკუელთა უმაგრეს ბაწრებს ათ, ოც და ოცდაათ კეცადაც კი ვგრებდი. დიდი ხნის ძებნის შემდეგ ერთი უშველებელი ქვა ვიპოვე ზღვის პირას, რომელსაც ჩემი ნავისთვის ღუზის მაგთრობა უნდა გაწვია. სამასი ძროხის ქონი მომცეს ჩემი ნავის გასაქონად და ასევე სხვა საჭიროებისათვის. არაადამიანური შრომა მოვანდომე რამდენიმე ყველაზე დიდი ხის მოჭრას ნიჩბებისა და ანძისათვის. მათ დამზადებაში დიდად დამეხმარნენ მისი უდიდებულესობის გემთმშენებელი დურგლები. მე ტლანქ სამუშაოს ვასრულებდი, ისინი კი ხის ზედაპირს ასწორებდნენ.

ერთ თვეში ყველაფერი მზად იყო და მე სასახლეს ვეწვიე, რათა მისი უდიდებულესობისაგან გამგზავრების ნებართვა მიმეღო და ყველას გამოემშვიდობებოდი. იმპერატორი და მისი ოჯახი სასახლიდან გამოვიდა. მე პირქვე დავემხე და მის ბრწყინვალეებას მოხდენილად გამოწვდილ ხელზე ვაკოცე; ასევე ვაკოცე ხელზე მის მეუღლესა და უფლისწულებს. იმპერატორმა ორმოცდაათი ქისა მაჩუქა. თითოეული ორას სპრავს შეიცავდა. ამავე დროს, თავისი პორტრეტი მიბოძა, რომელზეც მთელი ტანით იყო გამოსახული. არ გამიფუჭდეს-მეთქი და იგი მაშინვე ერთ-ერთ ხელთათმანში შევინახე. ჩვენი დამშვიდობების გრძელი ცერემონიების აღწერა მკითხველს მხოლოდ გულს გაუწყალებს, — ჰოდა, ჯობს თავი დავანებო.

ნავში ჩავაწყვე საქონლის ხორცი: ასი ხარი და სამასი ცხვარი, ამავე დროს, დიდი რაოდენობით პური და სასმელი და იმდენი შემწვარი ხორცი, რამდენის დამზადებაც ოთხასმა მზარეულმა მოასწრო. ცოცხალი საქონელიც წამოვიყვანე გასამრავლებლად: ექვსი ძროხა და ორი ბულა, იმდენოვე ცხვარი და ყოჩი. მათ გამოსაკვებად ნავზე ერთი მოზრდილი კონა თივა და ერთი ტომარა პურის მარცვალი გადმოვიტანე. თორმეტიოდე ადგილობრივი მკვიდრის წაყვანაც ძალიან მსურდა, მაგრამ იმპერატორმა არაფრის გულისათვის არ დამრთო ამის ნება. ჯიბუების გაჩხრეკას არ დამჯერდა, პატიოსანი სიტყვაც ჩამომართვა, რომ მისი არც ერთი ქვეშევრდომი არ წამეყვანა, თვითონ მათაც რომ განეცხადებინათ ამაზე თანხმობა.

ამგვარად, რამდენადაც შემეძლო, მოვემზადე. 1701 წლის 24 სექტემბერს, დილის ექვს საათზე აფრა ავუშვი. ქროდა სამხრეთ-აღ-



მოსავლეთის ქარი. ჩრდილოეთისაკენ ოთხიოდე ლიგი რომ გაუიარე, საღამოს ექვსი საათისათვის, დაახლოებით ნახევარ მილზე ჩრდილო-დასავლეთისკენ, ერთი მომცრო კუნძული შევნიშნე. იქით გავემართე და ქარსმოსაფარებელ მხარეზე ღუზა ჩაუშვი. კუნძული, როგორც ეტყობოდა, უკაცრიელი უნდა ყოფილიყო. იქ ცოტა წავივახშმე და დავიძინე. ექვსიოდე საათი ტკბილად მეძინა, დრო იმით გავარკვიე, რომ გამოღვიძებიდან ორი საათი მაინც გავიდა, ვიდრე ინათებდა. ნათელი ღამე იყო. შზის ამოსვლამდე ვისაუზმე. ზურგის ქარი ქროდა. ღუზა აუშვი და, ჩემი ჯიბის კომპასის ჩვენების თანახმად, იგივე გეზი ავიღე, რაც წინა დღით. განზრახული მქონდა, თუ შესაძლებელი იქნებოდა, იმ კუნძულამდე მიმეღწია, ჩემი ანგარიშით ვანდიმენის მიწის ჩრდილო-აღმოსავლეთით რომ უნდა ყოფილიყო განლაგებული. მთელი დღე არაფერი შემიძინა, მაგრამ, მეორე დღეს, დაახლოებით ნაშუადღევს სამი საათისათვის, როცა, ჩემი აზრით, ბლევესკუდან ოცდახუთი ლიგი მაინც მექნებოდა გამოვლილი, ზღვაში სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმავალი გემის აფრა დავინახე. გეზი აღმოსავლეთისაკენ ავიღე. რაც შემეძლო ყვირილი მოვრთე, მაგრამ ხმა ვერ მივაწვდინე. ამ დროს, ჩემდა ბედად, ქარის ქროლა შენეულდა და შანსი მომეცა გემს დაკწეოდი. მთელი სიჩქარით გავწიე და ბოლოს და ბოლოს, მიზანს მივაღწიე: გემიდან შევნიშნეს, დროშა ააფრიალეს და ქვემეხიდანაც გაისროლეს. ენით ვერ გამოვთქვამ იმ სიხარულს, რომელიც მაშინ ვიგრძენი. მოულოდნელად ამიხდა იმედი, ერთხელ კიდევ მენახა ჩემი საყვარელი სამშობლო და იქ დარჩენილი ჩემთვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანები. გემმა სვლას უკლო და ოცდაექვსი სექტემბერს, საღამოს ხუთი-ექვსი საათისათვის მიუახლოვდი კიდევ მას. გული საშინლად ამიფანცქალდა, როცა ხომალდზე აღმართულ ინგლისის დროშებს მოვკარი თვალი. ძროხები და ცხვრები პალტოს ჯიბეში ჩავისვი და ჩემი მცირეოდენი ბარგითა და სურსათით გემბანზე ავედი. იაპონიიდან მომავალი ინგლისის სავაჭრო ხომალდი აღმოჩნდა. მისი კაპიტანი, მისტერ ჯონ ბილდი, დეპუტორდელი, მშვენიერი ადამიანი და ჩინებული მეზღვაური გახლდათ. ჩვენ ამჟამად სამხრეთ განედის 30 გრადუსზე ვიმყოფებოდით გემზე ორმოცდაათი მეზღვაური იყო. მათ შორის, ერთ ჩემს ძველ მეგობარს, პეტერ უილიამსსაც შევხვდი. მან კაპიტანთან წარმად-

გინა და ჩინებულადაც დამახასიათა. კაპიტანმა გულთბილად მიმი-  
ლო და მთხოვა მეამბნა, საიდან მოვდიოდი ან სად მოვემგზავრებოდი.  
მე მოკლედ ვუამბე ჩემი თავგადასავალი. მან, როგორც ეტყობო-  
და, გიჟად მიმილო, ალბათ იფიქრა — გადატანილ განსაცდელს  
ჭკუიდან შეუშლიაო. მაშინ ჯიბიდან პაწაწინა ძროხები და ცხვრები  
ამოვსხი, რამაც ისინი საშინლად გააოცა და ნათლად დაარწმუნა,  
რომ მე სიმართლეს ვლაპარაკობდი. მერე ვუჩვენე ბლექესკუს იმ-  
პერატორის მიერ ნაჩუქარი ოქრო, მისი უდიდებულესობის სურათი  
და მათი ქვეყნის რამდენიმე სხვა იშვიათობა. ორი ორასსპრავიანი  
ქისა ვუბოძე კაპიტანს და თანაც შევპირდი, რომ კიდევ ერთ ძრო-  
ხასა და ცხვარს ვაჩუქებდი.

ეს მოგზაურობა უმეტესად სვებედნიერი გამოდგა, მაგრამ მკი-  
თხველს შევიბრალებ და მის დაწვრილებით აღწერას არ შევუდგე-  
ბი. 1702 წლის 13 აპრილს დაუნსში ჩავედით. გზაზე ერთი უბედურე-  
ბა შემემთხვა: ვირთხებმა გემბანიდან ცხვარი მომპარეს; ხვრელში  
მისი ძვლებიდა ვიპოვე, რომელიც ერთიანად დაელრღნათ, სხვა სა-  
ქონელი უვნებლად ჩავიყვანე. ნაპირზე რომ გადავუდი, ისინი საბა-  
ლახოდ გაუშვი გრინვიჩის საბურთაო მოედანზე. ნორჩ და ცვრიან  
ბალახს მაღიანად შეექცნენ. მართალი გითხრათ, სრულიად არ მო-  
ველოდი, რომ მათი მოგზაურობა ასე ბედნიერად დასრულდებოდა.  
არა მგონია, ის ცხოველები ცოცხალი ჩამყოლოდა ინგლისში, კა-  
პიტანს რომ საუკეთესო ხარისხის ნამცხვარი არ მოეცა. ნამცხ-  
ვარს დაუფშვნიდი და წყალში ვურეკდი ხოლმე. გემზე ყოფნისას  
ასე ვკვებავდი. იმ მცირეოდენი დროის მანძილზე, რაც, იმჯერად,  
ინგლისში დაყავი, დიდი მოგება მომცა დიდებულების, წარჩინებუ-  
ლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ამ ცხოველების  
ჩვენებამ. ვიდრე მეორედ ვიმოგზაურებდი, ისინი ექვსას გირვანქა  
სტერლინგად გაყვიდე. შემდეგ, როდესაც მოგზაურობიდან და-  
ბრუნდი, გავიგე, ძალიან გამრავლებულიყვნენ, განსაკუთრებით კი  
ცხვრები, რაც ჩემი აზრით, დიდად შეუწყობს ხელს მაუდის მრეწ-  
ველობის შემდგომი აყვავების საქმეს, ვინაიდან ლილიპუტების ცხ-  
ვრის მატყლი მეტად ნაზია და ძვირადაც ფასობს.

ცოლ-შვილთან მხოლოდ ორი თვე გავატარე, რადგანაც ჩემი  
დაუოკებელი სურვილი, — მენახა უცხო ქვეყნები, — მოსვენებას  
არ მაძლევდა და მეტი დაყოვნება აღარ შემიძლო. ცოლს მშვენიერი

სახლი დაუქირავე რედრიფში და სახარჯოდ ათას ხუთასი გირვანქა სტერლინგი დაუტოვე. დარჩენილი თანხის ნაწილი ფულის სახით, ხოლო ნაწილი საქონლის სახით, თან წავიღე იმ იმედით, რომ შემდგომში დიდ ქონებას შევიძენდი. ჩემმა უფროსმა ბიძამ, ჯონმა, ეპინგის მახლობლად მიანდერძა მამული, რომელიც წელიწადში ოცდაათ გირვანქა სტერლინგამდე შემოსავალს მძღვედა. ჩემს დუქანს, „შავ ხარს“, რომელიც ფეტურ-ლეინზე მდებარეობდა, ამდენივე მოგება შემოჰქონდა. ამგვარად, დარწმუნებული ვიყავი, რომ ცოლ-შვილს მათხოვრულ მდგომარეობაში არ ვტოვებდი. ჩემი ვაჟიშვილი, ჯონი, რომელსაც ბიძამისის პატოცსაცემად დაუარქვი ეს სახელი, გრამატიკის სკოლაში დადიოდა და ჩინებულად სწავლობდა, ხოლო ქალიშვილი, ბეტი, რომელიც ახლა უკვე გათხოვილია და ბავშვები ჰყავს, ჭრა-კერვას სწავლობდა. ბოლოს, დავემშვიდობე ცოლს, ქალიშვილსა და ვაჟიშვილს. ყველანი ცხარე ცრემლს ვღვრიდით განშორებისას. მერე სამასი ტონის ტევადობის სავაჭრო გემს, „ედვენჩერსს“ მივაშურე. ეს გემი, რომლის კაპიტანიც იყო ჯონ ნიკოლასი ლივერპულიდან, ინდოეთის ქალაქ სურატისაკენ მიემართებოდა.

მაგრამ, ამ მოგზაურობის ამბებს ჩემი წიგნის მომდევნო ნაწილში მოვითხრობთ.

## ნაწილი მეორე

### მოგზაურობა ბრობდინგნაგში

#### თავი პირველი

ძლიერი ქარიშხალი. კარაპის გაგზავნა სასმელი წყლის მოსატანად. აუტორი მიჰყვება მას ქვეყნის დათვალიერების მიზნით ნაპირზე მარტო დარჩენილს ერთ-ერთი ადგილობრივი მკვიდრი დაიჭერს და ვილაც გლუქის სახლში მიიყვანს. მისი მიღება და ამასთან დაკავშირებული თავგადასავლები. ადგილობრივ მკვიდრთა აღწერა.

ბუნებამ და ბედმა თითქოსდა აქტიური, მოუსვენარი ცხოვრებისათვის გამაჩინა. სამშობლოში ორი თვის დაბრუნებული არც კი ვიყავი, რომ 1702 წლის 20 ივნისს დაუნსიდან გემ „ედვენჩერსით“, რომელსაც კაპიტნად ლივერპულელი ჯონ ნიკოლასი ჰყავდა, სურათში გავემგზავრე. კეთილი იმედის კონცხამდე ზურგის ქარით ვიარეთ იქ სასმელი წყლის ასაღებად შევჩერდით. მაგრამ აღმოჩნდა, რომ გემში წყალი აღწევდა. ტვირთი ნაპირზე გადავიტანეთ და დავიზამთრეთ კაპიტანი ციებ-ცხელებამ შეიპყრო და კონცხიდან გასვლა მარტის ბოლომდე ვერ მოახერხეთ. შემდეგ აფრა აუშვით და მადაგასკარის სრუტეს მშვიდობით მივალწიეთ. კუნძულის ჩრდილოეთ მხრისკენ გვქონდა გეზი აღებული და, ვიდრე სამხრეთ განედის მჭუთე გრადუსამდე მივალწევდით, იქაური ქარი, ჩვეულებრივ ზომიერად რომ ქრის ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის დეკემბრის დასაწყისიდან მაისის დასაწყისამდე, ერთბაშად ქარიშხლად გადაიქცა და საშინელი სიმძაფრით გადაგვიქროლა დასავლეთიდან; ოცი დღე განუწყვეტლივ ბობოქრობდა ქარტყბილი. ამასობაში კი, როგორც კაპიტანს გამოანგარიშებამ უჩვენა, მოლუკას კუნძულის აღმოსავლეთით და ეკვატორიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით სამ გრადუსზე გაგვიყვანა. ორ

მაისს ქარი ჩადგა და ზღვა დაწყნარდა, ამან, მართალი გითხრათ, ძალზე გამახარა. მაგრამ კაპიტანმა, რომელსაც მრავალი წელი გაეტარებინა ნაოსნობაში და დიდი გამოცდილებაც შეეძინა, გვიბრძანა ისევ მოემზადებულიყავით ქარიშხლისათვის. მართლაც, იგი მეორე დღესვე ამოფარდა. ეს იყო ჩრდილოეთის ქარი, რომელსაც მუსონს ეძახიან.

როცა შევნიშნეთ, რომ გრიგალი ძლიერდებოდა, ბლინდი ავიღეთ და ფოკის ასაღებადაც გავემზადეთ ამინდი კიდევ უფრო წახდა. გავსინჯეთ, კარგად იყო გამაგრებული თუ არა ქვემეხები და ბიზანი მოვხსენით. ქარი მიაქანებდა გემს, ამიტომაც უმჯობესად ჩავთვალეთ მიწნობადი დინებას და წინააღმდეგობა არ გაგვეწია. ქვედა აფრა შევაფიწროეთ, ფოკაშკოტი კიჩოზე მივამაგრეთ. საჭე ქარის მიმართულებით ავიღეთ, იგი მშვენიერად მუშაობდა. რიფი მოვაცილეთ ფოკანირალს, მაგრამ მან იალქანი მაინც გაგვიხია. მაშინ რეი ჩამოვუშვით და იალქანიდა მთელი ტაკელაჟი მოვხსენით. მართლაც უძლიერესი გრიგალი ქროდა, ტალღები არაჩვეულებრივ სიმაღლეს აღწევდა. რუმპელი გავამაგრეთ, რათა მესაჭისათვის მართვა გაგვეადვილებინა. სტენგი არ დაგვიშვია, მაგრამ დავტოვეთ მთელი აღჭურვილობა, რადგანაც გემი ქარის მიმართულებით მიდიოდა და ჩვენ წინ ღია ზღვა იყო. როცა გრიგალი ჩადგა, გროტ ფოკი აღვმართეთ — გემმა დრეიფი დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ აღვმართეთ იალქანი, დიდი და პატარა მარსელი. ჩრდილო-აღმოსავლეთით უნდა წავსულიყავით, ქარი კი სამხრეთ-დასავლეთიდან ქროდა. ქარის მხარეზე ბრასები და ტინენანტები შევასუსტეთ, ქარის საწინააღმდეგო მხარეზე კი — მოვუჭირეთ. მანევრირებას იალქნის დახმარებით ვაწარმოებდით და იმდენი დავტოვეთ, რამდენსაც ანძები აიტანდა<sup>1</sup>.

ქარიშხალმა და მის კვალდაკვალ მოყოლილმა გრიგალმა, ჩემი გამოანგარიშებით, ხუთასამდე ლიგის მანძილზე გადაგვტყორცნა აღმოსავლეთით, ისე, რომ ყველაზე გამოცდილი მეზღვაურიც ვერ იტყოდა ამჟამად დედამიწის რა ნაწილში ვიმყოფებოდით. სურსათ-სანოვაგე საკმაოდ გვექონდა, გემს ზიანი არ მოსვლია და მეზღვაურებიც ჩინებულად გრძნობდნენ თავს. მაგრამ ჩვენი უბედურება ის იყო, რომ სასმელი წყალი გველეოდა. გადავწყვიტეთ გეზი არ შეგვეცვალა;

<sup>1</sup> ქარიშხლის სურათის აღწერის დროს, სვიფტი დასცინის თავის თანამედროვე სათავგადასავლო წიგნებსა და რომანებში საზღვაო ტერმინების ჭარბად გამოყენებას.

ჩრდილოეთისაკენ რომ გადაგვჭვია, შესაძლებელი იყო დიდი სათათრეთის<sup>1</sup> ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ან ყინულოვან ზღვაში მოგხვედრილიყავით.

1703 წლის 16 თვის სტენგაზე<sup>2</sup> მყოფმა იუნგამ მიწას მოჰკრა თვალი. 17 თვის ჩვენ წინ აღიმართა უზარმაზარი კუნძული თუ მატერიკი (არ ვიცოდით, რა იყო იგი). მის სამხრეთ მხარეზე მიწის ვიწრო ზოლი და ყურე მოჩანდა. ეს უკანასკნელი იმდენად მარჩხი იყო, რომ მასში ას ტონაზე მეტი წყალწყვის გემი ვერ შევიდოდა. ბოლაზიდან ერთი ლიგის მანძილზე ჩაუშვით ღუზა. კაპიტანმა თორმეტიოდე თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული მეზღაური გაგზავნა წყლისათვის კარაპით<sup>3</sup>, თუ ვინიცობაა, ხმელეთზე სადმე აღმოაჩენდნენ მას. მე მათთან ერთად წასვლის სურვილი განვაცხადე, მინდოდა დამეთვალიერებინა ხმელეთი და ეს დღემდე უცნობი ადგილი შეძლებისამებრ შემესწავლა. ხმელეთზე გავედით, მაგრამ ვერსად ვერც მდინარე ვნახეთ და ვერც წყარო. მოსახლეობის ნიშანკვალიც არსად ჩანდა. ჩვენი მეზღაურები დაუყვნენ ზღვის სანაპიროს, იქნებ სადმე მტკნარ წყალს წავაწყდეთო. მე კი მოპირდაპირე მიმართულებით თითქმის მთელი ერთი ლიგი გავიარე. მიწა უდაბური და კლდოვანი აღმოჩნდა. რაკი ჩემი ცნობისმოყვარეობა არაფერმა მიიზიდა, მოგბრუნდი და ნელი ნაბიჯით ყურისკენ გამოვსწიე. ჩემ წინ ზღვა ფართოდ გადაშლილიყო. გავიხედე და რა დავინახე! ჩვენები კარაპში ჩამსხდარიყვნენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ნიჩბებს უსვამდნენ, რომ როგორმე საჩქაროდ მიეღწიათ ხომალდამდის. ალბათ ხმას ვერც კი მივაწვდენდი, მაგრამ მაინც ის-ის იყო უნდა დამეძახა, რომ დავინახე ერთი უშველებელი არსება, რომელიც ზღვა-ზღვა საოცარი სისწრაფით მისდევდა ჩვენებს. წყალი მუხლამდე არც კი სწვდებოდა, რაღაც არაჩვეულებრივად ფართო ნაბიჯებს დგამდა, მაგრამ ჩვენები მისგან ნახევარი ლიგით მაინც იყვნენ დაშორებულნი. ამავე დროს, ზღვის ფსკერი მოფენილი იყო წაწვეტილი ქვებით და, როგორც შემდეგში მიაძბეს, გოლიათმა ამიტომაც ვერ შეძლო კარაპს დასწეოდა. ამ საშინელმა სანახაობამ პირდაპირ შემაძრწუნა, უკან გამოგბრუნდი და,

<sup>1</sup> დიდი სათათრეთი — აზიის იმ ნაწილის ძველი სახელწოდება, სადაც ამჟამად მონღოლეთი და ჩინეთი მდებარეობს.

<sup>2</sup> სტენგა — ანძის ზემო ნაწილი.

<sup>3</sup> კარაპი — დიდი მრავალნიჩბიანი ნავი.

რაც შემეძლო, გავიქეცი. ბოლოს, ერთ მაღალ გორაკზე ავცოცდი, საიდანაც საკმაოდ ფართო ხედი იშლებოდა. მიწები დამუშავებული იყო. ჩემს გაცეხებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შევნიშნე, რომ თოვისთვის განკუთვნილ ნაკვეთებზე ბალახის სიგრძე ოც ფუტამდე მაინც აღწევდა.

ფართო შარაგზაზე გავედი, ყოველ შემთხვევაში, მე მეჩვენებოდა ფართოდ, თორემ, როგორც შემდეგ დაერწმუნდი, ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის იგი მხოლოდ და მხოლოდ ქერის ყანაში შესასვლელი ვიწრო ბილიკი გახლდათ. აქ ერთხანს ვიარე, მაგრამ ვერაფერი დავინახე, რადგანაც მკის დრო მოახლოებულიყო და პურეულს სულ მცირე, ორმოცი ფუტის სიმაღლისათვის მაინც მიეღწია. ვიდრე ბოლომდე გავიდოდი, მთელი საათი ვიარე. ყანას გარშემო სულ ცოტა, ას ოცი ფუტი სიმაღლის ღობე ერტყა და ისეთი უზარმაზარი ხეები ჰქონდა შემოვლებული, რომ, მართალი გითხრათ, ვერასგზით ვერ განმესაზღვრა მათი სიმაღლე. მომდევნო ყანაში გადასასვლელად საჭირო იყო ერთი უშველებელი კიბის ავლა, რომელსაც ოთხი საფეხური ჰქონდა. ზვეით რომ ახვიდოდი, უზარმაზარი ქვა იდო და იმაზეც უნდა გადაგებიჯებინა. ჩემთვის ყოვლად შეუძლებელი იყო ამ კიბეზე ასვლა, ვინაიდან თითოეულ საფეხურს ექვსი ფუტი სიმაღლე ჰქონდა, ხოლო ზემოთ დაკიდებული ქვის სიმაღლესაც ოც ფუტს მისხალი არ დააკლდებოდა. ის-ის იყო, ძებნა დავიწყე, იქნებ ღობეს სადმე ჭუჭრუტანა ჰქონდეს-მეთქი, რომ უეცრად მეორე გოლიათი დავინახე, ჩვენებს ზღვა-ზღვა რომ მისდევდა. მეზობელი ყანიდან წამოსული სწორედ ღობისაკენ მოაბიჯებდა თავისი გიგანტური ნაბიჯებით. ჩვეულებრივი სამრეკლოს სიმაღლე მაინც იქნებოდა და, რამდენადაც შემეძლო განმესაზღვრა, მისი ყოველი ნაბიჯი ათ იარღზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. გაცეხებითა და შიშით მოცული, პურის ყანისაკენ გავიქეცი დასამალაჲდ. გოლიათი კიბეზე ავიდა და ხელმარჯვნოვ ყანას გადააულო თვალი. მერე იმდენად ხმამაღლა დაუწყო ვილაცას ძახილი, რომ მასთან შედარებით ჩვენი ყველაზე ხმამაღალი ძახილიც ჩურჩულად მოგეჩვენებოდა. ისე გრგვინავდა იგი, რომ თავდაპირველად ჭექა-ქუხილი მეგონა. მის შეძახილზე კიდევ შვიდი გოლიათი გამოჩნდა. ყოველ მათგანს ხელში ეჭირა ნამგალი, რომელიც ჩვენებური ექვსი ცელის სიღიდის მაინც იქნებოდა. ამათ დამძახებელზე გაცილებით უარესად ეცვათ და ალბათ მისი მსახურები ან

მოჯამაგირეები უნდა ყოფილიყვნენ. ასეთ დასკვნამდე იმ გარემოებამ მიმიყვანა, რომ, როგორც კი რამდენიმე სიტყვა უთხრა, მაშინვე იმ ყანის მკას შეუდგნენ, რომელშიც შიშისაგან გულგაღებული ვიმალებოდი. რაც შემეძლო შორს წავედი, მაგრამ სიარული მეტისმეტად გამიძნელდა. ქერი ერთმანეთისაგან ერთი ფუტით არც კი იყო დაცილებული და მათ შორის გაძრომას ძლავს ვახერხებდი. მაინც, როგორც იქნა, ყანის იმ ნაწილამდე მივალწიე, სადაც ქარსა და წვიმას ყანა წაქწვინა. იქ ნაბიჯიც ვერ წავდგი წინ, რადგანაც ქერი ერთმანეთზე ძლიერ იყო გადახლართული და შიგ გაძრომას შეუძლებელს ხდიდა. წაწვენილი თავთავების პწკალებიც სადგისოვით მესობოდა. ამავე დროს, სულ რაღაცა ას იარდზე, ჩემ უკან, მკვლელების ხმა შემომესმა. დაღლილობისა და სვედა-დარდისაგან მიოსებული კვალში ჩავწევი და ვინატრე ჩემს გამწარებულ სიცოცხლეს ბოლო მოჰღებოდა. მეცოდებოდა დაქვრივებული ცოლი და დაობლებული ბავშვები. სინდისი მქენჯნიდა, მეგობრებისა და ნათესავების რჩევა-დარიგებას ყური რომ არ ვათხოვე, სისულელე და შეცდომა ჩავიდინე, ხელახლა გამოვემგზავრე და ჩემივე ხელით რომ დავიღუპე თავი. სასოწარკვეთილებაში ჩაუარდნილს არ შემეძლო არ მეფიქრა ლილიპუტებზე, რომელთა თვალშიც მე სწორუპოვარ სასწაულად მოეჩანდი; რომელთა ქვეყანაშიც მთელი საიმპერატორო ფლოტი მე ერთმა წამოვართიე და სადაც უამრავი საოცრება ჩავიდინე, რომლებიც სამუდამოდ ჩაიბეჭდა მათი იმპერიის მატრიანეში; შთამომავლობა მაშინაც კი არ დაიჯერებს ამ ამბავს, მილიონობით ახლანდელმა მცხოვრებმა რომ დაიფიცოს, ყოველივე ეს ჩვენი თვალთ გვინახავს და სრული სიმართლეაო. წარმოვიდგინე, რამდენად შეურაცხყოფელი იქნებოდა ჩემთვის, ამ გოლიათებში ისეთივე პაწაწკინტელა რომ გამოეჩინილიყავი, როგორიც ლილიპუტი გამოჩნდებოდა ჩვენში. და მაინც, ჩემი აზრით, ეს არ იყო ყველაზე დიდი უბედურება, რაც მე ამ ხალხში მელოდა. ცნობილია, რომ თუ ადამიანი ბოროტია, მისი სისასტიკე სხეულის სიდიდესთან ერთად იზრდება და თუ ეს მართლა ასეა, კარგს რას უნდა დაჯლოდებოდი ამ გოლიათი ბარბაროსებისაგან? რომელსაც უნდა მოეხვედროდი ხელში, ცხადია, ერთ ლუკმადაც არ ვეყოფოდი. უეჭველად მართალი არიან ფილოსოფოსები, როდესაც ამბობენ, რომ დიდი ან პატარა არ არსებობს სხვა საგნებთან შედარების გარეშე. ვინ იცის, შესაძლოა ოდესმე ბედმა კეთილინებოს და ლილიპუტებსაც ანახვოს



ხალხი, რომელიც ისეთივე ერთი ციციქნა არსება იქნება მათ თვალში, როგორადაც მე ლილიპუტები მეჩვენებოდა. ისიც ხომ შესაძლებელია, რომ ეს უშველებელი გოლიათებიც პაწაწკინტელა არსებებად მოეჩვენოთ ქვეყნიერების რომელიმე დღემდის უცნობ შორეულ ნაწილში? ამ ფიქრებით გაბრუებული და შეშინებული კვალში რომ ვიწევი, ერთ-ერთი მომკვლი ათ იარღზე მომიახლოვდა და კიდევ ერთი ნაბიჯიც რომ გადმოედგა, ან ფეხით გამსრუსდა, ან თავისი ნამგლით ორად გამჭრიდა. ამიტომაც, ის-ის იყო, ნაბიჯი უნდა გადმოედგა, რომ, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვიყვირე. გოლიათმა მოკლე ნაბიჯი გადმოედგა, მიმოიხედა გარშემო, მერე ძირს დაიხედა და, ბოლოს, როგორც იქნა, თვალი მომკრა მიწაზე გაწოლილს. ერთხანს შემომცქეროდა ისეთივე სიფრთხილით, როგორც ჩვენ ვიქცევით ხოლმე, როდესაც პატარა და უცხო ცხოველს ვკიდებთ ხელს, რადგანაც გვეშინია არ გვიკბინოს ან არ დაგვკაწროს. ასე მე სწორედ სინდიოფალას თუ ვეპყრობოდი ინგლისში. ბოლოს გაბედა, წელზე წამკვლო ცერი და საჩვენებელი თითი, ამიყვანა და თვალთაგან სამი იარღის მოშორებით გამაჩერა, რათა გულდასმით დაეთვალიერებინა ჩემი აღნაგობა. მაშინვე მოვხვდი, რა ედო გულში და ის გონიერება მოვიხმარე, რომ არაფერითაა წინააღმდეგობა არ გაუწვიე, თუმცა სამოცი ფუტის სიმაღლეზე მაინც ვყავდი აყვანილი და თითებს ისე მიჭერდა, თითქოს ნეკნები მარწუხებში მომიქციესო: როგორც ჩანდა, ეშინოდა არ გავსხლტომოდი. მართლაც ის გაგებდე, რომ მზისაკენ მივაპყარი თვალები, ხელები ვედრებით დავიკრიფე და ჩემი მდგომარეობის შესაფერისი რამდენიმე სიტყვა წარმოეთქვი მორჩილად. ძალიან მეშინოდა, ხელი არ მოექნია უცაბედად და მიწაზე არ დავენარცხებინე, როგორც ჩვენ ვიქცევით ხოლმე რომელიმე პატარა და საზიზღარ არსებას, როდესაც მისი მოსპობა გვინდა. მაგრამ არა, ბედის ვარსკვლავმა არ გამწირა. როგორც ეტყობოდა, ჩემი ხმითა და საქციელით ძლიერ დაინტერესდა და, ამიტომაც, უფრო გაზრდილი ცნობისმოყვარეობით დამიწყო ყურება... ჩანდა, გოცმებული იყო, რომ მე დანაწევრებულად, ადამიანოვით ვმეტყველებდი, თუმცა ჩემი ნათქვამისა არაფერი გაგებოდა. ამასობაში იბულებული გავხდი კვანთა-გოდებას მოწყობლოდი, ცხარე ცრემლები მეღვარა და იქით-აქეთ მეტრიალებინა თავი, რათა როგორმე მიმეხვედრებინა იგი, თუ რა მაგრად მაჭერდა გვერდებში მისი ცერი და საჩვენებელი თითი. როგორც ჩანს, მიმიხვდა, რადგან-

ნაც ხიფთანის კალთა აიკეცა, ზედ დამსვა და მაშინვე თავის ბატონთან გამაქცია: — ეს სწორედ ის ფერმერი გახლდათ, რომელსაც ყანაში ყველაზე ადრე მოკარი თვალი.

როგორც მათი საუბრიდან დაესკვენი, ფერმერმა მოისმინა, სად და რა ვითარებაში მიპოვა მისმა მსახურმა, შემდეგ ჩვენი საბიჯგი ჯოხის სიმსხო ჩალის ღერო აიღო და მისი დახმარებით ხიფთანის კალთები ამიწია, ალბათ ეგონა, ეს იყო ბუნების მიერ მონიჭებული რალაცა საბურველი. მერე ქოჩორზე სული შემიბერა, რათა სახეზე კარგად დავეთვალიერებინე. ჩემი თვალიერება რომ დაასრულა, თავი მოუყარა მოჯამაგირეებს და როგორც შემდეგში გავიგე, გამოჰკითხა, კიდევ ხომ არ ჰყავდათ ნანახი ყანებში ჩემი მსგავსი პაწაწინა არსებები. მერე ფრთხილად დამსვა. მე მაშინვე წამოვხტი და ნელი ნაბიჯებით გავიარ-გამოვიარე, რათა ისინი დამერწმუნებინა იმაში, რომ გაქცევას სულაც არ ვაპირებდი. ჩემი მოძრაობისთვის თვალყურის სადევნებლად ისინი გარშემო შემომისხდნენ. შლაპა მოვიხადე და ფერმერს მდაბლად დავუკარი თავი, მერე დავიჩოქე, ხელები აღემართე, თვალეები ცისკენ აღვაპყრე და რაც შემედლო ხმამაღლა წარმოვთქვი რამდენიმე სიტყვა. ჯიბიდან ოქროთი სავსე ქისა ამოვიღე და ფერმერს მორჩილად გაუწოდე. მან ხელისგულზე დაიდო იგი, მერე თვალთან ახლოს მიიტანა, რომ გაესინჯა რა იყო, ბოლოს სახელოდან ქინძისთავი მოიხსნა და მისი წვერით რამდენჯერმე გადაატრიალ-გადმოატრიალა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გაიგო, რა იყო. მაშინ ვანიშნე, დაბლა ჩამოეწია ხელი.. ქისა გამოვართვი, გავხსენი და ოქროები ხელისგულზე დავუყარე. იგი შეიცავდა ექვს ესპანურ ოთხპისტოლიან<sup>1</sup> ფულს და ოც-ოცდაათიოდე წვრილ მონეტასაც. ფერმერმა ნეკი ნერწყვით დაისველა და ყველაზე დიდი მონეტა აიღო, შემდეგ მეორეც მიაყოლა, მაგრამ, როგორც ჩანდა, ვერ გაიგო, რა იყო. შემდეგ მანიშნა, ფულები ისევ ქისაში ჩამეყარა და ქისა ხელახლა ჯიბეში ჩამედო. რამდენჯერმე შევთავაზე მიეღო საჩუქრად, მაგრამ იუარა და ბოლოს მეც მიზანშეწონილად ჩავთვალე დავმორჩილებოდი.

ამასობაში ფერმერი დარწმუნდა, რომ მე გონიერი არსება ვიყავი. მესაუბრებოდა კიდევც. მისი ხმა წყლის წისქვილის ხმაურივით ჩამეს-

<sup>1</sup> პისტოლი — ძველებური ოქროს ფული ესპანეთში, იტალიაში, პორტუგალიაში, საფრანგეთსა და ბრაზილიაში. ხმარებიდან მე-18 საუკუნეში გამოვიდა.

მოდა ყურში, თუმცა სიტყვებს საკმაოდ მკაფიოდ გამოთქვამდა. რაც შემდეგ ხმამაღლა ვპასუხობდი, თანაც სხვადასხვა ენაზე. ფერმერს ყური ორი იარდის სიახლოვეს მოჰქონდა ჩემთან, უკეთ რომ გავეონა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, ერთმანეთს ვერაფერი გაუგებინეთ. მერე მან მოჯამაგირეები სამუშაოდ გაგზავნა, თვითონ კი ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ორად დაკეცა და ხელისგულზე გაშალა, მერე ხელი მიწამდე დაუშვა და მანიშნა, ზედ შედექიო. ეს ჩემთვის არცთუ ისე ძნელი იყო, რადგანაც ფერმერის ხელის სისქე ერთ ფუტს არ აღემატებოდა. მე ჩემს მოვალეობად მივიჩნეო და შემორჩილებოდი და რომ არ გადმოვარდნილიყავი, მთელი ტანით გავწექი ცხვირსახოცზე. ფერმერმა ცხვირსახოცის კიდეები გადამაფარ-გადმომაფარა, რათა არაფერი მომსვლოდა და ასე გახვეული წამიყვანა თავის სახლში. იქ ცოლს მოუხმო და უჩვენა, აი, რა მოვიყვანეო. ქალმა ჩემს დანახვაზე ისე იკოვლა და გაიქცა, როგორც ინგლისელი დედაკაცები სჩადიან ამას გომბეშოს ან ობობას დანახვისას. მაგრამ, როცა დაინახა, როგორ ვიქცეოდი და რა კარგად ვიგებდი, თუ რას მანიშნებდა მისი ქმარი, დამშვიდდა, მოგვიახლოვდა და ფერება დამიწყო. დღის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა მსახურმა სადილი შემოიტანა. ის წარმოადგენდა საქონლის ხორცის დიდ ნაჭერს (როგორც მიწათმოქმედის სადა ცხოვრების წესს ეკადრებოდა), რომელიც ოცდაათხი ფუტი დიამეტრის ლანგარზე იდო. ოცდაათი ფუტი სიმაღლის მაგიდას გარს შემოუსხდნენ ფერმერი, მისი მეუღლე, სამი ბავშვი და მოხუცი ბებია. ფერმერმა ხელში ამიყვანა და მის წინ მაგიდაზე დამსვა. შემეშინდა ასეთი სიმაღლიდან არ გადმოვარდნილიყავი და ამიტომაც, რაც შემდეგ, შორს გავცილდი კიდეებს. ფერმერის ცოლმა მომიჭრა ხორცის პატარა ნაჭერი, პურიც დამიფუშვნა და თუფშით წინ დამიდო. მას მდაბლად დაუუკარი თავი, მერე ჩემი დანა-ჩანგალი ამოვიღე და ჭამას შევუდექი, რამაც ჩემს მასპინძლებს დიდი სიამოვნება მოჰკვარა. დიასახლისმა მოახლე ქალს პაწაწინა ჭიქის მოტანა უბრძანა. მასში ორ გალონამდე<sup>1</sup> ჩადიოდა. დიასახლისმა რაღაც სითხით გაავსო იგი და მომაწოდა. ორი ხელით ძლივს ჩამოვართვი. ინგლისურ ენაზე რაც შემდეგ ხმამაღლა ვაღიგებოდი დიასახლისი. ამან მასპინძლებში ისეთი ხარხარი გამოიწვია, რომ მათმა ხორხოცმა კინაღამ დამაყრუა. სასმელს

<sup>1</sup> გალონი — სითხის საზომი, უდრის 4,5 ლიტრს.

ვაშლის ბურახის გემო ჰქონდა და სასიამოვნო დასალევი იყო. სახლის პატრონმა მანიშნა, მის თუფშთან მივსულიყავი. მაშინვე დავემორჩილე, მაგრამ, რაკი მთელი ამ ხნის განმავლობაში მეტისმეტად აღელვებული და გოცეებული ვიყავი, რასაც გულმოწყალე მკითხველი ადვილად მიმიხვდება და არ გამკიცხავს, — მაგიდაზე დაჯდომილ პურის ქერქს ფეხი წავკარი და ზღართანი მოვადინე, მაგრამ, ჩემდა ბედად, არაფერი დამშავებია. როცა დავინახე, რომ ჩემი კუთილი მასპინძელი საშინლად შეაწუხა ამ უბედურმა შემთხვევამ, მკვირცხლად წამოვხტი, ავიღე შლაპა (რომელიც ილლიის ქვეშ მქონდა ამოჩრილი, ზრდილობის გულისათვის), თავს ზემოთ დავიქნიე და სამჯერ შევძახე — „ვაშა“, რათა მასპინძელი მიმეხვედრებინა, რომ არაფერი მომსვლია, მაგრამ აი ჩემი მასპინძლის (ამიერიდან მას მუდამ ჩემს მასპინძელს დავუძახებ), უმცროსმა ვაჟმა, ათიოდე წლის ცელქმა ბიჭუნამ, რომელიც მამამისს გვერდით ეჯდა, ფეხებით ამიყვანა და ისე მალლა ამწია ჰაერში, რომ შიშისაგან მთელი ტანით ავცახცახდი. საბედნიეროდ, მამამისმა ჩემი თავი ხელიდან გამოსტაცა გაუგონარ ბავშვს და ისეთი ძლიერი სილა სტკიცა, რომ მთელ ვეროპულ ესკადრონს ჩამოყრიდა ცხენებიდან. ამავე დროს უბრძანა დაეტოვებინა სუფრა. მე შევშინდი, ვაითუ, ბავშვს ჩემდამი წყენა გულში სამუდამოდ ჩარჩეს-მეთქი, თანაც მომაგონდა ხანდახან რა უღმობლად ეპყრობიან ხოლმე ჩვენებური ბავშვები ბელურებს, ბაჭიებს, კნუტებსა და ლეკვებს, — ამიტომაც დავიჩოქე, ხელები ბავშვისაკენ გავიშვირე და რამდენადაც შეეძელი, ჩემს მასპინძელს გაგაგებინე, რომ ჩემი სურვილი იყო შვილისთვის ეს საქციელი ეპატიებინა. მასპინძელს ამან გული მოუღობო და ყმაწვილს ნება დართო ისევ შემოსჯდომოდა სუფრას. შერიგების ნიშნად ბავშვს ხელზე ვაკოცე. მასპინძელმა აიძულა შვილი ნაზად მომფერებოდა: თავზე გადაესვა ჩემთვის ხელი.

სადილობის დროს დიასახლისს კალთაში ჩაუხტა თავისი საყვარელი კატა. ჩემ უკან რაღაც ხმაური გაისმა, ასე გვეგონებოდათ, თორმეტიოდე ფეიქარი მუშაობსო. თავი მოვბრუნე და დავინახე, რომ ეს დიასახლისის კატა კრუტუნებდა. ის ჩვენებურ ხარზე სამჯერ დიდი უნდა ყოფილიყო, როგორც მისი თავისა და ერთადერთი თათის დანახვის შედეგად დაეასკვინი. დიასახლისი აჭმევდა მას და ნაზად ეფერებოდა. მაგიდის მეორე ბოლოში, მისგან ორმოცდაათი ფუტის მანძილზე ვიმყოფებოდი, მაგრამ ამ ცხოველის მპვინვარე გამომეტყველებამ შე-

მაძრწუნა. მართალია, ის დიასახლისის მაგრად ეჭირა ხელში, მაგრამ, რომ გასხლტომოდა, ერთი ნახტომით გაჩნდებოდა ჩემთან და კლანჭებს ჩამეულებდა. თუმცა, როგორც გამოირკვა, ტყუილად მეშინოდა. მასპინძელმა სამი იარღის მანძილზე მიმიყვანა კატასთან, მან კი ყურადღება არც კი მომაქცია. ხშირად გამიგონია და აგრეთვე საკუთარი გამოცდილებითაც ღრმად დაერწმუნდი, ჩემი ხანგრძლივი მოგზაურობის დროს, რომ, თუ მტაცებელ ცხოველს შეშინებული ზურგს უჩვენებ, იგი უეჭველად გამოგეკიდება და შემოგიტყვს. ამიტომაც ამ გასაჭირში ჩაგარდნილმა გადაწყვიტე, თავი ისე მომეჩვენებინა, თითქოს არავითარ შიშს არ ვგრძნობდი. ხუთ-ექვსჯერ გავუარე კატას წინ და ნახევარ იარღზე მიუახლოვდი; თითქოსდა ჩემი შეშინდაო, ფისომ უკან დაიხია. რაც შეეხება ძაღლებს, მათ მიმართ კიდევ უფრო ნაკლები შიში გამოვამჟღავნე, როცა სამი-ოთხი მაინც შემოვიდა, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება ხოლმე სოფლის სახლებში. ერთ-ერთი მათგანი მასტიფის ჯიშისა იყო, სიდიდით ორი სპილოს ტოლი იქნებოდა. მწვეარი კი მასზე მაღალი ჩანდა, თუმცა შედარებით გამხდარი აღნაგობა ჰქონდა.

როდესაც სადილი დასასრულს მიუახლოვდა, ოთახში ძიძა შემოვიდა, ხელში ერთი წლის ბავშვი ეჭირა. პატარამ, შემნიშნა თუ არა, ისეთი ტიკტიკი მორთო, რომ ლონდონის ხიდიდან ჩელსიშიც კი გაიგონებდით. იგი თავისი ბავშვური მეტყველებით მოითხოვდა სათამაშოდ ჩემს ხელში აყვანას. დედამისს შეებრაღა ბავშვი, ამიყვანა და ძუძუმწოვარას მიმცა ხელში. მან კი წელზე მაგრად შემომაჭლო თითები და ჩემი თავი პირში ჩაიღო. მე ღრიალი მოვრთე. ყვირილზე ბავშვი შეშინდა და ხელიდან გამაგლო. ისეთი სიმაღლიდან ჩამოვვარდი, რომ უთუოდ მოვიტეხდი კისერს, მაგრამ, საბედნიეროდ, დიასახლისმა წინსაფრის კალთა დამახვედრა. ატირებული ბავშვი რომ დაემშვიდებინა, ძიძამ ჩხარუნას მიმართა. ეს გახლდათ უშველებელი ცარიელი კასრი, რომელშიც მრავლად ყვარა დიდ-დიდი ქვები. იგი ბავშვს წელზე ბაწრით ჰქონდა მიბმული. მაგრამ ამან ვერ უშველა. ბოლოს ძიძა იძულებული გახდა ძუძუ მიეცა მისთვის.

ამ ქალის კანზე შემჩნეულმა ლაქებმა, ხორკლებმა და ღარებმა მომაგონა ინგლისელი ქალების მშვენიერი კანი, რომელიც ლამაზად, ეტყობა, მხოლოდ იმის გამო გვეჩვენება, რომ მათი პატრონები ბევრად მცირე ზომისანი არიან და მათ ხარვეზებს მხოლოდ გამადიდებელი შუშის საშუალებით თუ შეენიშნავთ ასეთი დაკვირვების შემდეგ

ყოველთვის ვრწმუნდებით იმაში, რომ თვით უთუთრესი და ურბილესი კანიც სინამდვილეში ტლანქი, სქელი და უხეშია.

მახსოვს, ლილიპუტების ქვეყანაში რომ ვიყავი, ის პაწაწინა ხალხი მთელი დედამიწის ზურგზე ულამაზეს არსებებად მიმაჩნდა. ერთხელ ამ საკითხზე ჩემს იქაურ მეგობარს, ფრიად განსწავლულ პიროვნებას, ვესაუბრე. მან მითხრა, რომ ჩემი სახე უფრო ლამაზად სწორედ მაშინ ეჩვენებოდა, როცა თვითონ მიწაზე იდგა და იქიდან შემომცქეროდა, ვიდრე მაშინ, როდესაც ხელში ავიყვანდი და ჩემ თვალწინ გაგაჩერებდი. პირველად ასეთი მდგომარეობიდან რომ დამინახა, თურმე მეტად საშინელი ვეჩვენე. მან ჩემს კანზე უზარმაზარი ნაჩერეტები შენიშნა. მისი აზრით, ჩემი თმის ღერი ტახის ჯაგარზე ათჯერ უფრო მსხვილი და უხეში იყო. ასევე მითხრა, რომ ჩემი კანი სხვადასხვა, ერთმანეთთან აშკარად შეუსაბამო და მყვირალა ფერად იყო აჭრელებული. არადა, უხერხული კია, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით არ შემიძლია არ მოგახსენოთ, რომ ჩემს სამშობლოში სილამაზით არავის ჩამოუვარდები და, თუმცა ბევრი ვიმოგზაურე, მზისაგან დამწვარი მაინცდამაინც არ გახლავართ იმ ლილიპუტს კი ყოვლად გონჯი და მახინჯი ვგონე. ამავე დროს სასახლის ბანოვანების შესახებ როცა ლაპარაკობდა, ხშირად მეუბნებოდა ხოლმე: ესა და ეს ჭორფლიანია, ამას და ამას დიდი პირი აქვს, ამას და ამას კი უშველებელი ცხვირიო. თუმცა, მე ვერც ერთს ვამჩნევდი, ვერც — მეორეს და ვერც — მესამეს. ყველაფერი ეს იმისათვის მოგახსენეთ, რომ მკითხველს ყალბი წარმოდგენა არ შეექმნას და არ იფიქროს, თითქოსდა გოლიათები მახინჯი, ცუდი გარეგნობის ხალხი იყოს. პირიქით, სიმართლეს არ დაუუკარგავ მათ და მოგახსენებთ, რომ ეს არის მართლაც მშვენიერი რასა. ჩემს მასპინძელს კი, თუმცა უბრალო ფერმერი გახლდათ, ძალზე პროპორციული სახის ნაკეთები ჰქონდა. ერთხელ სამოცი ფუტი სიმაღლიდან დავხედე და მისი სახე უაღრესად ლამაზად მომეჩვენა.

ნასადილევს მასპინძელი მოჯამაგირეებთან წავიდა და, როგორც მისმა ლაპარაკმა და ხელების მოძრაობამ მიმახვედრა, ცოლს დაუბარა, თვალისწინებით მოველო ჩემთვის. წარმოდგენილი გექნებათ, რამდენად დაღლილი ვიყავი, თანაც საშინლად მეძინებოდა. დიასახლისმა შენიშნა ეს, თავის ლოგინზე დამაწვინა და ზევიდან სუფთა, თუთრი ცხვირსახოცი გადამაფარა. ცხვირსახოციო გითხარით, თორემ დიდი სამხედრო ხომალდის აფრაზე უფრო სქელი და უხეში იყო.

ორიოდე საათი მეძინა და დამესიზმრა, თითქოს ჩემს ცოლ-შვილთან ვიყავი. ამან კიდევ უფრო გააღრმავა ჩემი მწუხარება, როდესაც გამოვიღვიძე და მარტოკა აღმოჩნდი უშველებელ ოთახში, რომელსაც სამასი ფუტი სიგრძე და ორასი ფუტი სიგანე ექნებოდა. მარტო საწოლის სიგანე ოც იარღს უდრიდა. დიასახლისი საოჯახო საქმეების გასაკეთებლად გასულიყო და ჩემთვის კარი ჩაეკეტა. საწოლი იატაკიდან რვა იარღით იყო ამაღლებული. ადგომა მინდოდა, მაგრამ ვერ ვბედავდი დამეძახა, ჩამომიყვანეთ-მეთქი. და, თუნდაც დამეძახა, ჩემს ხმას როგორ გაგწვდენდი ისეთ დიდ მანძილზე, რითაც ჩემი ოთახი სამზარეულოდან იყო დაშორებული. ამ ორჭოფულ მდგომარეობაში რომ ვიყავი, უეცრად დარაბიდან გამოძვრა ორი ვირთხა, გადმოვიდნენ ჩემს საწოლზე და თითქოს სუნი ეცათო, იქით-აქეთ დაიწყეს ცუნცული. ერთ-ერთი მათგანი ჩემს სახეს მოუახლოვდა. შეძრწუნებული წამოვარდი და თავის დასაცავად ხმალი ვიშიშველე. ამ საშინელმა ცხოველებმა იმდენი თავხედობა გამოიჩინეს, რომ ოროვე მხრიდან შემომიტიეს, ერთ-ერთმა მათგანმა წინა კლანჭებიც კი ჩამავლო საყელოში, მაგრამ, საბედნიეროდ, მანამდე გამოვუფატრე მუცელი, ვიდრე ჩემთვის რაიმე ზიანის მოყენებას მოასწრებდა. იგი ჩემს ფეხთან დაეცა. მეორემ, როგორც კი დაინახა რა ბედი ეწია მის ამხანაგს, თავს უშველა, მაგრამ გაქცეულს ზურგზე მძიმე ჭრილობა მივაყენე და სისხლი თქრიალით წამოუვიდა. ამ გმირობის ჩადენის შემდეგ საწოლზე ნელი ნაბიჯებით გავიარ-გამოვიარე, რათა სული მომეთქვა და დაუმშვიდებულიყავი. ვირთხები ჩვენებური დიდი, ქოფაკი ძაღლის ოდენები იყვნენ, მაგრამ გაცილებით მოხერხებულნი და მძვინვარენი. ასე რომ, ძილის წინ ხმალი რომ მომიქსნა, უთუოდ დამბრდღენდნენ და გადამსანსლაგდნენ. მოკლული ვირთხის კუდი გავზომე და აღმოჩნდა, რომ ორ იარღს მხოლოდ ერთი დუიმი აკლდა. გამბედაობა არ მყოფნიდა, ვირთხა, რომელსაც სისხლი სდიოდა, იატაკზე გადმოძვდო. აღმოჩნდა, რომ ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ კისერზე დაჟარტყი ხმალი და, როგორც იქნა, სული გააფრთხობინე.

ცოტა ხანში დიასახლისი შემოვიდა ოთახში და სისხლში ამოთხვრილი დამინახა თუ არა, მაშინვე ხელში ამიყვანა. მე მკვდარი ვირთხა ვუჩვენე, თანაც ვუღიმოდი და ვანიშნებდი, ზიანი არ მომსვლია-მეთქი. ამან დიასახლისი ძალზე გაახარა. მან მსახურს დაუძახა და უბრძანა მკვდარი ვირთხა მაშით აეღო და ფანჯრიდან გადაეგდო. მერე მაგიდაზე დამსვა. მე დასისხლიანებული ხმალი ვუჩვენე, კამზოლის კალ-

თაზე შევიწმინდე იგი და ქარქაშში ჩაუგე. ძალზე მომინდა იქ წასვლა, სადაც მეფენიც თავისი ფეხით მიდიან. ამიტომაც ვცადე როგორმე მიმეხვედრებინა დიასახლისი საწოლიდან ძირს ჩამოეყვინა. მან ჩემი თხოვნა შეასრულა. მაგრამ მრცხვენოდა მის თვალწინ რაიმე გამეკეთებინა და, სხვაგვარად რომ ვერაფერი მოვახერხებ, კარისაკენ მივუთითე, თანაც რამდენჯერმე თავი დაუკარი. როგორც იქნა, მიმიხვდა კეთილი დედაკაცი, რაც მინდოდა და ერთხანს მარტო დამტოვა.

იმედი მაქვს კეთილგონიერი მკითხველი მაპატიებს იმას, რომ ამგვარ წვრილმანებზე ვაჩერებ მის ყურადღებას. რამდენად უადგილოდ და უმნიშვნელოდ უნდა მოეჩვენოთ ეს წვრილმანები გაუნათლებელ და ხეპრე ადამიანებს, ესენი ერთგვარად მაინც დაქმნარება ფილოსოფოსებს გააღრმავონ თავიანთი ცოდნა, გაიფართონ ჰორიზონტი და გამოიყენონ იგი როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების სამსახურში. მეც ხომ, როგორც ამ წიგნში, ისე ჩემი სხვა მოგზაურობათა ანგარიშის წარმოდგენისას მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების კეთილდღეობისათვის ზრუნვას ვისახავ მიზნად; ამავე დროს, არასდროს მიცდია და არც ვეცდები სინამდვილე შევალამაზო და არც ცოდნითა და ენაშურობით ვაპირებ ვინმეს გაკვირვებას. მაგრამ ყველაფერმა, რაც მოგზაურობის დროს თავს გადაძხდა, ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ისე ღრმად ჩაჯდა ჩემს მეხსიერებაში, რომ მისი ქალაქზე გადატანის დროს, თუ რაიმე მნიშვნელოვანი იყო, არ გამომიტოვებია. და მაინც, კრიტიკულად რომ გადავიკითხე იგი, ბევრი ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილი ამოვშალე ჩემი თავდაპირველი ხელნაწერიდან, რადგანაც შემეშინდა, ვაითუ, მკითხველს მოსაწყენი მოეჩვენოს-მეთქი, რაშიც ხშირად არცთუ ისე უსამართლოდ სდებენ ბრალს მოგზაურებს.

## თავი მხორე

**ფერმერის ქალიშვილის აღწერა. ავტორი ჯერ მეზობელ ქალაქში მიჰყავთ შემდეგ კი დედაქალაქში. მგზაურობის ამბები.**

დიასახლისს ცხრა წლის ქალიშვილი ჰყავდა. ბავშვს მოზრდილის ჭკუა-გონება ჰქონდა, ჭრა-კერვა ძალზე ეხერხებოდა და თავის დედოფალებს თვითონ აცემდა. იმ დამისათვის დიასახლისმა და მისმა ქა-



ლიშვილმა დედოფალს აკვანში დამიგეს ლოგინი. აკვანი პატარა ყუთში ჩადეს, ხოლო ყუთი ჭურზე დაკიდებულ თაროზე მოათავსეს, რათა ჩემთვის ვირთხებს არაფერი ენოთ. სანამ ამ ხალხთან ვცხოვრობდი, სულ ამ საწოლზე მეძინა, მხოლოდ, რაც დრო გადიოდა, ის უფრო და უფრო მოხერხებული და კეთილმოწყობილი ხდებოდა, რადგანაც, რაც უფრო ვეუფლებოდი მათ ენას, ვაგებინებდი რა უფრო მჭირდებოდა და რა — არა. ეს გოგონა იმდენად ჭკუამახვილი გამოდგა, რომ მას მერე, რაც მის თვალწინ ერთი-ორჯერ გავიხადე და ჩავიცვი, შექმლო ჩაცმასა და გახდაში დამხმარებოდა, თუმცა ეს მისთვის არასოდეს მითხოვია და ჩემს თავს ამ მომსახურებას თვითონვე ვუწევდი. გოგონამ შეიღი პერანგი და ამდენივე სხვა თეთრეული შემიკრა ყველაზე თხელი ქსოვილისაგან, რაც იმ ქვეყანაში მოიძებნებოდა, მაგრამ იგი, მართალი გითხრათ, ჩვენებურ ხაშზე სქელი მაინც იყო. ამ საცვლებს იგი წარმარა მირეცხავდა. გოგონა ამავე დროს ჩემი მასწავლებლის როლსაც ასრულებდა: მასწავლიდა თავის მშობლიურ ენას. როცა რაიმე ნივთზე მიფიქრებდი, მის სახელს მეტყვოდა, ამნაირად რამდენიმე დღის შემდეგ ადვილად შემიძლო სიტყვიერად მომეთხოვა, რაც მომესურვებოდა. იგი გამოირჩეოდა გულკეთილობით, თავის წლოვანებასთან შედარებით დაბალი იყო, ამიტომაც მისი სიმაღლე თოთხმეტ ფუტს არ აღემატებოდა. მან სახელად გრილდრიგი შემარქვა. ეს სახელი ჯერ იმ ოჯახში, შემდეგ კი მთელ სამეფოში დამიმკვიდრდა. ეს სიტყვა იმასვე აღნიშნავს, რასაც ლათინური „Homunculus“, იტალიური „Homynceletino“ და ინგლისური „Mannikin“, ე.ი. ჩია კაცი.

ის გოგონა რომ არ შემხვედროდა, საეჭვოა, მათი ქვეყნიდან ცოცხალი დავბრუნებულებიყავი. მე მას ჩემს „გლუმდალკლიჩს“ ანუ პატარა ძიძას ვეძახდი და საზიზღარ უმადურობას გამოვიჩინდი, რომ აქ არ მეხსენებინა ის დიდი ზრუნვა და სიყვარული, რასაც იგი განუწყვეტლოდ იჩენდა ჩემდამი. ნეტავ შემიძლოს რამენაირად გადაუხადო ამაგი, თუმცა, გადახდა კი არა, ჩემდა უნებურად, მგონი მისთვის რისხვის დატყდომის ბრმა იარაღი შევიქენი.

მალე იმ მიდამოებში ხმა გავარდა, რომ ჩემმა მასპინძელმა ყანაში დაახლოებით სპლანკის (დაახლოებით ექვსი ფუტის სიგრძის იქაური ერთ-ერთი უმშვენიერესი ცხოველი) სიდიდის უცნაური ცხოველი იპოვა, რომელიც ძალიან ჰგავდა ადამიანს, და ამავე დროს, ყოველნაირად ჰბაძავდა მის ყოველ მოქმედებას; რომ იგი, როგორც ეტყობოდა,

ლაპარაკობდა თავის მშობლიურ ენაზე და რომ მან უკვე შეისწავლა რამდენიმე სიტყვის წარმოთქმა მათ ენაზე; რომ იგი დადიოდა ორ ფეხზე, იყო მოშინაურებული და თვინიერი, აკეთებდა, რასაც უბრძანებდნენ, არაჩვეულებრივად კარგი მოყვანილობა ჰქონდა და უფრო თეთრი და ნაზი იყო, ვიდრე დიდებულის სამი წლის ქალიშვილი. ჩემი მასპინძლის მეზობელმა ფერმერმა მოისურვა გაეგო, რამდენად მართალი იყო ეს ხმები და გვესტუმრა. მაშინვე გამომიყვანეს და მაგიდაზე დამსვეს. მე წინ და უკან მიმოვდიოდი, ვიღებდი ხმალს ქარქაშიდან და ვაგებდი მასში. ვესალმებოდი სტუმარს, მათ ენაზე ვეკითხებოდი, როგორ ბრძანდებით-მეთქი. თანაც დავძენდი, რომ მოხარული ვიყავი მისი ნახვით და ასე შემდგ. ერთი სიტყვით, ვაკეთებდი ყველაფერს, რასაც მიბრძანებდნენ და რაც უკვე მასწავლა ჩემმა პატარა ძიძამ. ის ფერმერი მოხუცი იყო და თვალთ აკლდა. ამიტომაც, უკეთ რომ დავენახე, სათვალე გაიკეთა. ამ დროს, მართალი გითხრათ, სიცილი ვერ შევიკავე, რადგანაც მისი თვალები სათვალეში ისე მოჩანდა, თითქოს ბადრი მთვარე ორფანჯრიან ოთახში იცქირებო. როცა ჩემმა მასპინძლებმა გაიგეს, რაზე ვიცინოდი, თვითონაც გულთანად გადაიხარხარეს. თუმცა, მოხუცი იმდენად მიუხვედრული აღმოჩნდა, რომ ჩვენი სიცილი შეურაცხყოფად მიიღო და გაბრაზდა. ის თურმე თავისი სიძუნწითაც იყო განთქმული, რაც იმიტაც გამოამყვანა, რომ მე, ამ უბედურებაში ჩაყარდნილი უმწეო არსებაც, არ დამინდო და ჩემს მასპინძელს ასეთი უაღრესად სულმდაბალი რჩევა მისცა: ბაზრობის დღეს მეზობელ ქალაქში, რომელიც ჩვენი სახლიდან ოცდაორი მილის, ე.ი. სულ რაღაცა ნახევარი საათის საგალზე მდებარეობდა, წავეყვანე და ხალხისთვის ვეჩვენებინე როგორც უცხო სანახაობა. როგორც კი დავინახე, რომ ჩემი მასპინძელი და მოხუცი ფერმერი დიდხანს ჩურჩულებდნენ და ხანდახან ჩემკენ იშვერდნენ თითქმის, მაშინვე მოვხვდი, რომ რაღაც უბედურება მომელოდა. შიშისაგან ისიც კი მომეჩვენა, თითქოსდა მათი ზოგიერთი სიტყვაც კი გაყარჩიე და მოვხვდი, რას მიშხადებდნენ. მარჩიელობა დიდხანს არ დამჭირვებია. მეორე დღით გლუმდალკლიჩმა, ჩემმა პატარა ძიძამ, ყველაფერი დაწვრილებით მიაგებო, რაც დიდი მოხერხებით წამოეცდნენებინა დედამისათვის. საბრალო გოგონამ გულზე მიმიკრა და მწუხარებისაგან მწარედ აქვითინდა. ეშინოდა, ვაითუ, რამე უბედურება შეემთხვია ჩემთვის ხერხე და გაუთლელ ხალხს; ხომ შეიძლებოდა ვინმეს ისე გაუფრთხილებლად წაველო ჩემთვის ხელი, რომ სიცოცხლეს გამოვესალმებინე.

ანდა რომელიმე სახსარი მოეტყება აყვანის დროს. მან აგრეთვე აღნიშნა, რა კეთილი ვიყავი ბუნებით, რა ღირსეულად მეჭირა თავი და რა შეურაცხყოფელი და დამამცირებელი იქნებოდა ჩემთვის ფულის გულისათვის უაღრესად მდაბიო ხალხის სანახაობად გადაქცევა. მითხრა, რომ დედ-მამა შეჰპირდა, გრილდრიგი შენი იქნებო, მაგრამ ახლაც შარშანდელაობით მოექცნენ, როცა კრავი აჩუქეს, ხოლო როგორც კი გაზარდა და გაასუქა, ყასაბს მიჰყიდეს. მე კი, გულწრფელად რომ ვითხრათ, ეს ამბავი ჩემს პატარა ძიძაზე ნაკლებ მათეჰრებდა. რატომღაც ღრმად მჯეროდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისევ მოვიპოვებდი თავისუფლებას. ამის იმედი მართლაც არასოდეს დამიკარგავს. ამავე დროს, რაკი ამ ქვეყანაში სრულიად უცხო ვიყავი, ამგვარი დამცირებისათვის, ცხადია, ვერაუინ გამკიცხავდა, თუ ვინიცობაა, ოდესმე ჩემს მშობლიურ ინგლისში დაუბრუნდებოდი, რადგანაც, თვით დიდი ბრიტანეთის მეფეც რომ ჩაუარდნილიყო ჩემს მდგომარეობაში, სულერთია, ამ დამცირებას ისიც ვერ აიცილებდა.

ჩემმა მასპინძელმა დაუჯერა მოხუცი ფერმერის რჩევას და, როგორც კი ბაზრობის დღე დადგა, მეზობელ ქალაქში წამიყვანა. მან თავისი ქალიშვილი, ჩემი პატარა ძიძაც, გამოიყოლა კოფოზე დასმული. ყუთი, რომელშიც მე ჩამსვეს, ყოველი მხრიდან დახურული იყო, მხოლოდ პატარა კარი ჰქონდა დატანებული ჩემთვის შესასვლელ-გამოსასვლელად და რამდენიმე სარკმელიც საჰაეროდ. გოგონამ შიგ თავისი დედოფალას საწოლი ჩადგა, რომელზეც შემეძლო რბილად დაეწოლილიყავი და მაინც, თუმცა მეზავრობა სულ რაღაც ნახევარი საათი გაგრძელდა, საშინლად დავიღალე და მოვითუნთუე, რადგანაც ცხენი ორმოცფუტბიან ნაბიჯებს ადგამდა და იმდენზე ადი-ჩადიოდა, რომ გრიგალში მოყოლილი ხომალდის იქით-აქეთ ხეთქებას მოგაგონებდათ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, ამ შემთხვევაში, ეს პროცესი გაცილებით უფრო ხშირი და თავბრუდამხვევი იყო. ჩვენ ცოტა მეტი გავიარეთ, ვიდრე ლონდონსა და სენტ-ალბანს შორის მანძილია. ჩემი მასპინძელი იმ სასტუმროსთან ჩამოხტა, სადაც თურმე ხშირად ჩერდებოდა ხოლმე. ერთხანს ეთათბირა სასტუმროს უფროსს, საჭიროებისამებრ მოეშადა, დაიქირავა გრულტრუდი, ე.ი. გამომცხადებელი, რომელსაც მთელი ქალაქისათვის უნდა ეცნობებინა, რომ სასტუმრო „მწვანე არწივში“ უჩვენებენ უცხო არსებებს, რომელიც სპლანკანისხელა არც კია, მაგრამ ყოველნაირად ჰგავს ადამიანს და მრავალ ოინს აკეთებს.

მე მაგიდაზე დამსვეს სასტუმროს ერთ-ერთ უდიდეს ოთახში, რომელიც სამასი კვადრატული ფუტი მანც იქნებოდა. ჩემი პატარა ძიძა მაგიდის ახლოს დაბალ ტაბურეტზე დადგა, რათა დავეცავი და ამავე დროს მიეთითებინა, რა უნდა გამეკეთებინა. მაგიდაზე გოგონას ბრძანებით მიმოვდიოდი. მან იცოდა, რამდენად ვიყავი მათ ენას დაუფლებული და ამის მიხედვითაც მაძლევდა კითხვებს. მეც, რაც შემიძლო ხმამაღლა ვპასუხობდი. რამდენჯერმე მიემართე დამსწრე საზოგადოებას; გამოუთქვი ჩემი პატოვისცემა მათდამი; მოვახსენე, რომ მოხარული ვიყავი მათი ნახვით, ასევე მიემართე სხვა სიტყვებითაც, რაც კი ნასწავლი მქონდა. გლუმდალკლიჩმა სასმისის ნაცვლად თავისი სათითური მომაწოდა, ის სასმლით გავავსე და ჩემი მნახველების სადღეგრძელო გადავკარი. ვიძვრე ხანჯალი და ჩვენებური ფარიკაობის მასწავლებლებით დავატრიალე. გლუმდალკლიჩმა ჩალის ნაჭერი მომცა ხელში და მე ისე წავიყარე იმით, თითქოსდა ლახვარი ყოფილიყოს; ამ ხელოვნებას ბავშვობიდანვე ვიყავი დაუფლებული. იმ დღეს თორმეტჯერ უჩვენეს ჩემი თავი ხალხის სხვადასხვა ჯგუფს და ყოველთვის ერთისა და იმავეს გამეორება მომიხდა. ბოლოს, ერთფეროვნებამ და დაღლილობამ ნახევრად მკვდარს დამამსგავსა. მნახველები ხალხს ათასგვარ საკვირველებას უამბობდნენ ჩემ შესახებ და ისინიც კარებს ამტვრევდნენ, რომ როგორმე შემოსულიყვნენ და დავენახე. ჩემი მასპინძელი, რომელსაც ეშინოდა, შემოსავლის წყარო არ დაჰკარგოდა, გოგონას გარდა არავის აკიდებინებდა ხელს ჩემთვის. უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, სკამები მაგიდის გარშემო ისე შორს დააწყვეს, რომ კაცი ვერ მოძწვდებოდა. მიუხედავად ამისა, ერთმა აბეზარმა მოსწავლემ თავში კაკალი დამიძინა და მესროლა. საბედნიეროდ, ამცდა, თორემ ისე მაგრად გამოსროლილი ჩვენებური გოგრის ტოლა კაკალი რომ მომხვედროდა, უთუოდ ტვინს გადმომანთხევინებდა. ჩემდა გასახარად, ცელქი ყმაწვილი მიჟეჟეს და ოთახიდან გააგდეს.

მასპინძელმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ როგორც კი დადგებოდა მეორე საბაზრო დღე, ისევე გამართავდა სანახაობას. ამასობაში უფრო მოხერხებული ეტლი მომიძნადა. ამისათვის საკმაო მიზეზი ჰქონდა: პირველმა მგზავრობამ ისედაც გამომაცალა არაქათი, რასაც მთელი რვა საათის ფეხზე დგომა და გულისგამაწყვალელებელი ოინბაზობა დაერთო, ძალაგამოლუული ფეხზე ძლავს ვიდექი და ხმის ამოდების თავი აღარ მქონდა. ძალ-ღონის ხელახლა მოსაკრებად მთელი სამი დღე და-

მჭირდა, თუმცა არც ამ ხანებში მქონდა მოსვენება, აზნაურიშვილებმა, რომლებიც ამ ქალაქიდან ასი მილის ფარგლებში ცხოვრობდნენ, როგორც კი ჩემი ამბავი გაიგეს, დაიწყეს სიარული ჩემი მასპინძლის სახლში. დღე ისე არ გავიდოდა, რომ ოცდაათი მნახველი მაინც არ მოსულიყო თავიანთი ცოლ-შვილით (ეს ქვეყანა ხომ ძალიან მჭიდროდაა დასახლებული). ჩემი მასპინძელი ამ ვითარებით სარგებლობდა და ხელს ითბობდა. მარტო ერთი ოჯახისათვისაც რომ ვეჩვენებინე, ქირას მაინც იმდენს იღებდა, რამდენსაც მაშინ, როცა ოთახი საესე იყო მაყურებლებით ამგვარად, ხანდახან, მთელი კვირის მანძილზე, ერთი წუთის დასვენება არ მქონდა (გარდა ოთხშაბათისა, რომელიც მათთან უქმე დღედაა მიჩნეული), თუმცა ქალაქში არ წავუყვანოვარ.

როცა ჩემმა მასპინძელმა დაინახა, რამდენი სარგებლობის მოტანა შეემძლო, გადაწყვიტა მათი სამეფოს უფრო მნიშვნელოვან ცენტრებში წავეყვანე. საქმეები მოაგვარა, შორი მგზავრობისთვის მოემზადა, ცოლს დაემშვიდობა და 1703 წლის 17 აგვისტოს, ჩემი ამ სამეფოში გამოჩენიდან ორი თვის თავზე, გავემგზავრეთ დედაქალაქში, რომელიც იმპერიის შუაგულში მდებარეობდა და ჩვენი სახლიდან დაახლოებით სამი ათასი მილით იყო დაშორებული. მასპინძელმა გლუმდალკლიჩიც თან წამოიყვანა. მე, წელზე მიბმულ ყუთში ჩასმული, კალთით მივყავდი ჩემს პატარა ძიძას. გოგონამ ყუთის კედელზე რაც შეიძლებოდა ურბილესი ქსოვილები გააკრა. იატაკზე ქეჩა დააგო, დედოფალას საწოლი დამიდგა, საჭირო საცვლებითა და თეთრეულით მომამარაგა. ერთი სიტყვით, შეძლებისამებრ კარგად და მოხერხებულად მომაწყო. მხოლოდ ერთი მოსამსახურე ბიჭი მოგვეყვებოდა, ბარგითა და სურსათით დატვირთული ცხენით.

ჩემს მასპინძელს განზრახული ჰქონდა გზადაგზა ყოველ ქალაქში ვეჩვენებინე, აგრეთვე შეეხვია ორმოცდაათი-ასი მილით დაშორებულ დიდ-დიდ სოფლებში, ანდა წარჩინებულთა ოჯახებში, სადაც იმედი ჰქონდა, მაყურებლებს იშოვიდა და ჯიბეს გაისქელებდა. ჩვენ ნება-ნება ვემგზავრობდით, დღეში ას ორმოც, ას სამოც მილზე მეტს არ გავდიოდით, რადგანაც გლუმდალკლიჩის ვეცოდებოდი და მამამისს შესჩიოდა, ესაო და ცხენით სიარულმა დამღალაო. ჩემი სურვილის თანახმად, ხშირად გამოყავდი ყუთიდან, რათა სუფთა ჰაერი ჩამესუნთქა და მიდამოები დამეთვალთვალებინა. ამასობაში, რომ არ გავკარდნოდი, ტანსაცმელზე მაგრად ჰქონდა ხელი წავლებული. ჩვენ

ხუთ-ექვს მდინარეზე გადაყვდით ისინი გაცილებით უფრო ფართო და ღრმა იყო, ვიდრე განგი. ისეთი პატარა ნაკადული არსად შეგვხვდრია, როგორცაა ლონდონის ხიდის ქვეშ გამაჟალი ტეშა. ათი კვირა ვიმგზავრეთ და ოთხმოც დიდ ქალაქში გავმართეთ სანახაობა, დიდ-დიდ სოფლებსა და წარჩინებულთა ოჯახებს კი ვინ მოთვლის.

ოქტომბრის 26-ში ჩაყვდით დედაქალაქში, რომელსაც იმათ ენაზე ლორბრულგრუდს ანუ ქვეყნიერების სიამაყეს ეძახდნენ. ჩემმა მასპინძელმა ბინა ქალაქის მთავარ ქუჩაზე, მეფის სასახლის ახლოს დაიქირაჟა და განცხადებები გამოაკრა, რომელშიც დაწვრილებით იყო აღწერილი ჩემი პიროვნება და ღირსებები. ბინას სამასი-ოთხასი ფუტის სიგრძის უზარმაზარი დარბაზი ეჭირა. მე დამიდგეს სამოცი ფუტის დიამეტრის მქონე მაგიდა, რომელსაც კიდევზე სამი ფუტის სიმაღლის ღობე ჰქონდა შემოვლებული, რათა გადმოყარდნის საშიშროება თავიდან აეცილებინათ. ხალხის გასაოცებლად და გასართობად დღეში ათჯერ გამოყვადით. ახლა მათ ენაზე საკმაოდ ვლავარაკობდი და მათ ყოველ სიტყვას მშვენიერად ვიგებდი. გარდა ამისა, უკვე ვერკვეოდი მათ ანბანში და ზოგიერთი წინადადების ამოკითხვაც შემიძლო. ყველაფერი ეს გლუმდალკლიჩმა მასწავლა შინ და მგზავრობის დროს. გზაზე ჩემს ძიძას თან მოჰქონდა პატარა წაგნაკი, რომელიც სანსონის გეოგრაფიულ ატლასზე დიდი არ იქნებოდა. ის წარმოადგენდა რელიგიის პაწაწინა ცნობარს გოგონებისათვის. ამ წიგნაკით მასწავლა მან წერა-კითხვა.

## თავი მესამე

ავტორს ითხოვენ სასახლეში. დედოფალი ფერმერისაგან იყიდის მას და უჩვენებს მეფეს. ავტორის კამათი მისი უდიდებულესობის დიდ სწავლულებთან. სასახლეში მას ბინას უშენებენ. დედოფალი მისი მწყალობელია. ავტორი იცავს თავისი საშობლოს ღირსებას. მასა და დედოფლის ვუჯას შორის ჩამოყარდნილი უთანხმოება.

აუტანელმა ჯაფამ და წვალეზამ რამდენიმე კვირაში მნიშვნელოვნად შეარყია ჩემი ჯანმრთელობა. რაც უფრო მეტ მოგებას იღებდა ჩემი მასპინძელი ჩემგან, მით უფრო გაუმაძღარი ხდებოდა. სავ-

სებით დაუკარგე ჭამის მადა და ისე გავხდი, რომ ნამდვილ ჩონჩხს დავემსგავსე. ფერმერმა შენიშნა ეს და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ მეწერა, ამიტომაც გადაწყვიტა, რაც შეიძლება მეტი მოგება გამოეწერა ჩემგან. ამ გადაწყვეტილებაზე რომ დადგა, უცებ მასთან სლადრალი ანუ მეფის ადიუტანტი გამოცხადდა და უბრძანა, დაუყოვნებლო წავეყვანე სასახლეში, დედოფლისა და სასახლის ბანოვანების გასართობად. ზოგიერთ მათგანს უკვე ნანახი ვყავდი და საოცარ ამბებს ჰყვებოდნენ ჩემს სილამაზეზე, ქცევებსა და მახვილგონიერებაზე. ჩემმა გამოსვლამ ფრიად ასიამოვნა როგორც დედოფალი, ისე მისი ამალა. მე დავიჩოქე და ვთხოვე დედოფლის ბრწყინვალეობას ნება დაერთო მისთვის ფეხზე მეკოცნა. მაგრამ მაგიდაზე დამსვეს და დედოფალმა იმდენი მოწყალება გამოიჩინა, რომ თავისი ნეკი გამომიწოდა. მე ორივე მკლავი მოვხვიე ნეკს და მის წვერზე პატოვისცემის ნიშნად ჩემი უმხურვალესი კოცნა აღვბეჭდე. დედოფალმა რამდენიმე ზოგადი კითხვა მომცა ჩემი სამშობლოსა და მოგზაურობის შესახებ და მეც, რამდენადაც მოვახერხე, მოკლედ და მკაფიოდ ვუპასუხე. მან ისიც მკითხა, მქონდა თუ არა სურვილი, სასახლეში მეცხოვრა. მე მაგიდის ფიცრებამდე დაუხარე თავი და მორჩილად მოვახსენე, ჩემი მასპინძლის მონა გახლავართ, მაგრამ, ჩემი თავი მე რომ მეკუთვნოდეს, ვიამაყებდი, მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენი უდიდებულესობის სამსახურში რომ გამეტარებინა-მეთქი. მაშინ დედოფალმა ჰკითხა ფერმერს, კარგი ფასი რომ მოგცენ, გაყიდი თუ არაო. ფერმერი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მე ერთ თვესაც ვეღარ გაატანდი, ამიტომაც მზად იყო გავეყიდე. მან ათას ოქროდ დამათასა. დედოფლის ბრძანებით მაშინვე ჩაუთვალეს ათასი ოქრო, თითოეული მონეტა რვაასი მოიდორის ოდენა იქნებოდა. იქაური თანხა რომ ვეროპულზე გადავიყვანოთ და ისიც გავითვალისწინოთ, რამდენად ძვირია იქ ოქრო, მაშინ ფერმერისათვის მიცემული საფასური ინგლისურ ათას გინეას შეადგენს. ვაჭრობას რომ მორჩნენ და მე მისი უდიდებულესობის ერთგული ქვეშევრდომი და ვასალი შევიქენი, — გაუბედე და დედოფალს თავმდაბლად ვთხოვე, მოელო მოწყალება და გლუმდალკლიჩი, რომელიც მე ყოველთვის დიდის მზრუნველობითა და სიყვარულით მეპყრობოდა და რომელსაც ამ საქმის გაკეთება ყველაზე უკეთესად შეეძლო, ავეყანა სამსახურში და კვლავაც დაეტოვებინა ჩემს ძიძად და მასწავლებლად.

მისმა უდიდებულესობამ ჩემი თხოვნა დააკმაყოფილა. ფერმერიც, რომელიც მოხარული იყო თავისი ქალიშვილის სასახლეში მოწყობით, ადვილად დათანხმდა და საბრალო გოგონაც თავის უსაზღვრო სიხარულს ვერ მალავდა. ჩემი ყოფილი მასპინძელი წასვლის წინ დამემშვიდობა და მითხრა, ჩინებულ ადგილას გტოვებო. მე არაფერი მიპასუხია, ცოცხად დაუუკარი თავი და გაეშორდი.

ჩემი გულგრილობა დედოფალს შეუმჩნეველი არ დარჩენია და, როგორც კი ფერმერი წავიდა, მიზეზი მკითხა. მე კადნიერება გამოვიჩინე და მოვახსენე მის ბრწყინვალეებას, რომ ჩემი ყოფილი მასპინძლისაგან სხვა არაფრით არ ვიყავი დაგალებული, გარდა იმისა, რომ ასეთი უმწეო და უსუსური არსება როცა მიპოვა, ძირს არ დამანარცხა და ტვინი არ გადმომანთხევინა-მეთქი. მაგრამ ეს სიკეთე მან ბევრმაგად აინახლაურა, როცა თითქმის ნახევარი სამეფო შემომატარა, იმდენი ფული მოიგო და ახლაც საკმაო საფასური აიღო; რაც მე მის ხელში ჯაფა ვნახე, ჩემზე ათასჯერ უფრო ძლიერი არსებაც ვერ აიტანდა; ჯანმრთელობა საშინლად შემიძვრია განუწყვეტელმა წანწალმა და ხალხის ბრბოს გასართობად წარამარა გამოსვლამ; ჩემი ყოფილი პატრონის აზრით, სიკვდილის პირას რომ არ ვყოფილიყავი იმდღარი, მისი უდიდებულესობა ჩემს გაყიდვაზე ასე ადვილად ვერ დაითანხმებდა მას და ასე იაფადაც ვერ მიყიდდა. და, რაკი ამჟამად ჩემი მფარველი გახდა უკეთილესი და უდიადესი დედოფალი, ბუნების სამკაული, ქვეყნიერების სიყვარული, ქვეშევრდომების სიხარული და შემოქმედის ფენიქსი, — ცხადი იყო, ვერაფერს გაბედავდა, ცუდად მომქცეოდა და ღრმად ვიყავი დაიმედებული, რომ ჩემი ყოფილი პატრონის წინასწარმეტყველება არ გამართლდებოდა, მართო მისი უდიდებულესობის სიახლოვითაც მე უკვე გაცილებით უკეთ და მხნედ ვგრძნობდი თავს.

დაახლოებით ასე მოვახსენე დედოფალს, ოღონდ, ცოტა არ იყოს, არუულ-დარუულად და ენის ბორბიკით თანაც იმ ხალხისათვის დამახასიათებელი რამდენიმე გამოთქმაც ჩაგურთე, რომლებიც სასახლისაკენ მიმაგულს გლუმდალკლიჩმა გზადაგზა მასწავლა.

ცხადია, ძალზე ცუდად ვლაპარაკობდი, მაგრამ დედოფალმა ამას კი არ მიაქცია ყურადღება. პირიქით, გაცხებულ დარჩა, რომ ისეთ პაწაწინა არსებაში, როგორიც მე ვიყავი, ამდენი ჭკუა და კეთილგონიერება აღმოაჩინა. ხელში ამიყვანა და მეფესთან კაბინეტში წარ-



მადგინა. მის უდიდებულესობას, მკაცრი და პირქუში შესახედობის კაცს, ჩემთვის კარგად არც კი შემოუხედავს და გულგრილად ჰკითხა დედოფალს, რამდენი ხანია, რაც სპლანკნაკები შეგიყვარდაო. ალბათ ხსენებულ ცხოველად თუ მოვეჩვენე მეფეს, როდესაც მისი ბრწყინვალეების მარჯვენა ხელისგულზე მხართუძოზე ვიყავი წამოწოლილი. დედოფალმა, რომელიც მთელ სამეფოში ცნობილი იყო, როგორც გონიერი და მხიარული ბუნების მქონე ქალბატონი, მეფის საწერ მაგიდაზე დამსვა და მიბრძანა, მისი უდიდებულესობისათვის ჩემი ვინაობა მეცნობებინა. მე დავემორჩილე და ორიოდ სიტყვით ვუამბე. გლუმდალკლიჩს, — რომელიც მეფის კაბინეტის კართან იდგა, რადგანაც ჩემთან დაშორება არ უნდოდა, — შემოსვლის ნება დართეს და მანაც დაადასტურა ყველაფერი, რაც მამამისის სახლში მისვლის შემდეგ თავს გადამხდა.

მეფე ერთი ყველაზე უფრო განათლებული ადამიანი იყო მთელ თავის სამეფოში. მას დიდი ცოდნა ჰქონდა მიღებული ფილოსოფიასა და კიდევ უფრო მეტი მათემატიკურ მეცნიერებაში, მაგრამ, როგორც კი ამათვალიერ-ჩამათვალიერა და შენიშნა, რომ ჩემი სხეულის ყოველი ორგანო უადრესად თანაზომიერი და პროპორციულია და, ამჟღადროს, დაინახა, რომ მე ორ ფეხზე მშვენივრად დაუდირდი, რომელიმე გამომგონებელი დიდოსტატის მიერ ცვილისაგან გამოძერწილად მიმიღო (ეს ხელობა იმ ქვეყანაში უადრესადაა განვითარებული). მაგრამ როგორც კი ჩემი ხმა გაიგონა და იმაშიც დარწმუნდა, რომ, რაც ვუთხარი, ყველაფერი მწყობრად და ჭკვიანურად იყო გადმოცემული, გაოცდა. ის ნასიამოვნები დარჩა ჩემ მიერ მოყოლილი ისტორიით, რითაც ვამცნე, რა გზით აღმოჩნდი მის სამეფოში, მაგრამ, როგორც ჩანდა, ყველაფერი ეს გლუმდალკლიჩისა და მისი მამის მიერ შეთხზულ ზღაპრად ჩათვალა, რაც, მისი აზრით, იმიტომ გამოიგონეს და დამაზებინებინეს, რომ ჩემში რაც შეიძლება მეტი ფასი აეღოთ სიყალბის გამოსააშკარავებლად მეფემ კიდევ რამდენიმე ზოგადი კითხვა დამისვა. მე მათზეც გავეცი გონივრული პასუხები, რომლებსაც სხვა ნაკლი არა ჰქონდა რა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მათ ენას კარგად ვერ ვფლობდი და როგორც უცხოელი, უცხო აქცენტით ვლაპარაკობდი. გარდა ამისა, მე ვიხმარე რამდენიმე სოფლური გამოთქმა, რაც ესოდენ შეუფერებელია სასახლის მაღალფარდოვანი, დახვეწილი სტილისთვის.

იმ ქვეყანაში შემდეგი წესი იყო დადგენილი: სასახლეში თითო კვირით ყოველთვის მორიგეობდა სამი დიდი მეცნიერი. მეფემ ამ მორიგე მეცნიერებთან აფრინა კაცი. მათ გულმოდგინედ შეისწავლეს ჩემი მოყვანილობა, მაგრამ ერთმანეთისაგან საუსებით განსხვავებული აზრები გამოთქვეს. მხოლოდ ერთ რამეში ეთანხმებოდნენ ერთმანეთს: მათი აზრით, შეუძლებელი იყო, რომ მე ბუნების კანონების თანახმად ვყოფილიყავი წარმოშობილი, ვინაიდან საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნების უნარი სრულიად არ გამაჩნდა, არც სწრაფი სირბილი შემიძლო, არც ხეზე ასვლა და არც მიწაში ორმოს გაკეთება. კბილები კარგად გამისინჯეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მე ხორცის მჭამელი ცხოველი ვიყავი. მათ ვერ წარმოედგინათ როგორ, რა საშუალებით ვახერხებდი საზრდოს მოპოვებას, რადგანაც ყოველი ოთხფეხა ცხოველი ჩემზე ძლიერი და დიდი იყო და თვით მინდვრის თაგვიც კი მაჯობებდა მოქნილობითა და სიმარჯვით. ალბათ ლოკოკინებითა და სხვა მწერებით საზრდობსო, — გამოთქვეს მოსაზრება, მაგრამ ისევ მათ მიერ მოტანილმა მეცნიერულმა არგუმენტებმა დაარწმუნა ისინი, რომ ეს ყოვლად შეუძლებელია. ერთ-ერთმა ბრძენთაბრძენმა თქვა, რომ მე ჩანასახი ვარ ანდა უდღეურად შობილი, მაგრამ ორმა დანარჩენმა მეცნიერმა ეს მოსაზრება გააბათილა. საწინააღმდეგო არგუმენტად მათ ის ფაქტები დაასახელეს, რომ ჩემი ყოველი ორგანო ნორმალურად იყო განვითარებული და მე წლების მანძილზე სიცოცხლეს ვინარჩუნებდი, რასაც ჩემი წვერ-ულვაშიც ამტკიცებდა, რომელიც გამადიდებელი შუშის ქვეშ მშვენოვრად შეიმჩნეოდა. ვერც ჯუჯად ჩამთვალეს, რადგანაც მე წარმოუდგენლად პატარა ვიყავი. აკი დედოფლის საყვარელი ჯუჯაც კი, რომელზე დაბალიც იმ სამეფოში ისტორიას არ ახსოვდა, ოცდაათი ფუტის სიმაღლე მაინც იქნებოდა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ისინი ერთხმად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მე ვიყავი „რელპუმ სკოლკათი“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს *Lusus-naturae*-ს ანუ „ბუნების საოცრებას“. ეს განსაზღვრება საუსებით შეესაბამება ევროპის თანამედროვე ფილოსოფიას, რომლის პროფესორებიც უარყოფენ ძველთაგანვე მიღებულ დებულებებს — ნათელი ფაქტებით იქნას ყველაფერი დასაბუთებული (არისტოტელეს მიმდევრები ამაოდ ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ამ უკანასკნელთა უმეცრება). მათ აღმოაჩინეს ყოველგვარი სიძნელის გადაწყვეტის

ეს სასწაულთმოქმედი ხერხი, რაც უდავოდ მეტყველებს ადამიანის აზროვნების უზარმაზარ პროგრესზე.

ამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მე ორიოდ სიტყვის თქმის ნებართვა ვითხოვე. მოიღეს თუ არა ეს მოწყალეობა, მე თვით მეფეს მიემართე და შევეცადე დამერწმუნებინა მისი უდიდებულესობა, რომ ჩამოსული ვიყავი იმ ქვეყნიდან, სადაც ჩემი ზომის ორივე სქესის რამდენიმე მილიონი ადამიანი ცხოვრობს; სადაც ცხოველები, ხეები და სახლები შესაფერისი სიდიდისანი არიან და სადაც მე, როგორც ყველა დანარჩენს, თავდაცვა და საზრდოს მიპოვება ისევე შემეძლო, როგორც მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომებს. ამით მე მეფის სწავლულთა მოსაზრება გაბათილებულად ჩავთვალე, მაგრამ მეცნიერებმა ზიზღით გადმომხედეს, დამცინავად გამიღიმეს და განმიცხადეს: ფერმერს კარგად დაურიგებიხარ, ასე და ასე ილაპარაკეო. მეფე უფრო საღი გონების ადამიანი გამოდგა, ვიდრე მისი მეცნიერები, რომლებიც მან დაითხოვა და კაცი აფრინა ფერმერთან, რომელიც, ჩემდა საბედნიეროდ, ქალაქიდან ჯერ კიდევ არ იყო გასული. მეფემ ფერმერი ცალკე დაჰკითხა, შემდეგ მე და ჩემი ძიძა პირში წაგვაყენა და ბოლოს ის დასკვნა გამოიტანა, რომ ჩემ მიერ მოყოლილი ამბავი შესაძლოა სიმართლესთან ახლოს ყოფილიყო. მან მოისურვა, დედოფალს განკარგულება გაეცა, განსაკუთრებული მზრუნველობა გამოეჩინათ ჩემ მიმართ. ამასთანავე თანხმობა განაცხადა, გლუმდალკლიჩი კვლავ დარჩენილიყო ჩემს ძიძად და მომვლელად, რაკი მაშინვე შენიშნა, რომ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. გოგონას ფრიად კეთილმოწყობილი ბინა გამოუყვეს სასახლეში. მას დაუნიშნეს აღმზრდელი ქალი, რომელსაც მისი აღზრდა-განათლების საქმე მიენდო, აგრეთვე ფარეში, რომელსაც მისი ჩაცმა-დახურვისათვის უნდა ეზრუნა და ორი ხელზე მოსამსახურე, მაგრამ ჩემზე ზრუნვა კი მთლიანად გლუმდალკლიჩს დააკისრეს. დედოფალმა უბრძანა სასახლის დურგალს, ჩემი და გლუმდალკლიჩის მითითებით ისეთი ყუთი გაეკეთებინა, რომელიც მე დასაძინებელ ოთახად გამომადგებოდა. ის დურგალი ჩინებული ოსტატი აღმოჩნდა. სამ კვირაში თექვსმეტი კვადრატული ფუტისა და თორმეტი ფუტი სიმაღლის მშვენიერი ოთახი გააკეთა, დარაბებით, კარითა და ორი კარადით, როგორც ჩვეულებრივ წყობა ხოლმე დასაძინებელი ოთახი ლონდონში. ჭერს ორი ანჯამა ჰქონდა, ისე, რომ შეიძლებოდა მისი ახდა და დახურვა. ეს იძლეოდა ოთახ-

ში საწოლის ჩადგმის საშუალებას, რომელიც დედოფლის ნაყაშის ნაოსტატარი იყო. გლუმდალკლიჩს ყოველდღე ჰაერზე გამოჰქონდა ჩემი ლოგინი, ოთახს კი ანიაჟებდა; საღამოთი ლოგინს თავისი ხელით აგებდა, საწოლს ისევ ოთახში დგამდა და დაეწვებოდი თუ არა, ჭერს ისევ ჩამოუშვებდა ხოლმე. ერთმა სახელგანთქმულმა ოსტატმა, რომელიც მინიატიურულ იშვიათობებს ქმნიდა, გამიკეთა ორი საკარძელი რაღაც სპილოს ძვლის მსგავსი მასალისაგან. მათ ზურგიც ჰქონდა და სახულურებიც. იმავე ოსტატმა გამიკეთა აგრეთვე ორი მაგიდა და ერთი სკოვრი ნოეთების ჩასალაგებლად. ოთახის კედლებზე ხალიჩები გააკრეს, ასევე იატაკსა და ჭერზეც, რათა, საღმე რომ წამიყვანდნენ, ვინმეს გაუფრთხილებლობის მსხვერპლი არ გაემხდარიყავი და აგრეთვე ეტლით მოგზაურობის დროს რყევა რომ შეემცილებინათ. მე მოვითხოვე ჩემი ოთახის კარზე საკეტი დაყენებინათ და გასაღები ჩემთვის მოეცათ, რათა ვირთხებისა და თავგების თავდასხმისაგან თავი დამეხლვია. ზეინკალმა დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, იმ სამეფოში ჯერ არნახული პაწაწინა ბოქლომი დაამზადა; მე კი იმაზე დიდი კლიტე მხოლოდ ერთგან, ინგლისელი თავადის ალაყაფზე შენახა. გასაღები ყოველთვის ჯიბეში მედო, მეშინოდა, ვაითუ გლუმდალკლიჩმა დაკარგოს-მეთქი. დედოფალმა ბრძანა, თხელზე თხელი აბრეშუმისგან, რომელიც ინგლისური საბნის სისქე მაინც იქნებოდა, ჩემთვის ტანსაცმელი შეეკურათ. ერთხანს მიჭირდა მისი ტარება, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და შევეჩვიე. ის ტანსაცმელი იქაურ ყაიდაზე იყო შეკერილი და ნაწილობრივ სპარსულ სამოსს ჩამოჰგავდა, ნაწილობრივ კი ჩინურს, ამავე დროს, მეტად სადა და მოხდენილი იყო.

დედოფალს ისე შევეუყვარდი, რომ უჩემოდ არც კი სადილობდა. მე პატარა მაგიდა და სკამი მედგა მისი უდიდებულესობისგან ხელმარცხნოვ, მისივე სასადილო მაგიდაზე. გლუმდალკლიჩი იატაკზე დადგმულ სკამზე იჯდა ჩემი მაგიდის ახლოს და სადილობის დროს მემსახურებოდა ხოლმე. მე მქონდა ვერცხლის თეფშებისა და ლამბაქების მთელი სერვიზი, რომელიც დედოფლის ჯამ-ჭურჭლის გვერდით ისევე პატარად მეჩვენებოდა, როგორც დედოფალს ოთახისათვის განკუთვნილი პატარ-პატარა თეფშები და ლამბაქები, ლონდონის სათამაშო მაღაზიებში რომ მომიკრავს თვალი. ისინი ჩემს პატარა ძიძას ვერცხლის ყუთში ჰქონდა ჩაწყობილი ყოველთვის ჯიბით დაჰქონ-

და. საჭიროებისამებრ ამოიღებდა, მომაწვდიდა და ხმარების შემდეგ კი საკუთარი ხელით რეცხავდა ხოლმე. დედოფალთან სადილობდა აგრეთვე მისი ორი ქალიშვილი, უფროსი თექვსმეტი წლისა იყო, უმცროსი კი ცამეტისა და ერთი თვის. მის უდიდებულესობას ჩვეულებად ჰქონდა ხორცის პატარა ნაჭერი საკუთარი ხელით დაედო ჩემს ლამბაქზე. მე ჯიბის დანას ამოვიღებდი და მას პატარ-პატარა ულუფებად ვჭრიდი. დედოფალს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა იმის დანახვა, მისთვის პატარა ნამცეცი რამდენიმე ლუკმად რომ მყოფნიდა. თვითონ კი (მიუხედავად იმისა, რომ ფაქიზი მჭამელი უნდა ყოფილიყო), ერთ ლუკმად იმოდენა ხორცის ნაჭერს იღებდა, რომ თორმეტ ინგლისელ ფერმერს ეყოფოდა სადილად. პირველ ხანებში ამ სურათის დანახვა ზიზღით მავსებდა: აიღებდა ტოროლას ფრთას და ძვლიანად შეახრამუნებდა, თუმცა იგი ჩვენებური მოზრდილი ინდაურის ფრთაზე თორმეტჯერ უფრო დიდი იყო. პურის ისეთ ნატეხს იღებდა პირში, რომ ორი თორმეტპენიანი გოგორის ხელა იქნებოდა უთუოდ. სულის მოუთქმელად ცლიდა ოქროს თასს, რომელშიც ჩვენებური კასრის ოდენა მაინც ჩადიოდა. ორი ცელის პირი ერთმანეთს რომ გადააბა, სწორედ იმ სიდიდე იქნებოდა მისი დანა; ჩანგლები, კოვზები და სხვა მოწყობილობაც ამის შესაბამისი ჰქონდა. მახსოვს, ერთხელ გლუმდალკლიჩმა გამომიყვანა და სასახლეში გამწლილი სუფრა დამანახვა, რომლებზეც თორმეტ-თორმეტი დანა-ჩანგალი იყო ერთად დაწყობილი. მართალი გითხრათ, ამისთანა საშინელი სანახაობა ჩემს დღეში არ მჭილა.

ჩვეულების თანახმად, ყოველ ოთხშაბათს (რომელიც, როგორც მოგახსენეთ, მათთან უქმე დღეა) მეფე და დედოფალი თავიანთ მემკვიდრეებთან ერთად მეფის აპარტამენტში სადილობდნენ. მეფესთან ამჟამად ძალიან დამეგობრებული ვიყავი. ის სიამოვნებით საუბრობდა ჩემთან, მეკითხებოდა ევროპელების ზნე-ჩვეულებებზე, სარწმუნოებაზე, კანონებზე, მთავრობაზე, სწავლა-განათლებაზე. მე შეძლებისდაგვარად ვპასუხობდი ამ კითხვებზე. მისი უდიდებულესობა ნათელი, საღი გონების პატრონი იყო და მეტად ბრძნულ და დაკვირვებულ შენიშვნებს იძლეოდა ყველაფერ იმაზე, რასაც მე ვუპამბობდი; მაგრამ, ცოდვა გამჟღავნებული სჯობს, უნდა გითხრათ, რომ ერთხელ, როცა, ცოტა არ იყოს, აგზნებულად ვილაპარაკე ჩემს საყვარელ სამშობლოზე — ჩვენს ვაჭრობასა და ომებზე, როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე, ჩვენს რელი-

გიურ განხეთქილებებზე და პოლიტიკურ პარტიებზე, — მისი უდიდებულესობის აღზრდა-განათლებაში ჩაბუდებულმა ცრურწმენებმა იმდენად აშკარად იჩინა თავი, რომ მან ერთი ხელით ამიყვანა, მეორით თავზე მომიცაცუნა, ერთი გულიანად გადაიხარხარა და მკითხა; ვიგი ხარ თუ ტორიო<sup>1</sup>. მერე მიუბრუნდა თავის პირველ მინისტრს, რომელიც მისი უდიდებულესობის უკან მოკრძალებულად იდგა ინგლისის უდიდესი ხომალდის „როიალ სოვერეინის“ ანძისტოლა თეთრი კვერთხით ხელში და შენიშნა, რანაირ არარაობას უნდა წარმოადგენდეს ადამიანური დიდება, რომ ამისთანა ერთ ციცქნა მწერებსაც კი შეიძლება აღელვებდეთო. „ისიც კი მგონია, — დასძინა მან, — რომ ამ არსებებს გააჩნიათ თავიანთი წოდებები და ორდენები; ესენიც აკეთებენ პატარ-პატარა ბუდეებს და ბუნაგებს, რომლებსაც სასახლეებსა და ქალაქებს უწოდებენ. კოხტაობენ და დასეირნობენ ეტლებით. უყვართ, იბრძვიან, კამათობენ, ატყუებენ და ღალატობენ ერთიმეორეს“. დიდხანს ლაპარაკობდა ის ასე, მე კი ფერფური მიმდიოდა, ბრაზი ყელში მაწვებოდა და მახრჩობდა, ასე ზიზღით და დამამცირებლად რომ იხსენიებდნენ ჩემს დიდებულ საშობლოს — მრავალი მეცნიერებისა და ხელოვნების აკვანს; საფრანგეთის რისხვას; ევროპის მსაჯულს; სათნოების, ღვთისმოსაობის, პატიოსნებისა და ჭეშმარიტების საგანძურს; მთელი ქვეყნიერების სიამაყესა და შურის საგანს.

მაგრამ რაკი არ შემეძლო შეურაცხყოფისათვის სამაგიერო გადამეხადა, დაუფიქრდი და ეჭვი შემეპარა იმაში, ყველაფერი ეს ნამდვილად წარმოადგენდა ჩემს შეურაცხყოფას თუ არა. მართლაც, რამდენიმე თვის მანძილზე უკვე შევეჩვიე როგორც მათ გარეგნობას, ისევე მათ ლაპარაკს; ცხადია, ყოველი საგანიც მათი შესაბამისი ზომისა და პროპორციებისა იყო და მეც მათი თვალებით ვუცქეროდი მათ ის შიში და გოცებაც, რაც ამ უშველებელი გოლიათების დანახვამ პირველად გამოიწვია ჩემში, უკვე გამქრალიყო. ახლა ინგლისელი ლორდებისა და ქალბატონებისთვის რომ მომეკრა თვალი, როცა ისინი თავიანთ საუკეთესო ტანისამოსში ჩაცმულნი კოხტაობენ, დიდი ამბით ესალმებიან და ქათინაურებს ეუბნებიან ერთმანეთს, მართალი

<sup>1</sup> ვიგი — მე-17-19 საუკ. ინგლისის პოლიტიკური პარტიის, ვიგების მიმდევარი. ამ პარტიისაგან წარმოიშვა ინგლისის ლიბერალური პარტია. ტორი — მე-17-19 საუკ. ინგლისის პოლიტიკური პარტიის ტორების მიმდევარი. ეს პარტია თანამედროვე ინგლისის კონსერვატიული პარტიის წინამორბედი იყო.

გითხრათ, სულთ და გულთ რომ მნდომოდა თავის შეკაყუბა, მაინც სიცილს დაუყრიდი, ისევე, როგორც ამას აქაური მეფე და დიდებულები სწადიოდნენ ჩემს დანახვაზე. საკუთარ თავზედაც კი გამეცინა ერთხელ, როცა დედოფალმა ხელში ამიყვანა და სარკის წინ გამაჩერა, ჩვენ ორივენი მთელი ტანით მოჩანდით მასში. იმაზე უფრო სასაცილო შედარება, მართალი გითხრათ, ქვეყნიერებაზე არაფერი შეიძლება ყოფილიყო. ბოლო ხანებში ისიც კი მომდიოდა აზრად, რომ ფიზიკურად კიდევ უფრო უფრო მეტად დაკნინდი და დაუჩიავდი.

სასახლეში ყოფნისას ისე არაფერი მაბრაზებდა და მაშინებდა, როგორც დედოფლის ჯუჯა, რომელიც მთელ სამეფოში ყველაზე დაბალი პიროვნება გახლდათ (დარწმუნებული ვარ, რომ ოცდაათი ფუტის სიმაღლე არც კი იყო). იგი ისე გაკადნიერდა მასზე დაბალი არსების დანახვით, რომ დონჯემოყრილი, ზვიადი გამოძეტყველებით დამხედავდა თავზე, როდესაც დედოფლის მისაღებ ოთახში ჩამოვლიდა, ანდა როცა რომელიმე მაგიდაზე შემდგარი სასახლის ლორდებსა და ქალბატონებს ვესაუბრებოდი. ჯუჯა შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ ჩემი სიპატარავის შესახებ ერთი-ორი სიტყვა მაინც არ ჩაეკრა. მე სამაგიეროს მხოლოდ იმით ვუხდიდი, რომ მას ჩემს „ძმას“ ვუძახდი, ანდა საჭიდაოდ ვიწვევდი, ერთი სიტყვით, სასახლის ფარეშებში მიღებული ხუმრობებით ვუძასპინძლდებოდი და ასე იოლას გავდიოდი. ერთ დღეს, სადილობისას, ეს სულმდაბალი ძაღლის ლეკვი ისე გააბრაზა ჩემმა რომელიღაცა შენიშვნამ, რომ მისი უდიდებულესობის საგარძლის სახელურზე აცოცდა, ჩემს მაგიდასთან მშვიდად მჯდომს წელში წამავლო ხელი და ნაღებით სავსე ვერცხლის თასში გადამიძახა. თვითონ კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა. მე მთელი ტანით ჩაყურყუმელავდი და, ცურვაში ასე დაოსტატებული რომ არ ვყოფილიყავი, ცუდი დღე დამადგებოდა, რადგანაც გლუმდალკლიჩი ამ დროს ოთახის მეორე ბოლოში იყო, დედოფალი შიშისაგან ისე დაიბნა, რომ ვერ მოისაზრა მომშველებოდა, ამასობაში კი რამდენიმე ყლუპი ნაღების გადაყლაპვა მოვასწარი. სასწრაფოდ ჩამაწვინეს ლოგინში. საბედნიეროდ, სხვა არაფერი მომსვლია, გარდა იმისა, რომ ტანისამოსი სრულიად გამიფუჭდა და გადასაგდები გახდა. ჯუჯა საჯაროდ გაწკეპლეს და დამატებით რომ დაესაჯათ, აიძულეს დაეღია ნაღები იმ თასიდან, რომელშიც ის-ის იყო, თვითონ ჩამაგდო. ამით მან დედოფლის თვალში საბოლოოდ დაკარგა ნდობა. მას მერე

დიდხანს არ გაუვლია, რომ მისმა უდიდებულესობამ იგი ვიღაც წარჩინებულ ლედის აჩუქა და, ჩემდა სასიხარულოდ, მეტად თვალითაც აღარ მინახავს, თორემ, ვინ იცის, რამდენ სიავეს მოიფიქრებდა და ჩაიდენდა ის სულმდაბალი, ბოროტი და მახინჯი არსება.

იმ ჯუჯამ მანამდეც გამიკეთა ერთი ოინი, რამაც დედოფალი გუელიანად აცინა, მაგრამ, ამავე დროს, საშინლად განარისხა, და ის ოინბაზი მაშინაც ვერ გადაურჩებოდა გაგდებას, მე რომ არ ჩაგრეულიყავი და მისი უდიდებულესობისათვის არ მეთხოვა, მოწყალება მოიღეთ და აპატიეთ-მეთქი. ეს ამბავი ასე მოხდა: დედოფალმა სადილზე ერთი ძვალი აიღო, ტვინი გამოწუწუნა და თეფშზე ღრუიანი ნაწილით ზეაღმართული დადო. როცა გლუმდალკლიჩი კარადისაკენ წავიდა, ჯუჯამ დრო იხელთა, აძვრა ჩემი ძიძის სკამზე, ხელში ამიყვანა და ფეხებით ტვინგამოხრულ ძვალში ჩამჩარა. მე განძრევაც არ შემიძლო და, ცხადია, მეტისმეტად სასაცილო სანახაობას წარმოგადგენდი. მგონი, მთელი ერთი წუთი გავიდა, ვიდრე ვინმე გაიგებდა, რაც მომივიდა, რადგან თავის დამცირებად ჩავთვალე მკვდირა და შველა მეთხოვა. მაგრამ რაკი სასახლეში იშვიათად მიირთმევენ ცხელ კერძს, ფეხები არ დამთუთქვია, ფეხსაცმელები და წინდები კი, მართალი გითხრათ, საჯალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. დედოფალმა მაშინ ჩემი მუდარა შეისმინა და აბეზარი ჯუჯა მარტო იმით დასაჯა, რომ საჯაროდ გააწყვლევინა.

დედოფალს ღიმილს ჰგვრიდა ჩემი სიმფრთხალე და ხშირადაც მეკითხებოდა, შენი თანამემამულეებიც შენსავით მშიშრები არიან თუ არაო. ახლავე მოგახსენებთ, რამაც გამოიწვია დედოფლის დაცინვა: — ზაფხულობით იმ სამეფოში ბუზები ძალიან მრავლდება. ეს წყევული მწერები, რომელთაგან თითოეული დუნსტაბლის ტოროლასხელა მაინც იყო, სადილობის დროს ერთი წუთით მოსვენებას არ მაძლევდნენ. წარამარა ყურებში ჩამბზუოდნენ. ზოგჯერ საჭმელზე დამიჯდებოდნენ, ზოგჯერ ცხვირზე დამასკუპდებოდნენ, ან შუბლზე მწარედ მკბენდნენ და მყრალი სუნით მაწუხებდნენ. მათ თათებზე ადვილად ვამჩნევდი იმ ნივთიერებას, რომელიც, ჩვენი ბუნებისმეტყველების აზრით, შესაძლებლობას აძლევს მწერებს, არხეინად ისეირნონ თვითონ ჭერზეც კი. სულ ამ საძაგელი არსებებისაგან თავდასაცავად გაჩაღებულ გაწამაწიაში ვიყავი. ერთიც რომ დამჯდომოდა სადმე, მაშინვე წამოუხტებოდი და არ ვიცოდდი, რა მექნა. ჯუჯა რამდენიმე ცალს დაიჭერდა ხოლმე ისევე, როგორც ინგლისელი მოწაფეები და ჩემს შესაშინებლად და დე-



დოფლის გასართობად ჩემ ცხვირწინ ერთბაშად გამოუშვებდა. იმასლა ვახერხებდი, რომ ჯიბის დანით ჰაერშივე ვხოცავდი მათ ისინიც, იოცებდნენ და აქებდნენ ჩემს სიმარდეს და მოხერხებულობას.

ერთ დილით, გლუმდალკლიჩმა ჩემი ყუთი ფანჯრის რაფაზე დადო, როგორც ამას კარგ ამინდებში ჩვეულებრივ სჩადიოდა, რათა მე სუფთა ჰაერით მესუნთქა (მე ნებას არ ვაძლევდი ყუთი ფანჯარასთან ლურსმანზე დაეკიდათ, როგორც ჩვენ ინგლისში ჩიტის გალიას ვკიდებთ) და სადღაც წავიდა. ერთ-ერთი სარკმელი გავაღე, ჩემს სუფრასთან დაუჯექი და ტკბილი ნამცხვრის ნაჭერს შევექეცი. ალბათ სუნი ეცათ, ერთბაშად ოცზე მეტი კრაზანა შემოფრინდა სარკმლიდან. ისე საშინლად ბზოდნენ, თითქოს ოცი სტვირი ერთბაშად ახშიანდაო. ზოგი ნამცხვარს ეცა და ნაჭერ-ნაჭერ დაიტაცეს; დანარჩენები თავზე და სახეზე დამაფრინდნენ და ნესტრით მჩხვლეტდნენ, თანაც ბზუილით ყურებს მიჭედდნენ. შეეშინდი და მერე როგორ! მაგრამ გამბედაობა მაინც მოვიკრიბე, ვიძვრე ხანჯალი და მძვინვარედ შევუტიე. ოთხი მოკალი, დანარჩენები გაფრინდნენ, მეც სასწრაფოდ მივხურე სარკმელი და შვებით ამოვისუნთქე. ეს მწერები ჩვენებური ხოხბების ზომისა იქნებოდნენ, თუ მეტი არა. ოთხვეს დავაჭერი ნესტარი, თითოეული სიგრძით დუიმ-ნახევარს უდრიდა და ნემსოვით წვრილი და წაწვეტილი იყო. მე ფრთხილად შევახვიე ისინი და შემდგომ სხვა იშვიათობებთან ერთად ბევრგან ვუჩვენე ევროპაში. ინგლისში რომ დაუბრუნდი, სამი მათგანი გრეშამის კოლეჯს ვუსახსოვრე, მეოთხე კი ჩემთვის შემოვინახე.

## თავი მეოთხე

**ქვეყნის აღწერა.** ავტორი წინადადებას იძლევა, შესწორებები შეიტანონ რუკებში. მეფის სასახლე და ზოგიერთი სხვა რამ დედაქალაქის შესახებ როგორ იმოგზაურა ავტორმა. მთავარი ტაძრის აღწერა.

აქ მე განზრახული მაქვს, მკითხველს მივწოდო ქვეყნის, უკეთ რომ ვთქვათ, ქვეყნის იმ ნაწილის აღწერა, რომელშიც ვიმოგზაურე და რომელიც მისი დედაქალაქიდან, ლორბრულგრუდიდან, მხოლოდ ორი ათასი მილის მანძილზე მდებარეობს. ასე იმიტომ შემოვიფარ-

გლუ, რომ დიდფალი, რომელსაც გამუდმებით ვხვდით, შორ მანძილზე არასოდეს მიჰყვებოდა მეფეს, როცა ეს უკანასკნელი თავისი სამეფოს სახელფერების დასათვალისწინებლად მიუბრუნებოდა. დედოფალი განსაზღვრულ მანძილს გავლელდა მასთან ერთად და იქ ელოდა დაბრუნებამდე. იმათ სამეფოს ქვესი ათას მილამდე სიგრძე და ხუთი ათასამდე სიგანე აქვს. აქედან გამომდინარე, არ შემოძლია არ გაუკვეთო დასკვნა, რომ ჩვენი ევროპული გეოგრაფები სასტიკად ცდებიან, როდესაც ფოქრობენ, კითხილად იპოვებენ და კალიფორნიას შორის ზღვის გარდა არაფერი. მე ყოველთვის იმ აზრის გახლდით, რომ სათარეუთის უზარმაზარი კონტინენტის საბირწინედ, იქ სადღე, მიზრდელი ხმელეთი უნდა ყოფილიყო გადაჭიმული. ამიტომაც საჭირო იქნება გეოგრაფებმა შესწორონ თავიანთი სავლელი და სახმელეთო რუკები, შეიტანონ მათში ამერიკის ჩრდილო-დასავლეთით არსებული ეს უზარმაზარი ტერიტორია. ჩემი მხრივ, მზად ვარ, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინო მათ.

ხსენებული სამეფო წარმოადგენს კუნძულს, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით შემოსაზღვრულია ოცდაათი მილის სიმაღლის მთაგრებით. იგი მიუყვება, რადგანაც მის მწვერულებზე ვულკანები მოქმედებენ. თვით დიდმა სწავლულებმაც არ იციან, მათ გადაღამა რა ხალხი ცხოვრობს, ან საერთოდ იქ კინძე ცხოვრობს თუ არა. სამი მხრიდან სამეფოს ოკეანე აკრავს. კუნძულს ერთი ნავსადგურიც არ გააჩნია. სანაპიროს ის ნაწილები, სადაც მდინარეები ერთიან, ისეა მოყვნილი წვეტიანი კლდეებით და ზღვაც ისეთი უფოთიანია, რომ იქ უმცირესი ნავებიც ვერ გაჭაჭანდება. ამგვარად, ეს ხალხი სავსებით მოწყვეტილია გარე სამყაროს. სამეფოდ, უამრავი ხომალდი მდინარეებში, რომლებშიც მრავლადაა გემბრეული თევზი. იქაური მცხოვრებლები ზღვის თევზს იშეუათად იჭერენ, რადგანაც იგი ჩვეულებრივი ზღვის თევზის სიდიდისაა და მამასადამე, მათი აზრით, დაჭერადაც არ ღირს.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ბუნებამ, როდესაც ეს არაჩვეულებრივი სიდიდის მცენარეები და ცხოველები შექმნა, მათი გაფრეცვლება მხოლოდ ამ კონტინენტით შეეზღო. იმის გამოჩვენება, თუ რატომ მოხდა ასე, ფილოსოფოსებისათვის მიმინდვია. მიუხედავად ამისა, ზანდაზან ზღვის ზეთის მთელ კლდეებზე მიხეთქებულ ვეშაპსაც იღებენ და უბრალო ხალხი მას დიდი საამოვნებით მიირთმევენ. იმხელა ვეშაპიც

კი მინახავს, რომ ერთ გოლიათს ზურგით ძლოვს მოჰქონდა. ზოგჯერ ისინი, როგორც უცხო ხილი, კალათებით მოაქვთ ლორბრულგრუდში. ერთხელ მეფესაც მიაართვეს შემწვარ-მოხრაკული, როგორც ერთგვარი იშვიათობა, მაგრამ მის უდიდებულესობას მგონი არ მოეწონა. ალბათ იმიტომაც შეეზიზღა, რომ რაღაც უშველებელი ეჩვენა, თუმცა გრენლანდიაში უფრო დიდი ვეშაპისთვისაც მომიკრავს თვალი.

მათი ქვეყანა მჭიდროდაა დასახლებული. იგი ორმოცდათერთმეტ დიდ ქალაქს, კედლებით შემორაგულ ას ციხე-ქალაქსა და უამრავ სოფელს ითვლის. მკითხველის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად საკმარისი იქნება ლორბრულგრუდის აღწერაც. შუაში მას მდინარე ჩამოუდის, რომელიც ქალაქს ორ თითქმის თანაბარ ნაწილად ყოფს. მასში ოთხმოცი ათასი სახლი მაინცა დგას და ექვსას ათასამდე მცხოვრებს იტვეს. მისი სიგრძე სამი გლომგლანგია (რაც დაახლოებით ორმოცდათოთხმეტ ინგლისურ მილს შეადგენს), სიგანე კი — ორ-ნახევარი. მე თავად გაუზომე მეფის ბრძანებით გაკეთებულ რუკაზე, რომელიც საგანგებოდ ჩემთვის გაშალეს მიწაზე და მთელი ასი ფუტის მანძილზე გადაიჭიმა.

ფეხშიშველი შევდექი ზედ და ნაბიჯებით გადავთვალე მისი დიამეტრი და გარშემოწერილობა. მერე მასშტაბი მოვიშველიე და ქალაქის ზუსტი სიდიდეც ადვილად დავადგინე.

მეფის სასახლე წარმოადგენდა არა ერთ ნაგებობას, არამედ შვიდი მილის მანძილზე უწესრიგოდ გაფანტულ შენობათა ერთობლიობას. მთავარ დარბაზებს ჩვეულებრივ ორას ორმოცი ფუტის სიმაღლე ჰქონდა და მისი შესაბამისი სიგრძე და სიგანე. გლუმდალკლიჩსა და მე ერთი ეტლი გამოგვიყვეს, იმით ჩემი პატარ ძიძა და მისი აღმზრდელი ხშირად დადიოდნენ ქალაქის დასათვალიერებლად და წვრილმანების საყიდლად. მეც თან მიყვავდი ყუთში ჩასმული. გლუმდალკლიჩი, ჩემი სურვილის თანახმად, ხშირად გამომიყვანდა ხოლმე ყუთიდან და ხელში დამიჭერდა, რათა უფრო მოხერხებულად დამეთვალიერებინა სახლები და გამკლელ-გამომკლელეები. ჩემი აზრით, ის ეტლი უესტმინსტერ ჰოლის<sup>1</sup> ხელა იყო, ოღონდაც მასზე ოდნავ დაბალი, თუმცა, შეიძლება ამაში ვცდებოდე კიდევ. ერთ დღეს აღმზრდელმა მეეტლეს დუქნებთან შეჩერება უბრძანა, იქნებ რაიმე ვიყიდოთო. უამრავი მა-

<sup>1</sup> უესტმინსტერ ჰოლი — უმაღლესი სასამართლოს სხდომების დარბაზი ლონდონში.

თხოვარი მოაწყდა ჩვენს ეტლს, ისეთი საშინელი სანახაობა ვიხილე, რომლის მსგავსიც თავის დღეში არ უნახავს არც ერთ ფეროპელს, ჩემ გარდა. ერთ-ერთ მათხოვარს კისერზე ჰქონდა ჩიყვი, რომელიც ექვსი შეკვრა მატყლის ტოლა იქნებოდა; მეორეს ოცი ფუტის სიგრძე ზის ფეხები ეკეთა. მაგრამ ყველაზე დიდი ზიზლი ჩემში მათხოვრების ტანისამოსზე მლოდავმა მკბენარებმა გამოიწვია.

დიდი ყუთის გარდა, რომლითაც მე ჩვეულებრივ დაეყავდით, დედოფალმა ბრძანა, გაეკეთებინათ მეორე, უფრო მოხერხებული სამგზავრო ყუთი, რადგანაც დიდი ყუთი ძლივს ეტეოდა კალთაზე გლუმდალკლიჩს და ეტლშიც დიდ ადგილს იკავებდა. ამ ახალს თორმეტი ფუტი სიგრძე-სიგანე ჰქონდა და ათი ფუტი სიმაღლე. ისიც იმავე ოსტატმა გააკეთა ჩემი მითითებით. ამ კვადრატული ფორმის სამგზავრო ყუთს, სამივე კედლის შუაგულში სარკმელი ჰქონდა. სარკმელებს გარედან რკინის ლარტყები ეკეთა, მოგზაურობის დროს რაიმე უბედურება რომ არ შემძთხვეოდა. მეოთხე უფანჯრო კედელზე ორი მაგარი რკალი იყო მიჭედებული, რომლებშიც, როცა ცხენით გასეირნება მომინდებოდა, მხედარი, ვისაც უნდა წავყვანე, შიგ ტყავის თასმებს გაუყრიდა და ყუთს წელზე მიიმაგრებდა ხოლმე. ჩემს გასეირნებას ყოველთვის რომელიმე დინჯსა და სანდო მსახურს ანდობდნენ. ასეთ გასეირნებებს მაშინ მიწყობდნენ, როცა მეფეს და დედოფალს ვახლდი მოგზაურობის დროს, ან როცა ბალების დათვალიერება მინდოდა, ანდა როცა ვინმე წარჩინებულ ლედის ან რომელიმე სასახლის მინისტრს ვწვკოდი სტუმრად და როდესაც გლუმდალკლიჩი თან არ მახლდა. მე ხომ მალე დავიმსახურე დიდ-დიდი მოხელეების ყურადღება და პატოვისცემა, ჩემი აზრით, არა პირადი ღირსებების გამო, არამედ იმიტომ, რომ მეფე წყალობის თვალთ მიცქერდა. როცა შორ გზაზე ეტლით მგზავრობა დამლლიდა, მხედარი მიიმაგრებდა წელზე თასმებს და ჩემს ყუთს მის წინ მდებარე ბალიშზე დადებდა. იქიდან თავისუფლად შემეძლო სამი სარკმლის საშუალებით, რომელი მხრიდანაც მომინდებოდა, მეთვალიერებინა მიდამოები. ჩემს ყუთში სამგზავრო საწოლი მედგა, ჭერზე ჰამაკი ეკიდა. ორი სკამი და ერთი მაგიდა მაგრად იყო მიხრახნილი იატაკზე, რათა ისინი არ გადამბრუნებოდა ცხენის ანდა კარუტის უეცარი შეხტომის დროს, თვითონ მე კი, ზღვაზე მოგზაურობის დიდი გამოცდილება რაკი მქონდა, ეტლის ხშირი და აუტანელი ჯაყჯაყი ვერაფერს მაკლებდა.

როცა ქალაქის ნახვა მომინდებოდა, ჩემს სამგზავრო ყუთში შევიდოდი, რომელიც ერთგვარ ღია პორტმეზზე დამჯდარ გლუმ-დალკლიჩს კალთაზე ედო. პორტმეზი, იმ ქვეყანაში დაკანონებული ზნე-ჩვეულებების თანახმად, მიჰქონდა ოთხ კაცს, რომლებსაც უკან დედოფლის ორი ლაქია მოჰყვებოდა. ხალხი, რომელსაც ბევრი რამ სმენოდა ჩემზე, პორტმეზის გარშემო იყრიდა თავს და ცდილობდა დავენახე. გოგონა იმდენად დამყოლი და თავაზიანი იყო, რომ მსახურებს უბრძანებდა შეჩერებულიყვნენ და მე ხელში ამიყვანდა, რათა ცნობისმოყვარე მაყურებლებს უფრო მოხერხებულად შემოეხედათ.

დიდი სურვილი მქონდა, მენახა მთავარი ტაძარი და განსაკუთრებით კი მისი კოშკი, რომელიც ყველაზე მაღალ ნაგებობად იყო მიჩნეული მთელ სამეფოში. ჩემმა ძიძამ ხათრი არ გამიტეხა და ერთ დღეს მართლა წამიყვანა მის სანახავად. მაგრამ, მართალი გითხრათ, იქიდან სავსებით იმედგაცრუებული დაუბრუნდი, რადგანაც სამი ათას ფუტზე მაღალი არ ყოფილა, მიწიდან თვით გუმბათამდე რომ გაგეზომათ, რაც, თუ გავითვალისწინებთ, რამდენი განსხვავებაა სიდიდის მხრივ ევროპელსა და იქაურ მკვიდრს შორის, ვერაფერი ბედენა იყო. უკეთ რომ ვთქვათ, ამ თვალსაზრისით, ის ტაძარი სიმაღლით დიდად ჩამოუვარდებოდა (თუ მქნსიერება არ მდალატობს) სოლსბერის სამრეკლოს<sup>1</sup>. მაგრამ მე არაუითარი სურვილი არ მაქვს დავამცვირო ხალხი, რომლისგანაც დიდად ვარ დაუღლებული და ამას მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ დავოვიწყებ. ამიტომაც სიმართლე უნდა მოგახსენოთ: თუმცა იმ ტაძარს სიმაღლე აკლდა, სამაგიეროდ, თავისი სიმაგრითა და სილამაზით ბადალი არ მოეპოვება. თითქმის ასი ფუტი სისქის კედლები თლილი ქვებისგანაა აგებული, რომელთაგანაც თითოეული ორმოცი კვადრატული ფუტი მაინც იყო. ყოველ კედელს ნიშები აქვს დატანებული და მათში ჩადგმულია იმპერატორებისა და ღმერთების უზარმაზარი მარმარილოს ქანდაკებები. ერთ ქანდაკებას ნეკი მოსტყდომოდა და იქვე დავარდნილიყო. მე გავზომე იგი და აღმოჩნდა, რომ მისი სიგრძე უდრიდა ზუსტად ოთხ ფუტსა და ერთ დუიმს. გლუმდალკლიჩმა ის თავის ცხვირსახოცში გაახვია და ჯიბით წამოიღო, რომ შინ სხვა სამახსოვრო წვრილმანებისთვის

<sup>1</sup> სოლსბერის სამრეკლო — მისი სიმაღლე უდრის 404 მეტრს.

მიემატებინა, რომელთა შეფროვებაც ამ გოგონას, როგორც საერთოდ მისი ასაკის ბავშვებს, ძალიან უყვარდა.

მეფის თაღებიანი საშზარულო კი მართლაც რომ ჩინებული შენობა იყო. ექვსასი ფუტი სიმაღლე ჰქონდა. მისი უზარმაზარი ღუმლის სიგანე მხოლოდ ათი ნაბიჯით ნაკლები თუ იქნებოდა წმინდა ჰაულეს ტაძრის გუმბათზე. ეს უკანასკნელი საშობლოში დაბრუნებისას ამ მიზნით საგანგებოდ გაეზომე. საშზარულოს ბუხრები, უშველებელი ქოთნები და ქვაბები, მწვადაცმული ვეება შამფურები და სხვა წერილმანი მოწყობილობები რომ აღვწერო, შეიძლება არაფინ დამიჯეროს, — ყოველ შემთხვევაში, მკაცრი კრიტიკოსი იფიქრებს, აზვიადებსო, როგორც ეს ხშირად სჩვევიათ მოგზაურებს. მეშინოდა რა ამგვარი საყვედურებისა, მგონი მეორე უკიდურესობაში გადავვარდი. ჰოდა, ეს ნარკვევები ბრობდინგნაგის (ესაა იმ სამეფოს საერთო სახელწოდება) ენაზე რომ ითარგმნოს და იქ ჩაუვარდეთ ხელში, არ მინდა მეფემ და მისმა ქვეშევრდომებმა შეურაცხყოფილად იგრძნონ თავი.

მის უდიდებულესობას თავის საჯინიბოებში ექვსას ცხენზე მეტი იშვიათად ჰყავდა. მათი ცხენები ჩვეულებრივ ორმოცდაათხი-სამოცი ფუტი სიმაღლისა იყო. მაგრამ როცა მეფე სასეირნოდ გამოვიდოდა, ცისა და ქვეყნისათვის რომ დაენახებინა თავისი ძლევაძმოსილება, თან ახლდა ხუთასი მხედრისაგან შემდგარი გვარდია. მე დიდხანს მეგონა, რომ ამაზე დიდებული სანახაობა დედამიწის ზურგზე არ არსებობდა. მაგრამ ეს შეხედულება მაშინვე შევიცვალე, როცა მისი აბჯარასხმული არმია ვიხილე, რის შესახებაც სხვა დროს მოგიტხრობთ.

## თავი მხუთე

**ავტორის რამდენიმე თავგადასავალი. დამნაშაუის სიკვდილით დასჯა. ავტორი ამეღაენებს თავის ოსტატობას ნაოსნობაში.**

იმ ქვეყანაში ალბათ საკმაოდ სვებედნიერად წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება, ათასგვარ სასაცილო და საცოდავ მდგომარეობაში რომ არ ჩავედდე ჩემს სიპატარავეს. მეტი რა გზაა, ზოგიერთი მათგანი უნდა გაიპბოთ გლუმდალკლიჩს პატარა ყუთით ხშირად დაეყავდი სასახლის ბაღებში. ზოგჯერ ამომიყვანდა და ხელში დამიჭერდა, ზო-

გჯერ მიწაზე დამსვამდა და გამიშვებდა. ერთხელ დედოფლის ჯუჯა, რომელიც მაშინ სასახლეში ცხოვრობდა, ბაღში გამოგვყვა. ჩემმა ძიძამ ამომიყვანა და მიწაზე დამსვა. იქვე ჯუჯა ვაშლის ხეები იდგა. მე ბრიყვული გონებადამხვილობა გამოვიჩინე და ის ვაშლის ხე და დედოფლის ჯუჯა ერთმანეთს შევადარე; ჯუჯამ ეს ხუმრობა ვერ აიტანა, ერთ-ერთი ვაშლის ხის ქვეშ რომ მივდიოდი, დრო იხელთა და პირდაპირ ჩემს თავზე შეარხია ნაყოფით დახუნძლული ტოტი. ბრისტოლის კასრის სიდიდის თორმეტიორე ვაშლი წამოვიდა ძირს ბზრიალ-ტრიალით. ერთ-ერთი მათგანი ზურგზე დამეცა. მე, რა თქმა უნდა, თავი ვერ შევიმაგრე და პირქვე გავიშოტე. საბედნიეროდ, არაფერი დამშავებია. ჯუჯა ასეთი საქციელისათვის უნდა დაესაჯათ, მაგრამ, რაკი წაკინკლავების მიზეზი მე ვიყავი, ვთხოვე და აპატიეს.

მეორედ აი, რა შემემთხვა. გლუმდალკლიჩმა მწვანე მდელიოზე დამსვა და თვითონ თავის აღშრდელებთან ერთად ცოტა ხნით სადღაც წავიდა. დიდ ხანს არ გაუვლია, რომ უეცრად საშინელმა სეტყვამ წამოუშინა და მაშინვე მიწას გამაკრა. ჩოგბურთის ბურთებისხელა სეტყვის მარცვლები თავსა და სხეულზე მეცემოდა. დაბეგვილ-დაჟეჟილი, როგორც იქნა, მოვხობდი ქიძანის ბურქთან და იქ შევადარე თავი. ამის შემდეგ ლოგინად ჩავვარდი და მთელი ათი დღე ფეხზე ვეღარ დავდექი. ეს ყოველივე სულაც არ უნდა გაგიკვირდეთ, რადგანაც ბუნებას იქ ყველაფერი ერთმანეთის შესაფერისი შეუქმნია და, ამიტომაც, იქაური სეტყვა ათას რვაასჯერ უფრო დიდია ჩვენებურზე. ამაში არ შეიძლება ვცდებოდე, რადგანაც დავინტერესდი და ზუსტი სიდიდის გასაგებად ერთ-ერთი მათგანი ავწონე და გავზომე კიდევაც.

იმავე ბაღში გაცილებით უფრო სახიფათო ამბავი შემემთხვა. ერთხელ, ჩემმა ძიძამ, როგორც ეგონა, ბაღის ყველაზე მყუდრო და უშიშარ ადგილას დამტოვა (მე ხშირად ვთხოვდი მარტო დატოვებას, რათა საკუთარ ფიქრებს მივცემოდი). ყუთის ტყუილუბრალოდ თრეკას დაერიდა, იქვე დატოვა და თავის აღშრდელთან და რამდენიმე ნაცნობ ქალთან ერთად ბაღის მეორე ბოლოსაკენ გაემართა. როცა ისე შორს წავიდნენ, რომ ხმას ვეღარ მივაწვდენდი, მთავარი მებაღის ერთ-ერთმა თუთრმა სანადირო ძაღლმა, რომელიც შემთხვევით ბაღში ყოფილიყო, შორიახლოს ჩამოიარა. სუნი ეცა, მომვარდა, კბილებში მომიქცია და ისე უვნებლად მიმიყვანა თავის პატრონთან, რომ გაკაწვრა კი არა, ტანისამოსისათვისაც არაფერი დაუშინებია. უნდა გენახათ, როგორ

შეშინდა საბრალო მებაღე, რომელიც ძალიან კარგად მიცნობდა და სიკეთის მეტი ჩემთვის არაფერი სურდა. ნაზად ამიყვანა ხელში და მკითხა, თავს როგორ ვგრძნობდი, მაგრამ მოულოდნელი შიშისაგან თავბრუდახვეულმა, კრინტის დაძვრაც ვერ მოვახერხე, რამდენიმე წუთში გონს მოვედი და მებაღემ ჩემს ძიძას მიმგვარა, რომელიც ამა-სობაში დაბრუნებულიყო და, რომ ვერ ვენახე, სასოწარკვეთილი ხან აქეთ სცემოდა, ხან იქით, მაგრამ ცამ ჩამყლაპა თუ დედამიწამ, ვერა-ფერი გაუგო. ჩემმა ძიძამ ერთი მაგრად გამოლანძღა მებაღე თავისი ძაღლის გამო, მაგრამ ეს ამბავი სასახლეში არავის გაუგია, რადგანაც ჩემს ძიძას ეშინოდა, ვაითუ, დედოფალი გამიწყრესო, მე კი არავითარი სურვილი არ მქონდა, კარისკაცების სალაპარაკო გამქადა ამბავი, რომელშიც მე არცთუ სახარბიელო როლის შესრულება მომიხდა.

ამ შემთხვევის შემდეგ, გლუმდალკლიჩი, რაც უნდა მომხდარიყო, მარტო არსად მიშვებდა. ჩემითაც ვგრძნობდი, რომ, ადრე თუ გვიან, ის ამ გადაწყვეტილებამდე აუცილებლად მივიდოდა. ამიტომ ვუ-მაღაჟდი მას სხვა წვრილმან ამბებს, რომლებიც მარტო დარჩენილს არაერთხელ გადამხდენია. ერთხელ ბაღს თავზე სვაჟმა გადმოუარა და, შემაძინა თუ არა, მაშინვე ჩემკენ გამოემშურა, უეჭველად წამი-ლებდა, მაგრამ ვიყოჩაღე: ხმალი ვიშიშვლე და ვეკვეთე მტაცებელს. ასე ხმალდახმალ, როგორც იქნა, ხშირ ბუჩქნარამდე მივალწიე და იქ შევაფარე თავი. ერთხელაც თხუნელას ორმოში ჩავვარდი, იქ თავიდან ფეხებამდე ამოვიგანგლე და როცა მკითხეს, ტანისამოსი რამ გაგისვარაო, ისეთი ტყუილები მოკიბ-მოვკიბე, რომლის მოგონებაც არ მინდა. ერთხელ ჩემს საყვარელ სამშობლოზე ფიქრებში ჩაფლული რომ მივდიოდი, ლოკოკინას ნაჭუჭს წამოვედე, წავიქეცი და მარჯვენა ფეხი მოვიტეხე.

ვერ გეტყვით, სიამოვნებას ვგრძნობდი თუ დამცირებას, როცა მარტოკა სეირნობისას ვხედავდი, რომ წვრილ-წვრილ ფრინველებს სრულიად არ ეშინოდათ ჩემი. ერთი იარღის მოშორებით ისინი ისე არხეინად დახტოდნენ და ეძებდნენ ჭიებს, თითქოსდა მათ სიახლო-ვეს კაცის ჭაჭანება არ ყოფილიყოს. ერთხელ ერთმა თავხედმა შაშვ-მა გლუმდალკლიჩის მიერ საუხმედ მოცემული ნამცხვრის ნაჭერიც კი გამომკორტნა ხელიდან. როგორც კი მათ დაჭერას შევეცდებოდი, შემომიტევედნენ და ცდილობდნენ ნისკარტით დაეკორტნათ თითები და მეც შეშინებული ვეღარ ვხედავდი მათკენ ხელის გაშვრას. მერე



გამარჯვებულები გაგოგმანდებოდნენ და ისე გულდამშვიდებით განაგრძობდნენ ჭიებისა და მატლების ძებნას, თითქოსდა აქ არაფერი მომხდარაო. ერთ დღეს მოზრდილი ჯოხი ავიღე და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვესროლე ჭვინტას. რალაც ბედად მოვახვედრე მას და თავბრუდახვეული ფრინველი მიწაზე დაეცა. მივირბინე მასთან, კისერში ორივე ხელი წაგულე და გამარჯვებით გახარებულმა ჩემს ძიძასთან წაგარბენინე. მაგრამ დარუტოიანებულმა ჭვინტამ მალე მოითქვა სული და თავსა და გვერდებზე ისე განწირულად დამიწყო ფრთების ცემა, რომ, თუმცა გაწვილილი ხელებით მეჭირა და ნისკარტით ვერ მწვდებოდა, ერთი-ორჯერ მაინც მაფიქრებინა, ხელი გამეშვა. ამ გასაჭირში ჩავარდნილს ერთ-ერთი მსახური მომეშველა; ერთბაშად მოუგრიხა ჩიტს კისერი და მეორე დღეს დედოფლის ბრძანებით, სადილად მომართვეს. ის ჭვინტა, თუ მეხსიერება არ მდალატობს, ინგლისურ გედს არ ჩამოუვარდებოდა სიდიდით.

სასახლეში მცხოვრები წარჩინებული ქალბატონები ხშირად ჰპატივებდნენ გლუმდალკლიჩს თავისთან და სურვილს გამოთქვამდნენ, მეც თან წავეყვანე, რათა ჩემი ნახვითა და ხელის შეხებით გართობილიყვნენ. ისინი ხშირად მეფერებოდნენ და უბეში ჩამისვამდნენ ხოლმე. იქ მართალი გითხრათ, თავს ძალზე ცუდად ვგრძნობდი. ვერ წარმოიდგენთ, რა მყრალი სუნი სდიოდათ კანზე. თუმცა, ამაზე საუბრით სულაც არ მსურს იმ დიდგვაროვან და კეთილშობილ ქალბატონებს, რომლებსაც დიდ პატივსა ვცემდი, შეურაცხყოფა მივაყენო. უბრალოდ, ასე მგონია, რომ ჩემი შეგრძნების ორგანოები, ჩემივე პატარა ზომების შესაბამისად, გაცილებით ფაქიზი იყო. ასე რომ, იქაური ქალბატონები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ იმავე ღირსების მქონე ინგლისელ ქალბატონებს და არც თავყვანისმცემლები აკლდათ. ასევე, შეუძლებელი იყო არ შემეჩინებინა, რომ მათი კანი ბუნებრივად უფრო ნაკლებად ყარდა, ვიდრე ნელსაცხებლით. სუნამოიანი კანის სუნი მაშინვე თავბრუს მახვევდა. მაგონდება, ლილიპუტების ქვეყანაში როცა გახლდით, ერთმა ჩემმა ახლო მეგობარმა ლილიპუტმა თავს ნება მისცა და ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად გაოფლიანებულს შემომჩივლა, აუტანელი სუნი გდითო, თუმცა, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ ამ მხრივ არც ერთ ჩემი სქესის თანამემამულეზე უფრო ცოდვილი არ გახლავართ. მაგრამ, როგორც შემდეგ მივხვდი, მას ჩემზე იმდენად უფრო მახვილი ყნოსვა ჰქონდა, როგორც მე ამ

გოლიათებთან შედარებით სამართლიანობა მოითხოვს განუაცხადო, რომ დედოფალი, ჩემი ქალბატონი და გლუმდალკლიჩი, ჩემი ძიძა, ამ მხროვ სხვებისაგან ფრიად გამოირჩეოდნენ. მათ ისეთივე ტკბილი სურნელი სდიოდათ, როგორც ინგლისელ ლედის.

ამ წარჩინებული ქალბატონების საზოგადოებაში, რომლებთანაც ჩემს ძიძას სტუმრად დაეყავდი, განსაკუთრებულ უხერხულობას იმიტომ ვგრძნობდი, რომ ისინი ისე უცერემონიოდ მეპყრობოდნენ, თითქოსდა ყურადღების ღირსი არც კი ვიყავი. ჩემი თანდასწრებით სრულიად გაიდრობდნენ ტანზე და იცვლიდნენ პერანგს, როდესაც მათ პირდაპირ, სატუალეტო მაგიდაზე ვიდექი და, მინდოდა თუ არ მინდოდა, ყველაფერი უნდა დამენახა. მართალი გითხრათ, მათი ამ მდგომარეობაში ხილვა სრულიად არ მხიბლავდა და არანაირ გრძნობას არ აღძრავდა ჩემში, შიშისა და სიძულვილის გარდა. მათი კანი მეტისმეტად სქელი, ხორკლიანი და ნაირფერადი მეჩვენებოდა, თანაც, თეფშისტოლა ხალებით მოფენილი. თმა ხომ სქელი ბაწრებით ვეიდათ, მათი ორგანიზმის სხვა ნაწილებზე რომ არაფერი ვთქვა. ჩემი სულაც არ ერიდებოდათ და უსირცხვილოდ ღვრიდნენ მათ მიერ ას გალონზე მეტი ოდენობით დალეულ სითხეს ერთ უშველებელ ჭურჭელში, რომელიც ჩვენებური სამი უზარმაზარი კასრის ტევადობაზე ნაკლები მოცულობის არამც და არამც არ იყო. მათ შორის თვით ყველაზე ულამაზესი ქალიშვილიც, თქვესმეტი წლის გიჟმაჟი გოგონა, ხანდახან თავის ძუძუზე შემისვამდა და ათასგვარ ოინს მაკეთებინებდა ხოლმე. იმედი მაქვს, მკითხველი უფლებას მომცემს ყოველივე ამის დაწვრილებით აღწერისაგან თავი შევიკავო. იმდენად არასასიამოვნო და გულისამრევი იყო ეს ყველაფერი ჩემთვის, რომ გლუმდალკლიჩს უმორჩილესად ვთხოვე, რამე მოემიზებებინა და იმ გოგონასთან არასოდეს არ გამოეჩინე.

ერთ დღეს ვიღაც ახალგაზრდა ჯენტლმენი მოვიდა, რომელიც ჩემი ძიძის აღმზრდელის ძმისწული აღმოჩნდა. მან თავის მამიდასა და გლუმდალკლიჩს მოსთხოვა, გინდათ თუ არა, ერთი დამნაშავის სიკვდილით დასჯის საყურებლად უნდა წამოხვიდეთო. იმ კაცს თურმე ჩემი ძიძის აღმზრდელის ძმისწულის უახლოესი ნაცნობის მკვლელობა ედებოდა ბრალად. გლუმდალკლიჩს, რომელიც მეტისმეტად გულჩვილი არსება გახლდათ, არავითარი სურვილი არ ჰქონდა ასეთ სანახაობას დასწრებოდა, მაგრამ ვინ დაუჯერა! ამგვარი სურათის

ხილვა მეც ჭირვით მეზარებოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ თავისი გაიტანა და იქნება რაიმე არაჩვეულებრივი ვნახო-მეთქი, წასვლის სურვილი განვაცხადე. დამნაშავე საგანგებოდ აღმართულ ეშაფოტზე დადგმულ სკამზე დააბეს და ორმოციოდე ფუტის სიგრძე ხმლის ერთი მოქნევით წააცალეს თავი. ვენებიდან და არტერიებიდან ისე გადმოხეთქა სისხლმა, რომ ვერსალის შადრევანი მასთან შედარებით არც კია სახსენებელი. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილით დასჯის ადგილიდან ნახევარი ინგლისური მილის მანძილზე მაინც ვიჯექი, მოკვეთილმა თავმა ეშაფოტის ფიცარნაგზე დაცემისას ისეთ ბრაგვანი მოადინა, რომ ადგილიდან წამომახტუნა.

დედოფალი, რომლისთვისაც ხშირად მიაძვნიდა ჩემი საზღვაო თავგადასავლები, ყოველნაირად ცდილობდა როგორმე გავერთე, როცა მოწყენილს დამინახავდა. მას არაერთხელ უკითხავს, აფრის ან ნიჩბების მოხმარება შეგიძლია თუ არაო, ანდა ნიჩბის მოსმა შენი ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ხომ არ იქნებაო. მე ვუპასუხე: ორივეს მოხმარება შემიძლია-მეთქი. რადგანაც, მართალია, გემზე ექიმად ვითვლებოდი, მაგრამ, როდესაც საფრთხე დაგვემუქრებოდა, გულხელდაკრეფილი არც მე ვრჩებოდი და ქარიშხალს თუ გრიგალს უბრალო მებღვაურივით ვებრძოდი. და ახლა ვერც კი წარმომედგინა, თუნდაც დიდი სურვილი მქონოდა, აქ როგორ უნდა მევარჯიშა ნაოსნობაში, როცა იმათი ყველაზე პატარა ნავიც კი ჩვენს უდიდეს სამხედრო ხომალდზე დიდი თუ არა, პატარა ნამდვილად არ იყო. გარდა ამისა, ისეთი ნავი, რომლის მართვასაც მე შევძლებდი, ჩქარი დინების გამო, აქაურ მდინარეებში არამც და არამც არ გაიშვებოდა. დედოფალმა მითხრა, თუ მოისურვებ, ჩემს ოსტატს შენს შესაფერის ნავს გაუაკეთებინებ და სანაოსნო ადგილსაც მოუაწყობინებო. ერთ დახელოვნებულ ოსტატს მოუხმო, რომელმაც ჩემგან სათანადო მითითებების მიღებიდან ათ დღეში მშვენიერი ნავი დაამზადა მთელი თავისი მოსართავ-მოწყობილობებით. მასში რვა ვეროპელი თამამად მოთავსდებოდა. ოსტატი საქმეს მორჩა თუ არა, დედოფალს მისი ნახელავი ისე მოეწონა, რომ მაშინვე ხელში აიტაცა და მეფესთან მიარბენინა. მეფის ბრძანებით, როფი წყლით გააყსებინეს, ჩამსვეს ნავში და წყალში შეაცურეს. მაგრამ როფი არცთუ ისე ფართო იყო, რომ მე ნიჩბების ხმარება თავისუფლად შევძლებოდა. ამიტომაც დედოფალმა თავისი წინასწარ დაწყობილი გვემის თანახმად, სამასი ფუტი სიგრძის, ორ-

მოცდაათი ფუტი სიგანისა და რვა ფუტი სიღრმის გობი გააკეთებინა და სასახლის ერთ-ერთი ოთახის კედელთან იატაკზე დაადგმევინა. გობს ძირს ონკანი ჰქონდა, რომ დამყაყებული წყლის გამოცვლა ადვილი ყოფილიყო. მას ორი მსახური ნახევარ საათში გაავსებდა. ამ აუზში მე ხშირად დავსეირნობდი ნავით. ერთი მხრივ, თავს ვირთობდი და მეორე მხრივ, დედოფალსა და მის სეფექალებს, რომლებსაც ჩემი ცოდნა და მოხერხებულობა აოცებდათ, ერთგვარ სიამოვნებას ვანიჭებდი. ზოგჯერ აფრას გავუკეთებდი და მერე არხეინად ვმართავდი საჭით, რადგანაც ქალები მარათი დაუქროლებდნენ და მშვენიერი ზურგის ქარი მიაქანებდა ჩემს ნავს. ხოლო, როცა ისინი დაიღლებოდნენ, დედოფლის პაჟები სულს უბერავდნენ, მე კი ისღა მრჩებოდა, რომ გამოძემჟღავნებინა ჩემი დახელოვნება საჭის მარჯვენო ან მარცხნოვ გადატანის საქმეში. ნაოსნობას რომ მოვრჩებოდი, გლუმდალკლიჩი წყალს გამოუშვებდა და ჩემს ნავს თავის ოთახში ლურსმანზე ჩამოჰკიდებდა ხოლმე გასაშრობად.

ერთხელ ასეთი ვარჯიშის დროს ისეთი რამე შემემთხვა, რომ კინალამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა. ერთმა პაჟმა ჩემი ნავი გობში ჩაუშვა. გლუმდალკლიჩის აღმზრდელმა აღერსიანად ამიყვანა ხელში და ის-ის იყო, ნავში უნდა ჩავესვი, რომ შემთხვევით თითებს შუა გავუსხლტი და ორმოცი ფუტის სიმაღლიდან უთუოდ იატაკზე დავვნარცხებოდი, უბედნიერეს შემთხვევას რომ არ გადავერჩინე: ჩემდა ბედად, იმ კეთილშობილი ქალის კორსაჟზე დაბნეულ ქინძისთავს გამოვედე, ქინძისთავის ბოლო ჩემს პერანგსა და შარვლის სარტყელს შორის გაეყარა და ჰაერში დავეკიდე, ვიდრე გლუმდალკლიჩი მოირბენდა და ჩამომხსნიდა.

ერთხელაც მსახურმა, რომლის მოვალეობას შეადგენდა, ჩემი გობი სამ დღეში ერთხელ ახალი წყლით გავვსო, უყურადღებობის გამო ვერ შეამჩნია, რომ წყალს უზარმაზარი ბაყაყი გადმოჰყვა. ბაყაყი თავიდან გასუსული იწვა გობში, მაგრამ, ნავში ჩამსვეს თუ არა, თითქოს დასასვენებელი ადგილი მონახაო, ნავზე ამოცოცდა და ერთი კიდე ისე დაამძიმა, რომ იძულებული გავხდი, მეორე კიდეზე დავმდგარიყავი და რის ვაი-ვაგლახით მქსნა ნავი გადაყირავებისაგან. მერე შიგ ნავში ჩახტა და ნავის ერთი ბოლოდან მეორეზე დაიწყო განუწყვეტელი ხტუნვა, თანაც ერთიანად ამომთითხნა თავის საშინელი ღორწოთი. იმსიდიდე და ისეთი საშინელი სანახაუი იყო, რომ, მართა-

ლი გითხრათ, დედამიწის ზურგზე უსადაგლეს ცხოველად მომეჩვენა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვთხოვე გლუმდალკლიჩს, ხელს ნუ შემიშლით, მე თვითონ გაუუსწორებები-მეთქი. იმდენი ვურტყვი ნიჩაბი, რომ, ბოლოს და ბოლოს, იკადრა ნავიდან ამოხტომა.

მაგრამ ყველაზე დიდი შიში, რაც მათ სამეფოში გადამხდა, იყო სასახლის სამზარეულოს ერთ-ერთი მოსამსახურის მაიმუნთან შეხვედრა. გლუმდალკლიჩმა თავის ოთახში ჩამკეტა და თვითონ კი სადღაც წავიდა, არ ვიცი, რაიმე საქმეზე თუ სტუმრად. მშვენიერი დარი იდგა, ამიტომაც ოთახის ფანჯრები ღია იყო. ასევე ღიად იყო დატოვებული ჩემი დიდი ყუთის ფანჯრებიც, რომელშიც ჩვეულებრივ მისი სიდიდისა და მოხერხებულობის გამო ვცხოვრობდი. და აი, ჩემს მაგიდასთან რომ ვიჯექი და საკუთარ ფიქრებში ვიყავი გართული, უეცრად გავიგონე, რომ რაღაცა შემოვიდა ჩემი ძიძის ოთახში და ერთი კუთხიდან მეორეში დაიწყო ხტომა. შიშმა ამიტანა, მაგრამ მაინც გავბედე და გამოვიჭვრიტე, თუმცა ადგილიდან არ დავძრულვარ. უზარმაზარი, გიჟმაჟი მაიმუნი დახტოდა ოთახში წინ და უკან; ბოლოს ჩემს ყუთთან მოვიდა, როგორც შევატყვე, დიდი სიამოვნებითა და ცნობისმოყვარეობით აათვალიერ-ჩაათვალიერა იგი და კარებსა და ფანჯრებში შემოიჭვრიტა. მე ჩემი ყუთის თუ ოთახის უშორეს კუთხეს მივეკარი. მაგრამ მაიმუნი ისე ცნობისმოყვარედ იცქირებოდა, რომ შიშით ატანილმა, ვერც კი მოვისაზრე, რომ შემდეგლო საწოლქვეშ დავმალულიყავი. დიდი ხნის ჭვრეტისა და მანჭვის შემდეგ, შემაძინია. მაშინვე შემოყო კარში თავისი ბანჯგვლიანი თათი და თავგთან მოთამაშე კატასავით შეეცადა ჩემს დაჭერას. თავზარდაცემულმა ოთახის კუთხიდან კუთხეში ამაოდ ვირბინე. მაიმუნმა თათში მოიგდო ჩემი მაგარი აბრეშუმისგან შეკერილი ხიფთანის კალთა და გარეთ გამომათრია. მარჯვენა წინა თათით ისევე ამიყვანა, როგორც ძუძუს მოსაწოვებლად იჭერს ხოლმე ძიძა ბავშვს, ანდა როგორც ჩვენში ეთამაშება ხოლმე მაიმუნი კატას. გაუძალიანდი, მაგრამ ამჯერად ისე მაგრად ჩამბლუჯა, რომ კუთილგონიერება მოვიხმარე და დავემორჩილე. ყოველგვარი საფუძველი გამაჩნია ვიფიქრო, რომ მას თავისივე ჯილაგის ძუძუმწოვარი ვეგონე. აკი ძალზე ალერსიანად მისვამდა სახეზე მეორე წინა თათს. ჩემს ფერებაში რომ იყო, უეცრად ხმაურმა შეაკრთო: თითქოს ვილაცამ შემოაღო ოთახის კარი. მაიმუნი იმავე ფანჯრიდან გადახტა, რომლითაც შემოვიდა, სამი თათით

ჩაებლაუჭა და აპყვა საწვიმარ მილს და სულ მცირე ხანში გვერდითი სახლის სახურავზე გავიდა. მე კვლავ გულში ჩახუტებული ვყავდი, როდესაც გლუმდალკლიჩის შემზარავი ყვირილი შემომესმა. საბრალო გოგონა კინალამ ჭკუიდან შეიშალა. სასახლის ის ნაწილი ფეხზე დადგა, მსახურები გაიქცნენ კიბის მოსატანად. ასობით ადამიანი ხედავდა, როგორ იჯდა მაიმუნი შენობის თავბანდზე, ერთი თათით ბავშვოვით ვეჭირე და მეორე თათით პირში მიტენიდა თავისი პირის ღრუდან გამოღებულ რაღაც საჭმელებს. ჭამაზე უარს რომ ვიტყოდი, თათს ჩამცხებდა და ჩვენი მაყურებლები სიცილით იჭაჭებოდნენ. ვერ ვიტყვი, რომ ისინი ამისათვის გაკიცხვის ღირსნი იყვნენ, რადგანაც ეს სანახაობა, მართლაც, ყველასათვის უადრესად სასაცილო უნდა ყოფილიყო. ზოგიერთმა ქვა ამოისროლა, რათა მაიმუნი დაეფრთხო და ძირს ჩამოეყვანა, მაგრამ კიდევ კარგი, რომ სასტიკად აუკრძალეს ამის კეთება, თორემ ვინმეს ნასროლი ქვა უთუოდ თავს გამიხეთქავდა.

ამასობაში კიბეები მოადგეს და რამდენიმე კაცმა ამოსვლა დაიწყო. მაიმუნმა შენიშნა ეს და, როცა მიხვდა, რომ თითქმის გარშემორტყმული იყო და სამი თათითაც ვეღარ გაასწრებდა, სახურავის თავბანდზე დამაგდო და თავს უშველა. ერთხანს იქ, მიწიდან სამი ათასი იარღის სიმაღლეზე, დავრჩი აცახცახებული. მეშინოდა, ვაითუ ქარმა წამოუქროლოს და ჩამომადგოს, ანდა თვითონ დამესხას თავბრუ და თავბანდიდან ძირს კისრისმტკრევით წამოვიდე-მეთქი. მაგრამ ჩემი ძიძის ერთი მსახური ბიჭი, რომელიც თავისი გულკეთილობითა და გამბედაობით სხვებისაგან გამოირჩეოდა, ამოძვრა სახურავზე, შარვლის ჯიბეში ჩამისვა და უვნებლად ჩამომიყვანა.

ძირს რომ ჩამოვედი, ვიხრჩობოდი ათასგვარი ნაყარნუყარისაგან, რომლითაც მაიმუნმა პირი გამომიტენა, მაგრამ კუთილმა ძიძამ უწვრილესი ნემსით გამოყარა ისინი, მერე გული ამერია, მალეებინა და, ბოლოს, როგორც იქნა, ცოტა მომეშვა. იმ საზიზღარი ცხოველის ხვევნისა და თათების ცემისაგან ისე ვიყავი დაჟეჟილი, რომ მთელი ორი კვირა ლოგინად ჩავკარდი. მეფე, დედოფალი და სასახლის დიდკაცობა ყოველდღიურად იგებდა ჩემი ჯანმრთელობის ამბავს. დედოფალმა კი რამდენჯერმე პირადად მინახულა სნეული. მაიმუნი მოკლეს და გაცემული იქნა ბრძანება, რომელიც კრძალავდა მსგავსი ცხოველის სასახლეში ყოლას.

როცა მოვმჯობინდი და მეფეს ვეახლე, რათა მადლობა გადამეხადა ყურადღებისა და გაღებული მოწყალებისთვის, მისმა უდიდებულესობამ ჩემს თავგადასაჯალზე ბევრი იცინა. მკითხა, რაზე ვფიქრობდი, როცა მაიმუნის თათებში ვიყავი მოქცეული, როგორ მომეწონა მის მიერ მორთმეული საჭმელები, კარგად მიმასპინძლდებოდა თუ არა, ანდა სუფთა ჰაერმა სახურავზე ყოფნისას, რამდენად გამიხსნა მადა. მან იმის გაგებაც მოისურვა, ჩემს სამშობლოში როგორ მოვიქცეოდი მსგავს შემთხვევაში. მე მოუახსენე მის უდიდებულესობას, რომ ჩვენ ვეროპაში არ გვყავს მაიმუნები, თუ ვინიცობაა, სხვა ადგილებიდან არ მოვიყვანთ, როგორც ერთგვარ იშვიათობებს და რომ ისინი იმდენად პატარები არიან, რომ თუ თავს დამესხმიან, ერთს კი არა, თორმეტს მოვერევი. ხოლო რაც შეეხება ამ ურჩხულს, რომელთანაც მომიხდა შეხლა (ის მართლაც სპილოსოდენა იქნებოდა), ერთბაშად შიშს რომ არ ავეტანე და ჩემი ხმალი მომგონებოდა (თან მძვინვარედ მიმოვიხედე და ლაპარაკის დროს ხმლის ტარზე გავიკარი ხელი), თათი რომ შემოყო ჩემს ოთახში, ისეთ ჭრილობას მივაყენებდი, რომ მოხარული იქნებოდა, რაც შეიძლება სწრაფად გამცლოდა. ყველაფერი ეს ისეთი ადამიანის იერით წარმოვთქვი, რომელიც ვერ მოითმენდა, რომ მის გამბედაობაში ვინმე დაეჭვებულიყო. ჩემი მსმენელები მორიდებულად იდგნენ მისი უდიდებულესობის წინაშე, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიკავეს და ჩემი მგზნებარე სიტყვის პასუხად გულიანად გადაიხარხარეს. ამან ღრმად დამაფიქრა და იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ სრულიად ამაოა ადამიანის ყოველგვარი ცდა, პატოვისცემა დაიმსახუროს იმ საზოგადოებაში, რომელიც მასზე გაცილებით მაღლა დგას. ზუსტად ამის მსგავს ამბავს ხშირად შევსწრებოვარ შემდეგ ჩემს საყვარელ ინგლისში, სადაც ვინმე გაქნილ გაიძვერას, რომელსაც არც ჭკუა გააჩნდა და არც გონება, არც რაიმე დამსახურება და ღირსება, არც წარმოშობით ბრწყინავდა და არც პირადი თვისებებით, შეეძლო დიდკაცურად გაბლენძილიყო, რომ სამეფოს ჭეშმარიტად ღირსეულ ადამიანებს გვერდით ამოსდგომოდა.

დღე ისე არ გავიდოდა, რომ რამე ამბავი არ გადამხდენოდა და მის თაობაზე სასახლეში არ ეცინათ. მართალია, გლუმდალკლიჩს გულით ვუყვარდი, მაგრამ ჩემს არც ერთ უცნაურ თავგადასაჯალს ისე არ გაუშვებდა, რომ დედოფლისათვის არ ეამბნა, თუკი დარწმუნებული იქნებოდა, რომ ეს მის ბრწყინვალეობას გააცინებდა და გაარ-

თობდა. ერთხელ გოგონა შეუძლოდ შეიქნა და მისმა აღმზრდელმა სულ რაღაც ერთი საათის სავალზე, ქალაქიდან ოცდაათ მილზე გაიყვანა სუფთა ჰაერზე სასეირნოდ. მათ ეტლი გააჩერეს ერთი ბილიკის ახლოს, რომელიც მინდორში გადიოდა. გლუმდალკლიჩმა ჩემი სამგზავრო ყუთი ძირს ჩამოდგა, მეც გამოვედი და გავისეირნე. გზაზე ტალახი იდგა. ვცადე ვაჟკაცობა გამოემჩინა და გადავმხტარიყავი. გამოვიქეცი, მაგრამ ძალზე მოკლე ნახტომი გამომივიდა და შუაგულ ტალახში მუხლებამდე ჩავეფალი. როგორც იქნა, ამოგანგლული ამოვედი იქიდან, ერთ-ერთმა მსახურმა, რამდენადაც შეძლო, თავისი ცხვირსახოცით გამწმინდა. გაბრაზებულმა გლუმდალკლიჩმა კი ყუთში ჩამკეტა და შინ მისვლამდე გარეთ გამოსვლის უფლება აღარ მომცა. დედოფალს დაბრუნებისთანავე მოახსენეს, რაც გადამხდა, ეს ამბავი მსახურებმა მთელ სასახლეს მოსდეს და, მათაც მეტი რა უნდოდათ, რამდენიმე დღე სულ ჩემზე იცინოდნენ.

## თავი მემქნა

ავტორი ათასგვარ რამეს იგონებს მეფისა და დედოფლის გასართობად. ის უჩვენებს თავის მუსიკალურ ხელოვნებას. მეფე კითხვებს აძლევს ინგლისის სახელმწიფო წყობილების შესახებ და ავტორიც პასუხობს. ამ საკითხის გარშემო მეფის მიერ გაკეთებული შენიშვნები.

კვირაში ერთი-ორჯერ მეფის ტუალეტს ვესწრობოდი და ხშირად მინახავს, როგორ პარსავდნენ მას, რაც პირველად, მართლაც რომ საშინელ სანახაობად მომეჩვენა, რადგანაც მათი სამართებელი ჩვეულებროვ ცელზე ორჯერ გრძელი იყო. მის უდიდებულესობას, იმ ქვეყნად დამკვიდრებული ჩვეულების თანახმად, კვირაში მხოლოდ და მხოლოდ ორჯერ პარსავდნენ. ერთხელ მეფის დალაქს ვთხოვე, ცოტაოდენი ნახმარი საპნის ქაფი მომეცი-მეთქი. მან თხოვნა შემისრულა და მეც იქიდან ორმოცი-ორმოცდაათი მაგარი თმა ამოვიღე. მერე ხის თხელი ნაჭერი ვიშოვე და სავარცხლის ზურგით გავთალე. გლუმდალკლიჩს უწვრილესი ნემსი გამოვართვი და იმ ხის ნაჭერზე ერთმანეთისაგან თანაბარ მანძილზე პატარ-პატარა ნახვრეტები გავაკეთე, მათში თმა გავუყარე, ბოლოები მოვაჭერი, ჯაყვით წავთა-



ლე და ამგვარად ჩინებული სავარცხელი გააკეთე. ეს ამჟამად პირდაპირ მისწრება იყო ჩემთვის, რადგანაც ჩემს სავარცხელს კბილები იმდენად დამტვრეული ჰქონდა, რომ სახმარად აღარ ვარგოდა, ამავე დროს, მთელ სამეფოში ისეთი ოსტატი არ მოიძებნებოდა, რომ ახალი გაეკეთებინა.

ამ წარმატებამ მომაფიქრებინა ერთი ისეთი საქმე, რასაც ბევრი თავისუფალი დრო და შრომა შევალე. დედოფლის მსახურ ქალს, რომელსაც მისი ბრწყინვალეების დავარცხნა ვვალებოდა, ვთხოვე, ვარცხნისას დაცვენილი თმა მომიგროვე-მეთქი. მცირე ხანში საკმაოდ ბევრი თმა დამიგროვდა. ამის შემდეგ მოვეთათბირე ჩემს ოსტატს (მას დაუალემა ჰქონდა, გაეკეთებინა ყოველგვარი წვრილმანი საგნები, რაც დამჭირდებოდა) და ვთხოვე ორი ისეთი ზომის სკამის ჩარჩოს გაკეთება, როგორიც ჩემს ყუთში იდგა. ზურგისა და დასაჯდომი ადგილების კიდები, უწვრილესი ბურღით, ახლო-ახლო თანაბარ მანძილზე უნდა გაქვრიტა. უმაგრესი თმის ღერები შევარჩიე, ნახვრეტებში გაუყარე და ერთმანეთში ისე გადავწანი, როგორც ჩვენში ჩალის სკამს წაუენ ხოლმე. როცა ამ საქმიანობას მოვრჩი, დედოფალს მივართვი საჩუქრად. მისმა ბრწყინვალეებამ ისინი თავის ოთახში დადგა და ხშირად უჩვენებდა სტუმრებს, როგორც ერთგვარ იშვიათობებს. რა თქმა უნდა, ყველა გაკვირვებული რჩებოდა ამ მინიატიურული სკამების ნახვით. დედოფალმა მომთხოვა, გინდა თუ არა, ერთ-ერთ სკამზე დაჯექიო. მე გადაჭრით ვიუარე. ასე მოვახსენე, მირჩვენია, ათასჯერ მოკვდე, ვიდრე დაუჯდე იმ ძვირფას თმაზე, რომელიც ერთ დროს თქვენი უდიდებულესობის თავს ამკობდა-მეთქი. იმ თმისაგან (მე ხომ დურგლობაში დახელოვნებული ვიყავი) იმგვარადვე დავწანი ხუთი ფუტის სიგრძის მშვენიერი პატარა ქისა, რომელზეც დედოფლის სახელი ოქროს ასოებით წავაწერე და, ბოლოს, იგი მისი უდიდებულესობის თანხმობით გლუმდალკლიჩს ვაჩუქე. მართალი გითხრაო, ის უფრო საჩვენებლად იყო გაკეთებული, ვიდრე მოსახმარად, რადგანაც ლითონის დიდ ფულს ვერ გაუძლებდა და ჩემი პატარა ძიძაც მასში მხოლოდ მჩატე-მჩატე სათამაშოებს აწყობდა, რომლებიც ესოდენ უყვართ კუდრაჭა გოგონებს.

მეფეს მუსიკა ძალიან უყვარდა. ხშირად აწყობდა კონცერტებს სასახლეში, რომლებზეც მეც ხშირად მიწვევდნენ. ჩემი ყუთით რომელიმე მაგიდაზე დამსვამდნენ, რომ იქიდან მომესმინა და დავმტკბა-

რიყავი, მაგრამ მუსიკა ისე ხმამაღლა ჩამესმოდა, რომ ტონებს სრულად ვერ ვარჩევდი. ღრმად მჯერა, ინგლისის სამეფოს არმიის ყველა მებრძოლს და მეხუცე რომ ერთად შეყარონ და ერთბაშად დაუკრან, ისეთ გამაყრუებელ ხმას მაინც ვერ გამოსცემენ. უკეთ რომ მომესმინა, ჩემს ყუთს შემსრულებლებისაგან რაც შეიძლება მოშორებით დავადგმევინებდი, კარ-ფანჯრებს დაკეტავდი, დარაბებს ჩამოვშვებდი, რის შემდეგაც მათი მუსიკა ერთგვარ სიამოვნებას მგერიდა.

ახალგაზრდობაში სპინეტზე დაკვრაში ვვარჯიშობდი. გლუმ-დალკლიჩს ერთ-ერთი ასეთი ინსტრუმენტი ჰქონდა თავის ოთახში. კვირაში ორჯერ მუსიკის მასწავლებელი მოდიოდა და ასწავლიდა. მე მას სპინეტი<sup>1</sup> იმიტომ დავარჩევი, რომ ერთგვარად ჩამოჰკავდა ამ ინსტრუმენტს და მსგავს ხმასაც გამოსცემდა. მე აზრად მომივიდა მისი შემწეობით მეფისათვის ინგლისური მუსიკა გამეცნო, მაგრამ ეს უაღრესად ძნელად გასაკეთებელი საქმე აღმოჩნდა, რადგანაც მათ სპინეტს სამოცი ფუტის სიგრძე ჰქონდა, მისი თითოეული კლავიში ერთი ფუტის სიგანის იყო, ისე, რომ რაც უნდა გამეშალა ხელები, ხუთ კლავიშზე მეტს ვერასგზით ვერ გადავწვდებოდი და თითოეული მათგანის ასაქურებლადაც მუშტი მთელი ძალით უნდა დამერტყა, რაც მცირე ხანში არაქათს გამომაცლიდა და შედეგს მაინც ვერ მივიღებდი. ბოლოს ერთი ხერხი მოვიგონე: — ორი მოზრდილი, მომრგვალებული ფორმის ჯოხი გამოვთალე. მათ ერთი ბოლო მეორეზე უფრო მსხვილი ჰქონდათ, სქელ ბოლოებზე თავის ტყავი გადავაკარი, რათა არც კლავიშები გამეფუჭებინა და ხმაც ოდნავ დამეხშო. სპინეტის წინ, კლავიატურაზე ოთხი ფუტით დაბლა, გრძელი სკამი დავადგმევინე. ამ სკამზე იქით-აქით რაც შემეძლო ჩქარა დავრბოდი და მომარჯვებულ ჯოხებს სათანადო კლავიშებზე ვურტყამდი. ამგვარად ინგლისური ჯიგის<sup>2</sup> დაკვრა მოვახერხე და მეფესა და დედოფალს ვასიამოვნე. მაგრამ, მართალი გითხრა, ასე ჩემს სიცოცხლეში არასოდეს დავდლილვარ და, მაინც, თუქვსმეტ კლავიშზე მეტის გამოყენება ვერ შევძელი, ამავე დროს, ბანისა და კრინის დასაკრავი კლავიშების ერთდროულად მოხმარებას ვერასგზით ვერ ვახერხებდი, რაც ჩემს შესრულებას აშკარად აკლებდა სრულყოფილებას.

<sup>1</sup> სპინეტი — კლავიშებიანი საკრავის ერთ-ერთი სახეობა.

<sup>2</sup> ჯიგა — მეზღვურთა ცეკვა ინგლისში. ირლანდიური ეროვნული ცეკვა.

როგორც ზემოთ მოვახსენეთ, მეფე მეტად ჭკვიანი და საღი გონების ადამიანი გახლდათ ის ხშირად იძლეოდა განკარგულებას, მიუყვანე და ჩემი ყუთით მის ოთახში მაგიდაზე დავესვი. მერე მიბრძანებდა, გამომეტანა ერთ-ერთი სკამი და სკივრის თავზე მისგან სულ რაღაც სამი იარდის მანძილზე დაემჯდარიყავი. ამგვარად, თითქმის მისი სახის დონეზე მოუთავსდებოდი ხოლმე და მერე დიდხანს ვსაუბრობდით ერთხელ გაუბედე და მეფეს შევკადრე, რომ ზიზღი, რასაც იგი ვეროპისა და დანარჩენი მსოფლიოს მიმართ გრძნობდა, არ შეეფერებოდა მისი უდიდებულესობის სიბრძნეს, რომ გონებრივი მონაცემები სულაც არაა დამოკიდებული ტანის სიდიდეზე: პირიქით, ჩვენს ქვეყანაში წარმოებული დაკვირვების თანახმად, რაც უფრო მაღალი ტანისაა ადამიანი, მით უფრო მჩატე ჭკუის პატრონია; რომ ფუტკრებსა და ჭიანჭველებს გაცილებით უფრო მიხვედრილ, ჭკვიან და შრომისმოყვარე არსებებად თვლიან, ვიდრე დიდტანიან ცხოველებს და რომ, რამდენად პაწაწინადაც უნდა ვჩვენებოდე მის უდიდებულესობას, საყსებით შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს, საკმაოდ დიდი მომსახურება გავუწიო მას. მეფემ ყურადღებით მომისმინა და ამიერიდან ჩემზე ბევრად უკეთესი შეხედულება შექმნა, ვიდრე მანამდე ჰქონდა. ერთხელ მოისურვა, რამდენადაც შემიძლო, ზუსტად და დაწვრილებით მეამბნა ყველაფერი, რაც კი ინგლისის მთავრობის შესახებ ვიცოდი. რადგანაც, როგორც მეფემ დასძინა, მართალია, ხელმწიფეები მტკიცედ იცავენ თავიანთ ქვეყანაში დამკვიდრებულ ზნე-ჩვეულებებს (მას ეს შეხედულებები სხვა სახელმწიფოთა მეფეებზე ჩემი ადრინდელი საუბრების შედეგად შეუმუშავდა), მაგრამ ის მაინც მოხარული იქნებოდა, თუ ისეთ რამეს გაიგებდა, რაც მიბაძვის ღირსი შეიძლება ყოფილიყო.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, პატოცემულ მოკითხველო, როგორ ვნატრობდი მაშინ დემოსთენეს<sup>1</sup> ან ციცერონის<sup>2</sup> ენაშუიობას, რომ შემძლებოდა ჩემი საყვარელი საშობლო მისი ღირსებებისა და დამსახურების შესაბამისად შემემკო და წარმოემჩინა!

თავიდანვე მოვახსენე მის უდიდებულესობას, რომ ჩვენი ქვეყანა შედგება ორი კუნძულისაგან და იგი სამ ძლიერ სამეფოს შეიცავს,

<sup>1</sup> დემოსთენე (385-322 ძვ. წ.) — ბერძენი ორატორი.

<sup>2</sup> ციცერონი (106-43 ძვ. წ.) — რომაელი პოლიტიკოსი, ადვოკატი და პოლიტიკური მოაზროვნე, ძველი რომის ყველაზე სახელგანთქმული ორატორი და კონსული ძვ. წ. 63 წელს.

მათ ერთი საერთო ხელმწიფე ჰყავთ კუნძულების გარდა ჩვენ კოლონიებიც გვაქვს ამერიკაში. ბევრი ვილაპარაკე ჩვენებური ნიადაგის სინოყიერესა და კლიმატის ზომიერებაზე. შემდეგ საუბარი შეეხო ინგლისის პარლამენტის მოწყობას, რომლის პირველ უმნიშვნელოვანეს ნაწილში, ლორდთა პალატაში, იმყოფებიან ყველაზე კეთილშობილი წარმომავლობის პირები, რომლებსაც მამა-პაპისაგან მემკვიდრეობით უძველესი და უდიდესი მამულები მიუღიათ. მე აღუწერე მის უდიდებულესობას, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენში ასეთი პირების აღზრდა-განათლებას, რომ მათ ასწავლიან სხვადასხვა მეცნიერებასა და სამხედრო ხელოვნებას, როგორც მეფისა და სამეფოს მომავალ მრჩეველებს, რომლებიც სახელმწიფო საკანონმდებლო საქმიანობაში მონაწილეობენ და უმაღლესი სასამართლოს წევრები არიან, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა; როგორც მეომრებს, რომლებიც თავიანთი სიმამაცით, კეთილშობილური ქცევითა და ერთგულებით ყოველთვის შზად არიან, დაიცვან მეფე და სამშობლო; რომ სწორედ ამ პალატაში შემავალი პირები არიან სამეფოს ბურჯები და მშვენიერა; ღირსეული მემკვიდრენი თავიანთი სახელოვანი წინაპრებისა, რომლებმაც, პირადი სიმამაცის წყალობით, არნახული დიდება მოიხვეჭეს, რომელიც მათ შთამომავლობას დღემდე მოჰყვება; რომ ამ პალატაში თავმოყრილნი არიან სასულიერო პირებიც, რომლებსაც ეპისკოპოსის წოდება აქვთ, მათი მოვალეობაა რელიგიური საქმეების სწორად წარმართვა და იმათი მეთვალყურეობა, ვისაც მისი სწავლება და ხალხში გავრცელება ევალება; რომ ეს პირები, თავიანთი წმინდა ცხოვრებისა და დიდი ერუდიციის გამო, მეფისა და მისი ბრძენი მრჩეველების მიერ არიან მონახულნი და ამორჩეულნი; და, რომ ისინი, მართლაც, მთელი სამღვდელოებისა და ხალხის ნამდვილი სულიერი მამები არიან.

პარლამენტის მეორე ნაწილს თუმთა პალატად წოდებული კრება შეადგენს; მასში შედიან პირველხარისხოვანი ჯენტლმენები, თავიანთი უნარიანობისა და სამშობლოს სიყვარულისათვის, ხალხის წრიდან ხალხისავე ნება-სურვილის თანახმად ამორჩეულნი, რომლებიც მთელი ერის სიბრძნესა და ჭკუა-გონებას გამოხატავენ; რომ ეს ორი პალატა წარმოადგენს ყველაზე დიდებულ კრებას ევროპაში, რომელსაც მეფესთან ერთად მინდობილი აქვს მთელი კანონმდებლობა.

შემდეგ აღწერე სასამართლო პალატები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მოსამართლეები, — ეს ჭეშმარიტი ბრძენთაბრძენი და კანონის მცოდნე ადამიანები, — მოქალაქეთა სადავო უფლებებისა და საკუთრების საკითხებს რომ წყვეტენ, დამნაშავეებს რომ სჯიან და უდანაშაულოებს რომ იცავენ. მე ვახსენე, რომ ჩვენი სახელმწიფოს საფინანსო საქმეები ჩინებულადაა მოგვარებული, რომ უდიდეს წარმატებებს აღწვევენ ჩვენი შეიარაღებული ძალები როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე. მე მოვახსენე ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა რაოდენობა და აღვნიშნე, მათგან რამდენი მილიონი მიეკუთვნება ამა თუ იმ რელიგიურ სექტას ანდა ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას. არ დამვიწყებია მელაპარაკა ინგლისელთა საყვარულ თამაშებსა და დროს ტარებაზე, ასევე სხვა წვრილმანებზე, რომლებსაც, ჩემის აზრით, შეედლო მისი უდიდებულესობის თვალში განედიდებინა ჩემი საყვარელი სამშობლო. საუბარი უკანასკნელი საუკუნის ინგლისის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქებით დაჯასრულე.

ყოველივე ამის მოთხრობას მის უდიდებულესობასთან ხუთი შეხვედრა დასჭირდა, რომელთაგან თითოეული რამდენიმე საათს გრძელდებოდა. მეფე დიდი ყურადღებით მისმენდა, ხშირად ინიშნავდა ჩემს ნათქვამს და აგრეთვე იწერდა კითხვებს, რომელთა მოცემაც განზრახული ჰქონდა.

მეფემ შემდეგაც მომიხმო და ამ მეექვსე შეხვედრაზე ჩემ მიერ განხილულ ყველა საკითხზე თავისი დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება გამომაქვლავნა. დამისვა დამატებითი შეკითხვებიც. მაგალითად, მან მკითხა: რა კეთდება ჩვენში დიდგვაროვანთა შვილების გონებრივი და ფიზიკური აღზრდისათვის და რა საქმიანობაში ატარებენ ისინი თავიანთი ცხოვრების პირველ და სწავლისათვის ყველაზე ნაყოფიერ მონაკვეთს? რანაირად ივსება ლორდთა პალატა, როცა რომელიმე კეთილშობილი გვარი ამოწყდება? რა მონაცემების მიხედვით ანიჭებენ ლორდობას ახალ პიროვნებას? რა თამაშობს ამაში გადამწყვეტ როლს, მეფის ნება-სურვილი, სასახლის ბანოვანის, ან პირველი მინისტრისათვის მიცემული ქრთამი, თუ განზრახვა — გააძლიერონ ესა თუ ის პარტია, საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ? ნამდვილად იცნობენ თუ არა ლორდები თავიანთი ქვეყნების კანონებს? მართლა აქვთ მათ უნარი თავიანთი თანამემამულეების ბედ-იღბლის საბოლოო განმსჯელნი და გამგებელნი

იყენენ? შორს დგანან თუ არა ისინი ანგარების, გაუმაძღრობისა და მიკრობოეულობისაგან, რომ მოსყიდვამ ან რომელიმე ბოროტგანზრახვამ მათზე ვერავითარი გავლენა ვეღარ მოახდინოს? ანდა ის სასულიერო პირები, რომლებიც ლორდთა პალატაში შედიან, თავიანთ სასულიერო წოდებას სარწმუნოებრივ მეცნიერებაში ჭეშმარიტი განსწავლულობითა და უცოდველი ცხოვრებით იმსახურებენ? არიან თუ არა მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მოძღვრად ყოფნის დროს, ამა ქვეყნის ძლიერთა ინტერესებს ემსახურებოდნენ? ანდა არიან თუ არა მათ შორის ამა თუ იმ დიდგვაროვანთა კარის მოძღვრები, რომლებიც თავიანთი ყოფილი ბატონების ყურმოჭრილ მონებად და ბილწ თანამოაზრეებად რჩებიან ლორდთა პალატაში მოხვედრის შემდეგაც?

მერე მეფემ ისურვა იმის გაგება, თუ როგორ ხდება თემთა პალატის დეპუტატების არჩევა. შეუძლია თუ არა ჯიბესქელ უცხოელს გავლენა მოახდინოს უბრალო ამომრჩევლებზე და, უფრო ღირსეული ადგილობრივი კანდიდატის წინააღმდეგ, თავისთვის მიაცემინოს ხმები? რატომ ხდება, რომ ყველა ცდილობს თემთა პალატის დეპუტატად მოხვედრას, რაც, ჩემი ნათქვამის მიხედვით, იმდენ ტანჯვა-წვალება-სა და ხარჯს მოითხოვს, რომ ხანდახან ოჯახის სრულ გაპარტახებას იწვევს, — თუ რაიმე სარგებლობას არ მოელოან ხელფასის ანდა სხვა რაიმე ფულადი ანაზღაურების სახით? მისი უდიდებულესობის აზრით, ასეთი თავგანწირვა და უანგარობა მხოლოდ უაღრესად მაღალი მორალური ღირსებების მქონე პიროვნებას შეიძლება ახასიათებდეს, რაც ძალზე იშვიათია; ამიტომაც, მისი აზრით, ასეთ მოღვაწეებად მიჩნეულნი, ყოველთვის როდი არიან გულწრფელნი. მან მოისურვა გაეგო, თემთა პალატის დეპუტატობის მოსურნეებს ხომ არა აქვთ იმედი თავიანთი ტანჯვა-წვალება და ხარჯები სუსტი და ცოდვილი მეფის და მისი გათახსირებული მინისტრების ჟინის ხელის შეწყობისა და ამისათვის ხალხის ინტერესების მსხვერპლად შეწირვის გზით აინაზღაურონ. მან უამრავი კითხვა მომაყარა და ათასგვარი შენიშვნა გააკეთა, ბევრი რამ დაგმო და არ მოიწონა. მაგრამ მათი გადმოცემა, ჩემი აზრით, უთუოდ უხერხული და მიზანშეუწონელია.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით, რაც მე ჩვენი სასამართლოს შესახებ ვთქვი, მისმა უდიდებულესობამ მოისურვა, ზოგიერთი საკითხი უფრო დაწვრილებით გამეშუქებინა. ამის გაკეთება, მართალი

გითხრათ, სულაც არ გამძნელებია, რადგანაც ერთ ღროს თითქმის გამაკოტრა უმაღლეს სასამართლოში მიმდინარე ხანგრძლივმა პროცესმა, მიუხედავად იმისა, რომ პროცესი მოვიგე და სასამართლო ხარჯების ანაზღაურების გადაწყვეტილებაც იქნა მიღებული. მეფემ იკითხა, რამდენი ღრო დასჭირდა სასამართლოს იმის გასარკვევად, ვინაა მართალი და ვინ — მტყუანი, ანდა რა ხარჯების გაღებაა ამისათვის საჭირო? აქვთ თუ არა ვექილებსა და ორატორებს უფლება, შუამდგომლობა გასწიონ ისეთ საქმეებში, რომლებშიც აშკარაა დანაშაული და ბოროტება? ახდენს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გავლენას ის, თუ რომელი რელიგიური სექტის ან პოლიტიკური პარტიის წევრია განსასჯელი? გააჩნიათ ვექილებს სპეციალური იურიდიული განათლება, თუ მხოლოდ და მხოლოდ კუთხურ, ეროვნულ, ან ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებს იცნობენ? იღებენ თუ არა ვექილები და მოსამართლეები მონაწილეობას იმ კანონების შედგენაში, რომელთა თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით განმარტებისა და გაგების უფლებას თავიანთ თავს თვითონვე აძლევენ? არის თუ არა შემთხვევები, როცა ერთი და იგივე პირები, ერთი და იმავე სახის საქმეზე, ერთ შემთხვევაში ბრალმდებლად გამოდიან, ხოლო მეორე შემთხვევაში — დამცველებად, თანაც, წინანდელი ბრალდების საბუთს შემდგომში დაცვის საბუთად იყენებენ? იღებენ თუ არა ისინი დაცვის ან საქმის წარმოებისათვის გასამრჯელოს და რამდენს? დაბოლოს, აქვთ თუ არა ასეთ პირებს თემთა პალატის დეპუტატად გასვლის უფლება?

შემდეგ მისი უდიდებულესობა ჩვენი ქვეყნის ფინანსების საკითხს შეეხო და გამოთქვა აზრი, რომ მე ალბათ მეხსიერებამ მიმტყუნა, როდესაც შემოსავალ-გასავალზე ვმსჯელობდი, რადგანაც შემოსავლად წელიწადში დაახლოებით ხუთი-ექვსი მილიონი დაჯასახელე, მაშინ, როდესაც, როგორც ვუანგარიშე, სახელმწიფო ხარჯები შემოსავალზე ორჯერ მეტი გამოვიდა. მისი უდიდებულესობა ამ საკითხთან დაკავშირებით ყველაფერს დაწვრილებით ინიშნავდა, რადგანაც იმედი ჰქონდა, რომ ჩვენი ქვეყნის საფინანსო საქმეების ცოდნა შეიძლებოდა მისთვისაც სასარგებლო გამხდარიყო, ამიტომაც არ უნდოდა ჩემ მიერ მიწოდებული ცნობები არასწორი ყოფილიყო. მაგრამ, რაკი ჩემ მიერ მონათხრობი სიმართლეს შეეფერებოდა, მისი ბრწყინვალეობა ვერასგზით ვერ მიმხვდარიყო, როგორ შეიძლებოდა, სახელმწი-

ფოს თავისი შემოსავალი ასე ანგარიშში უცემლად, კერძო პიროვნით ეფლანგა. მან მკითხა, ვინ იყვნენ ჩვენი მეგობრები და რა წყაროები-დან ვფარავთ სესხებს. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩვენი გამანადგურებელი ომებისა და მათი წარმოებისთვის საჭირო უზარმაზარი ხარჯების შესახებ მოუთხრე. მისი აზრით, ან ჩვენ ვართ ჩხუბისა და სისხლის ღვრის მოყვარული ხალხი, ანდა მეტი სმეტად ცუდ მეზობლებს შორის ვცხოვრობთ, ხოლო ჩვენი მხედართმთავრები თვით მეფეებზე უფრო მდიდრები არიან. მან, მკითხა, რა საქმე შეიძლება გვქონდეს ჩვენ ჩვენი კუნძულების მიღმა, გარდა ვაჭრობისა, დიპლომატიური ურთიერთობისა და ჩვენი ფლოტის საშუალებით ჩვენი სანაპიროების დაცვისა. იგი ყველაზე მეტად გააოცა იმ გარემოებამ, რომ ჩვენ, თავისუფალ ხალხს, მშვიდობიანობის დროსაც აუცილებლად გვესაჭიროება დაქირავებული არმიის ყოლა. მან თქვა: თუ ჩვენ ჩვენი ნება-სურვილის თანახმად და ჩვენ მიერ არჩეული წარმომადგენლების მიერ ვიმართებით, მაშინ ყოვლად წარმოუდგენელი და გაუგებარია, ვისი უნდა გვეშინოდეს, ანდა ვის წინააღმდეგ უნდა ვაწარმოებდეთ ომს; მერე მკითხა: თქვენი აზრით, განა კაცი საკუთარ სახლს თავისი ოჯახის წევრებისა და ახლობლების დახმარებით უკეთ არ დაიცავს, ვიდრე თუნდაც ნახევარი დუჟინი დაქირავებული გარეწრებით, რომლებიც ქუჩებიდან არიან აყვანილი, უმნიშვნელო გასამრჯელოს იღებენ, და ასჯერ უფრო მეტს მიიღებენ, თუ იმათ გამოსჭრიან ყელს, ვისი დაცვაც ავლიათ.

მისი უდიდებულესობა ბევრი აცინა ჩემმა მათემატიკამ (როგორც მან მონათლა იგი), როცა მოსახლეობის რიცხვი სხვადასხვა რელიგიური სექტისა და პოლიტიკური პარტიის მიმდევართა რაოდენობის შეჯამების გზით გამოვითვალე; მისი განცხადებით, გაუგებარია, რატომ ხდება, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც საზოგადოებისათვის საზიანო თვალსაზრისი გააჩნიათ, აიძულებენ შეიცვალონ ეს თვალსაზრისი, ნაცვლად იმისა, რომ აიძულონ, თავისთვის შეინახონ ეს აზრები. ვინაიდან, რწმენის საკითხში ძალადობა ტირანიის გამოხარულება იქნებოდა ყოველი ხელისუფლების მხრიდან, ხოლო დამღუპველი აზრების ხმამაღლა გამოთქმის დაშვება — ამავე ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელი; რადგანაც ადამიანს შეიძლება თავის ოთახში საწამლაჟის ქონის ნება დართო, თუმცა სხვის საზიანოდ მისი გამოყენების უფლება არ უნდა მისცე.



მეფემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ ჩვენი დიდგვაროვანი და წარჩინებული მოქალაქეები სხვა გასართობთა შორის აზარტულ თამაშობებსაც მისდევდნენ. მან მოისურვა იმის გაგება, რა ასაკიდან ჰკიდებენ ხელს ამ საქმეს და როდის ანებებენ თავს, რამდენ დროს ართმევს იგი მათ, ხანდახან ხომ არ მოსდევს ასეთ თამაშს მთელი ქონების დაკარგვა; ნაძირალები და გარეწრები ხომ არ იგდებენ ხელში დიდ სიმდიდრეს და ზოგჯერ ღირსეულ ადამიანებზეც ხომ არ ახდენენ საგალალო გავლენას; ხომ არ აქცევენ მათაც თავიანთი გაიძვერული საქმიანობის მოზიარეებად; წაგების შედეგად ისინიც ხომ არ ვარდებიან ასეთი უპატიოსნო ცხოვრების წუმპეში და სწავლობენ წაგებულის ამოგების მიზნით სხვებისთვის ისეთივე ოინების გაკეთებას, რომლის წყალობით ერთ დროს მათ გამოსცინცლეს მთელი საბადებელი?

ხელმწიფის გოცებამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, როცა მოკლედ ვუამბე ჩვენი ქვეყნის უკანასკნელი საუკუნის ისტორია. მან თქვა, რომ მასში შეთქმულებების, აჯანყებების, მკვლელობების, ცემა-ტყეპის, რევოლუციებისა და გადასახლებების გარდა, სხვა არა არის რა; ყოველივე ეს წარმოადგენს ყველაზე უარეს ნაყოფს, რისი მოცემაც კი შეუძლია გაუმაძღრობას, გამცემლობას, ფარისევლობას, ვერაგობას, ბოროტებას, გაცოფებას, გონების დაბინდვას, სიძულვილს, შურიანობას, გარყვნილებას, მტრობასა და პატემოყვარეობას.

შემდეგ შებვედრაზე მისი უდიდებულესობა შეეცადა ყოველივე იმისაგან, რაც მე მოუახსენე, საერთო დასკვნა გაეკეთებინა; ხელმწიფემ მის მიერ დასმული კითხვები ჩემ მიერ გაცემულ პასუხებს შეადარა. ბოლოს ხელში ამიყვანა, თავზე ხელი გადამისვა და მომმართა სიტყვით, რომელსაც ვერასოდეს დაუთვიწყებ (ისევე, როგორც ტონს, ეს სიტყვა რომ იყო წარმოთქმული): „ჩემო პაწაწინა მეგობარო, გრილდრიგ! თქვენ შესანიშნავი ქებათა-ქება შეასხით თქვენს ქვეყანას; ნათლად დამანახვეთ, რომ თქვენთან, გაუნათლებლობა, სიზარმაცე და მანკიერება, ხანდახან, კანონმდებლის ყველაზე სასარგებლო თვისებებს შეადგენს; რომ კანონებს განმარტავენ, ხსნიან და იყენებენ ის პირები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან და უნარიც შესწევთ დაამახინჯონ, არიგ-დარიონ და გვერდი აუარონ მათ. ზოგიერთი რამ თქვენს სახელმწიფო მმართველობაში, როგორც ჩანს, თავისი თავდაპირველი ფორმით, შესაძლებელია, სასარგებლოც ყოფილიყო, მა-

გრამ მისი სწორედ ამ ნაწილის ნიშანწყალიც არ შეგინარჩუნებიანთ ამჟამად, ხოლო დანარჩენი, ისედაც უვარგისი, ახლა კიდევ უფრო შებილწული და შელახულია. ყოველივე იმისგან, რაც თქვენ თქვით, არ ჩანს, რომ თქვენში რომელიმე დიდი თანამდებობის დასაკავებლად საჭირო იყოს რაიმე ღირსება. უფრო მეტიც, არსად ჩანს, რომ თქვენში ადამიანს თავისი უნარისა და მაღალი ღირსების გამო აწინაურებდნენ; რომ სასულიერო პირებს აწინაურებდნენ თავიანთი კუთილსინდისიერების ან ცოდნისთვის; ჯარისკაცებს — თავიანთი სიმამაცისა და თავდადებულობისთვის; მოსამართლეებს — მოუსყიდველობისთვის; სენატორებს — ქვეყნის სიყვარულისთვის; და სახელმწიფო მრჩეველებს — ჭკუა-გონებისთვის.

რაც შეეხებათ პირადად თქვენ, — განაგრძო მეფემ, — ვინც ცხოვრების დიდი ნაწილი მოგზაურობაში გაატარეთ, დარწმუნებული ვარ, სწორედ ამ ვითარების წყალობით აიცდინეთ თავიდან თქვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელი მრავალი ბიწიერება და მანკიერება. მაგრამ, იმის მიხედვით, რაც თქვენი მონათხრობიდან გავიგე და რაც ათასგვარი კითხვით ძლავს დაგაცდენინეთ, არ შემიძლია არ დავასკვნა, რომ თქვენი თანამემამულეების დიდი უმრავლესობა პატარა შხამიანი გველების მოდგმას წარმოადგენს, რომლებზე საზიზღარიც არასოდეს არაფერი გალოლებულა დედამიწის ზედაპირზე“.

## თავი მუხვიდი

ავტორის სიყვარული სამშობლოსადმი. ის ფრიად სასარგებლო წინადადებას აძლევს მეფეს, მაგრამ მას არ მიიღებენ. მეფის სრული უმეცრება პოლიტიკაში. იმ ქვეყნის არასრულქმნილი და ვიწრო განათლება. სახელმწიფო კანონები, სამხედრო საქმე და პარტიები.

ჭეშმარიტების უდიდესმა სიყვარულმა მაიძულა ჩემი ისტორიის ეს ნაწილი არ დამეფარა. რაშიც უნდა გამეწია წინააღმდეგობა, სულ ერთიანად სიცილს მაყრიდნენ და იძულებული ვიყავი, პირში წყალი დამეგუბებინა, თუმცა ჩემს საყვარელ და ძვირფას სამშობლოს ესოდენ აუგად იხსენიებდნენ. ყოველ ჩემს მკითხველთან ერთად მეც გულით ვწუხვარ, რომ ასეთი არასახარბიელო როლის შესრულებამ

მომიწია. მაგრამ მეფე იმდენად ცნობისმოყვარე იყო და ისე დაუინებით მოითხოვდა მეცნობებინა ყოველი წერილმანი, რომ ჩემთვის შეუძლებელი შეიქნა, არ დამეკმაყოფილებინა მისი მოთხოვნა. თავის გასამართლებლად მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ოსტატურად ვუპყლიდი გვერდს მრავალ კითხვას და უმრავლეს შემთხვევაში გაცილებით უფრო ვალამაზებდი ფაქტებს, ვიდრე მწარე სინამდვილე იძლეოდა ამის შესაძლებლობას. რადგანაც მე, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე, როგორც ჩემი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი, იმას ვაკეთებდი, რასაც ისტორიკოსებს სამართლიანად ურჩევს დიონისიოს ჰალიკარნასელი<sup>1</sup>. სააშკარაოზე გამომქონდა მისი ღირსებები და სივალამაზე, ხოლო ნაკლსა და მანკიერებებს, რაც შემეძლო ვჩქმალავდი და არ ვაჩენდი. იმ ჩემი ხანგრძლივი საუბრების დროს გულწრფელად ვცდილობდი ამის გაკეთებას, მაგრამ, საუბედუროდ, ჩემმა ცდამ ამაოდ ჩაიარა.

თუმცა, მეტი არც კი მოეთხოვება მეფეს, რომელიც დანარჩენი კაცობრიობისაგან მთლად მოწყვეტილია და ამიტომაც სრულიად არ იცნობს სხვა ხალხებში დამკვიდრებულ ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებს. ასეთი შეზღუდულობა ყოველთვის წარმოშობს აზროვნების სიიწროვესა და ნაირ-ნაირ ცრურწმენას, რისგანაც ჩვენ და ევროპის სხვა განათლებული ქვეყნები ბოლომდე დაზღვეულნი ვართ აგრეთვე სისულელე იქნებოდა, რომ ამგვარი მიყრუებული ქვეყნის მეფის თვალსაზრისი სიკეთესა და ბოროტებაზე მთელი კაცობრიობისათვის ერთგვარ ნიმუშად წარმოგვედგინა.

ჩემი ნათქვამის დასადასტურებლად და იმის საჩვენებლად თუ რა საგალალო შედეგები მოსდევს გაუნათლებლობას, ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც, ადვილი მოსალოდნელია, არც კი დაიჯეროთ მე მეფეს მოვახსენე, რომ ამ სამი-ოთხი საუკუნის წინათ შექმნილი იქნა სპეციალური ფხვნილი, რომელშიც თუნდაც ერთადერთი უმცირესი ნაპერწკლის მოხვედრაც საკმარისია მთელი გროვის, თუნდაც იგი უზარმაზარი მთის სიდიდე იყოს, ერთ წუთში ასაფეთქებლად; რომის ყველაფერს ააფეთქებს გარშემო და ჰაერში აიტანს მქვის ხმაზე

<sup>1</sup> დიონისიოს ჰალიკარნასელი — ავგუსტუსის თანამედროვე ბერძენი ისტორიკოსი. თავისი „არქეოლოგიის“ შესავალში ის ამბობს, რომ განზრახული აქვს, ბერძნებს რომაელები შევალამაზებულად წარმოუდგინოს. სწორედ ამას გულისხმობს სვიფტი.

უფრო ძლიერი გრუხუნით სპილენძის ან რკინის ცარიელ მილში ამ ფხვნილის განსაზღვრული რაოდენობა რომ ჩავტენოთ, იგი, აფეთქების დროს, ზვეიდან დადებულ რკინის ან ტყვიის ბურთს ისეთი სიძლიერითა და სისწრაფით გააქროლებს, რომ წინ ვერაფერი დაუდგება; რომ ამგვარად გატყორცნილ დიდ ბურთებს შეუძლია არა მარტო ერთბაშად გაჟლიტოს ჯარისკაცთა რამდენიმე მწკრივი, არამედ უძლიერესი კედლებიც მიწასთან გაასწოროს: ჩაძიროს ხომალდები, რომლებზეც ათას-ათასი კაცი მაინც იქნება, ხოლო რამდენიმე მათგანი ერთად ნაკუწებად აქცევს ანძებსა და გემების მთელ მოწყობილობას, ნაფლეთებად დაგლეჯს ადამიანთა სხეულებს და გააპარტახებს ყველაფერს, რასაც კი გაეკარება; რომ ჩვენ ხშირად ვტყენით ამ ფხვნილს რკინის უზარმაზარ ბურთში და სპეციალური ხელსაწყოთი ჩავაგდებთ ხოლმე ჩვენ მიერ გარემოცულ ქალაქში, სადაც იგი აყრის ქვაფენილს, ნაკუწებად აქცევს სახლებს; ფეთქდება და ყოველი მიმართულებით ისვრის ნამსხვრევებს, რომლებიც ტყინს გადმონთხვეინებს ყველას, ვინც ამ დროს იმ მიდამოებში აღმოჩნდება; რომ მე კარგად ვიცნობდი ამ ფხვნილის შემადგენლობას, რომელიც საშოვნელადაც ადვილია და ძალიან იაფიც ჯდება; მე ვიცოდი, როგორ უნდა დაემზადებინათ იგი და შემეძლო მისი უდიდებულესობის ოსტატებისათვის მიმეთითებინა, რა სიდიდის მილები გაეკეთებინათ, რომ მას მათი სამეფოს უზარმაზარი საგნებისა და ცოცხალი არსებების შესაფერისი სიდიდე ჰქონოდა და მაინც, სულ დიდი, ას ფუტზე მეტი სიგრძე არ დასჭირვებოდა. ოცი-ოცდაათი ასეთი მილი საკმარისი იქნებოდა რამდენიმე საათში მისი სამეფოს უძლიერესი ქალაქის გალავნის დასანგრევადაც, ანდა თვითონ დედაქალაქის მიწასთან გასასწორებლად, თუ ვინიცობაა, რომელიმე მათგანი ოდესმე გაბედავდა მას გადასდგომოდა. მე მორჩილად შევთავაზე მის უდიდებულესობას ასეთი მცირე სამსახური გამეწია ჩემთვის გაღებული ურიცხვი წყალობისა და მფარველობის სამაგიეროდ.

მეფე უზომოდ შეაძრწუნა ამ საშინელი იარაღის აღწერილობამ და ჩემ მიერ შეთავაზებულმა წინადადებამ. იგი გაცოცხლებული იყო იმით, რომ ასეთ უმწიო და უსუსურ მწერს (ეს მისი გამოთქმებია), როგორც მე ვიყავი, შემეძლო ამნაირი არაადამიანური აზრები მქონოდა და სრულიად გულცივად, თითქოსდა აქ არაფერიაო, აღმეწერა და გადმომეცა უსაზარლესი იარაღის გამანადგურებელი ძალა. მისი გა-

მომგონებელი, მეფის აზრით, შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ რომელიმე ბოროტი გენია, კაცობრიობის დაუძინებელი და ვერაგი მტერი. რაც შეეხებოდა პირადად მას, მისმა უდიდებულესობამ განაცხადა, რომ ერჩივნა ნახევარი სამეფო დაეკარგა, ვიდრე მიეწონა ამ საიდუმლოებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მას არაფერი ისეთ სიამოვნებას არ ჰგვირია, როგორც რაიმე საინტერესო სიახლისა და აღმოჩენის გაცნობა ხელოვნებასა და მეცნიერებაში. მეც მიბრძანა, თუ თავი არ მოგებზრებია, იგი არასოდეს ახსენო.

აი, რა მოსდევს შეზღუდულ განათლებასა და თვალს და მერე ვინ იყო ასეთი: მეფე, რომელიც უყვარდათ, აფასებდნენ და პატივს სცემდნენ. შესანიშნავი უნარის, დიდი სიბრძნის, ფართო განათლების პატრონი, რომელსაც ისე ეთაყვანებოდნენ თავისი ქვეშევრდომები, რომ თითქმის აღმერთებდნენ. და ეს ადამიანი, რაღაც ზედმეტი კეთილსინდისიერების გამო, რომელიც ჩვენთვის, ვეროპელებისათვის, სრულიად გაუგებარია, ხელიდან უშვებდა შესაძლებლობას, რომელიც მას თავისი ხალხის სიცოცხლის, თავისუფლებისა და ავლადიდების სრულ ბატონ-პატრონად გადააქცევდა. ამას იმ მიზნით როდი ვამბობ, თითქოსდა სურვილი ან განზრახვა მქონდეს, უამრავი სხვა ღირსებებით შემკულ დიდებულ მეფეს სახელი გაუტუტო, თუმცა, წინასწარ ვგრძნობ, ამის წაკითხვის შემდეგ იგი მეტისმეტად დამცირდება ინგლისელი მკითხველის თვალში. ჩემი აზრით, ეს ნაკლი იმ გარემოებით შეიძლება აიხსნას, რომ მისი ხალხი პოლიტიკაში უმეცარია. მათ ხომ პოლიტიკა დღემდე არ აუყვანიათ მეცნიერების სიმაღლემდე, როგორც ეს ვეროპის უდიდესმა მოაზროვნეებმა გააკეთეს. მაგონდება, ერთ-ერთი გასაუბრების დროს მის უდიდებულესობას ვუთხარი, ჩვენში, ვეროპაში, რამდენიმე ათასი წიგნია დაწერილი სახელმწიფოს მართვის ხელოვნებაზე-მეთქი, რის გამოც მან (ჩემი მოლოდინის სრულიად საპირისპიროდ) ჩვენს გონებრივ განვითარებაზე საუბრით დაკარგა წარმოდგენა. განაცხადა, რომ ეზიზღებოდა და ვერ იტანდა ვერაგითარ საიდუმლოსა და ინტრიგას, ვერც მეფისა და ვერც რომელიმე მინისტრის მხრიდან. მან ვერ გაიგო, რა იგულისხმებოდა ტერმინში „სახელმწიფო საიდუმლოება“, თუ საქმე მტერს ან რომელიმე მტრულად განწყობილ ქვეყანას არ შეეხებოდა... მას ძალზე მწირი წარმოდგენა ჰქონდა სახელმწიფო მართვის ხელოვნებაზე. მისი აზრით, კარგი მმართველისათვის საკმარისი იყო საღი ჭკუა-გონება,

სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების სწრაფი გადაწყვეტის უნარი და კიდევ ზოგიერთი უმნიშვნელო რამე, რომელთა ხსენება არც კია საჭირო. მან დაასკვნა, რომ, მისი შეხედულებით, ის, ვინც ერთი თავთავის ნაცვლად იმავე ფართობზე ორს მოიყვანდა, მეტ სარგებლობას მოუტანდა თავის ქვეყანას, ვიდრე ყველა ჯურის პოლიტიკოსები ერთად აღებული.

ამ ხალხის სწავლა-განათლება მრავალმხრივობას სრულიად მოკლებულია, ასწავლიან რა მარტოდმარტო მორალს, ისტორიას, პოეზიას და მათემატიკას, — თუმცა კი, ეს საგნები ღრმად და საფუძვლიანად ისწავლება. მათემატიკას მათთვის მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება აქვს — გამოიყენება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის განსაზღვრებლად. ცხადია, ჩვენში ეს დიდ პატივისცემას ვერ დაიმსახურებდა. რაც შეეხება სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმართულებას, ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ იქნა და მათი ვერაფერი გაუგებინე.

იმ ქვეყანაში არც ერთი კანონი, სიტყვების რაოდენობის თვალსაზრისით, არ უნდა აღემატებოდეს ანბანში არსებული ასოების რიცხვს, რაც მხოლოდ ოცდაორს შეადგენს, და, მათ შორისაც, თითოთოროლა კანონი თუ იქნება იმხელა, რომ ამდენი სიტყვა დასჭირდეს. ისინი გამოთქმულია უბრალო და გასაგები ენით, ამიტომაც მათ ერთი და იგივე კანონი სხვადასხვანაირად არასოდეს ესმით. ამის გამოა, რომ რომელიმე კანონის განმარტების დაწერა იქ უძძიმეს დანაშაულადაა მიჩნეული. სამოქალაქო ან სისხლის სამართლის დამნაშავეთა საქმეების გარჩევის დროსაც, მსგავსი პრეცედენტები ისეთი იშვიათია, რომ ამ მხრივაც მაინცდამაინც სატრაბახო არაფერი აქვთ.

წიგნების ბეჭდვის ხელოვნებას ისინი, მსგავსად ჩინელებისა, უხსოვარი დროიდან იცნობენ, მაგრამ მათი წიგნთსაცავები არცთუ ისე მდიდარია. ასე, მაგალითად, მეფის წიგნთსაცავი, რომელიც მთელ სამეფოში უდიდესია, ათას ტომზე მეტს არ შეიცავს. წიგნები ასოცი ფუტის სიგრძის გალერეაშია დალაგებული. უფლება მქონდა, იქიდან, რომელი წიგნიც მომინდებოდა, იმით მესარგებლა. გლუმდალკლიჩის ოთახში დედოფლის ოსტატმა მოაწყო ოცდახუთი ფუტის სიმაღლის, დასაყენებელი კიბის მსგავსი ხის ერთგვარი მანქანა. ყოველ საფეხურს ხუთი ფუტი სიგრძე ჰქონდა: ეს იყო სწორედ

მოძრავი კიბე, რომლის ქვედა საფეხური ოთახის კედლიდან ათი ფუტით იყო დაშორებული. წიგნს, რომლის წაკითხვაც მე მქონდა განზრახული, კედელზე მიაყუდებდნენ... თავდაპირველად კიბის ზემო საფეხურზე ავიდოდი, სახეს წიგნისაკენ მივაბრუნებდი და ვიწყებდი კითხვას გვერდის ზემო ნაწილში და ასე გაუთლიდი მარჯვენო და მარცხნო ათიოდე ნაბიჯს, რაც სტრიქონის სიგრძეს უდრიდა. შემდეგ ძირს ჩამოინაცვლებდი და, ასე და ამგვარად, ჩუთოლიდი მთელ გვერდს, მერე ისევ მაღლა ავიდოდი და ვიწყებდი მეორე გვერდის კითხვას იმგვარადვე. მვეე გადაუშლიდი სასურველ ფურცელს, რისი გაკეთებაც ორივე ხელით არ მიძნელდებოდა, რადგანაც ფურცელი ჩვენებურ მუყაოზე სქელი არ იყო და უდიდეს ტომსაც თვრამეტ-ოც ფუტზე მეტი სიგრძე არ ჰქონდა.

მათი სტილი ნათელი, ვაჟკაცური და სადაა. რადგანაც ისინი არაფერს გაურბიან ისე, როგორც უსარგებლო სიტყვების სიმრავლეს, ანდა ნაირ-ნაირი გამოთქმის წარამარა ხმარებას. მე საკმაოდ ბევრი წიგნი წავიკითხე იქ, განსაკუთრებით ისტორიასა და მორალზე. ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებით მომეწონა ერთი პატარა ტომეული, რომელიც გლუმდალკლიჩის ოთახში იდო მუდამყამ და მისი აღმზრდელის საკუთრებას წარმოადგენდა. ის ხნიერი ქალი გახლდათ და ბევრს კითხულობდა მორალსა და რელიგიაზე. ხსენებული წიგნი შეეხებოდა ადამიანის ბუნების სისუსტეს და ნაკლებად იყო გავრცელებული, თუ არა ქალებსა და უბრალო ხალხში. მე მაინც დავინტერესდი გამგო, რას ამბობდა იქაური ავტორი ამ საკითხზე. მწერალი იმეორებდა ვეროპელი მორალისტების მსჯელობებს და უჩვენებდა რამდენად საზიზღარი, უმწეო და უსუსური ცხოველია ადამიანი თავისი ბუნებით; რამდენად უმწეოა იგი, დაიცვას თავი ბუნების სტიქიისაგან ანდა ველური ნადირების თავდასხმისაგან; როგორ სჯობნიდა მას ერთი ცხოველი სიძლიერით, მეორე — სისწრაფით, მესამე — წინდახედულობით, მეოთხე კი შრომისმოყვარეობით. მისი თქმით, უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე ბუნება იმდენად გადაგვარდა, რომ უკვე აღარ შეუძლია წარმოშვას არაფერი, გარდა უდღეური არსებებისა. მისი აზრით, სრული საფუძველი არსებობს იმის სათქმელად, რომ ადამიანები უწინ გაცილებით უფრო დიდი ტანისანი იყვნენ, რომ ოდესღაც დედამიწაზე გოლიათებიც კი არსებობდნენ. ამას ამტკიცებს ისტორიაც და ხალხური გადმოცემებიც და ეს, როგორც ფაქტი, დას-

ტურდება იმით, რომ უზარმაზარ ძვლებსა და თავის ქალებს აწყდებიან ქვეყნის შორეულ ნაწილებში წარმოებული გათხრების შედეგად; თავიანთი სიდიდით ისინი მნიშვნელოვნად აღემატებიან თანამედროვე დაჩიაუებულ კაცუნებს. მისი აზრით, ბუნების კანონები ლოგიკურად მოითხოვს, რომ ჩვენ ფიზიკურად უფრო დიდნი და უშიშარნი დავბადებულიყავით, რათა ყველა უმნიშვნელო შემთხვევის მსხვერპლნი არ გავმხდარიყავით; როგორიცაა, მაგალითად, კრამიტის ჩამოვარდნა სახლის სახურავიდან, ან პატარა ბიჭის ხელით ნასროლი ქვა, ანდა პატარა ნაკადულში დახრჩობა... ამგვარი მსჯელობებიდან მას გამოჰყავდა რამდენიმე დიდაქტიკური ხასიათის მოსაზრება, რომლის გათვალისწინებასაც ცხოვრებაში ერთგვარი სარგებლობის მოტანა შეუძლია, მაგრამ მისი აქ გამეორება საჭირო არ არის. ჩემი მხრიდან, არ შემეძლო არ დაეფიქრებელიყავი იმაზე, რა საყოველთაოდაა კაცობრიობაში გავრცელებული სურვილი იმისა, რომ შეთხზან ჭკუის სასწავლი დარიგებები და აგრეთვე ილაპარაკონ ადამიანის სისუსტესა და უმწეობაზე ბუნების სტიქიონის წინაშე. ჩემი აზრით, თუ ამ საკითხს მკაცრად განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ ასეთი ჩივილი საფუძველს მოკლებულია, როგორც ჩვენში, ისე იმ ხალხშიც.

რაც შეეხება სამხედრო საქმეებს, ადგილობრივი მცხოვრებლები ამაყობენ მეფის არმიის მრავალრიცხოვნობით, რომელიც შეადგენს სამოცდათექვსმეტ ათას ფეხოსანს და ოცდათორმეტ ათას ცხენოსანს, თუ შეიძლება მათ საერთოდ არმია ეწოდოს, რადგან ქალაქებში იგი შედგება ვაჭრებისაგან, ხოლო სოფლებში — ფერმერებისგან, მეთაურებად კი დანიშნული არიან მხოლოდ და მხოლოდ წარჩინებულნი და წვრილი აზნაურობა, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე. მიუხედავად ამისა, არმია მშვენივრადაა გაწვრთნილი, დისციპლინაც ჩინებული აქვთ; თუმცა ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგანაც ყოველი გლეხი თავისი ბატონის ხელქვეითია ჯარში, და ყოველი მოქალაქე კი ხელქვეითია თავისივე ქალაქის თავკაცებისა, რომლებსაც ისევე ირჩევენ კენჭისყრით, როგორც ეს ვენეციაში ხდება.

ხშირად მიყურებია ქალაქგარეთ გადაშლილ ოცდახუთი კვადრატული მილის ფართობის მქონე მინდორზე გამოსული ლორბრულ-გრუნდის ლაშქრის საომარი სწავლებისთვის. ჯარისკაცთა რიცხვი იქ ოცდახუთი ათას ქვეითსა და ექვსი ათას ცხენოსანს არ აღემატებოდა, მაგრამ ჩემთვის ძნელი იყო მათი რაოდენობის გამოანგარიშება, რა-



დგანაც ძალიან დიდ ფართობზე იყვნენ გაშლილნი. უშველებელ ბე-  
დაურზე მჯდარი მხედარი ოთხმოცდაათი ფუტის სიმაღლემდე აღწე-  
ვდა. ერთხელ კაპალერიის გამოსვლას ვუყურე: უბრძანეს და ყველამ  
ერთბაშად იძრო ხმალი და ჰაერში დაატრიალა. შეუძლებელია,  
ადამიანმა წარმოიდგინოს რაიმე უფრო დიდებული, საკვირველი და  
გრანდიოზული: თითქოს ცის თავანზე ყოველი მხრიდან ათი ათასმა  
ელვამ ინათაო.

ვერ მივმხვდარიყავი, რისთვის დასჭირდა მეფეს არმიის შექმნა და  
ხალხის სამხედრო მომზადება. აკი მისი სამეფო შეუკალია და საფრ-  
თხე არსაიდან ემუქრება. მაგრამ კერძო საუბრებმა და ისტორიკოსთა  
შრომების გაცნობამ ძალე გამარკვია ამ საკითხში. თურმე ნუ იტყვიტ,  
საუკუნეთა მანძილზე ისინიც იმავე ავადმყოფობით იტანჯებოდნენ,  
რაც მთელი კაცობრიობის სნეულებადაა მიჩნეული: — თავდაზნაუ-  
რობა იბრძოდა ძალაუფლების მისატაცებლად, ხალხი თავისუფლე-  
ბის მოსაპოვებლად, მეფე კი განუყოფელი ხელისუფლებისათვის. ეს  
უთანხმოება დროდადრო განსაკუთრებით მძაფრდებოდა, რაც ხში-  
რად სამოქალაქო ომს იწვევდა. უკანასკნელი ასეთი ომი სვებედნიე-  
რად დაასრულა ახლანდელი მეფის ბაბუამ და საყოველთაო მშვი-  
დობა დაამყარა ურთიერთდათმობისა და შეთანხმების საშუალებით.  
მაშინ შეიქმნა სახალხო ლაშქარი, რომელიც მუდამ მზადყოფნაშია  
და ფხიზლად დგას საზოგადოებრივი წესრიგის საგუშაგოზე.

## თავი მერვე

მეფე და დედოფალი მიემგზავრებიან საზღვრების დასათვალიერებლად.  
ავტორი თან ახლავს მათ იმის დაწვრილებით აღწერა, თუ როგორ დატოვა  
ავტორმა კუნძული. ის ბრუნდება ინგლისში.

რატომღაც ყოველთვის მჯეროდა, რომ ადრე იქნებოდა თუ გვიან,  
თავისუფლებას მოვიპოვებდი, თუმცა წარმოდგენაც არა მქონდა, რო-  
გორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო და არც გათავისუფლების რაიმე  
სამოქმედო გეგმის შედგენის თავი მქონდა. გემი, რომელმაც მე აქ  
მომიყვანა, ერთადერთი იყო აქაურების ხსოვნაში, რომელიც მოადგა  
მათი კუნძულის სანაპიროს და მეფემაც მკაცრი განკარგულება გას-

ცა, თუ ვინიცობაა, ოდესმე მეორე გამოჩნდებოდა, ამოელოთ ზღვიდან თავის მეზღვურებიანად და ოთხთვალით ლორბრულგრუდში ჩაეტანათ მეფეს დიდი სურვილი ჰქონდა ჩემთვის ჩემივე ზომის ქალი ეპოვა სადმე, რათა შთამომავლობა მყოლოდა. მაგრამ სიკვდილს ვარჩევდი იმას, რომ გამეჩინა შვილები, რომლებსაც გაწვრთნილი თუთიყუშებივით გალიაში ჩასვამდნენ, რათა დროდადრო დიდებულები გაერთოთ მართალია, პირადად მე თავაზიანად და პატვისცემით მეპყრობოდნენ, გაგიჟებით ვუყვარდი მეფესა და დედოფალს და ჩემი გამოჩენისას სასახლეში სიხარულს ვერ მალავდნენ, მაგრამ ყველაფერ ამაში ბევრი რამ ადამიანის ბუნებისთვის შეურაცხყოფელიც იყო. ინგლისში დატოვებული ოჯახის მოგონება ენით გამოუთქმელი დარდით მკვსებდა. დანატრული ვიყავი ჩემს თანატოლ ადამიანებთან საუბარს და ქუჩებში ისე გავლას, რომ ვინმეს ფეხის დაბიჯებისა და ძაღლის ლეკვით ანდა ბაყაყით გასრესის არ შშინებოდა. მაგრამ, დახეთ საკვირველებას, გულის წადილი გაცილებით უფრო ადრე ამიხდა, ვიდრე მოველოდი და ისიც მეტად არაჩვეულებრივი გზით. რა ვითარებაში მოხდა ეს, განზრახული მაქვს დაწვრილებით გაიამბოთ.

უკვე ორი წელი იყო გასული რაც ამ ქვეყანაში ვიყავი. მესამე წლის დასაწყისში გლუმდალკლიჩი და მე მეფესა და დედოფალს სამეფოს სამხრეთ სანაპიროს დასათვალიერებლად გავეყვით. მე, ჩვეულებრივ, ჩემი სამგზავრო ყუთით მივყავდი, რომელიც, მგონი ადრევე მოგახსენეთ, თორმეტი ფუტის სიგანის მეტად კოხტა და მოხერხებული სადგომი გახლდათ. მე მოვითხოვე ჭერის ოთხივე კუთხეზე ბაწრით ჩამოეკიდათ ჰამაკი, რომელიც რყევისაგან დამიცავდა, როცა ცხენოსან პაჟს ქამარზე დაკიდებული ერთი ადგილიდან მეორეზე ჩემი ნება-სურვილის თანახმად გადავყავდი. ამასთან, მგზავრობის დროს ხშირად ვთვლემდი მასში. დედოფლის ოსტატს ვუბრძანე, ჩემი ყუთის სახურავზე ერთი კვადრატული ფუტის სიფართოვის სარკმელი გაეკეთებინა, რათა ძილის დროს სუფთა ჰაერით მესუნთქა. ხსენებულ სარკმელს, როცა მომინდებოდა, გასაწვე-გამოსაწვეი ფიცრით ვხურავდი.

როცა დანიშნულ ადგილამდე მივაღწიე, მეფემ საჭიროდ ჩათვალა, რამდენიმე დღე გაეტარებინა თავის საზაფხულო სასახლეში, რომელიც სანაპიროდან თვრამეტი ინგლისური მილით დაშორებული ქალაქის — ფლანფლასნიკის ახლოს მდებარეობდა. გლუმდალკლიჩი

და მე საშინლად დავიქანცეთ მე სურდო შემეყარა; საბრალო გოგონა კი ისე აჟად გახდა, რომ ოთახიდან ვეღარ გამოდიოდა. სულითა და გულით მინდოდა მენახა ოკეანე, რომელსაც უნდა მოეტანა ჩემთვის თავისუფლება, თუ ვინიცობაა ოდესმე გამიღიმებდა ბედი. თავი უფრო მოვიადამყოფე, ვიდრე სინამდვილეში ვიყავი და ერთ პაჟთან ერთად, რომელიც ძალიან მიყვარდა და რომელსაც ხანდახან ანდობდნენ ჩემს თავს, ზღვის სუფთა ჰაერზე გასეირნების ნებართვა ვითხოვე. არასოდეს დამავიწყდება, როგორ არ უნდოდა გლუმდალკლიჩს ამაზე დათანხმება, როგორ ემუდარებოდა პაჟს ცხარე ცრემლთა ფრქვევით, გამფრთხილებოდა მე, თითქოსდა წინასწარ გრძნობდა, რაც უნდა მომხდარიყო. ბიჭმა ჩემი ყუთით სასახლიდან დაახლოებით ნახევარი საათის საუალზე წამიყვანა და პირდაპირ ზღვის კლდოვან სანაპიროს მივადექით. მე ვუბრძანე ბიჭს აქ დამსვი-მეთქი, მერე ერთ-ერთი სარკმელი გამოვადე და ოკეანის უსაზღვრო სოფრცეს ნაღვლიანი თვალე-ბით საბრალისად დავუწყე მხერა. თავს ცუდად ვგრძნობდი და პაჟს ვუთხარი, ცოტა ხნით ჰამაკში უნდა წავიძინო-მეთქი, იმედი მქონდა, რომ ძილი ნაწილობრივ მაინც გამიფანტავდა სვედიან ფიქრებს და ოღნავ მაინც მომეშვებოდა გულზე. ამგვარად, ჩავწექი ჰამაკში და ბიჭმა მაგრად მოხურა სარკმელი, რათა ზღვის ნიავს არ დაეებრა და არ გავცოვებულიყავი. მალე ჩამეძინა. პაჟმა, როგორც ჩანს, იფიქრა, ცოტა ხნით რომ დავტოვო, არაფერი მოუვაო და კლდეებზე დაიწყო ცოცვა ჩიტის კვერცხების საძებნელად. მე მანამდეც შემიძინვია ჩემი ყუთის სარკმლიდან, კლდეებში ბუდეებს რომ პოულობდა და კვერცხებს იღებდა. ასე იყო თუ ისე, ერთბაშად უეცარმა ბიჭმა გამომადვიდა, რაღაცამ ასწია ჩემი ყუთი მის სახურავზე უფრო მოხერხებულად ტარების მიზნით მიმაგრებული რგოლით და სულ მალლა, მალლა აიტანა ჰაერში, შემდეგ კი თავბრუდამხვევი სისწრაფით გააქროლა წინ. პირველმა შექანებამ კინაღამ გადმომადგო ჰამაკიდან, მაგრამ მალე მოძრაობა არცთუ ისე ძნელად ასატანი შეიქნა. რაც შემემძლო, ყვირილი გაუბი, მაგრამ, ნურას უკაცრაჟად, ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ფანჯრიდან ცისა და ღრუბლების გარდა ვერაფერს ვამჩნევდი. თავს ზემოთ უზარმაზარი ფრთების ტყლაშუნი მომესმა და მაშინ მოვხვდი, რა საკვალალო მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი — ჩემი ყუთი რომელიღაც არწივს აეტაცა რგოლით ჰაერში იმ მიზნით, რომ ლოკოკინასავით სადმე ქვაზე დავეხეთქებინე და

შემდეგ ჩემი ხორციით ყელი ჩაგვემრიელებინა. ფრინველის ალლომ და ყნოსვამ მას შორი მანძილიდან მიაგნებინა თავისი მსხვერპლისათვის, თუმცა მე საკმაოდ კარგად ვიყავი დაფარული მისი თვალთახედვიდან.

მალე ვიგრძენი, რომ ხმაური გაძლიერდა და ფრთების ცემაც გახშირდა. ჩემმა ყუთმა ისევ დაიწყო ქანაობა იქით-აქეთ, როგორც ქარიან ამინდში ქუჩაში გამოკიდული აბრა. მომეჩვენა, თითქოს რამდენიმე ფრთა მოხვდა არწივს (ჩემი აზრით, ფრინველი, რომელსაც ჩემი ყუთი მიჰქონდა, უთუოდ არწივი უნდა ყოფილიყო) და მერე, სრულიად მოულოდნელად, ვიგრძენი, რომ მთელი ერთი წუთის განმავლობაში რაღაცა წარმოუდგენელი სიჩქარით ვვარდებოდი ძირს, შვეულად. ისეთი სწრაფი იყო ეს ვარდნა, რომ სუნთქვაც კი მიჭირდა. ამ საშინელ სრბოლას ბოლო მოუღო უეცარმა ტყლაშუნმა, რომელიც ნიაგარის ჩანჩქერის ხმაურზე უფრო ძლიერი მომეჩვენა. მთელი ერთი წუთი წყვილიაღში აღმოჩნდი, მაგრამ, აი, ჩემმა ყუთმა დაიწყო მაღლა სვლა და მალე მისი სარკმლიდან ისევ შემოიჭრა დღის ცხოველყოფელი შუქი. ახლა კი მოხვდი, რომ ზღვაში ჩავვარდი. ჩემი ყუთი, მისი ზემო და ქვემო კუთხეებზე სიმაგრისათვის მიჭედებული რკინის ფართო ფირფიტების და ჩემი და ჩემი ნივთების საერთო სიმძიმის გავლენით ხუთი ფუტით წყალში ჩაძირული, ატოტოვდა. მაშინაც ვიფიქრე და ახლაც იმ აზრისა ვარ, რომ არწივს, რომელსაც ჩემი ყუთი მიჰქონდა, კიდევ ორი თუ სამი ამავე ჯიშის მტაცებელი აედევნა, რათა ნადავლში შეზიარებოდნენ; გაიმართა შეუპოვარი ბრძოლა და არწივი იძულებული შეიქნა, თავდაცვის მძიმე წუთებში, ყუთი კლანჭებიდან გაეგდო. ქვემო კუთხეებზე მიჭედებულმა რკინის ფირფიტებმა (ისინი უფრო მძიმე და მაგარი იყო) ვარდნის დროს წონასწორობა შეუნარჩუნა ყუთს და წყლის ზედაპირზე დაცემისას დამსხვრევისგანაც იხსნა. კედლები ერთმანეთთან საიმედოდ იყო მიჭედებული; კარიც ანჯამით არ ეკიდა, — არამედ სარკმელით გასაწევ-გამოსაწევად იყო გაკეთებული. ამგვარად, მასში წყალი აქა-იქ თუ გამოყოფიდა, ისიც ფრიად უმნიშვნელო რაოდენობით მე, როგორც იქნა, გადმოვძვერი ჰამაკიდან და გავბედე გამეწია ჭერზე მოთავსებული სარკმლის სახურავი, რათა სუფთა ჰაერი შემომეშვა, რომლის ნაკლებობის გამო სული მეხუთებოდა.

ო, როგორ ვნატრობდი მაშინ ჩემს გლუმდალკლიჩთან ყოფნას, რომელთანაც სულ ერთი საათის დაცილებამ მასთან სამუდამოდ

დამაშორა და, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია განუ-  
ცხადო, რომ იმ უბედურებაში მყოფსაც, მენანებოდა ჩემი საბრალო  
ძიძა, რომლისთვისაც საშინლად მძიმე იქნებოდა ჩემი დაკარგვა და  
რომელსაც, დედოფლის რისხვის გარდა, მთელი თავისი მომავალი  
კარიერის საბოლოო გაფუჭება მოელოდა. ჩემი აზრით, იშვიათად ჩა-  
ვარდნილა რომელიმე მოგზაური იმნაირ გასაჭირსა და უბედურება-  
ში, რაშიც მე იმჯერად ბედის ტრიალმა ჩამაგდო. ყოველ წუთს იყო  
მოსალოდნელი, მძლავრ ტალღას ჩემი ყუთი ნაფოტებად ექცია, ანდა  
გადაეყირაუებინა. ფანჯრის ერთი მინაც რომ დამტვრეულიყო, დაღუ-  
პვა გარდაუვალი შეიქნებოდა და მინებს ხომ გარედან მხოლოდ რკი-  
ნის თხელი ფირფიტების ლარტყა ეფარა, მოგზაურობის დროს რაიმე  
ზიანი რომ არ მოსვლოდათ მე შევამჩნიე, რომ პატარა-პატარა ჭუჭრუ-  
ტანებში ცოტათი წყალმა გამოჟონა და მთელი ჩემი შესაძლებლობა  
გამოვიყენე, რომ როგორმე დამეშინა ისინი. ყუთის სახურავის ახდა  
რომ შემძლებოდა, უთუოდ ზევიდან დაეჯდებოდი, რათა რამდენიმე  
საათით გამეხანგრძლივებინა სიცოცხლე და კოლოფში ჩამწყვდეუ-  
ლი არ დაემხრჩვალყავი საცოდავად. მაგრამ, თუნდაც ერთი-ორი  
დღე გამეძლო ამ მდგომარეობაში, ბოლოს ხომ მაინც შიშშილითა  
და სიცოვით ამომხდებოდა მრავალტანჯული სული? ასეთ ვითარე-  
ბაში ბარე ოთხი საათი დაეყავი და ყოველ წუთს ვნატრობდი, ბოლო  
მომღებოდა. მგონი უკვე გიაძბეთ, რომ ჩემი ყუთის ყრუ კედელს ორი  
მაგარი რგოლი ჰქონდა მიმაგრებული, რომლებშიც ქამარს უყრიდა  
და ყუთს წელზე იკრავდა ის მსახური, ვისაც ჩემს გასეირნებას ანდა  
სადმე წაყვან-წამოყვანას ავალებდნენ. უნუგეშო მდგომარეობაში ჩა-  
ვარდნილს მომესმა თუ მომეჩვენა, თითქოს ჩემს ყუთს ექაჩებოდნენ  
თუ ბუქსირით მიჰყავდათ ზღვაზე; ხანდახან თითქოს ვგრძნობდი, რომ  
ყუთი შეხტებოდა, რის შედეგადაც წყლის ზვირთები ფანჯრებს სწვ-  
დებოდა და ერთხანს სრულ სიბნელეში ვრჩებოდი. ეს მე გადარჩე-  
ნის იმედს მაძლევდა, თუმცა წარმოდგენაც არ მქონდა, საიდან უნდა  
მოსულიყო დახმარება. ერთ-ერთი სკამი, რომელიც ყოველთვის ია-  
ტაკზე იყო მიხრახნილი, მოვხსენი, სახურავზე დატანებული სარ-  
კმლის ქვეშ ძლივძლივობით დაფამაგრე და ზედ ავედი, შემდეგ პირი  
რაც შემიძლო, ახლოს მივითანე სარკმელთან და ჩემთვის ცნობილ  
ყველა ენაზე მოუხხმე შშველელს. მერე ჩემს ხელჯოხზე, რომელიც  
ყოველთვის თან დამქონდა, მივაკარი ცხვირსახოცი, სარკმლიდან

გამოვიშვირე და ჰაერში რამდენჯერმე აუფრიალე იმ იმედით, რომ შორიახლო აღმოჩენილ ნავზე ან ხომალდზე მეზღვაურებს შეეძლოთ შეენიშნათ და მიმხვდარიყვნენ, რომ ყუთში ერთი საბრალო მოკვდავი იყო ჩამწყვდეული.

ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ამჯერად ნათლად შეენიშნე, რომ ჩემს ყუთს სადღაც მიაცურებდნენ და ერთ საათში მისი ყრუ, უფანჯრო კედელი რაღაც მაგარ საგანს დაეჯახა. მე შემეშინდა, ვაითუ, კლდეა-მეთქი, მაგრამ ყუთი უფრო აქანავდა, ზემოდანაც აშკარად მომესმა თოკის გადაგდების ხმა, და ისე მომეჩვენა, თითქოს მას ყუთის ზედა რგოლში უყრიდნენ. მერე ვიგრძენი, რომ თანდათან ასწიეს იგი და ახლა უკვე სამი ფუტით მაღლა ვიმყოფებოდი წინანდელ დონესთან შედარებით. ისევ გამოვყავი ცხვირსაზოციანი ჯოხი და იმდენი ვიყვირე, მიშველეთ-მეთქი, ვიდრე ხმა ჩამეხლიჩებოდა. საპასუხოდ გაისმა ძახილი, რომელიც სამჯერ განმეორდა და რამაც იმნაირი სიხარული მაგრძნობინა, რასაც ვერაფერს გაიგებს, თუ თვითონ არ განიცადა. უკვე მესმოდა, რომ ყუთის სახურავზე დადიოდნენ და ვიღაცამ სარკმლიდან ხმამაღლა ჩამომძახა ინგლისურ ენაზე: „თუ მანდ ვინმე ხარ, ხმა ამოიღე“. მე ვუპასუხე, რომ ვარ ერთი ინგლისელი, უკუღმართი ბედის მიერ ისეთ უბედურებაში ჩაგდებული, რომლის მსგავსი არც ერთ არსებას არ გადაუტანია მთელი დედამიწის ზურგზე და შევევედრე, ვაფიცე ყველაფერი, რასაც კი უდგას სული, რომ ამ ჯურღმულიდან ამოვწყვანე. უცნობის ხმამ მიპასუხა, არავითარი საშიშროება არ მოგელის, გემს ბუქსირზე ჰყავხარ აყვანილი, დურგალიც ახლავე ჩამოვა და იმდენზე ამოტყებს ყუთის სახურავს, რომ თქვენ გამოეტიოთო. მე მივუგე, რომ ეს სრულიად უსარგებლო იყო და ამის გაკეთება ძალზე დიდ დროსაც მოითხოვდა, უმჯობესია, რომელიმე მეზღვაურმა თითი გაუყაროს რგოლში, ყუთი გემბანზე გადაიტანოს, შემდეგ კი კაპიტნის კაიუტაში დადგას-მეთქი, — დაუმატე ბოლოს.

ზოგიერთმა მეზღვაურმა, როცა გაიგონა, რომ ასე უცნაურად ვლაპარაკობდი, გიჟად ჩამთვალა; სხვებმა სიცილი ატყბეს; აზრადაც არ მომდიოდა, რომ ახლა უკვე ჩემი თანაბარი სიდიდისა და ძალის მქონე ხალხში ვიმყოფებოდი. დურგალი მოვიდა და მალევე გამოხერხა ოთხი კვადრატული ფუტის სიდიდე ხვრელი გამოსასვლელად, მერე პატარა კიბე ჩამოუშვეს, მასზე აყედი და თითქმის გულშეღონებული გემზე ამიყვანეს.

გაოცებული მეზღვაურები გარს შემომჭვინენ და ათასობით კითხვა დამაყარეს, მაგრამ ძალა არ მქონდა პასუხი გამეცა. ამდენი პიგმეის<sup>1</sup> ერთბაშად დანახვამ ძალზე დამაბნია, მე ხომ ისინი სწორედ პიგმეებად მეჩვენებოდა ამდენი ხნის განმავლობაში უზარმაზარი საგნებისა და არსებებისათვის თვალეშეჩვეულს. მაგრამ კაპიტანმა, მისტერ თომას უილკოკსმა, პატიოსანმა და ღირსეულმა შროპშირელმა, როცა შეამჩნია, რომ სადაცაა გული შემიღონდებოდა, თავის კაიუტაში გამიყვანა, მოსალონიერებელი წამალი დამალევინა, ლოგინში ჩამაწვინა და მირჩია დაუყოვნებლივ დამეძინა, რაც ჩემთვის იმჟამად აუცილებელი იყო. ძილის წინ კაპიტანს ვუთხარი, რომ ყუთში ძვირფასი ავეჯეულობა მქონდა და მისი დაკარგვა მენანებოდა; რომ იქ მეწყო მშვენიერი ჰამაკი, ჩინებული სამგზავრო ლოგინი, ორი სკამი, მაგიდა და სკოფრი; რომ, თუ იგი უბრძანებდა და რომელიმე მეზღვაურს შემოატანინებდა ყუთს კაიუტაში, მის თვალწინ გავაღებდი და ვუჩვენებდი მთელ ჩემს სიმდიდრეს. როცა კაპიტანმა ჩემგან ასეთი სისულელე მოისმინა, დაასკვნა, რომ ვბოდავდი. მაგრამ მაინც (ალბათ ჩემს დასამშვიდებლად) დამპირდა, რომ გასცემდა განკარგულებას, შეესრულებინათ ჩემი სურვილი, მერე გემბანზე ავიდა და რამდენიმე მეზღვაური ჩაგზავნა ჩემს ყუთში, საიდანაც (როგორც ეს შემდეგში გავიგე) ამოიტანეს მთელი ჩემი ავლადიდება, კედლებიდანაც ფარდაგები ჩამოხსნეს. მაგრამ სკამები, სკოფრი და საწოლი, რომლებიც მიხრახნილი იყო იატაკზე, მეზღვაურებმა, რაკი წარმოდგენა არ ჰქონდათ, როგორ აეხსნათ, თურმე ძალით ააგლიჯეს, ამიტომაც ისინი საკმაოდ იყო დაზიანებული. მერე ააგლიჯეს რამდენიმე ფიცარი, რომლებიც გემზე შეიძლებოდა გამოსდგომოდით და, როდესაც ყველაფერი ამოზიდეს, რაც საჭიროდ და სასარგებლოდ ჩათვალეს, ყუთის ჩარჩოს თავი მიანებეს, ისიც, გვერდებშენგრეული და ძირგამოხვრეტილი, წყლით გაივსო და ერთბაშად ჩაიძირა. კიდევ კარგი, რომ ის ნგრევა-მსხვრევა ჩემი თვალით არ მინახავს, რადგანაც ეს უთუოდ გუნებას გამიფუჭებდა: მომაგონებდა გარდასულ დღეებს, რომელთა გახსენებას ახლა, მათი დავიწყება აჯობებდა ჩემთვის.

<sup>1</sup> პიგმეი — ძველი ბერძნების წარმოდგენით, ღია ტანის ხალხი, რომელიც თითქოს შორეულ სამხრეთ ქვეყანაში ცხოვრობს.

რამდენიმე საათი მეძინა. მაგრამ ძილში ვშფოთავდი, მესიზმრებოდა გამოვლილი ადგილები და გადატანილი უბედურებები და მაინც, როცა გამოძვლები, თავს უკეთ ვგრძნობდი. ახლა უკვე საღამოს რვა საათი იყო და კაპიტანმა განკარგულება გასცა დაუყოვნებლივ მოერთმიათ ვახშამი, რადგანაც დიდი ხნის მშვიერ-მწყურვალნი ვყავით. ძალიან თავაზიანად მიმიღო, როდესაც შემაძინია, რომ უკვე გიჟურად არ ვაცეცებდი თვალებს და სულელურად არ ვლაპარაკობდი. მართო რომ დავრჩით, კაპიტანმა მთხოვა მომეთხრო ჩემი მოგზაურობის ამბები და გამეგებინებინა, რანაირად მოვხვდი შუაგულ ზღვაზე იმ უზარმაზარი ყუთით. მან თქვა, რომ დაახლოებით დღის თორმეტ საათზე ღურბინდში გაიხედა და გემიდან საკმაოდ შორს რაღაც საგანი შეამჩნია. იგი თავიდან მათი მიმართულებით მოძავალი გემის აფრაფონა, ამიტომაც, რაკი გზას მაინცდამაინც არ უძრუდებდა, გადაწყვიტა მიახლოებოდა მას იმ იმედით, რომ იქ ცოტაოდენ ორცხობილას შეიძენდა, რომელიც ის-ის იყო უთავდებოდათ; როცა ცოტა მოახლოვდნენ და შეცდომა ცხადი გახდა, კანჯო გაგზავნა და მეზღვაურებს დააჯალა, ყოველი შემთხვევისათვის, გაფოთ, რას წარმოადგენდა ეს უცნაური საგანი; მეზღვაურები შეშინებულნი დაბრუნდნენ და განაცხადეს, მცურავი სახლი ვნახეთო; კაპიტანს სიცილადაც არ ეყო მეზღვაურთა ეს შეცდომა, თვითონვე ჩაჯდა ნაჟში და მეზღვაურებს უბრძანა, ორი მაგარი ბაგირი წამოეღოთ; რაკი ზღვა დამშვიდებული იყო, მან ორჯერ შემოუარა ჩემს ყუთს გარშემო და შენიშნა ფანჯრები, რომლებსაც გარედან ლარტყები იფარავდა, ხოლო ყუთის ყრუ კედელზე ორი მაგარი რკალი შეამჩნია; მერე მეზღვაურებს უბრძანა, იმ მხრიდან მოველოთ ყუთისათვის და ბაგირი გაეყარათ ერთ-ერთ რკალში. ამგვარად წამოეთრიათ ჩემი სკივრი (ის სკივრს ეძახოდა მას) გემისაკენ. როცა გემთან მიაცურეს იგი, მან ბრძანა მეორე ბაგირი გაეყარათ სახურავზე მოთავსებულ რგოლში და სკივრი ზევით აწეიათ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მეზღვაური ეწეოდა, ორ-სამ ფუტზე მეტი ვერ ასწიეს. მისი თქმით, მათ დაინახეს სარკმლიდან გამოჩრილი ცხვირსახოციანი ჯოხი და დაასკვნეს, რომ სკივრში ვიღაც უბედური უნდა ყოფილიყო გამოკეტილი. მე ვკითხე, მას, ან რომელიმე მეზღვაურს ხომ არ შეუნიშნავთ რომელიმე უშველებელი ფრინველი ჰაერში, დაახლოებით იმ დროს, როდესაც ჩემს კვალს წაწყდნენ. ამაზე კაპიტანმა მიპასუხა, რომ, როცა ამ შემთხვევის შე-



სახე საუბრობდა მეზღვაურებთან, ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, სამი არწივი დავინახე, რომლებიც შორს, ჩრდილოეთისაკენ მიფრინავდნენო, მაგრამ არაფერი უთქვამს მათ არაჩვეულებროვ სიდიდებზე, რაც, ჩემი აზრით, იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ მტაცებლები, ალბათ, ძალიან შორს იმყოფებოდნენ; კაპიტანმაც ვერ გაიგო, თუ რატომ დაუინტერესდი ამ ამბით. მაშინ მე ვკითხე, მისი აზრით, რა მანძილზე ვიმყოფებოდით ხმელეთიდან. კაპიტანმა მიპასუხა, რომ მისი ზუსტი გამოანგარიშებით, ჩვენ ხმელეთს ასი ლიგით მაინც ვიყავით დაცილებული. მე დაუწვეე მტკიცება, რომ ცდებოდა, რომ მიწამდე ორმოცდაათ მილზე მეტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგანაც ორი საათი არც კი იყო გასული, რაც ხმელეთი დამატოვებინეს და შუაგულ ზღვაში გადამაგდეს-მეთქი. ამან კაპიტანს აფიქრებინა, რომ ჯერ კიდევ არეული მქონდა გონება, ეს ნართაულად მაგრძნობინა კიდევ და მირჩია, ისევ დამეძინა საგანგებოდ ჩემთვის გამოყოფილ კაიუტაში. მე განვაცხადე, რომ მეტი დასვენება აღარ მჭირდებოდა, რომ პირადად კაპიტნისა და მისი მეზღვაურების კარგი მოპყრობის შედეგად თავს უკვე მშვენიერად ვგრძნობდი და რომ ახლაც ისეთსავე სად გონებაზე ვიყავი, როგორც ყოველთვის. კაპიტანი დაფიქრდა და თავს ნება მისცა, მოურიდებლად ეკითხა, რაიმე მძიმე დანაშაულის შედეგად (რის გამოც, თითქოსდა ამ სკოერში ჩამწყვდევით დამსაჯეს რომელიმე მეფის ბრძანებით) სინდისის ქეჯნას ხომ არ განვიცდიდი: აკი ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულია, რომ ყველაზე დიდი დამნაშავეები ყოველგვარი სურსათის გარეშე ნახევრად დამპალი გემით მისცენ ზღვას; თუ ეს ასე იყო, მაშინ გამოდიოდა, რომ კაპიტანიც ცუდად მოიქცა, ასეთი საშიში დამნაშავე რომ გადამარჩინა, მაგრამ ახლა სიტყვას მაძლევდა, რომ მშვიდობიანად ჩამიყვანდა პირველსავე ნავსადგურამდე, რომელსაც მათი გემი მიაღებოდა. ასევე, დასძინა, რომ მისი ამგვარი ეჭვები გააძლიერა ჩემმა უაზრო სიტყვებმა, რომლითაც პირველად მეზღვაურებს, შემდეგ კი თვითონ მას მიემართე ჩემი ყუთის თუ სკოერის თაობაზე და, აგრეთვე, ჩემმა უცნაურმა გამომეტყველებამ და ქცევამ, რაც ვახშობის დროს გამოვავლინე.

მე ვთხოვე კაპიტანს ყურადღებით მოესმინა ჩემი ამბავი. მერე დაწვრილებით ვუამბე ყველაფერი, რაც ინგლისიდან წასულს იმ დრომდე გადამხდა, ვიდრე ყუთში გამომწყვდეულს შემამჩნევდნენ. და, რაკი ჭეშმარიტ სიმართლეს ყოველგვარ ვითარებაში გაიგებს ხოლმე ჭკ-

ვიანი ადამიანი, ამ პატიოსანმა და ღირსეულმა ჯენტლმენმაც, რომელსაც არც განათლება აკლდა და არც მიხვედრილობა, ირწმუნა ჩემი უტყუარობა და გულწრფელობა. რათა ეჭვის ნატამალიც არ დამეტოვებინა მისთვის, ვთხოვე ებრძანებინა და ჩემი განჯინა შემოეტანათ, რომლის გასაღებიც ჯიბეში მედო. მისი თანდასწრებით გააღე იგი და ვუჩვენე იშვიათობათა პატარა კოლექცია, რაც იმ ქვეყნებში შეგკრიბე, რომელსაც ასე უცნაურად დაუღწიე თავი. იქ იყო ჩემ მიერ მეფის წვერის ღერებიდან გაკეთებული საგარცხელი; მეორე საგარცხელი — იმავე მასალისაგან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თმის ღერები დამაგრებული იყო მისი უდიდებულესობის ცერა თითის ფრჩხილის წანაჭერზე. აქ იყო აგრეთვე ერთი ფუტიდან ნახევარ იარაღამდე სიგრძის მქონე ნემსებისა და ქინძისთავეების კოლექცია; კრახანის ოთხი ნესტარი; ვარცხნის დროს დაცვენილი დედოფლის თმის რამდენიმე გროვა; ოქროს ბეჭედი, რომელიც დედოფალმა დიდის ამბით მისახსოვრა ერთ დღეს: ნეკიდან რომ წაიძრო და საყელურივით კისერზე ჩამომაცვა. მე გულწრფელად შევთავაზე კაპიტანს მიეღო ის ბეჭედი ჩემთვის გაწეული ფასდაუდებელი დახმარების საზღაურად, მაგრამ ამაზე ვერაფრით ვერ დავითანხმე. ვუჩვენე აგრეთვე კოჟრიც, რომელიც ერთ დღეს საკუთარი ხელით ავაჭერი ერთ-ერთ ქალწულს ფეხის თითზე. ის კენტური ვაშლის სიდიდე იქნებოდა და ინგლისში ჩასვლამდე ისე გამაგრდა, რომ მისგან ფინჯანი გამოვთალე და მოვავერცხლინე. ბოლოს კაპიტანს ვთხოვე ყურადღება მიექცია ჩემი შარვლისთვის, რომელიც თავის ტყავისაგან გახლდათ შეკერილი.

ბოლოს ძლივს დავიყოლიე კაპიტანი ჩემგან საჩუქრად სასახლის ერთ-ერთი ლაქიის კბილი მაინც მიეღო, რასაც იგი დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალთქვებდა და როგორც ჩანს, ძალიან მოეწონა. იგი გლუმდალკლიჩის მსახურს ერთმა უხეირო დასტაქარმა მტკვნეული კბილის მაგოვრად შეცდომით ამოაძრო. მე მაშინვე გავწმინდე ის და სკოტში ჩავდე: ერთი ფუტის სიგრძე და ოთხი დუიმი დიამეტრი მაინც ექნებოდა.

კაპიტანმა ძალზე ისიამოვნა ჩემი თავგადასავლის მოსმენით და იმედი გამოთქვა, რომ ინგლისში დაბრუნებისას აღვწერდი ყველაფერ ამას და ცალკე წიგნად გამოვცემდი, რითაც კაცობრიობას დიდ სამსახურს გაუწევდი. მე მას შევახსენე, რომ ჩვენი წიგნის ბაზარი ისედაც გადატვირთული იყო ათასგვარი სათავგადასავლო წიგნებით

და ახლა რაიმე არაჩვეულებრივის გარდა ვერაფრით გააკვირვებდი საზოგადოებას; რომ, ჩემი აზრით, ავტორთა უმრავლესობა ნაკლებად მისდევდა სიმართლეს და ანგარებით გატაცებული ნაირ-ნაირ თავგადასავლებს თხზავდა, რითაც ნაკლებად განათლებული მკითხველის ყურადღებას იზიდავდა; რომ ჩემს წიგნში არაფერი იქნებოდა არაჩვეულებრივი: არც ენამჭკვრული აღწერა უცნაური მცენარეებისა, ხეებისა, ფრინველებისა თუ ცხოველებისა, არც ველურების ბარბაროსული ზნე-ჩვეულებანი და კერპთაყვანისმცემლობა, რომლითაც ხსენებული მწერლები თავიანთ წიგნებს ამკობენ და აშშვენებენ. მიუხედავად ამისა, მე მადლობა გადაუუხადე კაპიტანს და შვეპირდი, რომ მის კეთილ რჩევას მხედველობაში მივიღებდი.

კაპიტანმა გაიოცა, რატომ ვლაპარაკობდი მე ასე ხმაძაღლა და მკითხა: — იმ ქვეყნის მეფე ან დედოფალი ყრუ ხომ არ იყო.

მე ვუპასუხე, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სულ ასე ვლაპარაკობდი და რომ ძალზე გამაოცა მისმა და მისი მეზღვაურების ჩურჩულმა, რომელიც, რატომღაც, მაინც საკმაოდ კარგად მესმოდა. გოლიათების ქვეყანაში ვინმესთან საუბარი იმავე მდგომარეობაში მაგდებდა, რა მდგომარეობაშიც ის ადამიანია, რომელიც ქუჩიდან სამრეკლოზე მდგარს ელაპარაკება. მე ისიც ვუთხარი კაპიტანს, რომ, როდესაც მათ გემზე ამოვედი, მისი მეზღვაურები დედამიწის ზურგზე უსაზიზღრეს პატარა არსებებად მომეჩვენა, რაც კი ოდესმე მენახა. გოლიათების სამეფოში ყოფნის დროს სარკეში ჩახედვას ვეღარ ვბედავდი, რადგანაც თვალები უშველებელი საგნებისა და არსებების ყურებას მქონდა შეჩვეული და მათთან თავის შედარება საკუთარი არარაობის განცდით მაკსებდა. კაპიტანმა შენიშნა, რომ ვახშმობისას, ყველაფერს საშინლად გაცეცხლებული შვეცქეროდი და, ამავე დროს, ხშირად სიცილს ვერ ვიკავებდი, რაც მას სხვა ვერაფრით აეხსნა, თუ არა იმით, რომ ჯერ კიდევ ვერ დამილაგდა გონება. მე დავუდასტურე, რომ მისი დაკვირვება სწორი იყო, მაგრამ, სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო, რადგან მიჭირდა თავის შეკავება, როდესაც ვერცხლის სამპენიანის სიდიდე თეფშები შემოიტანეს, ანდა ღორის ბარკალი, რომელიც ერთ ლუკმად არ იკმარებდა, და თხილის ნაჭუჭის ტოლა ფინჯანი. ასევე აღწერე ჭურჭლეულობა და საჭმელ-სასმელი, რომელსაც გოლიათების ქვეყანაში ვხედავდი. მართალია, დედოფლის ბრძანებით მეც ისეთივე სიდიდის ჭურჭელი

გამიკეთეს იმ ქვეყანაში, მაგრამ ჩემი თვალები ისე შეეჩვია იმას, რაც ჩვეულებრივ ჩემ გარშემო ვხედავდი, რომ საკუთარ სიპატარავეზე ისევე ვხუჭავდი თვალს, როგორც ადამიანები საკუთარ ნაკლოვანებებზე. მეც ისევე ღავცინოდი ჩემს სიპატარავეს და ყველაფერ პატარას, როგორც ადამიანი თავის ნაკლს დასცინის ხოლმე.

კაპიტანი მიმიხვდა ხუმრობას და მხიარულად მომიგო ძველი ინგლისური ანდაზით. მისი აზრით, მე უფრო დიდი თვალები მქონდა, ვიდრე მუცელი, რადგანაც არცთუ ისე მაღიანად შევექეცი ვახშამს, თუმცა მთელი დღის ნაშიშშილარი ვიყავი. მან განაგრძო სიცილი და განაცხადა, რომ სიამოვნებით გაიღებდა ას გირვანქა სტერლინგს, ოღონდ ენახა, როგორ ეჭირა არწივს ნისკარტით ჩემი ყუთი და როგორ ჩამოაგდო იგი ისეთი საშინელი სიმაღლიდან. ეს იყო ალბათ ჭეშმარიტად საკვირველი სანახაობა, რომელიც კარგი იქნებოდა აღწერათ და ჭკუის სასწავლებლად გადაეცათ შთამომავლობისათვის. მან ვერ მოითმინა და იგი მითური ფაეტონის<sup>1</sup> ამბავს შეადარა, თუმცა, მართალი გითხრათ, ეს შედარება მე არცთუ ისე მომეწონა.

კაპიტანი, რომელიც ტონქუინიდან<sup>2</sup> ინგლისში ბრუნდებოდა, ზღვამ ჩრდილო-აღმოსავლეთით გაიტაცა და ახლა ჩრდილოეთ განედის 44-ე და გრძედის 143-ე გრადუსზე იმყოფებოდა. მაგრამ ჩემთან შეხვედრიდან ორი დღის შემდეგ პასატებმა დაქროლა და დიდხანს მოვდიოდით სამხრეთით ჩავუარეთ ახალ ჰოლანდიასა<sup>3</sup> და გეზი ჯერ დასავლეთ სამხრეთ-დასავლეთით ავიღეთ, შემდეგ კი სამხრეთ სამხრეთ-დასავლეთით, ვიდრე კუთილი იმედის კონცხს არ შემოვუარეთ მაგრამ მკითხველს აღარ დაუღლი ჩვენი მოგზაურობის ამბების დაწვრილებით აღწერით. კაპიტანი მხოლოდ ერთ-ორ ნავსადგურში შევიდა წყლის მოსამარაგებლად. მაგრამ მე ერთხელაც არ ჩამოვსულვარ გემიდან, ვიდრე დოუნსში არ ჩავედით, რაც 1706 წლის 3 თვისს მოხდა, ჩემი გათავისუფლებიდან ცხრა თვის შემდეგ. კაპიტანს მთელი ჩემი ავლადიდება შევთავაზე განსაცდელისგან ჩემი დახსნის და შორეული მგზაურობის საზღაურად, მაგრამ კაპიტანმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ერთი პენსიც არ აიღო.

<sup>1</sup> ფაეტონი — თანახმად ბერძნული მითოლოგიისა, მზისა და კლიმენეს შვილი, რომელსაც მამამისმა ერთი დღით ათხოვა ეტლი. ფაეტონმა გაუფრთხილებლობით კინალამ გადაწვა ქვეყნიერება. განრისხებულმა ღმერთმა გაუგონარი შვილი მდინარე პოში გადაისროლა.

<sup>2</sup> ტონქუინი — ქალაქი ინდოჩინეთში.

<sup>3</sup> ახალი ჰოლანდია — იგულისხმება ავსტრალია.

ჩვენ სიყვარულით დაჰმორღით ერთმანეთს და კაპიტანს სიტყვა ჩამოვართვი მსტუმრებოდა შინ, რედრიფში; შემდეგ კაპიტანისგან ნასესხები ხუთი შილინგით ერთი ცხენი და მეგზური დავიქირავე.

გზად მომაგალი პაწაწინა სახლებს, ხეებს, საქონელს და ხალხს რომ ვამჩნევდი, თავი ლილიპუტების ქვეყანაში მეგონა. მეშინოდა, ფეხი არ დამებიჯებინა გამვლელებისათვის და ხშირად ვუყვიროდი მათ გზიდან გამეცალეთ-მეთქი, ისე რომ, ამ თავხედობისათვის ერთი-ორჯერ კინალამ თავი გამიტეხეს.

როცა ჩემს სახლამდე მივალწიე, რომელსაც კითხვა-კითხვით ძლოვს მივაგენი, კარი მსახურმა გამიღო. შესვლისას დავიხარე (როგორც ბატი ჭიშკარქვეშ), შემეშინდა თავი არ მივარტყა-მეთქი. მეუღლე გამოექანა და ის იყო, უნდა გადამხვეოდა, მაგრამ მე ისე დავიხარე, რომ თითქმის მის ფეხქვეშ განვერთხე, მეგონა სხვაგვარად ვერ მომწვდებოდა სახეზე საკოცნელად. ჩემმა გოგონამ დაიჩოქა, რათა მიეღო ჩემი ლოცვა-კურთხევა, მაგრამ ისე ვიყავი შეჩვეული, შეხვედრისას სამოცი ფუტის სიმაღლეზე ცქერას, რომ ვერც კი შევამჩნიე იგი, ვიდრე არ წამოდგა. მერე მოუახლოვდი მას და მოვინდომე წელში წამეწლო ცალი ხელი და ისე ამეყვანა. ისევე დავცქეროდი ზვიდან ჩემს მსახურებსა და ერთ-ორ მეგობარს, რომლებიც შინ დამხვდნენ, თითქოსდა ისინი პიგმეები ყოფილიყვნენ, მე კი ნამდვილი გოლიათი. მე ვუსაყვედურე კიდევ მეუღლეს — სულელური მომჭირნეობა გაგიწვია, რომ საკუთარი თავი და ჩვენი ქალიშვილი იმდენად გიშიშმილებია, ერთი ციცქნა გამხდარხართ-მეთქი. ერთი სიტყვით, ისე უცნაურად და სასაცილოდ ვიქცეოდი, რომ თავიდან ჩემმა მეუღლემაც იგოვე დასკვნა გააკეთა, რაც კაპიტანმა, გაგიჟებული რომ ვეგონე. ყველაფერ ამას იმიტომ გიამბობთ, რომ ცხადვყო, რამდენად ძლიერია ჩვეულება და ცრურწმენების გაელენა.

მალე მე, ჩემმა ოჯახმა და მეგობრებმა ერთმანეთს გავუგეთ, მეუღლემ კი საზეიმოდ გამომიცხადა, რომ აღარასოდეს გამიშვებდა ზღვაზე სამოგზაუროდ. თუმცა, ჩემმა უკუღმართმა ბედისწერამ სხვაგვარად განსაჯა და, მას ჩემი მეუღლის ნება-სურვილიც ვერ აღუდგა წინ, რაშიც მკითხველი შემდგომ დარწმუნდება. ამით ვამთავრებ ჩემი ბედუკუღმართი მოგზაურობის ისტორიის მეორე ნაწილს.

## ნაწილი მესამე

მოგზაურობა ლაპუტაში, ბალნიბარბიში, ლაგნაგში,  
გლუბდაბდრიბსა და იაპონიაში

### თავი პირველი

ავტორი მესამედ მიემგზავრება. ის მეკობრეებს უვარდება ხელში. ჰოლანდიელის გულღვარდლიანობა. ავტორი მიადგება ერთ კუნძულს. მას ლაპუტაში იღებენ.

ათი დღის ჩამოსული არც კი ვიყავი, რომ სამასი ტონა წყალწყვის უზარმაზარი გემის — „კეთილი იმედის“ — კაპიტანმა, კორნუელსელმა უილიამ რობინზონმა მინახულა. ერთ დროს მასთან ქირურგად ვმუშაობდი სულ სხვა გემზე, რომლის მეოთხედ წილსაც იგი ფლობდა და ლევანტის ქვეყნებში მიმოდიოდა. მახსოვს, ისე მექცეოდა იგი, თითქოსდა მისი ძმა ვყოფილიყავი და არა ხელქვეითი. ჩემი ჩამოსვლის ამბავი რომ გაეგო, მინახულა, როგორც ძველმა ნაცნობმა და მეგობარმა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა და პირველ ხანებში ჩვენ შორის იმას გარდა სხვა რამეზე კრინტი არ დაძრულა, რაც დიდი ხნის უნახავ მეგობრებში ითქმის. მაგრამ, მან რატომღაც მოუხშირა სტუმრობას, სიხარულს გამოთქვამდა, რომ ასე ჯანსაღი დავბრუნდი, თანაც მეკითხებოდა, სამუდამოდ ავიღე თუ არა ხელი მოგზაურობაზე და დასძენდა, რომ განზრახული ჰქონდა ორ თვეში ოსტინდოეთში გამგზავრებულიყო. ბოლოს, ერთგვარი მობოდიშების შემდეგ, თავის გემზე ქირურგად მიმიწვია იმ პირობით, რომ ჩემი განკარგულების ქვეშ ორი თანაშემწის გარდა, დამხმარე ქირურგიც იქნებოდა; რომ ჩვეულებრივზე ორჯერ დიდ ხელფასს მივიღებდი; და, რაკი, თითქმის იმდენივე გამოცდილება მქონდა ნაოსნობაში, რამდენიც მას, გემის მართვის დროს

ჩემს რჩევა-დარიგებას ისე გაუწევდა ანგარიშს, თითქოსდა მეც გემის კაპიტანი ვყოფილიყავი.

ამავე დროს, იმდენი მელაპარაკა და იმდენად პატიოსან კაცად ვიცნობდი, რომ ხათრი ვერ გავუტეხე და ამ წინადადებაზე უარი ვერ ვუთხარი. ქვეყნიერების ნახვისა და მოგზაურობის წყურვილიც, მიუხედავად წარსულში გადატანილი უამრავი უბედურებისა, ჩემში ახლაც ისევე ძლიერი იყო, როგორც ყოველთვის, ერთადერთ დაბრკოლებად რჩებოდა ჩემი მეუღლე, მაგრამ მისი დაყოლიებაც მოვახერხე, როდესაც გადავუშალე ის ფართო პერსპექტივა, რასაც ეს ეკონომიურად ხელსაყრელი მოგზაურობა ჩვენს შვილებს უქადდა.

1706 წლის 5 აგვისტოს გავემგზავრეთ და 1707 წლის 11 აპრილს სენ-ჟორჟის ფორტს<sup>1</sup> მივალწიეთ. იქ იძულებული გავხდით, სამი კვირით შეჩერებულიყავით, რადგანაც მეზღვაურთა დიდი ნაწილი აუად გაგვიხდა და მათ ნაცვლად სხვების აყვანა მოგვიხდა. იქიდან ტონქუინში ჩავუდით, სადაც კაპიტანმა გადაწყვიტა ერთხანს დამდგარიყო, რადგანაც მრავალი საქონელი, რომლის შესაძენადაც ჩამოვიდა, ჯერ კიდევ შზად არ იყო და გემის დატვირთვასაც რამდენიმე თვე მოუნდებოდა. ნავსადგურში უსაქმოდ დგომით გამოწვეული ზარალი ნაწილობრივ მაინც რომ აენახლაურებინა, ერთი მოზრდილი ნავი იყიდა და ადგილობრივი საქონლით დატვირთა, რითაც ტონქუინელები, ჩვეულებრივ, მეზობელ კუნძულებზე მცხოვრებლებთან ვაჭრობდნენ; მე ნავის უფროსად დამნიშნა, თოთხმეტი მეზღვაური მომცა, მათ შორის, სამი, ადგილობრივი მკვიდრი და, სანამ თვითონ ადგილზე საქმეებს მოაგვარებდა, სუაჭროდ გამგზავნა.

სამი დღე მშვიდობით ვიმგზავრეთ. მაგრამ მეოთხე დღეს ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა და ხუთი დღე-ღამე მიგვაქროლებდა ჯერ ჩრდილო-აღმოსავლეთით, შემდეგ კი აღმოსავლეთით; მერე მშვენიერი დარი დადგა, მაგრამ დასავლეთის ძლიერი ქარი მაინც არ გვასვენებდა. მეათე დღეს მეკობრეთა ორი გემი გამოგვეკიდა და მალევე დაგვეწია, რადგანაც ჩვენი ნავი მძიმედ იყო დატვირთული და ძალზე ნელი სვლით მიცურავდა, ამავე დროს, თავდაცვისათვის საჭირო ძალაც არ გავაჩნდა.

ორივე გემი ერთბაშად წამოგვეწია და მალე ორივეს კაპიტანი ჩვენს ნავზე გადმოვიდა თავიანთი მეზღვაურებითურთ. მაგრამ, როცა ყველა-

<sup>1</sup> სენ-ჟორჟის ფორტი — ინდოეთის ქალაქი მადრასი.

ნი პირქვედაცემულნი გვნახეს (მე ასე ვბრძანე), ბაწრით მაგრად შუგ-  
კერეს და ნავის გაჩხრეკას შეუდგნენ.

მეკობრეებს შორის ერთი ჰოლანდიელი შევნიშნე, რომელიც  
არც ერთი გემის კაპიტანი არ იყო, მაგრამ, როგორც ჩანდა, რა-  
ღაც მნიშვნელოვანი თანამდებობა უნდა სჭეროდა. ჩვენი გარეგნობის  
მიხედვით ის მიხვდა, რომ ინგლისელები ვიყავით და თავისი დამ-  
ტვრეული ინგლისურით დაიფიცა: ყველას ერთიმეორეზე ზურგით მი-  
გაკრავთ და ზღვაში გადაგყრითო. მე ჰოლანდიურად საკმაოდ კარგად  
ვლაპარაკობ და კიდევაც გაგაგებინე ჩვენი ვინაობა, თანაც ვთხოვე,  
მხედველობაში მიეღო, რომ ჩვენ, მისი მეზობელი ქვეყნის მცხოვრე-  
ბლები, ქრისტიანები და ისიც პროტესტანტი ქრისტიანები ვიყავით  
და შუამდგომლობა გაქწია კაპიტნებთან, რათა მათ სიბრალული გა-  
მოეჩინათ და არ დაეჯიბოცეთ. ამან მთლად გააცეცხლა, ისევ დაიმუ-  
ქრა, მერე მიუბრუნდა თავის კომპანიონებს და გაცხარებით დაუწყო  
იაპონურ ენაზე ლაპარაკი, რა დროსაც ძალზე ხშირად ახსენებდა  
სიტყვას „ქრისტიანოს“.

მეკობრეთა უფრო მოზრდილი გემის კაპიტანი იაპონელი აღ-  
მოჩნდა, რომელიც ცუდად, მაგრამ მაინც, ასე თუ ისე, ამტვრევდა  
ჰოლანდიურს. ის მოვიდა ჩემთან და რამდენიმე კითხვის შემდეგ,  
რომლებზეც მე მორჩილად გავეცი პასუხი, შემპირდა, არ დაგზოცა-  
ვთო. მე კაპიტანს მადლობის ნიშნად მდაბლად დაუკარი თავი, მერე  
ჰოლანდიელს მივუბრუნდი და ვუთხარი: სამწუხაროა, რომ წარ-  
მართი უფრო გულმოწყალე აღმოჩნდა, ვიდრე მოძმე ქრისტიანი-მე-  
თქი. მაგრამ ეს სიტყვები მალე სანანებელი გამიხდა. გულღარ-  
ძლიანი გარეწარი დიდხანს ამაოდ არწმუნებდა კაპიტნებს, ზღვაში  
გადავედეთ (რაზედაც ისინი არაფრის გულისათვის არ თანხმდე-  
ბოდნენ, რადგანაც სიტყვა ჰქონდათ მოცემული, სიცოცხლეს შეგი-  
ნარჩუნებთო), მაგრამ ბოლოს მაინც აისრულა გულის წადილი და  
ისეთ სასჯელზე დაითანხმა ისინი, რომელსაც სიკვდილი ჯობდა.  
ჩემი მეზღვაურები ორად გაჰყვეს და მეკობრეთა გემებზე გადაიყვა-  
ნეს, ხოლო ჩემი ნავი თავიანთ მეზღვაურებს ჩააბარეს. მე კი გადა-  
მიწყვიტეს მცირეაფრიან და ნიჩბებიან კანჯოში ჩავესვი და ოთხი  
დღის სურსათით ბედის ანაბარა მივეტოვებინეთ შუაგულ ზღვაში.  
მაგრამ იაპონელმა კაპიტანმა იმდენი სიკეთე მაინც გამოიჩინა, რომ  
საკუთარი მარაგიდან სურსათის რაოდენობა გამიორკეცა. მე გადა-



ვჯექი კანჯოში. გემბანზე მდგარი ჰოლანდიელი წყველა-კრულვას მაყრიდა ზემოდან და ყველაზე უწმაწური სიტყვებით მლანძღავდა, რაც კი პირზე აღგებოდა.

მეკობრეების გამოჩენამდე ნახევარი საათით ადრე ჩემ მიერ ჩატარებული გაანგარიშების მიხედვით ჩრდილოეთ განედის 46 და გრძედის 183 გრადუსზე ვიმყოფებოდი. მეკობრეებს საკმაოდ რომ დაუშორდი, ჯიბის ღურბინდით გავიხედე და სამხრეთ-აღმოსავლეთით რამდენიმე კუნძული შევნიშნე. მშვენიერი ზურგის ქარი ქროდა. მე აფრა ავუმ-ვი, რათა უახლოეს კუნძულს მივდგომოდი. სამ საათს არც კი გაუვლია, რომ დანიშნულ ადგილს მივაღწიე. მასზე მხოლოდ შიშველი კლდეები მოჩანდა. მაინც ბლომად მოუაგროვე ფრინველების კვერცხი, კვეს-აბედით და ზღვის გამხმარი წყალმცენარეებით ცეცხლი გაუჩაღე და კვერცხები შეეწვი. ჩემი საგზლისათვის ხელი არ მიხლია, რათა იგი რაც შეიძლებოდა მეტხანს მყოფნოდა. მანანა დავიგე და კლდის ქვეშ ჩავიძინე.

მეორე დღეს მეორე კუნძულზე გადავედი, იქიდან მესამეზე და მეოთხეზე; ზოგჯერ აფრას მივუშვებდი და ისე მივდიოდი; ხანდახან კი ნიჩბების შემწეობით მივიკვლევდი გზას. მაგრამ ჩემი ტანჯვა-წვალების ვრცელი მოთხრობით მკითხველს არ შევაწუხებ, ისიც საკმარისი იქნება, თუ ვიტყვი, რომ მეტუთე დღეს მივაღწიე უკანასკნელ კუნძულს, რომელიც დანარჩენი კუნძულების სამხრეთ სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა.

ეს კუნძული უფრო შორს აღმოჩნდა, ვიდრე მეჩვენებოდა. იქამდე ჩასვლას ხუთი საათი მოუანდომე და თითქმის გარშემო შემოვუარე, ვიდრე მისადგომად მოხერხებულ ადგილს მივაგნებდი და ბოლოს ჩემს კანჯოზე სამჯერ უფრო განიერი პაწაწინა უბე აღმოვაჩინე. კუნძული კლდეებით იყო დაფარული, მხოლოდ აქა-იქ, ნაპრალებში მოჩანდა პატარ-პატარა ბუჩქები და სურნელოვანი ბალახები. სურსათი გადმოვიტანე, დაუნაყრდი და, რაც გადამრჩა, ერთ-ერთ მღვიმეში შევინახე. კლდეებზე ბლომად კვერცხი მოუაგროვე, აგრეთვე გამხმარი წყალმცენარეები და ბალახებიც მოვიმარაგე, რათა დილით ცეცხლი დამენთო და კვერცხები შემეწვა (თან მქონდა კვეს-აბედი, საათი და ცეცხლის ასანთები მინა). იმავე მღვიმეში მეძინა, რომელშიც სურსათი მქონდა შენახული. ლოგინად იგივე წყალმცენარეები და გამხმარი ბალახი გამომაღგა, რაც ცეცხლის დასანთებად მოუაგროვე. მიუხე-

დავად დაღლილობისა, უსიამოვნო ფიქრებმა შემაწუხა და ცუდად მეძინა. მოსვენებას არ მაძლევდა იმაზე ფიქრი, თუ რამდენად ძნელი იქნებოდა ამ უდაბურ ადგილზე ჩემი ცხოვრება და რა საშინელ ვითარებაში მომიწევდა სიკვდილი.

ისეთი დადარდიანებული და დათრგუნვილი ვიყავი, რომ ადგომასაც ვერ ვბედავდი და, ბოლოს და ბოლოს, როდესაც ძალ-ღონე მოვიკრიბე და გამოვძვერი მღვიმიდან, აღმოჩნდა, რომ დიდი ხნის გათენებული იყო. კრიალა ცაზე მცხუნვარე მზე ელვარებდა, რომელიც თითქოს გადაბუგვას უქადდა ქვეყნიერებას. იძულებული გაუხდი თვალი ამერიდებინა მისთვის. უცებ საშინლად ჩამობნელდა, რაც მზეზე ღრუბლის ჩამოფარებას სულაც არა ჰგავდა. მოვბრუნდი და ჰაერში დავინახე რაღაცა უზარმაზარი შავი სხეული, რომელმაც მზე გადაფარა და კუნძულისაკენ მოემართებოდა. როგორც ჩანდა, ორი მილის სიმაღლეზე იმყოფებოდა. ექვსი-შვიდი წუთით დაფარა მან მზე, მაგრამ სულაც არ შემიძინებოდა, რომ ან ცა ჩამობნელებულიყოს, ანდა აცივებულიყოს. ვითომც მთის ჩრდილქვეშ მოვხვდი და მეტი არაფერი. ის საგანი უფრო და უფრო უახლოვდებოდა ჩემს სამყოფელს და შევძელი გამერჩია, რომ მყარი სხეული უნდა ყოფილიყო. ფსკერი ბრტყელი და სწორი ჰქონდა, საოცრად ლაპლაპებდა. ნაპირიდან დაახლოებით ორასი იარდის სიმაღლეზე ვიდექი და ვხედავდი, რომ ის უზარმაზარი სხეული თითქმის შვეულად ეშვებოდა ძირს. ჩვენ შორის ერთი ინგლისური მილი არც კი იქნებოდა. ჯიბის ღურბინდი ამოვიღე და ნათლად დავინახე ზედ უამრავი ხალხი, რომელიც მის დაფერდებულ კიდეებზე ადიოდა და ჩამოდიოდა, მაგრამ ვერ ვარჩევდი, რას აკეთებდნენ.

სიცოცხლის სიყვარულის ბუნებრივმა გრძნობამ ერთგვარი სიხარული გააღვიძა ჩემში და იმედი მომეცა, რომ ამ ახალი და უცნაური თავგადასავლის წყალობით, შესაძლო იყო, უდაბური და უკაცრიელი კუნძულიდან თავი დამეღწია. მაგრამ, ამავე დროს, მკითხველი ძნელად თუ წარმოიდგენს, როგორ გავოცდი, როდესაც ჰაერში მფრინავი კუნძული დავინახე, მასზე დასახლებული ხალხით, რომელსაც შეეძლო ემართა იგი სურვილისამებრ — მაღლა აქწიათ, ძირს დაემშვით და საერთოდ, საითაც უნდოდათ, იქით წაეყვანათ. მაგრამ ამ დროს ამ საკითხზე ფილოსოფიური მსჯელობის თავი, მართალი გითხრათ, არ მქონდა და ვამჯობინე მეთვალთვალა, საით გაემართებოდა იგი, რაკი

დავინახე, რომ ერთხანს უძრავად დადგა ჰაერში. მალე ისევ ამოძრავდა და იმდენად მომიახლოვდა, რომ მის კიდეებზე ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებული ფართო გალერეები გაფარჩიე, რომლებიც გადასასვლელი კიბით იყვნენ დაკავშირებულნი. ქვედა გალერეაზე რამდენიმე კაცი იჯდა და გრძელი ანკესებით თევზს იჭერდა, დანარჩენები კი თვალყურს ადევნებდნენ მათ საქმიანობას. მე დავიქნე ჩემი ღამის თავსაბური (შლაპა დიდი ხნის წინათ გამიცვდა) და ცხვირსახოცი კუნძულისაკენ ხელგაშვერილმა და როცა იგი საკმაოდ მომიახლოვდა, რაც ძალი და ღონე მქონდა, ყვირილი მოურთე. მერე დაჟაკვირდი და შევნიშნე, რომ მფრინავი კუნძულის ჩემკენ მოქცეულ მხარეზე ხალხმა მოიყარა თავი. ისინი აქეთ იშვერდნენ ხელს და ერთმანეთსაც რაღაცაზე უთითებდნენ. ამგვარად, თუმცა ჩემს ძახილზე პასუხს არ იძლეოდნენ, მაინც მივხვდი, რომ შემამჩნიეს. ოთხი თუ ხუთი კაცი სირბილით აჰყვა კიბეს, ავიდნენ წვერზე და თვალს მიეფარნენ. მე მივხვდი, რომ ისინი ვიღაც დიდი თანამდებობის პირთან გაგზავნეს, რათა სათანადო განკარგულება მიეღოთ.

ხალხი კი მატულობდა და მატულობდა. ნახევარ საათსაც არ გაუვლია, რომ მფრინავი კუნძული ისევ ამოძრავდა და ისე დადგა ჩემი კლდის დონეზე, რომ უდაბლესი გალერეა ჩემგან სულ ასი იარდით თუ იქნებოდა დაშორებული. მე მავედრებელი კაცის იერი მივიღე და დავუწყე ხვეწნა-მუდარა, მიშველეთ-მეთქი. მაგრამ ამაოდ, ვერავითარი პასუხი ვერ მივიღე. ისინი, ვინც უფრო ახლო იდგნენ, წარჩინებული პირები უნდა ყოფილიყვნენ; ყოველ შემთხვევაში, ასე დაჯასკვენი მათი ჩაცმულობის მიხედვით. რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ და წარამარა მაცქერდებოდნენ. ბოლოს ერთ-ერთმა მათგანმა მომმართა სუფთა, დახვეწილი და კეთილხმოვანი ენით, რომელმაც იტალიური მომაგონა. მეც იტალიურად გავეცი პასუხი, რადგანაც, თუ ვერ გამიგებდნენ, ამ ენის ჟღერადობა სასიამოვნო მაინც ყოფილიყო მათი ყურისთვის. სიტყვიერად ერთმანეთს ვერაფერი გავუგეთ, მაგრამ მათთვის ისედაც აშკარა უნდა ყოფილიყო, ამ მდგომარეობაში ჩავარდნილს რა უნდა მნდომებოდა.

მართლაც, მანიშნეს კლდიდან ზღვის ნაპირზე გასულიყავი და მეც დაუყოვნებლივ შევასრულე მათი თხოვნა; მფრინავი კუნძული პირდაპირ ჩემ ზემოთ დააყენეს, უდაბლესი გალერეიდან დასაჯდომიანი ჯაჭვი ჩამოუშვეს, მე დავეჯექი ზედ და ამწეს საშუალებით სწრაფად ამიყვანეს.

## თავი მხორე

ლაპუტელების ხასიათი და ზნე-ჩვეულებანი. მათი მეცნიერებები. მეფე და სასახლე. ავტორის მიღება. ლაპუტელების შიში და გულის წუხილი. იქაური ქალები.

ავედი თუ არა, ხალხი შემომქვია, მაგრამ, როგორც ჩანდა, ვინც ახლოს მედგა, უფრო წარჩინებულნი უნდა ყოფილიყვნენ. ისინი საშინლად გაკვირვებულნი შემომცქეროდნენ, მაგრამ ამ მხროვ მეც არ ჩამოვრჩებოდი, რადგანაც მანამდე არასოდეს მენახა მოკვდავთა იმგვარი მოდგმა, რომელიც ესოდენ გამოირჩეოდა ჩვენგან თავის მოყვანილობით, ტანისამოსისა და სახის გამომეტყველებით. ყოველ მათგანს თავი ან მარჯვენო ჰქონდა მოღრუცილი, ან მარცხნოვ. ცალი თვალით თუ ძირს იყურებოდა, მეორე ზევით აებრიცა. მათ ტანისამოსს ამკობდა შხის, მთვარის და ვარსკვლავების გამოსახულებანი, რომელთა შორის ჩაქსოვილი იყო ვიოლინოების, ფლეიტების, ქნარების, საყვირების, დოლების, გიტარების, კლავიკორდებისა და მრავალი სხვა ვეროპელებისათვის უცნობი მუსიკალური ინსტრუმენტის სურათები. ზოგიერთ მათგანს, როგორც შევნიშნე, მსახურის ტანისამოსი ეცვა. ხელში ჯოხი ეჭირათ, რომლებზეც გაბერილი ბუშტი იყო მიმაგრებული. როგორც შემდეგში გავიგე ბუშტში გამხმარი ცერცვი ან პატარ-პატარა კენჭები ეყარა. ამ ბუშტებს ისინი, ხანდახან, მათ გარშემომდგომებს პირზე და ყურზე უტყაპუნებდნენ, მაგრამ რატომ ან რისთვის, მაშინ ვერ მივხვდი, შემდეგ კი ამიხსნეს: თურმე იქაურები იმდენად ღრმად ეძლევიან ფიქრებს, რომ მოსმენისა და ლაპარაკის უნარს კარგავენ, თუ ვინიცობაა, ვინმე არ მოარტყამს მეტყველების ან სმენის ორგანოზე და ამგვარად ღრმა ფიქრისაგან არ გამოარკვევს. ამიტომაცაა, რომ მათ შორის იმათ, ვისაც მსახურის შენახვის თავი აქვთ, ოჯახში ყოველთვის ჰყავთ მატყაპუნებელი (მათ ენაზე კლიმენოლი), ურომლისოდაც არც სტუმრად წავლენ და არც სხვა რაიმე საქმეზე. ამ მსახურის მოვალეობა ის გახლავთ, რომ, როცა ორი, სამი ანდა უფრო მეტი პიროვნება მოიყრის ერთად თავს, ერთხილად გაჰკრას საპარტყუნებელი პირზე იმას, ვინც უნდა ილაპარაკოს, ხოლო მარჯვენა ყურზე იმას, ვინც უნდა მოისმინოს. ასეთ სატყაპუნებელს ასევე გამოიყენებენ სეირნობის დროს ბატონისათვის თვალე-

ბზე დასარტყმელად, რადგანაც იგი მუდამეამ ფიქრებშია ჩაძირული და ყოველ წუთს შეიძლება ორმოში ჩაყარდეს, ანდა ბოძს შეეჯახოს, ანდა ქუჩაში დაეჯახოს ვინმეს და გზისპირა არხში გადაცვოდნენ.

აუცილებელი იყო მკითხველისთვის მიმეწოდებინა ეს ცნობები, რადგანაც მისთვის, როგორც მაშინ ჩემთვის, გაუგებარი დარჩებოდა, რატომ იქცეოდნენ ასე უცნაურად იქაურები, როდესაც კიბეით კუნძულის მწვერვალზე აყავდით, იქიდან კი მეფის სასახლეზე მაცილებდნენ. ასვლის დროს რამდენიმეჯერ დაუვიწყარი გამცილებლებს და მარტო დამტოვეს, ვიდრე ფიქრებიდან მატყაპუნებლებმა არ გამოაფხიზლეს. როგორც ჩანდა, მათზე სრულებით არ მოქმედებდა არც ჩემი უცნაური სამოსელი, არც ჟრიალული მდაბიო მცხოვრებლებისა, რომლებიც ღრმა ფიქრებით სულაც არ იწუხებენ თავს.

ბოლოს სასახლეს მივადწიეთ და მეფის მისაღებ ოთახში შევედით. მისი უდიდებულესობა ტახტზე იჯდა და ორივე მხარეს დიდებულები ედგნენ. ტახტის წინ მოთავსებული უშველებელი მაგიდა გავსებული იყო გლობუსებით, სფეროებითა და ყოველგვარი მათემატიკური ხელსაწყოებით. მეფემ ვერც კი შეგვნიშნა, თუმცა ჩვენმა შესვლამ ხმაური გამოიწვია, — აკი კარისკაცთა დიდი რაოდენობა გვახლდა თან. მისი უდიდებულესობა რაღაც სერიოზულ პრობლემაზე ფიქრობდა და თითქმის მთელი საათი მოცდა დაგვჭირდა, ვიდრე მას გადაწყვეტდა. ორივე მხარეს თითო ახალგაზრდა პაჟი ედგა, მათ ხელში სატყაპუნებლები ეჭირათ. როდესაც შენიშნეს, რომ მეფე უკვე მორჩა თავის საქმეს და უბრალოდ თვლემდა, ერთმა პაჟმა პირზე ნაზად გაჰკრა სატყაპუნებელი, მეორემ კი მარჯვენა ყურზე; ამან მისი უდიდებულესობა უეცრად გამოღვიძებულივით შეაკრთო და, მე და ჩემს თანმხლებლებს რომ შემოგვხედა, მოაგონდა, რა საქმეზე ვიყავით მოსული. უნდა მოგაგონოთ, რომ ჩემი მოსვლის ამბავი მას წინასწარ მოახსენეს. მანაც რამდენიმე სიტყვა თქვა და მაშინვე ერთი ახალგაზრდა მომიახლოვდა სატყაპუნებლით ხელში და მარჯვენა ყურზე ფრთხილად დამარტყა. რამდენადაც მოვახერხე, ვანიშნე, ასეთი ხელსაწყო მე არა მჭირდება-მეთქი, რამაც, როგორც შემდგომი გავიგე, ჩემს გონებრივ განვითარებაზე მეფესა და მთელ სასახლეს ცუდი წარმოდგენა შეუქმნა. მისმა უდიდებულესობამ რამდენიმე კითხვა დამისვა და მეც პასუხი ყველა იმ ენაზე გავეცი, რომლებსაც ასე თუ ისე, ვფლობდი. როცა დარწმუნდნენ, რომ ერთმანეთს ვერაფერს გაუგებინებდით, მეფის ბრძანე-

ბით სასახლეშივე ჩემთვის გამოყოფილ ბინაში წამიძღვნენ (ეს მეფე თავისი წინაპრებისაგან უცხოელებისადმი სტუმართმოყვარე დამოკიდებულებით გამოირჩეოდა) და იქ ორი ხელზე მოსამსახურე მომიჩინეს. სადილი შემომიტანეს და ოთხმა წარჩინებულმა პირმა, რომლებიც იმ დღეს მეფეს ახლდნენ, პატივი დამდეს და ისადილეს ჩემთან ერთად. ორ გზობად ვისადილეთ; თითოეულ ჯერზე სამ-სამი კერძი მოგვართვეს. შესვენებამდე ტოლგვერდა სამკუთხედებად დაჭრილი ცხვრის ბარკალი, რომბოიდის ფორმის საქონლის ხორცის ნაჭერი და ციკლოიდისებური პუდინგი მოგვიტანეს; შესვენების შემდეგ — ვიოლინოსებურად მომზადებული ორი იხვი, ფლეიტისა და ჰობოის ფორმის ძეხვები, პუდინგი და ქნარისებური ხბოს მკერდი მოგვართვეს. მსახურები გვიჭრიდნენ პურს, რომლის ნაჭრებსაც კონუსების, ცილინდრების, პარალელოგრამებისა და სხვა გეომეტრიულ ფიგურების ფორმა ჰქონდა.

სადილობის დროს გავბედე და დიდებულებს რამდენიმე საგნის სახელი ვკითხე თავიანთ ენაზე. მათაც სატყაპუნებლების დახმარებით დიდი სიხარულით გამცეს პასუხი, რადგანაც იმედი ჰქონდათ, თუ ვინიცობაა, შევძლებდი მათი ენის შესწავლას და ამგვარად გასაუბრებას მოვახერხებდი, უთუოდ აღტაცებული დაერჩებოდი მათი ნიჭიერებითა და უნარიანობით.

ნასადილევს ჩემი თანამეინახეები წავიდნენ და მეფის ბრძანებით ჩემთან ვიღაც კაცი გამოცხადდა მატყაპუნებლის თანხლებით მან თან მოიტანა საწერ-კალამი, მელანი, ქაღალდი და სამი-ოთხი წიგნი და, როგორც იქნა, მიმახვედრა, რომ დაგალებული ჰქონდა, იმათი ენა ესწავლებინა ჩემთვის. ოთხი საათი ვისხედით ერთად და ამასობაში იმათი სიტყვების რამდენიმე სვეტი ჩამოვწერე, თავიანთი მნიშვნელობებით ამავე დროს, რამდენიმე მოკლე წინადადებაც შევისწავლე. ჩემი მასწავლებლის ბრძანებით, მისი ერთ-ერთი მსახური ან რაიმე ნივთს მოიტანდა, ან შებრუნდებოდა, ან მდაბლად დაგვიკრავდა თავს, ან დაჯდებოდა, ან ადგებოდა, ან გაივლ-გამოივლიდა და ასე შემდეგ. მეც სათანადო წინადადებას ქაღალდზე ვინიშნავდი. მან აგრეთვე გადამიშალა ერთ-ერთი წიგნი და იქ შზის, მთვარის, ვარსკვლავების, ზოდიაქოს, ტროპიკებისა და პოლარული წრეების გამოსახულებები მიჩვენა, ასევე გამაგებინა სხვადასხვა ბრტყელი ფიგურისა და სტერეომეტრიული სხეულის სახელწოდებაც. მანვე გამაცნო მათი

მუსიკალური ინსტრუმენტების სახელწოდებები და ის ტექნიკური ტერმინები, რომლებიც მათზე დაკვრის დროს გამოიყენება ხოლმე. ჩემი მასწავლებელი წავიდა თუ არა, სიტყვები თავიანთი მნიშვნელობებითურთ, ანბანის წყობის მიხედვით დავალაგე და ჩემი ჩინებული მქსიერების წყალობით რამდენიმე დღეში ლაპუტელების ენის განსაზღვრული ცოდნაც შევიძინე.

სიტყვა, რომელიც მე ვთარგმნე, როგორც „მფრინავი“ ან „მოცურავე კუნძული“, იქაურთა ენაზე გახლავთ „ლაპუტა“. „ლაპ“ — ძველი, ხმარებიდან გამოსული ენის მიხედვით ნიშნავს მაღალს, ხოლო „უნტუ“ — მმართველს. ამ ორი სიტყვის შეერთებით („ლაპუნტუ“), როგორც მეცნიერები ირწმუნებიან, ჟამთა ვითარებაში გამოვლილი ცვლილებების შედეგად წარმოიშვა სიტყვა „ლაპუტა“. მაგრამ ეს ახსნა-განმარტება მე არ მაკმაყოფილებს, რადგანაც იგი, ცოტა არ იყოს, ნაძალადევი მეჩვენება. ამიტომაც ერთხელაც გავბედე და ერთ იქაურ მეცნიერს ამ სიტყვის საკუთარი ეტიმოლოგია შევთავაზე. ჩემი აზრით, „ლაპუტა“ წარმოშობილი უნდა იყოს სიტყვიდან „ლაპ აუტედ“, სადაც „ლაპ“ ნიშნავს მზის სხივების ლაპლაპს ზღვის ზედაპირზე, ხოლო „აუტედ“ — ფრთას. ამ განმარტებას, რა თქმა უნდა, არავის ვახვევ თავზე, დაე, მკითხველმა თვითონ განსაჯოს, რომელია სწორი და რომელი არა.

იმ კარისკაცებმა, რომლებსაც მეფემ ჩემზე მზრუნველობა მიანდო, მაშინვე შეამჩნიეს, რომ ცუდად ვიყავი ჩაცმული და მეორე დღითვე მოიხმეს მკერავი, რომ ჩემი ახალი სამოსისთვის ზომები აელო. ამ დავალების შესრულების დროს ოსტატი სავსებით სხვანაირად მოქმედებდა, ვიდრე ჩვენებური, ევროპელი მკერავები. უპირველესად ყოვლისა, ჩემი სიმაღლე გამოარკვია კვადრატის დახმარებით, მერე კომპასითა და ცირკულით განსაზღვრა ჩემი სხეულის სიდიდე და მოყვანილობა და ყველაფერი ეს ქაღალდში ჩაინიშნა. ექვსი დღის შემდეგ ერთი საშინლად შეკერილი კომზოლი მომიტანა. მკერავის განცხადებით, ამის მიზეზი ის იყო, რომ ზომის აღების დროს გამოანგარიშებაში დაშვებული იქნა რაღაცა შეცდომა. მაგრამ მე, მართალი გითხრათ, არცთუ ძლიერ ვწუხდი ამაზე, ვინაიდან ასეთი

<sup>1</sup> სვიფტი დასცინის იმდროინდელ ფილოლოგებს, რომლებიც სიტყვათა წარმოშობის საკითხებს იკვლევდნენ.

შეცდომები ყოველ ნაბიჯზე მხვდებოდა ხოლმე თვალში იქაურთა ჩაცმულობაში.

სანამ ტანისამოსს მომიძხადებდნენ, სახლიდან არ გამოუსულვარა ამასობაში, დაღლილ-დაქანცულმა და გადატანილი უბედურებით გაღახულმა, საკმაოდ დაუისვენე და სიტყვების მარაგიც ერთობ გაუიმრავლე. ამგვარად, სასახლეში მეორედ რომ წაუედი, მეფის ნალაპარაკვიდან ბფერი რამე გაუიგე და ჩემი მზრიდან ერთგვარი პასუხის გაცემაც მოუახერხე. მისმა უდიდებულესობამ განკარგულება გასცა, კუნძული ვერ ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთით წაყვანათ — მთელი სამეფოს დედაქალაქ ლაგადოსკენ, რომელიც ძირს, მიწაზე მდებარეობდა. იქამდე ოთხმოცდაათი ლიგი მანძილი იყო, რის გავლასაც დღე-ნახევარი მოვანდომეთ. უნდა მოგახსენოთ, რომ რატომღაც სრულიად ვერ ვგრძობდი კუნძულის მოძრაობას ჰაერში. ჩვენი გამგზავრების მეორე დილით, დაახლოებით თერთმეტ საათზე, პირადად მეფემ დიდებულების, კარისკაცებისა და მოხელეების თანხლებით წინასწარ საგანგებოდ გაშხადებული მუსიკალური ინსტრუმენტებით დაიწყო დაკვრა და სამი საათი განუწყვეტლოვ უკრავდა ისე, რომ ხმაურმა, მართალი გითხრათ, კინაღამ დამაყრუა. არ იქნა და ვერ გაუიგე, ეს რას ნიშნავდა, ვიდრე ჩემმა მასწავლებელმა არ განმიმარტა. მისი თქმით, მათ ხალხს კოსმოსური მუსიკის აღქმის უნარი ჰქონდა, რაც ყოველთვის განსაზღვრულ საათებში გაისმოდა, ამიტომაც მეფესა და კარისკაცებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ, რა ინსტრუმენტითაც შეეძლოთ, მონაწილეობა მიეღოთ ამ მსოფლიო კონცერტში.

ლაგადოს მიმართულებით ჩვენი მოგზაურობის დროს მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, კუნძული გაეჩერებინათ განსაზღვრული ქალაქებისა და სოფლების თავზე, რათა თავისი ქვეშევრდომების თხოვნა მიეღო. ამ მიზნით ძირს უშვებდნენ წვრილ ბაწრებს, რომელთა ბოლოებზე სიმძიმე იყო მიმაგრებული. ამ ბაწრებზე ხალხი ამაგრებდა თავის თხოვნას, როგორც ბავშვები ამაგრებენ ხოლმე ფრანის ბაწარზე ქალაღლის ნაგლეჯებს, შემდეგ კი ისინი ზევით ამოჰქონდათ. ხანდახან ქვევიდან სურსათსა და ღვინოსაც ვიღებდით, რაც ჭოჭონაქით ამოჰქონდათ ხოლმე.

მათემატიკის ცოდნამ დიდი დახმარება გამიწია მათი ფრაზოლოგიის გაგებაში, რომელიც ხსენებული მეცნიერებისა და მუსიკის ტერმინებს მრავლად შეიცავდა და მე ხომ მუსიკაშიც საკმაოდ გა-



თვითცნობიერებული ვიყავი. იმ ხალხს თავი გამოტენილი აქვს გეომეტრიული ნახაზებითა და ფიგურებით. ასე, მაგალითად, თუ სურთ შეაქონ ქალის ანდა რომელიმე ცხოველის სილამაზე, ისინი მას აუცილებლად რომბების, წრეების, პარალელოგრამების, ელიფსებისა და სხვა გეომეტრიული ტერმინების ანდა მუსიკის ფრაზეოლოგიის საშუალებით დაახასიათებენ, რომელთა ჩამოთვლა აქ სულაც არ არის საჭირო და აუცილებელი. მეფის სამხარეულოში მე ვნახე ყველა ჯურის გეომეტრიული სხეული და მუსიკალური ინსტრუმენტი, რომლებსაც მხარეულები იყენებენ, როგორც თარგებს მეფისთვის მისართმევი შემწვარ-მოხრაკულის დასაჭრელად.

ლაპუტელთა სახლები ყოველთვის უმნოდაა აგებული, კედლები გადაზნექილ-გადმოზნექილია. ოთახებს ერთ სწორ კუთხეს ვერ უპოვი. ეს ხარვეზები მხოლოდ და მხოლოდ იქიდან მომდინარეობს, რომ იქ გამოყენებითი გეომეტრია სძულთ და ვულგარულ ხელოსნობად მიაჩნიათ. იმდენად მაღალფარდოვან და არაპრაქტიკულ მითითებებს აძლევენ დურგლებსა და კალატოზებს, რომ ეს უკანასკნელები ვერაფერს იგებენ და წარამარა შეცდომებს უშვებენ. მართალია, ისინი ქაღალდზე ოსტატურად ხმარობენ სახაზავს, ფანქარსა და ფარგალს, მაგრამ პრაქტიკულ საქმიანობაში მათსავე მოუქნელი, მოუხერხებელი და გაუბედავი ხალხი არასოდეს შემხვედრია. ასევე ჩლუნგია მათი გონება ყველაფრისადმი, რაც მათემატიკასა და მუსიკასთან არაა დაკავშირებული. ისინი უაღრესად უხეიროდ მსჯელობენ და სწრაფად ფეთქდებიან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მეტად იშვიათ გამონაკლისს, როცა სიმართლე მათ მხარეზეა. წარმოდგენა, ფანტაზია და გამომგონებლობა სრულიად უცხოა მათთვის. ასე, რომ, ამ ცნებების აღმნიშვნელი სიტყვებიც კი არ გააჩნიათ ენაში. მთელი მათი ჭკუა-გონება მხოლოდ და მხოლოდ ორ ზემოთ ხსენებულ მეცნიერებას აქვს დაკავებული.

ლაპუტელების უმრავლესობას და განსაკუთრებით მათ, რომლებიც ასტრონომიაში მუშაობენ, სწამთ ასტროლოგია, თუმცა ამის საჯაროდ აღიარება სირცხვილად მიაჩნიათ. მაგრამ ყველაფერზე გასაოცარი და გაუგებარი ის გახლავთ, რომ ისინი ცხოველ ინტერესს იჩენენ ახალი ამბებისა და პოლიტიკისადმი. არ გამორჩებათ არც ერთი ახალი ამბავი, მსჯელობენ სახელმწიფო საქმეებზე და პარტიათა მიერ გამოთქმულ ამა თუ იმ მოსაზრებაზე და, რამდენადაც

უმნიშვნელო უნდა იყოს იგი, გაცხარებით კამათობენ. ასეთივე მიდრეკილება ფროპელი მათემატიკოსების უმრავლესობაშიც შევნიშნეთ. თუმცა, ვერასოდეს ვხედავდი საერთოს პოლიტიკასა და მათემატიკას შორის, გარდა ერთისა: ვინაიდან დიდსა და პატარა წრეს გრადუსების თანაბარი რაოდენობა გააჩნია, მსოფლიოს მართვა-გამგეობის საქმეც იმაზე მეტ უნარსა და ცოდნას არ მოითხოვს, ვიდრე გლობუსის ხელში აღებასა და დატრიალებას ესაჭიროება. ჩემი აზრით, ეს თვისება მომდინარეობს ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელი სისუსტიდან, დაინტერესდეს და ჩაერიოს ისეთ საქმეებში, რომლის არც ცოდნა აქვს და არც მოწოდება.

ლაპუტელებისათვის უცხოა სულიერი სიმშვიდე. ისინი გამუდმებით შიშსა და დაჟიდარებაში იმყოფებიან. მათი შიში ისეთი რამეებითაა გამოწვეული, რაც სხვა მოკვდავებს საერთოდ არც კი აინტერესებთ. თავზარდაცემულები არიან იმაზე ფიქრით, რომ ვაითუ, ციური სხეულების მდგომარეობაში რაიმე, მათთვის დამღუპველი, ცვლილება მოხდეს. ასე, მაგალითად, რაკი მზე განუწყვეტლოდ უახლოვდება დედამიწას, ხომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს შთანთქას ეს უკანასკნელი; რაკი მზე, მასზე მიმდინარე ამოფრქვევების გამო, დღითი დღე სულ უფრო მეტად იფარება ქერქით, მოსალოდნელია იმდენად დაიფაროს, რომ სითბო და სინათლე აღარ მოგვცეს; მათი აზრით, დედამიწა რაღაც სასწაულებით გადაურჩა უზარმაზარი კომეტის კუდის დაჯახებას, რაც მას ნაცარტუტად აქცევდა და, ბოლოს, მათივე გამოანგარიშებით, ზუსტად ოცდათერთმეტი წლის შემდეგ გამოჩნდება კომეტა, რომელიც უთუოდ დაანგრევს დედამიწას, რადგანაც, როცა იგი მზეს განსაზღვრულ მანძილზე უახლოვდება (რაც, მათი გამოანგარიშებით, ნამდვილად მოსალოდნელია), გავარვარებულ რკინაზე ათასჯერ უფრო გაკაშკაშდება და მზისაგან დაშორების შემდეგ თოთხმეტი მილიონი მილის სიგრძე გავარვარებულ კუდს გამოიბამს და, თუ დედამიწა კომეტის ბირთვიდან ასი ათასი მილის სიახლოვეს გაივლის, ცეცხლი მოეკიდება და თვალის დახამხამებაში დაიფერფლება; ანდა მზე, რომელიც განუწყვეტლოდ აბნევს სითბოსა და სინათლეს ისე, სამაგიეროდ კი არსაიდან იღებს ენერგიას, ბოლოს და ბოლოს, დაიწვება და მოისპობა, ამას კი უსათუოდ მოჰყვება დედამიწისა და იმ პლანეტების განადგურება, რომლებიც სინათლეს მზისგან იღებენ.

ამგვარი და სხვა მრავალი მსგავსი საშიშროების წინაშე ძრწოლაში გადის მთელი მათი სიცოცხლე ისე, რომ მშვიდი ძილი და ამქვეყნიური ათასნაირი გასართობი მათთვის უცნობია. აბა, ასეთი რამეებისათვის ვინ მოიცლის, როცა დილ-დილაობით მათი პირველი კითხვა ყოველი გამვლელ-გამომვლელისადმი ისაა, როგორ გრძნობს თავს მზე; რანაირად გამოიყურებოდა იგი ჩასვლისას და ამოსვლისას; ანდა არსებობს თუ არა რაიმე იმედი, რომ დედამიწა გადაურჩება კომეტასთან მოსალოდნელ დაჯახებას. ამ საკითხზე ისეთივე გატაცებით მსჯელობენ, როგორი გულისყურითაც ბავშვები უსმენენ ხოლმე ალქაჯების შესახებ რაიმე საშინელ ამბავს და მერე შიშით მოცულებს თვალებზე ძილი არ ეკარებათ.

ლაპუტელთა ქალები მხიარულ და თავაშვებულ ცხოვრებას ქრევიან, ქმრები ეზიზღებათ და გაგიჟებით უყვართ უცხო მამაკაცები, რომლებიც ბლომად ამოდიან მფრინავ კუნძულზე, რათა მეფის სასახლეში სხვადასხვა ქალაქისა და კორპორაციის, ანდა პირადი საქმეები მოავარონ. ქალები მათ შორის ირჩევენ თავიანთ საყვარლებს, მათი ქმრები კი ისე ღრმად არიან ჩაძირული ფიქრებში, რომ ქალაქსა და საწერ მოწყობილობას თუ მისცემთ ხელში, ყველაფრის გაკეთება შეიძლება მათ თვალწინ, ვიდრე სატყაპუნებლით ვინმე შეეხებოდეთ.

ლაპუტელების ცოლები და ქალიშვილები განუწყვეტლივ წუწუნებენ კუნძულზე, ვითომდა იმ მიყრუებულ ადგილზე ცხოვრების გამო, თუმცა, მე რომ მკითხოს კაცმა, უკეთეს ადგილს, კიდით კიდემდე რომ დაიარო დედამიწა, სულერთია, ვერსად იპოვი. მიუხედავად იმისა, რომ აქ ნამდვილ ფუფუნებაში ცხოვრობენ და, ამავე დროს, ნება აქვთ, რაც მოესურვებათ, ის გააკეთონ, იქაური ქალები მაინც ისწრაფვიან თვალს წყალი დაალეწინონ და დედაქალაქში გაისეირნონ, თუმცა მეფის განსაკუთრებული ნებართვის გარეშე კუნძულიდან მყარ მიწაზე ვერაფერს ჩავა. როგორც მიაძბეს, ერთმა წარჩინებულმა ქალმა — რამდენიმე ბავშვის დედამ და მთელ სამეფოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეშევრდომის, პირველი მინისტრის მეუღლემ, თუმცა გაგიჟებით უყვარს იგი ქმარს, რომელიც თვითონაც მშვენიერი გარეგნობის კაცია და კუნძულის ულაძაზეს სასახლეში ცხოვრობს, — აუადმყოფობა მოიძიზვნა და ლაგადოზე დაეშვა. იქ რამდენიმე თვე იმყოფებოდა და ვერაფერს მიაგნო. მეფე იძულებული შეიქნა, საგანგებო ბრძანება გაეცა, რომ სადაც უნდა ყოფილიყო, მოენახათ იგი. ბო-

ლოს ერთ სარდაფში იპოვეს ძონძებში ჩაცმული; საკუთარი ძვირფასი ტანსაცმელი გაჟიდა ვილაც ბებერი, ყოვლად მახინჯი მსახურის სარჩენად, რომელსაც, დღე ისე არ გათლიდა, რომ ერთხელ მაინც არ ეცემა და, რომელსაც თავისი ნება-სურვილის წინააღმდეგ დააშორეს. ქმარმა, რაც შეიძლებოდა კარგად და ალერსით მიიღო და ერთი სიტყვითაც არ უსაყვედურებია, თუმცა, მცირე ხნის შემდეგ, ქალმა მოხვეტა თავისი ძვირფასეულობა, ისევე გაიპარა იმავე საყვარელთან და მას მერე, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ვერა გაიგეს რა.

ეს შეიძლება მკითხველს ევროპულ ანდა ინგლისურ ისტორიად უფრო მოეჩვენოს, ვიდრე ისეთ მიყრუებულ ქვეყანაში მომხდარ ამბად, როგორც ლაპუტაა, მაგრამ მან ის გარემოებაც უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ ქალთა სქესის ჭირვეულობას არც კლიმატი განსაზღვრავს და არც ეროვნება და ის ბევრად უფრო ერთფეროვანია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია.

ერთ თვეში ლაპუტელების ენის შესწავლაში შესამჩნევ წარმატებას მივალწიე და შემეძლო მეფის კითხვების უმრავლესობისათვის პასუხი გამეცა, როცა კი მქონდა მისი ხილვის პატოვი. მისმა უდიდებულესობამ არავითარი ინტერესი არ გამოიჩინა იმ ქვეყნების კანონების, მთავრობის, ისტორიის, სარწმუნოებისა და ზნე-ჩვეულებების მიმართ, სადაც მე ვყოფილვარ. კითხვები, რომლებიც მან დამისვა, შეეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ მათემატიკურ მეცნიერებათა განვითარებას ჩვენს ქვეყანაში და ამაზეც პასუხი ნახევრად მთვლემარემ მოისმინა, თუმცა მატყაპუნებლები ყოველნაირად ცდილობდნენ მის გამოფხიზლებას.

## თავი მესამე

თანამედროვე ფილოსოფიისა და ასტრონომიის შემწეობით გადაწვეტილი ამოცანა. ლაპუტელთა დიდი მიღწევები ასტრონომიაში. აჯანყების ჩაქრობის მეფისეული მეთოდი.

დიდი სურვილი მქონდა დამეთვალთვალებინა კუნძულის ღირსშესანიშნაობები. მეფეს კიდევაც ვთხოვე მოგზაურობის ნებართვა. მან სიამოვნებით დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა და ჩემს მასწავლებელს

უბრძანა მეფეზურობა გაეწია. ყველაზე უფრო იმის გაგება მაინტერესებდა, თუ რა მექანიკური ანდა ბუნებრივი ძალების შემწეობით მოძრაობდა კუნძული. განზრახული მაქვს ახლა ამ საკითხზე ფილოსოფიური ახსნა-განმარტება მოვცე ჩემს პატოცემულ მკითხველს.

ამ მფრინავ ანუ მცურავ კუნძულს წრის ფორმა აქვს, მისი დიამეტრი 7.837 იარღს, ანუ დაახლოებით ოთხ-ნახევარ მილს უდრის და, მაშასადამე, ათი ათასი აკრი<sup>1</sup> ფართობი უჭირავს. ის ზუსტად სამასი იარღის სისქეა. ფსკერის, ანუ ქვედა ზედაპირის დანახვა, მხოლოდ დედამიწიდანაა შესაძლებელი. იგი წარმოადგენს ალმასის სწორ ფირფიტას, რომელსაც ორასი იარღის სისქე გააჩნია. ზვეიდან მას სხვადასხვა ქანი აკრავს; ყველაფერ ამას კი თორმეტი ფუტის სიღრმის ნოყიერი შავმიწა ნიადაგის ფენა ადევს. კუნძულზე მოსული ნალექი მისი შემადღებელი კიდებიდან შუაგულისკენ მიედინება პატარ-პატარა ნაკადულების სახით და იქ ოთხ უზარმაზარ აუზში გროვდება, რომელთაგანაც თითოეული ნახევარი მილის გარშემოწერილობისაა და ორასი იარღითაა ცენტრიდან დაშორებული. ამ აუზებს დღისით გამუდმებით აცხუნებს მზე და იწვევს აორთქლებას. ამიტომაც წყალი არასოდეს გადმოდის ნაპირებიდან. ესეც რომ არ იყოს, მეფეს შეუძლია, როცა მოესურვება, კუნძული ღრუბლებს ზვეით აიყვანოს და ამგვარად, ხელი შეუშალოს მის ზედაპირზე წვიმისა და ნამის დაცემას, რადგანაც, როგორც იქაური ბუნებისმეტყველები ირწმუნებიან, ვერც ერთი ღრუბელი ორ მილზე მაღლა ვერ ავა; ყოველ შემთხვევაში, მათ ქვეყანაში ზუსტად ასეა.

კუნძულის ცენტრში გვხვდება ორმოცდაათი იარღის დიამეტრის მქონე უფსკრული, რომლითაც ასტრონომები ეშვებიან დიდ გამოქვაბულში, რომელსაც სწორედ ამიტომ ჰქვია „ფლანდონა გაგნოლე“ ანუ ასტრონომთა მღვიმე. ის მდებარეობს ალმასის ფენის ზემო ზედაპირიდან ასი იარღის სიღრმეზე. ამ მღვიმეში მუდამ ანთია ოცი ლამპარი. მათი სხივები ალმასის კედლებიდან ყოველი მიმართულებით ირეკლება და იქაურობას აკაშკაშებს. მღვიმეში დადგმულია მრავალნაირი სექსტანტები, კადრანტები, ტელესკოპები, ასტროლაბები<sup>2</sup> და სხვა ასტრონომიული ხელსაწყოები და მოწყობილობები, მაგრამ

<sup>1</sup>აკრი — მიწის საზომი ერთეული. უდრის 4,047 კვ.მეტრს.

<sup>2</sup>ასტროლაბი — კუთხსაზომი ხელსაწყო, რომელიც მე-18 ს-ის. დასაწყისშივე იხმარებოდა ციური მნათობების მდებარეობის გამოსარკვევად.

ყველაზე დიდ ინტერესს მღვიმეში მოთავსებული უშველებელი მაგნიტი იწვევს, რომელზეც მთელი კუნძულის ბედია დამოკიდებული და რომელიც თავისი მოყვანილობით ფეიქრის მაქოს გვაგონებს. მას ექვსი იარდის სიგრძე აქვს, ხოლო უმსხვილეს ნაწილში სამი იარდის სისქე მაინც ექნება. ამ მაგნიტის შუაგულში გადის ალმასის მაგარი ღერძი. მაგნიტი მის ირგვლივ ტრიალებს და ისე ზუსტადაა ჩამოკიდებული, რომ ზელის ოდნავი მიკარუბაც საკმარისია მის ასამოძრაველად. მაგნიტი ალმასის უზარმაზარ ბუდეშია ჩასმული, რომლის სიმაღლე ოთხი ფუტია, სისქეც ამდენივე. იგი ჰორიზონტალურადაა მოთავსებული და ეყრდნობა ექვსი იარდის სიგრძის ალმასის რვა ფეხს. ცილინდრის შიგნითა მხრიდან თორმეტი დუიმის სიღრმის ორი ბუდეა ამოკვეთილი, მათში ღერძის ბოლოები იდება და ტრიალდება საჭიროების მიხედვით.

აღნიშნულ მაგნიტს ვერაფრითარი ძალა ვერ დასძრავს, რადგან ცილინდრი თავისი ალმასის ფეხებით კუნძულის ალმასისავე ფსკერთან ისე მტკიცედაა შედუღებული, რომ ერთ მთლიანობას ქმნიან.

კუნძული სწორედ ამ მაგნიტის დახმარებით ადის მაღლა, ეშვება ძირს და გადადის ერთი ადგილიდან მეორეზე, ვინაიდან მეფის უზარმაზარი სამფლობელოს მიმართ მაგნიტის ერთ ბოლოს მიზიდულობის უნარი გააჩნია, მეორე ბოლოს კი განზიდვისა. როდესაც მაგნიტს ვერტიკალურად დააყენებენ და მისი მიზიდულობის უნარის მქონე ბოლო მიწისკენ მოექცევა, კუნძული ძირს დაეშვება, ხოლო, როცა განზიდვის უნარის მქონე ბოლოს მიმართავენ მიწისკენ, კუნძული ზევით ადის. თუ მაგნიტი ირიბადაა დაყენებული, კუნძულიც ირიბად, მიწის გასწვრივ მოძრაობს, რადგანაც მაგნიტი იმ მიმართულებით მოქმედებს, საითაც მიზიდულობის უნარის მქონე ბოლოა მიშვერილი.

ამ ირიბი მოძრაობის საშუალებით გადაჰყავთ კუნძული მეფის სამფლობელოს იმ ნაწილში, რომელშიც მოესურვებათ. უფრო გასაგები რომ გახდეს, თუ სახელდობრ რანაირად ხდება ეს, დაუშვათ, რომ არის AB ხაზი, რომელიც გადის ბალნიბარბის<sup>1</sup> სამეფოს გასწვრივ; CD-თი აღვნიშნოთ მაგნიტი, D — იყოს განზიდვის უნარის მქონე ბოლო, ხოლო C — მიზიდულობის უნარის მქონე, ვთქვათ, კუნძული

<sup>1</sup> ბალნიბარბი — ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ბალნიბარბი ირლანდიაა, ლაპუტა კი ინგლისი.

C წერტილის ზევით იმყოფება და მაგნიტი CD მდგომარეობაში ისე დაუაყენოთ, რომ მისი განზიდვის უნარის მქონე ბოლო მიმართული იყოს ქვემოთ, მაშინ კუნძული ირიბად გაემართება D-ისკენ. როცა ის D-ის მიაღწევს, მაგნიტი ისე მოვაბრუნოთ ღერძზე, რომ მისი მიზიდულობის უნარის მქონე ბოლო E-ისაკენ მიიმართოს, მაშინ კუნძული ირიბად გადაიქროლებს E-ისაკენ; თუ იქ მაგნიტს EF მდგომარეობაში დაუაყენებთ და განზიდულობის უნარის მქონე ბოლოს ძირს მოვაქცევთ, კუნძული ირიბად ავა F-ისაკენ, საიდანაც, მიზიდულობის უნარის მქონე ბოლოს G-ისკენ მიბრუნებით — კუნძულიც G-ისკენ წავა, მერე G-დან H-ისაკენ და ასე შემდეგ. ამგვარად, მაგნიტის მდგომარეობის შეცვლის საშუალებით კუნძული აპყავთ მალა, ან ჩამოაყავთ ძირს, ანდა გადააყავთ სამეფოს იმ ნაწილში, რომელშიც ესაჭიროებათ.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მფრინავ კუნძულს არ შეუძლია სამეფოს ფარგლებს მიღმა გასვლა და რომ იგი მყარი მიწის ზედაპირიდან ოთხ მილზე მაღლაც ვერ ავა. ამის მიზეზად ასტრონომები, რომლებსაც იმ მაგნიტის შესახებ სისტემების მთელი რიგი აქვთ შექმნილი, შემდეგ მდგომარეობას ასახელებენ: მაგნიტი ოთხი მილის მანძილზე მოქმედებს, ვინაიდან, ის მინერალები, რომლებიც განაპირობებენ მის მოქმედებას, როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე, დედამიწის წიაღში ყველგან არ გვხვდება და სწორედ იმ ადგილებშია გავრცელებული, რომელიც ამჟამად აქაური მეფის სამფლობელოს წარმოადგენს. ასე რომ არ იყოს, მეფისთვის უაღრესად იოლი იქნებოდა დაემორჩილებინა ყოველი ქვეყანა, რომელიც მაგნიტის მოქმედების არეში იქნებოდა მოქცეული.

თუ მაგნიტს ზუსტად ჰორიზონტის პარალელურად მოვათავსებთ, კუნძული უძრავად დადგება, რადგანაც ამ დროს მისი ორივე ბოლო მიწიდან თანაბარი მანძილით იქნება დაშორებული. რა ძალითაც ერთი ძირს ქწევა, მეორეც თანაბარი ძალით მალა ექაჩება და, ცხადია, ძალთა ამგვარი განაწილება ყოველგვარ მოძრაობას გამოორიცხავს.

მაგნიტის მოვლა და მართვა ჩაბარებული აქვთ გამოცდილ ასტრონომებს, რომლებიც დროდადრო მეფის განკარგულების თანახმად უცვლიან მას მდგომარეობას. ეს ასტრონომები თავიანთი სიცოცხლის უდიდეს ნაწილს ციურ სხეულებზე დაკვირვებაში ატარებენ, რასაც ისეთი საჭურჭტი მიღებით აწარმოებენ, რომლებიც ჩვენს მოწყობილობებზე გაცილებით უფრო ზუსტი და ძლიერია.

მართალია, მათი ტელესკოპი სამ ფუტზე გრძელი არ არის, მაგრამ ჩვენს ასფუტიანზე უფრო ადიდებს და ვარსკვლავებსაც უფრო ნათლად და გარკვევით უჩვენებს. ამ უპირატესობამ საშუალება მისცა იქაურ ასტრონომებს თავიანთ გამოკვლევებში ევროპელ კოლეგებზე გაცილებით შორს წასულიყვნენ. ამიტომაცაა, რომ იქაურ კატალოგში ათი ათასამდე უძრავი ვარსკვლავი ირიცხება, მაშინ, როდესაც ჩვენსაში, მათი მესამედი თუ იქნება აღრიცხული. მათ აგრეთვე აღმოჩენილი აქვთ ორი მცირე ვარსკვლავიც, რომლებიც<sup>1</sup> მარსის გარშემო ტრიალებენ: ერთი, უფრო ახლოს მყოფი, თავისივე დიამეტრის სამმაგი მანძილითაა მარსისგან დაშორებული, ხოლო მეორე — ხუთი დიამეტრის ხელა მანძილზე; პირველი, მარსის გარშემო შემოვლას ათი საათი უნდება, მეორე კი — ოცდაერთ საათ-ნახევარს. ამგვარად, იმ ვარსკვლავთა წრებრუნვის დროის კვადრატები ერთნაირ შეფარდებაში იმყოფება მარსის ცენტრიდან მათი დაშორების კუბებთან, — რაც, ცხადია, იმის მაჩვენებელია, რომ მათაც იგივე მიზიდულობის ძალა მართავს, რაც საერთოდ გავლენას ახდენს ციურ სხეულებზე.

აქაურ ასტრონომებს შეუსწავლიათ ოთხმოცდაცამეტი სხვადასხვა კომეტა და მათი მოძრაობის პერიოდულობა ზუსტად დაუდგენიათ. თუ ეს მართალია (ისინი კი დიდი ამბით ამტკიცებენ, რომ ეს უდავო ჭეშმარიტებაა), სასურველი იქნებოდა, მათი გამოკვლევები ფართოდ გავრცელებულიყო, რათა კომეტების შესახებ არსებული თეორია, რომელიც ამჟამად ჩამორჩენილია და საგრძნობლად მოიკოჭლებს, აყვანილ იქნას ასტრონომიის სხვა დარგების განვითარების სიმაღლეზე.

ლაპუტელთა მეფე უძლიერესი მონარქი იქნებოდა მთელ დედამიწის ზურგზე, თავისივე მინისტრების ერთსულოვანი მხარდაჭერის მოპოვება რომ შესძლებოდა. მაგრამ მათ დიდი მამულები აქვთ ქვემოთ, კონტინენტზე და, იღებენ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ თვითმპყრობლის ფაუორიტის მდგომარეობა ძალზე მერყევია, თავიანთი ქვეყნის დამონებაზე აღარ თანხმდებიან.

თუ რომელიმე ქალაქი აჯანყდება, ანდა დაწესებული ხარკის გადახდაზე უარს იტყვის, მეფეს მისი დამორჩილების და ჭკუაზე მოყვანის ორი საშუალება აქვს: პირველი, უფრო ღმობიერი, ის გახლავთ,

<sup>1</sup> სეიფტს მხედველობაში აქვს ფლემსტიდის კატალოგი, რომელშიც 2.935 ვარსკვლავი იყო აღრიცხული.



რომ, მეფის ბრძანებით, კუნძულს ამ ქალაქისა და მისი მიდამოების თაგზე გააჩერებენ. ამით ურჩების ქალაქს მზისა და წვიმის ცხოველ-მყოფელ ზემოქმედებას მოაკლებენ, რაც შიმშილობასა და სნეულე-ბის გავრცელებას გამოიწვევს; გარდა ამისა, დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, შეიძლება უზარმაზარი ქვებიც დააყარონ თაგზე. ამ რისხვისაგან თავის დასაცავად აჯანყებულებს სხვა არაფითარი საშუა-ლება არ გააჩნიათ, გარდა იმისა, რომ სარდაფებსა და მღვიმეებში ჩაიმალონ მაშინ, როდესაც მათი სახლები ინგრევა და პარტახდე-ბა. თუ ამის შემდეგაც განაგრძობენ წინააღმდეგობის გაწევას, მეფე უკიდურეს ღონისძიებას მიმართავს: კუნძულს პირდაპირ აჯანყებულ ქალაქზე დასვამს და აჯანყებულ ქალაქსა და მის მცხოვრებლებს ერ-თიანად გასრესს. მაგრამ მეფე ამ ღონისძიებას მხოლოდ ისეთ შემთხ-ვევაში მიმართავს, როცა სხვა გამოსავალი არ აქვს. ასეთი სასჯელის დადებას თვითონ მეფეც ერიდება, ამავე დროს, მინისტრებიც ვეღარ ბედავენ ამგვარი რჩევა მისცენ; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ხალხმა არ შეიძულოს ისინი და, როცა იქნება, შური არ იძიოს; მეორე მხრივ, მათი მამულები ხომ ძირს, კონტინენტზეა მოთავსებული და ეშინიათ, არ გაუნადგურდეთ. ზევით მათ არაფერი გააჩნიათ მთელი კუნძული მეფის განუყოფელ საკუთრებას წარმოადგენს.

მაგრამ არის ერთი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი, რაც აიძუ-ლებს მეფეს, არ ჩაიდინოს ასეთი საშინელი მოქმედება, თუ ვინიცობაა უკიდურესი საჭიროებით არ იქნება ის გამოწვეული. თუ დასანგრე-ვად განწირულ ქალაქში ანდა მის შემოგარენში მაღალი კლდეებია, რაც საერთოდ ხშირი მოვლენაა, ანდა თუ მასში ბლომადაა მაღალი ციხე-კოშკები და სამრეკლოები, კუნძულის უეცარმა დაშვებამ შეი-ძლება ალმასის ფსკერის გაბზარვა ანდა დასკდომა გამოიწვიოს. თემ-ცა ფსკერი, როგორც მოგახსენეთ, ორასი იარღის სისქე მთლიანი ალ-მასის მასისაგან შედგება, მაგრამ მაინც შეიძლება გაიბზაროს ძლიერი დარტყმისაგან, ანდა გასკდეს, როცა მიუახლოვდება ძირს გაჩაღებულ ხანძარს, როგორც ეს ღუმელში მოხვედრილ ქვას ან რკინას ემართე-ბა. ყველაფერი ეს ხალხს მშვენივრად ესმის და წინასწარ განსაზღ-ვრავს, რა ზომამდე გაეწიოს წინააღმდეგობა თავისუფლების ხელმ-ყოფელთ ამგვარად, როცა მეფე ძალიანაა გაბრაზებული და გადაწყ-ვეტს მიწასთან გაასწოროს მეამბოხე ქალაქი, ის ბრძანებს, ნელ-ნელა დაუშვან კუნძული ძირს, ამავე დროს, თავს ისე აჩვენებს, თითქოსდა

თავისი ხალხი ებრალებოდეს, მაგრამ, სინამდვილეში ეშინია, ვაითუ მფრინავი კუნძულის ალმასის ფსკერი დაზიანდესო. ფილოსოფოსების აზრით, ალმასის ფსკერი თუ გაიბზარა, ვერ დაიკავენს კუნძულს და მთელი ეს უზარმაზარი მასა მიწაზე დაენარცხება.

სამეფოს ძირითადი კანონი უკრძალავს მეფეს და მის ორ უფროს ვაჟს დატოვონ კუნძული. კუნძულის დატოვება ეკრძალება დედოფალსაც, სანამ იმ ასაკს არ მიაღწევს, როდესაც შვილის გაჩენას ვეღარ შეძლებს.

## თავი მეოთხე

ავტორი ტოვებს ლაპუტას. მას დაუშვებენ ბალნიბარბიზე. დედაქალაქში ჩასვლა. დედაქალაქისა და მისი მომიჯნავე მიდამოების აღწერა. ერთი წარჩინებული დიდი პატივისცემით იღებს ავტორს. მათი საუბრები.

თუმცა არავითარი საფუძველი არ მაქვს იმის სათქმელად, რომ კუნძულზე ცუდად მეპყრობოდნენ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მაინც არ მექცეოდა სათანადო ყურადღება. ლაპუტელები ერთგვარი ზიზღითაც კი მიყურებდნენ, რადგან თვით მეფე არ იყო დაინტერესებული რაიმე სხვა საკითხით ან დარგით, თუ არა მათემატიკითა და მუსიკით, რაშიც მე ადგილობრივ მცხოვრებლებთან შედარებით ძალზე ჩამორჩენილი გახლდით, ამიტომაც თითქმის არაფრად მაგდებდნენ.

მეორე მხრივ, მას შემდეგ, რაც კუნძულის ღირსშესანიშნავი ადგილები უკლებლივ დაუთვალიერე, საშინლად მომეწყინა და იქიდან წასვლა მომინდა. მართალია, ლაპუტელები ჩინებულად ფლობდნენ ორ ზემოთ ხსენებულ მეცნიერებას, რომლებსაც მე დიდი პატივისცემით ვეპყრობი, მაგრამ, ამავე დროს, იმდენად არიან განცალკევებულნი და საკუთარ ფიქრებში ჩაძირულნი, რომ მათზე უარეს თანამოსაუბრეებს ჩემს სიცოცხლეში არ შევხვედრივარ. მთელი იმ ორი თვის მანძილზე, რაც იქ დავყავი, მე ვსაუბრობდი მხოლოდ ქალებთან, ვაჭრებთან, მატყაპუნებლებთან და სასახლის პაეებთან. სწორედ ამით დავიმსახურე განათლებული ლაპუტელების ზიზღი. უნდა შევნიშნო, რომ ერთადერთი ხალხი, რომლებსაც განააც შემიძლო ამა თუ იმ საკითხზე ჭკვიანური პასუხის მიღება, გახლდათ ზემოთ

ხსენებული პირები, თუმცა ისინი საზოგადოებრივი კიბის ქვედა საფეხურზე იდგნენ.

დაძაბული მუშაობის მეოხებით საკმაოდ კარგად ავითვისე მათი ენა, მაგრამ მაინც საშინლად მომეჩვენა იმ კუნძულზე ყოფნა, სადაც თითქმის უყურადღებოდ ვიყავი მიტოვებული და გადავწყვიტე, მაშინვე გავცლოდი იქაურობას, როგორც კი ხელსაყრელი მომენტი დადგებოდა.

სასახლეში ცხოვრობდა ერთი წარჩინებული, მეფის უახლოესი ნათესავი, რომელსაც მხოლოდ ამ ნათესაობის გამო ეპყრობოდნენ პატოვისცემით, თორემ მოხელეებისა და კარისკაცების თვალში ყველაზე ბრიყვ და გაუნათლებელ ხეპრედ იყო მიჩნეული. მას ბევრი მნიშვნელოვანი სამსახური გაეწია თავისი ქვეყნისათვის, დაჯილდოებული გახლდათ განსაკუთრებული ნიჭითა და უნარით, შეძკობილი იყო პირდაპირობითა და პატიოსნებითაც, მაგრამ, საუბედუროდ, სძენა არ უვარგოდა და, როგორც მისი ავისმნდომელები ამტკიცებდნენ, ხშირად ძალზე ცუდადაც ითვლიდა ტაქტს. არც მათემატიკაში ჰქონდა უკეთესი მდგომარეობა; მასწავლებლებს თავის დროზე დიდი შრომა და მონდომება დასჭირდათ იმისათვის, რომ თუნდაც უმარტივესი მათემატიკური ამოცანები ამოეხსნეინებინათ. აი, სწორედ ეს წარჩინებული მეპყრობოდა ყურადღებითა და პატოვისცემით; ხშირად მნახულობდა, სურვილს გამოთქვამდა, მიეღო ცნობები ევროპის შესახებ, მის კანონებსა და ზნე-ჩვეულებებზე, ჩემ მიერ შემოვლილი ქვეყნების სწავლა-განათლებასა და ადათ-წესებზე. მუდამეამ დიდი ყურადღებით მისძენდა და ყოველ ჩემს ნათქვამზე უაღრესად ჭკვიანურ შენიშვნებს იძლეოდა. მას ორი მატყაპუნებელი ჰყავდა, მაგრამ მათ მხოლოდ სასახლეში მიღების ან რამე სხვა ოფიციალური წვეულების დროს იახლებდა თან, ჩემთან მარტო რომ დარჩებოდა, უბრძანებდა და ორივეს დაითხოვდა, რადგანაც ასეთ დროს იგი მათ საჭიროებას სულაც არ გრძნობდა.

სწორედ ამ ცნობილ პიროვნებას ვთხოვე, მის უდიდებულესობასთან შუამდგომლობა გაეწია, რათა ჩემთვის კუნძულიდან წასვლის უფლება მოეცათ. მაშინვე შემისრულა თხოვნა, მაგრამ, როგორც თვითონ განაცხადა, მეტად უხალისოდ და სინანულით ძალზე ხელსაყრელი პირობები შემომთავაზა მან და მთხოვა, კუნძულზე დავრჩენილიყავი, მაგრამ, ცხადია, ამის გაკეთება არ ვისურვე და ჩემს კეთილისმყოფელს თავაზიანი უარი მოვახსენე.

16 თებერვალს მის უდიდებულესობასა და კარისკაცებს დაუმშვიდობე. მეფემ ორასი ინგლისური გირვანქა სტერლინგის ღირებულების საჩუქარი გადმომცა; ჩემმა მფარველმა, მეფის ნათესაემაც, იმდენივე მიბოძა და, ამავე დროს, დედაქალაქ ლადაგოში თავის ერთ უახლოეს მეგობართან სარუკომენდაციო წერილიც გამატანა. კუნძული მაშინ დედაქალაქიდან ორასი მილის მოშორებით ერთი მთის თავზე იყო გაჩერებული. მე ქვედა გალერეიდან იმავე საშუალებით ჩამომსვეს, რითაც ორი თვის წინ ზღვის პირიდან ამომიყვანეს.

კონტინენტს, რომელიც მფრინავი კუნძულის თვითმპყრობლის სამფლობელოს წარმოადგენს, ბალნიბარბი ეწოდება. მის დედაქალაქს კი, როგორც ზემოთ განვაცხადე, ლაგადოს ეძახიან. მე ერთგვარი შვება ვიგრძენი, როცა ფეხი მყარ მიწაზე დავადგი. ქალაქამდე ყოველგვარი გართულების გარეშე მივალწიე. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ადგილობრივი მკვიდრებით მეცვა და მერე, მათ ენაზეც საკმაოდ კარგად ვლაპარაკობდი. არც იმ პიროვნების ნახვა გამჭირვებია, ვისთანაც ჩემი სარუკომენდაციო წერილი იყო გამოგზავნილი. მე გადავეცი კუნძულელი მეგობრის ბარათი და მანაც დიდი პატივით მიმიღო. ამ წარჩინებულმა, რომელსაც სახელად მუნოდი ერქვა, საკუთარ სახლში დამაბინა. მეც, დედაქალაქში ყოფნის დროს, მასთან დავრჩი, ვისარგებლე რა მასპინძლის დიდი სტუმართმოყვარეობით.

ჩემი ჩამოსვლის მეორე დღით მუნოდმა ეტლში ჩამსვა და ქალაქის დასათვალიერებლად წამიყვანა. სიდიდით იგი ლონდონის ნახევარი იქნება. სახლები მეტად უცნაურადაა აშენებული და, ამავე დროს, ბევრი მათგანი ნახევრად დანგრეულიცაა. მცხოვრებლები მიმოდიოდნენ ძალზე სწრაფად, ჰქონდათ რაღაც ველური გამოხედვა და კონკეტში იყვნენ ჩაცმულნი. ჩვენ გავედით ქალაქის ერთ-ერთი ჭიშკრიდან, სამი მილი გავიარეთ და ერთ-ერთ სოფელში შევედით. იქ დავინახე მიწის მუშები, რომლებიც სხვადასხვაგვარი ხელსაწყოებით რაღაცას აკეთებდნენ, მაგრამ სახელდობრ რას, ვერ გავიგე. მინდორზე არ ჩანდა ბალახის ან პურეული ნათესის ნატამალიც კი, თუმცა, ეტყობოდა, ნიადაგი უაღრესად ნოყიერი უნდა ყოფილიყო. ამ უცნაურმა სანახაობამ, როგორც ქალაქში, ისე სოფელში, მართალი მოგახსენოთ, ძალიან გამაკვირვა. ბოლოს, ვეღარ მოვითმინე და ჩემს თანამგზავრს ვთხოვე, განემარტა, რა იყო იმის მიზეზი, რომ ამდენ საქმიან სახესა და მარად მოფუსფუსე ხალხს ვხვდებოდი ქუჩებსა და მინდვრებზე,

მაგრამ ვერ ვამჩნევდი, რომ მათ რაიმე სასარგებლო საქმე გაეკეთებინათ, პირიქით, არსად მენახა ასე ცუდად დამუშავებული ნიადაგი, ასე უთავბოლოდ აშენებული და გაპარტახებამდე მიყვანილი სახლები, ანდა მცხოვრებლები, რომელთა გარეგნობა და ჩაცმულობა ასე აშკარად მეტყველებდეს მათ გაჭირვებასა და სიღარიბეზე.

ლორდი მუნოდი მაღალი რანგის პერსონა იყო და რამდენიმე წლის განმავლობაში მართავდა ლაგადოს. მაგრამ მინისტრებმა შარი მოსდეს და მოხსნილი იქნა, როგორც უუნარო და დაკავებული თანამდებობისათვის შეუფერებელი. მიუხედავად ამისა, მეფე მაინც კეთილგანწყობილი იყო მის მიმართ და ერთგვარი პატივისცემით ეპყრობოდა, როგორც საიმედო, მაგრამ დახშული გონების ადამიანს.

როცა ასე გულწრფელად გამოეთქვი ჩემი შეხედულება იქაურ მცხოვრებლებზე, ლორდმა მუნოდიმ მხოლოდ ის მიპასუხა, რომ მე არცთუ ისე დიდი ხანი ვიყავი მათ ქვეყანაში და, ამგვარად, მათი აკარგიანობის შესახებ ლაპარაკი ჩემთვის ჯერჯერობით მეტი სმეტად ნაადრევი იყო; და რომ სხვადასხვა ხალხს სხვადასხვაგვარი ზნე-ჩვეულება და თავისებურება გააჩნია. ამის მეტი არაფერი უთქვამს, მაგრამ, როგორც კი სასახლეში დაბრუნდით, მკითხა, როგორ მომწონდა მისი სახლი, რა ნაკლი და ხარვეზი შევამჩნიე, ან რა შეხედულების ვიყავი მისი მსახურების ტანისამოსსა და გარეგნობაზე. მას თამამად შეეძლო ეს კითხვები დაესვა, რადგანაც იქ ყველაფერი წესრიგში იყო და პატრონის დახვეწილ გემოვნებაზე მეტყველებდა. მე ვუპასუხე, რომ თავისმა სიბრძნემ, გონებაგახსნილობამ, ღირსებამ და სიმდიდრემ იხსნა იგი იმ ხარვეზებისგან, რაც სხვებს უდარდელობისა და სიღარიბის შედეგად ახასიათებთ. მან განმიცხადა, რომ, თუ მოვისურვებდი, წამიყვანდა აგარაკზე, რომელიც ქალაქიდან ოცი მილის მოშორებით საკუთარ მამულში ჰქონდა გაშენებული და სადაც ჩვენ მეტი თავისუფალი დრო გვექნებოდა ამგვარი საუბრებისთვის. მის უდიდებულესობას მივუგე, თქვენს სრულ განკარგულებაში ვარ-მეთქი და, ამგვარად, მეორე დღით გავემგზავრეთ.

გზადაგზა ლორდმა მირჩია ყურადღება მიმექცია მიწის დამუშავების მრავალგვარ მეთოდზე, რომლებსაც იქაური გლეხები იყენებენ; მაგრამ, ისინი ჩემთვის სრულიად უცნობი და გაუგებარი აღმოჩნდა, რადგანაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო-ოროლა ადგილს, ვერსად შევნიშნე ხორბლის ან ბალახის ერთი ღეროც კი; თუმცა,

სამი საათის მგზავრობის შემდეგ სურათი საესეებით შეიცვალა. ჩვენ წინაშე უძშვენიერესი ქვეყანა გადაიშალა: ფერმერთა კობტად ნაგები სახლები, შემოღობილი მიწები — ვენახებით, პურის ყანებითა და მდელოებით არ მახსოვს, სადმე უკეთესი სურათი მენახოს. მისმა უდიდებულესობამ შენიშნა, რომ მე სახე გამინათდა. ღრმად ამოიოხრა და მითხრა, რომ იქ იწყებოდა მისი მამული და ასე გაგრძელდებოდა, ვიდრე აგარაკამდე მივიდოდით, რომ თანამემამულეებს სძულდათ იგი და სასაცილოდაც იგდებდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ასე ცუდად ჰქონდა მოწყობილი თავისი მეურნეობა და, ამგვარად, მთელ სამეფოს ცუდ მაგალითს უჩვენებდა. თუმცა, ისიც ინდა ითქვას, რომ მის მაგალითს თითო-ოროლა მასავით მოხუცი, სუსტი და ჯიუტი მეურნე მისდევდა მხოლოდ.

ბოლოს ჩავედით. მისი სახლი წარმოადგენდა უძშვენიერეს შენობას, აგებულს უძველესი არქიტექტურის საუკეთესო ტრადიციების მიხედვით. შადრვენები, ბალები, ხეფნები, სასეირნო ბილიკები და ტევერები ჭკვიანურად და დიდი გემოვნებით იყო მოწყობილი. მე სათანადო ქება მიუძღვენი ყველაფერს, რაც იქ ვიხილე, მაგრამ მისმა უდიდებულესობამ თითქოს არც კი შეიმჩნია ეს. ვახშობისას, როცა მარტონი დაურჩით, დარდიანად მითხრა, რომ შესაძლოა როგორც ქალაქში მდებარე სასახლის, ისევე ამ სახლის დანგრევა და თანამედროვე სტილის მიხედვით გადაკეთება მომიხდესო; აგრეთვე მომიწევს ხეხილისა და სხვა სასარგებლო მცენარეების ამოძირკვა და მათ ნაცვლად ახლანდელი მოთხოვნილების შესაბამისი მცენარეების ნერგების ჩაყრა; ამავე დროს ყველა აქაურ მცხოვრებს წინადადება უნდა მივცე ჩემს მაგალითს მისდიონო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამპარტავნობაში, ორიგინალურობაში, უმეცრებაში, თავქარიანობასა და ჭირვეულობაში დაადანაშაულებდნენ, რაც კიდევ უფრო დაამძიმებდა მისადმი მეფის ისედაც დაძაბულ დამოკიდებულებას. მან მითხრა, რომ ჩემს აღტაცებას საგრძნობლად შეეკვეცებოდა ფრთები, როცა ზოგიერთ წვრილმანს მიაშობდა, რომელთა შესახებ მე, საფიქრებელია, არაფერი მსმენია სასახლეში ყოფნისას, რადგანაც იქ ხალხი გართული იყო ამაღლებული აზროვნებით და დრო აღარავის რჩებოდა იმის გასარკვევად, თუ რა ხდებოდა ძირს, მიწაზე.

აი, ძირითადად, რა მიაშბო: — ორმოციოდე წლის წინათ დედაქალაქის რამდენიმე ცნობილი პიროვნება ავიდა ლაპუტაზე, ზოგი

საქმეების გამო, ზოგიც დროის გასატარებლად. ხუთი თვე გაატარეს იქ და უკან ჩამობრუნდნენ. ამ ადამიანებმა კუნძულიდან ჩამოიტანეს მათემატიკის ზერულე ცოდნა და ქარაფშუტობის დიდი გამოცდილება, რითაც ესოდენ მდიდარია ჰაეროვანი სამეფო. ამ პიროვნებებმა ჩამოსვლისთანავე ზიზღის თვალით დაუწყეს ყურება ყველაფერს, რაც კი კონტინენტზე ხდებოდა და დაიწყეს გვემების შედგენა ხელოვნების, მეცნიერების, ენის და წარმოების დარგების ახალ ყაიდაზე გადასაყვანად. ბოლოს და ბოლოს, მოახერხეს მეფისაგან მიეღოთ ლაგადოში პროჯექტიორების<sup>1</sup> აკადემიის დაარსების პატენტი. ამან თურმე ისე გაიტაცა ხალხი, რომ ძნელად თუ შევხვდებით თვით უმნიშვნელო ქალაქსაც კი ამგვარი აკადემიის გარეშე. იქ პროფესორები ამუშავენ ახალ მეთოდებს, როგორც სოფლის მეურნეობის, ისევე მრეწველობისათვის; იგონებენ ახალ იარაღებსა და ხელსაწყოებს წარმოების ყველა დარგისათვის და ამტკიცებენ, რომ, როცა ისინი გამოყენებული იქნება, ერთი კაცი ათის მაგფრობას გასწევს; სასახლე შეიძლება ერთ კვირაში აშენდეს და ისიც იმნაირი მასალისაგან, რომელიც არასოდეს გაფუჭდება და არაფითარ რემონტს არ საჭიროებს; რომელი ხილიც უნდა აიღოთ, დამწიფდება წელიწადის იმ დროში, როცა მოესურვებათ და ამავე დროს, ასჯერ მეტ მოსავალს მოგვცემს, ვიდრე ამჟამად და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენ სიკეთეს უქადიან ისინი კაცობრიობას. ამ ჩინებულ პროჯექტებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს: რატომღაც დღემდე არც ერთი მათგანი არ განხორციელებულა. მთელი ხალხი ამ ბედნიერი დროის მოლოდინშია და ამასობაში მიწები დაუმუშავებელი რჩება, სახლები ინგრევა და პარტახდება, ხალხი კი შიმშილობს, ძონძებში დაიარება და უიმედობასა და სასოწარკვეთას მისცემია; მაგრამ, ეს მდგომარეობა პროჯექტიორებს გულს არ უცრუებს. მათთვის სულერთია, იმედიცა და სასოწარკვეთაც, პირიქით, მომეტებული შთაგონებით შრომობენ, რათა განახორციელონ თავიანთი პროჯექტები.

რაც შეეხება თვითონ მას, იგი ძველებური ხერხებითა და მეთოდებით დაკმაყოფილდა, დარჩა თავისი წინაპრების მიერ აგებულ სახლში და მეურნეობის ყოველ დარგს, განახლების გარეშე, მამა-პაპათაგან მომდინარე მეთოდებით აწარმოებს. მის გარდა წარჩინებულთა და

<sup>1</sup>სიტყვების თამაში, Project — პროექტი, დაპროექტება (ინგლ.).

თავად-აზნაურთა შორის კიდევ რამდენიმე პირმა არჩია ველო ძველებური, ნაცადი გზით, მაგრამ აკადემიის პროექტების მიმდევრები ზიზღის თვალთ უცქერიან ამათ და თვლიან ბრიყვებად და ხელოვნებისა და ხალხის კეთილდღეობის დაუძინებელ მტრებად, — რომლებმაც ვითომდა პირადი სიკეთე და კეთილდღეობა არჩიეს საზოგადოების წინსვლას და აყვავებას.

მერე მისმა აღმატებულებამ დასძინა, რომ არ სურდა უფრო დაწვრილებით მოეთხრო ამ ამბავზე, ვინაიდან არავითარი სურვილი არ ჰქონდა წაერთმია ჩემთვის ის უდიდესი სიამოვნება, რასაც აკადემიის უშუალო დათვლიერებით უსათუოდ მივიღებდი და სადაც, მისი აზრით, აუცილებლად უნდა წავყევანე, ოღონდ მთხოვა, მანამდე ყურადღება არ მიმექცია ნანგრევისათვის, რომელიც მოჩანდა მთის ფერდობზე სამი მილის მოშორებით. ამ ნანგრევის შესახებ მისმა აღმატებულებამ შემდეგი მიაძმო: მას სახლიდან ნახევარი მილის მანძილზე მშვენიერი წისქვილი ჰქონდა თურმე, წისქვილს წყალუხვი მდინარის წყალი ატრიალებდა. იგი აკმაყოფილებდა, როგორც მისი ოჯახის, ისე მისი მრავალრიცხოვანი მოჯამაგირეების მოთხოვნილებას. შვიდი წლის წინათ მასთან მივიდა პროექტიორების ჯგუფი აკადემიიდან და წინადადება მისცა, დაენგრია წყლის წისქვილი და სამაგიეროდ აეგო ახალი, სწორედ იმ მთის ფერდობზე. მწვერვალზე განზრახული იყო გაეყვანათ გრძელი არხი, როგორც წყალსაცავი. წყალს აიყვანდნენ ტუმბოებისა და სხვა მოწყობილობის დახმარებით. ქარი და სუფთა ჰაერი ისეთ სიმაღლეზე წყალს ააღელვებდა და მის ღინებას გააძლიერებდა, ხოლო რაკი მწვერვლიდან ძირს დაშვებულ წყალს მეტი ძალა ექნებოდა, უწინდელთან შედარებით მისი ნახევარი მოცულობაც საკმარისი იქნებოდა წისქვილის ბორბლების დასატრიალებლად და გაცილებით უკეთაც იმუშავებდა, ვიდრე მაშინ, როდესაც დაბლობზე იდგა და მდორედ მოძავალი მდინარის წყალი ატრიალებდა. საუბედუროდ, იმ ხანებში სასახლესთან ჩემი მასპინძლის მდგომარეობა გაუარესებული იყო, მეგობრებმაც ურჩიეს და იბულებული შეიქნა დათმობაზე წასულიყო — თანხმობა მიეცა. ასმა კაცმა იმუშავა მთელი ორი წლის განმავლობაში, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს და საქმეც ჩაიშალა. პროექტიორებმა თავი გაანებეს წისქვილის შენებას და საქმის ჩაშლა მთლიანად მას გადააბრალეს. იმ დროიდან მოყოლებული სასაცილოდ იგდებდნენ მის ბრწყინვალებას,



ამასთან, სხვებსაც აქეზებდნენ, ჩაეტარებინათ მსგავსი ექსპერიმენტი საქმის წარმატებით დაგვირგვინების მსგავსი პერსპექტივით, ანუ მარცხით დასრულების გარანტიით.

რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქში დაგბრუნდით. მისმა ბრწყინვალეობამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ აკადემიაში ცუდი თვალთ უყურებდნენ და მიზანშეწონილად არ ჩათვალა, წამოსულიყო ჩემთან ერთად, მაგრამ, სამაგიეროდ, გამომაყოლა ერთი მეგობარი, რომელსაც ჩემი თავი გააცნო, როგორც პროფექტების დიდი მოყვარული, ცნობისმოყვარე და ძალემრწმენი. ამაში, ნაწილობრივ, მართალი იყო, აკი სიყმაწვილეში პროფექტების შედგენის დიდი მოტრფიალე გახლდით.

## თავი მესამე

**ავტორს ნებას რთავენ დაათვალიეროს ლაგადოს უდიდესი აკადემია. აკადემიის ვრცელი აღწერა. მეცნიერების დარგები, რომლებშიც იქაური პროფესორები მოღვაწეობენ.**

აკადემია ერთი მთლიანი შენობა როდია, იგი შედგება მიტოვებული შენობების ორი რიგისაგან, რომლებიც ქუჩის ორივე მხარეზეა განლაგებული და სწორედ ამ მიზნით შეიძინეს და გადააკეთეს.

პრეზიდენტმა პატოვით მიმიღო და მეც აკადემიაში რამდენიმე დღე დავყავი. ყოველ ოთახში ერთი ან ორი პროფექტიორი მუშაობს. თუ არ ვცდები, ხუთას ოთახში მაინც შევედი. თანამშრომელი, რომელიც პირველი ვნახე, საშინლად გამხდარი კაცი იყო. ხელები და სახე გამურული ჰქონდა, თმა-წვერი აბურდული და ალაგ-ალაგ შეტრუსული. დაკონკილი და დაკრებული ტანისამოსი ეცვა. ის თანამშრომელი უკვე რვა წელია მუშაობდა პრობლემაზე — კიტრისგან მიეღო მზის სხივები, ჰერმეტიკულად დახურულ სინჯარაში მოეყარა მათთვის თავი და ცოვი და წვიმიანი ზაფხულის შემთხვევაში მისი საშუალებით ჰაერი გაეთბო. იგი ღრმად და დარწმუნებული, როგორც თვითონ განმიცხადა, რომ კიდევ რვა წლის მუშაობის შემდეგ უსათუოდ შეძლებს გუბერნატორის ბაღები ხელმისაწვდომი, იაფი მზის სხივებით მოამარაგოს; მარტო იმას უჩივის, რომ კიტრის მარაგი ელვა და წელი-

წადის ამ დროს იგი საერთოდაც ძვირია. ამიტომაც მთხოვა, რაზე მეჩუქებინა მისი გამომგონებლური სამუშაოების ხელის შესაწყობად. მე მას ცოტაოდენი თანხა ვაჩუქე. როგორც ჩანდა, ჩემი მასპინძელი იცნობდა ამ მეცნიერების ჩვეულებას და ამიტომაც ფული გამომატანა მათ გასაკითხად. იქ თურმე მნახველი ისე ვერ მივა, რომ მეცნიერებმა მის წინაშე არ იმათხოვრონ.

მეორე ოთახში შევდგი თუ არა ფეხი, გარეთ გამოვარდნა მომინდა, იმიტომ, რომ კინალამ დამახრჩო იქ დაგუბებულმა მყრალმა სუნმა. მაგრამ ჩემმა გამცილებელმა შემაკავა და ჩამჩურჩულა, რომ აუცილებლად უნდა შევსულიყავით, თორემ იქ მომუშავე პატოცემული მეცნიერი შეურაცხყოფილად იგრძნობდა თავს. ამგვარად, ცხვირზე ხელის მოჭერაც კი ვეღარ გავბედე. ამ ოთახში მომუშავე მეცნიერი აკადემიის ერთ-ერთი უხუცესი წევრი იყო. სახესა და თმა-წვერზე მომწვანო ფერი დასდებოდა, ხოლო ხელები და ტანსაცემელი სიბინძურეებით ჰქონდა მოსვრილი. როდესაც ჩემი თავი წარუდგინეს, მხურვალედ გადამეხვია (რისგანაც კარგი იქნებოდა თავი შეეკავებინა). აღმოჩნდა, რომ აკადემიაში მოსვლის დღიდან მუშაობდა ადამიანის ექსკრემენტების ისევ იმ საკვებ ნივთიერებებად გარდაქმნაზე, რისგანაც ისინი წარმოიქმნენ. ამ სამუშაოების ჩასატარებლად იგი ქალაქიდან ყოველ კვირას ბრისტოლური კასრის ოდენა კონტეინერს იღებდა, რომელიც ადამიანის ექსკრემენტებით იყო სავსე.

იქვე ვნახე მეორე თანამშრომელი, რომელიც მუშაობდა ყინულის ისე გადაღვლებაზე, რომ მისგან თოფის წამალი მიეღო. მან აგრეთვე მიჩვენა გამოსაცემად გამზადებული უზარმაზარი გამოკვლევა ცეცხლის ჭიმვადობაზე.

ვნახეთ ერთი მახვილგონიერი არქიტექტორიც, რომელსაც ეკუთვნოდა სახლების მშენებლობის ახალი მეთოდის გამოგონება, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მშენებლობა დაწყდეს სახურავით და დაემთავრებინათ საძირკვლით. თავისი მეთოდის გასამართლებლად მან მოიყვანა ორი უჭკვიანესი მწერის — ფუტკრისა და ობობას — მაგალითი.

იქ იყო ერთი ბრმად შობილი კაციც, რომელსაც რამდენიმე მასავით ბრმა შევირდი ჰყავდა. ისინი საღებავებს აზაუბდნენ მხატვრებისათვის. პროფესორი ასწავლიდა თავის შევირდებს გაერჩიათ ფერები საღებავების სუნითა და ხელის შეხებით. მე, ალბათ, ჩემდა სამწუ-

ხაროდ, ცუდ დროს მივედი, რადგანაც შუგირდები, როგორც ჩანდა, ჯერ კიდევ არ იყვნენ დაოსტატებულნი და თვითონ პროფესორსაც ხშირად ერეოდა ფერები. მიუხედავად ამისა, მას, როგორც დიდ სპეციალისტს, თანამომძეები უაღრესი პატივისცემით ექცევიან.

მეორე ოთახში ფრიად მასიამოვნა ერთმა პროფექტიორმა, რომელსაც გამოეგონა გუთნისდელის, გუთნისა და მუშა საქონლის გარეშე მიწის მოხვნის უებარი საშუალება; აი, ეს მეთოდიც: ერთ აკრ მიწაზე ერთმანეთისაგან ექვსი ღუიმის დაშორებით და რვა ღუიმის სიღრმეზე ჩაფლავთ რკოს, ხურმას, წაბლს და სხვა იმ სახის ხილეულს, რომელთა მიმართაც ღორი მსუნაგობას იჩენს; შემდეგ ექვსას ღორს მიუშვებთ იმ ნაკვეთზე და აი, სულ რამდენიმე დღეში საჭმლის ძებნის მიზნით ისინი დინგით გადათხრიან ნიადაგს და მას დასათესად გამოსადეგარს გახდიან. ამავე დროს, მიწასაც თავიანთი ნაკელით გაანოყიერებენ. მართალია, როგორც გამოცდილებამ უჩვენა, ამის გაკეთება საკმაოდ ძვირი ჯდება და დიდ გაწამაწიასაც მოითხოვს და, ამავე დროს, ასეთ ნათესში მოსაგალი ან ძალიან ცოტა მოდის, ან საერთოდ არ მოდის, — მაგრამ დარწმუნებული არიან, რომ ეს გამოგონება ოდესმე სოფლის მეურნეობას უხვ შემოსავალს მისცემს.

სხვა ოთახში გავედი. იქ კედლები და ჭერი სულ ერთიანად ობობას ქსელით იყო მოფენილი, მხოლოდ ერთი პატარა გასასვლელი იყო დატოვებული, რათა პროფესორს გასვლა-გამოსვლა შესძლებოდა. მე რომ შევედი, მან ერთი საშინლად დამიყვირა, ქსელები არ დააზიანოო. იგი წუხდა კაცობრიობის მიერ დაშვებულ იმ საბედისწერო შეცდომაზე, რომ ის იყენებს აბრეშუმის ჭიას, და ეს მაშინ, როდესაც მრავლად გვყავს ისეთი შინაური მწერი, რომლის ნამუშევარი აბრეშუმის ჭიის ნახელავს ათასწილად სჯობს, რადგანაც ისინი, აბრეშუმის ჭიისაგან განსხვავებით, ფეიქრებოვით ქსოვენ კიდევც. ეს სწავლული იმედს გამოთქვამდა, რომ ობობას ქსელით აბრეშუმის შეცვლის გზით ჩვენ ამ უკანასკნელის შედეგის გაწამაწიისაგან გაუთავისუფლდებით. ამაში მეც ღრმად დავრწმუნდი, როდესაც პატივცემულმა მეცნიერმა მიჩვენა ნაირფერადი ბუხები, რომლებსაც ის ობობებს აჭმევდა; და თანაც ირწმუნებოდა, რომ ქსელი მათი საშუალებით შეიღებებოდა; და, რადგანაც, მას ყველა ფერის ბუხი ჰყავდა, იმედი ჰქონდა, უახლოეს ხანში დაამზადებდა ყოველი მომხმარებლის გემოვნების შესაფერის ქსოვილს, ოღონდაც მანამდე მოსანახი იყო ბუხების საკვები — ხის

წებო, ზეთი, თუ რაიმე სხვა წებოვანი ნივთიერება, რაც ქსელს სიმაგრესა და გამძლეობას მისცემდა.

იქვე იყო ერთი ასტრონომი, რომელსაც განზრახული ჰქონდა, ქალაქის საბჭოს შენობის უზარმაზარ ფლიუგერზე<sup>1</sup> გაეკეთებინა მზის საათი, ოღონდ მანამდე ზუსტად დაედგინა მზისა და დედამიწის დღიურსა და წლიურ მოძრაობებს შორის შეფარდება, რაც ქარის ქროლის მიმართულებასთან იქნებოდა შეწყობილი და შეთანხმებული.

კიდევ მრავალ ოთახში ვიყავი, მაგრამ მოკლედ მოეჭრი და მკითხველს იქ დანახულ უცნაურობათა აღწერით არ შევაწუხებ.

ამგვარად, დაუსრულე აკადემიის ერთი ნაწილის დათვალიერება. მეორე ნაწილი განკუთვნილი იყო იმათთვის, რომლებიც ადამიანის აზროვნების განვითარებაზე მუშაობდნენ; მაგრამ, ვიდრე მასზე რაიმეს ვიტყოდე, საჭიროდ მიმაჩნია გაგაცნოთ ერთი სახელგანთქმული პიროვნება, რომელსაც თვით იმ უდიდეს მეცნიერთა შორისაც „მსოფლიო ხელოვანს“ ეძახიან. მისივე განცხადებით, იგი უკვე ოცდაათი წელია მუშაობს ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესების პრობლემაზე; მას გამოყოფილი აქვს ორი ოთახი, რომელიც სავსეა ათასგვარი საკვირველი ნივთით; მისი მეთვალყურეობისა და ზედამხედველობის ქვეშ მუშაობს ორმოცდაათამდე ადამიანი. ერთნი ასქელებენ ჰაერს და აქცევენ მას მშრალ და მყარ ნივთიერებად, გვარჯილის მოცილებისა და წყლის მინარევის გაცრის გზით; მეორენი მარმარილოს არბილებენ ბალიშისა და ქინძისთავეების დასაბნევი პატარა ბალიშებისთვის; სხვები ცდილობენ ისე გაუმაგრონ ცხენს ჩლიქი, რომ სიარულის დროს არ გაცვდეს. თვითონ ხელოვანი მაშინ ორ უდიდეს გამოგონებაზე მუშაობდა: უპირველესად, როგორ დაეთესა ყანებში ბზე, რაც წარმოადგენს თესლბრუნვის პრობლემის ნამდვილ არსს, როგორც მისმა გამოცდილებამ უჩვენა. რაკი სათანადო მომზადება არ გამაჩნია, ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა განვაცხადო, რომ ამ გამოგონებისა ვერაფერი გაუიგე. მეორე გამოგონება მიზნად ისახავდა ფისის, მინერალებისა და ბოსტნეულის განსაკუთრებული შენარევის წასმის საშუალებით ორი ნორჩი კრავის კანზე მატყლის ზრდის შეჩერებას; პროფესორს იმედი

<sup>1</sup> ფლიუგერი — ხელსაწყო, რომელიც გემის ანძაზე იდგმება ქარის მიმართულების გამოსარკვევად.

ჰქონდა, რომ სულ მცირე ხანში მთელ სამეფოში გავრცელდებოდა შიშველი ცხვრები.

ჩვენ გადაუჭვრით ქუჩა და იმ მხარეზე გადავუდით, სადაც, როგორც მოგახსენეთ, აკადემიის მეორე ნაწილი მდებარეობდა და სადაც სპეკულატიური მეცნიერებების პროფექტიორები მუშაობდნენ.

პირველი პროფესორი, რომელიც მე იქ დავინახე, ერთ უზარმაზარ ოთახში იმყოფებოდა და გარშემო ორმოცი მოწაფე ჯვია. ჯერ, როგორც წესია, მივესალმეთ ერთიმეორეს და, როდესაც მან შენიშნა, როგორ გოცებით შევცქეროდი ჩარჩოს, რომელსაც ოთახის უდიდესი ნაწილი ეჭირა, მითხრა, ხომ არ გიკვირთ, როცა ხედავთ, რომ ჩვენ განყენებულ მეცნიერებათა განვითარებას პრაქტიკული და მექანიკური ოპერაციების საშუალებით ვცდილობთო. მან სრული თავდაჯერებულობით განაცხადა, რომ მალე მთელი კაცობრიობა გაიგებს მათი გამოგონების დიდ მნიშვნელობას, თანაც საკუთარი თავის ქებას მოჰყვა და თქვა, ასეთი კეთილშობილური და ამადლებული აზრი ჯერ არ დაჰბადებია არც ერთ ადამიანსო. ყველასათვის ცნობილია, რამდენად ძნელია დაკანონებული მეთოდით ხელოვნებისა და მეცნიერების დაუფლება. ახლა კი თვით ყველაზე უმეცარ ადამიანსაც უმცირესი ხარჯითა და უმნიშვნელო ფიზიკური ენერჯის დახარჯვით შეუძლია დაწეროს წიგნები ფილოსოფიაში, პოეზიაში, პოლიტიკაში, სამართალში, მათემატიკასა და ღვითსმეტყველებაში, ყოველგვარი გენიალურობისა და განათლების გარეშე.

მერე მიმიყვანა ჩარჩოსთან, რომლის ორივე მხარეზეც მოწაფეები ჩამწკრივებულიყვნენ. ის ოცი კვადრატული ფუტი იქნებოდა და ოთახის შუაგულში იყო მოთავსებული. ზედაპირზე მიმაგრებული ჰქონდა ფიცრის ნაჭრები, რომელთაგანაც თითოეული კამათლისხელა თუ იყო, ზოგიერთი კი ცოტა დიდი. ისინი უწვრილესი მავთულით იყვნენ ერთმანეთზე გადაბმულნი. ფიცრის ნაჭრებს ყოველი მხრიდან ქალაღდი ჰქონდა დაწებებული. ამ ქალაღდზე დაწერილი იყო მათი ენის ყოველი სიტყვა, ყოველ კილოში, დროში, ბრუნვაში და ასე შემდეგ, მხოლოდ ყოველგვარი წესრიგისა და თანამიმდევრობის გარეშე. პროფესორმა მთხოვა დაკვირვებოდი მათ მანქანას, რომელიც ის-ის იყო, უნდა აემუშაებინათ. მისი ბრძანებით მოწაფეებმა ხელი ჩაავლეს რკინის სახელურებს, რომელთა რიცხვი, ჩარჩოს კიდებზე, ორმოცამდე აღწევდა; მათი ერთდროული მოტრიალე-

ბით სიტყვების განლაგება მთლიანად იცვლებოდა. მერე პროფესორმა ოცდათექვსმეტ ახალგაზრდა მოწაფეს უბრძანა ნელ-ნელა ამოეკითხათ სტრიქონები, როდესაც ისინი ჩარჩოზე გამოჩნდებოდა, როგორც კი ორი-სამი ისეთი სიტყვა მოიყრიდა თავს ერთად, რომელიც წინადადების ნაწილად გამოდგებოდა, უკარნახებდნენ მდონებად გამოყოფილ დანარჩენ ოთხ მოწაფეს და ისინიც იწერდნენ. ეს პროცედურა სამ-ოთხჯერ იქნა განმეორებული. მანქანა ისე იყო მოწყობილი, რომ სახელურის ყოველ გადაბრუნებაზე სიტყვების საუსებით განსხვავებული ახალ-ახალი მწკრივი ჩნდებოდა, რადგანაც ფიცრის ნაჭრები ტრიალის საშუალებით ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა ხოლმე.

სტუდენტები დღეში ექვს საათს ამ საქმიანობაში ატარებდნენ. პროფესორმა რამდენიმე ტომი მიჩვენა, რომლებშიც თავმოყრილი იყო დამტკრეული წინადადებების ნაწილები. მას განზრახული ჰქონდა ეს უმდიდრესი მასალა წესრიგში მოეყვანა და კაცობრიობისათვის ყოველგვარი მეცნიერებისა და ხელოვნების სრული მიმოხილვა მიეწოდებინა, რაც კიდევ უფრო მთლიანი და სრულყოფილი შეიძლებოდა გამხდარიყო, თუ საზოგადოება გამოყოფდა სათანადო თანხას ასეთი ხუთასი ჩარჩოს გასაკეთებლად და ასამუშაველად და დააკისრებდა ლაბორატორიების ხელმძღვანელებს, გაეერთიანებინათ მათ მიერ დამოუკიდებლად მიღებული ფრაზების კოლექციები.

პროფესორი მარწმუნებდა, რომ ეს გამოგონება მას ბავშვობიდანვე უტრიალებდა თავში; რომ მან მთელი მათი ენის სიტყვების მარაგი მოათავსა თავის ჩარჩოზე, და, ამავე დროს, გამოიანგარიშა და გაითვალისწინა ის თანაფარდობა, რაც ჩვეულებრივ წიგნებში ნაწილაკებს, ზმნებს, არსებით სახელებსა და მეტყველების სხვა ნაწილებს შორის არსებობს.

მე უღრმესი მადლობა გადაუხადე ამ უსახელგანთქმულეს პიროვნებას იმისათვის, რომ ასე ხალისით გამაცნო თავისი უბადლო აღმოჩენა და შევპირდი, თუ ვინიცობაა, ბედი გამიღიმებდა და ჩემს სამშობლოში დაბრუნდებოდი, სათანადო პატივი მიმიძღვნა მისთვის, როგორც ამ ჭეშმარიტად საოცარი მანქანის ერთადერთი გამომგონებლისთვის. მე ვისურვე ნება დაერთო ჩემთვის, მანქანის ასლი ქალაქადზე გადამეღო. ამავე დროს, ისიც მოვახსენე, რომ, თუმცა ვეროპის

მეცნიერებს ჩვეულებად აქვთ გამოგონებები მოპპარონ ერთმანეთს, მას ეს საფერთე არ მოელოდა, იმიტომ რომ, ყველანაირად ეიზრუნებოდა, რათა ამ გამოგონების პატრი ეროადერთს მას დარჩენოდა და არავინ გასწიქოდა მეტოქედ.

უმეტეს ენათმეცნიერების სკოლას ვწვიეთ, სადაც პროფესორები მსჯელობდნენ თავიანთი მშობლიური ენის შემდგომში გაუმჯობესების პრობლემაზე.

პირველი პროფესორი ამგვარი გაზღაურებით გაემართებინათ ენა მრავალმარცვლოვანი სიტყვების ერთმარცვლოვნებად გარდაქმნის- და ზმნისა და მიმდევრების სრული ამოღების გზით, რადგანაც ყველაფერი, რაც კი ამქვეყნად არსებობს, არსებით სახელებს წარმოადგენს.

მეორე პროფესორი საერთოდ, ყოველგვარი სიტყვის გაუმჯობესების ითხოვდა. ეს, მათი ზრით, მეტყველებას უადრესად ლაკონიურს გახდიდა და ფრიად შეუწყობდა ხელს ადამიანების ჯანმრთელობას. რადგან, ცხადია, ყოველი სიტყვა, რომელსაც ჩვენ წარმოუტყამთ, იწვევს ფილტვების შეკუმშვა-გაფართოების შედეგად ამ მნიშვნელოვანი ორგანოს გადაღვას და, მაშასადამე, ჩვენი სიცოცხლის შე- მოკლებასაც. ამიტომაც, მათი პროფესორის თანახმად, რაკი სიტყ- ვები მხოლოდ და მხოლოდ საგნების სახელწოდებებია, უადრესად მოსახერხებელი იქნებოდა ყოველი ადამიანისათვის, ეტარებინათ თან ყველა ის ნივთი, რომლებზედაც მას განზრახული ჰქონდა ესაუბრა. ეს ჩინებული პროფესორი მართლაც გატარებული იქნებოდა ცხოვე- ზაში და დიდ სარგებლობასც მოუტანდა ხალხს როგორც მიხერ- ხეულობის, ისე ჯანმრთელობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ქალები მდამიო და გაუნათლებელ ხალხთან ერთად რომ არ აღ- მდგარიყვნენ და აჯანყებით არ დამუქრებოდნენ, თუ ეინიცობა, მათი წინაპრების ენაზე ლაპარაკის უფლებას არ დაითავდნენ. აი, მდამიო ხალხი მეცნიერების როგორი შეურიგებელი და მოსისხლე მტერია! მიუხედავად ამისა, მრავალი სწავლული და ბრძენი მისდევს ამ ახალ მეთოდს და თავიანთი აზრებს საგნების შემწეობით გადმოს- ცემს. ერთადერთი უხერხულობა, რომელიც მას ახლავს, ისაა, რომ ვისაც ბევრი და სხვადასხვახაირი საქმე აქვს, იძულებული ხდე- ბა ნაირ-ნაირი ნივთების უზარმაზარი მკვლელობის მიღების უფრზე და თვითონვე ათრიოს ანდა ერთი-ორი მსახური დაიქირავოს და მთ

ატარებინოს იგი. მე ვნახე ორი ასეთი ბრძენი, რომლებიც ნივთების სიმრავლისაგან წელმოწყვეტილნი დადიოდნენ ჩვენებური ხელბარგის გადამტანი მუშების მსგავსად. ხშირად მინახავს ისინი ქუჩაში მიმავალნი, ტვირთს მოიხსნიდნენ ზურგიდან, ფუთას გახსნიდნენ და საათობით საუბრობდნენ და მსჯელობდნენ; მერე ისევ ჩაალაგებდნენ ფუთას, თავს მოუკრავდნენ, ერთმანეთს ტვირთის ზურგზე მოკიდებაში უშველიდნენ და თავ-თავიანთ გზას გაუდგებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ მოკლე საუბრებისათვის საკმაო ნივთებისა და მოწყობილობების ტარება ჯიბეებითაც შეიძლება, ან შეგიძლიათ ილლიის ქვეშ ამოიდოთ და ისე წაიღოთ ამ ენის მიმდევართა ოჯახური საუბარი კი გაცილებით ადვილია: ამისათვის საკმარისია სახლი გაავსოთ ყოველგვარი საჭირო საგნებით და ისინი ხელმისაწვდომ ადგილზე დადოთ, რათა ამა თუ იმ საგნის ძებნამ საუბრისათვის ძვირფასი დრო არ წაგართვათ.

ამ გამოგონებას კიდევ ერთი უპირატესობა გააჩნია: შეიძლება მისი გამოყენება საერთაშორისო ენად, რომელიც გასაგები იქნება ყოველი განათლებული ერისათვის, რომელთა ავეჯეულობა და საოჯახო ნივთები ერთნაირია ანდა, ასე თუ ისე, ჰგავნან ერთმანეთს, დესპანებსაც შეეძლებათ იმ ქვეყნის მეფეებთან და ელჩებთან აწარმოონ მოლაპარაკებები, რომელთა ენისაც მათ არაფერი გაუგებათ.

ვინახულე აგრეთვე მათემატიკის სკოლაც. იქ სწავლების ისეთი მეთოდი შემოღებულა, რაზედაც ვეროპაში წარმოდგენაც არ აქვთ. თორემა და მისი ამოხსნა გულმოდგინედ იწერება თხელ ქაღალდზე თავის ტკივილის საწინააღმდეგო ფხვნილის შემცველი მეღვინით. ეს ქაღალდები სტუდენტმა ძლომამდე უნდა ყლაპოს და სამი დღის განმავლობაში ცარიელი პურისა და წყლის გარდა არაფერი მიიღოს. როგორც კი ქაღალდს კუჭი მოინელებს, წამალი სტუდენტს თავში აუვა თორემის გადაწყვეტასთან ერთად. მაგრამ, მაინც, ჯერ-ჯერობით სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს, ეს ნაწილობრივ იმიტომ მოხდა, რომ, ალბათ, ფხვნილის დოზა ზუსტად არაა გაანგარიშებული და ნაწილობრივაც იმიტომ, რომ სტუდენტებს ეზიზღებათ იმ ქაღალდების ყლაპვა და, როგორც კი დროს იხელთებენ, განზე გადააფურთხებენ ხოლმე. ამავე დროს, არ იქნა და ვერ დააცვევინეს ამ სწავლების წარმატებით ჩატარებისათვის აუცილებელი ხანგრძლივი დიეტა.



## თავი მეექვსეა

აკადემიის აღწერის გაგრძელება. ავტორს შეაქვს თავისი წინადადება, რომელსაც სიამოვნებით იღებენ.

პოლიტიკური პროექტიორების სკოლაში ვერაფერი ვნახე საინტერესო. იქაური პროფესორები, ჩემი აზრით, შერყეულები არიან. ამგვარი სანახაობა კი ჩემში ყოველთვის ბადებს მოწყენილობას. ის უბედურები ეძებდნენ საშუალებას, როგორ დაერწმუნებინათ მეფეები, რომ ფავორიტები აერჩიათ ცოდნის, უნარისა და სათნოების მიხედვით, მინისტრებისათვის ესწავლებინათ საზოგადოების კეთილდღეობისათვის ზრუნვა, დაეჯილდოებინათ მხოლოდ ღირსეული და დამსახურებული ადამიანები, შთაგონებინათ მეფეებისათვის, რომ მათი ინტერესები და ხალხის ინტერესები ერთი და იგივეა; თანამდებობის პირები მხოლოდ მათი უნარის მიხედვით აერჩიათ და მსგავსი გაუგონარი რამეები, რაც ფიქრად არასოდეს მოუვა საღი გონების ადამიანს. ამან ღრმად დამარწმუნა ერთი ძველი გამონათქვამის სისწორეში, რომლის თანახმადაც, არ არსებობს ისეთი სისულელე ან შეუსაბამობა, რასაც ფილოსოფოსებს შორის მიმდევარი და დამცველი არ ჰყავდეს.

მაგრამ მე ვაღიარებ ვარ, სამართლიანობა დაჟიცვა და განცხადო, რომ იქ ყველა ასეთი მეოცნებე როდი მოღვაწეობდა. ასე, მაგალითად, მე ვესაუბრე ერთ მეტად გონებამახვილ ექიმს, რომელიც, როგორც ჩანდა, ღრმად იყო გაცნობილი სახელმწიფოს მართვის ხასიათსა და სისტემას. ეს ცნობილი პიროვნება წარმატებით იყენებდა თავის ცოდნასა და გამოცდილებას, რათა გამოგონებინა უებარი წამალი ყოველგვარი ავადმყოფობისა და აუზნიანობისათვის, რაც მოსდგამს ხოლმე საზოგადოების მმართველ ინსტიტუტებს, ხელისუფალთა მანკიერებისა და სისუსტეების გამო, ერთი მხრივ და, სახელმწიფო მოხელეთა თავკერძობის გამო, მეორე მხრივ. ყოველი მწერალი და ჭეშმარიტი მოაზროვნე იმ აზრისაა, რომ არსებობს სრული მსგავსება ადამიანისა და სახელმწიფო ორგანიზმებს შორის, ამიტომაც იმაზე ცხადი და ბუნებრივი რა უნდა იყოს, რომ ოროვე ორგანიზმს ერთნაირი საზრდო ესაჭიროება და ოროვე მათგანის განსაკურნავად ერთი და იგივე წამალი გამოდგება? საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია, რომ სენატსა და უმაღლეს პალატებს ხშირად სჭირთ სიტყვამრავ-

გლობა, სიფიცხე და სხვა უარესი სწეულება: თავისა და კიდევ მეტი — გულის ავადმყოფობანი, ძლიერი კრუნჩხვა — ნერვებისა და კუნთების მტკივნეული შეკუმშვით ორივე ხელზე, განსაკუთრებით მარჯვენაზე; სპლინი, თავბრუ და ბოდვა; მყრალი, ჩირქოვანი სიმსივნე; მგლური მადა, კუჭის აშლილობა და ათასი სხვა რამე, რომელთა ხსენებაც არ ღირს. ამიტომაც, ამ ექიმის აზრით, სენატის სხდომებზე პირველ სამ დღეს მიწვეული უნდა იქნან ცნობილი და გამოცდილი ექიმები. მათ ყოველდღიურად, როგორც კი კამათი დამთავრდება, უნდა გაუსინჯონ მაჯისცემა თითოეულ სენატორს; ამის შემდეგ უნდა მოითათბირონ და დაადგინონ, ვის რა ავადმყოფობა სჭირს და ვის განსაკურნაოდ რა წამალი იხმარონ; მეოთხე დღეს სენატში სხდომის დაწყებამდე გამოცხადდნენ, სათანადო წამლებით მომარაგებული მეაფთიაქების თანხლებით და ყოველ სენატორს საჭიროებისამებრ მისცენ შესაფერისი წამალი; დამამშვიდებელი, სასაქმებელი, კუჭის ამოსარეცხი, შემამსუბუქებელი, საფლარათო, შემკვრელი, თავის ტკივილის საწინააღმდეგო, ყურის ტკივილის საწინააღმდეგო და ასე შემდეგ. მერე, იმის მიხედვით, როგორ იმოქმედებდა ისინი მათ ორგანიზმზე, გაემეორებინათ, შეეცვალათ, ანდა სავსებით შეწყვიტათ წამლის მიცემა.

ამ პროჯექტის განხორციელება ძვირი არ დაუჯდება საზოგადოებას და, შესაძლებელია, ჩემი არაავტორიტეტული აზრით, დიდ სარგებლობასაც მოიტანს იმ ქვეყნებში, სადაც სენატი კანონმდებლობაში რაიმე მონაწილეობას იღებს. მას ხომ შეუძლია: შეიტანოს ერთსულონება, შეამოკლოს კამათი, გააღოს რამდენიმე პირი, რომლებიც ახლა მოკუმულია და მოკეტოს გაცილებით მეტი, რომლებიც ახლა ღიაა: აღვირი ამოსდოს ახალგაზრდულ გულფიცხობას და შეამციროს მოხუცთა თვითრწმენა, თავი გაანძრევინოს გონებაჩლუნგებს და მოთოკოს თავხედები.

გარდა ამისა, რაკი ყველა უჩივის იმ მდგომარეობას, რომ მეფის ფავორიტებს ცუდი და სუსტი მქსიერება აქვთ, იმავე ექიმის წანადადებით, ყოველი მოქალაქე, რომელსაც პირველი მინისტრი მიიღებს, ვალდებულია თავისი თხოვნის, რაც შეიძლება მოკლედ და გასაგებად ახსნის შემდეგ, წამოსვლისას, ზემოხსენებულ მინისტრს ცხვირზე წაავლოს ხელი და მოქაჩოს, ან კოჟრზე დაადგას ფეხი, ან ყურები სამ-სამჯერ აუწიოს, ან იმდენჯერ უჩქმითოს მკლავზე, რომ სულ დაულურჯოს იგი, რათა გულმავიწყობას გადააჩვიოს და ყოველი მი-

ლების დღეს იგივე გაიმეოროს, ვიდრე საქმე გადაწყდებოდა ანდა საბოლოოდ უარს მიიღებდას.

ის საზოგადოებას ასევე სთავაზობს, რომ სენატორებმა დიდ ნაციონალურ საბჭოში სიტყვით გამოსვლის დროს, მას შემდეგ, რაც საკუთარ მოსაზრებას დაასაბუთებს, კენჭისყრის დროს მხარი საწინააღმდეგო აზრს დაუჭიროს. პროფესორი დარწმუნებულია, რომ ამ გზით საბჭო ყოველთვის საზოგადოებისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს მიიღებს.

ეს ექიმი ამავე დროს წინადადებას იძლეოდა, ყოველ სენატორს პალატის სხდომაზე თავისი აზრის გამოთქმისა და მის დასაცავად სიტყვით გამოსვლის შემდეგ, სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებისათვის მიეცა ხმა, რადგანაც, თუ ამას ჩაიდენენ, საქმე უსათუოდ ხალხის სასარგებლოდ გადაწყდება და საზოგადოება დიდ სარგებელს ნახავს.

თუ პარტიებს შორის ბრძოლა მეტად მწვავე ხასიათს მიიღებდა, მათ შესარიგებლად ექიმმა უებარი საშუალება დაასახელა. აი, ისიც: — ყოველი პარტიიდან ას-ასი ლიდერი უნდა აირჩეს. დაპირისპირებული პარტიის წარმომადგენლები ისე უნდა დაწყვილდნენ, რომ თითოეულ წყვილს თავის ქალები დაახლოებით ერთნაირი სიდიდისა ჰქონდეთ; მერე ორმა გამოცდილმა ქირურგმა ერთდროულად უნდა მოახერხოს ყოველ ასეთ წყვილს კეფა და პირველისა მეორეს მიადგას, მეორისა კი პირველს. მართალია, ეს ოპერაცია მეტისმეტად ზუსტად და ფრთხილად გაკეთებას მოითხოვს, მაგრამ, თუკი რიგიანად იქნა ჩატარებული, სასურველი შედეგი გარანტირებულია.. რადგანაც, მისი აზრით, როცა მტრული პარტიების წარმომადგენლები ტვინის ნახევარს ერთმანეთს გაუცვლიან, ერთ ქალაში მოქცეული ტვინები ერთმანეთთან მალე გამონახავენ საერთო ენას და ასეთი კეფამოხერხილი ლიდერების თავში ის ზომიერება დამყარდება, რომლის არსებობაც ესოდენ აუცილებელია იმ პიროვნებებისათვის, ვისაც წარმოუდგენია, იმისათვის ვშობილვარ, რომ ქვეყნიერება განვადო. არსებობს საშიშროება, რომ სულელის ტვინი ჭკვიანისას მიადგან, ანდა ვინმეს ბევრი ტვინი წართვან და ცოტა მისცენ სამაგიეროდ, მაგრამ, ექიმის აზრით, თანახმად მისი გამოცდილებისა, მათ შორის სხვაობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ ყურადღების მიქცევად არც ღირს.

მე პატფვი მქონდა ყური დამჟდლო ორი პროფესორის გაცხარებული კამათისთვის იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაიზარდოს სახელ-

მწიფო შემოსავალი ისე, რომ მოსახლეობას არ დააწვეს იგი მძიმე ტვირთად. პირველი მათგანის მტკიცებით, ყველაზე სამართლიანი იქნებოდა, გადასახადი დაეწესებინათ უგუნურებისა და მანკიერებისათვის. ხოლო იმის გამორკვევა, თუ ვისთვის რამდენი გადაქმდევინებინათ, მათივე მეზობლებისაგან შემდგარი კომისიისათვის მიენდოთ, რომელიც ამ მოვალეობას, შეეჭვებოდა, საუკეთესოდ შეასრულებდა. მეორე პროფესორი სრულიად საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა: — გადასახადი უნდა დაედოს ადამიანთა იმ სულიერ და ფიზიკურ ღირსებებს, რითაც ისინი განსაკუთრებით იფასებენ თავს. გადასახადის სიდიდე ამ თვისებების სრულყოფის მიხედვით უნდა განისაზღვროს, რომლის შეფასებაც მთლიანად გადამხდელის სინდისზე უნდა იყოს მინდობილი. მისივე აზრით, განსაკუთრებით დიდი უნდა იყოს გადასახადი იმ კეთილგანწყობისთვის, რომლითაც ესა თუ ის პიროვნება საპირისპირო სქესის მხრიდან სარგებლობს და მისი სიდიდე ამ კეთილგანწყობის დამადასტურებელი ნიშნების ხასიათითა და რაოდენობით უნდა განისაზღვროს, რაც ასევე გადამხდელის მიერ უნდა იქნას დასახელებული. მახვილგონიერებაზე, სიმამაცესა და ზრდილობაზე აუცილებლად დიდი გადასახადი უნდა იქნას შემოღებული და, ამ შემთხვევაშიც, თითოეულმა გადამხდელმა იმის მიხედვით გადაიხადოს, ამ ღირსებების რა რაოდენობის პატრონადაც თავის თავს აღიარებს. რაც შეეხება სინდისს, სამართლიანობას, სიბრძნესა და სწავლა-განათლებას, ისინი ყოველგვარი გადასახადის გარეშე უნდა დარჩეს, რადგან მათი შეფასებისას ადამიანები იმდენად სუბიექტურნი არიან, რომ ძნელად მოინახება პიროვნება, რომელიც აღიარებს მათ არსებობას სხვა ადამიანში, ან სწორად განსაზღვრავს, თავად მას რა რაოდენობით გააჩნია ეს ღირსებები.

ქალებზეც უნდა დაწესებულიყო გადასახადი მათი სილამაზისა და მოკაზმულობის მიხედვით. მათაც იგივე პრივილეგია ეძლეოდათ, რაც მამაკაცებს: გადასახადის ოდენობა თვითონვე უნდა განესაზღვრათ. რაც შეეხება ქალურ უმწიკვლობას, თანამიმდევრულობას, საღად აზროვნების უნარს, კეთილგონიერებას, მათზე საერთოდ არ უნდა იყოს გადასახადი, ვინაიდან ისე მცირე იქნება, რომ გადასახადის აკრეფისთვის გაწეულ ხარჯებსაც ვერ ამოიღებს.

იმისათვის, რომ სენატორები მუდამყამ ყოფილიყვნენ გვირგვინის ერთგულნი, იგი წინადადებას იძლეოდა, სენატის წევრებს კენჭი

ამოელოთ ამა თუ იმ თანამდებობის მისაღებად. ყოველ მათგანს წინასწარ ფიცი მიეცა და პირობა დაედო, რომ მხარს დაუჭერდა მეფეს, სულერთია, კენჭის ამოღების დროს მოიგებდა თუ წააგებდა; წაგებულს უფლება ეძლეოდა, თავისუფალი ადგილის გამოჩენის ყოველ ახალ შემთხვევაში ხელახლა მიეღო კენჭის ამოღებაში მონაწილეობა. ამგვარად, ყველას ექნებოდა იმედი, რომ ამა თუ იმ თანამდებობას დაიჭერდა და მუდმივადაც ამის მოლოდინში იქნებოდნენ; პირობას არაფინ დაარღვევდა და თავის წარუმატებლობას მთლიანად ბედ-იღბალს დააკისრებდა, რადგანაც ბედს გაცილებით გამძლე კისერი გააჩნია, ვიდრე სამინისტროს.

სხვა პროფესორმა მიჩვენა ინსტრუქციების უზარმაზარი კრებული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებათა აღმოსაჩენად. იგი სთავაზობდა სახელმწიფოს შესაბამის სამსახურებს, გამოეკვლიათ ყველა საეჭვო პირის საკვები, დაედგინათ რა დროს მიერთმევდნენ საკვებს, რომელ გვერდზე ეძინათ, ასევე, განსაკუთრებული ყურადღებით გამოეკვლიათ მათი ექსკრემენტები და მისი სუნის, ფერის, გემოსა და გადამუშავების ხარისხის მიხედვით დაედგინათ, რაზე ფიქრობდნენ და რა ჰქონდათ განზრახული ხსენებულ პირებს, ვინაიდან ადამიანები არასოდეს ხდებიან ისე ღრმად მოაზროვნენი და მიზანმიმართულნი, როგორც იმ პატარა, მოყუჩებულ ოთახში ჯდომისას. თავისი მეთოდის უტყუარობაში იგი სპეციალურად ჩატარებული ცდის შედეგად დარწმუნდა. მთელი შრომა დაწერილი იყო დიდი მახვილგონიერებით, შეიცავდა მრავალ დაკვირვებას, რომლებიც საინტერესო და სასარგებლოა პოლიტიკოსებისთვის; მაგრამ ის, ჩემი აზრით, სულაც არ იყო სრული. ამან გამაბედვინა შემეთავაზებინა ავტორისათვის, თუ კეთილს ინებებდა და მოისურვებდა, ზოგიერთი დამატება მიმეწოდებინა ხარვეზების შესავსებად. მან მიიღო ჩემი წინადადება დიდი მადლიერებით, რაც საერთოდ ნაკლებად ახასიათებს მწერლებს და, მათ შორის, განსაკუთრებით პროჯექტების შემდგენლებს და განაცხადა, რომ დიდი სიამოვნებით მოუსმენდა ყოველგვარ შენიშვნას.

მე მას ვუთხარი, რომ ტრიბნიაში, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი ლანგდენს<sup>1</sup> ეძახიან, და, სადაც მე ჩემი ერთ-ერთი მოგზაურობის დროს მოვხვდი, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა შედგება

<sup>1</sup> ლანგდენი — ანაგრამა სიტყვებისა: ბრიტანეთი და ინგლისი.

გამომძიებლების, მოწმეების, დამსმენების, ბრალმძებლების, მოსარჩელების, მამხილებლების, ნაფიცების და სხვა მრავალი მათი ხელქვეითისაგან, რომლებსაც როგორც უნდათ, ისე ატრიალებენ, იყენებენ და ქირაობენ სახელმწიფო მინისტრები და მათი თანაშემწეები. სახელმწიფოში შეთქმულებას ჩვეულებრივ ის პირები აწყობენ ხოლმე, რომლებსაც უნდათ თავიანთი თავი დიდი პოლიტიკოსის სახით წამოსწიონ წინ; დამყაყებულ სახელმწიფო ადმინისტრაციას ახალი ენერჯია შთაბერონ; ჩაახშონ ხალხის უკმაყოფილება ანდა სულ სხვა რამეზე გადაიტანონ მისი ყურადღება; ჩამორთმეული ქონებით გაივსონ ზანდუკები, გააძლიერონ ანდა ძირი გამოუთხარონ სახელმწიფო წყობილებას, იმის მიხედვით, ხელსაყრელია ეს მათთვის თუ არა. მათ წინასწარ აქვთ მოფიქრებული, სახელდობრ, რომელ საეჭვო პირებს დასდონ ბრალი შეთქმულებაში, შემდეგ ერთბაშად ხელში იგდებენ მათ ქაღალდებსა და მიმოწერას, ხოლო თვითონ მათ ბორკილებს გაუყრიან და საპრობილის ჯურღმულებში ჩაყრიან. იმ ქაღალდებსა და წერილებს დაურიგებენ სპეციალისტებს, რომლებიც დახელოვნებულები არიან სიტყვების, მარცვლებისა და ასოების საიდუმლო მნიშვნელობათა ამოცნობაში. მაგალითად, მათ დაადგინეს, რომ საპირფარეოში ჯდომა ნიშნავს საიდუმლო შეკრებას, ბატების გუნდი ნიშნავს სენატს, კოჭლი ძაღლი — მოცილეს; შავი ჭირი — რეჟულარულ არმიას; ძელქორი — პირველ მინისტრს; ნიკრისის ქარი — არქიეპისკოპოსს; სახრჩობელა — სახელმწიფო მდივანს; ღამის ქოთან — დიდებულთა კომიტეტს, საცერი — ფრეილინას; ცოცხი — რეკლუციას; სათაგური — სახელმწიფო თანამდებობას; სანაგვე ორმო — სასახლეს; უფსკერო ჭა — ხაზინას; მასხარის ჩაჩი — ფავორიტს; დამტვრეული ლერწამი — სასამართლო პალატას; ცარიელი კასრი — გენერალს; დაჩირქებული ჭრილობა — მმართველობის სისტემას.

როცა ეს მეთოდი შედგეს არ გამოიღებს, მათ აქვთ ორი კიდევ უფრო ეფექტური მეთოდი, რასაც მათი მეცნიერები აკროსტიხსა და ანაგრამას<sup>1</sup> ეძახიან. პირველი მეთოდით მათ შეუძლიათ ყოველ საწყის ასოს მოუნახონ პოლიტიკური მნიშვნელობა. ასე მაგალითად, N — ნიშნავს შეთქმულებას; B — ცხენოსანთა ლეგიონს; L — საზღვაო ფლოტს. ხოლო მეორე მეთოდის თანახმად, საეჭვო პირის წერილში

<sup>1</sup> ანაგრამა — სიტყვაში ასოების გადაადგილება სხვა სიტყვის მისაღებად. მაგ. ატამი — იმატა, ლომი — მოლი, ასი — სია.

ასობის გადაადგილება-გადმოადგილებით უკმაყოფილო პარტიის საიდუმლო ზრახვები გამოიტანონ სააშკარაოზე. ეს ანაგრამის მეოთხედად იწოდება.

პროფესორმა ულრმესი მადლობა გადამიხადა ამ ცნობის მიწოდებისათვის და დამპირდა, რომ თავის შრომაში დიდი პატივისცემით მომიხსენიებდა.

მეტს ველარაფერს ვხედავდი ამ ქვეყანაში ისეთს, რასაც შეუძლო ჩემი ინტერესი გამოეწვია და დავიწყე ფიქრი ჩემს მშობლიურ ინგლისში დაბრუნებაზე.

## თავი მუხვილი

ავტორი ტოვებს ლაგადოს. ჩადის მალდონადაში. გემი ჯერ არ არის მზად. მის მომზადებამდე მიემგზავრება გლუბდაბდრიბში. გუბერნატორის მიერ მისი მიღება.

კონტინენტი, რის ნაწილსაც ის სამეფო შეადგენს, ჩემი რწმენით, გადაჭიმულია ამერიკის გამოუკვლეველ მიწებამდე კალიფორნიის დასავლეთით, ხოლო ჩრდილოეთით კი წყნარ ოკეანემდე, რომელიც ლაგადოდან ას ორმოცდაათ მილზე მეტად არაა დაშორებული. იქ გაშენებულია ერთი მშვენიერი ნავსადგური, რომელიც გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებს ჩრდილო-დასავლეთში ჩრდილოეთ განედის 29 გრადუსზე და დასავლეთ გრძედის 140 გრადუსზე მოთავსებულ უზარმაზარ კუნძულ ლაგნატან. კუნძული ლაგნაგი იაპონიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, დაახლოებით ასი ლიგის მანძილზე. იაპონიის იმპერატორისა და ლაგნაგის მეფეს შორის ძველბრული კავშირია დამყარებული და ერთი კუნძულიდან მეორეზე ხშირად მიმოსვლაც წარმოებს. ამიტომაც გადავწყვიტე, ეს გზა ამერჩია ევროპაში დასაბრუნებლად. გზის გასაგნებად და ჩემი მცირეოდენი ბარგის გადასატანად ერთი მეგზური და ორი ჯორი დავიქირავე, მერე დავემშვიდობე ჩემს კეთილშობილ მფარველს, რომელმაც ამდენი სიკეთე მიქნა და განშორების დროსაც მდიდრული საჩუქარი მიბოძა.

გზაზე ისეთი არაფერი შეგვმთხვევია, რომ მოყოლად ღირდეს. როდესაც ნავსადგურ მალდონადაში (ასე ეძახიან მას) ჩავედი, მითხრეს,

რომ ჯერჯერობით არც ერთი გემი არ იყო მზად ლაგნაგში გასამგზავრებად, ამიტომაც ერთხანს უნდა მეცადა. ნავსადგური პორტსმუთის ხელა იქნებოდა. მე მალე გავაბი ნაცნობობა და ყველგან სტუმართმოყვრულად და გულთბილად მიღებდნენ. ერთმა დიდგვაროვანმა ჯენტლმენმა მითხრა, რომ ვიღრე ლაგნაგში გასამგზავრებად გემები გამზადდება, ერთი თვე მაინც გავა და ურიგო არ იქნება, თუ კუნძულ გლუბდაბდრიბზე გაისეირნებ, რომელიც ამ ნავსადგურის სამხრეთ-დასავლეთით ხუთიოდე ლიგის მანძილზე მდებარეობსო. თანაც შემიპირდა, რომ მეგზურობას ის და მისი მეგობარი გამიწვედნენ და სამგზავროდაც ერთ პატარა, კოხტა კარაპას მომცემდნენ.

„გლუბდაბდრიბი“, რამდენადაც შემიძლია ავხსნა, ნიშნავს ჯადოქართა ანუ გრძნეულთა კუნძულს. ის, დაახლოებით, კუნძულ უაიტის ერთი მესამედის სიდიდეა, მაგრამ უაღრესად ნოყიერი და მოსავლიანი. კუნძულს განაგებს გრძნეულთა ერთ-ერთი ცნობილი ტომი. იმ ტომის წევრი მხოლოდ იმავე ტომის წარმომადგენელზე შეიძლება დაქორწინდეს. მათ შორის უხუცესი კუნძულის ხელმწიფე, ანუ გუბერნატორია. მას მშვენიერი სასახლე აქვს და სამასი აკრის ფართობზე გადაშლილი უზარმაზარი პარკი, რომელსაც გარშემო ოცი ფუტის სიმაღლე თლილი ქვის გალავანი არტყია. ამ პარკში არის აგრეთვე რამდენიმე პატარ-პატარა შემორაგული მიწები საქონლის, ხორბლეული ნათესებისა და მებაღეობისათვის.

გუბერნატორსა და მის ოჯახს არაჩვეულებრივი სახის ხალხი ემსახურება. მას, როგორც ჯადოქრობაში გაწაფულს, შეუძლია გამოიძახოს მიცვალებულთაგან ვისაც კი მოისურვებს და მოიმსახუროს იგი. მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ოცდაოთხ საათს და არა მეტს. ამავე დროს, მას არ შეუძლია ერთი და იგივე პიროვნება განმეორებით გამოიძახოს სამ თვეზე ადრე, თუ ვინიცობა ამის განსაკუთრებული საჭიროება არ არის.

კუნძულს დილის თერთმეტ საათზე ვწვით. ერთ-ერთი ჩემი თანამგზავრი გუბერნატორისაკენ გაემართა და სთხოვა მიეღო უცხოელი, რომელსაც სურვილი ჰქონდა მის უდიდებულესობას ხლებოდა. მაშინვე დაგვრთეს ნება და სამიგენი სასახლის ჭიშკარში შევედით, იქით-აქეთ ჩამწკრივებულ გუმაგებს შორის. მათ რაღაც უცნაურად, ძველებურად ეცვათ და ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, მართალი გითხრათ, შიშისაგან ამაცახცახა. ჩვენ რამდენიმე ოთახი გავიარეთ,



სადაც მსგავსი მსახურები დაგვხვდნენ, ისევე იქით-აქეთ ჩამწკრივებულნი, ბოლოს მისაღებ ოთახს მივალწიეთ იქ სამჯერ მღაბლად დაუუკარით თავი მსახურთ, მათ რამდენიმე ზოგადი ხასიათის კითხვა მოგვცეს და ნება დაგვრთეს, დაგვეკავებინა სამი სკამი მისი უმაღლესობის ტახტის ყველაზე ქვედა საფეხურზე. მეფემ იცოდა ბალნიბარბული ენა, თუმცა იგი მისი მშობლიური კუნძულის ენისაგან ძლიერ განსხვავდებოდა. მან მოისურვა მომეთხრო ჩემი მოგზაურობის ამბები და, რათა თავი უფრო შინაურულად მეგრძნო, თითოთ ანიშნა მსახურებს, გასცლოდნენ იქაურობას. ჩემდა გასაოცრად, ისინი თითო ჩვენებისთანავე გაუჩინარდნენ, მსგავსად ზმანებებისა, უეცარი გამოღვიძების დროს რომ ერთბაშად ქრება. შიშისაგან გავშეშდი, მაგრამ გუბერნატორმა დამარწმუნა, რომ მე არავითარი საფრთხე არ მომელოდა. ამავე დროს, შვენიშნე, რომ ჩემი თანამგზავრები თავს ისე არხეინად გრძნობდნენ, თითქოს აქ უცნაური არაფერიაო, რაკი ამგვარი სურათის დანახვას დიდი ხნის შეჩვეულები იყვნენ. მეც მოვიკრიბე მხნეობა და მის უდიდებულესობას მოკლედ ვუამბე ჩემი რამდენიმე მგზავრობის თავგადასავალი, თუმცა შიში მაინცა მქონდა და წარამარა ვიყურებოდი უკან, იმ ადგილისაკენ, სადაც ის მსახურები მოჩვენებასაგით გაქრნენ. მერე მის უდიდებულესობასთან ერთად სადილობის პატივი მხვდა წილად. სუფრა ისეთივე მსახურებმა გააწყვეს და ჭამის დროსაც ისეთივე აჩრდილები გვემსახურებოდნენ. ახლა შედარებით ნაკლებად მეშინოდა, ვიდრე დილით. იქ შხის ჩასვლამდე დაუყავი და მერე დიდი ბოდიში მოვიხადე მისი უდიდებულესობის წინაშე, რომ უარი ვთქვი მის მიპატიჟებაზე სასახლეში დამეძინა. ჩემმა ორმა მეგობარმა და მე იმ ქალაქის ერთ-ერთი მცხოვრების ბინაში გავათიეთ ღამე, რომელიც კუნძულის დედაქალაქად ითვლება და გათენებისთანავე ისევ სასახლისაკენ გავემართეთ, რომ გამოგვეხატა ჩვენი პატივისცემა მეფისადმი და მისი სურვილის თანახმად ვხლებოდით.

ამგვარად, კუნძულზე ათი დღე-ღამე დაურჩით. დღის უმეტეს ნაწილს მეფესთან ვატარებდით, ღამით კი ჩვენს ბინაში გვეძინა. მე ისე მივეჩვიე მიცვალებულთა სულებს, რომ მესამე თუ მეოთხე მიღების შემდეგ, ისინი ჩემზე ვერავითარ გავლენას ვეღარ ახდენდნენ. და, თუ რაიმე შიში კიდევ იყო დარჩენილი, ჩემი ცნობისმოყვარეობა სძლევდა მას, რადგანაც მისმა უდიდებულესობამ, გუბერნატორმა, მიბრძანა დამესახელებინა ის მიცვალებულები, რომელთა გამოძახებაც მსურ-

და ქვეყნიერების დასაბამიდან ახლანდელ დრომდე. ამავე დროს, შემედლო გამოძედახებინა რამდენიც მსურდა და მეკითხა, რასაც მოვისურვებდი, რაზედაც მიცვალებულთა სულები ვალდებულები იყვნენ, პასუხი გაეცათ, მაგრამ ერთი პირობით, ჩემი კითხვები მხოლოდ და მხოლოდ იმ დროის ფარგლებში მომხდარ მოვლენებს უნდა შეეხებოდა, როდესაც ის მიცვალებულები ცოცხლები იყვნენ. მეც, ჩემი მხროვ, იმაში მტკიცედ უნდა ვყოფილიყავი დარწმუნებული, რომ პასუხად სრულ სიმართლეს მეტყოდნენ, რადგანაც საიქიოში ტყუილის თქმის ხელოვნება სრულიად უსარგებლოა.

მე დიდი მადლობა მოუახსენე მის უდიდებულესობას ასეთი პატვისათვის. ამჯერად ჩვენ ვიმყოფებოდით ერთ ფართო დარბაზში, რომელიც პარკში გადიოდა და, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, ჩემს სურვილს შეადგენდა სადღესასწაულო და გრანდიოზული სცენების ხილვა, მის ბრწყინვალეებას ვთხოვე ეჩვენებინა ალექსანდრე მაკედონელი თავისი ლაშქრით არბელას ბრძოლის<sup>1</sup> დამთავრების მომენტში. ხელმწიფის ერთი თითის განძრევა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ უამრავი წლის წინათ გარდაცვლილი ადამიანები ჩვენი დარბაზის ფანჯრის ქვეშ გადაშლილ ფართო მინდორზე გაჩენილიყვნენ. ალექსანდრეს დარბაზში მოუხმეთ ძალიან გამიძნელდა მისი ბერძნულის გაგება და მანაც ბევრი ვერაფერი გაუგო ჩემს ბერძნულს. ალექსანდრემ ფიცით მითხრა, კი არ მოუწამლაგარ, არამედ ზედმეტი ლოთობისაგან გამოწვეულმა ციებ-ცხელებამ მიმსხვერპლაო.

შემდეგ ვიხილე ალპებზე გადამავალი ჰანიბალი, რომელმაც მითხრა, ბანაკში ერთი წვეთი ძმარი<sup>2</sup> არ მქონიაო.

მერე ვნახე კეისარი და პომპეუსი თავიანთი ლაშქრებითურთ საომრად გამზადებულნი. ვნახე კეისარი უკანასკნელი ტრიუმფის დროსაც. შემდეგ მოვისურვე ერთ დარბაზში შეკრებილიყო რომის სენატი, ხოლო მის პირდაპირ, მეორეში, თანამედროვე პარლამენტი. პირველი გმირებისა და ნახევარღმერთების კრებულად მეჩვენა, ხოლო

<sup>1</sup> არბელას ბრძოლა (331 წ. ძვ. წ.) — ალექსანდრე მაკედონელმა არბელას ახლოს გადამწვევტი გამარჯვება მოიპოვა სპარსეთის მრავალრიცხოვან ლაშქართან ბრძოლაში.

<sup>2</sup> ისტორიკოსი ტიტუს ლივიუსი გვამცნობს, ვითომდა ჰანიბალმა ალპებზე გადასვლის დროს ცეცხლით გაახურა კლდე, რომელიც მის არმიას გზას უღობაედა და მერე ზედ ძმარი დაასხმევინა. ამან დაარბილა კლდე და ჰანიბალის მეგრძოლებმა ადვილად გაარღვიეს იგი.

მეორე — მეწერილმანუების, ჯიბგირების, ავაზაკებისა და ჩხუბისთა-  
ვების ხროვად.

ჩემი თხოვნით, კუნძულის გამგებელმა ანიშნა კეისარსა და ბრუ-  
ტუსს, წინ წამომდგარიყვნენ. ბრუტუსის<sup>1</sup> დანახვაზე დიდი მოწინებით  
განვიმსჭვალე. მისი სახე აშკარად ღალატობდა უზენაეს სათნოებასა  
და სიკეთეზე, სწორუპოვარ სიმამაცეზე, ნებისყოფის სიმტკიცეზე, სამ-  
შობლოს გულწრფელ სიყვარულზე და კაცობრიობის კეთილდღეობი-  
სათვის თავგანწირვაზე. მე დიდი სიამოვნებით შევნიშნე, რომ ეს ორი  
პიროვნება ერთმანეთთან ძალიან კარგ დამოკიდებულებაში იმყოფე-  
ბოდა, მეგობრულად ესაუბრობოდნენ ერთმანეთს; კეისარმა გულწრ-  
ფელად მითხრა, რომ მის სიცოცხლეში ჩადენილი საგმირო საქმეები  
ვერ შეედრებოდა იმის დიდებას, ვინც მას სიცოცხლე მოუსპო. მე  
პატოვი მომეცა დიდხანს მესაუბრა ბრუტუსთან და მან მითხრა, რომ  
მისი წინაპარი იუნიუსი<sup>2</sup>, სოკრატე<sup>3</sup>, ეპამინონდი<sup>4</sup>, კატონი უმცროსი<sup>5</sup>,  
სერ თომას მორი<sup>6</sup> და თვითონ არასოდეს შორდებოდნენ ერთმანეთს  
და წარმოადგენდნენ სექსტრიუმვირატს, რომელსაც კაცობრიობის  
მთელი ისტორია, ერთად აღებული, ვერ მიუმატებდა მეშვიდე წევრს.

არ მინდა მკითხველს თავი მოეჩყინო იმის მოთხრობით, რამდენი  
ცნობილი პიროვნება იქნა გამოძახებული ჩემი გაუმაძღარი ცნობისმო-  
ყვარეობის დასაკმაყოფილებლად, რომ მენახა მთელი ქვეყნიერება მისი  
უძველესი ისტორიის ყველა ეპოქაში. უმთავრესად მსიამოვნებდა ტი-  
რანთა და უზურპატორთა მკვლევლების და ჩაგრული და დამონებული  
ხალხისთვის თავისუფლების მომტანი გმირების ხილვა, მაგრამ ვერ  
ძალმძის ჩემთვის უადრესად ამაღელვებელი სურათების ისეთი სახით  
გადმოცემა, რომ მათზე მკითხველის ყურადღების მიპყრობა ღირდეს.

<sup>1</sup> ბრუტუსი (85-42 ძვ. წ.) — რომის პოლიტიკური მოღვაწე, რესპუბლიკის თავგამო-  
დებული დამცველი. კეისრის მკვლელობის ერთ-ერთი ინიციატორი. რესპუბლიკელთა  
დამარცხების შემდეგ ბრუტუსმა თავი მოიკლა.

<sup>2</sup> იუნიუსი — სახალხო ტრიბუნი (83 ძვ. წ.), ბრუტუსის მამა.

<sup>3</sup> სოკრატე (469-599 ძვ. წ.) — ბერძენი ფილოსოფოსი.

<sup>4</sup> ეპამინონდი (418-362 ძვ. წ.) — ბერძენი მთავარსარდალი და სახელმწიფო მოღვაწე.

<sup>5</sup> კატონი უმცროსი (95-46 ძვ. წ.) — რომაელი სახელმწიფო მოღვაწე. რესპუბლიკის  
თავგამოდებული დამცველი. იბრძოდა კეისრის წინააღმდეგ. როცა დარწმუნდა, რომ  
ბრძოლაში ვერ გაიმარჯვებდა, თავი მოიკლა.

<sup>6</sup> სერ თომას მორი (1480-1535) — ინგლისელი ცნობილი ფილოსოფოსი და სახელ-  
მწიფო მოღვაწე, „უტოპიის“ ავტორი.

## თავი მერვე

გლუბდაბდობის აღწერის გაგრძელება. შესწორება ძველსა და ახალ ისტორიაში.

დაუოკებელი სურვილი მქონდა მეხილა ყველაზე სახელგანთქმული უბრძენესი ანტიკური მოღვაწეები, ამიტომაც ამ საქმისათვის სპეციალურად მთელი ერთი დღე გადავდე. მოვისურვე ჰომეროსი<sup>1</sup> და არისტოტელე<sup>2</sup> გამოჩენილიყვენ თავიანთ კომენტატორთა ულველ ლაშქართან ერთად. ამ უკანასკნელთა რიცხვი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ სასახლის სხვა ოთახებში და გარეთაც კი მოუხდათ მოცდა. მაშინვე ვიცანი კაცობრიობის ეს ორი უდიდესი მოაზროვნე და არა მარტო პირველი თვალის გადავლებითანავე გამოვარჩიე ისინი დანარჩენებისგან, არამედ ერთიმეორისაგანაც გავარჩიე. ჰომეროსი უფრო მაღალი და მოხდენილი ტანის პატრონი იყო, თავის ასაკთან შედარებით მეტად გამართულად დადიოდა, მასჯერ ცოცხალი და გამჭრიახი თვალების პატრონი არასოდეს მენახა. არისტოტელე, ცოტა არ იყოს, მოხრილი იყო და ჯოხს ეყრდნობოდა. სახე მეტად გამხდარი ჰქონდა, თმა თხელი, ხმა ყრუ. შევამჩნიე, რომ არც ერთი მათგანი არ იცნობდა თავის კომენტატორებს, არასოდეს ენახათ ისინი და არც არაფერი გაეცონათ მათი არსებობის შესახებ. ერთ-ერთმა აჩრდილმა, რომლის გვარსაც არ დავასახელებ, მიჩურჩულა, რომ ეს კომენტატორები საიქიოს შორეულ კუთხეებში ემალებოდნენ ამ ორი ბრძენის თვალთახედვას, რადგანაც სინდისი ქვეყნიდათ მათ წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო, ვინაიდან, მათ საშინლად დამახინჯებულად განუმარტეს შთამომავლობას ამ ავტორების შრომებიდან მთელი რიგი ადგილებიო. მე გავაცანი დიდიმუსი<sup>3</sup> და ეუსტათიუსი<sup>4</sup> ჰომეროსს და ვთხოვე, იმაზე უკეთესად მოპყრობოდა მათ, ვიდრე სინამდვილეში იმსახურებდნენ, რადგანაც ის მაშინვე მიხვდა, მათ იმდენი ნიჭიერება

<sup>1</sup> ჰომეროსი (დაახლ. VIII ს. ძვ. წ.) — ბერძენი პოეტი, რომელსაც მიაკუთვნებენ „ილიადასა“ და „ოდისეას“ შექმნას.

<sup>2</sup> არისტოტელე (384-322 ძვ. წ.) — ბერძენი ფილოსოფოსი.

<sup>3</sup> დიდიმუსი — ავგუსტუსის თანამედროვე, კომენტატორი, მისი უმნიშვნელოვანესი ტრაქტატი მიძღვნილია ჰომეროსისადმი.

<sup>4</sup> ეუსტათიუსი — სოლონიკის არქიეპისკოპოსი XII საუკუნის ბოლოს. შეადგინა ჰომეროსის პოემების კომენტარები.

არ გააჩნდათ, რომ პოეტის სულს ჩასწვდომოდნენ. არისტოტელე კი სრულიად გამოვიდა მოთმინებიდან, როცა სკოტი<sup>1</sup> და რამუსი<sup>2</sup> გაუცანნი და მათი ფილოსოფიური კრელო გადაუშალე; აღშოფოთებულმა ფილოსოფოსმა ვერ მოითმინა და ჰკითხა მათ — ნუთუ სხვა კომენტატორებიც თქვენისთანა რეგვენები არიანო.

მერე გუბერნატორს ვთხოვე დეკარტისა<sup>3</sup> და გასენდის<sup>4</sup> სულები მოეჩმო, რომლებსაც წინადადება მივეცი, აქხნათ მათი სისტემები არისტოტელესთვის. დიდმა ფილოსოფოსმა მაშინვე აღიარა თავისი შეცდომები ბუნებისმეტყველებაში, რადგანაც მისი მოსაზრებები ბევრ შემთხვევაში ვარაუდს ეყრდნობოდა; მან გამოთქვა აგრეთვე აზრი, რომ გასენდის, რომელმაც, რამდენადაც შეეძლო, განაახლა ეპიკურეს<sup>5</sup> მოძღვრება და დეკარტს, თავისი თეორიით, ერთნაირად შეაქცევდა ზურგს შთამომავლობა. მან იგივე ბედი უწინასწარმეტყველა მიზიდულობის თეორიას, რასაც ასე გატაცებით იცავენ თანამედროვე მეცნიერები. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ბუნების ფილოსოფიის ახალი სისტემები, ახალი მოდის მსგავსად, თაობებთან ერთად იცვლება. თვით იმ ფილოსოფოსთა სისტემებიც, რომლებიც ცდილობენ, თავიანთი მოძღვრება მათემატიკურ პრინციპებზე დააფუძნონ, დიდხანს ვერ იარსებებენ, და განსაზღვრული დროის შემდეგ მოდიდან გადავლენ.

კიდევ ხუთი დღე მოვანდომე უძველეს სწავლულებთან საუბარს. ვნახე ძველი რომაელი იმპერატორების უმრავლესობა. წინადადება მივეცი გუბერნატორს გამოეწვია ჰელიოგაბალუსის<sup>6</sup> მზარეულები, რათა მათ ჩვენთვის სადილი გაეშხადებინათ, მაგრამ მათ საჭირო ინგრედიენტების ნაკლებობის გამო ვერ შეძლეს ეჩვენებინათ ჩვენთვის

<sup>1</sup> დუნს სკოტი (1274-1308) — შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი სქოლასტიკოსი. აკრიტიკებდა თომა აქვინელს. შეადგინა კომენტარები არისტოტელეს თხზულებებზე.

<sup>2</sup> პიერ რამუსი (1515-1572) — კომენტატორი. 1543 წ. გამოსულ შრომაში არისტოტელეს აკრიტიკებდა.

<sup>3</sup> რენე დეკარტი (1596-1650) — ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი. აკრიტიკებდა სქოლასტიკოსებს და მათ მიერ დამახინჯებულ არისტოტელეს მოძღვრებას, ეწეოდა ეპიკურეს ფილოსოფიის პროპაგანდას.

<sup>4</sup> პიერ გასენდი (1592-1655) — ფრანგი მატერიალისტი ფილოსოფოსი.

<sup>5</sup> ეპიკურე (341-207 ძვ. წ.) — ელინიზმის ეპოქის ცნობილი მატერიალისტი და ათეისტი.

<sup>6</sup> ჰელიოგაბალუსი (204-222) — რომის იმპერატორი 218-222 წლებში, ცნობილი თავისი აღვირაზნებლობითა და გარყვნილობით. მოკლეს ჯარისკაცებმა.

თავიანთი ხელოვნება. აგესილაუსის<sup>1</sup> მონამ სპარტანული კერძი მოგვიშადა. მე ერთი კოფი გავსინჯე და მეორე პირთან ვეღარ მოვიკარე.

ჩემი ორი თანამგზავრი პირადი საქმეების გამო იძულებული შეიქნა სამი დღით შინ დაბრუნებულიყო. მე ეს დრო შედარებით გვიან გარდაცვლილების სანახავად გამოვიყენე, სახელდობრ, იმათი, ვინც ორი-სამი საუკუნის წინათ უდიდეს პიროვნებებად ითვლებოდნენ, როგორც ჩვენს სამშობლოში, ისე ევროპის სხვა ქვეყნებში. მე მუდამ-ჟამ ვიყავი უძველესი საგვარეულოების დიდი მოტრფიალე, ამიტომაც გუბერნატორს ვთხოვე გამოეძახებინა ათიოდე დიდებული გვარის წარმომადგენელი და ორი სახელოვანი მეფე მათი წინაპრების რვა-ათეათობასთან ერთად. წარმოიდგინეთ ჩემი გაცეცხება და იმედგაცრუება, როდესაც მეფის გვირგვინით თავდაშვენილებული პირების დიდებული წყების ნაცვლად ერთ დინასტიაში ორი ვიოლინოზე დამკვრელი, სამი გაქნილი კარისკაცი და ერთი იტალიელი პრელატი<sup>2</sup> შევამჩნიე; მეორეში კი დალაქი, ორი აბატი და ერთი კარდინალი. მაგრამ მე იმდენად დიდი თავყანისმცემელი გახლავართ გვირგვინოსანი თავებისა, რომ ასეთ საჭოჭმანო საკითხზე მეტი ხნით ვეღარ შევჩერდები. ხოლო რაც შეეხება ვიკონტებს, მარკიზებს, ჰერცოგებს, გრაფებს და მსგავსთა მათთა, მათ დიდად არ ვწყალობ, ამიტომ, უნდა გითხრათ, რომ სიამოვნებით ვაკვირდებოდი, თუ საიდან მომდინარეობდა ზოგიერთი სახელოვანი გვარისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის გარეგანი და სულიერი ნიშნები, რომლებითაც ისინი თაობიდან თაობამდე გამოირჩევიან. თვალნათლივ ვხედავდი, საიდან მოსდგამს ერთ გვარს გრძელი ნიკაპი; რატომაა, რომ მეორე გვარში ორი თაობის მანძილზე ჭარბობენ გაიძვერები, ხოლო შემდგომი ორი თაობის მანძილზე რეგვენები. რატომაა მესამე გვარი ცნობილი თავისი ჭკუაშერყეულობით, ხოლო მეოთხე — გონებაჩლუნგობით; ახლა გასაგებია ერთ-ერთ წარჩინებულ გვარზე პოლიდორ ვერგილიუსის<sup>3</sup> მიერ ნათქვამი სიტყვები: „Nec vir fortis, nec foemina casta“ („არც ქმარი იყო ღირსებით აღსავსე, არც ცოლი — უბიწო“). ამგვარად, ვერაგობა, თაღლითობა

<sup>1</sup> აგესილაუსი (IV ს. ძვ. წ.) — საბერძნეთის მეფე.

<sup>2</sup> პრელატი — უმაღლესი სასულიერო წოდება კათოლიკურ ეკლესიაში.

<sup>3</sup> პოლიდორ ვერგილიუსი (1470-1555) — იტალიელი ისტორიკოსი, რომელმაც თავისი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი ინგლისში გაატარა და ლათინურ ენაზე „ინგლისის ისტორია“ დაწერა.

და სიმბდალე ისევე დამახასიათებელი გახდა ზოგიერთი ცნობილი გვარისთვის, როგორც მათი საგვარეულო გერბი. როგორ მოხდა, რომ რომელიღაც კეთილშობილ გვარში ვენერიული დააფადებები თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ეს ყველაფერი აღარ მაკვირვებდა, როდესაც ვხედავდი უძველესი საგვარეულო სახლების სისხლის სიწმინდე როგორ იყო დარღვეული პაჟების, ლაქიების, მსახურების, მეეტლეების, ბანქოს მოთამაშეების, მკვიოლინოების, მსახიობების, კაპიტნებისა და ჯიბგირების მიერ.

განსაკუთრებული ზიზღი კი ახალმა ისტორიამ მომგვარა, რადგანაც, როდესაც ყოველმხრივ გავეცანი მათ, ვისი დიდებაც ქუხდა მეფეთა კარზე გასულ საუკუნეში, ნათლად დავინახე, როგორ უხვევენ ქვეყნიერებას თვალს დაქირავებული მწერლუკანები, რომლებიც უდიდეს სამხედრო წარმატებებს მიაწერენ ლაჩრებს, ბრძნულ რჩევებს — სულელებს, გულწრფელობას — ფლიდებს, რომაულ ღირსებას — სამშობლოს მოღალატეებს, ღვთისმოსაობას — ურწმუნოებს, უბიწოებას — გარყვნილებს, ალაღმართლობას — მამბეზღარებს; როდესაც გავიგე თუ რამდენი ყოვლად უდანაშაულო და ჭეშმარიტად ღირსეული ადამიანი დაისაჯა სიკვდილით, ანდა განდევნილი იქნა სამშობლოდან დიდ-დიდი მინისტრების მიერ მართლმსაჯულების ბოროტად გამოყენებითა და სულმდაბლური ხრიკების მოწყობით; რამდენ არამზადას მიეცა უმაღლესი თანამდებობა; გამოეცხადა ნღობა, გადაეცა ძალაუფლება, გაეთქვა სახელი და აივსო მატერიალურად; როგორ გავლენას ახდენდნენ სასახლის, სახელმწიფო საბჭოს და სენატის საქმიანობასა და მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებზე მუქთამჭამელები და მასხარები; ო, როგორ წამიხდა შეხედულება ადამიანურ სიბრძნესა და პატიოსნებაზე, როდესაც გავიგე სიმართლე უდიდესი საზოგადოებრივი მოვლენებისა და რევოლუციების გამომწვევი მიზეზების შესახებ და დავინახე, რა უბადრუკ შემთხვევითობაზე იყო დამოკიდებული მათი წარმატება.

დავინახე გაიძვერობა და უმეცრება იმ პირებისა, რომლებიც წერენ შრომებს ამა თუ იმ ისტორიული პირის პირად ცხოვრებაზე; მრავალ მეფეს ისტუმრებენ საიქიოში მოწამლული სასმლით; სიტყვასიტყვით გადმოსცემენ მეფესა და მთავარ მინისტრს შორის საუბარს, თუნდაც მას არც ერთი მოწმე არ დასწრებოდეს; სააშკა-

რაოზე გამოაქვთ დესპანებისა და მინისტრების საიდუმლო ფიქრები და ზრახვები; და, როგორც წესი, ყოველთვის უშვებენ შეცდომებს. სწორედ იქ შევიტყვე მრავალი ისეთი მოვლენის ნამდვილი მიზეზი, რომლებმაც განაცვიფრეს ქვეყნიერება. ერთმა გენერალმა აღიარა ჩემი თანდასწრებით, რომ მან მხოლოდ და მხოლოდ სიმხდალისა და ცუდი მხედართმთავრობის წყალობით მოიპოვა გამარჯვება; ერთმა ცნობილმა ადმირალმა კი გულწრფელად გამანდო — არ ვიცოდი, როგორ ჩამეტარებინა ბრძოლა და მზად ვიყავი მთელი ფლოტით მტერს დაუნებებოდი, მაგრამ სწორედ მაშინ და სწორედ ამ უცოდინარობის წყალობით მივადწიე გამარჯვებასო. სამმა მეფემ განმიცხადა, რომ მთელი მათი მეფობის დროს არ დაუნიშნავთ სახელმწიფო თანამდებობაზე არც ერთი ღირსეული ადამიანი, თუ ეს შემთხვევით, ან რომელიმე მინისტრის დალატით არ მომხდარა, რომელსაც დიდად ენდობოდნენ; რომ ესეც არასოდეს განმეორდებოდა, მკვდრეთით რომ აღმდგარიყვნენ და კვლავ გამეფებულებიყვნენ. ისინი დიდი დამაჯერებლობით მიმტკიცებდნენ, რომ მეფის ტახტზე გათახსირებული კაცის გარდა სხვა ვერავინ გაძლებს; რომ სათნო ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისებები — სიკეთე, გაბედულება და პირდაპირობა — სახელმწიფო საქმეების გამგებელთათვის მხოლოდ და მხოლოდ დაბრკოლება შეიძლება იყოს.

ძალიან მინდოდა იმის გაგება და დაწვრილებითაც გამოვიკითხე, როგორ შეძლეს ადამიანებმა უმაღლესი ტიტულების მოპოვება და აურაცხელი ქონების მოხვეჭა. რა თქმა უნდა, უახლოესი ეპოქის ამბებით შემოვიფარგლე, ჩვენი დროის შესახებ კი კრინტიც არ დამიდრავს, რადგანაც არ მინდოდა შეურაცხყოფა მიმეყენებინა უცხოელთათვისაც კი, არამცთუ ჩემი სამშობლოს მკვიდრთათვის (იმედი, მაქვს, მკითხველი უთქმელადაც მიმიხვდება, რომ ყოველივე ის, რაზეც ვილაპარაკე, არანაირ კავშირში არ არის ჩემს სამშობლოსთან). გამოვიძახეთ ყველა ის პირი, რომლებიც ამგვარი ამბების გასაგებად იყო საჭირო და, ზერულე კითხვების დასმითაც კი, ჩემ წინაშე უსირცხვილო ქმედებების ისეთი საზარელი სურათი გადაიშალა, რომ მათი აუღელვებლად მოგონებაც კი არ შემიძლია. ვერაგობა, ჩაგვრა, მოსყიდვა, მოტყუება, და ბეზღება და მსგავსი უზნეობანი შედარებით მისატყვებელი ცოდვები იყო იმათთან შედარებით, რაც შემდეგ დამისახელეს. ამიტომ, თავიდან მეც მოწყალედ შევხედე, როგორც ამას



კეთილგონიერება მოითხოვდა. მაგრამ, როდესაც ერთმა ნაწილმა თავიანთი წარმატების წყაროდ დაასახელა სისხლის აღრევა და სოდომის ცოდვა, მეორემ — საკუთარი ცოლებითა და ქალიშვილებით ვაჭრობა, მესამემ — სამშობლოსა და მეფის ღალატი, მეოთხემ — მოწამვლა, უმრავლესობამ კი მართლმსაჯულების დარღვევა უდანაშაულო ადამიანის დასაღუპავად, — იმედს ვიტოვებ, მკითხველი არ გამკიცხავს, თუ ვაღიარებ, რომ ყოველივე ამის გაგებამ ძლიერ შეამცირა ჩემი პატოვისცემა მაღალი წოდებისა და თანამდებობის პირებისადმი, რასაც მე ბუნებრივად ვგრძნობდი და რომლითაც გამსჭვალული უნდა იყოს ჩემნაირი პატარა ადამიანი მასზე გაცილებით მაღლა მდგომი პირების მიმართ.

ხშირად წამიკითხავს იმ უდიდეს სამსახურზე, რაც ზოგიერთმა პიროვნებამ სახელმწიფოსა და მეფისთვის გასწია. მოვისურვე მენახა ის პიროვნებები და, როცა ვიკითხე, ასე მიპასუხეს: მათი სახელები საიქიოს მატრიანეებში შეტანილი არ არის, გარდა თითო-ოროლა წარმომადგენლისა და ისინიც ისტორიის მიერ გამოუსწორებელ გარეწრებად და მოღალატეებად არიან წარმოდგენილი. სხვების შესახებ კი იქ ვერაფერი გაუიგე, მათი ხსენებაც არ იყო. მაშინ მოვისურვე მენახა ყოველი მათგანი, ვისი ნახვაც შეიძლებოდა. ისინი დაღვრემილნი გამოცხადდნენ, ტანზე კონკები ეცვათ. მათმა უმრავლესობამ, როგორც თვითონ მიაძბეს, სიღარიბეში დალია სული, დანარჩენებმა კი — სახრჩობელასა და ეშაფოტზე.

მათ შორის იყო ერთი პიროვნება, რომლის მდგომარეობა სხვებისაგან გამოირჩეოდა. თვრამეტიოდე წლის ჭაბუკი ედგა გვერდით. თურმე, მრავალი წლის მანძილზე გემის კაპიტნად მუშაობდა. აქციუმთან გამართული საზღვაო ბრძოლის<sup>1</sup> დროს წილად ხვდა პატოვი, მოწინააღმდეგის საბრძოლო ხაზი გაერღვია, ჩაეძირა მათი სამი უდიდესი გემი, ხელთ ეგდო მეოთხე. სწორედ მან გააქცია ანტონიუსი<sup>2</sup>, რასაც მოჰყვა კიდევ გამარჯვება. მისი ვაჟი, რომელიც ახლა გვერდით ედგა, სწორედ იმ ბრძოლაში იქნა მოკლული. გულ-

<sup>1</sup> აქციუმის ბრძოლა (31 ძვ. წ.) — ავგუსტუსმა აქციუმის ყურესთან დაამარცხა ანტონიუსისა და კლეოპატრას გაერთიანებული ჯარები. ანტონიუსი ეგვიპტეში გაიქცა და თავი მოიკლა.

<sup>2</sup> ანტონიუსი (83-30 ძვ. წ.) — რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, იულიუს კეისრის უახლოესი თანამებრძოლი.

მოცემული ამ დამსახურებით, ომის დამთავრების შემდეგ, ის რომში გაემგზავრა და ავგუსტუსის<sup>1</sup> სასახლეში ითხოვა გადაეყვანათ უფრო დიდ გემზე, რომლის კაპიტანიც ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა. მაგრამ მისი დამსახურება სრულიად არ მიიღეს მხედველობაში და ის თანამდებობა ერთ ბიჭს მისცეს, რომელსაც ზღვა თვალითაც არ ენახა, მაგრამ იყო იმპერატორის საყვარლის მსახურის, ლიბერტინას<sup>2</sup> შვილი. გაწბილებული გამობრუნდა, თუმცა მისი უბედობა ამით არ დასრულებულა. მას ბრალად დასდეს სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა, საქმეს ჩამოაშორეს, მისი გემი კი გადასცეს ადმირალ პუბლიკოლას საყვარულ პაჟს. ამგვარად, ყოველი მხრიდან ხელმოცარული კაპიტანი თავის პატარა ფერმას დაუბრუნდა, რომელიც რომიდან ძალზე შორს მდებარეობდა და იქ დაასრულა თავისი ბედკრული სიცოცხლე. მე ძალიან დავინტერესდი ამ ამბით და მოვითხოვე აგრიპას<sup>3</sup> გამოძახება, რომელიც იმ ბრძოლის დროს ადმირალი გახლდათ. ისიც გამოჩნდა და, არა მარტო დაადასტურა კაპიტნის ნაამბობი, არამედ მის დამსახურებასა და სიმამაცეს ბევრი რამ დაამატა კიდევ, რაც ალბათ თავისი თავმდაბლობით დამიმალა კაპიტანმა.

გამაოცა იმან, თუ რა სწრაფად და ღრმად მოსდებოდა გახრწნილება რომის იმპერიას ბოლო საუკუნეებში დამკვიდრებული ფუფუნების წყალობით; ამის შემდეგ მსგავსი ვითარება აღარ იწვევდა ჩემში დიდ გაკვირვებას, რადგანაც იგი იმ ქვეყნებს შეეხებოდა, სადაც ამ სახის ბიწიერებებს საუკუნეთა მანძილზე ჰქონდა ფესვი გადგმული. იქ ყოველგვარ ქებასა და დიდებას, ნადავლთან ერთად, მხედართმთავარი იგდებდა ხელში, თუმცა, სამართლიანობის თვალსაზრისით, შესაძლოა, ყველაზე ნაკლებად ჰქონდა ამის უფლება.

ჩვენ მიერ გამოძახებულ ყოველ პიროვნებას ზუსტად ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც სიცოცხლეში, რამაც ძალიან ცუდ განწყობილებაზე დამაყენა, რადგანაც თვალნათლივ დავინახე, რამდენად გადაგვარდა კაცობრიობა ამ რამდენიმე საუკუნის

<sup>1</sup> ავგუსტუსი (63-14 ძვ. წ.) — რომის იმპერატორი.

<sup>2</sup> ლიბერტინა — გააზატებული მონა ქალი ძველ რომში.

<sup>3</sup> აგრიპა (63-12 ძვ. წ.) — ავგუსტუსის უახლოესი მეგობარი, ცნობილი მხედართმთავარი.

განმავლობაში; რამდენად შეცვალა სნეულებებმა, მთელი თავისი დამღუპველი შედეგებით, ინგლისელის სახის ნაკეთები; დაადაბლა იგი, დაუსუსტა ნერვები; დაურბილა კუნთები და ავადყოფური იერი დასდო.

იქამდე მივდი, რომ მოვისურვე გამოეძახებინათ ძველი ყაიდის ინგლისელი იომენები<sup>1</sup>, რომლებიც ოდესღაც ცნობილნი იყვნენ თავიანთი უბრალოებითა და სისადავით; ჭეშმარიტი სამართლიანობითა და თავისუფლებისმოყვარეობით; სიმამაცითა და სამშობლოს სიყვარულით. მართალი გითხრათ, სულიერი სიმშვიდე დაკარგე, როდესაც ცოცხლები მათ გარდაცვლილ წინაპრებს შევადარე და დავინახე, რომ ამ უკანასკნელთა სათნოება და მაღალი ღირსებები ფულზე გაყიდა უმადურმა შთამომავლობამ, რომელიც უმნიშვნელო გასამრჯელოზე ყიდის თავის ხმას საპარლამენტო არჩევნების დროს და რომელმაც აითვისა ყველა ის მანკიერება, რისი შექმნაც სასახლეში შეიძლება.

## თავი მეცხრე

ავტორი ბრუნდება მალდონადაში. მიცურავს ლაგნაგის სამეფოსაკენ. მას აპატიმრებენ და გამოიძახებენ სასახლეში. მისი მიღების თავისებურება. მეფის გულმოწყალება თავისი ქვეშევრდომებისადმი.

ბოლოს ჩვენი გამგზავრების დღეც დადგა. მე დავემშვიდობე მის უდიდებულესობას, გლუბდაბდრიბის გუბერნატორს და ორ თანამგზავრთან ერთად დავბრუნდი მალდონადაში, სადაც ორიოდე კვირის შემდეგ ერთი გემი უკვე მზად იყო ლაგნაგაში გასამგზავრებლად. ჩემმა თანამგზავრებმა და კიდევ რამდენიმე პირმა იმდენი გულუხვობა და გულისხმიერება გამოიჩინეს, რომ საგზლით მომამარაგეს და დიდის ამბით გამაცილეს. გზაში ძლიერმა ქარიშხალმა მოგვისწრო და იძულებული გაგზნით დასაუღეთისაკენ გაგვეცურა, რათა მოგზავრდრილიყავით პასატებში, რომელიც იქ სამოცი ლიგის მანძილზე ქრის. 1708 წლის 21 აპრილს შევედით მდინარეში საზღვაო ნავსადგურ კლიუმენიგთან, რომელიც ლაგნაგის სამხრეთ-აღ-

<sup>1</sup> იომენი — მდიდარი გლეხი შუა საუკუნეების ინგლისში.

მოსავლეთ ბოლოზე მდებარეობს. ქალაქიდან ერთი ლიგის მოშორებით ჩაუშვით ღუზა და ლოცმანი მოვითხოვეთ. ნახევარ საათსაც არ გაუვლია, რომ ორი ლოცმანი ამოვიდა გემბანზე. მათ შვიდობით გაგვატარეს მეტად საშიშ მეჩჩებესა და კლდეებს შორის და შეგვიძღვნენ უზარმაზარ ნაესადგურში, სადაც გემს შეეძლო უშიშრად მდგარიყო ქალაქის გალავნიდან სულ რაღაც ერთი კაბელტოვის დაშორებით.

რამდენიმე მეზღვაურმა, ბოროტი განზრახვით თუ გაუფრთხილებლობით, მოახსენა ლოცმანებს, რომ მე უცხოელი და, ამავე დროს, დიდი მოგზაური ვიყავი; იმათ, თავის მხრივ, ეს ამბავი საბაჟოს მოხელეს აცნობეს. ამ უკანასკნელმა ხმელეთზე გადასვლის დროს გულდასმით შემაძოწმა. მოხელე მელაპარაკებოდა ბალნიბარბულ ენაზე, რომელიც ვაჭრობისა და აღებშიცემობის წყალობით, კარგად ესმით იმ ქალაქის მცხოვრებლებსა და განსაკუთრებით კი საბაჟოში მომსახურე მეზღვაურებს. მე მიზანშეწონილად ჩავთვალე, სულ არ მეხსენებინა ჩემი საშობლო და თავი პოლანდიელად გამომეცხადებინა, ვინაიდან წასვლას ვაპირებდი იაპონიაში, სადაც ვეროპელთაგან მხოლოდ და მხოლოდ პოლანდიელებს ჰქონდათ შესვლის უფლება<sup>1</sup>. ამიტომაც საბაჟოს მოხელეს ვუთხარი, ბალნიბარბის სანაპიროსთან გემი დაგვეღუპა და კლდეზე გარიყული ლაპუტაზე, ანუ მფრინავ კუნძულზე (რომლის შესახებაც მას ბევრჯერ სმენოდა) ამიყვანეს და ახლა განზრახული მაქვს იაპონიაში გავემგზავრო, საიდანაც ჩემს საშობლოში დაბრუნებას მოვახერხებ-მეთქი. მოხელემ მითხრა, რომ სასახლიდან განკარგულების მიღებამდე უნდა დავეკავებინე და შემიპირდა, თქვენს ამბავს ახლავე აცნობებ და პასუხსაც, იმედი მაქვს, ერთ-ორ კვირაში მოვიღებო. მე მეტად მოხერხებულ ბინაში მომათავსეს, მაგრამ გუშაგი დამიყენეს; სამაგიეროდ უზარმაზარ ბაღში გასვლის ნება დამრთეს და საკმაოდ კარგად და ადამიანურად მეპყრობოდნენ, რადგანაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემს ხარჯებს სამეფო ხაზინა ფარავდა. იქ მე რამდენიმე პიროვნებამ მომინახულა. უმთავრესად ალბათ ცნობის-მოყვარეობის გამო, რადგანაც ხმა იყო გავარდნილი, რომ მე ისეთი

<sup>1</sup> ვეროპელი მისიონერების მოღვაწეობამ იაპონიის მთავრობის აღშფოთება გამოიწვია, რის შედეგადაც 1637 წელს ქვეყნიდან გაძევებული იქნა ყველა ესპანელი და პორტუგალიელი, დარჩენის ნება დართეს მხოლოდ პოლანდიელებს, იმ პირობით, რომ ისინი ჩემდა შეასრულებდნენ ქრისტიანულ რიტუალებს.

შორეული ქვეყნებიდან ვიყავი ჩამოსული, რომელთა შესახებაც მათ არაფერი გაეგონათ.

იმავე გემზე ერთი ახალგაზრდა კაცი დავიქირავე თარჯიმნად; ის ლაგნაგელი იყო, მაგრამ რამდენიმე წელი მალდონადაში ეცხოვრა და ოროვე ენას ჩინებულად ფლობდა. მისი დახმარებით ვახერხებდი ჩემს მნახველებთან საუბარს, რაც მხოლოდ მათი კითხვებისა და ჩემი პასუხისაგან შედგებოდა.

განკარგულება, როგორც ველოდით, დროზე მოვიდა. ნაბრძანები იყო მე და ჩემი თანმხლები პირები ტრალდრაგდაბში, ანუ ტრილდროგდრიბში (როგორც მახსოვს, იმ ქალაქის სახელწოდებას ორნაირად გამოთქვამდნენ) გადავეყვანეთ ათი მხედრისგან შემდგარ ბადრაგს. მთელ ჩემს ამაღლას შეადგენდა ის საბრალო ყმაწვილი და ჩემი თარჯიმანი, რომელიც ძლივძლივობით დავიყოლიე, გამომყოლოდა. ჩემი უგულითადესი თხოვნის შედეგად ოროვენი ჯორებზე შეგვსვეს. ცხენოსანი შიკრიკი გაიგზავნა ნახევარი დღით ადრე, რათა მას მეფისათვის ეცნობებინა ჩემი მოახლოება და გაეგო, მისი უდიდებულესობა რომელ დღესა და საათს დანიშნავდა იმისათვის, რომ მე პატოვი მქონოდა მტკვერი მელოკა მისი ტახტის წინ. ეს იქაური სასახლის სტილია და საკუთარი გამოცდილებით დაერწმუნდი, რომ იგი ლიტონი სიტყვები არაა. ჩემი მისვლიდან ორი დღის შემდეგ, მიღებისას, მიბრძანეს მუცელზე გავხოხებულიყავი და იატაკის ლოკვა-ლოკვით მივახლოებოდი მისი უდიდებულესობის ტახტს. მაგრამ რაკი უცხოელი ვიყავი, იატაკი იმდენად გაესუფთავებინათ, რომ ზედ არცთუ ისე ბევრი მტკვერი დარჩენილიყო. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს იყო განსაკუთრებული პატოვისცემა, რითაც იქ მხოლოდ მაღალი წოდებისა და თანამდებობის პირებს ეპყრობიან, როცა ამ უკანასკნელთ აქვთ პატოვი მეფეს ეახლონ. ხანდახან იატაკს არათუ არ ასუფთავებენ, პირიქით, განგებ აყრიან მტკვერს, რაც მაშინ ხდება, როცა მეფესთან მიღებაზე მოსულ პიროვნებას სასახლეში გავლენიანი მტრები ჰყავს. მე ერთხელ ჩემი თვალითაც ვნახე ერთი დიდგვაროვანი, რომელსაც მეფის ტახტთან მისვლამდე ისე გამოეტენა პირი მტკვერით, რომ ლაპარაკი ვეღარ შეძლო და იძულებული გახდა, ეს სიბინძურე გადაეყვანა. აბა რა ექნა, მისი უდიდებულესობის წინაშე გადაფურთხება ანდა პირის მოწმენდა ხომ იქ უდიდეს დანაშაულად ითვლება.

სასახლეში არსებობს კიდევ ერთი ჩვეულება, რომელსაც ვერასგზით მოვიწონებ. როცა მეფეს უნდა რომელიმე დიდგვაროვანი რბილი, ღმობიერი სიკვდილით დასაჯოს, ბრძანებს ტახტის წინ, იატაკზე მიმოფანტონ მოყვითალო, საწამლაკვარეული ფხვნილი, რომლის ალოკვიდან ოცდაოთხ საათში ადამიანი აუცილებლად კვდება. მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს, ხაზგასმით აღვნიშნოთ მისი უდიდებულესობის ღმობიერებაც და თავისი ქვეშევრდომების სიცოცხლისათვის ზრუნვა (სასურველი იქნებოდა, თუ ევროპის მონარქები კეთილს ინებებენ და ამაში მის უდიდებულესობას მიჰბაძავენ). მისი ბრწყინვალეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას მკაცრად აქვს ნაბრძანები, ყოველი სიკვდილით დასჯის შემდეგ კარგად მორეცხონ იატაკი; და თუ მსახურები ამის გაკეთებას მაინც დაივიწყებენ, მეფე ძალზე ნაწყენი დარჩება. ერთხელ, ბრძანება გასცა გაეროზგათ მისი ერთ-ერთი პაჟი, რომელსაც ევალეობდა მოწამლულ-ფხვნილიანი იატაკის გარეცხვა, მაგრამ ბოროტგანზრახვით დაივიწყა ეს საქმე. ამის შედეგად დაიღუპა ერთი კეთილშობილი, იმედისმომცემი ახალგაზრდა დიდებული, რომელიც მეფეს ეახლა და შემთხვევით მოიწამლა, თუმცა მეფეს მისი სიცოცხლის ხელსაყოფად საიდუმლო განკარგულება არ ჰქონდა გაცემული. საბოლოოდ, მეფემ იმდენი ღმობიერება გამოიჩინა, რომ დიდსულოვნად აპატია ეს დანაშაული თავის საბრალო პაჟს, ოღონდ გააფრთხილა; მეორედ არ ჩაედინა ეს, თუ ვინიცობაა, საგანგებო ბრძანება არ ექნებოდა მიღებული.

მაგრამ დროა, ჩვენს მოთხრობას დაუბრუნდეთ. როგორც კი ტახტთან ოთხი იარდის მანძილზე მივხიხდი, ნელ-ნელა წამოვდექი მუხლებზე, მერე შუბლი შეიდჯერ დავარტყი იატაკს და წარმოვთქვი სიტყვები, რომლებიც წინა ღამით მასწავლეს: „იკპლინგ გლოფთრობ სქვატსერუმ ბლიოპ მლაშნოლტ ცუინ კნოდბალკ-გაფთ სლიოფად გარდლაბჰ აშტ“. ეს ის სიტყვებია, რომლებიც მისალმების სახით უნდა მოახსენოს მეფეს ყოველმა მთხოვნელმა და რომელიც შემდეგნაირად შეიძლება ითარგმნოს: „დაე, თქვენმა უზენაესმა უდიდებულესობამ მზეზე თერთმეტ-ნახევარი მთვარის პერიოდით მეტი იცოცხლოს“. ამაზე მეფემ რალაცა პასუხი გამცა. მე მისი სიტყვები ვერ გავიგე, მაგრამ მაინც ვუპასუხე წინასწარ დაზეპირებული წინადადებით: „ფალფტ ღრინ იალერიკ

დულდამ პრასტრად მირპლაშ“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ჩემი ენა ჩემი მეგობრის პირში დევს“. ეს გამოთქმა იმას ნიშნავდა, რომ მე ვითხოვდი ნებართვას ჩემი თარჯიმანი შემოეყვანათ. მეფემ დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა და სწორედ ის ზემოხსენებული ყმაწვილი შემოიყვანეს, რომლის მეშვეობითაც პასუხი გავეცი იმდენ კითხვას, რამდენის მოცემაც შეძლო მისმა აღმატებულებამ ერთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში. მე ვლაპარაკობდი ბალნიბარბულ ენაზე და ჩემი თარჯიმანი მას ლაგნაგის ენაზე თარგმნიდა.

მეფეს ძალზე მოეწონე და უბრძანა თავის ბლიფტმარკლასს, ანუ ობერ-გოფმეისტერს, ჩემთვისა და ჩემი თარჯიმანისთვის სასახლეში ბინა გამოეყო, ეზრუნა ჩვენს კვებაზე და მოეცა ოქროთი სავსე ქისა პირადი ხარჯების დასაფარავად.

დავემორჩილე რა მეფის ბრძანებას, იმ ქვეყანაში სამი თვე დაეყავი. მის უდიდებულესობას სიამოვნებას ჰგვრიდა მის სამეფოში ჩემი ყოფნა, წყალობას წყალობაზე მაძლევდა და სამუდამოდ მასთან დარჩენაც შემომთავაზა, მაგრამ მე უფრო მიზანშეწონილად და სამართლიანად მივიჩნიე, სიცოცხლის დარჩენილი წლები საკუთარ ცოლ-შვილთან გამეტარებინა.

## თავი მათი

**მიმართვა ლაგნაგელებისადმი. სტრუქტურალების დაწვრილებით აღწერა და ავტორსა და მრავალ გამოჩენილ ადამიანს შორის გამართული საუბარი მათ შესახებ.**

ლაგნაგელები თავაზიანი და დიდსულოვანი ხალხია და, თუმცა ნაწილობრივ მათაც მოსდგამთ ის სიამაყე, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია აღმოსავლეთის ხალხებისათვის, მაგრამ მაინც დიდი პატივისცემით იღებენ უცხოელებს და მათ შორის განსაკუთრებით იმათ, რომლებიც სასახლის მხარდაჭერით სარგებლობენ. იმ სამეფოს მაღალ საზოგადოებაში მე მრავალი ნაცნობი გავიჩინე და, რადგანაც განუწყვეტლივ მახლდა თან თარჯიმანი, ჩემი საუბარი სულაც არ ყოფილა უსიამოვნო.

ერთ დღეს, როცა რჩეულ საზოგადოებაში ვიმყოფებოდი, ერთ-ერთ-მა თანამოსაუბრემ მკითხა, მინახავს თუ არა რომელიმე მათი სტრუქტურული ანუ უკვდავი. მე ვუპასუხე, რომ არ მყავდა ნანახი და თანაც ვკითხე, რას გულისხმობდა, როცა მოკვდავ არსებას უკვდავს უწოდებდა. მან მიაძმო, რომ ზოგჯერ, თუმცა ძალზე იშვიათად, ამა თუ იმ ოჯახში იბადება ბავშვი, რომელსაც შუბლზე აჩნია მრგვალი წერტილი, პირდაპირ მარცხენა წარბს ზემოთ, რაც უკვდავების უტყუარი ნიშანია. ეს წერტილი, როგორც ჩემმა თანამოსაუბრემ აღმიწერა, პირველად ვერცხლის სამქენსიანის ხელაა, მაგრამ დროთა ვითარებაში იზრდება და ფერს იცვლის; თორმეტი წლის ასაკში მწვანდება და ასე რჩება, ვიდრე უკვდავი ოცდახუთი წლის ასაკს მიაღწევდეს, მერე გადაიქცევა მუქ ლურჯად; ორმოცდახუთი წლის თავზე ნახშირივით შავდება და ინგლისური შილინგის სიდიდე ხდება. შემდეგ კი სამუდამოდ უცვლელი რჩება. მან თქვა, რომ ასეთი ბავშვი ძალიან იშვიათად იბადება, მთელ სამეფოში შეიძლება, სქესისა და ასაკის განურჩევლად ათას ას სტრუქტურულბრაგზე მეტი არც კი იყოსო. იმათგან დედაქალაქში ორმოცდაათამდე ცხოვრობს და მათ შორის არის ერთი სამი წლის წინათ დაბადებული გოგონაცო. მათ დაბადებაში გენეტიკა არავითარ როლს არ თამაშობს, იგი არაფრით არაა განპირობებული და სრულიად შემთხვევით ხასიათს ატარებს; სტრუქტურულბრაგების შვილებიც ჩვეულებრივი მოკვდავები არიანო.

არ შემიძლია არ ვადიარო, რომ ამ ამბის გაგონებამ ენით გამოუთქმელი სიხარულით ამავესო და, ვინაიდან ჩემს თანამოსაუბრეს ესმოდა ბალნიბარბული ენა, რომელზედაც მე ჩინებულად ვლაპარაკობდი, თავი ვერ შევიკავე და ჩემი აღტაცება, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულადაც გამოუთქვი. გატაცებულმა წამოვიძახე: „აი, ბედნიერი ერი, სადაც ყოველი ახალდაბადებული შესაძლოა უკვდავად დაიბადოს! ბედნიერია ხალხი, რომელსაც ძველი სათნოების მატარებელი ამდენი ცოცხალი მაგალითი ჰყავს თვალწინ და შეუძლია მათგან უშუალოდ ისწავლოს გარდასულ საუკუნეთა სიბრძნე! მაგრამ უბედნიერესნი, ანდა წარმოუდგენლად ბედნიერნი არიან ის კურთხეული სტრუქტურულბრაგები, რომლებიც იბადებიან ადამიანის თანმდევი მარადიული უბედურებისაგან თავისუფალნი, რომელთა გონებაც თავისუფლად და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ვი-



თარდება; და რომლებიც მოკვდავებით არ ძრწიან სიკვდილის შიშით ატანილნი!“ მე გამოთქვი ჩემი გაკვირება, რომ სასახლეში ამდენი ხნის ყოფნის დროს ერთხელაც არ შემინიშნავს არც ერთი ასეთი პიროვნება; რაკი შავი ლაქა განასხვავებდა მათ ჩვეულებრივი მოკვდავებისგან, იქ რომ ყოფილიყვნენ, შეუძლებელია, არ შემინიშნა; ამავე დროს, შეუძლებელი იყო, რომ ასეთ ჭკვიან მეფეს, როგორც მისი უდიდებულესობა ბრძანდებოდა, გარშემო არ შემოეკრიბა უკვდავადშობილ ბრძენთა დიდი რაოდენობა მრჩეველების სახით. თუმცა, შესაძლებელია, იმ ბედნიერ დღეს დაბადებულთა სათნოება იმდენად მკაცრ ხასიათს ატარებდეს, რომ სასახლეში გამეფებულ აღვირახსნილობას სრულებით ვერ ეგუებოდეს. გამოცდილებითაც ხომ ხშირად ვხედავთ იმის მაგალითს, რომ სისხლჭარბი ახალგაზრდობა ხშირად იმდენადაა აღსავსე თვითრწმენითა და სიჯიუტით, რომ ჭკვიანთა და ბრძენთა რჩევა-დარიგებას თითქმის არც კი იღებს. მე მაინც გადაწყვიტე გულში, როგორც კი მეფე პატოვს დამდებდა და ერთხელ კიდევ მიმიღებდა, ჩემი თარჯიმნის შემწეობით ამ საკითხის შესახებ გულახდილად და მოურიდებლად მელაპარაკა მასთან და, მიიღებდა იგი ჩემს რჩევას, თუ არა, ერთი რამისთვის, რადაც უნდა დამჯდომოდა, მიმეღწია. სახელდობრ, რაკი მისი უდიდებულესობა ხშირად მთხოვდა სამუდამოდ დაესახლებულიყავი მის სამეფოში, დიდი მადლიერების გრძნობით მიმეღო ეს წყალობა და მთელი ჩემი სოცოცხლე სტრუქტურაგებთან, იმ ზებუნებრივ არსებებთან საუბარში გამეჭარბებინა, თუ ვინიცობაა, ეს უკანასკნელები ამის წინააღმდეგი არ იქნებოდნენ.

თანამოსაუბრემ, რომელმაც, როგორც უკვე აღვნიშნე, იცოდა ბალნიბარბული ენა, — როცა ჩემი აზრი გაუაცანინა, ისეთი ღიმილით გადმომხედა, რომელშიც გამოსჭვიოდა სიბრალული მიამიტი და გულუბრყვილო ადამიანისადმი, რომელსაც ამა თუ იმ საკითხში არა გაეგება რა. მან განაცხადა, რომ მოხარული იყო და მხარს დაუჭერდა ყოველგვარ პირობას, რაც გადამაწყვეტინებდა მათ ქვეყანაში სამუდამოდ დარჩენას და, ამავე დროს, მთხოვა ნებართვა ჩემი ნათქვამი თავისი მეგობრისათვის გადაეთარგმნა. მე ნება დავრთე და ისინი ერთმანეთში დიდხანს კამათობდნენ, მაგრამ მათი ენის არაფერი მესმოდა და ერთი სიტყვაც რაა, ისიც ვერ გავიგე; ვერც მათი სახის გამომეტყველებით მოვხვდი, რა შთაბეჭდილება

მოახდინა ჩემმა სიტყვებმა. ცოტა ხნის ღუმილის შემდეგ, სწორედ თანამოსაუბრემ მითხრა, რომ მისი და ჩემი მეგობრები (ასე გამოხატა მან თავისი აზრი) ფრიად ნასიამოვნები დარჩნენ ჩემი მახვილგონივრული შენიშვნებით უკვდავი ცხოვრებით მონიჭებულ ბედნიერებასა და უპირატესობაზე; ამასთანავე მათ მოისურვეს დაწვრილებით მომეთხრო, როგორ ავაწყობდი ჩემს ცხოვრებას, რომ მე წილად მრგებოდა სტრულდბრაგად, ესე იგი, უკვდავად დაბადება.

მე ვუპასუხე, რომ ასეთ სასიხარულო და ფართო თემაზე არცთუ ისე ძნელია ადამიანმა სათანადო მჭერმეტყველება გამოიჩინოს და რომ ეს განსაკუთრებით ადვილია ჩემთვის, რადგანაც ხშირად მიოცნებია, რას გააკეთებდი, რომ გაემხდარიყავი მეფე, გენერალი ანდა რომელიმე დიდი წოდებისა და თანამდებობის პირი. ხოლო, რაც შეეხება ამ საკითხს, ბევრჯერ მიფიქრია და ათასგვარი გეგმა დამიწყვია, რა უნდა მეკეთებინა და როგორ უნდა მეტარებინა დრო, ბუნებას რომ უკვდავად გავეჩინე-მეთქი.

ბედს რომ ჩემთვის უკვდავება ერგუნებინა და სტრულდბრაგად დაკვადებინე, როგორც კი აღმოვაჩინდი ჩემს ბედნიერებას და გაგიგებდი განსხვავებას სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, მაშინვე გადავწყვეტიდი ყოველგვარი საშუალება მეხმარა და სიმდიდრე მომეპოვებინა. ათასგვარ ანგარიშიანობას და ხელმომჭირნეობას გავწვედი და, ბოლოს და ბოლოს, ორასი წლის ასაკში მთელ სამეფოში უმდიდრესი ადამიანი შევიქნებოდი.

ამავე დროს პატარაობიდანვე შეუდგებოდი მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის გულმოდგინე და საფუძვლიან შესწავლას. ამგვარად, იმ დროისათვის სწავლა-განათლების მხრივაც სუყველას გაგასწრებდი. თანაც ყოველ, ასე თუ ისე, მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენას გულდასმით ჩავიწერდი, მიუკერძოებლად აღვწერდი მეფეებისა და დიდი სახელმწიფო მინისტრების საგმირო საქმეებს, საკუთარი დაკვირვებით მიღებულ შთაბეჭდილებებსაც ჩამოვყალიბებდი და შენიშვნების სახით დაჯუროთავდი. ზუსტად აღვრიცხავდი ყოველგვარ ცვლილებას ზნე-ჩვეულებებში, ენაში, ჩაცმულობაში, სმა-ჭამასა და გართობებში; ყველაფერ ამის შედეგად მთელი ერისთვის ცოდნის ცოცხალ საგანძურად და ნამდვილ წინასწარმეტყველად ვიქცეოდი.

სამოცი წლის ასაკის შემდეგ ქორწინებაზე აღარც ვიფიქრებდი, ვიქნებოდი სტუმართმოყვარე, თუმცა, ამავე დროს, ხელმომჭირნეობაზეც არ ვიტყვოდი უარს; გარს შემოვიკრებდი მომავლის მქონე, ნიჭიერ ახალგაზრდობას, ვიზრუნებდი მათი ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის, გადავცემდი მათ საკუთარი გამოგონებით, გამოცდილებებითა და დაკვირვებებით მიღებულ ცოდნას, რასაც მრავალრიცხოვანი მაგალითებით დავუდასტურებდი, რათა დამერწმუნებინა ისინი, რამდენად სასარგებლოა სიკეთე და სათნოება საზოგადოებასა და პირად ცხოვრებაში. მაგრამ ჩემი რჩეული და განუყრელი მეგობრები იქნებოდნენ მთელი რიგი უკვდავი თანამოძმეებისა, რომელთა შორის ავარჩევდი თორმეტიოდე წარმომადგენელს, როგორც ყველაზე ხნიერთაგან, ისე ჩემი ასაკის უკვდავად შობილთაგანაც და, თუ შევატყობდი, რომ რომელიმე მათგანს უჭირდა, ჩემს მამულში გამოუყვოფდი საკმაო ადგილს და იქ დაესახლებდი. მათი უმეტესობა სადილ-ვახშაშზე მუდამყამ გვერდით მეყოლებოდა. თითო-ოროლა თქვენგანს გამოუურევდი მხოლოდ, კერძოდ, იმათ, რომლებსაც ნიჭითა და უნართ რჩეულთა შორის რჩეულად მივიჩნევდი. დროთა განმავლობაში მივეჩვეოდი და სინანულს აღარ ვიგრძნობდი მეგობრების სიკვდილის გამო და ხალისით შევხედავდი მათ შთამომავლობას; ადამიანიც ხომ ასევე უცქერის მიხაკისა და ტიტას ყოველწლიურ აყვავებას და არავითარ სინანულს არ გრძნობს იმათზე, რომლებიც წინა წელს დაჭკნენ და თვალს მიეფარნენ.

ის სტრუქტურაგები და მე ერთმანეთს გაუზიარებდით ჩვენს მოგონებებსა და დაკვირვებებს, დაგროვილს საუკუნეთა მანძილზე; შევნიშნავდით, თანდათანობით, როგორ იჭრება და ფესვს იდგამს ბიწიერება ხალხში და წინააღმდეგობას გაუწევდით მის გაგრცელებას იმით, რომ ყოველ ნაბიჯზე გაუფრთხილებდით და დარიგებებს მივცემდით კაცობრიობას; ყოველივე ეს და პირადად ჩვენი მაგალითი ხელს შეუშლიდა ადამიანთა მოდგმის განუწყვეტელ გადაგვარებას, რაზედაც უხსოვარი დროიდან სამართლიანად მოთქვამს კაცობრიობა.

ამას დაუმატეთ ის სიამოვნება, რასაც მოგვანიჭებდა სახელმწიფოებსა და იმპერიებში მომხდარი გადატრიალებების, საზოგადოების მაღალსა და დაბალ ფენებში მიმდინარე ყოველგვარი ცვლილების, უზარმაზარი ქალაქების ნანგრევებად ქცევისა და მიყრუებული სოფლის სამეფო რეზიდენციად გახდომის, უშველებელი მდინარეების

რუსაგით დაპატარალება-დაშრობის, ოკეანის მიერ ერთი ადგილიდან უკუქცევისა და სხვა ადგილის წაღეკვის, მრავალი ჯერ კიდევ უცნობი ქვეყნის აღმოჩენის, კულტურული ქვეყნების გაბარბაროსების მიერ დაქცევისა და ბარბაროსული ქვეყნების ცივილიზიის კერებად ქცევის საკუთარი თვალთ ხილვა. ვიქნებოდი მოწმე გრძედის განსასაზღვრი ხელსაწყოსი, პერპეტუუმ მობილეს, ყოველგვარი აუადყოფობის განმკურნავი უებარი წამლის და სხვა დიდმნიშვნელოვანი გამოგონებისა და მათი სრულყოფისა.

რა საოცარ აღმოჩენებს გაგაკეთებდით ასტრონომიაში, როდესაც ჩვენი თვალთ დაგინახავდით იმის ახლომას, რასაც ოდესღაც ვწინასწარმეტყველებდით და მერე, შემდგომ დაკვირვებასაც განვაგრძობდით კომეტების გაუჩინარებისა და ხელახლა მობრუნების, მზის, მთვარის და ვარსკვლავების მოძრაობათა ცვალებადობის მუდმივი მოწმეებიც ხომ ჩვენ გაეხდებოდით!

ამგვარად, გამოვამჟღავნე ჩემი ენაშეობა იმ სიხარულის გამოხატვაში, რასაც უკვდავების ბუნებრივი სურვილის ახლომა და ამქვეყნიურ სიამოვნებათა სიმრავლე მომანიჭებდა. როდესაც ლაპარაკს მოვრჩი და ჩემი ნათქვამი გადაუთარგმნეს, იმათ, როგორც უწინ, ახლაც თავიანთ მშობლიურ ენაზე დაიწყეს ხმამაღლა ლაპარაკი და სიცილ-ხარხარი ატეხეს. ბოლოს თქვენთვის უკვე ცნობილმა თანამოსაუბრემ განმიცხადა, რომ მას სთხოვეს განემარტა ჩემთვის ზოგიერთი შეცდომა, რომელიც მე, მისი აზრით, ადამიანური ჭკუამოკლეობის შედეგად დაუშვია და, რომელიც სულაც არ ასახავდა საქმის ნამდვილ ვითარებას. მისი თქმით, სტრულდბრაგები მხოლოდ და მხოლოდ მათ ქვეყანაშია. ისინი არც ბალნიბარბიში გვხვდება და არც იაპონიაში, სადაც მას პატოვი ჰქონდა მისი უდიდებულესობის მიერ ელჩად ყოფილიყო წარგზავნილი. მან ისიც კი დასძინა, რომ იქაურმა მცხოვრებლებმა არც კი დაიჯერეს ასეთი ადამიანების არსებობა; რომ მეც, მიხსენა თუ არა ეს ამბავი, ჩემმა გოცებამ მაშინვე მიახვედრა, რომ იგი მე სრულიად ახალ და თითქმის დაუჯერებელ ამბად მივიღე; რომ იმ ორ ზემოთ ხსენებულ სამეფოში თავისი ხანგრძლივი ყოფნის დროს, მას მრავალ ადგილობრივ მცხოვრებთან ჰქონდა საუბარი და შეუნიშნავს, რომ უკვდავება ადამიანთა მოდგმის საყოველთაო ნატვრა და სურვილია; რომ ის, ვისაც უკვე ცალი ფეხი სამარეში ედგა, ცდილობდა, მეორე ფეხით

მობლაუჭებოდა ცხოვრებას მთელი თავისი ძალითა და ღონით; რომ უხუცესსაც იმედი ჰქონდა კიდევ ეცხოვრა და უყურებდა სიკვდილს, როგორც უდიდეს ბოროტებას, რომლისგანაც თავდაცვას მუდმივად უკარნახებდა ბუნება; რომ სიცოცხლისაკენ სწრაფვა მხოლოდ ერთადერთ კუნძულზე, ლაგანაგზე, არ იყო ასეთი დაუოკებელი, რადგანაც აქ სტრულდბრაგების მაგალითი მუდმივად თვალწინ უდგას ხოლმე; რომ ჩემ მიერ დაგეგმილი ცხოვრების ნირი შეუძლებელი და არასწორი იყო, რადგანაც იგი გულისხმობდა მუდმივ სიახალე-გაზრდავეს, ჯანმრთელობასა და ძლიერებას, რისი იმედი არც ერთ ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს, რაც უნდა სწყუროდეს ამის მიღწევა და რაოდენ უკვდავიც უნდა იყოს; ამიტომაც, საკითხავი იყო, თუ როგორ უნდა გაეტარებინა ადამიანს თავისი უსასრულო სიცოცხლე ყველა იმ ნაკლოვანებებით, რაც სიბერეს ახლავს; რომ იშვიათად თუ აღმოჩნდება კაცი, რომელიც ასეთი პირობით ისურვებდა უკვდავად დარჩენას; თუმცა, მაინც შეინიშნებოდა, რომ ყველა ადამიანს სურდა გადაეწია თავისი სიკვდილის დრო, რათა რაც შეიძლება გვიან გამოჩენილიყო იგი; დაბოლოს, მკითხა — შენს სამშობლოში ან იმ ქვეყნებში, სადაც იმოგზაურე, ამ საკითხს ერთნაირი თვალთ უცქერიან თუ არაო.

ამ ფართო შესავლის შემდეგ მან დაწვრილებით მიაგმო ყველაფერი სტრულდბრაგების შესახებ. მისი თქმით, ისინი ჩვეულებრივი მოკვდავებით ვითარდებოდნენ ოცდაათი წლის ასაკამდე, რის შემდეგაც, ჟამთა სვლასთან ერთად, თანდათანობით პირქუშდებოდნენ და სვედიანდებოდნენ, რაც ასე გრძელდებოდა — ვიდრე უკვდავი ოთხმოცი წლის ასაკს მიაღწევდა. ეს ჩემს თანამოსაუბრეს თვითონ სტრულდბრაგებისაგან ჰქონდა გაგებული, თორემ საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ორი-სამი იმათგანი შეიძლებოდა დაბადებულიყო, რაც მათ ცხოვრებაზე დაკვირვებისა და ზოგადი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას ნაკლებად იძლეოდა. ოთხმოცი წლის ასაკზე, რაც იმ ქვეყანაში ჩვეულებრივი მოკვდავის სიცოცხლის უკიდურეს ზღვრად ითვლება, სტრულდბრაგები, უბრალო მოკვდავთა მსგავსად, არა მარტო მიხრწნილ მოხუცებად იქცეოდნენ, არამედ კიდევ უფრო სუსტდებოდნენ და ჩიავდებოდნენ იმ საშინელი მოლოდინით გულმოკლულები, რომ არასოდეს ეწერათ სიკვდილი. ისინი არა მარტო ჯიუტები, ჭირვეულები, გაუმაძღრები, პირქუშები, პატემოყვარეები

და ყბედები ხდებოდნენ, არამედ მეგობრული ურთიერთობის უნარსაც საესებით კარგავდნენ. იმდენად უცოდებოდათ გული, რომ თავიანთი შვილიშვილების იქით შთამომავლობის სიყვარულსაც კი აღარ გრძნობდნენ. შურიანობა და აუხდენელი სურვილები განუწყვეტლო წყევს მათ სულს; მათში შურის საგანია, უმთავრესად, ახალგაზრდების ვნებათაღელვით აღსავსე ცხოვრება და მოხუცების ცხოვრების დაისი. როცა ახალგაზრდების ცხოვრებას აკვირდებიან, ისინი ნაწობენ და შურით ფსებიან, რომ პირადად მათთვის გადაკუტილია ამქვეყნიური ურიცხვი სიამონებით ტკობის ყოველი შესაძლებლობა; და, როდესაც ხედავენ, რომ მისვენებენ რომელიმე მოკვდავს, იმაზე წუხან და უკვდებათ გული, რომ სხვები ჩადიან განსვენების ნავსადგურში, ხოლო მათ იქ ჩასვლა არასოდეს მოუხდებათ. მათ არაფერი ახსოვთ, გარდა იმისა, რაც თავიანთ ახალგაზრდობასა და შუახნის ასაკში უსწავლიათ, თუმცა ამ მხრივაც ერთობ მოიკოჭლებენ, ამიტომაც, თუ რაიმე ისტორიული ფაქტის დადგენა, ანდა დაწვრილებით გაგება გნებავთ, გიჯობთ ხალხურ გადმოცემას მიმართოთ, ვიდრე სტრულდბრაგების მეხსიერებას მიენდოთ. ყველაზე საცოდავები მათ შორის ისინი გახლავთ, რომლებიც ბავშვობაში ვარდებიან და სავსებით კარგავენ მეხსიერებას. ისინი სხვებზე უფრო ეცოდებათ და მეტ დახმარებასაც უწევენ, რადგანაც მათ ნაკლებად გააჩნიათ ის ბიწიერებანი, რაც სტრულდბრაგებისათვის ესოდენ ძლიერაა დამახასიათებელი.

თუ სტრულდბრაგი შეირთავს ქალთა სქესის მასავით უკვდავ წარმომადგენელს, უმაღლესი სასამართლო, ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე, მათ მაშინვე განაქორწინებს, როგორც კი ერთ-ერთი მათგანი მაინც ოთხმოცი წლის ასაკს მიაღწევს; ამ შემთხვევაში კანონი ასე მსჯელობს: სრული უსამართლობა იქნებოდა, რომ იმ პიროვნებისათვის, რომელსაც ბედმა, ყოველგვარი დანაშაულის გარეშე, მარადიული სიცოცხლე არგუნა, ეს უბედურება მარადიულად ცოლის ყოლის აუტანელი ტვირთით გაგვეორკეცებინაო.

როგორც კი ოთხმოცი წლის გახდებიან, სტრულდბრაგებს კანონი ისევე ეკიდება, როგორც მიცვალებულებს; მემკვიდრეები მაშინვე ინაწილებენ მათ ქონებას; მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ნაწილს უტოვებენ წყალობის სახით, თავის შესანახავად; სრულიად ღატაკები

კი სახელმწიფო ხარჯზე გადაჰყავთ ამ ასაკის შემდეგ სტრულდბრაგებს უუნაროდ თვლიან — არავითარ თანამდებობას არ აძლევენ და, არც არაფერში ენდობიან; მათ არ შეუძლიათ შეიძინონ, ან იჯარით აიღონ მიწა; უფლება არ აქვთ გამოვიდნენ მოწმედ, სულერთია, სამოქალაქო საქმე ირჩევა, სისხლის სამართლის დანაშაული, თუ მამულის საზღვრის შესახებ ატეხილი დაჟა წყდება.

ოთხმოცდაათი წლისას სცვიოდებათ თმა და კბილები; ამ ასაკში ისინი უკვე გემოს ვეღარ იგებენ, ამიტომ ჭამენ და სვამენ ყველაფერს, რასაც იშოვიან, ყოველგვარი მადისა და სიამოვნების გარეშე. რა ავადმყოფობაც მანამდე ჰქონდათ, შემდეგაც რჩებათ, მხოლოდ იმ გასხვავებით, რომ იგი ამიერიდან არც ძლიერდება და არც სუსტდება. საუბრის დროს ავიწყდებათ როგორც საგნების, ისე უახლოესი მეგობრებისა და ნათესავების სახელები. იმავე მიზეზის გამო, მათ არ შეუძლიათ კითხვით მაინც გაერთონ, რადგანაც მეხსიერება წინადადების თავიდან ბოლომდე აღარ მიჰყვებათ. ამგვარად, ისინი ამ ერთადერთ შესაძლებელ გასართობსაც არიან მოკლებულნი.

იმ ქვეყნის ენა განუწყვეტლოვ ცვალებადობას განიცდის, ამიტომაც სხვადასხვა საუკუნეში დაბადებულ სტრულდბრაგებს ერთმანეთის გაგება ძლიერ უჭირთ. ორას წელს რომ მიაღწევენ, ისინი ვეღარ საუბრობენ (თუ არ მივიღებთ მხედველობაში თითო-ოროლა სიტყვას) თავიანთ მეზობელ მოკვდავებთან. ამგვარად, განწირულნი არიან საკუთარ სამშობლოში ყველასა და ყველაფრისგან გარიყულად იცხოვრონ, უცხოელების მსგავსად.

აი, ყველაფერი ის, თუ მეხსიერება არ მღალატობს, რაც მე სტრულდბრაგების შესახებ მიაძებს, მერე ხუთი თუ ექვსი მათგანი მიჩვენეს კიდევ, სულ სხვადასხვა ასაკისანი; მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა ორასზე მეტი წლისაც არ იყო. მათ გააგებინეს, რომ მე დიდი მოგზაური ვიყავი და მთელი მსოფლიო მქონდა შემოვლილი, მაგრამ არავითარი ცნობისმოყვარეობა არ გამოუჩენიათ და ერთი კითხვაც არ დაუსვამთ ჩემთვის; მხოლოდ ისღა მოისურვეს, სლამსკადასკი, ანუ რაიმე ღირებული ნივთი მეჩუქებინა სახსოვრად. ეს გახლავთ მათხოვრობის თავისებური ფორმა, რათა გვერდი აუარონ კანონს, რომელიც სასტიკად კრძალავს ამას, ვინაიდან სტრულდბრაგები სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრობდნენ; თუმცა,

როგორც ჩანს, სახელმწიფო არცთუ ისე გულუხვად უმასპინძლებდა ამ უბედურ ვარსკვლავზე შობილთ.

სტრულდბრაგები ყველას ეზიზღება. როცა რომელიმე მათგანი იბადება, ამას ცუდის მომასწავებელ ნიშნად მიიჩნევენ და იმ თარიღს განსაკუთრებული ყურადღებით იწერენ; ამიტომაც სტრულდბრაგთა ასაკის გასაგებად საკმარისია მიმართოთ დაუთრებს. თუმცა ასეთ წიგნებს იმ ქვეყანაში სულ ათასი წელია აწარმოებენ და მრავალი მათგანიც, სახალხო არეულობებისა და ჟამთა ვითარების წყალობით, ან დაიკარგა, ანდა ისე გაცვდა, რომ შიგ ველარაფერს ამოიკითხავთ. ყველაზე უკეთესი საშუალება სტრულდბრაგების ასაკის დასადგენად ის გახლავთ, რომ თვითონ მათვე ჰკითხოთ, რომელი მეფის ან დიდი პიროვნების მოგონება შეუძლიათ და მერე ისტორიის სახელმძღვანელოებში ჩაიხედოთ, რადგანაც უკვდავადშობილთ მხოლოდ ის მეფეები ახსოვთ, რომლებიც მანამდე მეფობდნენ, ვიდრე ეს სტრულდბრაგები ოთხმოცი წლის ასაკს მიაღწევენ.

მართალი გითხრათ, გარეგნულად მათზე საშინელი ჩემს დღეში არაფერი მინახავს: ქალები გაცილებით უფრო საზარელი სანახავი იყვნენ, ვიდრე კაცები. ღრმა სიბერისთვის დამახასიათებელი სიუშნოვის გარდა, ისინი, რაც უფრო ხანში შედიან, უფრო და უფრო ემსგავსებიან მოჩვენებებს და მნახველებსაც შიშის ზარს სცემენ. ერთხელ ექვსი სტრულდბრაგი ქალი ვნახე ერთად და მათ შორის უფროს-უმცროსები ადვილად გავარჩიე, თუმცა მათ შორის, ასაკში, ერთ ან ორ საუკუნეზე მეტი განსხვავება არც კი აღმოჩნდა.

მკითხველი ადვილად მიმიხვდება, რომ სტრულდბრაგების შესახებ გაგონილმა ამბებმა და მათმა ხილვამ ჩემი უდიდესი მისწრაფება უკვდავებისაკენ ძლიერ შეასუსტა. მრცხვენოდა საკუთარი თავისა იმ თვალწარმტაცი სურათების გამო, რომელიც ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ მეხატებოდა თვალწინ და, ახლა იმ აზრის ვიყავი, რომ არც ერთ მტარვალს არ შეეძლო ისეთი სიკვდილი გამოეგონა, რაზეც სიამოვნებით არ დაუთანხმდებოდი, ოღონდ, იმგვარი უკვდავება არ ერგუნებინა ბედს. მეფეს უამბეს ჩემსა და ჩემს მეგობრებს შორის რანაირ საუბარს ჰქონდა ადგილი და ამაზე მანაც ბევრი იცინა; ისურვა ჩემს სამშობლოში წამომეყვანა ორიოდ სტრულდბრაგი, რათა ჩემი თანამემამულეები სიკვდილის მუდმივი შიშისაგან საბოლოოდ განმეკურნა; მართალი გითხრათ, მათი კუნძულიდან გაყვანა



სამეფოს ძირითადი კანონით აკრძალული რომ არ ყოფილიყო, წამოყვანის ხარჯებსა და გაწამაწიას სულაც არ დავერიდებოდი.

არ შემეძლო არ მეღიარებინა, რომ სტრულდბრაგებისთვის დაწესებული იქაური კანონები სწორი და უაღრესად სამართლიანია; სხვა ქვეყნებიც იძულებული გახდებოდნენ იგოვე კანონი შემოეღოთ, მათაც რომ ჰყოლოდათ სტრულდბრაგები. სხვანაირად შეუძლებელიცაა, ვინაიდან მოხუცებულობას შურიანობა და სიხარბე ახასიათებს და, იმ უკვდავებს, თუ ასე არ მოექცეოდნენ, ისე გაელვიებოდათ მადა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთელ ქვეყანას დაისაკუთრებდნენ და სამოქალაქო ძალაუფლებასაც უსათუოდ ხელში იგდებდნენ, რაც, მათი აშკარა უუნარობის გამო, სახელმწიფოს დაღუპვამდე მიიყვანდა.

## თავი მეთერთმეტი

ავტორი ტოვებს ლაგნავს და იაპონიაში მიემგზავრება. იქიდან პოლანდიური გემით ბრუნდება ამსტერდამში, ამსტერდამიდან კი — ინგლისში.

ვფიქრობ, რომ სტრულდბრაგებზე საუბარი ასე თუ ისე გაართობს მკითხველს, რადგანაც მასში საკმაოდ უჩვეულო ამბავია მოთხრობილი; ყოველ შემთხვევაში, არ მახსოვს მსგავსი რამე შემხვედროდეს რომელიმე სათავგადასავლო ნაწარმოებში, რაც კი ოდესმე ხელში ჩამვარდნია. და, თუ ვცდები, თავის გასამართლებლად ისიც მყყოფა, რომ მოგზაურებისათვის, რომლებიც აღწერენ სხვებისგან მანამდე აღწერილ ქვეყნებს, დამახასიათებელია ერთსა და იმავე უჩვეულო ამბებზე გაამახვილონ ყურადღება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ სხვისი ნათქვამის გადმოღებაში ანდა გადმოწერაში დასდონ ბრალი.

ამ სამეფოსა და იაპონიის უზარმაზარ იმპერიას შორის გამუდმებული საუაჭრო ურთიერთობა არსებობს; და შესაძლებელია იაპონელ ავტორებს რაიმეც ჰქონდეთ ნათქვამი სტრულდბრაგების შესახებ; მაგრამ მე ისე მცირე ხანს დავრჩი იაპონიაში და, ამავე დროს, მათი ენაც იმდენად უცხო იყო ჩემთვის, რომ არავითარი შესაძლებლობა არ გამაჩნდა, ეს გამოძერკეია. მაგრამ, იმედი მაქვს, რომ, როცა პოლანდიელები წაიკითხავენ ჩემს წიგნს, დაინტერესდებიან ამ საკითხით და მასში აღმოჩენილ ხარვეზებს შეაჯსებენ.

მისმა უდიდებულესობამ რამდენიმეჯერ გულწრფელად შემომ-  
თავაზა დაუთანხმებულობა და მის ქვეყანაში სამუდამოდ დავრჩე-  
ნილიყავი, მაგრამ, როგორც კი შეატყო, რომ მტკიცედ მქონდა გა-  
დაწყვეტილი სამშობლოში დაბრუნება, კეთილი ინება და წასვლის  
ნება დამრთო. ამასთან, იმდენი პატივიც დამდო, რომ იაპონიის იმ-  
პერატორთან საკუთარი ხელით მიმიწერა სარეკომენდაციო წერი-  
ლი, თანაც ოთხას ორმოცდახუთი მოზრდილი ოქროს ფული (იმ  
სამეფოში ბევრი ოქროა) და წითელი ალმასი მაჩუქა, რომელიც  
ინგლისში დაბრუნების შემდეგ ათას ას გირვანქა სტერლინგად გა-  
კვიდე.

1709 წლის 6 მაისს, სახეიმო ვითარებაში დავეშვიდობე მის  
უდიდებულესობასა და ყველა ჩემს მეგობარს. მეფემ იმდენი გულ-  
მწყალეობა გამოიჩინა, რომ უბრძანა თავის გვარდიას, კუნძულის  
სამხრეთ-დასავლეთით მოთავსებულ სამეფო-ნავსადგურ გლანგენ  
სტოლდამდე მოეცილებინე. ექვს დღეში მზად იყო გემი იაპონიაში  
გასამგზავრებლად; ამ მგზავრობას თხუთმეტი დღე-ღამე მოჴანდომეთ.  
ჩვენ ჩავედით პატარა საზღვაო ქალაქ ქსამოში, რომელიც იაპონი-  
ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია მოთავსებული. იგი გაშენებულია  
დასავლეთით მდებარე კონცხზე, რომელიც ვიწრო ზოლის სახითაა  
შეჭრილი ზღვაში. მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს  
ქალაქი იედო. გემიდან ჩამოსვლისთანავე ვუჩვენე საბაჟოს მოხელეს  
ლაგნაგის მეფის წერილი იაპონიის იმპერატორისადმი. ისინი მე-  
ფის გერბს კარგად იცნობდნენ; იგი ხომ ჩემი ხელისგულის ოდენა  
მანც იქნებოდა. მასზე გამოხატული იყო მეფე, რომელიც ხეიბარ  
მათხოვარს წამოდგომაში ეხმარებოდა. ქალაქის მაგისტრატებმა,  
ჩემი წერილის ამბავი რომ გაიგეს, რომელიმე ქვეყნის მინისტრით  
მიმიღეს. მათ მომცეს ეტლი და მსახურები, იკისრეს იედომდე ჩემი  
მგზავრობის ხარჯები; იქ იმპერატორმა მიმილო; მის უდიდებულე-  
სობას გადავეცი წერილი, რომელიც, სახეიმო ვითარებაში, დიდის  
ამბით გახსნეს და თარჯიმნის შემწეობით წაუკითხეს მის უდიდე-  
ბულესობას. თარჯიმანმა იმპერატორის ბრძანებით გადმომცა, რომ  
შემქმლო ნებისმიერი რამ მეთხოვა მისი უდიდებულესობისთვის და,  
რაც უნდა ყოფილიყო იგი, შესრულებული იქნებოდა მისი მოძმე  
ლაგნაგის მეფის პატოვსაცემად. იმ თარჯიმნის მოვალეობას შეად-  
გენდა პოლანდიელებთან საქმის წარმოებაც. ჩემმა გარეგნობამ იგი

მაშინვე მიახვედრა, რომ ევროპელი ვიყავი, ამიტომაც მისი უდიდებულესობის ბრძანება ქვემოპოლანდიური ენით გადმომცა, რომელზეც ჩინებულად ლაპარაკობდა. როგორც წინასწარ მქონდა მოფიქრებული, მე ვუპასუხე, რომ პოლანდიელი ვაჭარი ვიყავი, გემი დამელუპა შორეულ ქვეყანაში, საიდანაც ზღვითა და ხმელეთით ლაგნაგის სამეფომდე მოვალწიე, მერე მოვადექი იაპონიას, რადგანაც ვიცოდი, რომ ჩემი ქვეყანა ვაჭრობდა მასთან და იქნებ ევროპაში დაბრუნების შესაძლებლობა მომცემოდა. ამიტომაც უმორჩილესად ვთხოვე მის უდიდებულესობას, გაეცა ბრძანება უვნებლად ჩავეყვანეთ ნაგასაკში. ამას კიდევ ერთი თხოვნა დაუერთო: ჩემი მფარველის, ლაგნაგის მეფის პატოსაცემად მის უდიდებულესობას გავეთავისუფლებინე ჩემი თანამემამულეებისათვის აქ დაწესებული სავალდებულო ცერემონიისგან, რომელიც ჯვარზე ფეხით შედგომას<sup>1</sup> გულისხმობდა. ამასთან ისიც გაეთვალისწინებინა, რომ მე უბედურმა შემთხვევამ გადმომაგლო ამ მხარეში, თორემ არაერთი განზრახვა არ მქონდა სავაჭროდ წამოვსულიყავი. როცა ეს უკანასკნელი თხოვნა აუხსნეს იმპერატორს, ის, როგორც ჩანს, ძალზე გაოცდა და განაცხადა, რომ მე პირველი და შესაძლოა უკანასკნელი პიროვნება ვიყავი ჩემს თანამემამულეებს შორის, ვინც ამ წესის შესრულებაზე ჭოჭმანობდა და, აქედან გამომდინარე, მას ეჭვიც კი ეპარებოდა ჩემს პოლანდიელობაში, თუმცა ამ საქციელიდან გამომდინარე, ჩემი ქრისტიანობა მასში არაერთი ეჭვს აღარ იწვევდა. საბოლოოდ, მან მიიღო მხედველობაში ჩემ მიერ წამოყენებული საბუთები და, განსაკუთრებით იმის გამო, რომ სურდა ლაგნაგის მეფისთვის თავისი არაჩვეულებრივი გულმოწყალებით ესამოვნებინა, დათანხმდა ეს ჩემი არაჩვეულებრივი თხოვნა დაეკმაყოფილებინა. მაგრამ აქ, მისი თქმით, საჭირო იყო ფრთხილი მოქმედება. თავის მხრით, განკარგულებას გასცემდა, მოხელეებს ისე გავუტარებინეთ მე, ვითომდა გამორჩენოდეთ ამ ცერემონიის ჩატარება, რადგანაც, იმპერატორის აზრით, თუ ეს საიდუმლო გამჟღავნდებოდა, ჩემივე თანამემამულეები — პოლანდიელები — გზაზე ყელს გამომლადრაუდნენ. მე თარჯიმნის მეშვეობით მაღლობა მოვახსენე მის უდიდე-

<sup>1</sup> ეს მეთოდი შემოღებული იყო იაპონიაში გაქრისტიანებულთა გამოსაცნობად მე-17-18 საუკუნეებში. ეჭვმიტანილის ოჯახის ყველა წევრს უნდა დაეებიჯებინა ფეხი ჯვარცმის გამოსახულებისთვის. ვინც ამაზე უარს იტყვოდა, მას ჯერ აწამებდნენ და მერე სიკვდილით დასჯიდნენ. ქრისტიანთა ღვინა იაპონიაში 1873 წლამდე გაგრძელდა.

ბულესობას ასეთი იშვიათი წყალობისათვის. სწორედ ამ დროს ნაგასაკში ჯარისკაცების რაზმი იგზავნებოდა. მის ოფიცრებს უბრძანეს უვნებლად წაეყვანეთ იქ და ჯვრის თაობაზედაც განსაკუთრებული განკარგულება გასცეს.

ხანგრძლივი და მომქანცველი მოგზაურობის შემდეგ, 1709 წლის 9 თნისს, როგორც იქნა, ჩავედით ნაგასაკში. მე მალევე შევეუერთდი პოლანდიელ მეზღვაურებს, რომლებიც 450 ტონა წყალწყვის მქონე უზარმაზარ ამსტერდამულ გემ „ამბონაზე“ მსახურობდნენ. მე პოლანდიაში დიდხანს ვცხოვრობდი, ვსწავლობდი ლეიდენში და პოლანდიურ ენას მშვენივრად ვფლობდი. მეზღვაურებმა მალე გაიგეს, საიდანაც ჩამოვედი. ისინი კითხვებს მაყრიდნენ ჩემი მოგზაურობისა და ჩემი ცხოვრების შესახებ. მე შევთხზე მოკლე, მაგრამ იოლად დასაჯერებელი ამბავი, მაგრამ მთავარი მოვლენების შესახებ კრინტიც არ დამიძრავს. მრავალ პიროვნებას ვიცნობდი პოლანდიაში, ამიტომაც არ გამჭირვებია ჩემი მშობლებისთვის გვარის მოგონება, რომლებიც ვითომდა გელდერლანდის პროვინციაში მცხოვრები უბრალო ფერმერები იყვნენ. გემის კაპიტანს, ვინმე თეოდორუს ვანგრაალტს კი შევთავაზე, აელო ჩემგან, რამდენსაც მოისურვებდა და პოლანდიაში ჩაეყვანე. მაგრამ ის, როგორც კი გაიგო, რომ სპეციალობით ქირურგი ვიყავი, მგზავრობის ღირებულების ნახევარ ფასზე დამთანხმდა, ოღონდ იმ პირობით, რომ მის გემზე ექიმობა გამეწია. ვიდრე გზას გაუდგებოდით, მეზღვაურებმა რამდენჯერმე მკითხეს, ზემოთ ხსენებული ცერემონია შევასრულე თუ არა. ამ კითხვაზე ზოგადი პასუხი გავეცი — იმპერატორისა და სასახლის მიერ წამოყენებული ყოველი მოთხოვნა დააკმაყოფილე-მეთქი. მაგრამ შკიპერმა<sup>1</sup>, ბოროტმა ყმაწვილმა, იაპონელ ოფიცერთან დამასმინა და უთხრა, რომ ამას ჯვარცმისათვის ფეხი არ დაუბიჯებიაო; თუმცა, ოფიცერმა, რომელსაც საიდუმლო ბრძანება ჰქონდა მიღებული შეუმჩნეველად გავეტარებინე, ჭკუის სასწავლებლად ყმაწვილს ოცჯერ დაარტყა ზურგზე ბამბუკის ჯოხი. ეს იყო და ეს, შემდეგ ამ კითხვით არავის შევეუწუხებოვარ.

გზაზე ისეთი არაფერი შევემთხვევია, რომ ხსენებად ღირდეს. მშვენიერი ზურგის ქარით მივალწიეთ კუთილი იმედის კონცხს, სა-

<sup>1</sup> შკიპერი — სატვირთო გემის მეთაური.

დაც მხოლოდ სასმელი წყლის ასაღებად შეეჩერდით. 1710 წლის 10 აპრილს მშვიდობით ჩაუვდით ამსტერდამში. გზაში მხოლოდ ოთხი კაცი დაუკარგეთ: სამი ავადმყოფობამ იმსხვერპლა, მეოთხე კი გვინის სანაპიროს ახლოს ანძიდან ჩამოვარდა. ამსტერდამიდან მალე იქაური პატარა ხომალდით ინგლისს გავემგზავრე.

10 აპრილს დოუნსში ჩაუვდით დილით ჩამოვდი გემიდან და კვლავ ვიხილე ჩემი მშობლიური ქვეყანა ზუსტად ხუთი წლისა და ექვსი თვის განშორების შემდეგ. პირდაპირ რედრიფისკენ გავემართე, იმავე დღეს ნაშუადღევს ორ საათზე შინ ჩაუვდი და, საბედნიეროდ, ცოლ-შვილიც ჯანმრთულად დამხვდა.

## ნაწილი მეოთხე

### მოგზაურობა ჰუიჰნჰნების ქვეყანაში

#### თავი პირველი

ავტორი მიემგზავრება, როგორც გემის კაპიტანი. მისივე მეზღვაურები უწვობენ შეთქმულებას, დიდი ხნით ამწყვედვენ თავისსავე კაიუტაში და ბოლოს ერთი უცნობი ქვეყნის ნაპირზე ჩამოსვამენ. ის შედის ქვეყნის სიღრმეში. უცნაური ცხოველის — იაკუს აღწერა. ავტორის შეხვედრა ორ ჰუიჰნჰნთან.

ცოლ-შვილთან ხუთიოდე თვე ბედნიერად გავატარე, მაგრამ, საუბედუროდ, ბედნიერებას, როგორც აღმოჩნდა, ჯერაც ვერ ვაფასებდი ჯეროვნად: ერთხელ კიდევ დავტოვე ჩემი საბრალო მეუღლე და დავთანხმდი მეტისმეტად ხელსაყრელ წინადადებაზე: — 350 ტონა წყალწყვის უზარმაზარი საუაჭრო გემის „ადვენჩერის“ კაპიტნობა გამეწია. მშვენივრად ვიყავი დაუფლებული ნაოსნობის საქმეს და, ამავე დროს, რაკი ზღვაზე ექიმად მუშაობამ თავი მომაბეზრა, ამ მოვალეობის შემსრულებლად ერთი თავისი საქმის ჩინებული მცოდნე, ვინმე რობერტ პიურფოი ავიყვანე. თუ თვითონ მომინდებოდა ჩემი სპეციალობით ჩემივე გემზე მუშაობა, ისედაც ვინ დამიშლიდა? პორტსმუთიდან 1710 წლის 7 სექტემბერს გავედით იმავე თვის 14 რიცხვში ტენერიფთან ბრისტოლელ კაპიტან პოკოკს შევხვდით, რომელიც თავისი გემით კამპაში სანდალის ხის<sup>1</sup> საჭრელად მიემგზავრებოდა. თქვესმეტ სექტემბერს ქარიშხალმა დაგვაცილა ერთიმეორეს. დაბრუნებისას გავიგე, რომ მათი გემი ჩაიძირა და მთელი მისი ეკიპაჟიდან ერთადერთი იუნგა გადარჩა. კაპიტანი პოკოკი უაღრესად პატიოსანი კაცი

<sup>1</sup> სანდალის ხე — ხე, რომლისგანაც იღებენ მცენარეულ საღებავებსა და ეთეროვან ზეთებს. იზრდება ოსტინდოეთში.

და ჩინებული მეზღვაური გახლდათ, მაგრამ, საუბედუროდ, ზედმეტად თავდაჯერებული იყო და სწორედ ამან იმსხვერპლა; თუმცა, ის არ იყო პირველი და უკანასკნელი, ვინც ამ თვისების გამო დაიღუპა თავი. ჩემი რჩევისათვის ყური რომ დაეღლო და დაეჯერებინა, ჩემსავით უვნებლად დაბრუნდებოდა და თავის ცოლ-შვილსაც გაახარებდა.

გემზე ტროპიკული მალარიით რამდენიმე კაცი მომიკვდა. ამგვარად, იძულებული გავხდი ბარბადოსისა და ანტილიის სხვა კუნძულებიდან, რომლებისკენაც გემის მეპატრონე ვაჭრების განკარგულებითა და მითითებით მივდიოდი, მეზღვაურთა დანაკლისი შემევსო. მაგრამ ეს ნაბიჯი მალე სანანებელი გამიხდა, რადგანაც, როგორც შემდეგში გამოირკვა, ჩემ მიერ აყვანილ პირთა დიდი უძრავლესობა ზღვის მეკობრე გამოდგა. მე ორმოცდაათი მეზღვაური მყავდა და მვეალებოდა სამხრეთ ზღვაზე ინდოელებთან მევაჭრა და შეძლებისამებრ იქაური მიდამოები შემემსწავლა. ახალაყვანილმა გარეწრებმა თურმე საიდუმლოდ მოითათბირეს დანარჩენ მეზღვაურებთან, გადაიბირეს ისინი და გადაწყვიტეს დაეუტუსალებინე და ჩემი გემი ხელში ჩაეგდოთ. ერთ დილითაც ეს შუბნელი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს — მოულოდნელად ჩემს კაიუტაში შემოიჭრნენ, ხელ-ფეხი შემიკრეს და დამემუქრნენ, რომ ზღვაში გადამაგდებდნენ, თუ ვინიცობაა, წინააღმდეგობის გაწევას გავბედავდი. მე მოვახსენე, თქვენი ტყვე ვარ და გემორჩილებით-მეთქი. ამაზე ფიცი დამადებინეს, გამიხსნეს ხელ-ფეხი, მერე მხოლოდ ცალ ხელსა და ფეხზე შემაბეს ჯაჭვი და ჩემს საწოლზე მიმაბეს, კარზე კი თოფიანი გუშაგი დამიყენეს. მას ნაბრძანები ჰქონდა ესროლა და მოეკალი, თუ გათავისუფლებას შეეცდებოდი, მერე საჭმელ-სასმელი გამომიგზავნეს და გემის მართვას თვითონვე მოჰკიდეს ხელი. განზრახული ჰქონდათ ესპანეთის გემები ეძარცვათ, რის გაკეთებასაც მანამდე ვერ შეძლებდნენ, სანამ კიდევ არ დაიმატებდნენ ხალხს. მაგრამ, გადაწყვიტეს ჯერ გემზე მოთავსებული საქონელი გაეყიდათ და შევსების ასაყვანად მერე წასულიყვნენ მადაგასკარზე. ერთხანს იცურეს და თვაჭრეს ინდოელებთან, რა დროსაც კიდევ მოუკვდათ რამდენიმე მეზღვაური. მე წარმოდგენაც არ მქონდა, რა მიმართულებით მიდიოდნენ, ვინაიდან კაიუტიდან არსად მიშვებდნენ და, რაკი ხშირად მემუქრებოდნენ, მათი ხელიდან სიკვდილის მეტს არაფერს მოველოდი.

1711 წლის 9 მაისს ჩემს კაიუტაში შემოვიდა ვინმე ჯეიმს უელჩი და გამომიცხადა, რომ მას გემის კაპიტნისგან ნაბრძანები ჰქონდა

ნაპირზე გადაყვს. ვცადე, შემეცვლევინებინა ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ამაოდ; ისიც კი არ მითხრა, ვინ იყო გემის ახალი კაპიტანი. ძალით ჩამსვეს ერთ კანჯოში, ნება დამრთეს, ჩამეცვა ჩემი საუკეთესო ტანსაცმელი, რომელიც თითქმის ახალი იყო, და თან თეთრულის პატარა შეკვრაც წამელო. იარაღებიდან მხოლოდ ხმალი დამიტოვეს, აგრეთვე, თავზიანობა გამოიჩინეს და არ გაუჩხრეკიათ ჯიბეები, რომლებშიც ფული და ზოგიერთ წვრილმანი საჭირო ნივთი მედო. გემიდან დაახლოებით ერთი ლიგის მანძილზე გაცურეს და იქ რომელიღაც კუნძულზე ჩამომსვეს. ვთხოვე ეთქვათ, რა ქვეყანა იყო ეს, მაგრამ დაიფიცეს, რომ იქაურობა მათთვისაც ისეთივე უცნობი იყო, როგორც ჩემთვის. თან დასძინეს, რომ კაპიტანმა (ასე იხსენიებდნენ ვილაცას), როგორც კი საქონელი გაყიდა და გემი დაცალა, გადაწყვიტა პირველსავე შეხვედრილ მიწაზე გადმოეყვინა და ამგვარად თავიდან მოეცილებინა. ეს თქვეს და მაშინვე შეცურდნენ ზღვაში. მე კი მირჩიეს სასწრაფოდ გავცლოდი ნაპირს, რათა ზღვის მოქცევას არ დავეზრჩე. მერე დამემშვიდობნენ და ცოტა ხანში თვალს მიეფარნენ.

ასეთ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილმა გავწიე წინ და ქვიშიანი ნაპირის სიახლოვეს ერთ ბორცვზე ავედი. დარდით აღვსილი და დაქანცული ჩამოვჯექი, რათა ოდნავ მაინც დამესვენა და მომეფიქრებინა, რა გამეკეთებინა. ცოტა რომ შევისვენე, ხმელეთის სიღრმისაკენ წავედი და გადავწყვიტე პირველსავე შეხვედრილ ველურებს ჩავბარებოდი და მერე მათგან თავი გამომესყიდა სამაჯურებით, მინის ბეჭდებითა და სხვა სათამაშოებით, რაც ამ მხარეში მოგზაურ მეზღვაურებს ბლომად მიაქვთ და რაც ნაწილობრივ მეც გამომყოლოდა. მიწა დასერილი იყო ხეთა გრძელი მწკრივებით. ხეები ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით არ იყო დაშორებული, რაც იმას ადასტურებდა, რომ ადამიანის ხელით არ უნდა ყოფილიყო დარგული. შორიახლო მოჩანდა აგრეთვე გაშლილი საძოვრებიცა და ქერის ყანებიც. ძალზე ფრთხილად მივაბიჯებდი, მეშინოდა, ვაითუ ვინმე მოულოდნელად დამეცეს თავს ანდა გვერდებიდან ან უკნიდან ისარი მტყორცნოს და სიცოცხლეს გამომასალმოს-მეთქი. გატკეპნილ გზაზე გავედი. აქა-იქ აჩნდა ადამიანის ნატერფალი და ძროხის ნაფეხურები, ბოლოს ხეზე ასკუპებული რამდენიმე უცნაური ცხოველი შევაძინე. არაჩვეულებრივი და მახინჯი სხეული ჰქონდათ, რამაც, ცოტა არ იყოს, გუნება გამიფუჭა. ამიტომაც ტვერს ამოფარებული გავწიე, რათა ის ცხოველები კარგად



შემთავალიერებინა. ზოგიერთი მათგანი იმდენად მოუახლოდა იმ ადგილს, სადაც მე ვიწექი, რომ შესაძლებლობა მომეცა, გულდასმით დამეთავალიერებინა. წინა და უკანა თათებზე გრძელი და მოკაკული კლანჭები ჰქონდათ და მათი დახმარებით ციყვივით მარდად დარბოდნენ მაღალი ხეების კენწეროებზე და არაჩვეულებრივი სისწრაფით ხტებოდნენ ტოტიდან ტოტზე. ამასთან, საოცრად ბანჯგვლიანები და დახლართულები იყვნენ. თქვენც მოგეხსენებათ, თუ რამდენი მიმოგზაურია, მაგრამ აქამდე ასეთი საზიზღარი გარეგნობის ცხოველი არსად და არასდროს მენახა. ყოველ შემთხვევაში, ერთი თვალის შევლებითაც, მათდამი უსაზღვრო სიძულვილით განვიმსჭვალე. გადავწყვიტე, რომ მათი ყურება უკვე აღარ შემეძლო და ზიზღითა და სიძულვილით გულამღვრეული გზას იმ იმედით გავუდექი, რომ იგი რომელიმე ინდოელის პაწაწინა ქოხში მიმიყვანდა. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა ძლივს მოვასწარი, რომ ერთ-ერთმა იმ ცხოველთაგანმა გზა გადამიჭრა და პირდაპირ ჩემს შესახვედრად გამოემართა. ჩემს დანახვაზე საშინლად დაიმანჭა და ისეთი გადმოკარკლული თვალებით დამაშტერდა, თითქოსდა რაღაც არაჩვეულებრივი სანახაობა წარმოდგენოდეს თვალწინ. მერე მომიახლოვდა და წინა თათი ასწია. ცნობისმოყვარეობისაგან მოსდიოდა ეს თუ რაიმე ცუდი განზრახვა ედო გუნებაში, არ ვიცოდი, მაგრამ ხანჯალი ვიშიშვლე მაშინვე და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ყუით შემოვკარი. ვერ გავბედე პირით დამერტყა, რადგანაც შემეშინდა იქაური მცხოვრებლები არ ამემხედრებინა ჩემს წინააღმდეგ, თუ ვინიცობაა აღმოაჩენდნენ, რომ მე მათი პირუტყვი მოკალი ანდა დაჟასახიჩრე. იმ უცნაურმა არსებამ როგორც კი იგრძნო ტკივილი, უკან დაიხია და ისე ხმამაღლა იღმუვლა, რომ ჩემკენ მომიჯნავე მინდვრიდან მთელი ჯოგი, ორმოცამდე მისი მსგავსი ქმნილება გამოიჭრა გულშემზარავი ღმუილითა და აუტანელი მანჭვა-გრუხით. თავის საშველად უახლოეს ხესთან მივირბინე, ზურვით მივეყრდენი და ხმალი დავატრიალე, რათა როგორმე შემეკავებინა შემოჯარული მხეცების იერიში.

იმ უსაშველო მდგომარეობაში ჩავარდნილმა შევნიშნე, რომ ცხოველები უკუიქცნენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაიქცნენ იქიდან. ამან გამაბედვინა მოვშორებოდი ხეს და გზას გავდგომოდი. მიკვირდა და ვერ გამეგო, რამ შეაშინა და გააქცია ისინი. ხელმარცხნივ მოვიხედე და მინდორზე ნელი ნაბიჯით მომაჯალი ცხენი შევამჩნიე. ალბათ

ჩემზე ადრე შენიშნეს იგი ჩემმა მღვვრებმა და მათი შეშინებაც სწორედ ამან გამოიწვია. ცხენი ოდნავ შეკრთა ჩემს დანახვაზე, მაგრამ მალე მოიკრიბა მხეობა და გოცებული გაბედულად შემომაჩერდა. რამდენჯერმე შემომიარა გარშემო და ჩემი კიდურები შეათვალიერა. მე გადაუწყვიტე, განმეგრძო გზა, მაგრამ ცხენი წინ გადამეღობა, თუმცა სულაც არ ეტყობოდა, რომ რაიმე ზიანის მოყენება ჰქონდა გუნებაში. ერთხანს ვიდექით ასე და თვალებით ვზომავდით ერთიმეორეს. ბოლოს გაუბედე და ცხენის კისრისაკენ გავიწოდე ხელი, რათა მოეფერებოდი მას ისევე, როგორც მხედნელები, როცა განზრახული აქვთ ჯერაც გაუხედნავი ცხენი დაიჭირონ. მაგრამ ჩემს ალერსს ცხოველი ზიზლით შეზვდა: ჯერ თავი გააქნია, მერე წარბი მოხარა, ბოლოს ფრთხილად ასწია წინა ფეხი და ჩემი ხელიც მოიცილა. დასასრულ, სამ-ოთხჯერ ისეთი ხმით დაიჭიხვინა, რომ ლამის ეჭვი გამიჩნდა, თავის ენაზე ხომ არ ლაპარაკობს-მეთქი.

ამ დროს მეორე ცხენიც მოვიდა, ერთმანეთს მიესალმნენ, მარჯვენა ფეხები ასწიეს და ფლოქვები ფრთხილად შეახეს ერთმანეთს, მერე რიგრიგობით აჭიხვინდნენ; ამ დროს ისე იცვლიდნენ ხმას, რომ დანაწევრებული მეტყველება გვეგონებოდათ. ცოტა ხნის შემდეგ განზე გადგნენ, თითქოს უნდა მოითათბირონო, წინ და უკან მიდი-მოდიოდნენ ერთმანეთის მხარდამხარ მდგარნი, იმ ადამიანების მსგავსად, რომლებიც რაიმე მეტისმეტად მნიშვნელოვან საკითხს წყვეტდნენ; თანაც, წარამარა იხედებოდნენ ჩემკენ, თითქოს ეშინოდათ, სადმე არ გაუქცეულიყავი. მე გაოგნებული ვიყავი, პირუტყვების ამნაირი მოსაზრებელი მოქმედებით; ამ დაკვირვებამ მიმიყვანა დასკვნამდე, რომ, თუ აქაურ მცხოვრებლებს, პროპორციულად, ამის შესაბამისი ჭკუა-გონება და საზრიანობა გააჩნიათ, დედამიწის ზურგზე მათზე ჭკვიანი ხალხი არსად ყოფილა-მეთქი. ამგვარმა ფიქრებმა მხნეობა შემმატა და გადაუწყვიტე მანამდე განმეგრძო გზა, ვიდრე სადმე სახლს ან სოფელს არ წავაწყდებოდი, ან რომელიმე ადგილობრივ მკვიდრს არ შევხვდებოდი. ის ორი ცხენი კი, ერთმანეთთან საუბრით გართულნი, იქვე დამეტოვებინა. მაგრამ პირველმა ცხენმა, რომელიც ნისლა იყო, ჩემი გაპარვა შეამჩნია და ისეთი მრავლისმეტყველი ხმით დაიჭიხვინა, რომ მომეჩვენა, თითქოს მისი ნათქვამი მესმოდა. მეტი რა გზა მქონდა, მოვბრუნდი უკან და მის შემდგომ განკარგულებებს დაუწყევი ლოდინი, მაგრამ, რამდენადაც შემიძლო, ვცადე, თავი ისე

მომეჩვენებინა, თითქოსდა სულაც არ მშინებოდეს. სინამდვილეში კი გულის ფანცქალით მოველოდი, რით დამთავრდებოდა ეს თავგადასავალი. ვფიქრობ, მკითხველი უთქმელადაც მიმიხვდება, რომ არცთუ ისე სასიამოვნო მდგომარეობაში ჩავვარდი.

შემდეგ ორივე ცხენი ერთად მომიახლოვდა და გულმოდგინედ დაუწყეს თვალიერება ჩემს სახესა და ხელებს. ნისლა რაშმა წინა ფეხი ასწია და ჩემს შლაპას იმდენჯერ შეახო თავისი ფლოქვი, რომ საშინლად მიჭმუჭნ-მოჭმუჭნა. მე იძულებული შევიქენი, მომეხადა იგი, გამესწორებინა და ხელახლა დამეხურა, რამაც ნისლა ცხენი და მისი ამხანაგი (ის წაბლა გახლდათ), საშინლად გააოცა. ეს უკანასკნელი შეეხო ჩემი კაშხოლის კალთებს, რომლებიც თავისუფლად ეკიდა, და მათ კიდევ უფრო მეტი გაოცებით გადახედეს ერთმანეთს. წაბლა ცხენმა ფეხი გაუსვ-გამოუსვა ჩემს მარჯვენა ხელსა და, როგორც ჩანდა, მოეწონა მისი ფერი და სილბო, მაგრამ ფლოქესა და კოჭს შორის მოიგდო და ისე მაგრად მომიჭირა, რომ ტკივილები-საგან ღრიალი მოერთე; ეს იყო და ეს; ამის შემდეგ ორივე ცხენი, რაც შეეძლოთ, ფრთხილად მექცეოდნენ და მთელი არსებით ცდილობდნენ რაიმე ზიანი არ მოეყენებინათ. ვერასუზნით ვერ გაგოთ, რას წარმოადგენდა ჩემი ფეხსაცმელები და წინდები. მრავალჯერ შეეხნენ მათ, მრავალჯერ შეათვალიერეს ისინი, ჭიხვინით მიმართავდნენ და რაღაცას ანიშნებდნენ ერთიმეორეს, სხეულის სხვადასხვა ნაწილით გაოცებას გამოხატავდნენ, მსგავსად ფილოსოფოსისა, რომელიც ურთულეს პრობლემას წყვეტს.

ამნაირად, ეს ორი ცხოველი ისე წესიერად, ჭკვიანურად, მოსაზრებულად და მახვილგონივრულად იქცეოდა, რომ ეჭვი დამებადა, შეიძლება ჯადოქრები არიან, რატომღაც თავი ცხენებად გადაიქციეს და საბრალო, მარტოხელა მგზავრის შეშინებით თავს ირთობენ-მეთქი. გარდა ამისა, შესაძლებელი იყო, ისინი მართლაც გააოცა ხილვამ ადამიანისა, რომელიც ტანისამოსით, სახის ნაკვეთითა და აღნაგობით ფრიად განსხვავდებოდა იმ მიყრუებული მხარის ადგილობრივ მკვიდრთაგან, რომლებზედაც დღემდე თვალი ჰქონდათ შეჩვეული. ბოლოს და ბოლოს, ამ აზრს დავადექი და გაუბედურ შემდეგი სიტყვებით მიმემართა მათთვის: „ჯენტლმენებო, თუ თქვენ მართლაც გრძნეულები ბრძანდებით, რის დასაჯერებლადაც საკმაო საფუძველი გამაჩნია, ყველა ენის გაგება შეუძლებლათ, ამიტომაც გაუბედაუ

და ვაცნობებ თქვენს აღმატებულებებს, რომ მე ერთი საბრალო ინ-  
გლისელი გახლავართ, რომელიც მუხთალმა ბედმა თქვენი ქვეყნის  
ნაპირზე გადმომისროლა. მორჩილად გვედრებით და გთხოვთ, რომ  
ერთ-ერთმა თქვენგანმა ნამდვილი ცხენოვით შემისვას ზურგზე და  
რომელიმე სახლში ანდა სოფელში მიმიყვანოს თავშესაფრის სა-  
პოვნელად. ამგვარი სამსახურის საზღაურად ამ დანასა და სამაჯურს  
გიბოძებთ“ (ამის თქმა და იმ ნივთების ჯიბიდან ამოღება ერთი იყო).  
ორივე ქმნილება დუმდა, ვიდრე მე ვლაპარაკობდი და, როგორც ეტ-  
ყობოდა, დიდი ყურადღებით მისმენდნენ. ლაპარაკს რომ მოვრჩი, ისე  
დაიწყეს ჭიხვინი ერთმანეთს შორის, თითქოსდა რაღაცა სერიოზულ  
საკითხზე კამათობენო. მე შევამჩნიე, რომ მათი ენა მათ განწყობილუ-  
ბასა და აზრს მშვენივრად გამოხატავდა და, თუ კაცი მოინდომებდა,  
დიდი შრომა არ დასჭირდებოდა, რათა მათი სიტყვები ბგერებად და  
ასოებად დაეყო, ყოველ შემთხვევაში, ეს ჩინურის სწავლაზე უფრო  
ადვილი მაინც იქნებოდა.

სხვებზე უფრო ხშირად მესმოდა სიტყვა „იაჰუ“, რაც თითოეულ-  
მა მათგანმა რამდენჯერმე გაიმეორა და, თუმცა არ მესმოდა მისი  
მნიშვნელობა, ვიდრე ცხენები გაცხარებული საუბრობდნენ, ამ სი-  
ტყვის გამოთქმაში ჩემთვის მაინც წაფიქრებულა. ხოლო, როგორც კი  
ისინი დადუმდნენ, გაბედულება მოვიკრიბე და რაც შემეძლო ხმა-  
მადლა ვიყვირე „იაჰუ“, თანაც, რამდენადაც მოუახერხე, ვცადე მათი  
ჭიხვინისათვის მიმემსგავსებინა. ამან მათში აშკარა გაოცება გამოი-  
წვია; ნისლამ ორჯერ გაიმეორა იგივე სიტყვა. როგორც ჩანდა, სურ-  
და მისი სწორი გამოთქმა ესწავლებინა ჩემთვის. მეც მასთან ერთად  
გავიმეორე რამდენიმეჯერ და თვითონაც შევამჩნიე, რომ ყოველი ახა-  
ლი წარმოთქმის დროს უკეთესად და უკეთესად გამოვთქვამდი, თუმცა  
სრულყოფილებისაგან ჩემი გამოთქმა მაინც ძლიერ შორს იყო. მაშინ  
წაბლამ სცადა, მეორე, უფრო ძნელად წარმოსათქმელი სიტყვა ესწა-  
ვლებინა. ის სიტყვა ჩვენებური ანბანით რომ ჩავწეროთ, დაახლოებით  
ასეთ სახეს მიიღებდა: „ჰუიჰჰჰჰ“. ამ უკანასკნელს წინა სიტყვასა-  
ვით ადვილად და კარგად ვეღარ დავეუფლე, მაგრამ მისი წარმოთქმა  
ორ-სამჯერ ვცადე და ბოლოს, როგორც იქნა, ერთგვარად დაეძლიე.  
ჩემმა უნარიანობამ ცხენები გააოცა და მერე როგორ!

ცოტა ხანი კიდევ ითათბირეს (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომიჩვე-  
ნა), მერე ისე ნაზად შეახეს ერთმანეთს ფლოქვები და ეს ორი გული-

თადი მეგობარი დასცილდა ერთმანეთს. ნისლამ მანიშნა წინ გაუძლო-ლოდი; მეც მიზანშეწონილად ჩავთვალე დაკმორჩილებოდი, ვიდრე იმ კუნძულზე მათზე უკეთეს მეგზურს აღმოვაჩენდი; როცა ნაბიჯს მოუწუნებდი, იგი შემჭიხვინებდა: „ჰუნ, ჰუნ!“ მიუხვდი, რას ნიშნავდა ეს სიტყვა და როგორც შემეძლო აუხსენი, რომ დაღლილი ვიყავი და უფრო ჩქარი სიარული აღარ შემეძლო. მიმიხვდა ნათქვამს და დრო-დადრო ჩერდებოდა, რათა ჩემთვის შესვენების შესაძლებლობა მოეცა.

## თავი მეორე

ავტორი ჰუიჰანსონს თავის სახლში მიჰყავს. მისი სახლის აღწერა. ავტორის მიღება. ჰუიჰანსონების საკვები. ავტორს გაუჭირდება საჭმლის შოვნა. ბოლოს გამოსაუღოს მონახავს. რით საზრდოობდა ავტორი იმ ქვეყანაში.

სამიოდე მილი გავიარეთ და ერთ დაბალ, მოგრძო შენობას მივაღექით. როგორც ეტყობოდა, მის შშენებლებს მიწაში ხის ბოძები ჩაესოთ და წნელით შეეღობათ, შემდეგ ჩალით დაეხურათ. მთელი ამ ნაგებობის ავლადიდება ეს იყო და ეს. მე, ცოტა არ იყოს, ამის დანახვისას, გულზე მომეშვა და მაშინვე ამოვიღე პატარა-პატარა სათამაშოები, რომლებიც ჩვეულებრივ მრავლად მიაქვთ ამერიკის ინდიელებთან და დედამიწის სხვა ნაწილებში. იმედი მქონდა, ამ საჩუქრების წყალობით უფრო კარგად და თავაზიანად მიმიღებდნენ. ცხენმა მანიშნა პირველი შევსულიყავი. ჩვენ ერთ უზარმაზარ ოთახში ამოვყავით თავი; მას თიხის სწორი იატაკი ჰქონდა, ერთ მხარეზე კედლიდან კედლამდე გასდევდა ბაგა და ლარტყული. იქვე იყო სამი ჯუჯა ცხენი და ორი ფაშატი. ისინი ამჯერად არც ჭამდნენ და არც იდგნენ, არამედ ფეხებმოკეცილები მიწაზე ისხდნენ, რამაც ძალიან გამაოცა, მაგრამ ჩემმა გაკვირვებამ ყველა ზღვარს მაშინ გადააჭარბა, როდესაც დავინახე, რომ დანარჩენები საოჯახო საქმეებს აკეთებდნენ. და მაინც, ისინი პირუტყვები უნდა ყოფილიყვნენ. ამან განამტკიცა ჩემში ის აზრი, რომ ხალხი, რომელმაც შეძლო შეუგნებელი ცხოველები ისე გაქწვრთნა, სიბრძნის მხრივ მსოფლიოში ყველა ხალხზე გაცილებით მაღლა უნდა მდგარიყო. ნისლაც ფეხდაფეხ შემომყვა, რათა დანარჩენებს რაიმე ზიანი არ მოეყენებინათ. მან რამდენჯერმე

მბრძანებლური ტონით დაიჭიხვინა რაღაცა და სათანადო პასუხიც მიიღო.

ამის გარდა, სახლს კიდევ სამი ოთახი ჰქონდა, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით შენობას თავიდან ბოლომდე გასდევდა. მათ ერთმანეთში გამაჟალი სამი კარი ჰქონდათ დატანებული და, ყველა ერთბაშად რომ გაგეღოთ, სახლის თავიდან ბოლომდე გაიხედავდით, როგორც ხეივანში. მეორე ოთახი გავიარეთ და შესამეს მოვადექით. ნისლა მარტო შევიდა იქ, მე კი მანიშნა, დამეცადა. მეც მეორე ოთახში დავრჩი და სახლის პატრონისა და დიასახლისისთვის საჩუქრები მოვაშხადე. ესენი გახლდათ: ორი დანა, სამი სამაჯური ყალბი ბრილიანტებით, პატარა სარკე და მძივები. ცხენმა სამ-ოთხჯერ დაიჭიხვინა და მეც მოველოდი, რომ როცა იქნებოდა, ადამიანის ხმა გასცემდა პასუხს; მაგრამ რატომღაც იქიდანაც ჭიხვინით უპასუხეს, ოღონდ უფრო წვრილი და ნაზი ხმით გაქმნიან. გავიფიქრე: ეს სახლი ვინმე წარჩინებულ პიროვნებას უნდა ეკუთვნოდეს, რაკი მასთან შესვლას ამდენი ცერემონია დასჭირდა-მეთქი. მაგრამ ჩემთვის მაინც გაუგებარი დარჩა, რატომ ემსახურებოდნენ დიდგვაროვან პირს მარტოდმარტო ცხენები. თანაც ეჭვი აღმეძრა, ვინ იცის, იქნებ ამდენმა ტანჯვამ და წამებამ გონება ამირია და ყველაფერი ეს მეჩვენება ძილბურანში მყოფს-მეთქი. ძალა დავატანე ჩემს თავს და დავაკვირდი იმ ოთახს, რომელშიც ვიმყოფებოდი. ეს ოთახიც ისევე იყო მორთული, როგორც პირველი, ოღონდ აქ მეტი მონდომება და გემოვნება იგრძნობოდა. თვალები რამდენჯერმე მაგრად მოვიფშენიბე, მაგრამ მაინც სულ ერთსა და იმავე საგნებს ვხედავდი, ხელები და გვერდები დავიჩქმიბე, რადგანაც თავი სიზმარში მეგონა, მაგრამ ამაოდ, ამან ვერაფერი მიშველა. მაშინ საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ ეს სხვა არაფერია, გარდა ჯადოსნობისა და მაგიისა. მაგრამ ფიქრის დასრულება არ დამცალდა, ნისლა მოადგა კარს და მანიშნა, შესამე ოთახში შევეყოლოდი. იქ თვალწინ წარმომიდგა მშვენიერი ჭაკი ცხენი ორი კვიცით, რომლებიც ფეხებმოკეცილნი ისხდნენ ოსტატურად დაწულ კოხტა და სუფთა ჭილოფებზე.

შევედი თუ არა, ჭაკი ცხენი მაშინვე წამოიჭრა ჭილოფიდან, მერე მომიახლოვდა, გულდასმით შეათვალა ჩემი სახე და ხელები და ზიზლით დამიწყო ყურება. მერე ცხენს მიუბრუნდა და მოჰყვინა ჭიხვინს, რომლის დროსაც მესმოდა რა ხშირად ახსენებდნენ სიტყვა „იაპუს“, რომლის მნიშვნელობაც მაშინ არ მესმოდა, თუმცა ეს იყო

მათი პირველი სიტყვა, რომლის წარმოთქმაც თავიდანვე ვისწავლე და ჩემდა სასირცხვილოდ მალე გავიგე, რას ნიშნავდა იგი. ნისლა ცხენმა ისევ დამიქნია თავი და გაიმეორა სიტყვები „ჰუნ, ჰუნ!“ იმგვარადვე, როგორც გზაზე, რაც, ჩემი გაგებით, იმას ნიშნავდა, რომ გაეყოლოდი. ჩვენ უკანა ეზოში გავედით და განსაზღვრული მანძილის გავლის შემდეგ მივადექით მეორე შენობას. შევედით შიგ და კვლავ დავინახე სამი ისეთივე საზიზღარი ცხოველი, ამ კუნძულზე გადმოსვლისთანავე რომ შევეჩხუ. ისინი მცენარეთა ძირებსა და რაღაც ცხოველების ხორცს მიირთმევდნენ... როგორც შემდეგში გავიგე, ეს იყო ვირის, ძაღლისა და შემთხვევით დასახიჩრებული ან რაიმე ავადმყოფობის გამო დაკლული ძროხის ლეში. სამივენი კისრით მაგრად მიებათ ბოძზე იფნის წნელით. წინა ფეხების კლანჭებში იჭერდნენ საჭმელს, ბასრი კბილების შემწეობით გლეჯდნენ და აქუცმაცებდნენ.

მასპინძელმა ცხენმა უბრძანა წაბლისფერ ჯუჯა ცხენს, ერთ-ერთ თავის მსახურთაგანს, აეხსნა იმ სამ ცხოველში უდიდესი და ეზოში გამოეყვანა. ის მხეცი და მე ერთად დაგვაყენეს და ჩვენი გარეგნობა მასპინძელმა და მისმა მსახურმა რამდენჯერმე შეადარეს ერთიმეორეს, რომლის დროსაც წარამარა იმეორებდნენ ჩვენთვის ცნობილ, მაგრამ აქამდე გაუგებარ სიტყვა „იაჰუს“, რომლის მნიშვნელობასაც ახლა თანდათან ვხვდებოდი. ჩემი კალამი უძლურია აღწეროს ის შიში და გაოცება, რამაც იმ საზიზღარი ცხოველის გარეგნობაში ნამდვილი ადამიანის აღნაგობის აღმოჩენისას შემიპყრო. სახე, რა თქმა უნდა, ფართო და ბრტყელი ჰქონდა, ცხვირი ჩაჭყლელტილი, პირიც ფართო, მაგრამ ეს ნიშნები ხომ საერთოდ ახასიათებს ველურებს, რომლებიც თავიდანვე იმით ამახინჯებენ თავიანთ ბავშვებს, რომ მიწაზე პირქვე აწვენენ ანდა ზურგით დაატარებენ ხოლმე, რომლის დროსაც ცხვირი გამუდმებით ეხახუნება უფროსის მხრებს და ბავშვიც, ბუნებრივია, ცხვირჩაჭყლელტილი და სახებრტყელი გამოდის. იაჰუს წინა ფეხები სხვა არაფრით არ განირჩეოდა ჩემი ხელებისაგან, გარდა იმისა, რომ მას ფრჩხილები უფრო გრძელი ჰქონდა, ხელისგული — უფრო გაშავებული და ტლანქი, მხრები კი — ბალნით დაფარული. მის უკანა ფეხებსა და ჩემს ფეხებს შორისაც ამგვარი მსგავსება და განსხვავება აღმოვაჩინე. ყოველივე ამას მე გარკვევით ვხედავდი, თუმცა ცხენები ვეღარ ამჩნევდნენ, რადგანაც მე წინდები და ფეხსაცმელები მეცვა.

ჩვენ ერთიმეორისგან მხოლოდ და მხოლოდ ბალნიანობითა და კანის ფერით განვირჩეოდით, როგორც ეს უკვე მოგახსენეთ.

ეტყობა, ჩვენ შორის მეტი მსგავსების აღმოჩენა ცხენებს ჩემმა ტანსაცმელმა გაუძნელა, რადგანაც მათ ტანისამოსის არაფერი გაეგებოდათ და საიდან უნდა სცოდნოდით, რომ ამ განსხვავებას სწორედ ტანისამოსი ქმნიდა.

შუადღისათვის სახლს ერთგვარი ოთხთვალა მოადგა, რომელიც მარხილს ჩამოჰკავდა. მასში ოთხი იაპუ იყო შებმული. ოთხთვალაში იჯდა ერთი ბებერი ცხენი, რომელიც, როგორც ჩანდა, ვინმე წარჩინებული უნდა ყოფილიყო. ის უკანა ფეხებით ჩამოვიდა, რადგანაც წინა ფეხი რალაც შემთხვევის შედეგად დაშავებოდა. ჩვენს მასპინძელთან სადილად იყო მოსული და ამანაც უაღრესად თავაზიანად მიიღო. საუკეთესო ოთახში ასადილეს, მეორე კერძად მოხარშული ქერი მიართვეს; ეს კერძი თბილად მხოლოდ სტუმრად მოსულმა ცხენმა შეჭამა, დანარჩენებმა ცივად მიირთვეს. ბაგები ოთახის შუაგულში წრიულად განელაგებინათ, ყოველი თანამესუფრისათვის ტიხრით სათანადო ადგილი გამოეყოთ. ისინი თივაზე ჩამსხდარნი უსხდნენ სუფრას. ყოველ ბაგაში ლარტყული იყო მოთავსებული თივისა და სხვა კერძებისთვის. ცხენები თავ-თავიანთ თივას და რძეში მოხარშულ ქერის ფაფას მიირთმევდნენ და ჭამის დროს საოცარ წესიერებასა და სიკობხტავეს იჩენდნენ. ფაშატებიც ჩუმად იყვნენ და სტუმრის წინაშე სათანადო რიდსა და მოწიწებას ამჟღავნებდნენ, მასპინძელი და დიასახლისი კი ცდილობდნენ გაემხიარულებინათ იგი და, რაც შეიძლებოდა, პატივი ეცათ. ნისლა ცხენმა მიბრძანა მის გვერდით დაემდგარიყავი; როგორც ჩანს, მას და მის მეგობარს შორის ცხარე კამათი იყო გამართული ჩემ შესახებ, რადგან უცხო ცხენი ხშირად მიყურებდა და წამდაუწუმ იმეორებდა სიტყვა „იაპუს“.

როგორღაც ისე მოხდა, რომ იმჯერად ხელთათმანები მეკეთა. ნისლამ ეს რომ შეამჩნია, სახტად დარჩა და მოახერხა თავისებურად ენიშნებინა, რა მოგსვლიაო. ფლოქვი სამ-ოთხჯერ ისე დამადო ხელებზე, თითქოსდა მოითხოვდა მათთვის პირვანდელი მდგომარეობა დამებრუნებინა. ხათრი არ გავუტეხე, ხელთათმანები წავიძვრე და ჯიბეში ჩავიდე. მათ საუბარი განაახლეს და, როგორც შევატყვე, ჩემი საქციელი ძალზე ესიამოვნათ და ჩემდამი ერთგვარი სიმპათიით განიწყვნენ. მიბრძანეს წარმომეთქვა ის ორიოდე სიტყვა, რომელთა



გამოთქმაც უკვე შექმედლო. სადილობის დროს მასპინძელმა ქერის, ცეცხლის, წყლისა და კიდევ რამდენიმე ნივთიერების სახელი მასწავლა. მეც ადვილად ვიმეორებდი და ვიმახსოვრებდი მათ: ბავშვობიდანვე ტყუილად როდი ვამქლავებდი ენების შესწავლის ნიჭსა და მისწრაფებას.

ნასადილევს მასპინძელმა განზე გამიხმო. სიტყვებითა და ნიშნებით გამაგებინა, რომ ჩემი უჭმელობა აწუხებდა. ქერს მათ ენაზე ეწოდება „ჰლუნჰ“. ეს სიტყვა მე ორ-სამჯერ წარმოვთქვი; მართალია, პირველად უარს ვამბობდი მის ჭამაზე, მაგრამ ახლა დაუფიქრდი და აზრად მომივიდა, რომ შესაძლებელი იყო მისგან თავისებური პური გამომეცხო. იმ პურითა და რძით ერთხანს თავს გავიტანდი, სანამდევ რამენაირად სხვა ქვეყანაში გადავიდოდი და ჩემს მსგავს არსებებს შორის მოვხვდებოდი. ცხენმა დაუყოვნებლივ უბრძანა ხელზე მოსამსახურე ჭაკ ცხენს ხის ჯამით ბლომად ქერი მოეტანათ ჩემთვის. რამდენადაც მოვახერხე, ცეცხლზე მოვხალე იგი, მერე ხელით დაუფშვენი და ქერი გაუცალე, ჰაერზე გაუანიავე, ორ ბრტყელ ქვას შორის დაუაწყვე, წყალში მოვზილე და გამოვაცხვე. მიღებული თბილი პური რძესთან ერთად შევჭამე და საკმაოდ დაუნაყრდი. ეს საჭმელი, რომელიც ერთ დროს ევროპაში მეტად გავრცელებული იყო, პირველად მეტად უგემური მეჩვენა, მაგრამ თანდათანობით შევეჩვიე. ცხოვრებაში ბევრი გაჭირვება მინახავს, ბევრჯერ მიშიშმილია და ყველაფერმა ამან საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რომ სინამდვილეში ძალზე ცოტა რამ სჭირდება ადამიანს, რათა სიცოცხლე შეინარჩუნოს. არ შემიძლია, ამასთანავე, ისიც არ აღვნიშნო, რომ იქ ყოფნის მანძილზე თავიც კი არასოდეს წამომტკენია. მართალია, ხანდახან იაჰუს ბალნისგან გაკეთებული ბადით ბაჭიას ანდა რომელიმე ფრინველს დავიჭერდი ხოლმე; აგრეთვე ხშირად მომიწყვეტია საჭმელად ვარგისი ბალახეულობა, მომიხარშავს ანდა ნედლად მიჭამია, რამდენჯერმე კი კარაქიც გამოვხადე და დოც დავლიე. პირველად უმარილობა ძალიან მაწუხებდა, მაგრამ ამ მდგომარებასაც მალე შევეჩვიე და დავრწმუნდი, რომ მარილის დიდი რაოდენობით მოხმარება ადამიანებში უფრო ფუფუნებითაა გამოწვეული, ვიდრე აუცილებლობით. მისი მიღება ჩვენმა წინაპრებმა, ალბათ, დაიწყეს მხოლოდ და მხოლოდ წყურვილის გამოსაწვევად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ სასაგზლო ანდა შორეულ ბაზარზე წასაღები ხორცის შესანახად სჭირდებოდათ.

ხოლო, რაც შემეხება პირადად მე, იმ ქვეყნიდან რომ წამოუდღი, დიდი ხანი მომიხდა, ვიდრე მარილიან საჭმელს პირს დაჯაკარებდი.

ამ საკითხზე მეტის თქმა საჭირო აღარ არის, თუმცა მოგზაურები თავიანთი წიგნების უდიდეს ნაწილს ამ თემას უძღვნიან, თითქოსდა მკითხველს დიდად აინტერესებდეს კარგად ვიკვებებოდით, თუ — ცუდად. მაგრამ, აუცილებელი იყო ამ საკითხს შევხებოდი, რათა გამომერიცხა ყოველგვარი გაუგებრობა იმის თაობაზე, თუ როგორ გავძელი ასეთ ქვეყანაში და ამნაირ მცხოვრებლებს შორის სამი წელი.

მოსაღამოვდა თუ არა, მასპინძელმა ცხენმა დასაძინებლად ადგილი მიმიჩინა. ის სულ რაღაც ექვსი იარდით იყო დაშორებული სახლიდან და თანაც განცალკევებული იაპუების თავლიდან. ცოტაოდენი ჩალა დავიგე ძირს, ზვეიდან ჩემოვე ტანსაცმელი გადავიფარე და საღათას ძილით დავიძინე. თუმცა, რამდენიმე ხანში გაცილებით კარგად და მოხერხებულად მოეწევე, რასაც, თავის დროზე, ჩემს მკითხველს დაწვრილებით მოუთხრობ.

## თავი მესამე

ავტორი გულმოდგინედ სწავლობს ენას. მისი მასპინძელი ჰუიჰანში ეხმარება მას ამ საქმეში. ჰუიჰანში ენის აღწერა. რამდენიმე დიდგვაროვანი ჰუიჰანში მოდის ავტორის სანახაუდ. ავტორი მასპინძელს მოკლედ უყვება თავისი მოგზაურობის ამბავს.

თითქმის მთელ ჩემს თავისუფალ დროს ენის შესწავლას ვანდობებდი. მასპინძელი (ამიერიდან ასე დაუქმებ მას), მისი შვილები და შინამოსამსახურეები დიდი სიამოვნებითა და მონდომებით მასწავლიდნენ, რადგანაც, მათი აზრით, რაღაც სასწაული იყო, რომ ჩემისთანა უგუნური ცხოველი გონიერი არსების ზოგიერთ ნიშნებს ამჟღავნებდა. მე ვუთითებდი სულ ახალ და ახალ საგნებზე და ვკითხულობდი მათ სახელებს, მერე, როგორც კი მარტო დავრჩებოდი, ჩემს უბის წიგნაკში ვიწერდი და ცუდ გამოთქმას იმით ვასწორებდი, რომ განმეორებით ვეკითხებოდი იმ სახელებს ოჯახის სხვადასხვა წევრს. ყველაზე უფრო დაუზარებლად წაბლისფერი ჯუჯა ცხენი, ნისლას ერთ-ერთი შინამოსამსახურე მშველოდა.

ჰუიჰნჰნმები ცხვირსა და ხორხში გამოთქვამენ ბგერებს და მათი ენა ზემოგერმანულს უფრო ჩამოჰგავს, ყველა იმ ევროპულ ენებს შორის, რომლებსაც მე ვიცნობ, თანაც იგი გაცილებით უფრო ლამაზი და მარილიანია. იმპერატორმა კარლოს მეხუთემაც<sup>1</sup> ხომ იგივე შენიშვნა, როდესაც თქვა, რომ, თუ ჩემს ცხენთან დალაპარაკება მომინდება, უთუოდ ზემოგერმანულ ენას მივმართავო.

ჩემი მასპინძელი ისე იყო მოწყურებული, რაც შეიძლება საჩქაროდ შემესწავლა მათი ენა, რომ მთელ თავისუფალ დროს ჩემს სწავლებას ანდომებდა. ის დარწმუნებული იყო (როგორც შემდეგში მიაბბო), რომ მე იაჰუ ვიყავი; მაგრამ ჩემი სწავლისუნარიანობა, თავზიანობა და სისუფთავე აოცებდა და ეჭვს აღუძრავდა, რადგანაც ეს თვისებები იაჰუების ხასიათს სულაც არ შეესაბამებოდა. კიდევ უფრო აკვირვებდა ჩემი ტანსაცმელი; ბევრჯერ უმტვრევია თავი იმაზე ფიქრით, ჩემი ორგანიზმის ნაწილი იყო იგი თუ არა, რადგანაც, სანამ მთელი ოჯახი ძილს არ მოეცემოდა, არასოდეს გამიხდია ტანზე და ჩაცმითაც იმათ გამოღვიძებამდე ვიცვამდი. ჩემს მასპინძელს ძალზე აინტერესებდა, საიდან ვიყავი მოსული, საიდან მოვიპოვე ის მცირეოდენი გონიერება, რასაც ჩემს ქცევაში ვამჟღავნებდი. ერთი სული ჰქონდა, როდის მოუყვებოდი საკუთარი პირით ჩემს თავგადასავალს, რასაც, მისი აზრით, მოკლე ხანში უთუოდ შევძლებდი, ვინაიდან სწრაფად და დიდი წარმატებით ვიმახსოვრებდი მათ სიტყვებს, წინადადებებს და მათ მნიშვნელობას. დასწავლილ სიტყვებს ინგლისური ანბანის მიხედვით ვალაგებდი და თითოეულ სიტყვას სათანადო ახსნა-განმარტებას ვურთავდი. ბოლოს გაეთამაძდი და ამას ჩემი მასპინძლის თანდასწრებითაც ვაკეთებდი. ძალიან გამიჭირდა გამეგებინებინა, თუ რას ვშერებოდი, რადგანაც იქაურ მცხოვრებლებს არავითარი წარმოდგენა არ გააჩნიათ წიგნსა და ლიტერატურაზე.

ათ კვირას არც კი გაველო, რომ ჩემი მასპინძლის ყველა კითხვის გაგება შემიძლო, ხოლო სამ თვეში, ასე თუ ისე, გასაგებად ვიძლეოდი პასუხს. ყველაზე მეტად ჩემს მასპინძელს იმის გაგება სურდა, თუ ქვეყნის რომელი ნაწილიდან ჩამოვედი და როგორ ვისწავლე

<sup>1</sup> იმპერატორი კარლოს V (768-814) — საფრანგეთის მეფე, რომლის დროსაც ფრანკთა სახელმწიფომ უდიდეს ძლიერებას მიაღწია. გადმოცემის თანახმად, კარლოს V-ს განუცხადებია, რომ ის სიამოვნებით გაესაუბრება ღმერთს — ესპანურად, საყვარელს — იტალიურად, ხოლო ცხენს — გერმანულად.

გონიერი არსებების მიბაძვა, რადგანაც იაპუები (რომლებსაც, მისი თქმით, მე ზუსტად მიმიგავდა თავი, ხელები და სახე; ერთი სიტყვით, ყველა ის ორგანო, რომლებიც მიჩანდა), თავიანთი ეშმაკობისა და ბოროტმოქმედებისაკენ ძლიერი სწრაფვის მიუხედავად, ყველაზე ნაკლებად ემორჩილებიან წვრთნას. მე ვუპასუხე, რომ მოვედი ზღვის გაღმა მდებარე შორეული ქვეყნიდან, ჩემი სახის სხვა მრავალ არსებთან ერთად, ხის მორებისაგან გაკეთებული ჭურჭლით; რომ ჩემმა თანამგზავრებმა იმ ქვეყნის სანაპიროსთან გადმომსვეს და დამტოვეს ბედის ანაბარა. ბევრი ვიწვალე, ვიდრე სიტყვებითა და ათასგვარი ნიშნით გაუგებინებდი ამას. მასპინძელმა მიპასუხა, ალბათ შეცდით ანდა ისეთი რამე თქვით, რაც არ ყოფილაო (მათ ენაში არ არსებობს სიტყვები „ტყუილი“ ან „სიცრუე“). მას არ სჯეროდა, რომ ზღვის გაღმა არსებობს ქვეყანა და რომ უგუნურთა გროვას შეუძლია უზარმაზარი ჭურჭელი ზღვაზე საითაც მოეპრიანება, იქითკენ წიყვანოს. იგი დარწმუნებული იყო, რომ არც ერთ ჰუიჰჰჰმს არ შეეძლო ასეთი ჭურჭლის გაკეთება და იაპუებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტად მიაჩნდა.

სიტყვა ჰუიჰჰჰმში მათს ენაზე ნიშნავს ცხენს, ხოლო ეტიმოლოგიურად — ბუნების სრულყოფილებას. მე მოვახსენე ჩემს მასპინძელს, ჯერჯერობით ჩემი აზრების გამოსახატავად სიტყვები არა მყოფნის, მაგრამ უახლოეს ხანებში იმედი მაქვს, ნამდვილი სასწაულები მოგასმენინოთ-მეთქი. ჩემი მასპინძელი საკუთარ ჭაკს, ფაშატებს და შინამოსამსახურეებს სიამოვნებით მიგზავნიდა, ოღონდ ენა ესწავლებინათ ჩემთვის. თვითონაც დღეში ორ-სამ საათს ანდომებდა ამ საქმეს. მეზობელი მიდამოებიდან წარჩინებულმა ცხენებმაც მოუხშირეს სტუმრობას, აინტერესებდათ ჩემი ნახვა, რადგანაც ხმა იყო გაუარდნილი, გამოჩნდა საოცარი იაპუ, რომელსაც ჰუიჰჰჰმის მსგავსად შეუძლია ლაპარაკი და, როგორც ჩანს, სიტყვებითა და მოქმედებით ერთგვარ საზრიანობას ამჟღავნებსო. მათ სიამოვნებდათ ჩემთან საუბარი. უამრავ კითხვას მაყრიდნენ და შეძლებისამებრ მეც ვპასუხობდი. ამ ხელსაყრელმა პირობებმა ისე წამწია წინ, რომ ჩემი ჩამოსვლიდან ხუთ თვეში მათ ლაპარაკს ჩინებულად ვიგებდი და ჩემს აზრებსაც არცთუ ისე ცუდად გამოვხატავდი.

მასპინძელთან ჩემს სანახავად და გასასაუბრებლად მოსული ჰუიჰჰჰმები ძლოვს იჯერებდნენ, რომ მე ნამდვილი იაპუ ვიყავი, რადგანაც ჩემი თანამომხმეებისაგან განსხვავებით, ჩემი კანი სულ სხვანაირ

საფარველს ატარებდა. ისინი გაკვირვებული იყვნენ, რომ მე ტანზე არც ჩვეულებრივი ბალანი მქონდა და არც კანი, გამონაკლისს მხოლოდ თავი, სახე და ხელები შეადგენდა. მაგრამ, მალე ერთმა შემთხვევამ ჩემს საიდუმლოს ფარად ახადა.

უკვე მოვახსენე მკითხველს, რომ ყოველ ღამე, როგორც კი მთელი ოჯახი ძილს მიეცემოდა, ჩვეულებისამებრ გავიხდიდი და ჩემს ტანისამოსს ზევიდან გადავიხურავდი ხოლმე. ერთხელ, სისხამ დილით, ვიდრე ადგომას და ჩაცმას მოვასწრებდი, ჩემმა მასპინძელმა გამოგზავნა წაბლისფერი ჯუჯა ცხენი, თავისი მსახური. როცა ის შემოვიდა, ძილბურანში ვიყავი, ტანისამოსიც გადამხდოდა. ხმაურზე გამომეღვიძა. მსახურმა რაღაც დაბნეულად გადმომცა პატრონის დანაბარები, მერე გაბრუნდა და შეშინებულმა არეულ-დარეულად უამბო თურმე ჩემს მასპინძელს საკუთარი თვალებით ნანახი. ეს მალევე გახდა ჩემთვის ცნობილი, რადგანაც, მის მოწყალებასთან გამოცხადდი თუ არა, გოცებულმა მაშინვე მომთხოვა განმემარტა, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ის, რაც მსახურმა უამბო: რომ მე ისეთივე არ ვიყავი ძილის დროს, როგორიც სიფხიზლეში ვჩანდი; რომ ჩემი სხეულის ზოგიერთი ნაწილი თუთრი იყო, ზოგიერთი — მოყვითალო, ზოგიერთი კი — სრულიად შავი.

აქამდე ჩემი ტანისამოსის ამბავს საიდუმლოდ იმიტომ ვინახავდი, რომ მინდოდა, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, განმესხვაყებინა თავი იაჭუების წყეული მოდგმისაგან. მაგრამ ახლა გვიანლა იყო. დამალვას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა. გარდა ამისა, იმასაც მშვენიერად ვგრძნობდი, რომ ჩემი ტანისამოსი და ფეხსაცმელები მალე გაცვდებოდა და მათი რამენაირად ახლებით შეცვლა იქნებოდა საჭირო. იაჭუების ან რომელიმე სხვა ცხოველების ტყავი შეიძლებოდა ამისათვის გამომეყენებინა. ამიტომაც, ადრე თუ გვიან, ეს ამბავი უნდა გამჟღავნებულიყო. ამგვარად, ჩემს მასპინძელს გულახდილად ვუამბე სრული სიმართლე და გავაგებინე, რომ ჩემს ქვეყანაში ჩემისთანა არსებები ყოველთვის იბურავენ ტანს რომელიმე ცხოველის ბალნისაგან ოსტატურად გაკეთებული სამოსლით, რასაც ატარებენ, როგორც ზრდილობისათვის, ისე ზედმეტი სიცოცხე-სიცხისაგან სხეულის დასაფარავად. ამას, თუ მისი მოწყალება მოისურვებდა და მიბრძანებდა, საკუთარი თავის მაგალითზე ახლავე დაჯანახვებდი; სხეულის მხოლოდ იმ ნაწილებზე დავიტოვებდი სამოსს, რომლის დაფარვაც თავად ბუნებამ

გვიკარნახა. ამაზე მასპინძელმა გაკვირვებით მომიგო, რომ მისთვის გაუგებარი იყო, როგორ შეიძლებოდა ბუნებას ეკარნახა ჩვენთვის იმის დამალვა, რაც თავად გვიწყალობა; რომ მას და მისი ოჯახის წევრებს საკუთარი სხეულის არც ერთი ნაწილის გამოჩენის არ რცხვენოდათ; თუმცა, მე უფლება მქონდა, როგორც მსურდა, ისე მოქცეულიყავი. ამის საპასუხოდ მაშინვე გავიხსენი ხიფთანი და გავიძვრე. ასევე გავიხადე ფეხსაცმელები, წინდები და შარვალი. პერანგი წელამდე ჩავუშვი და გადმოვაბრუნე, ისე, რომ წელზე ქამაროვით შემომერტყა.

გაოცებული მასპინძელი ცნობისმოყვარედ და გაოცებით აკვირდებოდა ჩემს მოქმედებას. სათითაოდ აიღო ჩემი ტანსაცმელი და გულმოდგინედ გასინჯა. მერე შიშველ სხეულზე ნაზად შემეხო და რამდენიმეჯერ ამათვალიერ-ჩამათვალიერა. ამის შემდეგ მითხრა, ცხადია, რომ ნამდვილი იაჰუ ხარ, მხოლოდ შენი თანამოდმეებისაგან სინაზით, სითუთრით, კანის სილბოთი, წინა და უკანა ფეხების კლანჭების მოყვანილობითა და სიმოკლით, უკანა ორი ფეხით სიარულის ჩვევით და ამ ჩვევის სიყვარულით განსხვავდებიო. მან ჩემი დიდხანს ყურება აღარ მოისურვა და ნება დამართო ისევ ჩამეცვა ტანისამოსი, რადგანაც სიცოვისაგან ვცახცახებდი.

მე უკმაყოფილება გამოვთქვი იმის გამო, რომ მასპინძელი წარამარა მიწოდებდა იაჰუს — სახელს იმ საზიზღარი ცხოველისა, რომელიც უაღრესად მძულდა და მეზიზღებოდა. მე ვთხოვე მას არ ეწოდებინა ჩემთვის ეს სახელი და, ამავე დროს, მოეწოდებინა თავისი ოჯახის წევრებისა და ჩემს სანახავად მასთან მოსული მეგობრებისთვის, რომ ისინიც ასე მოქცეულიყვნენ. ასევე ვთხოვე, არავისთვის გაემჟღავნებინა ის საიდუმლო, რომ მე ხელოვნურ საფარველს ვატარებდი ტანზე, — ყოველ შემთხვევაში, ჩემი ტანისამოსის გაცვეთამდე მაინც ამგვარად მოქცეულიყო. ხოლო წაბლისფერი ჯუჯა ცხენის გაჩუმება მის უდიდებულესობას არამც და არამც არ გაუძნელდებოდა: ერთი ბრძანება იკმარებდა.

მასპინძელი შემპირდა შენს თხოვნას ბოლომდე შევასრულებო. ამგვარად, ჩემი ტანსაცმელი ისევ ისე საიდუმლოდ დარჩა, ვიდრე გაცვდებოდა და იძულებული გავხდებოდი, ათასი რამე მომეფიქრებინა, რის შესახებაც თავის დროზე მექნება ლაპარაკი. თავის მხრივ, მანაც მთხოვა მთელი მონღოლებითა და სიბეჯითით მესწავლა მისი მშობლიური ენა, რადგანაც მას უფრო ჩემი ლაპარაკისა და აზროვნების

უნარი აკვირვებდა, ვიდრე ჩემი სხეულის აღნაგობა. ანდა ის, რაიმეთი დაფარული იყო იგი თუ არა. თანაც დასძინა, იმ სასწაულებრივი ამბების მოსმენას მოუთმენლად მოველი, რასაც შენ დამპირდიო.

იმ დღიდან მოყოლებული, ორჯერ მეტ დროსა და ენერგიას ახმარდა ჩემს სწავლებას. ყველგან დაჟყავდი, სადაც თვითონ დადიოდა და აიძულებდა სხვებს, თავაზიანად მომპყრობოდნენ, ესაო და, თუ წესიერად მოეპყრობით, კარგ გუნებაზე დადგება და უფრო გაგართობთო.

ყოველდღე, მეცადინეობის დროს, მასპინძელი მომცემდა რამდენიმე შეკითხვას პირადად ჩემ შესახებ და მეც ვპასუხობდი, რამდენადაც და როგორც შემიძლო. ამგვარად, ჩემი დახმარებით, ჩვენს ცხოვრებაზე შეექმნა რამდენადმე ზოგადი, მაგრამ არასრული წარმოდგენა. მოსაწყენი იქნებოდა, მკითხველისათვის დაწვრილებით მომეთხრო, როგორ მივალწვი წარმატებას ენის შესწავლაში და შევძელი უფრო ნათლად და გასაგებად გამომქებატა ჩემი აზრები, მაგრამ არ შეიძლება არ მოუთხრო მასპინძელთან ჩემი პირველი საუბრის შესახებ.

ვუთხარი, რომ ჩამოვედი ძალიან შორეული ქვეყნიდან ორმოცდაათ ჩემისთანა არსებასთან ერთად, რაშიც ადრეც ვცდილობდი დამერწმუნებინა; რომ ზღვაზე ვმოგზაურობდით ხის მორებისგან შეკრული უზარმაზარი ჭურჭლით (მთელი მონდომებით, რამდენადაც მოვახერხე, აღუწერე მას გემი; ცხვირსახოცი გაუშალე და თვალსაჩინოდ ვუჩვენე, როგორ მიაქანებს ხომალდებს აფრა); რომ გემზე ჩხუბი მოგვივიდა ერთმანეთში და ჩემმა თანამგზავრებმა მე ამ ქვეყნის სანაპიროზე გადმომსვეს; რომ მათი ქვეყნის სიღრმისაკენ გამოვემართე, თუცა წარმოდგენაც არ მქონდა, სად და ვისთან მივდიოდი; ბოლოს, გული-სამრევე არსებებს — იაპუებს გადავყვარე და მან, ჩემმა პატრონულმა მასპინძელმა მიხსნა მათი იერიშისაგან. მასპინძელმა მკითხა, გემებს ვინ აკეთებსო და გაცემა გამოთქვა, როგორ ხდება, რომ იქაური ჰუი-ჰნჰნები ასეთი მნიშვნელოვანი საქმის გაკეთებას უბრიყვეს ცხოველებს — იაპუებს ანდობენო. მე ვუპასუხე, რომ მეტს ვერაფერს მოვუყვებოდი, თუ ვინიცობაა, მისი მოწყალება პირობას არ დადებდა, რომ, რაც უნდა მომეთხრო, შეურაცხყოფილად მაინც არ ეგრძნო თავი. ის დამეთანხმა; მეც ჩემი თხრობა განვაგრძე და ვუთხარი, რომ გემს აკეთებდნენ სწორედ ჩემისთანა არსებები და, რომ ისინი, როგორც ჩემს სამშობლოში, ისე ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მე მიმოგზაურია, წარმოადგენენ ერთადერთ გონიერ და მბრძანებელ ქმნილებებს; და რომ

ამ ქვეყანაში მოხვედრის დროს ძალზე გამაოცა იმის დანახვამ, რომ ჰუიჰნჰნები მოქმედებდნენ გონიერი არსებების მსგავსად, ისევე, როგორც ის და მისი მეგობრები იკვირვებდნენ, როცა გონიერების ნიშნებს ხედავდნენ ჩემისთანა ქმნილებაში. მე ხომ იაჰუებს ყოველნაირად ჩამოგავდი, თუმცა, ამავე დროს, მათსავით გონებაჩლუნგი არ ვყოფილვარ. ბოლოს დავიძინე, თუ ბედისწერა ინებებდა და მოისურვებდა ოდესმე ჩემს სამშობლოში დავებრუნებინე, ამ ქვეყანაში ჩემი მოგზაურობის ამბავს რომ მოვყვებოდი, ყველა გაიოცებდა და მეტყვოდა: იმას ამბობ, რაც სინამდვილე არ არისო, და (თუმცა ყოველნაირად პატოვს ვცემდი ჩემს მასპინძელს, მაგრამ, რაკი შემპირდა თავს შეურაცხყოფილად არ ვიგრძნობო, თქმა გავუბედე) ჩემს თანამემამულეებს საეჭვოა დაეჯერებინათ, რომ ჰუიჰნჰნები სადმე მბრძანებელი გონიერი არსებები არიან, ხოლო იაჰუები პირუტყვებადაა ჩათვლილი-მეთქი.

## თავი მეოთხე

სიმართლისა და სიცრუის გაგება ჰუიჰნჰნებში. ავტორის ნაამბობს აღშფოთებაში მოჰყავს მასპინძელი. ავტორი უფრო დაწვრილებით ჰყვება თავის თავზე და თავის მოგზაურობაზე.

მასპინძელი, როგორც ეტყობოდა, ფრიად უკმაყოფილო უსმენდა ჩემს სიტყვას, რადგანაც ეჭვი და დაუჯერებლობა იმდენად ნაკლებადაა ცნობილი იმ ქვეყანაში, რომ არც კი იციან, ამ დროს როგორ მოიქცნენ და ეს გრძნობები როგორ გამოხატონ. მაგონდება, ქვეყნიერების სხვა ნაწილებში აღამიანთა მოდგმის ბუნებისა და ხასიათის შესახებ ჩემს მასპინძელთან ხშირი საუბრების დროს, სიტყვამ რომ მოიტანა და სიყალბისა და სიცრუის ხსენება მომიხდა. ჩემს მასპინძელ ჰუიჰნჰნმს, რომელიც საკმაოდ საღი გონების არსება იყო და აქამდე ყველაფერს მშვენივრად ხვდებოდა, რატომღაც ამ სიტყვის გაგება ძალიან გაუჭირდა.

რადგანაც, მისი აზრით, მეტყველების დანიშნულება ისაა, რომ მოსაუბრეებმა ერთიმეორეს გაუგონ და გაიგონ ნამდვილად მომხდარი ფაქტები. აქედან გამომდინარე, თუ ვინიცობაა, ვინმე ისეთ რამეს იტყვის, რაც არ არის, ამით ენა თავის მნიშვნელობას კარგავს,



რადგანაც მსმენელი ვერაფერს გაიგებს მოსაუბრისაგან და არათუ არაფითარ ცნობას არ მიიღებს მომხდარი ფაქტის შესახებ, არამედ კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავარდება, ვინაიდან აიძულებენ დაიჯეროს, რომ ესა თუ ის საგანი შავია, როცა ის თეთრი ან მოკლეა, როცა ის გრძელია. აი, ამგვარი წარმოდგენა ჰქონდა მას სიცრუეზე, რომელიც ჩინებულად ესმით და საყოველთაოდაა გავრცელებული ადამიანთა შორის.

მაგრამ სჯობს, ისევ ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ. როცა მე დავიწყე იმის მტკიცება, რომ იაპუები არიან ერთადერთი მბრძანებელი ცხოველები ჩემს სამშობლოში, — რაც ჩემს მასპინძელს სრულიად გაუგებარ და წარმოუდგენელ საქმედ ეჩვენა, — მან მოისურვა იმის გაგება, გვყავს თუ არა ჩვენ ჰუიჰნჰნემები და, თუ გვყავს, რა დანიშნულებას ასრულებენ. მე ვუპასუხე, რომ ძალიან ბევრი გვყავს; ზაფხულობით ისინი ბალახს ძოვენ, ზამთრობით კი სახლში ვინახავთ და ქერსა და თივას ვაჭმევთ; იაპუ მსახურები წმენდენ და ასუფთავებენ მათ, ვარცხნიან ფაფარს, ჰბანენ ფეხებს, აძლევენ საკვებს და საწოლს უშზადებენ-მეთქი. ჩემმა მასპინძელმა მიპასუხა, რომ ახლა ყველაფერი გასაგები იყო მისთვის, რადგანაც, მისი თქმით, ჩემი ნაამბობიდან ნათლად ჩანდა, რომ რაც უნდა გონიერ არსებებად მიგვეჩნია იაპუებს თავი, სულერთია, მაინც ჰუიჰნჰნემები იყვნენ ჩვენი ბატონები. მან ინატრა: ნეტავი ჩვენი იაპუებიც ისეთივე მორჩილები იყვნენ, როგორიც თქვენ ყოფილხართო. მე მის მოწყალებას ბოდიშის მოხდით ვთხოვე, რომ შეგვეწყვიტა ამ თემაზე საუბარი, რადგანაც, რის მოყოლასაც იგი ჩემგან მოელოდა, შესაძლებელი იყო მეტისმეტად არასასიამოვნო გამომდგარიყო. მაგრამ მან მიბრძანა გულახდილად მეთქვა ყველაფერი, კარგი იქნებოდა იგი თუ ცუდი, სასიამოვნო თუ არასასიამოვნო. მე დავემორჩილე და მოვახსენე, რომ ჩვენში ჰუიჰნჰნემებს ვეძახით „ცხენებს“ და რომ მათზე კეთილშობილი და ლამაზი ცხოველები არ გაგვაჩნია, რომ ისინი ღონითაც და სისწრაფითაც გამოირჩევიან და, როდესაც წარჩინებული პირების კუთვნილებას შეადგენენ, მათ იყენებენ დოღში შეჯიბრებისათვის, სასეირნოდ და ეტლში შესაბამელად; რომ მათ ასეთ შემთხვევაში მშვენიერად უვლიან და კეთილად ეპყრობიან, ვიდრე დასნეულდებოდნენ ან ფეხს მოიტეხდნენ. მე რე გაყიდიან და ყველა სახის მძიმე, არაქათგამომცლელი სამუშაოების შესასრულებლად იყენებენ, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს სული ამოხდებოდეთ.

მერე ტყავს გააძრობენ და გაყიდიან, ხოლო მძორს მშვიერი ძალღების სათრევად და მტაცებელი ფრინველების საჯიჯგნად ტოვებენ. უბრალო ჯიშის ცხენების ბედი კი ბევრად უფრო მძიმეა; ისინი ხომ ფერმერების, მეეტლეებისა და სხვა დაბალი ფენის იაპუების მფლობელობაში არიან. გარდა იმისა, რომ ამ ცხენებს გაცილებით მძიმე სამუშაოს ასრულებინებენ, უფრო ცუდადაც აჭმევენ და უვლიან.

მე, რამდენადაც მოვახერხე, აღუწერე მას, როგორ დაუდღაროთ ცხენით. დაუხასიათე აღვირი, უნაგირი, დეზი, მათრაზი, ეტლის თვლები და სხვადასხვაგვარი მოსართავი. ამას ისიც დაუძინე, რომ რკინად წოდებული მაგარი ნოტიერებების ფირფიტებს ვაჭედებთ ფლოქვებზე, რათა დაეიცვათ ისინი ქვებზე დამტკრევისაგან, რადგანაც ჩვენ ხშირად დაეიარებით ქვიან ადგილებზე.

ჩემმა მასპინძელმა რამდენჯერმე გამოხატა თავისი აღშფოთება და მერე მითხრა, როგორ ხდება, რომ ჩვენ ვბედავთ და ჰუიპნოზების ზურგზე ვსხდებით; რადგანაც, მისი აზრით, მის ყველაზე უსუსტეს მსახურსაც კი შეუძლია ულონიერესი იაპუ გადმოაგდოს, ან დაწვეს ძირს, ზურგზე გაგორდეს და გასრისოს უგუნური არსება. მე ვუპასუხე, რომ ჩვენში ცხენები სამი-ოთხი წლის ასაკში იხედნებიან ჩვენთვის საჭირო ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად; რომ, თუ რომელიმე მათგანმა შესაჯდომად არ იფარგა, მას ოთხთვალაში შესაბმელად იყენებენ; რომ ახალგაზრდობაში მათ ყოველგვარი თავნებობისთვის უმოწყალოდ სცემენ; რის შედეგადაც კარგად არჩევენ, რისთვის დაიმსახურებენ ჯილდოს და რისთვის — სასჯელს, თუძცა, გონიერების ნატამალი ისევე არ გააჩნიათ, როგორც მათ იაპუებს.

ვინ იცის, რამდენი მიკიბ-მოკიბუა დამჭირდა იმისათვის, რომ სწორად გამეგებინებინა ჩემი მასპინძლისათვის, რასაც ვამბობდი, რადგან მათი ენა ერთობ ღარიბია სიტყვებით. ეს კი იმითაა გამოწვეული, რომ ჰუიპნოზმებს ჩვენთან შედარებით ნაკლები მოთხოვნილებები და ვნებები გააჩნიათ. თუძცა, კალმით არ აღიწერება ის კეთილშობილური აღშფოთება, რაც ჩემმა მასპინძელმა გამოთქვა ჰუიპნოზებისადმი ჩვენი აშკარა მხეცური მოპყრობის გამო. მან თქვა, რომ თუკი არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც ერთადერთი გონიერი არსებები იაპუები არიან, მათ, რა თქმა უნდა, სრული უფლება აქვთ იბატონონ, რადგანაც გონება ბოლოს და ბოლოს, უთუოდ გაიმარჯვებს ყოველგვარ უხეშ და ტლანქ ძლიერებაზე. მაგრამ, როცა გაითვალისწინა ჩვენი

და განსაკუთრებით ჩემი სხეულის აღნაგობა, აზრი გამოთქვა, რომ არც ერთი ჩემი სიდიდის ცხოველი არ იყო ამ გონების გამოსაყენებლად ჩვენზე უარესად მოწყობილი. ამასთანავე, მკითხა, ჩემი თანამემამულეები ან მე მისი ქვეყნის იაპუებს ჰგვანან თუ არა. მე დავუწყე მტკიცება, რომ ჩემი ასაკის დანარჩენ მცხოვრებლებზე ძლიერი თუ არა, სუსტი ნამდვილად არ ვიყავი, ხოლო, რაც შეეხება მოზარდებსა და ქალებს, ვუთხარი, რომ ისინი გაცილებით ნაზები და სუსტები არიან, რომ მათი კანი რძესავით თეთრია-მეთქი. მასპინძელი დამეთანხმა იმაში, რომ მე განუსხვავდებოდი სხვა იაპუებისაგან სილამაზითაც და სისუფთავითაც, მაგრამ არსებითი უპირატესობის მხრივ, მისი აზრით, დიდად ჩამოუვარდებოდი მათ, რადგან არც წინა და არც უკანა ფეხების ფრჩხილები არ მივარგოდა; რომ ჩემს წინა ფეხებს სინამდვილეში არც კი შეიძლებოდა ფეხები რქმეოდა, რადგან მას ერთხელაც არ შეუნიშნავს, რომ მე მათზე მეწლოს; რომ ისინი იმდენად ნაზი იყო, რომ მიწაზე სასიარულოდ არც კი გამოდგებოდა; რომ მე ხშირად წინა ფეხები შიშველი მქონდა და მათი საფარი არც ფორმისა და არც სიმაგრის მიხედვით არ ჰგავდა უკანა ფეხების საფარს; რომ მე არ შემიძლო უშიშრად მეწლო, რადგანაც ერთ-ერთი უკანა ფეხი რომ დამცდენოდა, უთუოდ წავიქცეოდი. მე რე შეუდგა ჩემი სხვა ორგანოების დაწუნებას: სახე ბრტყელი გაქვსო, ცხვირი ამოწეული, თვალები პირდაპირ მიმართული, რაც საშუალებას არ გაძლევს, თავის მიუბრუნებლად განზე გაიხედო; თუ ერთ-ერთ წინა ფეხს არ მიიტან პირთან, ისე ვერ ჭამო, რის გამოც, მისი აზრით, ბუნებამ შესაფერისად მომიწყო ისინი. მას ვერ გაეგო, რატომ მქონდა უკანა ფეხები ისე ცუდად მოწყობილი, რომ წაწვეტილ ქვეებს ვერ უძლებდენ, თუ ვინიცობაა, ზედ სხვა უგუნური ცხოველის კანისაგან გაკეთებულ საფარველს არ მოვირგებდი; რატომ ვიყავი იმდენად უსუსური, რომ ჩემს სხეულს ესაჭიროება ერთგვარი საფარველი სიცხისა და სიცივისგან თავის დასაცავად, და რატომ ვიყავი იძულებული, ყოველდღე დაუზარებლად გამეხადა და ჩამეცვა იგი; დაბოლოს, როგორც მან შენიშნა, ჩემს ქვეყანაში ყოველ ცხოველს ბუნებრივად ეზიზღებოდა იაპუები, სუსტები გაურბოდნენ მას, ხოლო ძლიერნი ერიდებოდნენ. ამგვარად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაუშვებდა, რომ ჩვენ გონიერი არსებები ვიყავით, მისთვის მაინც გაუგებარი იყო, როგორ უნდა დაგვემარცხებინა ჩვენდამი მტრულად განწყობილი ამდენი ცხოველი ან

როგორ უნდა მოგვეშინაურებინა ისინი. მან არ ჩათვალა საჭიროდ განეგრძო ამ საგანზე მსჯელობა, რადგანაც უფრო ის აინტერესებდა, რომ გაეგო ჩემი თავგადასავალი, თუ სად დავიბადე და მათთან მოხვედრამდე რა გადამხდა თავს.

მე ვუთხარი მას, რომ მთელი არსებით ვიყავი მოწადინებული, მისი ცნობისმოყვარეობა დამეკმაყოფილებინა, რამდენადაც ამას მოვახერხებდი; მაგრამ მეუჭვებოდა, შეეძლებდი თუ არა აღმეწერა მისთვის ბევრი ისეთი რამ, რის მსგავსს ვერაფერს ვხედავდი მათ ქვეყანაში, რომ შესადარებლად გამომდგომოდა; თუმცა მთელი მონდომებით შევეცდებოდი, მთელი ჩემი ცოდნა და უნარი გამომეყენებინა ამ მიზნით და, თუ ვინიცობაა, სიტყვები არ მეყოფოდა, ჩემი მასპინძლის დახმარებით გავსულიყავი იოლას. მისი მოწყალება შემპირდა, დაგეხმარებოდა.

ბოლოს გავბედე და ასე დავიწყე თხრობა:

— დავიბადე ერთ პატოცემულ ოჯახში კუნძულზე, რომელსაც ინგლისი ეწოდება. ამ ქვეყნიდან ისე შორს მდებარეობს იგი, რომ მისი მოწყალების ყველაზე ენერგიული მსახურიც კი იქ შხის წლიური მიმოქცევის განმავლობაშიც ვერ ჩავა; მე აღშხარდეს ქირურგად, რომლის მოვალეობასაც შეადგენს განკურნოს ჭრილობები და ორგანიზმის ყოველგვარი დაზიანება, რაც უბედურ შემთხვევებს შეიძლება მოჰყვეს; ჩემს ქვეყანას განაგებს ქალი, რომელსაც დედოფალს ვეძახით. სამშობლო დავტოვე გამდიდრების მიზნით, რათა მოგზაურობიდან დაბრუნებულს შემძლებოდა საკუთარი თავისა და მთელი ოჯახის კარგად შენახვა; უკანასკნელი მოგზაურობის დროს გემის კაპიტანი ვიყავი და ორმოცდაათიოდე იაჰუ იყო ჩემს განკარგულებაში; მათი უმრავლესობა სხვადასხვა ავადმყოფობისა თუ უბედური შემთხვევის შედეგად გზაზე დამეხოცა და იძულებული გავხდი დანაკლისი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებით შემევესო; ჩვენი გემი ორჯერ გადაურჩა ჩაძირვას; პირველად, ქარიშხლის დროს, ხოლო მეორედ მაშინ, როდესაც მეჩერს დაეჯახა. აქ ჩემმა მასპინძელმა გამაწყვეტინა ლაპარაკი და მკითხა, ამდენი სიკვდილიანობისა და საფრთხის შემდეგ, როგორ მოვახერხე დამერწმუნებინა უცხო ქვეყნის მცხოვრებლები, რომ ჩემთან წამოსვლა გაებედათ. მე ვუპასუხე, რომ ისინი იყვნენ თავგანწირული ადამიანები, რომლებსაც სიღარიბე ან რაიმე მძიმე დანაშაული აიძულებდა განშორებოდნენ სამშობლო მიწას და საარსებო საშუალებები უცხო ადგილებში წაწალით მოეპოვებინათ.

ამ საუბრის დროს ჩემმა მასპინძელმა რამდენიმეჯერ შემაჩერა. დიდი გაჭირვებით აუხსენი მას ჩემ მიერ აყვანილი მეზღვაურებისაგან ჩადენილ დანაშაულობათა ხასიათი, რამაც ისინი თავიანთი სამშობლოდან გააქცია. რამდენიმე დღის ხანგრძლივი საუბარი მოვანდომეთ ამას და ბოლოს, როგორც იქნა, გავაგებინე, მაგრამ ის კი ვერაფრით მივახვედრე, რა სარგებლობას მოელოდნენ, რა აიძულებდა მათ, ჩაედინათ ეს თუ ის დანაშაული. ამ გაუგებრობის გასათანტავად შევეცადე როგორმე ერთგვარი წარმოდგენა შემექმნა მისთვის ძალაუფლების მოპოვებისა და გამდიდრებისაკენ სწრაფვაზე; ბიწიერების, ლოთობის, ბოროტებისა და შურიანობის საშინელ გავლენაზე. ეს რომ გამგებინებინა, იძულებული გავხდი, მომეყვანა ფაქტები და მომეხდინა სხვადასხვაგვარი შედარება. ჩემი მასპინძელი, მსგავსად ადამიანისა, რომელმაც ეს-ეს არის, ისეთი რამ გაიგო, რაც არასოდეს უნახავს, არც სმენია და მის არსებობაზე წარმოდგენაც არ ჰქონია, გაცეცხლებული და შემფოთებული აიხედავდა ხოლმე ცაში, როგორც ამას ჩვენ ვაკეთებთ მსგავს სიტუაციაში. ძალმომრეობას, მთავრობას, ომს, კანონს, სასჯელს და მრავალ მსგავს ცნებას მათს ენაზე შესაფერისი სიტყვები არ გააჩნდა, ამიტომაც თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდი, მაგრამ მის მოწყალებას მეტად საღი გონება ჰქონდა, ამავე დროს, ჩვენმა საუბრებმა გააფარჯიშა იგი და ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ კარგად გაერკვა იმაში, თუ ქვეყნიერების იმ ნაწილში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, რისი ჩადენა ძალუძს ადამიანს. ამიტომაც მთხოვა უფრო ზედმიწევნით აღმეწერა მისთვის მიწა, რომელსაც ჩვენ ვეროპას ვეძახით, განსაკუთრებით კი ჩემი სამშობლო — ინგლისი.

## თავი მესამე

ავტორი მასპინძლის ბრძანებით აცნობს მას ინგლისის სახელმწიფო წყობილებას. ვეროპის მეფეთა ომის მიზეზები. ავტორი უხსნის ინგლისის კონსტიტუციის არსს.

ურიგო არ იქნება მკითხველმა წინასწარ გაიგოს, რომ ქვემოთ მოყვანილი ჩანაწერები, ორი წლის მანძილზე ჩვენი მრავალრიცხოვანი საუბრების დროს გამოთქმული აზრებისა და შეხედულებების ნაწილს მოიცავს; და რომ რაც უფრო ღრმად და ღრმად ვუფულებოდი ადგი-

ლობრივ მკვიდრთა ენას, მით უფრო ხშირად მოითხოვდა ჩემი მასპინძელი, რაც შეიძლება სრულად დამეკმაყოფილებინა მისი დაუოკებელი ცნობისმოყვარეობა. რამდენადაც მოვახერხე, ზუსტად გააცანი მას ევროპის სახელმწიფო წყობილება. ვესაუბრებოდი ვაჭრობასა და წარმოებაზე, ხელოვნებასა და მეცნიერებაზე; მაგრამ, მის მრავალრიცხოვან კითხვებზე ჩემ მიერ გაცემული პასუხების დაწვრილებით გადმოცემის საჭიროებას ვერ ვხედავ. აღვრიცხავ მხოლოდ ძირითადსა და მთავარს, რაც ჩვენს საუბრებში საკუთროვ ჩემს ქვეყანას შეეხებოდა. ამასთან, ვეცდები სიმართლეს ოდნავაც არ ავუარო გვერდი. მარტო ერთი რამე იწვევს სინდისის ქენჯნას ჩემში, სახელდობრ ის, რომ მეეჭვება ჩემი მასპინძლის დასკვნებისა და გამოთქმების სრულყოფილად გადმოცემა მოვახერხო, რაც გამოწვეული იქნება, ჯერ ერთი, ჩემი კალმის სისუსტით, შემდეგ კი მისი ნათქვამის უხეირო თარგმნით ჩვენს ბარბაროსულ ენაზე.

ამგვარად, მისი ბრწყინვალეების ბრძანებას დავემორჩილე და პრინც ორანელის<sup>1</sup> რეკოლუციასზე მოუყევი; ხანგრძლივ ომზე საფრანგეთის სამეფოსთან, რომელიც სწორედ ორანელის მიერ იქნა წამოწყებული, ხოლო განაახლა მის შემდეგ ტახტზე ასულმა, ამჟამად მბრძანებელმა დედოფალმა. მოვახსენე, რომ იმ ომში, რომელიც ახლაც გრძელდებოდა, ქრისტიანული ქვეყნების დიდი უმრავლესობა იქნა ჩათრეული. ჩემმა მასპინძელმა მკითხა, მსხვერპლი თუ იყო და მეც ვუპასუხე, რომ დღემდე მილიონამდე იაჭუ დაიღუპა. ასზე მეტი ქალაქი აიღეს, ხუთასზე მეტი გემი დაწვეს და ჩაძირეს-მეთქი.

ჩემმა მასპინძელმა მოისურვა გაგო, რა მიზეზით უცხადებდა ომს ერთი ქვეყანა მეორეს. მე ვუპასუხე, რომ ამგვარი მიზეზების რიცხვი უთვალავი იყო. მაგრამ ვცდილობდი, მათგან უმთავრესები ამერჩია და გამეცნო. ხანდახან ომებს იწვევს მეფეთა პატივმოყვარეობა: მათ ხომ სულ ჰგონიათ, რომ არც საკმაო ხალხი ჰყავთ სამართავად და არც საკმაო მიწა გაგვაჩნია; ხანდახან გათახსირებული მინისტრები აბამენ ომში თავიანთ მეფეებს, რათა ამით ჩაახშონ ანდა გეზი შეუცვალონ სახელმწიფო მოხელეების წინააღმდეგ მიმართულ ხალხის ფართო მასების სამართლიან უკმაყოფილებას. შეხედულებათა სხვადასხვაობასაც მილიონობით მსხვერპლი შეუწირავს. მაგალითად, ხორცია

<sup>1</sup> პრინცი ორანელი (1650-1702) — ნიდერლანდების მეფე 1672 წლიდან; 1689 წლიდან ინგლისის მეფე.

პური თუ პურია ხორცი; ამა თუ იმ ხილის წვენი სისხლია თუ ღვინო; სტვენა ცოდვაა თუ მადლი; რა სჯობს: აკოცო შეშის ნაჭერს თუ ცეცხლში შეაგდო; რა ფერის ხიფთანია უკეთესი: შავი, თეთრი, წითელი თუ ნაცრისფერი, ან გრძელი უნდა იყოს იგი თუ მოკლე, ვიწრო თუ ფართო, ჭუჭყიანი თუ სუფთა და ასე შემდეგ. ასევე აღვნიშნე, რომ არც ერთი ომი ისე მძვინვარე და ხანგრძლივი არ არის, როგორც იგი, რომელიც შეხედულებათა განსხვავებითა გამოწვეული, განსაკუთრებით, თუ ეს განსხვავება სრულიად უმნიშვნელო საგანს შეეხება.

ზოგჯერ ორ მეფეს შორის ომი მიმდინარეობს იმისთვის, რათა გაარკვიონ, რომელმა მათგანმა უნდა წაართვას მესამე მეფეს სამფლობელო, რომელზეც არც ერთს გააჩნია რაიმე უფლება და არც მეორეს; ხანდახან ერთი მეფე ეომება მეორეს იმისათვის, რომ ეშინია თვითონ მას არ დაუწყონ ომი; ხანდახან ომი იწყება იმის გამო, რომ მოწინააღმდეგე მეტისმეტად ძლიერია, ხანდახან კი იმის გამო, რომ იგი მეტისმეტად სუსტია; ზოგჯერ მეზობლებს უნდათ ის, რაც ჩვენ გვაქვს, ანდა ის, რაც ჩვენ გვჭირდება და ჩვენ შორის ომი მანამდე გრძელდება, ვიდრე რომელიმე ჩვენგანი წადილს არ აისრულებს; უაღრესად სამართლიანად ითვლება, ომი გამოუცხადო და შეესიო იმ ქვეყანას, რომლის მოსახლეობა თითქმის მოსრა შიმშილობამ, შავმა ჭირმა, ანდა ურთიერთშორის სისხლისმღვრელმა ბრძოლებმა. ასევე სამართლიანია ომი უახლოეს მოკავშირეებთან, თუ მათი რომელიმე ქალაქი ჩვენთვის ხელსაყრელ ადგილზეა მოთავსებული, ანდა, თუ მათი მიწის რომელიმე ნაწილი ჩვენს სამფლობელოს დაამრგვალებდა ან გაამთლიანებდა. თუ რომელიმე მეფე შეუსევს თავის მრავალრიცხოვან ლაშქარს რომელიმე ღარიბ და გაუნათლებელ ქვეყანას, მას სრული უფლება აქვს, მოსახლეობის ნახევარი გაჟლიტოს, მეორე ნახევარი კი დაიმონოს, რათა მოახდინოს მათი ცივილიზება და გადააჩვიოს ისინი ბარბაროსულ ცხოვრებას. ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე ერთი უაღრესად მეფური და კეთილშობილური საქციელი: როდესაც რომელიმე მეფეს მტერი შემოესევს და იგი თავისი ძალებით ვერაფერს გახდება, რომელიმე მეგობრულად განწყობილ მეფეს მოუხმობს საშველად, ეს უკანასკნელი კი შემოსული მტრის განდევნის შემდეგ, მთელ იმ სამეფოს თვითონ დაისაკუთრებს, ხოლო მეფეს, რომელმაც დასახმარებლად მიიწვია, მოკლავს, დაამწყვდევს, ანდა თავისი საშობლოდან გააძეებს. სისხლით ანდა ქორწინებით

ნათესაობა ხშირად ხდება მეფეთა შორის ომის მიზეზი; რაც უფრო ახლო ნათესაუბი არიან ისინი, მით უფრო ხშირად ეომებიან ერთმეორეს. ღარიბი ერები მშობრები არიან, მდიდარი ერები კი ამაყნი, შიმშილი და სიამაყე კი გვერდიგვერდ ვერ თავსდებიან. ამიტომაც, რომ ჩვენში ჯარისკაცის ხელობა ყველაზე საპატიოდაა მიჩნეული; ჯარისკაცი კი ისეთ იაპუს ქმრდება, რომელიც დაქირავებულია იმ მიზნით, რომ გულცივად ხოცოს რაც შეიძლება მეტი მისივე მსგავსი იაპუ, რომელთაგანაც არავითარი შეურაცხყოფა არ ახსოვს.

ვეროპაში ხშირად შეხვდებით აგრეთვე ლატაკ მეფეებსაც. მათ საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ ომის წარმოება, ამიტომაც თავიანთ ჯარისკაცებს მიაქირავენ ხოლმე უფრო მდიდარ მეფეებს და თითოეულ ჯარისკაცზე დღეში განსაზღვრულ ქირას იღებენ. ამგვარად მიღებული თანხების სამ მეოთხედს თვითონ ითვისებენ, რაც მათი შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ვეროპის ჩრდილოეთ ნაწილშია გახშირებული.

— ომის თაობაზე თქვენი ნაამბობიდან ნათლად ჩანს, — მომიგო ჩემმა მასპინძელმა, — თუ რა შედეგის მოტანა შეუძლია იმ ჭკუა-გონებას, რომლის ქონასაც თქვენ იჩემებთ ბედნიერება ის არის, რომ თქვენი საქციელი იმდენად საშიში არ არის, რამდენადაც სამარცხვინო. ბუნებამ ალბათ ამიტომაც გაგაჩინათ ასეთი უსუსურნი, რომ თქვენი ავი ზრახვების განხორციელება ვერ შეძლოთ თქვენი პირი, სახის დანარჩენ ნაწილებთან ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული და ამიტომაც ერთმანეთს ვერასგზით ვერ უკბენთ ისე, რომ რაიმე სერიოზული ზიანი მიაყენოთ რაც შეეხება თქვენს წინა და უკანა ფეხების ბრჭყალებს, ისინი ისე მოკლე და რბილია, რომ ერთი ჩვენებური ყველაზე სუსტი იაპუც კი გაირეკავს წინ თორმეტ თქვენგანს. ამიტომაც, როცა ამბობთ, ომებში ამდენი ხალხი დაიხოცაო, მე სხვა არაფერი შემიძლია ვიფიქრო, გარდა იმისა, რომ ისეთი რამე თქვით, რაც სინამდვილე არ არის.

მისმა მიამიტობამ ძალაუწებურად ღიმილი მომგვარა და რაკი საკმაოდ გაცნობილი ვიყავი ომის ხელოვნებას, ამიტომაც აღვუწერე, თუ რას წარმოადგენს ზარბაზანი, თოფი, კარაბინი, რევოლვერი, ტყვია, თოფის წამალი, ხმალი, ხიშტი. რას ნიშნავს ბრძოლა, ალყა, უკან დახევა, იერიში, დაბომბვა, საზღვაო ბრძოლები; გემები, რომლებიც ათას კაცთან ერთად იძირება; ოც-ოცი ათასის სიკვდილი თითოეულ მხარეზე, სულთმობრძავეთა კვნესა, ცხენების ფეხქვეშ გათულვა, გაქცევა,



დადევნება, გამარჯვება; დაღუპული მეომრებით მოფენილი მინდვრები, შშიერი ძაღლებისა და მგლების საგლეჯად და მტაცებელი ფრინველების საჯიჯგნად რომ არიან ქცეულნი; ძარცვა-გლეჯა, აკლება, გადაბუგვა, ნაცარტუტად ქცევა და მიწის პირიდან აღგვა. მერე ჩემი ძვირფასი თანამემამულეების სწორუპოვარი სიმამაცე რომ წარმომეჩინა, ჩემი მასპინძელი დაგარწმუნე, რომ საკუთარი თვალთ მინახავს მტრის ასობით ალყაშემორტყმული ჯარისკაცი როგორ აუფეთქებიათ ჩვენებს და ციდან სეტყვასავით როგორ ცვიოდა მოწინააღმდეგის ჯარისკაცების სხეულთა ნაფლეუთები, მნახველთა გულის გასახარად.

ის-ის იყო, ვაპირებდი, კიდევ უფრო დაწვრილებით მომეთხრო ომის ამბები, რომ ჩემმა მასპინძელმა მიბრძანა, გაჩუმდიო. მან თქვა, რომ იმათთვის, ვინც იცნობს იაჰუების ბუნებას, გასაგებია, რომ იმნაირ ავ და ბოროტ ცხოველს შეუძლია ჩაიდინოს ყველა ის ბოროტება და საზიზღრობა, რაც მე დავასახელე, ძალა და მოხერხება თუ მისცემს ამის შესაძლებლობას.

ჩემმა მონათხრობმა კიდევ უფრო შეაზიზღა ჩემს მასპინძელს მთელი ჩვენი მოდგმა და მის გონებაში მოუსვენრობამ დაისადგურა, რაც ადრე არასოდეს მომხდარა. მას ეშინოდა, რომ თუ ამ საშინელი სიტყვების მოსმენას შეეჩვეოდა, შესაძლებელი იყო, დროთა ვითარებაში, ნაკლებ საზიზღრადაც მოსჩვენებოდა ისინი; და, მიუხედავად იმისა, რომ სძულდა თავისი ქვეყნის იაჰუები, იმაზე მეტად არ ლანძღავდა მათ უგვანო ხასიათისათვის, ვიდრე გნეიჰს (მტაცებელ ფრინველს) ბოროტებისათვის ანდა წვეტიან ქვას, რომელიც ფლოქეს უჭრიდა ხოლმე. მაგრამ, როდესაც გაიგო, რომ არსებას, რომელიც თავს მოაზროვნედ მიიჩნევს, ასეთი უმსგავსობის ჩადენის უნარი შესწევს, საფიქრებელია, რომ გათახსირებული ჭკუა-გონება ცხოველურ უგუნურებაზე გაცილებით უარესია. როგორც ჩანდა, ის დარწმუნებული იყო, რომ ჭკუა-გონების ნაცვლად მოცემული გვექონდა განსაკუთრებული უნარი, უსაზღვროდ გაგვეზარდა ჩვენი თანდაყოლილი ბიწიერება, ისევე როგორც მღვრიე წყალში უშნო სხეული არა მარტო გადიდებულად, არამედ კიდევ უფრო დამახინჯებულად აირეკლება ხოლმე.

ჩემმა მასპინძელმა განმიცხადა, რომ მან საკმაოზე მეტი მოისმინა ომის შესახებ, როგორც ამ, ისე სხვა დროის საუბრებში, მაგრამ ახლა მას სულ სხვა რამე აინტერესებდა. მე ოდესღაც ვუამბე მას, რომ ჩემ მიერ აყვანილი მეზღვაურების ნაწილმა თავისი სამშობლო დატოვა

იმის გამო, რომ კანონმა გააკოტრა ისინი. ამ სიტყვის მნიშვნელობა მას დიდი ხნის წინათ აუხსენი; მაგრამ ვერ იქნა და ვერ გაეგო, როგორ შეიძლებოდა კანონი, რომლის დანიშნულებასაც ყოველი ადამიანის უფლების დაცვა შეადგენს, ვინმეს გააკოტრებისა თუ განადგურების მიზნად ქცეულიყო. ამიტომაც მოისურვა უფრო დაწვრილებით მომეთხრო, თუ რას ვგულისხმობდი კანონში ან ვინ იყვნენ მისი დამცველები, თუნდაც ჩემს სამშობლოში. მისი აზრით, გონიერი ცხოველისთვის, როგორადაც ჩვენ თავს მოვიჩნვედით, ბუნება და აზროვნება საკმაოდ კარგი გზის მაჩვენებელია, რათა გაგვარკვიოს იმაში, რა უნდა გაუკეთოთ და რა არა. ამიტომაც გაუგებარია, რისთვის არსებობს კანონი და რა აზრი აქვს მის ჩარევას ჩვენს ცხოვრებაში.

მოვახსენე მის მოწყალებას, რომ კანონი მეცნიერებაა, რომელსაც მე არცთუ ისე კარგად ვიცნობდი და რომელსაც პრაქტიკულად მხოლოდ მაშინ გავეცანი, როდესაც ჩემ მიმართ ჩადენილი აშკარა უსამართლობის გამო ვექილების დაქირაება მომიხდა, თუმცა სრულიად ამაო აღმოჩნდა ჩემი ცდა, სიმართლე გამეტანა. მიუხედავად ამისა, მაინც შევეცდები, რამდენადაც შემეძლება თქვენი თხოვნა დაუკმაყოფილო-მეთქი.

აუხსენი მას, რომ ჩვენს ქვეყანაში არის მთელი წყება ადამიანებისა, რომლებიც ბავშვობიდანვე საგანგებოდ იწვრთნებიან იმისათვის, რომ სწორედ ამ მიზნით შექმნილი სიტყვების დახმარებით ამტკიცონ, რომ თეთრი შავია და შავი — თეთრი, იმის მიხედვით, თუ რომელი მტკიცებისთვის მისცემენ მეტ გასამრჯელოს. მთელი დანარჩენი მოსახლეობა ამ წოდების ადამიანების მონებადაა გადაქცეული.

მაგალითად, ვთქვათ, ჩემი ძროხა თვალში მოუვიდა ჩემს მეზობელს. ის აიყვანს ვექილს, რათა დაამტკიცოს, რომ ჩემი ძროხა მას ეკუთვნის. მეც იძულებული ვარ, დავიქირაო სხვა ვექილი და მისი მეშვეობით დავიცვა ჩემი უფლებები, რადგანაც კანონი არავის აძლევს ნებას თავის საქმეზე თვითონ ილაპარაკოს. ახლა, ამ საქმეში, მე, რომელიც ნამდვილი მფლობელი გახლავართ, ორი საფრთხის წინაშე ვდგავარ: ჯერ ერთი, ჩემი ვექილი, რომელიც, თითქმის იმ დროიდან მოყოლებული, როცა მას აკვანს ურწევდნენ, შეჩვეულია ტყუილის მტკიცებას და ახლა, სიმართლის დაცვა რომ უხდება, თავის მჭევრმეტყველებას ვეღარ გამოამჟღავნებს, რადგანაც ეს მისთვის აშკარად შეუფერებელი საქმეა, ამიტომაც, დიდი სიფრთხილით, შესაძლებელია, უგუნებოდ და, მაშასადამე, ცუდად ილაპარაკებს. მეორე მხრით, ჩემმა ვექილმა, დიდი

სიფრთხილზე და წინდახედულება უნდა გამოიჩინოს, თორემ, მართალი საქმე მართლა მთელი მეზნებარებით რომ დაიცვას, შესაძლოა, მოსამართლეთა რისხვა დაიმსახუროს კანონისა და მისი დამცველების ღირსების შემლახველი საქციელისთვის. ამგვარად, მე მხოლოდ და მხოლოდ ორი საშუალება მრჩება საკუთარი ძროხის შესანარჩუნებლად; უნდა მოვისყიდო მოწინააღმდეგის ვეჯილი, მაშინ ეს უკანასკნელი თავის კლიენტს იმით გაუფუჭებს საქმეს, რომ მას ძროხის კანონიერ მფლობელად გამოაცხადებს; ანდა ჩემს ვეჯილს უნდა ვთხოვო, რაც შეუძლია უკანონო მოთხოვნის წამომყენებლად გამომაცხადოს და ამგვარად ამტკიცოს, რომ ძროხა მე კი არ მეკუთვნის, არამედ ჩემს მოწინააღმდეგეს. თუ ეს ყველაფერი ოსტატურად იქნა გაკეთებული, დარწმუნებული იყავით, მოსამართლეები მე მომემხრობიან და ძროხას მე მარჯუნებენ. აქვე, მოგახსენე მის მოწყალებას, რომ მოსამართლეები ის პიროვნებები არიან, რომლებსაც მინდობილი აქვთ გაარჩიონ ყოველგვარი უთანხმოება საკუთრების საკითხში და აგრეთვე გაასამართლონ სისხლის სამართლის დამნაშავეებიც და, რომლებსაც ირჩევენ ყველაზე გაქნილი ვეჯილებისგან, მას მერე, რაც ისინი დაბერდებიან და გაზარმაცდებიან; და რაკი მთელი თავიანთი სიცოცხლე, ვეჯილად ყოფნისას, სიმართლის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ახლაც თაღლითობენ და ცრუმოწმეთა და მოძალადეთა დასაცავად ათასგვარ ხრიკს მიმართავენ; მე ვიცნობდი რამდენიმე ისეთ მოსამართლეს, რომლებსაც მართალმა მხარემ დიდი ქრთამი შესთავაზა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ფულზე გაწუწკებულები არიან, მაინც არ მიიღეს იგი, რათა სიმართლეს არ გაემარჯვა და ამ შეუფერებელი საქციელით სასამართლოს ჭეშმარიტი ღირსება არ შელახულიყო.

ამ მოსამართლეთა ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი ის გახლავთ, რომ ერთხელ შემოღებული უსამართლო კანონი ყოველთვის შეიძლება გამოიყენონ. ამიტომაც გულმოდგინედ აქვთ აღრიცხული ყველა ის კანონი და გადაწყვეტილება, რაც მიმართული იყო სამართლიანობისა და კაცობრიობის ნება-სურვილის წინააღმდეგ. ამ კანონებს, როგორც წინამძღვრებს, ისინი იყენებენ ავტორიტეტებად, რათა გაამართლონ ყოველგვარი უსამართლო შეხედულება. საქმეების გარჩევისას მოსამართლეები სწორედ ამ კანონებით ხელმძღვანელობენ.

ისინი არც ერთი სარჩელის განხილვის დროს არ უკვირდებიან საკითხს ღრმად. სამაგიეროდ, ყვირიან, ცხარობენ და ლაქლაქებენ

ისეთ რამეებზე, რომლებსაც საქმის არსებით მხარესთან არაერთი კავშირი არ გააჩნია. ასე მაგალითად, რომ განვიხილოთ უკვე ნახსენები შემთხვევა, მოსამართლე არ მოისურვებდა გაეგო, რა საბუთის ძალით აცხადებს ჩემი მოწინააღმდეგე პრეტენზიას ჩემს ძროხაზე, მაგრამ საათობით იქაქანებდა იმაზე, წითელია ძროხა თუ შავი; რქები გრძელი აქვს თუ მოკლე; მრგვალ მდელოზე ვაძოვებ მას თუ ოთხკუთხედზე; შინ ვწველი თუ გარეთ; რა აუადყოფობა აქვს მას და ასე შემდეგ. მერე მიმართავენ ზემოთ დახასიათებულ წინამძღვრებს, ხშირ-ხშირად გადასდებენ საქმეს და ბოლოს, ათი, ოცი, ოცდაათი წლის შემდეგ, განაჩენს გამოიტანენ.

ისიც უნდა შევნიშნო, რომ ამ წოდების ადამიანებს გააჩნიათ საკუთარი ჟარგონი, რომელიც არც ერთი სხვა მოკვდავისათვის არ არის გასაგები და, რომელზეც მათი წიგნები და კანონები იწერება და საგანგებოდ მრავლდება; რომ მათში არეულ-დარეულია ჭეშმარიტება და სიცრუე; სამართლიანობა და უსამართლობა; რომ ოცდაათ წელს მაინც მოუნდებიან იმის გამორკვევას, თუ ვის ეკუთვნის ადგილ-მამული, რომელსაც ჩვენი ოჯახი აგერ ექვსი თაობის მანძილზე ფლობს, მე თუ სამასი მილის სიშორეზე მცხოვრებ ვინმე გადამთიელს.

მაგრამ, სამაგიეროდ, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ბოროტმოქმედებაში დადანაშაულებულთა გასამართლებას გაცილებით ნაკლებ დროს ანდომებენ. უპირველესად, მოსამართლე იგებს ამა ქვეყნის ძლიერთა ნება-სურვილს, რის შემდეგაც მას ადვილად შეუძლია ჩამოახრჩოს ანდა გაათავისუფლოს ბრალდებული. ამავე დროს, უნდა იცოდეთ, რომ ყოველივე ამას კანონის სახელით აკეთებს.

აქ ჩემმა მასპინძელმა სიტყვა გამაწყვეტინა და სინანული გამოთქვა, რომ მოსამართლეები, რომლებიც ასეთი გასაოცარი ჭკუა-გონების პატრონები ყოფილან, როგორც ეს ჩემი დახასიათებიდან ჩანდა, არ არიან გამოყენებულნი იმისათვის, რომ თავისი სიბრძნე გადასცენ და მეცნიერება ასწავლონ საზოგადოების დანარჩენ ნაწილს. ამაზე მის მოწყალებას ვუპასუხე, რომ თავიანთი პროფესიის გარდა მოსამართლეებს არაფერი ესმით და, შეიძლება ითქვას, მთელ საზოგადოებაში ყველაზე უგუნური და გონებაჩლუნგი პიროვნებები არიან; რომ ცოდნასა და სწავლა-განათლებას მოსამართლეებზე დაუძინებელი მტერი არასოდეს ჰყოლია და ისინი, თავიანთი პროფესიის გარდა, სხვა დარგებს არც იცნობენ და არც აფასებენ-მეთქი.

## თავი მეთხუთსე

დედოფალ ანას დროის ინგლისის სახელმწიფო კონსტიტუციის დახასიათება. რას წარმოადგენს პირველი მინისტრი ვეროპის სასახლეებში.

ვერ იქნა და ჩემმა მასპინძელმა ვერ გაიგო, რა აიძულებთ ვეჭილებსა და მოსამართლეებს იღელვონ, მიედ-მოედონ ათას რამეს და არაქათი გამოიცალონ მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ თავიანთ თანამემამულე — ცხოველებს ზიანი მოუტანონ. ვერც ის გაიგო, როდესაც ვუთხარი, ამას გასამრჯელოს გულისათვის სჩადიან-მეთქი. ასევე გამიძნელდა ამეხსნა ფულის მნიშვნელობა, რა მასალები-საგან შხადდება იგი, ან რანაირი ფასი ადევს სხვადასხვა ფულს; მე მოვახსენე მას, რომ როცა რომელიმე იაპუ ხელში იგდებს საკმარაოდენობის ძვირფას ლითონს, შეუძლია იყიდოს ყველაფერი, რაც მას მოეპრიანება — საუკეთესო ტანისამოსი, უმშვენიერესი სახლები, უდიდესი მამულები, უძვირფასესი საჭმელები და სასმელები. ამიტომაც, რაკი მხოლოდ ფულის საშუალებით შეიძლება ყოველივე ამის მოპოვება, ჩვენი იაპუების აზრით, მათ არასოდეს არა აქვთ მისი საკმარაოდენობა დასახარჯაად ანდა შესანახად, რადგანაც მათ გააჩნიათ ბუნებრივი მიდრეკილება მფლანგველობისა ან სიძუნწისაკენ; რომ მდიდარი კაცი ითვისებს ღარიბის ნაჭირნახულევს და რომ ერთ მდიდარზე ათასი ღარიბი მოდის; რომ ჩვენი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა იძულებულია, გამუდმებით იშრომოს და გასამრჯელოდ მათხოვრული თანხა მიიღოს, რათა მათი შრომის ნაყოფით თითო-ოროლა არამზადამ ისარგებლოს.

ამ საკითხზე ბევრი რამე დაწვრილებით ვუამბე ჩემს მასპინძელს. მაგრამ მისი მოწყალებისთვის მაინც გაუგებარი დარჩა ყოველივე ეს, რადგანაც, მისი აზრით, ყოველ ცხოველს ეკუთვნის განსაზღვრული წილი დედამიწის მიერ ბოძებული ნაყოფისგან, განსაკუთრებით კი იმათ, რომლებიც დანარჩენებზე გაბატონებულნი არიან. ამიტომაც ჩემმა მასპინძელმა მოისურვა იმის გაგება, თუ რას წარმოადგენს ის ძვირფასი კერძები, რომელთა შესახებ აღრევე ველაპარაკე, და რა აიძულებდა ჩემს თანამოძმეებს აუცილებლად მიეღოთ ისინი. მაშინ მე ჩამოვუთვალე ნაირ-ნაირი სახეობა საჭმელ-სასმლისა, რაც კი მომაგონდა და დავძინე, რომ მათ მოსაპოვებლად გემებს გზავნიდნენ

დედამიწის სხვადასხვა კუთხეში. აგრეთვე, დაუწყვე მტკიცება, რომ დედამიწას სამჯერ მაინც უნდა შემოუაროს კაცმა გარშემო, ვიდრე რომელიმე წარჩინებული ქალბატონის საუზმის შემადგენელი ინგრედიენტების შეგროვებას მოახერხებდეს, ანდა ისეთ ფინჯანს იშოვიდეს, საიდანაც ეს ბანოვანი სასმლის დაღვეას ინებებს. მისმა მოწყალებამ აზრი გამოთქვა, შენი ქვეყანა მეტად მწირი ყოფილა, რაკი თავისი მცხოვრებლებისთვის საკმაო საზრდოს ვერ იძლევაო. მაგრამ ყველაფერზე უფრო იგი იმ გარემოებამ გააოცა, თუ როგორ მოხდა, რომ, ასეთი უზარმაზარი ფართობი, რაც, ჩემი ნაამბობის თანახმად, ჩემს ქვეყანას უჭირავს, იმდენად გადამხმარია, რომ წყალი არსად მოიპოვება და აუცილებელი ხდება გემებით უცხო და შორეული ქვეყნებიდან ჩამოიტანონ იგი. მე ვუპასუხე, რომ ინგლისი, ჩემი ძვირფასი სამშობლო, იძლევა სამჯერ იმაზე მეტ საკვებს, რისი შეჭმაც მის მოსახლეობას შეუძლია და ასევე სასიამოვნო სასმელებს, რომლებიც მზადდება ყურძნის ანდა რომელიმე სხვა ხილის გამოწურვით. მაგრამ მამა იაპუთა ფუფუნებისა და გაუმაძღრობის, ხოლო დედალთა ჭირვეულობის დასაკმაყოფილებლად გვიხდება უამრავი ჩვენთვის საჭირო და აუცილებელი პროდუქტების გაგზავნა სხვა ქვეყნებში იმისათვის, რათა იქ, სამაგიეროდ, შევიძინოთ ისეთი საქონელი, რაც ხელს შეუწყობს ჩვენში სნეულებათა, ბიწიერებათა და უგუნურებათა გაგრძელებას; რომ ღვინო უცხო ქვეყნებიდან იმისათვის კი არ შემოაქვთ ჩვენში, რათა მან წყლის ან რამე სხვა სასმლის მაგფრობა გასწიოს, არამედ იმიტომ, რომ ეს სითხე გონებას გვიბნელებს და ამით გვამხიარულებს, გვიქარვებს სვედა-ნალველს, უცნაურ აზრებს ბადებს ჩვენს თავში, გვიღვიძებს იმედებს და გვათავისუფლებს შიშისაგან, დროებით გვაფიწყებს ყოველგვარ საფიქრალს, ადუნებს ჩვენი სხეულის ყოველ ორგანოს და ბოლოს, საღათას ძილით ჩაგვაძინებს ხოლმე; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი სმის შემდეგ ყოველთვის აუადმყოფნი ანდა ცუდ გუნებაზე მყოფნი ვიღვიძებთ და რომ ამ სასმელების ხმარება ათასგვარ სნეულებას გვმართებს და ჩვენს ცხოვრებას გატანჯულს და ხანმოკლეს ხდის.

გარდა ამისა, ჩვენი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თავს იმით ირჩენს, რომ ამარაგებს აუცილებელი ან ფუფუნების საგნებით მდიდრებსა და საერთოდ, ერთიმეორეს. მაგალითად, როცა მე შინ ვიმყოფები და შესაფერისად მაცვია, ასობით სხვადასხვანაირი ხელობის

ადამიანთა ნაოსტატარით ვარ შემოსილი; ჩემი სახლი და ავეჯეულობა კიდევ უფრო მეტი ნახელავია, ხოლო ჩემი მეუღლის მორთულობას ხუთჯერ მეტის ნამოღვაწევი დასჭირდება.

ასევე, ვაპირებდი იმის თქმას, რომ არსებობს კიდევ ერთი წყება ადამიანებისა, რომლებიც სარჩო-საბადებელს აუადმყოფების მოვლით შოულობენ. მისი ბრწყინვალეებისთვის ადრევეც მქონდა ნათქვამი, რომ მრავალი მეზღვაური დამეხოცა გემზე სხვადასხვა სნეულებით. მაგრამ ძალიან გაუძნელდა იმის გაგება, თუ აუადმყოფობაში რას ვგულისხმობდი. გამოცდილებით მან მარტო ის იცოდა, რომ ჰუიჰნჰნში სუსტდებოდა და ღუნდებოდა სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, ანდა შეეძლო შემთხვევით მოეეტება ფეხი. მაგრამ სრულიად დაუშვებლად მიაჩნდა, თითქოს ბუნებას, რომელიც ყველაფრის სრულყოფას ცდილობს, რაიმე ტკივილი დაეპუდებინოს ჩვენში; ამიტომაც მკითხა, ვუ სნეულება საიდან და რატომ გიჩნდებათო.

მე ვუთხარი, რომ ჩვენ ათას სხვადასხვანაირ საჭმელს ვჭამთ და თითოეული მათგანი ერთმანეთის საწინააღმდეგო გავლენას ახდენს ორგანიზმზე; რომ ჩვენ ვჭამთ მაშინაც, როცა შიმშილს არ ვგრძნობთ და ვსვამთ ყოველგვარი წყურვილის გარეშე. ხშირად მთელ ღამეებს ვატარებთ მაგარი სასმელების სმაში და, ამ დროს, არაფერს ვჭამთ, რაც თენთავს და ახურებს ჩვენს ორგანიზმს და იწვევს კუჭის მუშაობის მოშლას; რომ იაჰუს მოდემის იმ დედლებს, რომლებიც მეძავობით არიან დაკავებულნი, განსაკუთრებული ვენერიული დაავადება ემართებათ, რომელიც ალპობს მათ ორგანიზმს და საკმარისია ასეთ მდედრს გადაეხვიო, რომ აუადმყოფობა შენც გადაგედოს. რომ მთელი დღის განმავლობაში ვერ ჩამოუთვლიდი ყველა იმ აუადმყოფობას, რომელიც ადამიანს შეეყრება ხოლმე, რადგანაც მათი რიცხვი ხუთას-ექვსასზე ნაკლები არ იქნება; ეს აუადმყოფობანი ვრცელდება ყოველ ორგანოზე, გარედან თუ შიგნიდან და ორგანიზმის არც ერთი ისეთი ნაწილი არ არსებობს, რომელსაც ერთი ან რამდენიმე აუადმყოფობა არ ემართებოდეს; რომ ჩვენში არსებობს ადამიანთა გარკვეული კასტა, რომლის წარმომადგენლები ამ აუადმყოფობებს ებრძვიან, ან აცხადებენ, რომ შეუძლიათ მათთან ბრძოლა. რაკი მეც ამ ფენას განეკუთვნები, მის მოწყალებას ჩვენი პროფესიული საიდუმლოებებიც გაჯანდე.

მაგრამ, ნამდვილ სნეულებათა გარდა, არსებობს აგრეთვე მოჩვენებითი სნეულებანიც, რომელთა განსაკურნავად მკურნალებს

გამოგონილი აქვთ საგანგებო მოჩვენებითი წამლები. იმ სნეულე-ბებს თავიანთი სახელები გააჩნია, ისევე, როგორც წამლებს. ასეთი სნეულეებებით ჩვენი მდებრობითი სქესის იაპუები არიან შეპყრო-ბილნი.

იმ კასტის ადამიანთა ერთ-ერთი ღირსება ის გახლავთ, რომ თითქ-მის შეუცდომლად წინასწარმეტყველებენ, რითი დამთავრდება ესა თუ ის აუდმყოფობა. როდესაც აუდმყოფს რაიმე ისეთი სენი სჭირს, რაც საბედისწეროა, ექიმები უთუოდ იწინასწარმეტყველებენ, მოკვდებაო, რაც გამართლდება კიდევაც. მაგრამ თუ ვინიცობაა, ასეთი უიმედო აუდმყოფი მაინც გამოკეთდება და მორჩება, მკურნალები აქაც არ დაიბნევიან და თავიანთი წინასწარმეტყველების გამტყუნებას იმით ხსნიან, რომ მათმა უებარმა წამალმა ნაყოფი გამოიღო და აუდმყოფი იხსნა. ამგვარად, სახელსაც გაითქვამენ.

აქამდეც მქონდა რამდენიმე შემთხვევა, მესაუბრა ჩემს მასპინძელ-თან ჩვენს სახელმწიფო წყობილებაზე საერთოდ და, განსაკუთრე-ბით კი, ჩვენს დიდებულ კონსტიტუციაზე, რომელიც სამართლიანად ითვლება მთელი სამყაროს საოცრებად და შურის საგნად. მაგრამ, მასთან შემთხვევით სახელმწიფო მინისტრი ვახსენე და ჩემმა მას-პინძელმა რამდენიმე ხნის შემდეგ მთხოვა მეთქვა, რა სახის იაპუებს ვნათლავდი ასეთი სახელით.

უუპასუხე, რომ პირველი, ანუ მთავარი მინისტრი, ე.ი. პიროვნე-ბა, რომლის აღწერას ვაპირებდი, ისეთი არსებაა, ვისთვისაც უცხოა სიხარული და მწუხარება, სიყვარული და სიძულვილი, სიბრალული და გულისმოსვლა; ყოველ შემთხვევაში, მას სხვა ვნება არ გააჩნია, გარდა სიმდიდრის მოხვეჭისა, ძალაუფლების ხელში ჩაგდების და ტიტულის მოპოვებისა; რომ ის სიტყვებს იყენებს ყოველგვარი მიზ-ნით, მაგრამ საკუთარი აზრის გამოსახატავად კი არასოდეს; რომ ის არაფრის გულისათვის ისე არ იტყვის მართალს, თუ დარწმუნებული არ იქნება, რომ თქვენ მას სიცრუედ მიიღებთ; არც ტყუილს იტყვის ისე, თუ არ ეცოდინება, რომ თქვენ მას ხალას სიმართლედ ჩათვლით; მას, ვისაც პირველი მინისტრი ზურგს უკან ლანძღავს და აგინებს, შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ წარმატებას წარმატებაზე მიაღწევს, ხოლო ვისაც პირში ანდა საჯაროდ აქებს, მისი საქმე, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, წასულია. ვაი თქვენ, თუკი პირველი მინისტრი უგპირდათ რამეს და განსაკუთრებით კი თუ ეს დაპირება



მან ფიცით დაამტკიცა; ჭკვიანი კაცი ასეთ დროს იქაურობას გაეცლება და ყოველგვარი იმედი გადაწურება.

არსებობს სამი ხერხი, რომლის შემწეობითაც ადამიანს შეუძლია გადაიქცეს პირველ მინისტრად. პირველი — კეთილგონივრულად უნდა შეეძლოს ცოლის, ქალიშვილის ან დის გამოყენება; მეორე — საკუთარი წინამორბედის ღალატი, ან მისთვის ძირის გამოთხრა; და მესამე — საჯარო შეკრებებზე სასახლეში გამეფებული უმსგავსობებისა და ბიწიერებების გააფთრებული მხილება. ბრძენი და გამჭრიახი მეფე ყოველთვის იმათ აიყვანს, რომლებიც ამ მესამე ხერხს მიმართავენ, ვინაიდან ეს მამხილებლები შემდგომ ყველაზე უფრო მონურად ემორჩილებიან ხოლმე თავიანთი ბატონ-პატრონის ნება-სურვილსა და ახირებულობას; ეს მინისტრები, რომელთა ხელში ექცევა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმე, თავიანთ მდგომარეობას იმით იმტკიცებენ, რომ მოისყიდნიან სენატისა თუ სახელმწიფო საბჭოს ამკარა უძრავლესობას; დაბოლოს, განსაკუთრებული აქტის მიღების საშუალებით, რომელსაც ამნისტია ეწოდება (მე აუხსენი ჩემს მასპინძელს, რას წარმოადგენს ეს აქტი), მთელი ერისაგან ნაძარცვი დოვლათით ავსებულნი, სახელმწიფო საქმეებს თავს ანებებენ.

პირველი მინისტრის სასახლე წარმოადგენს თავისებურ საშენს, სადაც მისი მსგავსები იზრდებიან. პაჟები, ლაქიები და შვეიცარები ყველაფერში ჰბაძავენ თავიანთ ბატონს და თვითონაც ერთგვარი სახელმწიფო მინისტრები ხდებიან საკუთარ სფეროში. ისინი სამ რამეში ხელოვნდებიან: თავხედობაში, სიცრუესა და მექრთამეობაში. ამგვარად, თვითონაც ხელქვეითთაგან შემდგარ პატარა სასახლეს ქმნიან, სადაც აგრეთვე რჩეული საზოგადოება იყრის ხოლმე თავს და, ხანდახან, გაქნილობისა და უსარცხვილობის შემწეობით, თანამდებობრივი კიბის ერთი საფეხურიდან მომდევნოზე ხტებიან, ერთ მშვენიერ დღეს კი, თავინთი ბატონის ადგილზედაც წამოსკუპდებიან ხოლმე.

პირველ მინისტრს ჩვეულებრივ განაგებს რომელიმე გარყვნილი ქალი ანდა ლაქია-ფავორიტი, რომელთა მეშვეობითაც ხდება ყოველგვარი წყალობის გაცემა. ამიტომაც, მათ შეიძლება სამეფოს განმგებლები ეწოდოთ.

ერთხელ, ჩემს მასპინძელთან საუბრის დროს, ჩემს ქვეყანაში მცხოვრები დიდგვაროვანი და კეთილშობილი ადამიანების ფენა ვახსენე და მისი ბრწყინვალეებისგან ისეთი ქათინაური მოვისმინე, რაც სულაც არ და-

მიმსახურებია: მან გამოთქვა რწმენა, რომ მე წარმოშობით უთუოდ დიდგვაროვანი უნდა ვყოფილიყავი, რადგანაც გარჯნობით, კანის ფერთა და სისუფთავით დიდად ვჯობდი მისი ქვეყნის ყველა იაპუსს, თუმცა გამძლეობითა და სიძლიერით მათ დიდად ჩამოვრჩებოდი, რაც ამ ცხოველებისაგან განსხვავებული ცხოვრების წესის შედეგი უნდა ყოფილიყო; გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ მე არა მარტო მეტყველების უნარით ვიყავი დაჯილდოებული, არამედ გარკვეულწილად, ჭკუა-გონებაც კი გამაჩნდა, რასაც მისი ნაცნობ-მგობრები ერთგვარ სასწაულად მიიჩნევდნენ.

უგულითადესი მადლობა გადაუხსნა მის მოწყალებას იმისათვის, რომ ჩემზე ასეთი კარგი შეხედულება გამოთქვა. მაგრამ, ამავე დროს, დავარწმუნე, რომ მე მდაბიო შთამომავლობის ვიყავი; რომ უბრალო, მაგრამ პატიოსან ოჯახში დაეიბადე; რომ ჩემმა შშობლებმა გაჭირვებით მომცეს საკმარისი განათლება; რომ ჩვენი დიდგვაროვნები სრულიად განსხვავებულნი არიან იმისაგან, რაც მას წარმოუდგენია; რომ ჩვენი ახალგაზრდა კეთილშობილები ბავშვობიდანვე ფუფუნებასა და უქნარობაში იზრდებიან, ახალგაზრდობას გარყვნილებაში ატარებენ და ათასგვარი სწულებით აუადლებიან და, როცა თავიანთ ქონებას მიაფლანგავენ, ცოლად ირთავენ ვინმე მდაბიო ქალებს, — რომლებიც არც ჭკუით გამოირჩევიან და არც სილამაზით, მაგრამ ფული აქვთ, — თუმცა ისინი სძულთ და ეზიზღებათ მათი შვილებიც დააუადებულნი იბადებიან და ასეთი გვარების შთამომავლობა სამ თაობას ვერ გასცდებოდა, რომ არა მათი ცოლების წინდახედულება, რომლებიც ჯიშის გამოჯანმრთელების მიზნით მეზობლების ან მსახურებისგან ირჩევენ ჯანმრთელ მამებს მომავალი შვილებისათვის. ასე, რომ, აუადმყოფურად გამხდარი სხეული და გაფითრებული სახე კეთილშობილი სისხლის უტყუარ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს და, თუ რომელიმე მათგანი ჯანმრთელად გამოიყურება, ეს ნიშნავს, რომ მისი ნამდვილი მამა მეჯინიბე, ანდა მეეტლე იყო. ამგვარად, დიდგვაროვანთა წარმომადგენლების სულიერი სიმახინჯე საკვებით შეესაბამება მათივე ფიზიკურ სიჩიავს და ნალვლიანობის, სიჩლუნგის, უმეცრობის, ჭირვეულობის, აუადმყოფური მტნობიარობისა და სიამაყის ნაზავს წარმოადგენენ.

აი, ამ ბრწყინვალე წოდების თანხმობის გარეშე არ შეიძლება რაიმე კანონი გამოიცეს ან შეიცვალოს, მთელი ჩვენი აუაღიდეებაც ამ კეთილშობილების ხელშია და მას, როგორც მოეპრიანებათ, ისე ატრიალებენ ხოლმე.

## თავი მუხვილი

ავტორის უდიდესი სიყვარული სამშობლოსადმი. მისი მასპინძლის შენიშვნები ინგლისის კონსტიტუციასა და სახელმწიფო წვობილებასზე აღწერილი ავტორის მიერ მრავალი პარალელთა და შედარებით. მისი მასპინძლის შენიშვნები ადამიანის ბუნებაზე.

მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, როგორ მოხდა, რომ მე გადავწყვიტე ჩემი თანამემამულეების ნამდვილი სახე მეჩვენებინა მოკვდავთა იმ მოდგმისათვის, რომლებსაც უამისოდაც ადამიანებზე ცუდი წარმოდგენა ჰქონდა, რაკი ხედავდა ჩემსა და იაჰუებს შორის მსგავსებას. მაგრამ, გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ იმ მშვენიერი ოთხფეხების სათნოებამ, რომელიც ადამიანის გარყვნილებას შეჰყვარა, ისე ამიხილა თვალები და გამიფართოვა ჰორიზონტი, რომ ადამიანის ვნებებსა და მოქმედებებს სულ სხვა თვალთ დავუწყე ყურება და იმ აზრამდეც კი მივედი, რომ ჩემი მსგავსი არსებების ღირსებების დაცვა საერთოდ არც ღირდა; რასაც, ძალიანაც რომ მომენდომებინა, მაინც ვერ მოვახერხებდი, ისეთი მკაცრი მსაჯულის წინაშე, როგორიც ჩემი მასპინძელი გახლდათ, რომელიც, დღე ერთი იყო და, ჩემში ათასგვარ ნაკლს აღმოაჩენდა ხოლმე, რომლებზედაც მანამდე, მართალი გითხრათ, სულ არ მქონდა წარმოდგენა და რომლებიც ჩვენში, ადამიანებს შორის, უბრალო სისუსტედაც არ ითვლება. აგრეთვე, ჩემი მასპინძლისგან გადმომედო ყოველგვარი სიცრუისა და ორპირობის სიძულვილი. სიმართლე კი ისე შემიყვარდა, რომ გადავწყვიტე ყველაფერი შემქნირა მისთვის.

მაგრამ მკითხველთან სავსებით გულწრფელი ვიქნები და ვაღიარებ, რომ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მიზეზიც მქონდა, რათა ყველაფერზე გაბედულად და დაურიდებლად მელაპარაკა. იმ ქვეყანაში ერთი წლის ჩასული არც კი ვიყავი, მაგრამ ადგილობრივი მკვიდრების მიმართ იმდენი სიყვარული და პატივისცემა ვიგრძენი, რომ გადავწყვიტე საოცარ ჰუიჰნჰნებებთან დაგრჩენილიყავი და არასოდეს დავბრუნებოდი კაცობრიობას. იქ გამეფებული სიკეთისა და სათნოებისთვის მეცქირა და თვითონაც იქაური მკვიდროვით შემოქმედა. ბიწიერების არავითარი მაგალითი არ მექნებოდა თვალწინ და, ამგვარად, ამ საზიზღარი ცდუნებისაგან საბოლოოდ დაცული ვიცხო-

ერებდი. მაგრამ ბედისწერამ, ჩემმა მარადიულმა მტერმა, ეს ბედნიერებაც დაიშურა ჩემთვის. ახლა კი ჩემთვის ერთგვარი ნუგეშია იმაზე ფიქრი, რომ იქ, რაც უნდა მეთქვა ჩემი თანამემამულეების შესახებ, ყველაფერს ვარბილებდი და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ვალამაზებდი კიდევ, თუმცა ბევრი რამის დამალვაც არ ხერხდებოდა ისეთ გამჭრიახ დამკვირვებელთან და მსაჯულთან, როგორც ჩემი მასპინძელი ბრძანდებოდა. მართლაცდა, განა არსებობს ისეთი სულიერი, რომელიც სიყვარულითა და პატივისცემით არაა გამსჭვალული თავისი დაბადების ადგილისადმი?

მე თქვენ გადმოგეცით ყველაზე არსებითი მხარე იმ მრავალრიცხოვანი საუბრისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მისი მოწყალების სამსახურში ყოფნისას და რასაც ჩვენი ღროის უდიდესი ნაწილი ეთმობოდა; მაგრამ, რა თქმა უნდა, აქ მოყვანილზე გაცილებით მეტი გამოვტოვე მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ მოკლედ მომეჭრა და თქვენთვის თავი არ გამეხეზრებინა.

პასუხი გავეცი ყველა მის შეკითხვაზე და, როგორც მეგონა, მისი ცნობისმოყვარეობა საბოლოოდ დააკმაყოფილე, მაგრამ ერთ სისხამ დილით დამიბარა და, გამოვცხადდი თუ არა, მიბრძანა, მისგან განსაზღვრულ მანძილზე დაემჯდარიყავი (ასეთი პატივი მანამდე არასოდეს უღირსებია ჩემთვის) და მითხრა, რომ ყველაფერზე, რაც ჩემსა და აგრეთვე ჩემი სამშობლოს შესახებ მოუყვები, ბევრი იფიქრა და იმტვრია თავი; რომ იგი ჩვენ გვთვლიდა ისეთ ცხოველებად, რომელთაც, — რაღაც შემთხვევით, რაც საგსებით გაუგებარი იყო მისთვის, — მოგვენიჭა ჭკუა-გონების რაღაც ნატამალი და რასაც ვიყენებთ მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ გავაღრმავოთ ბუნებრივი მანკიერება და შევიძინოთ ახალი ბიწიერებანი, რაც ბუნებას არ მოუცია; რომ ჩვენ იმ თითო-ოროლა ღირსებისაგანაც ვიძარცვავთ თავს, რაც ბუნებამ მოგვანიჭა; რომ ჩვენი პირველყოფილი მოთხოვნილებები ხელოვნურად გაგაძლიერეთ და მთელ სიცოცხლეს იმის ცდაში ვატარებთ, რომ ვცდილობთ, როგორმე ჩვენ მიერვე გამოგონილი საშუალებებით დავიკმაყოფილოთ ისინი; რაც შემეხება პირადად მე, არც საშუალო იაპუს ძალა გამაჩნია და არც მოხერხება; ძლივს დავდღვარ უკანა ფეხებზე; იმდენი მოვახერხე, რომ ფრჩხილები თავდაცვისათვის სრულიად შეუფერებელი გავხადე და ნიკაპიდანაც რაღაც მანქანებით ვიცვილებ თმას, რომელიც მზისა და ავდრისაგან დასაცავდაა გაჩენი-

ლი; და, ბოლოს, ჩემი თანამოძმეებით (ასე უწოდებდა ის იაპუებს) არც სწრაფად სიარული შემიძლია და არც ხეზე ასვლა.

სახელმწიფო წყობილებისა და კანონების არსებობაც მიუთითებს ჩვენი გონების აშკარა ნაკლოვანებებზე, ვინაიდან გონიერი არსების სამართავად საკმარისია ერთადერთი გონებაც კი, რის ქონაზეც, როგორც ჩემი ნაამბობიდან ჩანს, ჩვენ პრეტენზიას არ უნდა ვაცხადებდეთ; თუმცა მთელი ჩემი საუბრების დროს, მისი აზრით, მე ვცდილობდი ბევრი რაიმე დამემალა თანამემამულეების სასარგებლოდ და ხშირად ვამბობდი ისეთ რამეებს, რაც არ არსებობდა.

მას ეს შეხედულება კიდევ უფრო მაშინ განუმტკიცდა, როდესაც შენიშნა, რომ, როგორც ჩემი სხეული ჰგავდა ყოველმხრივ სხვა იაპუების სხეულს (თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული ჩემი ზოგიერთი თავისებურებანი, რომლებიც უფრო ჩემს სისუსტეზე მეტყველებდა, ვიდრე სიძლიერეზე, როგორიცაა: უძლურება, ნელა სიარული, მოუქნელობა, ფრჩხილების სიმოკლე და კიდევ ზოგიერთი სხვა თვისებანი, რომლებიც ჩვენი ცხოვრების წესიდან გამომდინარე შევიძინეთ), აგრეთვე ჩვენი ცხოვრების ნირი, ზნე-ჩვეულებები და საქმიანობა, რაც ნათელს ხდის ჩვენსა და იაპუებს შორის გონებისა და აზროვნების თვალსაზრისითაც უზარმაზარი მსგავსების არსებობას. მისი თქმით, ცნობილია, რომ იაპუებს ერთმანეთი უფრო სძულთ, ვიდრე სხვა ცხოველები; და ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ ისინი ხედავენ თავიანთ სიმახინჯეს, მაგრამ ამას, საუბედუროდ, თანამოძმეებში ამჩნევენ მხოლოდ და არა საკუთარ თავში. ამიტომაც იმ აზრამდე მივიდა, რომ არცთუ ისე ურიგო საქმეა, ტანისამოსს რომ ვიცვამთ და ამ გამოგონების შემწეობით მართლაც აუტანელი დასანახავი იქნებოდა. ის ახლავდა მიხვდა, რომ მისი ქვეყნის უგუნურ იაპუებს შორის განხეთქილებას იგივე მიზეზები გააჩნია, რაც ჩვენ შორისაც წარმოადგენს შუღლისა და მტრობის წყაროს, როგორც ეს ჩემი ნაამბობიდან გახდა ნათელი. რადგანაც, — თქვა მან, — ხუთ იაპუს ორმოცდაათის სამყოფი საკვები რომ დაუყარო, ნაცვლად იმისა, რომ მშვიდად ჭამონ, ყურებში სწვდებიან ერთმანეთს და თითოეული მათგანი შეეცდება მართო ერთმა ჩაიგდოს ხელში მთელი ხორაგი; ამიტომაც, როცა მათ საჭმელს აძლევენ გარეთ, მსახური დგას მათთან და თვალყურს ადევნებს, რომ ერთმანეთს არ

ეცნენ, ხოლო როცა იაპუებს სახლში კვებავენ, ერთიმეორისაგან განსაზღვრულ მანძილზე აბამენ. რაიმე შემთხვევის ანდა სიბერის გამო ძროხა რომ მოკვდეს, ვიდრე ჰუიჰნჰნმი თავის იაპუებისათვის მის წამოღებას მოასწრებდეს, სამეზობლოს იაპუების ჯოგი მოვარდება ლემის დასატაცებლად; იქ მათ შორის გაიმართება ისეთივე ბრძოლა, როგორიც მე აღვწერე; ბრჭყალებით დაერევიან და საშინელ ჭრილობებს მიაყენებენ ერთმანეთს, თუმცა ამას მკვლელობა იშვიათად მოსდევს, რადგანაც ჩვენსავით მოხერხებული მომაკვდინებელი იარაღი არ გააჩნიათ. ხანდახან მსგავსი ბრძოლები ხდება ერთმანეთის მეზობლად მცხოვრებ იაპუებს შორისაც, თითქმის ყოველგვარი მიზეზის გარეშე, რადგანაც ერთ ადგილას მცხოვრები იაპუები ყოველთვის იმის ცდაში არიან, რომ სამეზობლოს იაპუებს მოულოდნელად დაესხნენ თავს. მაგრამ, თუ ვინიცობაა, ეს ლაშქრობა არ გამოუვათ, გაწბილებულნი შინ დაბრუნდებიან, ერთიმეორეს დაერევიან და ისეთივე ბრძოლა იწყება, რასაც ჩვენ სამოქალაქო ომს ვეძახით.

მათი ქვეყნის ზოგიერთ მინდორზე მოიპოვება სხვადასხვა ფერის რაღაც ბრჭყვიალა ქვები, რომლებიც განსაკუთრებით უყვართ იაპუებს; ასეთი ქვები ხშირად მიწაში ღრმადაა ჩასობილი, იაპუები ბრჭყალებით დღეობით თხრიან, რათა ამოიღონ ისინი და თავიანთ ბუნაგებში გროვებდნენ ჩაფლან. მაგრამ ამას ძალუღალად და დიდი სიფრთხილით აკეთებენ, რადგან შიშობენ, ვაითუ, ამხანაგებმა ჩვენს საგანძურს მოაგნონო. ჩემმა მასპინძელმა მითხრა, რომ ვერ იქნა და ვერ გაიგო, რამ შეაყვარა იაპუებს ის ქვები, ანდა რაში უნდა იყენებდნენ მათ; მაგრამ ახლა მას ჰგონია, რომ ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ის სიხარბეა, რაც მე ადამიანთა მოდგმას მივაწერე. ერთხელაც, რათა გაეგო რა გავლენას მოახდენდა ეს, მან საკუთარი იაპუს განძი ამოთხარა და გადაძალა; იმ საზიზღარმა ცხოველმა, როცა გაიგო, რომ განძი დაეკარგა, ისეთი ხმაძალა და საბრალო ყვირილი მორთო, რომ იაპუების მთელი ჯოგი შემოკრიბა. მან ერთხანს იღმუვლა, ბოლოს კი თავის თანამოძმეებს დაერია და კბენა დაუწყო; მაგრამ ამან შედეგი რომ ვერ გამოიღო, საშინლად დანადვლიანდა, არც ჭამა, არც სვა და მუშაობასაც თავი მიანება; მაშინ ჩემმა მასპინძელმა ერთ-ერთ მსახურს უბრძანა ის ქვები უჩუმრად თავის ადგილზე დაებრუნებინა; იაპუმ თავისი განძი დაბრუნებული

რომ ნახა, ისევე ისე გამხიარულდა და გამოცოცხლდა, მაგრამ ამჯერად მეტი სიფრთხილე მოიხმარა და მთელი თავისი ავლადიდება უკეთეს ადგილას გადაძალა და მას მერე მასზე შშვიდი და გამგონე მომუშავე არც ჰყოლია.

ჩემი მასპინძელი მარწმუნებდა, თუმცა რაღა დარწმუნება მინდოდა, როცა საკუთარი თვალითაც ბევრჯერ მინახავს, რომ ყველაზე მძვინვარე ბრძოლები იაჰუებს შორის იმ მინდვრებზე ხდება, სადაც ძვირფასი ქვები მოიპოვება და ეს იმიტომ, რომ აქ ხშირად ახლომახლო მიდამოებში მცხოვრები იაჰუები შემოიჭრებიან ხოლმე.

მისი თქმით, როგორც წესი, ორი იაჰუ ერთმანეთს ძვირფასი ქვის გამო რომ წაეკიდება, ვინმე მესამე გამოვლის, მდგომარეობით ისარგებლებს და ქვას დაისაკუთრებს; ამაში ჩემმა მასპინძელმა პოვა ერთგვარი მსგავსება ჩვენს სასამართლოებთან; მე გადავწყვიტე, არ შევკამათებოდი მის მოწყალებას, რადგანაც მის მიერ დაპირისპირებულ მხარეებს შორის დავის გადაწყვეტის უფრო სამართლიანი ფორმა იყო წარმოდგენილი, ვიდრე ამას ჩვენს სასამართლოებში აქვს ადგილი, რადგანაც მოძივანი მხარეები იქ არაფერს კარგავენ, გარდა საზიარო ქვისა, მაშინ, როცა ჩვენს სასამართლოებში მანამდე არ ამთავრებენ საქმის გარჩევას, ვიდრე ორივე მოპირდაპირე მხარეს ერთიანად არ გააკოტრებენ.

ჩემმა მასპინძელმა განაგრძო საუბარი და თქვა, რომ იაჰუებს კიდევ ერთი საზიზღარი ჩვევა აქვთ ისინი განურჩევლად პირში იტაცებენ ყველაფერს, რასაც წააწყდებიან, ბალახი იქნება ეს თუ ფესვი, ხილი თუ დამპალი ლეში, თუ ყველაფერი ეს ერთად არეული; მათთვის დამახასიათებელია ის თვისება, რომ უფრო დიდი სიამოვნებით მიირთმევენ მოტაცებულს ანდა მოპარულს, რაც გინდა ცუდი და გაფუჭებული უნდა იყოს იგი, ვიდრე შინ დამზადებულ საჭმელს; ამავე დროს, თუ ნადავლი ბევრი აღმოჩნდება, გასკდომამდე ჭამენ; მაგრამ ბუნებამ როგორღაც ასწავლა მათ რაღაც ბალახის ფესვი, რომელსაც ასეთ შემთხვევაში წამლად ხმარობენ.

კიდევ არსებობს რომელიღაც მცენარის ფესვი, რისი მონახვა არცთუ ისე ადვილია. დიდი მონდომებით ეძებენ ხოლმე იაჰუები მას და, თუ ვინიცობაა, იპოვებს, გატაცებით წუწნიან, რაც მათზე ღვინოსავით მოქმედებს. მისგან გაბრუებულნი ხან ლოშნიან ერთიმეორეს,

ხან ჩხუბობენ; ღრიალებენ, იმანჭებიან, ყაყანებენ, რაღაცას ლულ-  
ლულეებენ, ბოლოს, წაბორძიკდებიან, დაღლილ-დაქანცულნი მტკერ-  
სა და ტალახში დაეყრებიან და ხვრინვას ამოუშვებენ.

მე შევნიშნე, რომ იმ ქვეყანაში ავადმყოფობა მხოლოდ და მხოლოდ  
იაპუებს ემართებათ; თუმცა მათი რიცხვი გაცილებით უფრო ნაკლები  
აქ იმ ავადმყოფობებზე, რაც ჩვენში ცხენებს ემართებათ; მაგრამ მათ  
სწეულებებს იწვევს არა ცუდი მოპყრობა, არამედ თავად იაპუების  
უსუფთაობა და ღორმუცელობა. ჰუიჰნჰნების ენას მხოლოდ ერთი  
საერთო სახელი გააჩნია იმ ავადმყოფობათა გამოსახატავად და ისიც  
თვითონ იმ ცხოველის სახელიდანაა ნაწარმოები. ეს სიტყვა გახლავთ  
„ჰნი-იაჰუ“.

რაც შეეხება სწავლა-განათლებას, სახელმწიფო წყობილებას, ხე-  
ლოვნებას, მრეწველობას და მსგავს დარგებს, ამ მხრივ მისი მოწ-  
ყალბა ჩვენსა და იაპუებს შორის თითქმის ვერაფრით მსგავსებას  
ვერ ხედავდა; მას კი მხოლოდ და მხოლოდ ის ნიშნები აინტერე-  
სებდა, რითაც ჩვენ ერთიმეორეს ვემსგავსებოდით. ზოგიერთი ცნო-  
ბისმოყვარე ჰუიჰნჰნისაგან გაეგონა, რომ, მათი დაკვირვებით,  
ჯოგების უმრავლესობას ჰყავს ერთგვარი ბელადის მსგავსი იაჰუ  
(ისევე, როგორც ჩვენს სამხეცეებში ირმებს ჰყავთ ხოლმე თავიანთი  
წინამძღოლი), რომელიც სხვებისაგან გამოირჩევა განსაკუთრებული  
სიმახინჯითა და ბოროტებით. ამ ბელადს ჩვეულებრივ ჰყავს თავისი  
ფავორიტი, რომელიც, რამდენადაც შესაძლებელია, ყოველნაირად  
ჰგავს თავის ბატონს. მის მოვალეობას შეადგენს ის, რომ გამუდმე-  
ბით ფეხებს და უკანალს ულოკავს თავის ბატონს და დედალი იაჰუე-  
ბით ამარაგებს. გაწეული სამსახურისთვის მას, დროდადრო, ვირის  
ხორცის მოზრდილი ნაჭრით ასაჩუქრებენ. ეს ფავორიტი ეზიზღება  
მთელ ჯოგს, ამიტომაც, თავი უსაფრთხოდ რომ იგრძნოს, იგი გა-  
მუდმებით ახლავს თავის ბატონს და, ამგვარად, მანამდე იმყოფება  
მის სამსახურში, ვიდრე ეს უკანასკნელი მასზე უარეს ვინმეს იშო-  
ვიდეს. მაშინ კი მის ადგილზე წამოსკუპებული იაჰუ თავს მოუყრის  
მთელ ჯოგს, დიდსა თუ პატარას, ოროვე სქესის წარმომადგენლებს,  
— და მათი შემწეობით ყოფილ ფავორიტს ათასნაირად არცხვენს და  
შეურაცხყოფს. იმის გარჩევა, თუ რამდენად შეესაბამება ყოველივე  
ეს ჩვენს სასახლეებს, მინისტრებსა და ფავორიტებს, მასპინძელმა  
პირადად მე მომანდო.



მე ვერ გავხედვარე პასუხი გამეცა იმ ღვარძლიან მინიშნებაზე, რომელიც ადამიანის გონებას თვით ჩვეულებრივი სანადირო ძაღლის ყნოსვაზე დაბლაც კი აყენებდა, რომელსაც საკმაო მოსაზრება გააჩნია იმისათვის, რომ შეუმცდარად გამოარჩიოს უძლიერესი ძაღლის ყეფა და მისდოს მას.

ჩემმა მასპინძელმა მითხრა, რომ იაპუებს გააჩნიათ ისეთი განსაკუთრებული თვისებებიც, რომლებიც მე ან სულ არ მიხსენებია ადამიანის ბუნების შესახებ საუბრის დროს, ანდა, თუ შევხებოვარ, მხოლოდ და მხოლოდ გაკვრით: მდებრობითი სქესის იაპუ მამრს მაშინაც კი უშვებს თავისთან, როდესაც მაკვდაა; ასევე, მამრობითი სქესის წარმომადგენლები ისევე მძვინვარედ ებრძვიან მდებრობითი სქესის წარმომადგენლებს, როგორც ერთიმეორეს; ასეთ სიმხეცემდე არც ერთი სულიერი არსება, იაპუებს გარდა, არასოდეს მისულა.

კიდევ უფრო გასაკვირი და გაუგებარი იყო ჩემი მასპინძლისათვის იაპუების უცნაური მიდრეკილება ჭუჭყისადმი; და ეს მაშინ, როცა ყოველ ცხოველს უყვარს სისუფთავე და მისდევს მას. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მსგავსი არსებების დაცვა გულით მეწადა, წინა ბრალდებები უპასუხოდ დაეტოვე, რადგანაც მათ გასამართლებლად ვერავითარი საბუთი ვეღარ ვიპოვე. სამაგიეროდ, არ გამიძნელებოდა უკანასკნელი ბრალდების მოხსნა ჩემიანებისგან, იმ ქვეყანაში ღორები რომ ჰყოლოდათ (რაც ჩემდა საუბედუროდ, არ ჰყავდათ), რადგანაც, თუმცა ეს ოთხფეხი იაპუზე უფრო ჭკვიანია, მაგრამ სისუფთავით მაინც ვეღარ დაიტრაბახებს. მისი ბრწყინვალეობაც დამეთანხმებოდა ამაში, ნანახი რომ ჰქონოდა, რა ფაქიზი მჭამელები ვართ ჩვენ, ღორები კი რა საძაგლად ახრამუნებდნენ ყოველგვარ საკვებს და ტალახში იძინებდნენ.

ჩემმა მასპინძელმა ახსენა კიდევ ერთი თვისება, რაც მისმა მსახურებმა შეამჩნიეს იაპუებში და რაც მისთვის სრულიად გაუგებარი იყო. მისი თქმით, ზოგიერთ იაპუს, რაც უნდა ახალგაზრდა, გასუქებული და ძალ-ღონით სავსე იყოს იგი, თანაც არც საჭმელი აკლდეს და არც სასმელი, მაინც ხანდახან მოეუწუნებება დაწვეს კუთხეში, იკვნესოს, იღმუვლოს და ახლოს არავინ გაიკაროს. მსახურებს წარმოდგენაც არ აქვთ, რა აწუხებს მათ. ამ სენისაგან განსაკურნებლად კი ის წამალი გამონახეს, რომ აუადმყოფ იაპუს

მძიმე სამუშაოს ასრულებინებენ, რითაც მაშინვე მოამჯობინებენ ხოლმე. ამაზეც ვიყუჩე, რადგანაც ჩემი თანამემამულეების მხილება არ მინდოდა; მაგრამ ჩემთვის მაინც მივაკვლიე იმ მოწყენილობის წყაროს, რაც მხოლოდ ზარმაცებს, ფუფუნებაში მყოფებსა და მდიდრებს შეიპყრობს ხოლმე და, ვინც დამთანხმდება დაემორჩილოს ჰუიპნოზების მიერ დაწესებულ რეჟიმს, მათი ამ სენისაგან განკურნებას სიამოვნებით ვიკისრებ.

მის მოწყალებას ისიც შეენიშნა, რომ მდედრობითი სქესის იაპუ ხშირად იმალებოდა ბორცვის ანდა ბუჩქის უკან, რათა შეეხედა იაპუ ჭაბუკებისათვის, რომლებსაც იქვე უნდა ჩაეგლოთ, — ხან გამორჩებოდა ხოლმე, ხან მიეფარებოდა თვალთ და ათასნაირად სასაცილოდ იმანჭებოდა ხოლმე. ასეთ დროს, როგორც არაერთხელ შეუნიშნავთ, მას აუტანელი სუნი სდიოდა. რომელიმე ჭაბუკი იაპუ რომ მიუახლოვდებოდა, იგი ნელ-ნელა უკან იხედა, თანაც წამდაუნწუმ უკან იხედებოდა, შემდეგ კი, ვითომდა შეეშინდაო, მოხერხებულ ადგილას მიყუჩდებოდა, რადგანაც მშვენივრად იცოდა, რომ ჭაბუკი იაპუ, სადაც უნდა მიმალულიყო, სულერთია, მონახავდა.

ზოგჯერ, როცა უცხო მდედრი-იაპუ გამორჩებოდა მათ ჯოგში, იმავე სქესის არსებები შემოეხვეოდნენ გარშემო, შეათვალთვლებდნენ მას, შეელაზლანდარებოდნენ და ყოველი მხრიდან დასუნავდნენ, მერე ისეთი მანჭვა-გრეხით გასცილდებოდნენ, თითქოსდა ამით მისდამი სიძულვილი უნდა გამოხატონო.

შესაძლოა ჩემმა მასპინძელმა, ცოტა არ იყოს, მუქ ფერებში წარმოადგინა თავისი დაკვირვების შედეგები, მაგრამ მე არ შემეძლო ერთგვარი გაკვირვებითა და მწუხარებით არ შემენიშნა ის მდგომარეობა, რომ, როგორც ჩანს, გარყენილების, კოკეტობის, ჭორიკნობისა და ავსიტყვობის სათავე საერთოდ ქალთა მოდგმის ბუნებაშია საძიებელი და არა სხვაგან.

სულ იმის მოლოდინში ვიყავი, რომ ჩემი მასპინძელი ბრალს დასდებდა იაპუებს იმ არაბუნებრივ მიდრეკილებებში, რაც ესოდენ ახასიათებს ჩვენი ორივე სქესის წარმომადგენლებს. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ბუნება ამ მხროვ ნაკლებად გამოცდილი ჭკუის მასწავლებელია და ეს უფაქიზესი სიამოვნებანი დედამიწის ზურგზე ჩვენ მიერ დაკავებულ ნაწილში გამეფებული გონებისა და ხელოვნების ნაყოფია.

## თავი მერვე

ავტორი აღწერს იაპუს ზოგიერთ თავისებურებას. ჰუიპნპნების უდიდესი სათნოებანი. მათი მოზარდების აღზრდა-განათლება და წვრთნა. ჰუიპნპნების ეროვნული კრება.

რაკი მე გაცილებით უკეთესად უნდა მცნობოდა ადამიანის ბუნება, ვიდრე ჩემს მასპინძელს, ჩემთვის მეტისმეტად აღვილი იყო მის მიერ მოცემული იაპუების დახასიათება პირადად ჩემთვის და ჩემი თანამემამულეებისთვის დამახასიათებელ თვისებებთან შემედარებინა; აგრეთვე საკუთარი დაკვირვებებითაც ბევრი ახალი რამ შემემჩნია და დამედგინა. ამიტომაც ხშირად ვთხოვდი მის ბრწყინვალებას, იმ მიდამოებში მყოფი იაპუების ჯოგის ნახვის ნება დაერთო. ამაზე იგი ყოველთვის სიამოვნებით მთანხმდებოდა, რადგანაც, ღრმად სჯეროდა, რომ ძლიერი ზიზღი, რასაც მე მათდამი ვგრძნობდი, ყოველგვარი ცუდი გავლენისაგან დამიფარავდა; ამავე დროს, მისმა ბრწყინვალებამ უბრძანა ერთ-ერთ თავის მსახურს, მეტისმეტად ღონიერ წაბლისფერ ჯუჯა ცხენს, რომელიც თავისი პატიოსნებითა და გულკეთილობით ყველა დანარჩენისგან გამოირჩეოდა, ჩემი მცველი ყოფილიყო. უიმისოდ მე ასეთ მოგზაურობას დიახაც რომ ვეღარ გავბედავდი. მე ხომ უკვე ვუამბე მკითხველს, რა საშინლად მიმიღეს პირველად ამ კუნძულზე ჩამოსვლისას იმ საზიზღარმა და აუტანელმა ცხოველებმა; შემდგომიც, სამ-ოთხჯერ კინალამ ჩაუვარდი მათ კლანჭებში, სახლიდან სულ მცირე მანძილზე უხანჯლოდ გასული. საკმარის საფუძველი გამაჩნდა იმის საფიქრებლად, რომ იაპუებს მათივე ჯურის ცხოველად მივაჩნდი, რასაც თვითონ მეც ხშირად იმით ვუწყობდი ხელს, რომ, როცა ჩემი მცველი თან მახლდა, სახელოს გადავიწვედი და შიშველ ხელებს გამოვაჩენდი; ამის დანახვაზე, რამდენადაც გაბედავდნენ, მიახლოდებოდნენ და მაიმუნების მსგავსად კბაძავდნენ ყოველ ჩემს მოქმედებას, მაგრამ მათ გამომეტყველებაში უსათუოდ ვკითხულობდი ჩემდამი უსაზღვრო სიძულვილს; ასე ხდება ხოლმე, როცა გალიაში ჩასმული წინდებიანი და თავსაბურიანი ჭკა შემთხვევით გაიპარება და ველურ თანამომძებებში მოხვდება.

იაპუები ბავშვობიდანვე საოცრად მარდები არიან. მაინც, ერთხელ, როგორღაც სამი წლის მდედრი დავიჭირე და ვცადე მოვალერებოდი.

მაგრამ იმ პაწია ეშმაკუნამ ისეთი წოვილ-კოვილი მორთო და ისე დამფხაჭნა, რომ იძულებული გაუხდი, ხელი გამეშვა. კიდევ კარგი, რომ ასე მოვიქეცი, თორემ მოზრდილი იაჭუების მთელი ჯოგი შემომერტყა გარშემო მისი წოვილ-კოვილის გაგონებაზე. თუმცა, როცა დაინახეს, რომ პაწიას არავითარი საფრთხე არ მოელოდა და წაბლა ჯუჯა ცხენიც გვერდით მედგა, ახლოს მოსვლა ვერც ერთმა ვერ გაბედა.

რამდენადაც დაკვირვებების შედეგად გავარკვიე, იაჭუები ყველაზე გუნებაჩლუნგი არსებები არიან და მათი სწავლება არავითარ შედეგს არ იძლევა. იმის გარდა სხვა უნარი არც კი გააჩნიათ, რომ მძიმე ჭაპანი ზიდონ. ჩემი აზრით, ამის მიზეზია იაჭუების სიჯიუტე და მიუნდობლობა; ისინი ხომ ეშმაკები, სულმდაბლები, ბოროტები და შურისმაძიებლები არიან. ჯან-ლონე არ აკლიათ, სამაგიეროდ, მშიშრები არიან, რაც თავხედებად, სულმოკლეებად, ლაჩრებად და ვერაგებადაც აქცევთ. ისიც შევნიშნე, რომ წითურები, განურჩევლად სქესისა, დანარჩენებზე გაცილებით ვერაგები არიან; ისინი დანარჩენებს ღონითაც და მოხერხებითაც სჯობიან.

ჰუიპნპნმებს ყოველდღიურ სამუშაოზე გამოსაყენებელი იაჭუები სახლის ახლოს ქოხებში ჰყავთ; ხოლო დანარჩენებს მიერეკებიან მინდვრებში, სადაც იაჭუები ნიადაგიდან თხრიან ფესვებს, ჭამენ სხვადასხვა ბალახს, ეძებენ დამპალ ლეშს, იჭერენ სინდიოფალას და ლუჭუმუჭს (ერთგვარ მინდვრის ვირთხას), რასაც გამგელებული ეცემიან და ცოცხლად ჭამენ. ბუნებამ ასწავლა ამ არსებებს კლანჭებით გორაკების ფერდობებზე ღრმა ბუნაგების გათხრა, რომლებშიც ცალ-ცალკე ცხოვრობენ. დედა იაჭუს ბუნაგი გაცილებით უფრო ფართოა, ეს იმიტომ, რომ მასთან შესაძლებელია ორმა-სამმა მოზარდმა იცხოვროს.

იაჭუები ბავშვობიდანვე ბაყაყოვით ცურავენ და შეუძლიათ დიდხანს დაჰყონ წყალქვეშ, სადაც ხშირად იჭერენ თევზს, რასაც დედები თავიანთ პატარებს აჭმევენ. ალბათ, მკითხველი მომიტყეებს, თუ ამასთან დაკავშირებით ერთ უცნაურ თავგადასავალს ვუამბობ.

ერთ-ერთი გასეირნების დროს, ძლიერ ჩამოცხა და ჩემს გამცილებელს მდინარეში ბანაობის ნებართვა ვთხოვე. იგი დამთანხმდა, მეც გავიხადე და წყალში შევედი. აღმოჩნდა, რომ ახლოს მდებარე გორაკიდან ახალგაზრდა მდედრი იაჭუ გვითვალთვალებდა. სურვილით შეპყრობილი ცხოველი მდინარისაკენ გამოქანდა და ჩემგან

ხუთი იარღის მოშორებით წყალში ჩახტა. ცხოვრებაში ასე არასოდეს შეშინებია. ჩემი გამცილებელი იქვე მინდორში ბალახს ძოვდა და არაფერი შეუძინვია. ამასობაში იაპუ მომიახლოვდა და ჩამეჭვია. მე რაც შემიძლო ხმამაღლა ვიყვირე. ყვირილზე ჯუჯა ცხენი ჩემს დასახმარებლად გამოექანა. იაპუ შეშინდა, ხელი მიშვა და მეორე ნაპირისკენ გაცურდა. შეშფოთებული ამოვედი წყლიდან და ჩაცმა დავიწყე, მეორე ნაპირზე მოკალათებული იაპუ კი თვალს არ მაშორებდა და გაუჩერებლად ყმუოდა.

ჩემმა თავგადასავალმა ძლიერ გაახალისა მასპინძელი და მისი ოჯახობა. მე კი ძლიერ შეურაცხყოფილი დავრჩი. ვინაიდან, ახლა უკვე აღარ შემიძლო იმის უარყოფა, რომ მეც იაპუს ჯიშისა ვიყავი, რადგანაც იქაურ მღედრს ჩემ მიმართ სურვილი აღედრა.

იმ ქვეყანაში სამი წელი ვიცხოვრე და, ჩემი აზრით, მკითხველი მოელის, რომ მსგავსად დანარჩენი მოგზაურებისა, გააცნობ ადგილობრივ მკვიდრთა ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებს, რომლებიც ისედაც ჩემი შესწავლის მიზანს შეადგენს.

რაკი კეთილშობილი ჰუიჰნჰნემები ბუნებისაგან დაჯილდოებულები არიან ყოველგვარი სათნოებისაკენ მისწრაფებით და, რაკი წარმოდგენაც არ აქვთ, რა არის ბოროტება გონიერ არსებაში, ამიტომაც მათი მთავარი პრინციპი გახლავთ გონიერების სრულყოფა და მისით ხელმძღვანელობა.

მათი აზროვნება სულაც არ ატარებს პრობლემატურ ხასიათს. როგორც ჩვენში, სადაც შესაძლებელია ერთნაირად დამაჯერებელი საბუთები მოიტანო საკითხის როგორც დადებითად, ისე უარყოფითად გადასაჭრელად; პირიქით, ჰუიჰნჰნემების ნათელი გონება უშუალოდ განსაზღვრავს მათივე აზრის სიწრფელეს და, ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც იგი ხელოვნურად არაა გაბუნდოვანებული, გართულებული და გაფერმკრთალებული რაიმე დაინტერესებულობის ანდა მიკერძობის გამო. მახსოვს, ძალიან გამიძნელდა ჩემი მასპინძლისათვის გამეგებინებინა სიტყვა „თვალსაზრისი“, ანდა როგორ შეიძლება ესა თუ ის თვალსაზრისი საკამათო იყოს, რადგანაც აზროვნება გვასწავლის, ვამტკიცოთ ანდა უარყოფოთ ის, რაშიც ღრმად ვართ დარწმუნებული და, რაც არ ვიცით, იმის, არც მტკიცების უფლება გვაქვს და არც უარყოფისა. ამგვარად კამათი, სიტყვის შებრუნება, მსჯელობა, ანდა მცდარი ან საეჭვო დებულებების დაჟინებული მტკიცება

ის ადამიანური ნაკლოვანებებია, რომლებიც სავსებით უცხოა კეთილშობილი ჰუიჰნჰნმებისთვის. ასევე, როცა ჩემს მასპინძელს ვუხსენებ ბუნების ფილოსოფიის სხვადასხვა სისტემა, მან თავი ვერ შეიკავა და ბევრი იცინა იმაზე, რომ არსება, რომელიც მოაზროვნედ თვლის თავს, როგორ შეიძლება ამაყობდეს სხვათა აზრების ცოდნით, თანაც ისეთ საგნებთან დაკავშირებით, რომელთაც არანაირი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვთ მაშინაც კი, როდესაც ეს აზრები ჭეშმარიტებასთან ძალზე ახლოსაა. მისი შეხედულება სავსებით ეთანხმებოდა სოკრატეს გამონათქმებს, რაც გადმოცემული აქვს პლატონს. ამის აღნიშვნა ვფიქრობ უდიდესი პატივი იქნება ჩვენი ფილოსოფიის მეფეთ მეფისთვის. მას მერე ხშირად მიფიქრია, რა გამანადგურებელ გავლენას მოახდენდა ასეთი დოქტრინა ევროპის წიგნთსაცავებზე და სწავლულთა სამყაროში რამდენს ჩაეკეტებოდა დიდებისკენ სავალი ბილიკი.

მგობრობა და კეთილმოსურნეობა, აი ჰუიჰნჰნმების ორი უმთავრესი სათნოება, რომლებიც ცალკეულ ინდივიდებს კი არ ახასიათებს, არამედ მთელ რასაზე ვრცელდება. ისინი შორეული კუთხიდან მოსულ თანამოძმეს ისევე კარგად ექცევიან, როგორც მეზობელს და სტუმარიც, სადაც უნდა მივიდეს, თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. ზრდილობისა და თავდაჭერის წესებს ჰუიჰნჰნმები ზუსტად იცავენ, მაგრამ ცერემონიებს სულაც არ იცნობენ. თავიანთ კვიცებს არც კი ეალერსებიან, მაგრამ მათდამი ზრუნვა გონების მიერ აქვთ ნაკარნახევი. შევამჩნიე, რომ ჩემი მასპინძელი თავისი მეზობლის შვილს საკუთარივით ექცეოდა. როგორც ჩანს, ბუნება ასწავლის მათ, უყვარდეთ ყველა თანამემამულე და მხოლოდ გონება ადგენს განსხვავებას ინდივიდებს შორის იმისდა მიხედვით, რამდენად მაღალია თითოეული მათგანის სათნოება.

ჰუიჰნჰნმების ოჯახში, როგორც კი ოროვე სქესის პატარა გაჩნდება, ცოლ-ქმარი ურთიერთობას წყვეტს. ეს იმისთვის კეთდება, რომ ქვეყანა ჭარბი მოსახლეობისაგან დაცული იქნას. თუმცა, დაბალი ფენის ჰუიჰნჰნმებს ოროვე სქესის სამ-სამი კვიცის გაჩენის უფლება აქვთ. ისინი, როდესაც ზრდასრულ ასაკს მიაღწევენ, მაღალი ფენის ოჯახებში მოსამსახურეებად დგებიან.

ქორწინების დროს ჰუიჰნჰნმები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ შესაწყვილებელთა ისეთ შერჩევას, რომელიც შთამომავლო-

ბაში არასასურველი ნიშნების ქონას მაქსიმალურად გამორიცხავს. მამრებში მეტწილად ძლიერება ფასობს, მდედრებში — სასიამოვნო გარეგნობა, რაც აუცილებელია ჯიშის გადასარჩინად. ქათინაური, სიყვარული, საჩუქრები, მზითვეი, ქვრივის წილი უცხოა ჰუიჰნჰმე-ბისათვის და მათ ენაზე ამ ცნებების გამოსახატავად სათანადო სიტყვებიც არ მოიპოვება. ახალგაზრდა წყვილი ერთმანეთს ხვდება და ქორწინდება მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ასეთია მათი მშობლებისა და მეგობრების ნება-სურვილი; მსგავს შეუღლებებს ადგილი აქვთ ყოველდღიურად და ახალგაზრდებიც ამ საქმეს გონიერი არსებებისათვის აუცილებელ მოქმედებად მიიჩნევენ. მაგრამ განქორწინება ან ძრუშობა მათში არასოდეს გაგონილა; მეუღლეები მთელ თავიანთ სიცოცხლეს ისეთივე ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთგაგებაში ატარებენ, რასაც ისინი ყოველი მცხოვრებლის მიმართ განიცდიან, ყოველგვარი ეჭვიანობის, ზედმეტი სინაზის, აყალმაყალისა და უკმაყოფილების გარეშე.

შვილების აღზრდის მათი მეთოდი დიახაც რომ შესანიშნავია და ურიგო არ იქნებოდა, ამ მხრივ მათთვის მიგვებაძა. ზოგიერთი გამონაკლისი დღეების გარდა, მოზარდებს ქერს არ გააკარებენ, ვიდრე ისინი თვრამეტ წელს არ მიაღწევენ; რძესაც იშვიათად ასმევენ; ზაფხულში დილაობით ორ-ორ საათს აძოვებენ, საღამოობითაც ორ-ორ საათს; ასევე ძოვენ მათი მშობლებიც; მსახურებს ამისათვის მხოლოდ თითო საათს აძლევენ; ბალახის უმეტესობა მათთვის შინ მოაქვთ, რასაც ისინი მაშინ ჭამენ, როცა მოიცლიან.

ორივე სქესის ახალგაზრდებისთვის ერთნაირად საკვალდებულოა თავშეკავებულობა, შრომისმოყვარეობა, ვარჯიში და სიკოხტავე; ჩემი მასპინძელი ჩვენი აღზრდა-განათლების ერთ-ერთ უდიდეს სიმანხინჯედ იმ მდგომარეობას თვლიდა, რომ გოგონებს სხვანაირი განათლება ეძლევა და ვაჟებს სხვანაირი, თუ მხედველობაში არ მოვიღებთ ზოგიერთ საოჯახო საქმეს. ჩვენებური აღზრდის წყალობით, მისი მოწყალების აზრით, მოსახლეობის ნახევარი ჩვენთან სხვა არაფრისთვისაა გამოსადეგი, გარდა იმისა, რომ ბავშვები დაბადოს. ხოლო ის გარემოება, რომ შვილების აღზრდას ჩვენ ასეთ გაუნათლებელ არსებებს ვანდობთ, კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს ველურობას.

ჰუიჰნჰმეები უმუშავენ თავიანთ შვილებს სიძლიერეს, სიმარდესა და ამტანობას, რისთვისაც ციცაბო ფერდობზე აღმა-დაღმა მანამ

არბენინებენ, სანამ ოფლში არ გაიწურებიან, — მაშინ კი აიძულებენ გუბურაში ანდა მდინარეში ჩაიყურყუმელაონ. ეს აძლიერებს და აკა-  
ეებს მათ ორგანიზმს. წელიწადში ოთხჯერ განსაზღვრული მხარის  
ახალგაზრდობა თავს იყრის, რათა გამოაჟღინონ თავისი ოსტატობა  
სირბილსა და ხტომაში და აგრეთვე სხვა ვარჯიშობებში, რომლებიც  
ძალასა და მოხერხებულობას საჭიროებს. გამარჯვებულს მასზე შე-  
თხზული სიძღვრით აჯილდოებენ. ასეთი ზეიმის დღეებში მსახურები  
საასპარეზო მოედანზე მიერეკებიან თვით, ქერითა და რძით დატვირ-  
თული იაჭუების ჯოგებს, რათა ჰუიჰნჰნებმა წაისაუზმონ. როგორც  
კი ისინი ჭამას მორჩებიან, იაჭუებს სახლში გამორეკავენ, რომ ყაყანი  
არ ატეხონ და მოხეიძებსაც ხელი არ შეუშალონ.

ყოველ მეოთხე წელს, გაზაფხულზე, გაზაფხულის ბუნიობის  
დროს, როცა დღე და ღამე თანასწორდება, დგება მთელი ერის წარ-  
მომადგენლების საბჭოს სხდომა ერთ ფართო მინდორზე, რომელიც  
ჩემი მასპინძლის სახლიდან ოცი მილითაა დაშორებული. თათბირი  
ხუთ-ექვს დღეს გრძელდება ხოლმე. აქ არჩევენ ცალკეული მხარეების  
მდგომარეობას: — არიან თუ არა ისინი მომარაგებული საკმაო თვით,  
ძროხებით და იაჭუებით; და თუ სადმე ნაკლებობა აღმოჩნდება (რაც  
იშვიათად ხდება), იგი მაშინვე ივსება საერთო შემოწირულობებით,  
რაც ყოველგვარი იძულების გარეშე შემოაქვთ ხოლმე.

## თავი მესამე

დიდი კამათი ჰუიჰნჰნების გენერალური საბჭოს სხდომაზე და როგორ  
დამთავრდა იგი. ჰუიჰნჰნების მეცნიერება. მათი შენობები. დასაფლავების  
წესები. მათი ენის ნაკლოვანებანი.

ჰუიჰნჰნების გენერალური საბჭოს ერთ-ერთ ასეთ სხდომას აღ-  
გილი ჰქონდა იქიდან ჩემს გამომგზავრებამდე სამი თვით აღრუ. ჩემი  
მასპინძელი გაემგზავრა მასზე დასასწრებად, როგორც ჩვენი მხარის  
წარმომადგენელი. ამ საბჭოზე ირჩეოდა ძველთაგანვე საკამათო სა-  
კითხი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ერთადერთი საკითხი იყო, რაც  
აზრთა სხვაობას იწვევდა ჰუიჰნჰნებში; დაბრუნების შემდეგ საბჭოს  
ამბები დაწვრილებით გადმომცა ჩემმა მასპინძელმა.



უნდა გადაქყვიტათ, მთლიანად აღეგავათ იაპუები პირისაგან მი-  
წისა, თუ არა. იმ მხარის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც  
იაპუების განადგურების მომხრე იყო, განაცხადა, რომ იაპუები არიან  
ყველაზე საზიზღარი, მოყაყანე, უშნო ცხოველები, რაც კი ბუნებას  
ოდესმე წარმოუშვია და, ამავე დროს, გამოირჩევიან თავიანთი ჟინია-  
ნობით, ახირებულობით, ბოროტებით, შურისმაძიებლობითა და სულ-  
მდაბლობით; ისინი ცუდად ეპყრობიან და ანადგურებენ ჰუიჰნჰნემების  
ძროხებს, ხოცავენ და ნთქავენ მათ კატებს, ფეხქვეშ თელავენ მათი ქე-  
რის ჯეჯილსა და საძოვარს, თუ ვინიცობაა, მუდმივი მეთვალყურეო-  
ბის ქვეშ არ არიან მოქცეულნი და სჩადიან კიდევ სხვა მრავალ სა-  
ზიზღრობასაც. მან საბჭოს ყურადღება იმ გარემოებას მიაქცია, რომ  
იაპუები მათ ქვეყანაში თავიდანვე არ ცხოვრობდნენ და, სულ რამდენ-  
იმე საუკუნის წინათ გამოჩნდა ერთ-ერთ მთაზე მათი ერთი წყვილი  
(არაუინ იცის, საიდან გაჩნდნენ ისინი, აყროლებულ ტალახზე მზის  
მოქმედების შედეგად თუ შლამისა და ზღვის ქაფისგან); რომ ეს წყვი-  
ლი გამრავლდა და მცირე ხანში ისე მრავალრიცხოვანი შეიქნა, რომ  
წალეკა და გასვარა მთელი ქვეყანა; რომ ჰუიჰნჰნემებმა კარზე მომდგა-  
რი საფრთხისგან თავის დასაცავად საყოველთაო ნადირობა მოაწყვეს  
იაპუებზე და, ბოლოს და ბოლოს, მოახერხეს ხელში ეგდოთ მათი  
ჯოგები; რომ ჰუიჰნჰნემებმა ამოხოცეს მოზრდილები და მხოლოდ  
თითო წყვილი დედალ-მამალი ლეკვი დაიტოვეს და მოათვინიერეს,  
რამდენადაც შესაძლებელი იყო მათსავით ველური ცხოველის მოში-  
ნაურება და გამოყენება ტვირთის სათრეუად და ეტლში შესაბმელად;  
რომ ამ ისტორიაში უთუოდ მართალი უნდა იყოს ის გარემოება, რომ  
ეს არსებები შეუძლებელია იყვნენ იქაური ილნჰნიაში ანუ მკვიდრ-  
ნი, რასაც ადასტურებს როგორც ჰუიჰნჰნემების, ისე ყველა სხვა ცხო-  
ველის ძლიერი სიძულვილი იაპუებისადმი, რაც არ იქნებოდა ასეთი  
მძაფრი, იაპუები რომ ადგილობრივი მკვიდრნი იყვნენ; ესეც რომ არ  
იყოს, ისინი რომ აქ გაჩენილიყვნენ, დიდი ხნის წინათ ამოაგდებდნენ  
მათ სახსენებელს; რომ ჰუიჰნჰნემები წინდაუხედავად იქცვიან, როცა  
ცდილობენ იაპუები გამოიყენონ სამუშაოზე, და ვირების მოშენების  
იდეას უგულვებელყოფენ, რომლებიც უფრო ლამაზი, შრომისმოყვა-  
რე, ადვილად შესანახი და თვინიერი ცხოველები არიან და არც ცუდი  
სუნი ასდით; საკმაოდ ღონივრებიც გახლავთ, თუმცა იაპუებს მოქნი-  
ლობაში ჩამოუვარდებიან; მართალია, მათი ყროყინი, ცოტა არ იყოს,

უსიამოვნო მოსასმენია, მაგრამ იაჰუების საშინელ კოვილს ზომ მაინც დიდად სჯობიაო.

კიდევ რამდენიმე წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ ჩემმა მასპინძელმა წამოაყენა წინადადება, რომელიც ნაწილობრივ ჩემგან იყო შთაგონებული. მან აღიარა იმ გადმოცემის სისწორე, რომელიც წარმომადგენელთა საბჭოს მისმა ერთ-ერთმა პატოცემულმა წევრმა შეახსენა და დაიწყო მტკიცება, რომ ორი იაჰუ, რომელიც პირველად გამოჩნდა მათ სამეფოში, მოსული იყო ზღვის გაღმიდან; მოადგნენ რა ჰუიჰნჰნემების ქვეყანას, თანამემამულეებმა დატოვეს ისინი და ეს უკანასკნელნი იძულებული შეიქნენ მთას შეჰფარებოდნენ; იქ თანდათან გადაგვარდნენ და თავიანთი ქვეყნის მკვიდრებზე მეტად გავლურდნენ. ამ მტკიცების საფუძველს ჩემს მასპინძელს ის მდგომარეობა აძლევდა, რომ იმჯერად სახლში ჰყავდა ერთი საოცარი იაჰუ (რა თქმა უნდა, მე მგულისხმობდა), რომლის ამბავი მრავალს სმენია და რომელიც ბევრ მათგანს საკუთარი თვლითაც უნახავს. მერე ჩემი მასპინძელი მოჰყვა, რა ვითარებაში მიპოვა; რომ ჩემი სხეული დაფარული იყო სხვა ცხოველების ტყავისა და ბალნისაგან გაკეთებული ხელოვნური საბურვლით; რომ მე ვლაპარაკობ საკუთარ ენაზე, მაგრამ, ამავე დროს, სრულყოფილად შევისწავლე მათი მშობლიური ენაც; რომ, მე მოუყევი მას, რა შემთხვევამ გადმომისროლა მათ ქვეყანაში; რომ, როცა საბურვლის გარეშე მნახა, ნამდვილი იაჰუ ვიყავი, ოღონდ უფრო თეთრი, ნაკლებად ბალნიანი კანი და გაცილებით მოკლე კლანჭები მქონდა. მან ისიც კი დასძინა, რომ, ჩემი მტკიცებით, იაჰუები ჩვენს ქვეყანაში ძალაუფლებას ფლობენ, როგორც გონიერი არსებები და ჰუიჰნჰნემები კი მათ ემსახურებიან; თვითონ მანვე შენიშნა ჩემში ნამდვილი იაჰუების ყველა თვისება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მე ცოტათი უფრო ცოვილიზებული ვიყავი ჩემი მცირეოდენი გონების წყალობით, რაც, თავის მხრივ, ისევე ჩამოუვარდებოდა ჰუიჰნჰნემების გონებას, როგორც ადგილობრივი იაჰუების აზროვნება ჩემსას; მან აგრეთვე მოიგონა, როგორ ვკოდავთ ჩვენ ახალგაზრდა მამრობითი სქესის ჰუიჰნჰნემებს, რათა ისინი ადვილად მოსათვინიერებელი გახდნენ; რომ ეს ოპერაცია მეტისმეტად ადვილია; რომ სირცხვილად არ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სიბრძნე ისწავლო უგუნური არსებისაგანაც, იმგვარად, როგორც გარჯას ვსწავლობთ ჭიანჭველისგან, ანდა მშენებლობას მერცხლისგან (ასე

ეთარგმნი მე იმათ ლინჰანჰს, თორემ ის უფრო დიდი ფრინველია); რომ ეს გამოგონება უფრო შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალგაზრდა იაჰუებზე აქ, რაც მათ უფრო მშვიდს და თვინიერს გახდის და, ამავ დროს, ერთი თაობის მანძილზე, ყოველგვარი მკვლელობის გარეშე, ისე ამოწყდებიან, რომ მათი ხსენებაც აღარ იქნება; რომ, ამასობაში ჰუიჰანჰმებს შეუძლიათ მოაშენონ ვირები, რომლებიც არა მარტო უფრო ძვირფასი ცხოველები არიან, არამედ ის უპირატესობაც კი გააჩნიათ, რომ ხუთი წლის ასაკიდან შრომისუნარიანები ხდებიან, ეს მაშინ, როდესაც სხვა ცხოველებს თორმეტი წელი მაინც სჭირდებათ ამისთვის.

აი, ყველაფერი, რაც ჩემმა მასპინძელმა მაშინ საჭიროდ ჩათვალა ეამბნა ჩემთვის გენერალური საბჭოს სხდომის შესახებ. მაგრამ მისმა მოწყალებამ მაშინ დამიძალა ერთი წვრილმანი, რომელიც პირადად მე შემეჭებოდა და რაც შემდგომში გამანდო. რისი დამლუპველი გავლენაც მალე ვიგრძენი და მკითხველიც თავის დროზე გაიგებს, რა იყო ის, რასაც ჩემი შემდგომი უბედურების სათავედ მივიჩნევ.

ჰუიჰანჰმებს დამწერლობა არ გააჩნიათ და, ცხადია, მთელი მათი ცოდნა ზეპირსიტყვიერებაზეა დაფუძნებული. მაგრამ ასეთ ერთიან ხალხში, რომელიც მიისწრაფვის ყოველგვარი სიკეთისა და სათნოებისაკენ, რომელსაც მართავს ერთადერთი გონება და, ბოლოს, რომელიც ვაჭრობით არაა დაკავშირებული სხვა ქვეყნებთან, იმდენი ისტორიული მნიშვნელობის ამბავი არ ხდება, რომ მათი დამახსოვრება რაიმე სიძნელეს წარმოადგენდეს. უკვე გითხარით, რომ ისინი აჟად არ ხდებიან და ამიტომაც დასტაქრებს არ საჭიროებენ. მაგრამ ბალახებისგან გაკეთებული უებარი წამლები კი გააჩნიათ იმ შემთხვევებისთვის, როცა რომელიმე მათგანი რამენაირად დაშავდება, ანდა წვეტიანი ქვა გაუჭრის ფეხის რბილ ნაწილს, ანდა სხეულის სხვა ნაწილების დაბეჭედილობის, ან ჭრილობის განკურნება იქნება აუცილებელი.

წელიწადს ზომავენ მზისა და მთვარის მიმოქცევის საშუალებით, მაგრამ კვირებად დაყოფას არ ახდენენ. მშვენიერად იცნობენ ამ მნათობების მოძრაობას და ერკვევიან მზის დაბნელების მიზეზებში. ეს არის და ეს, ამას იქით არ მიდის მათი ცოდნა ასტრონომიაში.

უნდა ვაღიარო, რომ პოეზიაში ისინი ყველა ჯურის მოკვდავებზე უფრო მაღლა დგანან; მათ მოხდენილ შედარებებს, სადა და უადრე-

სად ზუსტად აღწერებს მართლაც რომ ბადალი არ მოეძებნება. მათ ლექსებს ჭარბად ამკობს ესა თუ ის პოეტური სამკაული და მათი თემა ან ამაღლებული ქება მეგობრობისა და კეთილმოყოფელობისა, ან დოღსა და სხვა რომელიმე ასპარეზობაში გამარჯვებულთათვის ხოტბის შესხმა. მათი შენობები მეტად ტლანქი და უბრალოა, მაგრამ სულაც არ არის კეთილმოუწყობელი და საკმაოდ კარგად იცავს სიცხისა და სიცოცხისაგან მის მობინადრეებს. იქ იზრდება ერთგვარი ხე, რომელსაც, ორმოცი წლის რომ გახდება, ძირი უსუსტდება და ქარიშხლის პირველი წამობერვისთანავე ძირს ეცემა. მას ძალიან სწორი ღერო აქვს. ჰუიჰნჰნემები წაწვეტილი ქვებით (მათ რკინის გამოყენება არ იცინა) გარანდავენ მორს, ერთმანეთისაგან ათი გოჯის დაშორებით მიწაში ჩაასობენ და მერე ქერის ჩალით ანდა წნელებით შეღობავენ. სახურავსა და კარსაც ასეთნაირად აკეთებენ.

ჰუიჰნჰნემები წინა ფეხის ქუსლსა და კოჭს შორის ჩაღრმავებას ჩვენ ხელებით იყენებენ და ისეთ ოსტატობასა და მოხერხებულობას იჩენენ ამ დროს, რომ პირველად, მართალი გითხრათ, დაუჯერებელი ამბავი მგონა. მე ჩემი თვალებით ვნახე, როგორ გაუყარა ნემსში ძაფი ჩვენი ოჯახის თეთრმა ჭაკმა (ნემსი მე მივეცი განგებ, რათა გამეგო, მოახერხებდა თუ არა ძაფის აცმას). ამგვარადვე წველავენ ძროხებს, მკიან ქერს და აკეთებენ ყველა სამუშაოსა და ხელსაქმეს, რაც ჩვენგან ხელის გამოყენებას საჭიროებს. მათ გააჩნიათ ერთგვარი, მაგარი კაჟი, რითაც ლესავენ ქვებს და აკეთებენ სოლებს, ცელებსა და ხერხებს. ამავე კაჟით გაკეთებული ხელსაწყოებით თიბავენ ბალახს და მკიან ქერს, რომელიც იქ ბალახით იზრდება მინდვრებზე. იაჰუები ოთხთვალეებით ეზიდებიან ძნებს სახლში და მსახურები საგანგებო ნაგებობებში ფეხით ლეწავენ მას, რათა მარცვლები გამოაცალკეონ და ბელლებში შეინახონ. ისინი აკეთებენ ხისა და თიხის ტლანქ ჭურჭლებს და ამ უკანასკნელთ შხეზე აშრობენ.

თუ რაიმე უბედურმა შემთხვევამ არ იმსხვერპლა, ჰუიჰნჰნემები მხოლოდ და მხოლოდ სიბერით იხოცებიან. მიცვალებულებს რაც შეიძლება მოშორებულ და მიგარდნილ ადგილას მარხავენ. მათი მეგობრები და ნათესალები ამ შემთხვევაში არც მწუხარებას გამოთქვამენ და არც სიხარულს. არც მომაკვდავები გამოთქვამენ რაიმე სინანულს, ქვეყნიერებას რომ ტოვებენ, პირიქით, ისე იქცევიან, თითქოსდა მეზობელთან სტუმრად მყოფნი ახლა ეს-ეს არის, შინ ბრუნდებიანო.

მასსოვს, ერთხელ ჩემმა მასპინძელმა შეიპირა ერთი თავისი მეგობარი, რომ მეორე დღეს მთელი ოჯახით სტუმრებოდა მას რაღაცა მნიშვნელოვანი საქმის მოსაგვარებლად. დანიშნულ დღეს მხოლოდ ჩემი მასპინძლის მეგობრის მეუღლე გვეწვია თავისი ორი კვიცი და ისიც გვიან. მან ორ რამეზე მოიხადა ბოდიში: უპირველესად თავისი ქმრის გამო, რომელიც იმ დღით „ლჰნუკნჰ“. ეს სიტყვა განსაკუთრებით შინაარსიანია მათ ენაზე, მაგრამ სათარგმნელად კი, ცოტა არ იყოს, ძნელია. იგი ნიშნავს „დედასთან დაბრუნებას“. შემდეგ კი იმის გამო მოიბოდიშა, რომ დააგვიანა, რადგანაც მისი ქმარი დღით გარდაიცვალა და დიდი ხანი მოუნდა, სანამ მოსამსახურებთან ერთად მოითათბირებდა, სად უფრო მოხერხებული იქნებოდა მისი დამარხვა; შევნიშნე, რომ იმ საღამოს იგი სხვა სტუმრებოვით მზიარული იყო. ამის შემდეგ მანაც სულ სამი თვე იცოცხლა.

ჰუიჰნჰნემები საერთოდ სამოცდაათ-სამოცდათხუთმეტ წლამდე ცოცხლობენ, იშვიათად კი ოთხმოც წლამდეც. სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე, ისინი საერთო სისუსტესა და მოთენთილობას გრძნობენ, მაგრამ არაუითარ ტკოვილს არ განიცდიან. ამ დროს მათთან ხშირად მოდიან სტუმრად მეგობრები და ნათესავეები, რადგანაც სისუსტის გამო თვითონ არ შეუძლიათ თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით იარონ. სიკვდილამდე ზუსტად ათი დღით ადრე (ანგარიში მათ არაუითარ შემთხვევაში არ ეშლებათ), ისინიც საპასუხოდ ესტუმრებიან თავიანთ მეგობრებსა და ნათესავეებს, რომლებმაც ბოლო ხანებში მოინახულეს. როგორც ასეთ დროს, ისე ღრმა მოხუცებულობის, შორ გზაზე მოგზაურობის, ანდა ფეხის დასახიჩრების შემთხვევაში ჰუიჰნჰნემები იაჰუებშებმული ოთხთვალებით მგზავრობენ ხოლმე. ისინი საზეიმო ვითარებაში ეშვიდობებიან ახლობლებს და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოსდა ქვეყნის უშორეს ნაწილში აპირებდენ გამგზავრებას, რათა იქ გაატარონ ცხოვრების დარჩენილი დღეები.

არ ვიცი, ღირს თუ არა იმის აღნიშვნა, რომ ჰუიჰნჰნემებს მათ ენაზე არ გააჩნიათ სიტყვა ბოროტების გამოსახატავად, გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ის სიტყვები, რითაც იაჰუების სიმახინჯესა და ცუდ თვისებებს აღნიშნავენ. ამგვარად, მსახურის დაბნეულობას, ბავშვის უზნეო საქციელს, წვეტიან ქვას, რომელიც ფლოქვებს უჭრით, გაჭიანურებულ ავდრიანობას ისინი გამოხატავენ შესაფერისი სიტყ-

ვისათვის ეპითეტად იაპუს დამატებით ასე მაგალითად: „ჰნმ იაპუ“, „უჰნაპოლმ იაპუ“, „ინლმნდუიჰლმა იაპუ“; ასევე, ცუდად აგებულ სახლს „უნპოლმჰნმრო ჰლნუვ იაპუს“ უწოდებენ.

მე დიდი სიამოვნებით განვაგრძობდი ამ ჩინებული ხალხის ზნე-ჩვეულებებისა და სათნოებათა აღწერას, მაგრამ განზრახული მაქვს მოკლე დროში გამოვაქვეყნო სპეციალური ნაშრომი კერძოდ ამ საკითხზე და მკითხველს ვურჩევ, იგი წაიკითხოს. ახლა კი გადავალ იმ უბედურების აღწერაზე, რომელიც იმ ხანებში თავს დამატყდა.

## თავი მათი

ავტორის ოჯახური მოწყობილობა და ბუნდოვანი ცხოვრება ჰუიჰნჰმებთან. ის მათთან ხშირი საუბრის შედეგად უფრო და უფრო სათნოვდება. საუბრები. მასპინძელი ამცნობს ავტორს, რომ მან უნდა დატოვოს ჰუიჰნჰმების ქვეყანა. ამ უბედურების გაგონებაზე გული შეუღონდება, მაგრამ ძალაუნებურად დამორჩილდება ბედს. მგობარი მსახურის დახმარებით ის წამოიწყებს ნაჯის კუთუბას და ალაღბედზე შეცურდება ზღვაში.

ჩემი მცირედი მეურნეობა სურვილისამებრ მოვაწყვე. მასპინძლის ბრძანებით მთავარი შენობიდან ექვსი იარღის მოშორებით მათებური ყაიდის მიხედვით ოთახი ამიშენეს. მისი კედლები და იატაკი შევგლისე და ისინი ჩემი ხელით გაკეთებული ლერწმის ჭილობებით მოფინე. ველური კანაფი დაეწყვიტე, ერთგვარი ლეიბის პირი დავაშნადე და იაპუების თმისგან დაგრებილი ბაწრით დაჭერილი ფრინველების (რომლებსაც ძალზე გემრიელი ხორცი ჰქონდათ) ბუმბულით გაავსე. ჩემი ჯიბის დანით ორი სკამი გავიკეთე. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მძიმე სამუშაოებს ამ საქმიანობაში წაბლა ჯუჯა ცხენი ასრულებდა. ტანსაცმელი რომ დამეხა, ახალი შევიკერე ბაჭისა და უაღრესად რბილი და ძვირფასქურქიანი პატარა ცხოველის ნუპროპის ტყავისაგან. იმავე მასალისაგან საკმაოდ კარგი წინდებიც დავიმზადე. ფეხსაცმელს საძირედ ხის ნაჭერი გავუკეთე, გაცვეთილი საპირე კი შხეზე გამხმარი იაპუს ტყავით შევცვალე. ფულურო ხეებში ხშირად ვპოულობდი თაფლს, რასაც სასმელ წყალში ვურევდი ანდა უბრალოდ ქერის პურს ვატანდი. თავიც არ წამომტკივებია არასოდეს და სრულ

სულიერ სიმშვიდესაც ვგრძნობდი; არ განვიცდიდი მეგობრის ღალატსა და გაუტანლობას და არც ფარული თუ აშკარა მტრის შეურაცხყოფას. არ მჭირდებოდა გამომეყენებინა ქრთამი ანდა ფარისევლობა ამა ქვეყნის ძლიერთა ან მათ ფაგორიტთა გულის მოსაგებად; არ მჭირდებოდა მოტყუებისა და ჩაგვრისგან დამეცვა თავი; აქ არ იყვნენ ექიმები, რომ გაენადგურებინათ ჩემი სხეული; არც მსაჯულები, რომ წაერთმიათ ჩემთვის ქონება; არც ჯაშუშები, რომ თვალყური ედევნებინათ ჩემი სიტყვებისა და საქმიანობისათვის, ანდა გასამრჯელოს გულისათვის ცილი დაეწამებინათ; აქ არ იყვნენ არც განმქიქებლები, არც მამნილებლები, არც ცილისმწამებლები, არც ჯიბგირები, არც ყაჩაღები, არც მძარცველები, არც მეფაშეშები, არც მაჭანკლები, არც მასხარები, არც პოლიტიკოსები, არც ხუმარები, არც მოთამაშეები, არც აბეზარი მოლაყბეები, არც მოკამათეები, არც მკვლევები, არც ქურდბაცაცები და არც ჭკუისკოლოფები; არც პარტიის ან ფრაქციის ლიდერები და მიმდევრები; არც ბიწიერების მაგალითის მაჩვენებლები და წამქეზებლები; არც სატუსალოები, არც გადასახადები, არც სახრჩობელები, არც გასაროზგი ადგილები და სამარცხვინო ბოძები; არც მატყუარა ვაჭრები და ხელოსნები; არც გულზვიადობა, ამაოება, მოჩვენებითი მეგობრობა; არც ფრანტები, ლოთები, ჩხუბისთავები, მეძავეები და ვენერიული დაავადებები; არც ჭირვეული, უსირცხვილო და მფლანგველი ცოლები; არც გონებაჩლუნგი, ამაყი პედანტები; არც გულისგამაწყვალელებელი, მომთხოვნი, მოჩხუბარი, მოყაყანე, მყვირალა, თავცარიელი, თავდაჯერებული და ენამყრალი ძმაკაცები; არც არამზადები, რომლებიც თავიანთი ბიწიერებისა წყალობით ამოძვრნენ წუმპიდან და არც კეთილშობილი ადამიანები, თავიანთი სათნობისათვის რომ ჩააგდეს წუმპეში; არც დიდგვაროვნები, ვიოლინოს დამკვრელები, მოსამართლეები და ცეკვის მასწავლებლები.

მქონდა პატვი ჩემს მასპინძელთან სტუმრად მოსული ჰუიჰჰჰმებისთვის წარვედგინე; მისი მოწყვალეობა დიდსულოვნად მრთავდა ნებას დაჯრჩენილიყავი სასტუმრო ოთახში და მათი საუბრისთვის ყური მეგდო. ისინი ხშირად მისვამდნენ კითხვებს და ისმენდნენ ჩემს პასუხს; ზოგჯერ ჩემს მასპინძელს თავის მეგობრებთანაც დაეყავდი. მე ხმას არ ვიღებდი, სანამ რაიმეს არ მკითხავდნენ და მაშინაც ვნანობდი დაკარგულ დროს, რადგანაც საკუთარი ლაპარაკი არაფერს მძენდა; მაგრამ უდიდეს სიხარულს მეგვირდა თვინიერი მსმენელის როლის

შესრულება ისეთ საუბრებში, სადაც მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლო საქმეებზე ლაპარაკობდნენ და თავიანთ აზრს თითო-ოროლა, მაგრამ უაღრესად მეტყველი სიტყვებით გამოთქვამდნენ; სადაც, როგორც უკვე აღვნიშნე, უდიდესი პატივისცემით ეკიდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ არავითარ ცერემონიას არ მიმართავდნენ; სადაც მოსაუბრის მიერ წარმოთქმული სიტყვები სასიამოვნო მისასმენი იყო მისთვისაც და მსმენელისთვისაც; სადაც სიტყვას არ აწყვეტინებდნენ ერთმანეთს, არ იწყენდნენ, არ ცხარობდნენ და განსხვავებული აზრები არ ჰქონდათ; მათი აზრით, საუბრის დროს მცირე ხნის დუმილი უაღრესად სასარგებლოა, ვინაიდან ამ შესვენების დროს მოსაუბრეებს ახალი აზრები ებადებათ და ამგვარად საუბარი ცოცხლდება ხოლმე. ამ აზრის სისწორეში ჩემმა დაკვირვებამაც დამარწმუნა. მათი საუბარი უმთავრესად შეეხება მეგობრობას, წესრიგსა და მომჭირნეობას, ზოგჯერ კი ბუნების ხილულ მოვლენებსა და ძველთაძველ თქმულებებს; სათნოების ზომასა და საზღვრებს; აზროვნების უტყუარ კანონებს; შემდგომ გენერალურ საბჭოს სხდომაზე მისაღებ გადაწყვეტილებას და ძალზე ხშირად ამა თუ იმ პოეტური ნაწარმოების ღირსება-ნაკლოვანებებს. ზედმეტი არ იქნება დავძინო, რომ ჩემი იქ ყოფნა ხშირად აძლევდა მათ საუბრის მასალას, რადგანაც ჩემს მასპინძელს შესაძლებლობა ჰქონდა, ეამბნა თავისი მეგობრებისათვის ჩემი ქვეყნის ისტორია და, მისი მოსმენის შემდეგ ისინი კაცობრიობაზე ნაკლებად სახარბიელო აზრებს გამოთქვამდნენ. ამიტომაც მე მათ სიტყვებს არ გავიმეორებ, მხოლოდ იმის ნებართვას ვითხოვ, აღვნიშნო, რომ მისი მოწყალება ჩემზე უკეთესად ჩასწვდა ჩვენი იაპუების მთელი მოდგმის ხასიათსა და ბუნებას. მან ჩამოთვალა ყოველი ჩვენი ნაკლოვანება და სიმახინჯე და ბევრი ისეთიც დაამატა, რომლებიც მასთან არც კი მიხსენებია და საკმაოდ მართებულად დაასკვნა, რამდენად საზიზღარი და საცოდავი შეიძლება იყოს ამნაირი არსება. ამგვარი დასკვნის გასაკეთებლად მისთვის იმის წარმოდგენაც საკმარისი იყო, თუ რას დაემსგავსებოდნენ აქაური იაპუები, მათთვის მცირეოდები ჭკუა-გონება რომ მიეცათ.

გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ მცირეოდენი, ასე თუ ისე, მნიშვნელოვანი და ღირებული ცოდნა, რაც კი გამაჩნია, აღებული მაქვს ჩემი მასპინძლის აზრებიდან და მის მეგობრებთან გამართული ბრძნული საუბრებიდან! და მე ვარჩევდი კიდევ ერთხელ დამეგდო



ყური მათი ლაპარაკისთვის, ვიდრე ვეროპის უდიდესი და უბრძენესი პარლამენტისთვის ჩემი ნება-სურვილი მეკარნახა. მაოცებდა ადგილობრივი მცხოვრებლების ძალა, სილამაზე და სიმარღე; ფიზიკურად ასეთი მიძინდველი არსებები სათნოების მხროვაც განვითარების უმაღლეს წერტილზე იდგნენ და, ეს კიდევ უფრო აძლიერებდა მათ. დამი ჩემს პატოვისცემას. პირველად, რა თქმა უნდა, არ განვიცდიდი იმ ბუნებრივ მოკრძალებას, რითაც იაპუები და სხვა ცხოველები არიან მათდამი გამსჭვალულნი; მაგრამ თანდათანობით ეს გრძნობა გაიზარდა ჩემში და, ეს მოხდა გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე წარმომედგინა. შემდეგ ამ გრძნობას შეუერთდა სიყვარულით გამსჭვალული პატოვისცემისა და მადლიერების გრძნობა, რაც იმან დაბადა ჩემში, რომ ჰუიჰჰჰმებმა პატოვი დამდეს და სხვა იაპუებისაგან განსხვავებულად მიმიჩნიეს.

როდესაც ვფიქრობდი ჩემს ოჯახზე, მეგობრებზე, თანამემამულეებზე ან კაცობრიობაზე საერთოდ, მივიჩნევდი მათ იმად, რასაც ისინი მართლაც წარმოადგენენ, — იაპუებად, როგორც გარეგნულად, ისე სულიერადაც, თუმცა, შესაძლებელია, ისინი ოდნავ უფრო ცივილიზებულიები არიან და მეტყველების უნარიც გააჩნიათ; მაგრამ ისინი ჭკუა-გონებას მხოლოდ იმისათვის იყენებენ, რომ გააუმჯობესონ და გაამრავლონ ბიწიერებანი, რომლებიც ჰუიჰჰჰმების ქვეყნის იაპუებს მხოლოდ იმდენი აქვთ, რამდენიც ბუნებამ მიანიჭა.

როდესაც წყაროში ან ტბაში ჩემს ანარეკლს მოვკრავდი თვალს, საკუთარი თავის სიძულვილითა და შიშით ატანილი უკუვიქცეოდი, რადგანაც ჩვეულებრივ იაპუს შეხედვას უფრო ვიტანდი, ვიდრე საკუთარი თავისას. ჰუიჰჰჰმებთან საუბრისა და მათთან უაღრესად სასურველი ურთიერთობის შედეგად ძალაუნებურად ვბაძავდი მათ სიარულსა და მიხრა-მოხრას, რაც ამჟამად ჩვეულებად გადამექცა; ჩემი მეგობრები ხშირად დაციხვით მეუბნებიან, ცხენოვით დადიხარო, მაგრამ ნურას უკაცრავად, მე ამას შეურაცხყოფად კი არა, ქათინაურად ვიღებ. არც იმის უარყოფას შევეცდები, რომ ლაპარაკის დროს ჰუიჰჰჰმებოვით ვჭიხვინებ და ვროხროხებ ხოლმე. ჩემი მეგობრების დაციხვას აქაც ყოველგვარი წყენის გარეშე ვისმენ.

ამ ბედნიერ ყოფაში რომ ვიყავი და თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ჩემი ცხოვრება სამუდამოდ მქონდა მოგვარებული, ჩემმა მასპინძელმა ერთ დილით ჩვეულებრივზე ადრე დამიბარა. სახეზე რომ შევხედე,

მაშინვე მოეხვდი, რომ უგუნებოდ იყო და ეძნელებოდა ლაპარაკის წამოწყება. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მითხრა, არ ვიცი, როგორ მიიღებ იმას, რაც, იძულებული ვარ გაგიმზილო. შემდეგ გამომიტყდა და მითხრა, რომ უკანასკნელ გენერალურ საბჭოს სხდომაზე, როდესაც მთელი იაპუების ბედი ირჩეოდა, დეპუტატებმა უსაყვედურეს მას, რომ თავის სახლში ინახავს იაპუს (მე მგულისხმობდნენ) ისეთივე პატოვით, თითქოსდა იგი ჰუიჰნჰნმი იყოს და არა უგუნური ცხოველი. რომ ის ისე ხშირად საუბრობს ჩემთან, თითქოსდა შეეძლოს რაიმე ცოდნა ან სიამოვნება მიიღოს ჩემგან; რომ ასეთი საქციელი ქინააღმდეგება როგორც ბუნების კანონებს, ისე გონიერებას და, გარდა ამისა, მსგავსი რამ მათში არავის სმენია, ამიტომაც საბჭომ წინადადება მისცა ჩემს მასპინძელს, ან გამომიყენოს მე, როგორც ჩვეულებრივი იაპუ, ანდა მიბრძანოს გაცურო იქით, საიდანაც მოვედი. პირველი წინადადება დაჟინებით იქნა უარყოფილი ყველა იმ ჰუიჰნჰნმის მიერ, რომლებსაც ადრე თუ გვიან, ვყავდი ნანახი, ვინაიდან, მათი აზრით, რაკი მე გამაჩნდა ერთგვარი ნატამალი აზროვნებისა, ადვილად შევძლებდი იაპუები გამეტყუებინა მთებსა და ტყიან ადგილებში და იქიდან ღამით გამოვძლოლოდი მათ ლაშქარს ჰუიჰნჰნმების საქონლის დასატაცებლად, ვინაიდან, ჩვენ, იაპუები, მათი აზრით, ბუნებით გაუმაძღრები და უქნარები ვართ.

ჩემმა მასპინძელმა დასძინა, რომ სამეზობლოს ჰუიჰნჰნმები ყოველდღიურად აგონებდნენ მას სისრულეში მოყვანა საბჭოს დადგენილება და რომ მას ამ საქმის გადადება უკვე აღარ შეეძლო. მას ეჭვი ეპარებოდა, რომ მე შევძლებდი შიშველი ხელებით მიმეცურა სხვა ქვეყნამდე, ამიტომაც, წინადადება მომცა, როგორმე გამეკეთებინა იმნაირი მანქანა, როგორიც მე ერთ დროს აღუწერე და რითაც შევძლო ზღვაში მემოგზაურა; ამ საქმეში დახმარებას გამიწვედნენ, როგორც მისი მსახურები, ისე მეზობლებიც; რაც შეეხებოდა პირადად მას, ის მომზრე იყო, მთელი ჩემი სიცოცხლე მის სამსახურში დაურჩენილიყავი, რადგანაც მე განვიკურნე ზოგიერთი ცუდი ჩვეულებისა და მიდრეკილებისაგან, ვინაიდან მთელი არსებით ვცდილობდი მიმებადა ჰუიჰნჰნმებისათვის, რამდენადაც ამის უნარი ჰქონდა ჩემს მდაბალ ბუნებას.

მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო იმ მდგომარეობას, რომ გენერალური საბჭოს დადგენილებას იმ ქვეყანაში უწოდებენ „ჰნ-

პლოაინს“, რაც ნიშნავს რჩევას; რადგანაც, მათი აზრით, შეუძლებელია მოაზროვნე არსება აიძულო, მას მხოლოდ და მხოლოდ უნდა ურჩიო, მიუთითო, შეახსენო; ვინაიდან, ვინც გონებას არ ემორჩილება, უფლებაც არ აქვს გონიერ არსებად თვლიდეს თავს.

ჩემი მასპინძლის სიტყვებმა ისე დამამწუხრა, რომ ეს უბედურება ვეღარ ავიტანე და მისი მოწყალების ფეხებთან გულშელონებული დავეცე. როცა გონზე მოვედი, მან მითხრა, მეგონა მოკვდიო (რადგანაც იქაური მცხოვრებლებისთვის სრულიად უცხოა ამნაირი სისუსტე). მე მიოსებულმა ვუპასუხე, რომ სიკვდილი უდიდესი ბედნიერება იქნება ჩემთვის; რომ თუმცა მე სულაც არ ვაკრიტიკებ საბჭოს რჩევას, ან პირადად მისი მეგობრების დაჟინებულობას, მაგრამ ჩემი სუსტი და მანკიერი აზროვნებით, შეიძლებოდა ნაკლებად მკაცრი დადგენილება გამოეტანათ, ისე, რომ გონიერების წინააღმდეგაც არ წასულიყვნენ; რომ მე ერთი ლიგის გაცურვაც არ შემიძლია და ეს მაშინ, როცა უახლოესი ქვეყანა მათგან ასი ლიგით მაინც იქნება დაშორებული; რომ ბევრი რამ იმ მასალებიდან, რომლებიც აუცილებელია ჩემს სხვა ქვეყანაში წასაყვანად გამოსადგვი ნავის ასაშენებლად, იმ ქვეყნად არ მოიპოვება; თუმცა, სულერთია, მაინც ვცდი ნავის გაკეთებას, რათა გამოვხატო ჩემი მორჩილება მისი მოწყალებისადმი, მაგრამ ეს მაინც ამაო ცდად მიმაჩნია და უკვე შემიძლია თავი განწირულად ჩავთვალო; რომ არაბუნებრივი სიკვდილის მოლოდინი ყველაფერზე ნაკლებად მადარდებს და მაშინებს; რომ, თუნდაც რაიმე სასწაულით გადავრჩე და დავბრუნდე ჩემს სამშობლოში, როგორ შემიძლია იმ აზრს შევურიგდე, რომ ჩემი ცხოვრების დანარჩენი დღეები იაჭუებს შორის უნდა გაატარო; სადაც ისევ უნდა დავუბრუნდე ჩემს ყოფილ მანკიერებებს, რადგანაც თვალწინ არ მექნება არც ერთი მაგალითი, რომელსაც უნდა მივყვე, რათა სათნოების გზას არ ავცდე? და მაინც, მშვენიერად ვიცი, რომ ბრძენი ჰუიჰნჰნემების გადაწყვეტილება მტკიცე საფუძველზეა დაყრდნობილი და მას ვერ შეარყევს ჩემი, ამ საბრალო იაჭუს, მოსაზრებები-მეთქი; ამიტომაც უმორჩილესი მადლობა მოვახსენე მის ბრწყინვალეობას იმისათვის, რომ შემპირდა, ნავის გაკეთებაში მსახურებს დაგახმარო. მე ვთხოვე, საკმარისი დრო მოეცა და დავძინე, რომ ვეცდებოდი გადამერჩინა ჩემი გაუბედურებული სიცოცხლე და თუ ოდესმე გავბრუნდებოდი ინგლისში, იმედი მქონდა, სარგებლობა მომეტანა ჩემისთანებისთვის სწორედ იმით, რომ ქება-

თა-ქება მიმედღვნა ღირსეული ჰუიჰნჰნმებისათვის და მათი სათნოება  
კაცობრიობის მისაბამ მაგალითად წარმოძეჩინა.

მისმა ბრწყინვალეობამ უაღრესად თავზიანად გამცა პასუხი და ნა-  
ვის ასაგებად ორი თვის ვადა მომცა; მანვე უბრძანა წაბლა ჯუჯა  
ცხენს, ჩემს მეგობარ მსახურს (ამ სიშორეზე უფლება მაქვს მას ასე  
ვუწოდო), შეესრულებინა ჩემი ყოველი განკარგულება, რადგანაც,  
როგორც ვუთხარი, მარტო ის მეყოფოდა დამხმარედ, მით უმეტეს,  
რომ იგი ჩემთან კარგ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა.

უპირველესად მისი თანხლებით სანაპიროს იმ ადგილისკენ გა-  
ვემართე, სადაც ჩემმა ამბოხებულმა მეზღვაურებმა ნაპირზე გად-  
მომსვეს. იქ გორაკზე ავედი და ზღვის ყველა მიმართულებით მი-  
მოვიხედე. დიდი ხნის ყურების შემდეგ მოძეჩვენა, თითქოს ჩრდი-  
ლო-აღმოსავლეთით პატარა კუნძული შევამჩნიე. ჯიბის ჭოგრიტი  
ამოვიღე და ჩემი გამოანგარიშებით დაახლოებით ხუთი ლიგის მან-  
ძილზე ერთი პატარა კუნძული გარკვევით დავინახე. წაბლა ჯუჯა  
ცხენს ის მხოლოდ ღრუბლად მოეჩვენა; მას ვერ წარმოედგინა,  
რომ სადმე, მისი ქვეყნის გარდა, კიდევ არსებობს სხვა ქვეყანა და  
ამიტომაც შორეული საგნების გარჩევის უნარი ნაკლებად ჰქონდა  
გამომუშავებული, ვიდრე ჩვენ, რომლებიც ასე ბევრს ვლაპარაკობთ  
ხოლმე ამ საგანზე.

ამ კუნძულის აღმოჩენის შემდეგ მეტი არ მიძებნია, გადავწყვიტე,  
ის გამეზადა განდევნილობის ჟამის ჩემს პირველ თავშესაფარად და  
მერე კი თავი ბედისათვის მიმენდო.

შინ დავბრუნდი, მოველაპარაკე წაბლა ჯუჯა ცხენს და გავემართეთ  
უახლოესი ტევრისკენ, სადაც მე დანით, ხოლო მან ძალზე ოსტატუ-  
რად ხის ტარზე დაგებული წაწვეტილი კაჟით, მოჭკერით მუხის რამ-  
დენიმე ტოტი, თითოეული დაახლოებით ხელკეტის სიმსხო და ზო-  
გიერთები კი გაცილებით უფრო მსხვილი. მაგრამ მკითხველს აღარ  
შევაწუხებ იმით, რომ ჩემი მუშაობის ყოველი წვრილმანი მოუთხრო,  
საკმარისია შევნიშნო, რომ ექვს კვირაში, წაბლა ჯუჯა ცხენის დახ-  
მარებით, რომელიც, როგორც ყოველთვის, უძნელეს სამუშაოებს  
ასრულებდა, დაჟამთავრე ერთგვარი პატარა ინდური ნავის გაკეთება,  
ოღონდ იგი ამნაირ ნავეებზე გაცილებით დიდი იყო. მერე ჩემ მიერვე  
ველური კანაფისგან დაშზადებული ძაფით ერთმანეთზე გადაკერებუ-  
ლი იაპუს ტყავებით დაფარე; მისი აფრაც იმავე ცხოველის ტყავისგან

იყო გაკეთებული, მაგრამ უფრო ახალგაზრდების ტყაუებით, რადგანაც ბებრებისა მეტად უხეში და სქელია. ოთხი ნიჩაბიც გაუკეთო, ნაზზე დაუაწყვე მოხარშული ხორცის, ბაჭიებისა და შინაური ფრინველების საკმაო მარაგი; ორი ჭურჭელიც წამოვიღე; ერთში წყალი მესხა, მეორეში კი — რძე.

ნავი ჩემი მასპინძლის სახლის ახლოს დიდ გუბურაში გამოვცადე, შევასწორე ყოველი ნაკლოვანება, ჭურჭრუტანები იაჰუს ქონით ამოვგლისე და ბოლოს და ბოლოს, ისეთი გავხადე, რომ შეეძლო ჩემი და ჩემი ტვირთის ატანა; როცა ნავი, რამდენადაც შეემძლო, ბოლომდე გავმართე, იაჰუებშებმული ოთხთვალათი ფრთხილად გადაუატანინე ზღვაზე წაბლა ჯუჯა ცხენისა და მეორე მსახურის მეთვალყურეობით.

როცა ყველაფერი მოვაშხადე და ჩემი წასვლის დღეც დადგა, ჩემს მასპინძელს, მის მეუღლეს და მთელ მათ ოჯახს გულმოკლული, ცხარე ცრემლით დავეშვიდობე, მაგრამ მისმა ბრწყინვალეობამ ცნობისმოყვარეობისათვის, თუ, შესაძლებელია (საერთოდ რაიმე აზრი თუ აქვს ამ შენიშვნას), ნაწილობრივ თავისი გულკეთილობის გამო, გადააყვიტა ნაპირამდე გავეცილებინე და მასთან ერთად თავისი უახლოესი მეგობრებიც წამოეყვანა. იძულებული შევიქენი მთელი ერთი საათი ზღვის მოქცევისთვის დამეცადა. როცა შევნიშნე, რომ ქარმა იმ კუნძულის მიმართულებით დაუქროლა, სადაც მე წასვლას ვაპირებდი, ხელახლა დავეშვიდობე ჩემს მასპინძელს და მის ფლოქვზე კოცნა რომ დავაპირე, მისმა მოწყალებამ იმდენი პატივი დამდო, რომ ნაზად ასწია იგი და ზედ პირთან მომიტანა. კარგად ვიცი, როგორ გამკიცხეს ამ წვრილმანის ხსენებისთვის. ცილისმწამებლებს დაუჯერებელ ამბად მიაჩნიათ, რომ ისეთ წარჩინებულ პირს, როგორიც მისი მოწყალება ბრძანდებოდა, ამდენი პატივი ეცა ჩემისთანა უმნიშვნელო არსებისთვის. ისიც კარგად ვიცი, რომ ზოგიერთ მოგზაურს ჩვეულებად აქვს, იტრაბახოს არაჩვეულებრივი პატივით, რომელიც მას ვითომდა დასდეს, მაგრამ ეს კრიტიკოსები უკეთ რომ იცნობდნენ ჰუიჰნჰნემების კეთილშობილ და მოსიყვარულე ხასიათს, აზრს მაშინვე შეიცვლიდნენ.

გამოხატე ჩემი პატივისცემა დანარჩენი ჰუიჰნჰნემებისადმიც, რომლებიც მის მოწყალებას ახლდნენ; მერე ჩავჯექი ნავში და ნაპირს მოვიცილდი.

## თავი მეთერთმეტი

ავტორის სახიფათო მოგზაურობა. ის ახალ პოლანდიაში იმ იმედით ჩა-  
დის, რომ იქ დასახლდეს. ერთ-ერთი ადგილობრივი მკვიდრი ისრით დაჭრის,  
დაიჭრენ და ძალად დასვავენ პორტუგალიის გემზე. კაპიტნის უდიდესი თა-  
ვზიანობა. ავტორი ბრუნდება ინგლისში.

ამ უიმედო მოგზაურობას 1714 წლის 15 თებერვლის დილის 9 სა-  
ათზე შეუდექი. ქროდა ზურგის ქარი. თავიდან მაინც ნიჩბების დახ-  
მარებით წავიყვანე ნავი. მაგრამ როცა გავითვალისწინე, რომ ძაღვ  
დავიღლებოდი და აგრეთვე ქარსაც შეიძლებოდა მიმართულება შეს-  
ცვლოდა, გავბედე ჩემი პაწაწინა აფრის აშვება. ამგვარად, მიქცევის  
წყალობით, ჩემი ნავი მიცურავდა ზღვაზე, რამდენადაც შევძელი გა-  
მოძიანგარიშებინა, ლიგნახევრის სიჩქარით საათში. ჩემი მასპინძელი  
და მისი მეგობრები ნაპირზე მანამდე იდგნენ, ვიდრე თვალს მივეფა-  
რებოდი. სულ მესმოდა წაბლა ჯუჯა ცხენის ძახილი (მას ყოველ-  
თვის ვუყვარდი), „ჰნუი ილა ნიჰა, მაიაჰ იაჰუ“ (თავს გაუფრთხილდი,  
ძვირფასო იაჰუ).

განზრახული მქონდა, თუ შევძლებდი, აღმოძიებინა რომელიმე  
დაუსახლებელი კუნძული და იქ საკუთარი შრომით მერჩინა თავი.  
ვეროპის რომელიც გნებავთ ბრწყინვალე პარლამენტის პირველ მი-  
ნისტრობას ასეთი ცხოვრება მერჩინა, იმდენად მცემდა თავზარს ის  
აზრი, რომ იაჰუების საზოგადოებაში უნდა დაგბრუნებულყავი და  
მათი მმართველობის პირობებში მეცხოვრა. ისეთ განმარტოებულ  
ადგილზე, სადაც მე ვაპირებდი დასახლებას, შემეძლო მივცემოდი  
ოცნებებს, მეფიქრა სწორუპოვარი ჰუიჰნჰნემების სათნოებაზე და,  
რაც მთავარია, იმის საფრთხის წინაშე არ ვმდგარიყავი, რომ ისევ  
შვეტოპავდი ჩემი მოდგმის გარყვნილებასა და სიბინძურეში.

მკითხველს ალბათ ახსოვს, რაც უკვე მოუყვები ჩემი შეთქმული  
მეზღვაურების შესახებ, რომლებმაც კაიუტაში ჩამამწყვდიეს, როგორ  
დავრჩი იქ რამდენიმე კვირა ისე, რომ არც კი ვიცოდი, რა მიმართუ-  
ლებით მივდიოდით და როცა ნავიდან ნაპირზე გადმომსვეს, როგორ  
იფიცეს, რომ მათაც არ იცოდნენ, დედამიწის რა ნაწილში ვიმყოფე-  
ბოდით იმჯერად. როგორღაც მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ კუ-  
თილი იმედის კონცხიდან დაახლოებით ათ გრადუსზე სამხრეთით, ანუ

სამხრეთ განედის ორმოცდახუთ გრადუსზე მივცურავდით, როგორც დაკასკენი რამდენიმე ზოგადი სიტყვიდან, რასაც მეზღვაურების საუბრის დროს მოკარი ყური. მაშინ, ჩემი აზრით, ისინი მადაგასკარის კენ მიმავალი გზის სამხრეთ-აღმოსავლეთით იმყოფებოდნენ. მართალია, ეს ცოდნა მარჩიელობას დიდად არ სჯობდა, მაგრამ მაინც გადაწყვიტე აღმოსავლეთით ამელო გეზი, იმ იმედით, რომ შესაძლებელი იყო ახალი ჰოლანდიის სამხრეთ და დასავლეთ სანაპიროს მივდგომოდი. ანდა, ვინ იცის, შეიძლება, ჩემთვის სასურველი კუნძულიც სწორედ მის დასავლეთით მდებარეობდა. ქარი პირდაპირ დასავლეთის მიმართულებით ქროდა და საღამოსთვის, ჩემი აზრით, სულ მცირე, თვრამეტი ლიგი გავიარე; ამასობაში ნახევარი ლიგის მანძილზე ერთი პატარა კუნძული შევნიშნე, რომელსაც მალე მივადექი კიდევაც. ის წარმოადგენდა შიშველ კლდეებს და მხოლოდ პატარა ყურე გააჩნდა, რომელიც ქარიშხლის გაღვნიტ შექმნილიყო. ჩემი ნავი იქ დაეყენე, მერე ერთ კლდეზე ავცოცდი და ნათლად დავინახე ხმელეთი სწორედ აღმოსავლეთით, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე იყო გადაჭიმული. მთელი დამე ნავზე გაატარე; დილით ადრე ისევ განუგრძე მოგზაურობა და შეიდ საათში ახალი ჰოლანდიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მივალწიე. ამან ჩემში განამტკიცა ის აზრი, რომელიც დიდი ხანია თავში მიტრიალებს: რომ რუკებზე ეს ქვეყანა, სულ მცირე, სამი გრადუსით უფრო აღმოსავლეთითაა აღნიშნული, ვიდრე სინამდვილეში უნდა იყოს; ეს აზრი მე მრავალი წლის წინათ გაჟანღე ჩემს ღირსეულ მეგობარს მისტერ ჰერმან მოლს<sup>1</sup> და ისიც მოვახსენე, თუ საიდან მოვედი ამ მოსაზრებამდე, მაგრამ მან ყურად არ იღო ჩემი სიტყვა და არჩია, ისევ სხვა ავტორებს მინდობოდა.

იმ მიდამოებში, რომელიც მივადექი, ადგილობრივ მცხოვრებლებს ველარ ვხედავდი და, რაკი უიარაღო ვიყავი, ქვეყნის შიგნით შესვლა ვერ გაუბედე. ნაპირზე რამდენიმე კიბორჩხალა ვიპოვე და უმად შევჭამე, რადგანაც ცეცხლის გაჩაღების მეშინოდა, ვაითუ, ადგილობრივ მკვიდრთა ყურადღება მივიქციო-მეთქი. სამი დღე ლოკოკინებითა და კიბოებით ვსაზრდობოდი, რათა ჩემი სურსათის მარაგი შემომენახა; საბედნიეროდ, ჩინებული მტკნარწყლიანი ნაკადული აღმოვაჩინე და ამან ერთი-ორად გამამხნევა.

<sup>1</sup> ჰერმან მოლი — ჰოლანდიელი გეოგრაფი, გამოაქვეყნა რუკების მთელი სერია.

მეოთხე დღეს გავბედე და ცოტა მეტი მანძილით რომ დავშორდი ნაპირს, უეცრად ერთ-ერთ გორაკზე ოცი-ოცდაათი ადგილობრივი მკვიდრი შევამჩნიე, ჩემგან დაახლოებით ხუთასი იარდის მოშორებით როგორც კვამლი მიუთითებდა ამაზე, კოცონი ენთოთ და გარშემო უსხდნენ კაცები და აგრეთვე ქალებიცა და ბავშვებიც. ერთ-ერთმა მათგანმა შემნიშნა და დანარჩენებსაც გააგებინა; ხუთი კაცი გამოემართა ჩემკენ, ქალები და ბავშვები კი ცეცხლთან დატოვეს. მე, რაც ძალი და ღონე მქონდა, ნაპირისკენ მოვკურცხლე, ნავში ჩავხტი და ზღვაში შევცურე. ველურებმა ჩემი გაქცევა რომ დაინახეს, გამომეკიდნენ და ვიდრე ზღვაში საკმაო სიღრმეზე მოვასწრებდი შესვლას, ისარი მესროლეს. მძიმედ დავიჭერი მარცხენა მუხლში (ნაჭრილობევი ახლაც მაჩნევია და ალბათ საფლავშიაც ჩამყვება). შემეშინდა, შეიძლება ისრები მოწამლული იყოს-მეთქი და მთელი ძალით მოუუსვი ნიჩბებს, რომ ნავი საძმეიდობოს გამეყვანა. როცა იმდენზე გავედი, რომ ისარს ვეღარ მომაწვდენდნენ, გულმოდგინედ ამოვწუწუნე ჭრილობა და, რამდენადაც მოვახერხე, კარგად შევიხვიე იგი.

არ ვიცოდი რა მექნა, უკან დაბრუნებას ვეღარ ვბედავდი, ამიტომაც გეზი ჩრდილოეთისკენ ავიღე, მაგრამ იძულებული გავხდი ნიჩბებით მემუშავა, რადგანაც ქარი, თუმცა ძლიერ სუსტი, საწინააღმდეგო მხრიდან, ჩრდილო-დასავლეთიდან ქროდა. მისადგომად უშიშარ ადგილს რომ ვეძებდი, უეცრად ზღვის ჩრდილო ჩრდილო-აღმოსავლეთით შევამჩნიე აფრა, რომელიც ყოველ წუთს უფრო და უფრო მკაფიოდ ისახებოდა. მე ვყოყმანობდი და ვერ გადამქწყვიტა, დავლოდებოდი თუ არა; მაგრამ ბოლოს ჩემში იძალა იაპუს მოდემისადმი ზიზღმა, ნავი მოვაბრუნე, სამხრეთით გავცურე და ჩავედი იმავე ყურეში, საიდანაც დილით გამოვედი, რადგანაც ვამჯობინე იქაურ ველურებს ჩავბარებოდი ტყვედ, ვიდრე ევროპელ იაპუებს შორის მეცხოვრა. ჩემი ნავი, რაც შემიძლო, ახლოს მივიყვანე ნაპირთან და პატარა ნაკადულთან ერთ კლდეს ამოვეფარე. იმ ნაკადულში, როგორც უკვე მოგახსენეთ, მშვენიერი სასმელი წყალი მოედინებოდა. გემი უბიდან ნახევარი ლიგის მანძილზე დადგა და კანჯო გამოგზავნა ჭურჭლებით სასმელი წყლის ასაღებად (რადგანაც, როგორც ჩანდა, ის ადგილი კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი). მაგრამ ისინი მე მანამდე არ შემიმჩნევია, ვიდრე ნაპირს არ მოადგებოდნენ, მაშინ კი უკვე გვიან იყო ახალი თავშესაფრის ძებნა. მეზღვაურებმა ნაპირზე ჩამოსვლისას შეამჩ-



ნიეს ჩემი ნავი, დაათვალიერეს იგი და დარწმუნდნენ, რომ პატრონი შორს არ უნდა ყოფილიყო წასული. ოთხმა მათგანმა, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულებმა, ჩხრეკა დაუწყეს ყოველ ხეხუეს, ყოველ ბუჩქს და ბოლოს მიპოვეს ქვის უკან პირქვე დამხობილი. ერთხანს გაოცებით შესცქეროდნენ ჩემს უცნაურ მორთულობას — ტყავის ხიფთანს, ხისძირიან ფეხსაცმელებს და ბეწვის წინდებს; მაგრამ ჩემმა სამოსელმა ისინი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მე ადგილობრივი მკვიდრი არ ვიყავი, ვინაიდან ეს უკანასკნელნი ყოველთვის ტიტლიკანები დადიან. ერთ-ერთმა მეზღვაურმა პორტუგალიურ ენაზე მიბრძანა ფეხზე წამოვმდგარიყავი და მკითხა, ვინა ხარო. მე მშვენივრად მესმოდა მათი ენა და, როგორც კი წამოვდექი, ვუპასუხე, რომ ვიყავი საბრალო იაპუ, გამოძევებული ჰუიჩნჩნმების ქვეყნიდან და ვთხოვე, წასვლის ნება მოეცათ მათ ძალიან გაუკვირდათ, რომ მათსავე მშობლიურ ენაზე გავეცი პასუხი, ამავე დროს, ჩემი სახის ფერიც და მოყვანილობითაც დარწმუნდნენ, რომ მე ევროპელი ვიყავი, მაგრამ ვერ მიხვდნენ, რას ვგულისხმობდი, როცა იაპუებსა და ჰუიჩნჩნმებს ვახსენებდი. ამავე დროს, სიცილი წასკდათ, როცა ჩემი ხმა გაიგონეს, რომელიც ძლიერ მიაგავდა ცხენის ჭიხვინს. მე კი ზიზღისა და შიშისაგან ვცახცახებდი. ისევ ვითხოვე წასვლის ნებათვა და ნელი ნაბიჯებით გავემართე ჩემი ნავისაკენ, მაგრამ შემაჩერეს და მკითხეს, რომელი ქვეყნიდან ვიყავი? რა მერქვა? და ასე შემდეგ. მე ვუპასუხე, რომ ინგლისიდან ვიყავი, საიდანაც ხუთი წლის წინათ ჩამოვედი და რომ მაშინ ჩემი და მათი ქვეყანა მშვიდობიან ურთიერთობაში იყო ერთმეორესთან. ამიტომაც, იმედი გამოვთქვი, რომ ისინი ისე არ მომეპყრობოდნენ, როგორც მტერს, რადგანაც მათ წინააღმდეგ არაფრის გაკეთებას არ ვაპირებდი; რომ მე ვიყავი ერთი საბრალო იაპუ და ვეძებდი რომელიმე უკაცრიელ ადგილს ჩემი გამწარებული ცხოვრების დღეების გასატარებლად.

ლაპარაკი რომ დაიწყეს, ასე მეგონა, იმაზე არაბუნებრივი ჩემს სიცოცხლაში არაფერი მსმენოდეს; რადგანაც იგი ისეთივე საოცრებად მეჩვენა, როგორც ის, რომ ინგლისში ძალღი ან ძროხა ალაპარაკდეს, ანდა ჰუიჩნჩნმების ქვეყანაში — იაპუ. პატიოსანი პორტუგალიელებიც ასევე იყვნენ გაოცებულნი ჩემი უცნაური სამოსლითა და ლაპარაკით, თუმცა ჩემი სიტყვები მაინც მშვენივრად ესმოდათ. ისინი მეტად თავაზიანად მესაუბრებოდნენ და მითხრეს,

რომ მათი კაპიტანი უფასოდ წამიყვანდა ლისაბონში, საიდანაც შემდეგ ჩემს სამშობლოში დავბრუნებულიყავი; რომ ორი მეზღვაური დაბრუნდებოდა გემზე, რათა ეს შემთხვევა კაპიტანისათვის ეცნობებინათ და მიეღოთ სათანადო განკარგულება; რომ, თუ მე პატიოსან სიტყვას არ მივცემდი, თქვენს დაბრუნებამდე დავიცდი და არ გავიქცევი-მეთქი, მაშინ იძულებული იქნებოდნენ, ძალად დავეკავებინეთ. მე ვამჯობინე დავმორჩილებოდი მათ წინადადებას. ვგრძნობდი, რომ ძალიან აინტერესებდათ ჩემი თავგადასავლის გაგება, მაგრამ მე ნაკლებად დაუკმაყოფილე მათი ცნობისმოყვარეობა, რამაც ისინი იმაში დაარწმუნა, რომ გადატანილმა უბედურებებმა გონება შემირყია. ორი საათის შემდეგ მათი ნავი, რომელიც სასმელი წყლის სავსე ჭურჭლებით დატვირთული გაემართა, უკანვე დაბრუნდა. კაპიტანის განკარგულებით გემზე უნდა ავეყვანე. მუხლებზე დავეცი და ვთხოვე, არ წაერთმიათ თავისუფლება, მაგრამ ამაოდ, მეზღვაურებმა მტაცეს ხელი, თოკით შემკრეს, ჩამაგდეს თავიანთ ნავში, მერე კი ჯერ გემბანზე და შემდეგ კაპიტანის კაიუტაში გადამიყვანეს.

მე კაპიტან პედრო დე მენდესს მოკლედ ვუამბე ჩემი თავგადასავალი; როგორ მომიწყვეს შეთქმულება ჩემმა მეზღვაურებმა; როგორ გადამსვეს უცნობი ქვეყნის ნაპირზე და როგორ გავატარე იქ ხუთი წელიწადი; ყველაფერ ამას იგი ისე უსმენდა, თითქოსდა ჩემი ნაამბობი რაიმე ზღაპარი ანდა სიზმარი ყოფილიყო; ამან მე ძალზე შეურაცხყო, რადგანაც უკვე დამკარგოდა ტყუილის თქმის უნარი, რაც ესოდენ დამახასიათებელია იაპუებისათვის ყველა ქვეყანაში, სადაც კი ისინი ბატონობენ და, მაშასადამე, გადავჩვეოდი მათ ჩვეულებრივ მიდრეკილებას, ეჭვი შეიტანონ სხვების ნათქვამში. მე ვკითხე, ნუთუ თქვენს ქვეყანაში მიღებულია თქვან ის, რაც არ არის-მეთქი? მე ვუთხარი მას, რომ უკვე დავიწყებული მქონდა, რას ეძახიან ტყუილს; რომ ჰუიჰნჰნების ქვეყანაში მთელი ხუთი წლის ყოფნის დროს ერთხელაც არ მსმენია სიცრუე თვით უმდაბლესი მსახურისაგანაც კი; რომ ჩემთვის სულერთი იყო, სჯეროდა მას ჩემი ნათქვამისა თუ არა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი გულკეთილობის სამაგიეროდ, არად ჩაუგდებდი მისი ბუნებრივ მანკიერებას და პასუხს გავცემდი ყოველ კითხვაზე, რის გაგებასაც იგი მოისურვებდა და რაც იოლად დაარწმუნებდა ჩემს სიმართლეში.

კაპიტანმა, რომელიც უაღრესად ჭკვიანი კაცი გახლდათ, ამაოდ სცა-  
და, ზოგიერთ ტყუილში მანც დაეჭირე და მალე თითქმის ეჭვი აღარ  
ეპარებოდა ჩემს გულწრფელობაში. მაგრამ გამომიცხადა, რომ თუ ასე  
მიზიდავდა სიმართლე და ასე ვიყავი მასზე შეყვარებული, მიმეცა პატიო-  
სანი სიტყვა, რომ მეზავრობის დროს გაქცევა არ მეცადა და ზიანი არ  
მიმეყენებინა საკუთარი თავისთვის; თუ არა და, ის იძულებული იქნებო-  
და, დამწყვდეული ჩავეყვანე ლისაბონში. მე შეეპირდი შემესრულებინა  
ეს პირობა; თუმცა დაეძინე, რომ მზად ვარ უდიდესი გაჭირვება გადავი-  
ტანო, ოღონდ იაპუებს შორის საცხოვრებლად არ დაებრუნდე-მეთქი.

ჩვენი მოგზაურობის დროს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.  
ლისაბონში 1715 წლის 5 ნოემბერს ჩავვედით. მე უარი გავაცხადე გა-  
მომეცვალა ტანსაცმელი და იაპუების გამონაცვალის სამოსი ჩამეცვა,  
რომელიც ჩემში ზიზღს იწვევდა. ამიტომაც ნაპირზე ჩამოსვლისას  
კაპიტანმა მაიძულა მომესხა მისი მოსასხამი, რათა ცნობისმოყვარე  
ხალხის ბრბოსგან თავი დამეფარა, მან თავის სახლში წამიყვანა და  
თანახმად ჩემი უმდაბლესი თხოვნისა, მომათავსა ზემო სართულის  
უკანა ოთახში, რომლის ფანჯრებიც ეზოში გადიოდა. მე ვთხოვე კა-  
პიტანს არავისთვის ეთქვა, რაც მე ჰუიჰნჰნების შესახებ ვუამბე, რა-  
დგანაც ამ ამბის თუნდაც უბრალო ხსენებაც კი, არა მარტო მრავალ  
ცნობისმოყვარეს მოიზიდავდა, არამედ იმის საფრთხესაც შემიქმნიდა,  
რომ დაეუპატიმრებინე ანდა ინკვიზიტორებს კოცონზე დაეწვი. კა-  
პიტანმა მთხოვა მიმეცა ახალი ტანისამოსის შეკვეთა, მაგრამ ვერა-  
ფრით დამითანხმა, მკერავისთვის ჩემი ზომის ადების ნება დამერთო;  
მაშინ დონ პედროს ტანზე შეკერეს და, რაკი ჩვენ ტანად თითქმის  
ტოლები ვიყავით, ტანსაცმელი მშვენიერად მომერგო; კაპიტანმა მო-  
მამარაგა სხვა საჭირო ნივთებითაც, რომლებსაც, ვიდრე მოვიხმარდი,  
მთელი დღე და ღამე ვანიავებდი ხოლმე.

კაპიტანი უცოლო იყო და სამზე მეტი მსახურიც არ ჰყავდა. იგი  
არავის რთავდა ნებას, სუფრაზე მომსახურება გაეწია, გარდა ამისა,  
ისე კარგად მექცეოდა და იმდენ წმინდა ადამიანურ ღირსებას ამ-  
ჟღავნებდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მივეჩვიე და უკვე ვიტანდი მის  
გვერდით ყოფნას. გარდა ამისა, იმდენი მიჩიჩინა, რომ უკანა ფანჯრი-  
დან გახედვაც კი გაუბედე. თანდათანობით მეორე ოთახშიც გავედი და  
იქიდან ქუჩაში გავიხედე, მაგრამ შეძრწუნებული მაშინვე უკუვიქე-  
ცი. ერთ კვირაში ქვედა სართულზე ჩამომიყვანა. ვიგრძენი, რომ ჩემი

შიში იაჭუებისა და მათი საცხოვრისის მიმართ თანდათან შესუსტდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ზიზლი და სიძულვილი ერთობ გაძლიერდა.

ათი დღის შემდეგ დონ პედრომ, რომელსაც მე ზოგიერთი რამ ჩემს ოჯახურ საქმეებზეც ვუამბე, გამომიცხადა, რომ, საკუთარი ღირსება და პატიოსნება მავალდებულებდა დავბრუნებულყავი ჩემს სამშობლოში და იქ ჩემს ცოლ-შვილთან ერთად მეცხოვრა. მან ისიც მითხრა, რომ ინგლისში მიმავალი გემი დგას ნავსადგურში და წასასვლელად უკვე მზად არისო და, თანაც დამპირდა, ყველაფრით მოვემარაგებინე, რაც გზაში დამჭირდებოდა. ზედმეტი იქნება იმ საბუთების ჩამოთვლა, რომლებითაც იგი ცდილობდა ჩემს დაყოლიებას, ასევე იმის მოყოლა, რა მოტყეებს ვუპირისპირებდი მათ. მისი აზრით, შეუძლებელი იყო უკაცრიელი კუნძულის პოვნა და, რაკი ჩემი სახლი ჩემს განკარგულებაში იქნებოდა, შეემძლო, თუ მომესურვებოდა, განმარტოებულად მეცხოვრა.

ბოლოს და ბოლოს დავემორჩილე, როცა დავრწმუნდი, რომ უკეთესს მაინც ვერაფერს გავაკეთებდი. ლისაბონიდან 24 ნოემბერს ინგლისის სავაჭრო გემით გავემგზავრე, მაგრამ ვინ იყო მისი კაპიტანი, დღემდე არ ვიცი. დონ პედრომ გემამდე მიმაცილა და ოცი გირვანქა სტერლინგი მასესხა — დიდი სიყვარულით დამემშვიდობა და განმორებისას გადამეხვია, რაც ძლივსლა ავიტანე. გზაზე არც კაპიტანთან და არც მეზღვაურებთან არ მისაუბრია, თავი მოვიავადმყოფე და ჩემს კაიუტაში ჩავიკეტე. 1715 წლის 5 დეკემბერს, დილის ცხრა საათზე დოუნსში ჩავუშვით ღუზა; დღის სამი საათისთვის, რედრიფში, ჩემს სახლში მშვიდობით ჩავედი.

ცოლ-შვილმა დიდი სიხარულითა და გაცხებით მიმიღო, რადგანაც ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მე დიდი ხნის დაღუპული ვიყავი; მაგრამ, უნდა ვაღიარო, რომ მათმა დანახვამ ზიზლითა და სიძულვილით ამავსო; განსაკუთრებით კი ეს გრძნობა მაშინ გაძლიერდა, როცა მომაგონდა, თუ რა ნათესაობა მაკავშირებდა მათთან. ჰუიჰნჰნების ქვეყნიდან ჩემი გაძევების შემდეგ ვაიძულე ჩემი თავი, იაჭუების შეხედვა ამეტანა და დონ პედრო დე მენდებთან მესაუბრა კიდევ, მაგრამ ჩემი მეხსიერება გამუდმებით იყო გამსჭვალული ჩვენზე გაცილებით მაღალ დონეზე მდგარი ჰუიჰნჰნების სათნოებითა და ბრძნული აზრებით და, როდესაც დაუფიქრდი იმაზე, რომ ერთ-ერთ იაჭუსთან შეუღლების წყალობით, მე გადავიქეცი კიდევ რამდენიმე

მათგანის მამად, შემრცხვა საკუთარი თავის წინაშე და ზიზლითა და სიძულვილით აღვიყსე.

როგორც კი სახლში შევედი, მომვარდა ჩემი მეუღლე, გადამქვია და გადამკოცნა. ასეთი საზიზლარი ცხოველების შეხებას რამდენიმე წლის მანძილზე ვიყავი გადაჩვეული, ამიტომ ერთბაშად შემიღონდა გული და გრძნობა თითქმის მთელი საათით დაუკარგე. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, უკვე ხუთი წლის დაბრუნებული ვარ ინგლისში. პირველ წელიწადს სრულიად ვერ ვიტანდი ჩემი ცოლისა და ბავშვების სიახლოვეს, — იმდენად აუტანელი იყო მათი სუნი ჩემთვის; მით უმეტეს, მათთან ერთად სუფრას, რა თქმა უნდა, ვეღარ შემოუჯდებოდი. დღემდე ვერ ბედავენ ისინი ხელი შეახონ ჩემს ხელს, ანდა ჩემი ფინჯანი იხმარონ; ამდენი ხანი გავიდა და ვერც ერთი მათგანის ხელის შეხებას ვეღარ მოვჩვიე. პირველივე თანხა, რომელიც ხელში ჩამიჭარდა, იმისათვის მოვიხმარე, რომ ორი კვიცი ვიყიდე და საუკეთესო თავლაში დაუყენე. მათ მერე ყველაზე დიდ სიამეს ჩემი მეჯინიბის ნახვა მანიჭებს, რადგანაც ის სურნელება, რომელიც მას თავლიდან მოჰყვება, ჩემი სულიერი განახლების უებარი საშუალებაა. ჩემს ცხენებს მშვენივრად ესმით ჩემი; დღეში ოთხ საათს მაინც ვსაუბრობ მათთან. მათთვის უცხოა აღვირი და უნაგირი, მე მათ ძალიან ვუყვარვარ და ერთმანეთთანაც უაღრესად მეგობრულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

## თავი მეთორმეტი

ავტორის ალაღმართლობა. რა მიზანს ისახავდა იგი ამ შრომის გამოქვეყნებით ის კიცხავს მოგზაურებს, რომლებიც გვერდს უვლიან სიმართლეს. ავტორი აცხადებს, რომ მას არავითარი ბოროტი განზრახვა არ ჰქონდა ამ წიგნის შექმნის დროს. პასუხი ერთ სადავო საკითხზე. კოლონიების მოწყობის მეთოდი. საშობლოს ქებათა-ქება. ბრიტანეთის სამეფოს სრული უფლება აქვს იმ ქვეყნებზე, რომლებიც აღწერა ავტორმა. მათი დაპყრობის სიძნელე. ავტორი ემშვიდობება მკითხველს. გვაცნობს, რანაირად აპირებს თავისი ცხოვრების მოწყობას მომავალში. ბოლოს იძლევა ყურადსაღებ რჩევა-დარიგებას და ამით ამთავრებს თავის წიგნს.

ამგვარად, ძვირფასო მკითხველო, მე უკვე გიამბე ჩემს მოგზაურობათა მართალი ისტორია, რომელიც თქვენსმეტ წელსა და შვიდ თვეზე

ცოტა მეტხანს გრძელდებოდა. ისიც უნდა გითხრა, რომ სულაც არ მიცდია სინამდვილე შემელამაზებინა და ამიტომაც ჩემი წიგნის ერთ-დერთ სამკაულად სიმართლე რჩება. რა თქმა უნდა, მსგავსად სხვათა და სხვათა, მეც შემეძლო გამეოცებინე არარსებული და დაუჯერებელი, თუმცა მეტად საოცარი ამბებით; მაგრამ მე ვარჩიე უბრალო და გასაგები ენით შიშველი ფაქტები მომეთხრო შენთვის, რადგანაც ჩემს მიზანს შეადგენდა მეამბნა, რაც სინამდვილეში გადამხდა თავს და არა ის, რომ გამერთე და გამეკვირვებინე.

ასეთ მიყრუებულ და შორეულ ქვეყნებში მოგზაურებისთვის, რომლებშიც ჩვენი ინგლისელი თანამემამულეები ან ევროპელები იშვიათად დადიან, ადვილია ზღვისა და ხმელეთის რაღაც გაუგონარი და სასწაულებრივი ცხოველების აღწერა. მაგრამ მოგზაურის მთავარ მიზანს უნდა შეადგენდეს, შესძინოს თავის მკითხველს ცოდნა, აღზარდოს იგი იმ კარგი თუ ცუდი მაგალითების გამოყენებით, რასაც შორეული ქვეყნების შესახებ ჰყვება.

მე ვისურვებდი, გამოცემულიყო კანონი, რომელიც დაავალდებულებდა ყოველ მოგზაურს, ვიდრე მას მოგზაურობაზე წიგნის დაბეჭდვის ნებას მისცემდნენ, ფიცი დადოს პირადად უმაღლესი ლორდ კანცლერის წინაშე, რომ ყველაფერი, რის დაბეჭდვასაც აპირებს, სრული სიმართლეა. ამას რომ გააკეთებდნენ, ხალხი ამიერიდან მაინც არ დარჩებოდა მოტყუებული. თორემ ჯერჯერობით მეტს არაფერს აკეთებენ, გარდა იმისა, რომ, ოღონდ წიგნები საინტერესო გახადონ და მთელი რიგი მწერლებისა ათასგვარ უხეშ სიცრუეს სთავაზობს მიამიტ მკითხველს. ბავშვობაში გატაცებული ვიყავი მოგზაურთა წიგნებითა და ბევრი წავიკითხე კიდევც, მაგრამ მერე თითქმის მთელი დედამიწის ზურგი მოვიარე და საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ მათში მრავალი ზღაპრული და გამოგონილი ამბავია მოთხრობილი. ამან საბოლოოდ შემაძულა ამ სახის წიგნების კითხვა და შემაზიზღა ის მწერლები, რომლებიც გულუბრყვილო და მიმნდობ ხალხს ასე უსირცხვილოდ ატყუებენ. ამიტომაც, რაკი ჩემი ნაცნობ-მეგობრების აზრით, ჩემი უსუსური ცდა უსარგებლო არ იქნებოდა ჩემი საშობლოსათვის, გადავწყვიტე, რაღაც უნდა დამჯდომოდა, სიმართლისათვის არ გადამეხვია. ამის გაკეთების უფლებას ისიც არ მაძლევდა, რომ არასოდეს მავიწყდება ჩემი კუთილშობილი მასპინძლის და სხვა კუთილშობილი

ჰუიჰჰჰმების დარიგებები და კარგი მაგალითი, რომელთა მორჩილი მსმენელიც იმდენი ხანი ვიყავი.

„Nec si miserum Fortuna Sinonem Finxit, vanum etiam, mendacem-que improba finget“ („ბედა თუ სინონი გააუბედურა, ცრუდ და უსინდისოდ ვერ გახდის მაინც“)<sup>1</sup>.

შშვენოვრად ვიცი, რომ დიდ სახელს ვერ მოუტანს მწერალს შრომა, რომელსაც არც ნიჭი, არც ცოდნა და არც რაიმე განსაკუთრებული მონაცემები არ ესაჭიროება, კარგი მეხსიერებისა და მოვლენების სისტემატური აღნუსხვის გარდა. ისიც ვიცი, რომ მოგზაურობების აღმწერთა სახელებს, ლექსიკონების შემდგენლების მსგავსად, დავიწყების ფერფლით ფარავენ მათ შემდგომ მოსულები, რომელთა ნაწარმოებები უთვალავი ახალი აღმოჩენითა და სიახლით გამოირჩევა. ამიტომაც, საესებით მოსალოდნელია, რომ ასეთი მოგზაურები, როცა ესტუმრებიან ჩემ მიერ აღწერილ ქვეყნებს, აღმოაჩინენ რა ჩემს შეცდომებს (თუ მე მართლა სადმე დაუშვია ისინი) და მიუმატებენ რა მრავალ საკუთარ აღმოჩენას, საბოლოოდ დამჩრდილავენ და ჩემს ადგილს თვითონ დაიკავენ. ამგვარად, ქვეყნიერება დაივიწყებს, რომ ერთ დროს მეც ვარსებობდი, როგორც ავტორი. ეს, რა თქმა უნდა, მეტად სამწუხარო იქნებოდა ჩემთვის, მე რომ დიდების მოსახვეჭად მეწერა. მაგრამ, რაკი ჩემი ერთადერთი მიზანი იყო, საზოგადოებისათვის სარგებლობა მომეტანა, ეს ამბავი, მართალი გითხრათ, სულაც არ მადარდებს. მართლაც, ვის შეუძლია წაიკითხოს დიდებული ჰუიჰჰჰმების ჩემ მიერ უკვე ხსენებულ სათნოებაზე და არ შერცხვეს თავისი მანკიერებისა, როცა თავის თავს მოაზროვნე და თავისი ქვეყნის მმართველ არსებად წარმოიდგენს? არაფერს ვამბობ იმ შორეულ ქვეყნებზე, სადაც ბატონობენ იაჰუები, რომელთა შორისაც ყველაზე ნაკლებად გახრწნილნი ბრობდინგნაგელები არიან, რომელთა მორალის, ბრძნული პრინციპებისა და სახელმწიფო წყობილების დაცვა ჩვენთვის უთუოდ დიდი ბედნიერება იქნებოდა. მაგრამ აქ თხრობას შევწყვეტ და ჩემს მიხვედრილ და სამართლიან მკითხველს მივანდობ, თვითონ გააკეთოს დასკვნები.

უდიდეს სიამოვნებას მგვრის ის გარემოებაც, რომ ჩემს შრომას კრიტიკოსები არ ეყოლება; რადგანაც, აბა რაში უნდა გაუწიონ კრი-

<sup>1</sup> მოყვანილია ციტატა რომაელი პოეტის პუბლიუს ვერგილიუსის (70-19 ძვ.წ.) პოე-მიდან „ენეიდა“.

ტიკა მწერალს, რომელიც გადმოსცემს მხოლოდ და მხოლოდ შიშველ ფაქტებს, მომხდარს ისეთ შორეულ ქვეყნებში, რომლებიც ჩვენ არც საუკუნო ურთიერთობისა და არც პოლიტიკური თვალსაზრისით არ გვანტერესებს. მე გულმოდგინედ შევეცადე არ დამეშვა არც ერთი შეცდომა, რომელთა გამო სამართლიანად საყვედურობენ ხოლმე თავ-გადასავლების ჩვეულებრივ ავტორებს. გარდა ამისა, არც ერთი პარტიის თვალსაზრისზე არ ვდგავარ და ვწერ ყოველგვარი მიკერძოების, ცრურწმენისა და ბოროტგანზრახვის გარეშე რომელიმე ცალკეული პირისა თუ ადამიანთა ჯგუფის მიმართ ვწერ უაღრუსად კეთილშობილური მიზნით — გაგანათლო და დაგარიგო კაცობრიობა, რომელზეც, ყოველგვარი ტრაბახის გარეშე ვამბობ, უთუოდ მაღლა ვდგავარ ხნეობრივად, უაღრუსად სრულყოფილ ჰუიპნჰმებთან ხანგრძლივი ურთიერთობით და საუბრებით მოპოვებული უპირატესობების წყალობით არც იმისთვის ვწერ, რომ ნიუთიერი სარგებლობა მინდოდეს, ანდა სახელის მოხვეჭა მწყუროდეს, ერთი ისეთი სიტყვაც არასოდეს დამიწერია, რომელიც შეიძლება დაცინვას შეიცავდეს, ანდა ოდნავაც შეურაცხყოფდეს თვით ყველაზე უფრო ბუტია ადამიანებსაც კი. ამგვარად, სრული უფლება მაქვს, საკუთარი თავი გამოვაცხადო ისეთ ავტორად, რომელსაც არავითარი საყვედური არ ეთქმის და რომლის წინააღმდეგაც მიმომხილველების, მოპასუხეების, ცილისმწამებლების, მამხილებლების, გამკიცხველების, ჯაშუშებისა და მოთვალთვალეების ტომები ვერ იპოვიან მიზეზს, გამოიჩინონ თავიანთი ნიჭი და უნარი.

უნდა ვაღიარო, რომ ჩუმ-ჩუმად მაგონებდნენ, თითქოსდა ჩემს, როგორც ინგლისელის, მოვალეობას შეადგენს, სამშობლოში დაბრუნებისთანავე ერთ-ერთ სახელმწიფო მინისტრს წარუდგინო მოხსენებითი ბარათი, ვინაიდან ქვეშევრდომის მიერ აღმოჩენილი ესა თუ ის ქვეყანა მის ხელმწიფეს ეკუთვნის, მაგრამ, ჩემი აზრით, ჩემ მიერ აღმოჩენილი ქვეყნების დაპყრობა, არცთუ ისე ადვილი იქნებოდა, როგორც ფერდინანდ კორტესის<sup>1</sup> მიერ ამერიკის მკვიდრთა დამორჩილება იყო. ლილიპუტები, ჩემი აზრით, არც კი ღირან იმად, რომ მათ დასამორჩილებლად არმია და ფლოტი მომზადდეს; და, მე არა მგონია, მიზანშეწონილი ანდა უვნებელი იყოს ბრობდინგნაგელეებზე თავდასხმა; ადვილი წარმოსადგენია, რა გუნებაზე დადგებოდა ინგლისის არმია,

<sup>1</sup> ერნან კორტესი — (1485-1547), ესპანელი კონკისტადორი, რომელმაც მექსიკა დაიმორჩილა და აცტეკთა იმპერია გაანადგურა.



თავს ზემოთ რომ მფრინავ კუნძულს დაინახავდა. ცხადია, ჰუიჰნჰმე-  
ბი ყველაზე ნაკლებად არიან ომისთვის მომზადებულნი, რადგანაც ეს  
მეცნიერება მათთვის საესებით უცხოა, განსაკუთრებით კი ცეცხლ-  
მსროლელი იარაღები; და მაინც, ვთქვათ და სახელმწიფო მინის-  
ტრი რომ ვიყო, მათ დასაპყრობად გალაშქრების რჩევას ვერასოდეს  
მოცემდი, ვინაიდან მათი კეთილგონიერება, ერთსულოვნება, უშიშ-  
რობა და სამშობლოს სიყვარული ადვილად გადაფარავს სამხედრო  
ხელოვნებაში განუსწავლელით გამოწვეულ ხარვეზებს. წარმოდ-  
გინეთ ოცი ათასი ჰუიჰნჰმე დარეული ევროპის ლაშქარს, არე-და-  
რეა მწყობრში, გადაყირაყებული ეტლები, მეომართა პირისახეები  
გადაქცეული ხორცის ნაფლეთებად ჰუიჰნჰმეების უკანა ფლოქვების  
დარტყმის შედეგად. ისინი სამართლიანად იმსახურებენ ავგუსტუსი-  
სადმი მიცემულ დახასიათებას: „recalcitrat undique tutus“ („ტლინ კებს  
ყრის და ფრთხილობს დიდად“).<sup>1</sup> ნაცვლად იმ დიდსულოვანი ხალხის  
დაპყრობის გეგმის წარმოდგენისა, ვისურვებდი, მოვლაპარაკებოდი  
მათ და მიგვეღწია თანხმობისთვის, რომ მათ გამოგზავნონ საკმაო  
რიცხვი თავიანთი მცხოვრებლებისა, რათა ევროპა იმით გაანათლონ,  
რომ გვასწავლონ პატიოსნების, სამართლიანობის, სიმართლის, თა-  
ვშეკავებულობის, სოლიდარობის, სიმამაცის, სიწმინდის, მეობრო-  
ბის, კეთილმოსურნეობისა და ერთგულების საფუძვლები... ყველა ამ  
სათნოების სახელი შემონახულია ჩვენს ენებში და გვხვდება როგორც  
უძველეს, ისე თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებში, რაც შემი-  
ძლია მეც დავდასტურო, თუმცა ბევრი არაფერი წამიკითხავს.

მაგრამ მე მაქვს მეორე მიზეზიც, რომელიც მაკავებს ჩემ მიერ აღ-  
მოჩენილი ქვეყნების ხარჯზე მისი უდიდებულესობის სამეფოს გა-  
ფართოებისათვის ხელის შეწყობისგან. მართალი გითხრათ, ხანდახან  
ეჭვი მეპარება, სამართლიანად იქცევიან თუ არა ხელმწიფეები, რო-  
დესაც ასეთ დაპყრობით ომებს აწარმოებენ. მაგალითად, ვთქვათ და,  
ქარიშხალი მიაქროლებს მეკობრეების ხომალდს უცნობი მიმართუ-  
ლებით; იუნგა ანძიდან შენიშნავს ხმელეთს; მეკობრეები ნაპირზე გა-  
დადიან, რათა ხელი მიჰყონ ძარცვასა და ყაჩაღობას. იქ კი უწყინარი  
ხალხი დახვდება მათ, რომლებიც გულთბილად იღებენ მოსულთ; ეს  
უკანასკნელნი კი სახელს გადაარქმევენ იმ ქვეყანას და მეფის სახელით

<sup>1</sup> ციტატა რომელი პოეტის კვინტუს პორაციუსის (65-8 ძვ. წ.) სატირიდან.

უფლებიან მას; დამპალ ფიცარს ანდა ქვას ჩაასობენ მოსაგონარ ნიშნად; ათულობით ადგილობრივ მკვიდრს გაჟღეტენ; კიდევ უფრო მეტს, თავიანთ ქვეყანაში საჩვენებლად, ძალით აიყვანენ გემზე; ბრუნდებიან სამშობლოში და იღებენ პატიებას, ასე წარმოიშობა ღვთისგან კურთხეული ახალი კოლონია. პირველი შესაძლებლობისთანავე იგზავნება ხომალდები, ადგილობრივ მკვიდრებს ან განდევნიან, ან ამოჟღეტენ; მათ ბელადებს აწამებენ, რათა ოქროს მარაგს მიაგნონ; სრული თავისუფლება ეძლევა ყოველგვარ არაადამიანურ მოქმედებას და გარყვნილებას; ქვეყანა თავის მკვიდრთა სისხლით იღებება და ყასბების ეს საზიზღარი ხროვა, რომელიც ასეთ კეთილშობილურ ექსპედიციას ხელმძღვანელობს, აარსებს თანამედროვე კოლონიას, რათა მოაქციოს და გაანათლოს კერპთაყვანისმცემელი და ველური ხალხი.

მაგრამ ამ აღწერას, ვფიცავ, რომ არაფერი აქვს საერთო ბრიტანეთის იმპერიასთან, რომელიც შეიძლება მაგალითად დაუუსახოთ მთელ კაცობრიობას თავისი სიბრძნით, მზრუნველობითა და სამართლიანობით კოლონიების შექმნის საქმეში; სარწმუნოებისა და განათლების დანერგვაში; ქრისტიანობის გასაგრეცვლებლად ღვთისმოსავი და უნარიანი სამღვდელო პირების შერჩევაში; პროვინციების წესიერი და უსიტყვოდ მორჩილი მცხოვრებლებით დასახლებაში; კოლონიების ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მაღალი გონებრივი და ზნეობრივი მონაცემების მქონე პირების დანიშვნის გზით, რომლებსთვისაც სრულიად უცხოა ყოველგვარი მანკიერება, სამართლიანობის მკაცრ დაცვაში; და, ბოლოს, — ეს კი ყველაფრის გვირგვინს შეადგენს, — ყველაზე ფხიზელი და კეთილმოქმედი გუბერნატორების დანიშვნით, რომლებიც სხვა არაფერზე ზრუნავენ, გარდა იმ ხალხის კეთილდღეობისა, რომელსაც მართავენ და ხელმწიფის, მათი ბატონ-პატრონის, ღირსების დაცვისა.

მაგრამ ვინაიდან ჩემ მიერ აღწერილი ქვეყნების მკვიდრთ არავითარი სურვილი არა აქვთ დაპყრობილი ანდა დამონებული იქნან, ამოიჟლიტონ ან განიდევნონ თავიანთი ქვეყნიდან კოლონისტების მიერ და, რაკი ისინი არც ოქროთი, არც ვერცხლით, არც თაფლითა და არც თამბაქოთი არ არიან მდიდრები, ჩემი არაავტორიტეტული აზრით, შემიძლია ვთქვა, რომ ისინი არც ჩვენი მისწრაფების, არც ჩვენი ძლევამოსილებისა და არც დაინტერესების საგნად არ გამოდგებიან. მაგრამ, თუ ვინიცობაა, ვისაც ეს საკითხი უფრო ქება, განსხვავებულ აზრზე დგას, მზადა ვარ, კანონის წინაშე წაყენებისას,

ფიცით დაგამტკიცო, რომ ამ ქვეყნებში ჩემამდე არც ერთ ვეროპელს არ დაუდგამს ფეხი. მე ამას იმის საფუძველზე ვამბობ, რომ სანდოდ ვთვლი ადგილობრივ მკვიდრთა განცხადებას, თუმცა კამათი შეიძლება გამოიწვიოს იმ თქმულებამ, რომლის თანახმადაც, ოდესღაც ორი იაპუ ნახეს პირველად ჰუიჰნჰნემების ქვეყნის ერთ-ერთ მთაზე და რომლებისგანაც იქაური იაპუები წარმოიშვნენ.

ხოლო რაც შეეხება ჩემ მიერ აღმოჩენილი ქვეყნების მეფის სახელით ფორმალურად დაპყრობას, ეს ამბავი, ფიქრადაც არასოდეს მომსვლია; და, თუნდაც მომსვლოდა, რომ გავითვალისწინებდი, რა მდგომარეობაში ვიყავი ჩაგრდნილი, მიზანშეწონილობისა და საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნების თვალსაზრისით, ამ აქტის შესრულებას უფრო ხელსაყრელ დრომდე გადავდებდი.

ვუპასუხე რა ერთადერთ საყვედურს, რომელიც შესაძლოა ოდესმე მითხრან მე, როგორც მოგზაურს, საბოლოოდ დავემშვიდობები ჩემს ძვირფას მკითხველებს და განვმარტოვდები, რათა რედრიფის<sup>1</sup> პატარა ბაღში მივეცე ფიქრებს, თუ როგორ განვახორციელო პრაქტიკაში სათნოების ის უძვირფასესი გაკვეთილები, მიღებული ჰუიჰნჰნემებისაგან; განუანათლო ჩემი ოჯახის იაპუები, რამდენადაც ისინი სწავლის უნარით არიან დაჯილდოებულნი; რათა, რაც შეიძლება ხშირად ვუყურო ჩემს გამოსახულებას სარკეში და, ამგვარად, თუ მოხერხდა, შევეჩვიო ადამიანთა ყურებას; რათა ვიდარდო ჩემი ქვეყნის ჰუიჰნჰნემების უგუნურებაზე, მაგრამ მათ, მიუხედავად ამისა, მაინც ყოველთვის კარგად მოვექცე ჩემი კეთილშობილი ჰუიჰნჰნემების მთელი მოდგმის ხათრით, რომლებსაც ჩვენი ჰუიჰნჰნემები გარგნულად ყოველნაირად ჰგვანან, თუმცა თავიანთი გონებრივი განვითარებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან.

გასული კვირიდან ჩემს ცოლს ნება დავრთე ჩემთან ისადილოს. ოღონდ ჩვენი გრძელი სუფრის მეორე ბოლოს დაჯდეს და პასუხი გამცეს (მაგრამ უაღრესად მოკლე) ჩემ მიერ დასმულ თითო-ოროლა კითხვაზე. და, თუმცა ბერიკაცისთვის ძნელია ძველთაძველი ჩვეულებების გადაჩვევა, მე სულაც არ ვკარგავ იმედს, რომ ოდესმე ჩემი მეზობელი იაპუ დავიმეგობრო და მისი კბილებისა და ფრჩხილების აღარ შემეშინდეს.

ჩემთვის არცთუ ისე ძნელი იქნებოდა იაპუების მთელ მოდგმასთან შერიგება, მხოლოდ იმ მანკიერებებსა და ნაკლს რომ სჯერდებოდნენ,

<sup>1</sup> რედრიფი — ასე ეწოდებოდა XVII და XVIII საუკუნის დასაწყისში როთურგაისს.

რაც მათ ბუნებით მოსდევთ მე სულაც არ მაშფოთებს მოსამართლის, ჯიბგირის, პოლკოვნიკის, მასხარის, თაყადის, მოთამაშის, პოლიტიკოსის, ექიმის, ვექილის, მოლაღატიისა და მსგავსთა მათთა დანახვა. მათი არსებობა ასე თუ ისე გამართლებულია. მაგრამ, როცა ვხედავ ფიზიკურ და სულიერ სიმახინჯეს და აუადმყოფობას, შერწყმულს სიამაყესთან ერთად, მოთმინების ფიალა ბოლომდე მქვსება; ვერასოდეს მოეხვდები, რატომაა, რომ ამნაირ არსებას ასეთი მანკიერებები გააჩნია. ბრძენ და სიკეთით აღსავსე ჰუიჰნჰნემებს, რომლებიც უხვად არიან დაჯილდოებულნი ყველა იმ ღირსებით, რაც შესაძლებელია მოაზროვნე არსებას ამკობდეს, თავიანთ ენაზე ამ მანკიერების აღმნიშვნელი სიტყვაც კი არ გააჩნიათ მათ ენაში არ არის ცნებები, რომლებიც გამოხატავს ბოროტებას, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლითაც ისინი იაჰუების საზიზღარ თვისებებს აღნიშნავენ, მაგრამ რომელთა შორისაც არ არის სიტყვა „სიამაყე“, რადგანაც ნაკლებად იცნობენ იმ ქვეყნების ადამიანთა ბუნებას, სადაც ამ არსებებს გაბატონებული მდგომარეობა უჭირავთ მაგრამ მე, რომელსაც ამ მხროვ საკმაო გამოცდილება გააჩნია, გარკვეულად ვამჩნევდი ამ მანკიერების ზოგიერთ ჩანასახს ველურ იაჰუებშიც.

თვითონ ჰუიჰნჰნემებიც, რომლებიც გონიერი არსებები არიან, ისევე არ ამაყობენ თავიანთი მაღალი ღირსებებით, როგორც მე არ ვამაყობ იმით, რომ არც ხელი მაკლია და არც ფეხი; რითაც არც ერთი ადამიანი არ ამაყობს, თუმცა, რომელიმე მათგანიც რომ დაკარგოს, უსათუოდ უბედურად იგრძნობდა თავს. ამდენი ხანი ამ საკითხზე იმიტომ შევჩერდი, რომ სურვილი მაქვს, ინგლისის იაჰუების საზოგადოება ნაკლებად აუტანელი გავხადო; ამიტომაც, მორჩილად ვთხოვ მათ, ვისაც ოდნავ მაინც გააჩნიათ ეს მანკიერება, მომერიდონ და თვალთ არ დამენახონ.

### **გამომცემლის მიმართუა მკითხველისადმი**

ამ მოგზაურობათა ავტორი, მისტერ ლემუელ გულფერი ჩემი უძველესი და უახლოესი მეგობარია; დედის მხრიდანაც რაღაც ნათესაობა გვაკავშირებს. სამი წლის წინათ მისტერ გულფერმა, რომელსაც თავი მოაბეზრა ცნობისმოყვარე მნახველების მოზღვავებამ, შეიძინა მცირედენი მამული და ერთი მშვენიერი სახლი ნიუეკის ახლოს — ნოთინგამშირში, თავის სოფელში; იქ ცხოვრობს იგი ახლაც საზოგადოებისაგან განმდგარი და მაინც პატოვით მიღებული მთელ სამეზობლოში.

როგორც აღვნიშნე, მისტერ გულიფერი ნოთინგაშპირშია დაბადებული (მამამისი იქ ცხოვრობდა), მაგრამ, როგორც მისგან ხშირად გამიგონია, მისი ოჯახი წარმოშობით ოქსფორდის საგრაფოდანაა; ეს აზრი იმ გარემოებამაც დამიდასტურა, რომ იმავე საგრაფოში, ბანბურის ეკლესიის ეზოში, მრავალი საფლავის ქვაზე და მონუმენტზე ამოვიკითხე გულიფერის გვარი.

მისტერ გულიფერმა, ვიდრე რედრიფიდან წავიდოდა, ეს ნაწერები დამიტოვა და სრული ნება დამრთო, ისე მოქცეოდი მათ, როგორც საჭიროდ ჩათვლიდი. ისინი მე ერთი სამჯერ მაინც გადავსინჯე გულმოდგინედ. უნდა გითხრათ, რომ მეტისმეტად სადა და უბრალო ენითაა დაწერილი; ერთადერთი ნაკლი, რაც შევამჩნიე, ის გახლავთ, რომ ავტორი, მოგზაურების ჩვეულებისამებრ, უამრავ წვრილმანზე მოგვითხრობს. შრომაში ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა სრული სიმართლე. ავტორს ისე აქვს იგი ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ მისი რედრიფელი მეზობლები, როცა რაიმეს დადასტურებას ცდილობენ, ასე იტყვიან: ეს ისევეა მართალი, თითქოსდა თვითონ გულიფერს ეთქვასო.

ავტორის ნებართვის თანახმად, რამდენიმე ღირსეულ პიროვნებას გავაცანი ხელნაწერები და ახლა, მათივე რჩევით, ვაქვეყნებ კიდევაც, იმ იმედით, რომ ერთხანს მაინც, იგი უკეთესი ჭკუის სასწავლი სახელმძღვანელო აღმოჩნდება ჩვენი კეთილშობილებისთვის, ვიდრე პოლიტიკოსებისა და ამა თუ იმ პარტიის მიმდევართა ნაჯღაბნ-ნაჯახირვეი.

ეს წიგნი ორი ამდენი იქნებოდა, ჩემი თავისთვის ნება რომ არ მიმეცა და არ ამომელო უამრავი ადგილი, სადაც აღწერილია ქარები და ზღვის მიქცევ-მოქცევა; სხვადასხვა მოგზაურობათა ცალკეული, უმნიშვნელო დეტალები, აგრეთვე გრძელებისა და განედების აღნიშვნები; ამან, ცოტა არ იყოს, შესაძლებელია, მისტერ გულიფერის უკმაყოფილება გამოიწვიოს, მაგრამ, ჩემი მხრივ, მეც მართალი ვარ; ჩემს ერთადერთ განზრახვას ხომ ის შეადგენდა, რომ ხელნაწერები, რამდენადაც მოხერხდებოდა, მკითხველებისთვის იოლი გასაგები გამეხადა. შეიძლება სანაოსნო საქმეებში ჩემმა უმეცრებამ დამაშვებინა ცალკეული შეცდომებიც, მაგრამ მისტერ გულიფერი აქ არაფერ შუაშია; ბრალი მხოლოდ მე მიმიძღვის. ამავე დროს, თუ რომელიმე მოგზაური მოისურვებს ნახოს ხელნაწერები შეუძცირებლად, ესე იგი, სწორედ ისეთი, როგორიც იგი თვითონ ავტორის ხელიდან გამოვიდა, მზად ვარ დააკმაყოფილო მისი ეს სურვილი.

რაც შეეხება ავტორის ცხოვრების სხვა მხარეებს, მკითხველი მათ წინამდებარე წიგნის პირველვე გვერდებზე ამოიკითხავს.

## კაპიტან გულაფერის წერილი თავისი ბიძაშვილის, სიმპსონისადმი

იმედი მაქვს კეთილს ინებებთ და, თუ საჭირო იქნება, როცა გკითხავენ, საჯაროდ აღიარებთ, რომ თქვენი დაჟინებული და გამუდმებული თხოვნით მაიძულებთ გამომექვეყნებინა ჩემი მოგზაურობის უაღრესად არეულ-დარეული და არაზუსტი ანგარიში; თანაც მირჩიეთ, რომელიმე უნივერსიტეტიდან რამდენიმე ახალგაზრდა დამექირავებინა, რათა მათ ჩემი ხელნაწერები წესრიგში მოეყვანათ და, ამავე დროს, გაესწორებინათ მისი სტილი, როგორც ეს ჩემი რჩევით გააკეთა ჩემმა ბიძაშვილმა დამპიერმა<sup>1</sup> თავის იმ წიგნზე მუშაობის დროს, რომელსაც „დედამიწის ირგვლივ მოგზაურობა“ უწოდება. მაგრამ სულაც არ მახსოვს, თქვენთვის ნება დამერთო, რაიმე ადგილი გამოგეტოვებინათ, მით უმეტეს, რაიმე თვითნებურად ჩაგემატებინათ, ამიტომაც ყველა ამგვარ ჩანართზე უარს ვაცხადებ, განსაკუთრებით კი იმაზე, რომელიც შეეხება მისი უდიდებულესობის, აწ განსვენებული დედოფალი ანას<sup>2</sup> მოგონებას; თუმცა, მართალი გითხრათ, ყველა ადამიანურ არსებათა შორის ყველაზე მეტ პატივს მას ვცემდი. მაგრამ თქვენ, ანდა იმ პიროვნებებს, რომლებსაც თქვენ მიანდეთ ჩემი ხელნაწერების წესრიგში მოყვანა, უნდა გაგეთვალისწინებინათ, რომ მე არავითარი სურვილი არ გამაჩნდა ეს გამეკეთებინა; თანაც, უაღრესად უხერხული იყო ჩემთვის, რომელიმე ადამიანური ცხოველი ჩემი მასპინძელი ჰუიჰნჰნის წინაშე ქება-დიდებათ მომეხსენებინა; გარდა ამისა, აქ თვით სინამდვილაც საშინლადაა დამახინჯებული; რამდენადაც ვიცი და, მე ვიცი, რადგანაც მისი ბრწყინვალეების მეფობის დროს ერთხანს ვცხოვრობდი ინგლისში, იგი სამეფოს პირველი მინისტრის დახმარებით მართავდა; და, მერე, განა ერთი, — ორი პირველი მინისტრი ჰყავდა; ამათგან ერთი გოლდფინის ლორდი გახლდათ, ხოლო მეორე — ოქსფორდისა. ამგვარად, თქვენ იძულებული გამხადეთ მეთქვა ის, რაც არ არის. ასევე მოქცევიხართ იმ თავებსაც, სადაც აკადემიის პროფე-

<sup>1</sup>დამპიერი(1652-1715) — ცნობილი ინგლისელი ზღვაოსანი.

<sup>2</sup>დედოფალი ანა (1664-1714) — ინგლისის დედოფალი. აწარმოებდა ომს ლუი XIV-ის წინააღმდეგ.

ქტიორებზეა ლაპარაკი და სადაც გადმოცემულია ჩემი საუბარი ჩემს მასპინძელ ჰუიჰნჰმთან: ან უაღრესად არსებითი ადგილები გამოგიტოვებიათ, ანდა ისე შეგიცვლიათ და შეგირბილებიათ ისინი, რომ ჩემივე ნაწარმოების ცნობა მევე გამიჭირდა. როდესაც ამის შესახებ წინა წერილში შეგახსენეთ, თქვენ კეთილი ინებეთ და მიპასუხეთ, რომ გეშინოდათ, ვინმესთვის შეურაცხყოფა არ მიგვეყენებინათ; რომ ძლიერი ამა ქვეყნისანი მკაცრად აღვენებენ თვალყურს პრესას, რომ ისინი შხად არიან, არა მარტო თავისებური კუდი გამოაბან ყველაფერს, რაც ნართაულად ნათქვამს ჩამოკვავს (როგორც მახსოვს, თქვენ ასე უწოდეთ მას), არამედ პასუხისგებაშიც მისცენ ავტორი. მაგრამ, ერთი ეს მითხარით: ის, რაც მე ვთქვი ამდენი წლების წინათ, ხუთი ათსამდე მილის მოშორებით და ისიც სულ სხვა სამეფოში, როგორ შეიძლება შექებოდეს რომელიმე იაპუთაგანს, რომლებიც, როგორც იტყვიან, ჩვენს ჯოგს ახლა განაგებენ; მით უმეტეს, რომ ეს სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც სულაც არა ვფიქრობდი და არც მეშინოდა იმ უბედურებისა, რომ ოდესმე მათი გამგებლობის ქვეშ ცხოვრება მომიწვედა. ნუთუ არ უნდა ვოვსებოდე ბოლმით, როდესაც ვხედავ, რომ სწორედ ამ იაპუებს შეუბამთ ეტლში ჰუიჰნჰმები. თითქოსდა ეს უკანასკნელები უგუნური პირუტყვები, ხოლო პირველნი გონიერი არსებები იყვნენ? ისედაც ხომ ამ საშინელი და საზიზღარი სანახაობის თავიდან აცილება იყო ჩემი მთავარი მიზანი, რისთვისაც მე ასე განუდარტოვდი.

აი, რა უნდა მეთქვა თქვენთვის თქვენი საქციელისა და იმ ნდობის შესახებ, რომელიც ოდესღაც გამოგიცხადეთ

გარდა ამისა, მე ვკიცხავ ჩემს დაუფიქრებლობასაც, რის შედეგადაც დაუყვევი თქვენს და ზოგიერთ სხვათა თხოვნასა და ყალბ მიზეზებს და, ჩემი სურვილის აშკარა საპირისპიროდ, დაუთანხმდი, ჩემი მოგზაურობანი გამომექვეყნებინა. აბა, გულზე ხელი დაიდეთ და მოიგონეთ ის ამბავი, რომ, როდესაც ყოველთვის ამის გაკეთებას საზოგადოებისათვის საკეთილდღეო საქმედ მისახავდით, რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, მხედველობაში მიგედოთ ის გარემოება, რომ იაპუები ცხოველთა ისეთ მოდგმას შეადგენენ, რომელთაც მაგალითებითა და დარიგებებით გამოსწორების არავითარი უნარი არ გააჩნიათ. ხომ გამართლდა ჩემი წინასწარმეტყველება! აი, დააკვირდით, უკვე ექვსი თვეა, რაც ჩემი წიგნი გამოვიდა და ბიწიერებასა და ბოროტმოქმედებას სულაც არ მოჰღებია ბოლო — ყოველ შემთხვევაში ამ

პატარა კუნძულზე, — როგორც ეს მოსალოდნელი იყო; ისიც კი არ მსმენია, რომ თუნდაც ვინმეზე მოეხდინოს მას ის ზემოქმედება, რაც ჩემს განზრახვას შეადგენდა. მე გთხოვეთ, წერილით გეცნობებიანათ ის მომენტი, როცა — შეწყდება პარტიათა შორის ბრძოლა და ანგარიშსწორება; მოსამართლეები გახდებიან განსწავლულნი და სამართლიანნი; ვექილები — პატიოსანნი და ზომიერნი და, ამავე დროს, შეიძენენ საღი გონების თუნდაც ნატამალს. სმითფილდი<sup>1</sup> გაციისკროუნდება კანონთა კრებულების პირამიდებით; ახალგაზრდა კეთილშობილთა აღზრდის სისტემა შეიცვლება ძირფესვიანად; გააძვევენ ექიმებს; მდედრი იაჭუები შეიმკობიან სათნოებით, პატიოსნებით, გულმართლობითა და საღი გონებით; საფუძვლიანად გამოსუფთავდება და გამოიცოცხება სასახლეები და დიდ-დიდი მინისტრების მისაღები ოთახები; სათანადოდ დაფასდება ჭკუა-გონება, დამსახურება და ცოდნა; ყველა, ვინც ბეჭდვით სიტყვას არცხვენს — პროზის სახე აქვს თუ ლექსის, — იძულებული გახდება, ისაზრდოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი ქაღალდით, ხოლო წყურვილი მხოლოდ თავისი მეღნით მოიკლას. ამ და ათასობით სხვა გარდაქმნების დიდი იმედი მქონდა თქვენი წაქეზების შემდეგ. უნდა ვაღიარო, რომ შვიდი თვე საკმაო დრო იყო იაჭუების ძვალსა და რბილში გამჯდარი ყოველი ბიწიერებისა და უგუნურების აღმოსაფხვრელად, იმათ რომ ბუნებით ოდნავი მიდრეკილება მაინცა ჰქონდეთ სათნოებისა და სიბრძნისადმი. მაგრამ ეს მოლოდინი თქვენმა არც ერთმა ბარათმა არ გამიძარტლა. პირიქით, თქვენ ყოველკვირეულად ტვირთავთ და ტვირთავთ ჩვენს წერილების დამტარებელს პასკვილებით, კოდებით, ნარკვევებით, მსჯელობითა და უაზრო გაგრძელებებით, რის გამოც ბრალს მდებენ, თითქოსდა ქვეყნის დიდ საჭეთმპყრობლებს ჩრდილს ვაყენებდე, ვამცირებდე ადამიანის ბუნებას (იმდენ თავხედობას იჩენენ ზემოთ ხსენებული ავტორები, რომ ლაპარაკობენ რაღაც ადამიანური ბუნების შესახებ) და შეურაცხვეოფდე ქალებს. მე ასევე ვამჩნევ, რომ იმ ნაყარნუყარის მჯღაბნელები ვერ შეთანხმებულან ერთმანეთს შორის; ერთნი იმ აზრზე დგანან, რომ თითქოსდა მე სულაც არა ვარ ჩემი მოგზაურობების ავტორი; მეორენი კი ისეთი წიგნების ავტორობას მომაწერენ, რომელთა შესახებ წარმოდგენაც არ მაქვს.

<sup>1</sup> სმითფილდი — ლონდონის ცნობილი მოედანი, სადაც სიკვდილით დასჯა ხდებოდა.



შემდეგ, არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ თქვენს ასოთამწყობს უსულგულოდ უმუშავია: აურ-დაურევია დროები და ჩემი გამგზავრებისა და დაბრუნების თარიღები, არც წელი უჩვენებია სწორად, არც თვე და არც დღე. როგორც გაგიგე, წიგნის ბეჭდვისას ჩემი ხელნაწერები მოუსპიათ და ეს მაშინ, როცა მე ასლიც არ შემომრჩენია. ამიტომაც უკვე გამოგიგზავნეთ ზოგიერთი შესწორება, რაც შეგიძლიათ შეიტანოთ მასში, თუ ვინიცობაა, ოდესმე, წიგნის მეორედ გამოცემა მოხდა. თუმცა, დაჟინებით მაინც ვერ მოვითხოვ ამას და მხოლოდ ჩემს მიუდგომელ და კეთილგონიერ მკითხველს მივანდობ — დაე, ყოველივე ისე განსაჯონ, როგორც ენებოთ.

თურმე ნუ იტყვით და, ჩვენი მეზღვაური იაპუები ჩემს საზღვაო ენაში შეცდომებს ნახულობენ. მათი აზრით, იგი ძირითადად უსწორო და მოძველებულია. რა ვქნა. თავს ზვეით ძალა არ არის; ამას ვერაფერს მოუუხერხებ. როცა ახალგაზრდა ვიყავი და პირველად ვმოგზაურობდი, ძველ მეზღვაურებში ვტრიალებდი და მეც მათსავით ავლაპარაკდი. მაგრამ, შემდეგში აშკარად დავრწმუნდი იმაში, რომ მეზღვაურ იაპუებს ისეთივე მიდრეკილება აქვთ გადააკეთონ და გადაასხვაფერონ ჩვეულებრივი სიტყვები, როგორც ხმელეთზე მცხოვრებ იაპუებს; ესენი ზომ ყოველ წელს ცვლიან თავიანთ ენას; მოგზაურობიდან ჩემს სამშობლოში დაბრუნდებოდი თუ არა, მაშინვე აღმოაჩენდი, რომ ძველი დიალექტი იმდენად იყო შეცვლილი, რომ მცხოვრებთა ლაპარაკს ძლივძლივობით ვიგებდი. ამჟამად კი იმასაც ვამჩნევ, რომ, როცა რომელიმე ლონდონელი იაპუ ცნობისმოყვარეობის გულისათვის მეწვევა, ერთმანეთს თავისუფლად ვეღარ ვაგებინებთ.

იაპუების კრიტიკა ჩემზე ოდნავდაც რომ მოქმედებდეს, მაშინ აშკარა მიზეზი მექნებოდა საყვედური გამომეთქვა, რაკი ზოგიერთი მათგანი იმდენ თავხედობას იჩენს, რომ ჩემს მოგზაურობათა წიგნს უბრალოდ ჩემ მიერ გამოგონილ ამბად აცხადებს; გარდა ამისა, ისინი ისე შორსაც მიდიან, რომ აღიარებენ, თითქოსდა ჰუიპნოზები და იაპუები ისევე არ არსებობენ, როგორც უტოპიის მცხოვრებლებიო.

მაგრამ, რაც შეეხება ლილიპუტებს, ბრობდინგნაგელებს (მათ ქვეყანას ბრობდინგრაგი უნდა ეწოდებოდეს და არა ბრობდინგნაგი, როგორც ეს შეცდომითაა წიგნში დაბეჭდილი) და ლაპუტელებს, — ჯერ ისეთი იაპუს მნახველი არ ვარ, რომელსაც არ სჯეროდეს მათი არსებობა, ანდა ეჭვი ეპარებოდეს ჩემ მიერ მოყვანილ ფაქტებში: რადგანაც

ისინი იმდენად ცხადი და აშკარაა, რომ ყოველ მკითხველს, ვინც უნდა იყოს იგი, მაშინვე დააჯერებს და განა ნაკლებად დამაჯერებელია ჩემ მიერ ჰუიჰნჰნებისა და იაჰუების შესახებ მოცემული ანგარიში? რაც შეეხება იაჰუებს, მათი რიცხვი ხომ თვით ჩვენს ქვეყანაშიც კი მრავალი ათასია და ისინი ხომ ჰუიჰნჰნების ქვეყნის მკვიდრი ველური თანამოძმეებისაგან მხოლოდ და მხოლოდ იმით განირჩევიან, რომ უაზრო რატრატის უნარი გააჩნიათ და ტიტლიკანები აღარ დაიარებიან. მე მათ გამოსასწორებლად ვწერდი და არა იმისთვის, რომ მათი მოწონება დამემსახურებინა, მთელი მათი მოდგმის ერთობლოვ ქება-დიდებას მირჩევნია ჭიხვინი იმ ორი გადაგვარებული ჰუიჰნჰნისა, რომლებიც აქ, ჩემს საჯინიბოში მიბია; ვინაიდან მათგან, რა გადაგვარებულნიც უნდა იყვნენ ისინი, სათნოების ერთგვარ მაგალითს მაინც მოვიღებ და მათში მანკიერების ნატამალი რაა, ისიც კი არაა გარეული.

ნუთუ ამ საცოდავ ცხოველებს მე იმდენად დაცემული ვგონივარ, რომ ჩემი სიმართლის დასაცავად გამოვალ? მართალია, მეც იაჰუ გახლავართ, მაგრამ როგორც ჰუიჰნჰნების სამეფოში საქვეყნოდაა ცნობილი, ჩემი სახელმოხვეჭილი მასპინძლის დარიგებებისა და პირადი მაგალითების მეოხებით, ორი წლის მანძილზე, მე შევძელი (თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ეს მეტად გამძინელდა) აღმოძვეზვრა ჩემში ისეთი უსაშინლესი ჩვევები, როგორიცაა: სიცრუე, ფარისევლობა, მატყუარობა და ორპირობა, რომლებიც ასე ღრმად აქვს გამჯდარი ჩვენს მოდგმას, — განსაკუთრებით კი ვეროპელებს.

ამ საკვალლო მდგომარეობის გამო, მე კიდევ შემეძლო რამდენიმე საყვედური გამომეთქვა, მაგრამ არაფითარი სურვილი არ მაქვს, თავი შევიწუხო ანდა თქვენ შეგაწუხოთ უნდა ვაღიარო, რომ მას მერე, რაც მოგზაურობას თავი დავანებე, ჩემი, როგორც იაჰუსათვის დამახასიათებელი ზოგიერთი მანკიერება ერთგვარად აღორძინდა თქვენი მოდგმის ზოგიერთ წარმომადგენელთან ურთიერთობის და განსაკუთრებით კი ჩემი ოჯახის წევრ იაჰუებთან ძალაუნებური ურთიერთობის წყალობით ასე რომ არ ყოფილიყო, მე არასოდეს შევეცდებოდი, ამგვარი სულელური საშუალებით გარდამექმნა ამ სამეფოს იაჰუების მოდგმა; მაგრამ ამნაირი ქარაფშუტული გვემებისაგან ახლა უკვე სამუდამოდ ავიღე ხელი.

წიგნის ელექტრონული ვერსია

1727 წ. 2 აპრილი.

მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

[www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)

307

# სარჩევნი

## ნაწილი პირველი

### მოგზაურობა ლილიპუტების ქვეყანაში

- თავი პირველი** — ავტორი გვაწვდის ზოგიერთ ცნობას საკუთარ თავსა და ოჯახზე, როგორ გაეღვიძა მოგზაურობის წყურვილი. მისი ხომალდი იღუპება და იგი ცურვით გადაირჩენს თავს. უვნებლად მიაღწევს ლილიპუტების ქვეყნის ნაპირამდე. მას დაატყვევებენ და ქვეყნის სიღრმეში გადააყაფთ. . . . . 7
- თავი მეორე** — ლილიპუტების იმპერატორი დიდებულების თანხლებით ქვეყნა ავტორს საპყრობილეში. იმპერატორის გარეგნობისა და მორთულობის აღწერა. ავტორს სწავლულებს უნიშნავენ ლილიპუტების ენის შესასწავლად. გულივერი თავისი თვინიერებით ნდობასა და პატივისცემას იმსახურებს. მას ჯიბეს გაუჩხრეკენ, ხმალსა და რევოლვერს ჩამოართმევენ. . . . . 18
- თავი მესამე** — ავტორი არაჩვეულებრივ გასართობს უჩვენებს იმპერატორს, მის დიდებულებსა და სეფექალებს. ლილიპუტების სასახლის გასართობების აღწერა. ავტორს განსაზღვრული პირობით ათავისუფლებენ. . . . . 28
- თავი მეოთხე** — ლილიპუტების დედაქალაქის მილდენდოს და იმპერატორის სასახლის აღწერა. საუბარი ავტორსა და პირველ მდივანს შორის იმპერიის საქმეებზე. ავტორი იმპერატორს ომებში მონაწილეობის მიღებას კპირდება. . . . . 36
- თავი მეხუთე** — ავტორი არაჩვეულებრივი ხერხით ააცდენს სამეფოს მტრის შემოსევას. მას დიდ ტიტულს ანიჭებენ. ბლეფესკუს ელჩები ჩამოდიან და ითხოვენ ზავს . . . . . 42
- თავი მეექვსე** — ლილიპუტების ქვეყნის მცხოვრებლები. მათი სწავლა-განათლება. კანონები და ზნე-ჩვეულებანი. ბავშვების აღზრდის წესი. როგორ ცხოვრობდა ავტორი ლილიპუტების ქვეყანაში. ის იცავს ერთ ბანოვანს . . . . . 49
- თავი მეშვიდე** — ავტორი გაიგებს, რომ განზრახული აქვთ, მას სახელმწიფო ღალატში დასდონ ბრალი. ის გარბის ბლეფესკუში. მისი მიღება. . . . . 60
- თავი მერვე** — ავტორი რაღაც ბედად ბლეფესკუს კუნძულიდან წასვლას ახერხებს; ის რამდენიმე სიძნელის გადალახვის შემდეგ უვნებლად ბრუნდება თავის სამშობლოში . . . . . 69

## ნაწილი მეორე

### მოგზაურობა ბრობდინგნაგში

**თავი პირველი** — ძლიერი ქარიშხალი. კარაპის გაგზავნა სასმელი წყლის მოსატანად. ავტორი მიჰყვება მას ქვეყნის დათვალიერების მიზნით. ნაპირზე მარტო

დარჩენილს ერთ-ერთი ადგილობრივი მკვიდრი დაიჭერს და ვიდაცა გლქის სახლში მიიყვანს. მისი მიღება და ამასთან დაკავშირებული თავგადასავლები. ადგილობრივ მკვიდრთა აღწერა . . . . . 77

**თავი მეორე** — ფერმერის ქალიშვილის აღწერა. ავტორი ჯერ მეზობელ ქალაქში მიჰყავთ, შემდეგ კი დედაქალაქში. მგზავრობის ამბები . . . . . 89

**თავი მესამე** — ავტორს ითხოვენ სასახლეში. დედოფალი ფერმერისაგან იყიდის მას და უჩვენებს მეფეს. ავტორის კამათი მისი უდიდებულესობის დიდ სწავლულებთან სასახლეში მას ბინას უშენებენ, დედოფალი მისი მწყალობელია. ავტორი იცავს თავისი სამშობლოს ღირსებას. მასა და დედოფლის ჯუჯას შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება . . . . . 95

**თავი მეოთხე** — ქვეყნის აღწერა. ავტორი წინადადებას იძლევა, შესწორება შეიტანონ რუკებში. მეფის სასახლე და ზოგიერთი სხვა რამ დედაქალაქის შესახებ. როგორ იმოგზაურა ავტორმა. მთავარი ტაძრის აღწერა . . . . . 106

**თავი მეხუთე** — ავტორის რამდენიმე თავგადასავალი. დამნაშავეის სიკვდილით დასჯა. ავტორი ამჟღავნებს თავის ოსტატობას ნაოსნობაში . . . . . 111

**თავი მეექვსე** — ავტორი ათასგვარ რამეს იგონებს მეფისა და დედოფლის გასართობად. ის უჩვენებს თავის მუსიკალურ ხელოვნებას. მეფე კითხვებს აძლევს ინგლისის სახელმწიფო წყობილების შესახებ და ავტორიც პასუხობს. ამ საკითხზე მეფის შენიშვნები . . . . . 121

**თავი მეშვიდე** — ავტორის სიყვარული სამშობლოსადმი. ის ფრიად სასარგებლო წინადადებას აძლევს მეფეს, მაგრამ მას არ მიიღებენ. მეფის სრული უმეცრება პოლიტიკაში. იმ ქვეყნის არასრულქმნილი და ვიწრო განათლება. სახელმწიფო კანონები, სამხედრო საქმე და პარტიები . . . . . 131

**თავი მერვე** — მეფე და დედოფალი მიემგზავრებიან საზღვრების დასათვალიერებლად. ავტორი თან ახლავს მათ. იმის დაწვრილებით აღწერა, თუ როგორ დატოვა ავტორმა კუნძული. ის ბრუნდება ინგლისში. . . . . 138

### ნაწილი მესამე

#### მოგზაურობა ლაპუტაში, ბალნიბარბიში, ლაგნავში, გლუბდაბდრიბსა და იაპონიაში

**თავი პირველი** — ავტორი მესამედ მიემგზავრება. ის მეკობრეებს უვარდება ხელში. კოლანდიელის გულღვარძლიანობა. ავტორი მიაღგება ერთ კუნძულს. მას ლაპუტაში იღებენ . . . . . 151

**თავი მეორე** — ლაპუტელების ხასიათი და ზნე-ჩვეულებანი. მათი მეცნიერებები. მეფე და სასახლე. ავტორის მიღება, ლაპუტელების შიში და გულის წუხილი. იქაური ქალები . . . . . 157

**თავი მესამე** — თანამედროვე ფილოსოფიისა და ასტრონომიის შემწეობით გადაწყვეტილი ამოცანა. ლაპუტელთა დიდი მიღწევები ასტრონომიაში. აჯანყების ჩაქრობის მეფისეული მეთოდი . . . . . 165

**თავი მეოთხე** — ავტორი ტოვებს ლაპუტას. მას დაუშვებენ ბალნიბარბიზე. დედაქალაქში ჩასვლა. დედაქალაქისა და მისი მომიჯნავე მიდამოების აღწერა. ერთი წარჩინებული დიდი პატოვისცემით იღებს ავტორს. მათი საუბრები . . . . . 171

**თავი მუხუთე** — ავტორს ნებას რთავენ დაათვალიეროს ლაგადოს უდიდესი აკადემია. აკადემიის ვრცელი აღწერა. მეცნიერების დარგები, რომლებშიც იქაური პროფესორები მოღვაწეობენ . . . . . 178

**თავი მუქვსე** — აკადემიის აღწერის გაგრძელება. ავტორს შეაქვს თავისი წინადადება, რომელსაც სიამოვნებით იღებენ . . . . . 186

**თავი მეშვიდე** — ავტორი ტოვებს ლაგადოს, ჩადის მალდონადაში. გემი ჯერ არ არის მზად. მის მომზადებამდე მიემგზავრება გლუბდაბდრიბში. გუბერნატორის მიერ მისი მიღება . . . . . 192

**თავი მერვე** — გლუბდაბდრიბის აღწერის გაგრძელება. შესწორება ძველსა და ახალ ისტორიაში . . . . . 197

**თავი მეცხრე** — ავტორი ბრუნდება მალდონადაში. მიცურავს ლაგნაგის სამეფოსაკენ. მას აპატიმრებენ და გამოიძახებენ სასახლეში. მისი მიღების თავისებურება. მეფის გულმოწყალება თავისი ქვეშევრდომებისადმი . . . . . 204

**თავი მეთათე** — მიმართვა ლაგნაგელებისადმი. სტრულდბრაგების დაწვრილებით აღწერა და ავტორსა და მრავალ გამოჩენილ ადამიანს შორის გამართული საუბარი მათ შესახებ . . . . . 208

**თავი მეთერთმეტე** — ავტორი ტოვებს ლაგნაგს და იაპონიაში მიემგზავრება. იქიდან პოლანდიური გემით ბრუნდება ამსტერდამში, ამსტერდამიდან კი — ინგლისში . . . . . 218

## **ნაწილი მეთხუთე**

### **მოგზაურობა ჰუიჰნჰნმების ქვეყანაში**

**თავი პირველი** — ავტორი მიემგზავრება, როგორც გემის კაპიტანი. მისივე მეზღვაურები უწყობენ შეთქმულებას. დიდი ხნით ამწყვდევნ თავისსავე კაიუტაში და ბოლოს, ერთი უცნობი ქვეყნის ნაპირზე ჩამოსვამენ. ის შედის ქვეყნის სიღრმეში. უცნაური ცხოველის — იაპუს აღწერა. ავტორის შეხვედრა ორ ჰუიჰნჰნმთან . . . . . 223

**თავი მეორე** — ავტორი ჰუიჰნჰნმს თავის სახლში მიჰყავს. მისი სახლის აღწერა. ავტორის მიღება. ჰუიჰნჰნმების საკვები. ავტორს გაუჭირდება საჭმლის შოვნა. ბოლოს გამოსავალს მონახავს. რით საზრდოობდა ავტორი ამ ქვეყანაში . . . . . 230

**თავი მესამე** — ავტორი გულმოდგინედ სწავლობს ენას. მისი მასპინძელი ჰუიჰნჰნმში ეხმარება მას ამ საქმეში. ჰუიჰნჰნმების ენის აღწერა. რამდენიმე დიდგვაროვანი ჰუიჰნჰნმში მოდის ავტორის სანახაუად. ავტორი მასპინძელს მოკლედ უყვება თავისი მოგზაურობის ამბავს . . . . . 235

**თავი მეოთხე** — სიმართლისა და სიცრუის გაგება ჰუიჰნჰნმებში. ავტორის ნაამბობს აღმუთოებაში მოჰყავს მასპინძელი. იგი უფრო დაწვრილებით ჰყვება თავის თავზე და თავის მოგზაურობაზე . . . . . 241

**თავი მეხუთე** — ავტორი მასპინძლის ბრძანებით აცნობს მას ინგლისის სახელმწიფო წყობილებას. ევროპის მეფეთა შორის ომის მიზეზები. ავტორი უხსნის ინგლისის კონსტიტუციის არსს . . . . . **246**

**თავი მეექვსე** — დედოფალ ანას დროის ინგლისის სახელმწიფო კონსტიტუციის დახასიათება. რას წარმოადგენს პირველი მინისტრი ევროპის სასახლეებში . . . . . **254**

**თავი მეშვიდე** — ავტორის უდიდესი სიყვარული სამშობლოსადმი. მისი მასპინძლის შენიშვნები ინგლისის კონსტიტუციასა და სახელმწიფო წყობილებაზე აღწერილი ავტორის მიერ მრავალი პარალელითა და შედარებით. მისი მასპინძლის შენიშვნები ადამიანის ბუნებაზე . . . . . **260**

**თავი მერვე** — ავტორი აღწერს იაჰუს ზოგიერთ თავისებურებას. ჰუიჰნჰემების უდიდესი სათნოებანი. მათი მოზარდების აღზრდა-განათლება და წვრთნა. ჰუიჰნჰემების ეროვნული კრება . . . . . **268**

**თავი მეცხრე** — დიდი კამათი ჰუიჰნჰემების გენერალური საბჭოს სხდომაზე და როგორ დამთავრდა იგი. ჰუიჰნჰემების მეცნიერება, მათი შენობები. დასაფლავების წესები. მათი ენის ნაკლოვანებანი . . . . . **273**

**თავი მეათე** — ავტორის ოჯახური მოწყობილობა და ბედნიერი ცხოვრება ჰუიჰნჰემებთან. ის მათთან ხშირი საუბრის შედეგად უფრო და უფრო სათნოვდება. საუბრები. მასპინძელი ამცნობს ავტორს, რომ მან უნდა დატოვოს ჰუიჰნჰემების ქვეყანა. ამ უბედურების გაგონებაზე გული შეუღონდება, მაგრამ ძალაუნებურად დამორჩილდება ბედს. მეგობარი მსახურის დახმარებით ის წამოიწყებს ნავის კეთებას და ალაღბედზე შეცურდება ზღვაში . . . . . **279**

**თავი მეთერთმეტე** — ავტორის სახიფათო მოგზაურობა. ის ახალ ჰოლანდიაში იმ იმედით ჩადის, რომ იქ დასახლდეს. ერთ-ერთი ადგილობრივი მკვიდრი ისრით დაჭრის. დაიჭერენ და ძალად დასვაემენ პორტუგალიის გემზე. კაპიტნის უდიდესი თაყაზიანობა. ავტორი ბრუნდება ინგლისში . . . . . **287**

**თავი მეთორმეტე** — ავტორის ალალმართლობა. რა მიზანს ისახავდა იგი ამ შრომის გამოქვეყნებით. ის კიცხავს მოგზაურებს, რომლებიც გვერდს უვლიან სიმართლეს. ავტორი აცხადებს, რომ მას, არაუითარი ბოროტი განზრახვა არ ჰქონდა ამ წიგნის შექმნის დროს. პასუხი ერთ სადავო საკითხზე. კოლონიების მოწყობის მეთოდი. სამშობლოს ქებათა-ქება. ბრიტანეთის სამეფოს სრული უფლება აქვს იმ ქვეყნებზე, რომლებიც აღწერა ავტორმა. მათი დაპყრობის სიძნელე. ავტორი ემშვიდობება მკითხველს. გვაცნობს, რანაირად აპირებს თავისი ცხოვრების მოწყობას მომავალში. ბოლოს იძლევა ყურადსაღებ რჩევა-დარიგებას და ამით ამთავრებს თავის წიგნს . . . . . **294**

**გამომცემლის მიმართუა მკითხველისადმი.** . . . . . **301**

**კაპიტან გულიფერის წერილი თავისი ბიძაშვილის, სიმპსონისადმი.** . . . . **303**